პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ-თან არსებული
მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ფრიდრიხ ენგელსი

ანტი-დიურინგი

ბატონ ევგენი დიურინგის მიერ
მეცნიერებაში მოხდენილი გადატრიალება

სახელგამი
პოლიტლიტერატურის სექტორი
1952

საკავშირო კ. პ. (ბ) ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტისაგან

[«ანტი-დიურინგის» 1950 წლის რუსული გამოცემის წინასიტყვაობა]

ენგელსის წიგნი «ბატონ დიურინგის მიერ მეცნიერებაში მოხდენილი გადატრიალება», ანუ «ანტი-დიურინგი», ეკუთვნის მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა რიცხვს. ამ წიგნში, ამბობს ლენინი, «განხილულია ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი საკითხები... ეს გასაოცრად შინაარსიანი და საგულისხმო წიგნია»[1].

«ანტი-დიურინგის» წინამდებარე გამოცემას საფუძვლად დაედო ამ წიგნის მესამე გამოცემა გერმანულ ენაზე[2]. განყოფილების «პოლიტიკური ეკონომიის» მეათე თავი, დაწერილი მარქსის მიერ, შემოწმდა მარქსის ხელნაწერის იმ ფოტოპირის მიხედვით, რომელიც ინახება მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში.

მთელი ტექსტი მოცემულია ხელახლა შემოწმებული და გადამუშავებული თარგმანით. «ანტი-დიურინგის» წინა რუსული გამოცემები (მათ რიცხვში 1931 წლის გამოცემა — მარქსისა და ენგელსის XIV ტომში — და 1938 წლის გამოცემა) შეიცავდა მთელ რიგ სერიოზულ შეცდომებს, რომელთა თავიდან აცილება აუცილებელი იყო.

მთელი ტექსტის მანძილზე გატარებულია ლენინის ნაშრომებში მოცემული ტერმინოლოგია. «ანტი-დიურინგის» ის ადგილები, რომლებიც მოყვანილი აქვს ლენინს, ტექსტში შეტანილია ლენინის თარგმანის მიხედვით.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 2, გვ. 13.

[2] «Herrn Eugen Dühring's Umwälzung der Wissenschaft» von Friedrich Engels. Dritte, durchgesehene und vermehrte Auflage. Stuttgart. Verlag von J. H. W. Dietz. 1894.

წიგნის ძირითადი სახელწოდება — «ანტი-დიურინგი» — შეესაბამება ენგელსის მიწერ-მოწერაში ხმარებულ სახელწოდებას, რომელსაც ყველაზე ხშირად ვხვდებით ლენინის თხზულებებში.

წიგნის დამატებებში მოცემულია: რჩეული ნაწყვეტები «ანტი-დიურინგის» მოსამზადებელი სამუშაოებიდან, ძველი წინასიტყვაობა, რაც ენგელსმა შემდეგ მიაკუთვნა თავისი ნაშრომის, «ბუნების დიალექტიკის» მასალებს, რომელსაც იგი ამზადებდა, და ენგელსის «შენიშვნები» «ანტი-დიურინგისათვის».

ამ გამოცემაში პირველად ქვეყნდება რუსულ ენაზე ენგელსის სტატია «ქვეითი ჯარის ტაქტიკა და მისი მატერიალური საფუძვლები» და ზოგიერთი ახალი ნაწყვეტი განყოფილებისა — «ანტი-დიურინგის» მოსამზადებელი სამუშაოებიდან». ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმულირებანი «შესავლის» შავი მონასახიდან ამ გამოცემაში მოყვანილია «შესავლის» სათანადო ადგილებზე შენიშვნების სახით.

«დამატებათა» ტექსტი ხელახლა შემოწმდა და დაზუსტდა ენგელსის ხელნაწერთა ფოტოპირების მიხედვით.

ენგელსის მიერ შეტანილი დამატებანი წიგნის იმ თავებში, რომელთაგან მან შეადგინა ბროშურა «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» ამ გამოცემაში კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

ეს გამოცემა მოამზადა ი. ი. პ რ ე ი ს მ ა ვ. მ. პ ო ზ ნ ე რ ი ს რედაქციით.

ქართული გამოცემის რედაქციისაგან

ფრიდრიხ ენგელსის თხზულების «ანტი-დიურინგის» ახალი, მეორე ქართული გამოცემა წარმოადგენს შესწორებულ, გადამუშავებულ და შევსებულ თარგმანს. ტექსტის მომზადების დროს ჯხელმძღვანელობდით ამ თხზულების უკანასკნელი გერმანული გამოცემით (მოსკოვი, 1946 წ.) და აგრეთვე ახალი რუსული გამოცემით (მოსკოვი, 1950 წ.).

«ანტი-დიურინგის» ახალი ქართული გამოცემის ძირითად ნაწილს საფუძვლად დაედო 1933 წლის გამოცემა. შენიშვნები, ჩანართები და დამატებანი თარგმნა და გამოცემის მთელი ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ზ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ მ ა. თხზულების ქართული გამოცემის რედაქცია შეასრულა ა ლ. ქ უ თ ე ლ ი ა მ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი.

წინასიტყვაობანი სამი გამოცემისათვის

I

ეს ნაშრომი არასგზით არ წარმოადგენს რაიმე «შინაგანი მისწრაფების» ნაყოფს. პირიქით.

როცა ამ სამი წლის წინათ ბატონმა დიურინგმა, როგორც სოციალიზმის ადეპტმა და ამავე დროს რეფორმატორმა, უცებ მთელი თავისი საუკუნე გამოიწვია ბრძოლაში, ჩემმა მეგობრებმა გერმანიიდან რამდენჯერმე დაჟინებით მთხოვეს, ეს ახალი სოციალისტური თეორია კრიტიკულად განმეხილა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანოში, მაშინდელ «Volksstaat»-ში. ისინი ამას აუცილებლად საჭიროდ თვლიდნენ, რათა ახალგაზრდა და სულ ცოტა ხნის წინათ საბოლოოდ გაერთიანებულ პარტიას ხელახლა საბაბი არ მისცემოდა სექტანტური გათიშვისა და არევ-დარევისთვის. მათ ჩემზე უკეთ შეეძლოთ გერმანიაში შექმნილი ვითარების შეფასება; ამიტომ მე ვალდებული ვიყავი მათთვის დამეჯერებინა. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ სოციალისტური პრესის ერთი ნაწილი ახლად მოქცეულს გულთბილად მიესალმა; მართალია, ეს გულთბილობა მხოლოდ ბატონი დიურინგის კეთილ ნებას მიეკუთვნებოდა, მაგრამ ამასთანავე პარტიული პრესის ამ ნაწილის კეთილ სურვილებსაც ამჟღავნებდა, რომ სწორედ დიურინგის ამ კეთილი ნების ხარჯზე შეუმოწმებლად დიურინგის დოქტრინაც მიეღოთ. აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც, რომელნიც უკვე ემზადებოდნენ ეს ახალი დოქტრინა მუშებს შორის გაევრცელებინათ პოპულარული ფორმით. ბოლოს ბატონმა დიურინგმა და მისმა პატარა სექტამ რეკლამისა და ინტრიგის ყოველი ოინი გამოიყენა, რათა «Volksstaat»-ი აეძულებინა გადაჭრილი პოზიცია დაეჭირა ახალი, ესოდენ დიდი პრეტენზიებით გამოსული, მოძღვრების მიმართ.

მიუხედავად ამისა, მთელმა წელმა განვლო, სანამ გადავწყვეტდი სხვა სამუშაოები გადამედო და ეს მეკავე ხილი მეგემნა. ეს სწორედ ისეთი ხილია, რომელიც სულ უნდა შეეჭამო, რაკი ერთხელ ჩაკბიჩე. ის კი არა მარტო მეკავე, არამედ მეტად მოზრდილიც იყო. ახალი სოციალისტური თეორია გამოვიდა როგორც ერთ-ერთი ახალი ფილოსოფიური სისტემის უკანასკნელი პრაქტიკული ნაყოფი. მაშასადამე, საჭირო იყო მისი განხილვა ამ სისტემის შინაგან კავშირში, და ამით თვით ამ სისტემის გამოკვლევა; საჭირო იყო, ბატონ დიურინგს კვალდაკვალ გავყოლოდით იმ ფართო ასპარეზზე, სადაც იგი ყოველგვარ შესაძლებელ საგნებს ეხება და კიდევ ზოგიერთ სხვა რამესაც. ამრიგად წარმოდგა წერილების მთელი რიგი, რომელიც 1877 წლის დამდეგიდან «Volksstaat»-ის მომდევნო ლაიპციგურ «Vorwärts»-ში გამოქვეყნდა და აქ ერთადაა თავმოყრილი.

ამრიგად, თვით საგნის ხასიათი გვაიძულებდა ისეთი ყოველმხრივი კრიტიკა გვეწარმოებინა, რომელიც სრულიად არ შეესაბამება თვით ამ საგნის მეცნიერულ შინაარსს, ე. ი. დიურინგის ნაწარმოებთა შინაარსს. თუმცა ეს ყოველმხრივობა შეიძლება გაამართლოს კიდევ ორმა სხვა გარემოებამაც. ერთი მხრივ, მან საბაბი მომცა ჩემი შეხედულება აქ აღძრულ სადავო საკითხებზე მრავალ სხვადასხვა დარგში პოზიტიურად განმევითარებინა; ეს საკითხები დღეს ზოგად მეცნიერულ ან პრაქტიკულ ინტერესს იწვევენ. ეს მოხდა ყოველ ცალკე თავში, და თუმცა ამ თხზულებას სრულიად მიზნადაც არა აქვს ბატონი დიურინგის «სისტემას» სხვა სისტემა დაუპირდაპიროს, მაინც იმედია მკითხველს არ გამოეპარება შინაგანი კავშირი ჩემ მიერ წამოყენებულ შეხედულებებში. მე დღეს უკვე საკმაოდ მაქვს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ჩემი შრომა ამ მხრივ სავსებით უნაყოფო არ ყოფილა.

მეორე მხრივ, «სისტემის შემქმნელი» ბატონი დიურინგი ერთეულ მოვლენას როდი წარმოადგენს თანამედროვე გერმანიაში. ეს რამდენიმე ხანია გერმანიაში სოკოებივით იზრდება კოსმოგონიის, საზოგადოდ ნატურფილოსოფიის, პოლიტიკის, პოლიტიკური ეკონომიის და სხვა სისტემები. ფილოსოფიის სულ უმნიშვნელო დოქტორი, თვით სტუდიოზიც კი სრული «სისტემის» შექმნაზე ნაკლებ საქმეს ხელს არ კიდებს. როგორც თანამედროვე სახელმწიფოში იგულისხმება, რომ ყოველ მოქალაქეს შეუძლია თავისი აზრი იქონიოს ° ყველა იმ საკითხზე, რომელთა გამო მას ხმის მიცემა უხდება; როგორც პოლიტიკურ ეკონომიაში მიღებულია, რომ

ყოველი მომხმარებელი საფუძვლიანად იცნობს იმ საქონელს, რომელსაც იგი საარსებოდ ყიდულობს,—თითქოს ასევე უნდა იყოს მიჩნეული მეცნიერებაშიც. მეცნიერების თავისუფლება იმას ჰქვია, რომ ადამიანმა ყველაფერზე წეროს, რაც მას არ უსწავლია და ეს ერთადერთ მკაცრ მეცნიერულ მეთოდად გაასაღოს. ბატონი დიურინგი კი ამ ქედმაღალი ცრუ მეცნიერების ერთი დამახასიათებელი ტიპთაგანია; ეს ცრუმეცნიერება დღეს გერმანიაში ყველგან წინა რიგში გამოდის და ყველაფრის ჩაჩუმებას ცდილობს თავისი მგრგვინავი მაღალფარდოვანი ყბედობით. მაღალფარდოვანი ყბედობა პოეზიაში, ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ისტორიულ მეცნიერებაში, მაღალფარდოვანი ყბედობა კათედრებსა და ტრიბუნებზე, მაღალფარდოვანი ყბედობა ყველგან, მაღალფარდოვანი ყბედობა უპირატესობისა და აზრთა სიღრმის პრეტენზიით, სხვა ერების მარტივი, მდაბიო, ვულგარული სიტყვების რახარუხისაგან განსხვავებით; ეს მაღალფარდოვანი ყბედობა გერმანული გონებრივი ინდუსტრიის ყველაზე დამახასიათებელ და ყველაზე მასობრივ ნაწარმოებს წარმოადგენს, იაფფასიანსა, მაგრამ უვარგისს, სხვა გერმანული ფაბრიკატების მსგავსად, რომელთა გვერდით ისინი, სამწუხაროდ, წარმოდგენილი არ იყვნენ ფილადელფიის გამოფენაზე. თვით გერმანული სოციალიზმი, განსაკუთრებით ბატონი დიურინგის მიერ მოცემული საუცხოო მაგალითის შემდეგ, ამჟამად ფრიად გულმოდგინედ ეწევა მაღალფარდოვან ყბედობას და ასპარეზზე უშვებს ამა თუ იმ პირს, რომელიც რბღინძება «მეცნიერების» სახელით, თუმცა ამ მეცნიერებიდან მას «მართლაც არაფერი არ შეუსწავლია». ესაა საყმაწვილო სენი, რომელიც მოწმობს, რომ გერმანელმა სტუდიოზმა პირი იბრუნა სოციალ-დემოკრატიისკენ, სენი, რომელიც თუმცა განუყრელია ამ პროცესისაგან, მაგრამ დაძლეულ იქნება ჩვენი მუშების შესანიშნავი ჯანმრთელი ბუნების წყალობით.

ჩემი ბრალი არ იყო, თუ იძულებული გავხდი ბატონ დიურინგს იმ ასპარეზზე გავყოლოდი, სადაც მე, უკეთეს შემთხვევაში, დილეტანტის სახით შემიძლია გამოვიდე. ასეთ შემთხვევაში, მეტწილად, იმით დავკმაყოფილდი, რომ ჩემი მოწინააღმდეგის ყალბ ან ალმაცერ მტკიცებებს სწორი, უცილობელი ფაქტები დავუპირდაპირე. ასე მოვიქეცი იურისპრუდენციის და ზოგიერთ შემთხვევაში ბუნებისმეცნიერების დარგში. სხვა შემთხვევებში საკითხი ეხებოდა საერთო შეხედულებებს თეორიული ბუნებისმეცნიერებიდან. მაშასადამე, ისეთ ნიადაგს, სადაც სპეციალისტი ბუნებისმეცნიერიც იძულე-

ბულია თავისი სპეციალობის ფარგლებს გასცილდეს და მეზობელი დარგის საზღვრებში გადავიდეს, მაშასადამე, გადავიდეს ისეთ დარგში, სადაც იგი, ბატონი ვირხოვის აღიარებისა არ იყოს, ისეთივე «ნახევარმცოდნეა», როგორც სხვები. იმედია, სპეციალისტები ისეთსავე შემწყნარებლობას გამოიჩენენ ჩემი გადმოცემის მცირედი არასიზუსტისა და უმწეობისადმი, როგორსაც ერთმანეთის მიმართ იჩენენ.

როცა ამ წინასიტყვაობას ვამთავრებდი, თვალში მომხვდა ბატონი დიურინგის მიერ შედგენილი განცხადება წიგნის გამომცემლობისა ბატონი დიურინგის ახალი «სახელმძღვანელო» ნაწარმოების შესახებ: «Neue Grundgesetze zur rationellen Physik und Chemie»[1]. თუმცა მე კარგად მესმის ჩემი ცოდნის არასაკმარისობა ფიზიკის და ქიმიის დარგში, მაგრამ მგონია, რომ საკმაოდ ვიცნობ ბატონ დიურინგს და ამიტომ თვით ამ ზემოხსენებული თხზულების უნახავადაც შემიძლია წინასწარ ვთქვა, რომ იქ დადგენილი «კანონები» ფიზიკისა და ქიმიისა თავისი შემცდარობისა თუ ტრივიალობის მხრივ ღირსეულ ადგილს დაიჭერს ბატონი დიურინგის მიერ წინათ აღმოჩენილი და ჩემს თხზულებაში გარჩეული კანონების გვერდით, რომლებიც პოლიტიკურ ეკონომიას, მსოფლიო სქემატიკას და სხვ. ეხებიან, ხოლო ბატონი დიურინგის მიერ კონსტრუირებული «რიგომეტრი» ანუ მეტად დაბალი ტემპერატურების გასაზომი ხელსაწყო გამოდგება არა მაღალი და დაბალი ტემპერატურების გამოსარკვევად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბატონი დიურინგის უმეცარი თავხედობის გასაზომად.

ლონდონი, 11 ივნისი 1878 წ.

II

ჩემთვის მოულოდნელი ამბავი იყო, რომ ეს თხზულება ახალი გამოცემით უნდა გამოვიდეს. საგანი, რომელსაც იგი აკრიტიკებს, დღეს თითქმის უკვე დავიწყებულია; იგი არა მარტო ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდა ლაიპციგის «Vorwärts»-ში 1877 და 1878 წლებში და ხელმისაწვდომი გახდა მრავალი ათასი მკითხველისათვის, არამედ ცალკე წიგნადაც გამოვიდა მრავალ ცალად. როგორ შეიძლება კიდევ ვინმეს აინტერესებდეს, რას ვამბობდი რამდენიმე წლის წინათ ბატონი დიურინგის შესახებ?

უწინარეს ყოვლისა ამ ამბავს იმ გარემოებას უნდა ვუმადლოდე, რომ ეს თხზულება, ისევე როგორც თითქმის ყველა ჩემი მა-

[1] «ახალი ძირითადი კანონები რაციონალური ფიზიკისა და ქიმიისათვის». რ ე დ.

შინ ჯერ კიდევ ხმარებაში მყოფი თხზულებანი, სოციალისტების საწინააღმდეგო საგანგებო კანონის გამოცემისთანავე აკრძალულ იქნა გერმანიის იმპერიაში. ვინც საღმრთო კავშირის ქვეყნების მემკვიდრეობითი ბიუროკრატიულ ცრუმორწმუნეობაში არ იყო ჩაფლული, მისთვის ამ ღონისძიების შედეგი ნათელი უნდა ყოფილიყო: აკრძალული წიგნების გაორკეცებული და გასამკეცებული გასაღება, იმ ბერლინელი ვაჟბატონების უილაჯობის გამომჟღავნება, რომელნიც განკარგულებებს სცემენ, მაგრამ არ შეუძლიათ მათი გატარება. მართლაც, საიმპერიო მთავრობის თავაზიანობა ჩემი პატარა ნაწერების მეტს ახალ გამოცემებს მაკისრებს, ვიდრე შემიძლია ავიტანო; მე დრო არ მაქვს ტექსტს სათანადოდ გადავხედო და უმრავლეს შემთხვევაში იძულებული ვარ იგი უბრალოდ გადავაბეჭდვინო.

ამას კიდევ ერთი გარემოება ემატება. აქ კრიტიკულად განხილული «სისტემა» ბატონი დიურინგისა მეტად ფართო თეორიულ ასპარეზს მოიცავს; მე იძულებული ვიყავი ყველგან კვალდაკვალ გავყოლოდი მას და მისი შეხედულებებისთვის ჩემი შეხედულებანი დამეპირდაპირებინა. ამრიგად ნეგატიური კრიტიკა პოზიტიურად იქცა; პოლემიკა გადაიქცა მარქსის და ჩემს მიერ წარმოდგენილი დიალექტიკური მეთოდისა და კომუნისტური მსოფლმხედველობის მეტნაკლებ დალაგებულ გადმოცემად, ისეთ გადმოცემად, რომელიც ამასთან ერთად ცოდნის საკმაოდ მრავალ დარგს მოიცავს. ამ ჩვენმა მსოფლმხედველობამ, მას შემდეგ, რაც იგი პირველად მარქსის «Misère de la Philosophie»-სა[1] და «კომუნისტურ მანიფესტში» გამოქვეყნდა, ოც წელზე მეტი საინკუბაციო პერიოდი განვლო, ბოლოს «კაპიტალის» გამოსვლის დღიდან მზარდი სისწრაფით მოედო სულ უფრო ფართო წრეებს, ხოლო დღეს ევროპის საზღვრებს იქითაც ყურადღებას და მომხრეებს იპყრობს ყველა ქვეყანაში, სადაც, ერთი მხრივ, პროლეტარები არსებობენ, ხოლო მეორე მხრივ, შეუპოვარი მეცნიერი თეორეტიკოსები. ამრიგად, როგორც ეტყობა, არსებობს საზოგადოება, რომლის ინტერესი საქმისადმი იმდენად დიდია, რომ ამ თხზულების პოზიტიური ნაწილის გულისთვის მზადაა შეურიგდეს დიურინგის დებულებათა წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკას, რომელიც დღეს მრავალ მხრივ უსაგნო გახდა.

---

[1] «ფილოსოფიის სიღატაკე». რ ე დ.

გაკვრით შევნიშნავ: რადგან აქ გადმოცემული მსოფლმხედველობა უმეტეს წილად მარქსის მიერაა დაფუძნებული და განვითარებული, ხოლო ჩემს მიერ ფრიად მცირე ნაწილი, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ეს ჩემი წიგნი მის შეუტყობინებლად ვერ გამოვიდოდა. მე მას მთელი ხელნაწერი წავუკითხე დაბეჭდვამდე, ხოლო მთელი მე-10 თავი იმ განყოფილებისა, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიას ეხება («კრიტიკული ისტორიიდან»), მარქსის მიერაა დაწერილი, მხოლოდ მე მომიხდა, სამწუხაროდ, მისი ოდნავ შემოკლება გარეშე მოსაზრებათა გამო. ჩვენ იმთავითვე ჩვეულებად გვქონდა ერთმანეთისთვის დახმარება გაგვეწია სპეციალურ დარგებში.

ერთი თავის გამოკლებით ეს ახალი გამოცემა წინანდელის უცვლელ გადმონაბეჭდს წარმოადგენს. ერთი მხრივ, მე დრო არ მქონდა, რათა ეს წიგნი საფუძვლიანად გადამეხედა, თუმცა ძლიერ კი მინდოდა ზოგი რამ შემეცვალა გადმოცემაში. მაგრამ მე ვალად მაწევს დასაბეჭდად მოვამზადო მარქსის მიერ დატოვებული ხელნაწერები, ეს კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე ყოველივე სხვა რამ. გარდა ამისა, ჩემი სინდისი ეწინააღმდეგება ტექსტის ყოველგვარ შეცვლას. ეს ნაწარმოები პოლემიკური ნაწარმოებია, და, მე მგონია, ჩემი მოწინააღმდეგის მიმართ ვალდებული ვარ ჩემი მხრითაც არაფერი გავასწორო იქ, სადაც მასაც არაფრის გასწორება არ შეუძლია. მე მხოლოდ შემეძლო პრეტენზია წამომეყენებინა, რათა უფლება მქონოდა პასუხი გამეცა დიურინგის შეპასუხებისთვის. მაგრამ მე არ წამიკითხავს და, თუ განსაკუთრებული საბაბი არ მომეცა, არც წავიკითხავ იმას, რაც ბატონმა დიურინგმა დაწერა ჩემი თავდასხმის შესახებ; თეორიულად მე ანგარიში გასწორებული მაქვს მასთან. გარდა ამისა, მე მის მიმართ მით უფრო უნდა დავიცვა ლიტერატურული ბრძოლის წესები, რომ ჩემი წიგნის გამოცემის შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტი სამარცხვინო უსამართლობით მოეპყრო მას. მართალია, ეს უნივერსიტეტი ამისთვის საკმარისად დასჯილ იქნა. უნივერსიტეტს, რომელიც კადრულობს და ბატონ დიურინგს ყველასთვის ცნობილ პირობებში სწავლების თავისუფლებას ართმევს, არ უნდა გაუკვირდეს, თუ ასევე ცნობილ პირობებში მას თავს მოახვევენ ბატონ შვენინგერს.

ერთადერთი თავი, სადაც ჩემს თავს ნება მივეცი ახსნა-განმარტებანი დამემატებინა, მესამე განყოფილების მეორე თავია: «თეორიის მიმოხილვა». აქ, სადაც საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მიერ

წარმოდგენილი შეხედულების ძირითადი ბირთვის გადმოცემაზე, ჩემი მოწინააღმდეგე ვერ მისაყვედურებს, თუ მე შევეცადე პოპულარულად მელაპარაკნა და ზოგი რამ დამემატებინა მეტი კავშირისა და მთლიანობისათვის. ამისთვის გარეგანი საბაბიც მქონდა. ამ თხზულების სამი თავი («შესავლის» პირველი თავი და მესამე განყოფილების პირველი და მეორე თავები) მე დამოუკიდებელ ბროშურად გადავაკეთე ჩემი მეგობარი ლაფარგისთვის, ფრანგულ ენაზე სათარგმნელად, და როცა ფრანგული გამოცემა საფუძვლად დაედო იტალიურ და პოლონურ გამოცემებს, ეს ბროშურა გერმანულადაც გამოვეცი შემდეგი სათაურით: «Die Entwicklung des Sozialismus von der Utopie zur Wissenschaft»[1]. ეს უკანასკნელი სამჯერ გამოვიდა რამდენიმე თვის განმავლობაში და რუსული და დანიური თარგმანიც გამოქვეყნდა. ყველა ამ გამოცემაში დამატებანი მხოლოდ ზემოაღნიშნულმა თავმა მიიღო, და პედანტობა იქნებოდა, მე რომ ორიგინალური თხზულების ახალ გამოცემაში ზუსტად პირვანდელი ტექსტით შემებოჭა თავი მას შემდეგ, რაც არსებობს მისი შემდეგი დროის ტექსტი, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა.

გარდა ამისა, მე კიდევ უმთავრესად ორი პუნქტის შეცვლა მსურდა. ერთი ეხება კაცობრიობის პირველყოფილ ისტორიას, რომლის გასაღები მორგანმა მოგვცა პირველად მხოლოდ 1877 წელს. მაგრამ რადგან ამ ხნის განმავლობაში შესაძლებლობა მომეცა ჩემთვის ხელმისაწვდომი მასალა დამემუშავებინა ჩემს წიგნში «ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა» (ციურიხი, 1884), საკმაოდ მიმაჩნია ამ უფრო გვიან გამოსულ წიგნზე მითითება.

მეორეც, მინდოდა შემეცვალა ის ნაწილი, რომელიც თეორიულ ბუნებისმეცნიერებას შეეხება. აქ ჩემი გადმოცემა დიდად უმწეოა და ბევრი რამე დღეს შეიძლებოდა ბევრად უფრო ნათლად და გარკვეულად გამომეთქვა. თუ მე უფლება არ მაქვს აქ რაიმე გაუმჯობესება შევიტანო, სწორედ ამიტომ ვალდებული ვარ აქ თვით ჩემი თავი გავაკრიტიკო.

მარქსი და მე თითქმის ერთადერთი ადამიანები ვიყავით, რომლებმაც გერმანული იდეალისტური ფილოსოფიიდან შეგნებული დიალექტიკა გადავარჩინეთ და ბუნებისა და ისტორიის მატერიალისტურ გაგებაში გადავიტანეთ. მაგრამ ბუნების დიალექტიკური

[1] «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ». რ ე დ.

და ამასთანავე მატერიალისტური გაგებისათვის მათემატიკისა და ბუნებისმეცნიერების ცოდნაა საჭირო. მარქსმა მათემატიკა საფუძვლიანად იცოდა, მაგრამ ბუნებისმეცნიერებისათვის ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, სპორადულად შეგვეძლო თვალყურის დევნება. ამიტომ როცა მე სავაჭრო კანტორის თავის დანებებისა და ლონდონში გადასახლების წყალობით დრო ვიშოვე, ლიბიხის სიტყვებით რომ ვთქვათ, სრული მათემატიკური და ბუნებისმეცნიერების «ფერის ცვლის» პროცესი განვლე და ამას რვა წლის საუკეთესო ნაწილი მოვანდომე. მე სწორედ ამ ფერის ცვლის შუაგულ პროცესში ვიმყოფებოდი, როცა შემთხვევა მომეცა ბატონ დიურინგის ეგრეთწოდებული ნატურფილოსოფიისთვის მიმეცა ხელი. თუ ამიტომ ხანდახან სწორ ტექნიკურ გამოთქმას ვერ ვპოულობ და თეორიული ბუნებისმეცნიერების ასპარეზზე ცოტა არ იყოს მძიმედ ვმოძრაობ, ეს სრულიად ბუნებრივია. მეორე მხრივ, ჩემი ჯერ კიდევ გადაულახავი დაურწმუნებლობის შეგრძნებამ ფრთხილი გამხადა; ვერავინ დამიმტკიცებს, რომ ნამდვილად დამემახინჯებინოს იმ დროს ცნობილი ფაქტები ან უმართებულოდ გადმომეცეს იმ დროს აღიარებული თეორიები. ამ მხრივ მხოლოდ ერთმა დიდმა, მაგრამ აღიარებას მოკლეებულმა მათემატიკოსმა მარქსს შესჩივლა წერილობით, ენგელსმა მკრეხელობა ჩაიდინა და შეურაცხყო $\sqrt{-1}$ პატივიო.

თავისთავად იგულისხმება, რომ, როცა მე მათემატიკისა და ბუნებისმეცნიერების დარგში ჩემი მუშაობის შედეგებს ვაჯამებდი, საქმე იმას ეხებოდა, დეტალებშიც დავრწმუნებულიყავი (ზოგადის მიმართ მე ამაში არასოდეს ეჭვი არ მქონია), რომ ბუნებაში ურიცხვ ცვლილებათა ქაოსში იგივე დიალექტიკური მოძრაობის კანონები მეღავნდება, რომლებიც ისტორიაშიც მოვლენათა მოჩვენებითს შემთხვევითობას განაგებენ; ეს იგივე კანონებია, რომლებიც ადამიანის აზროვნების განვითარების ისტორიაშიც წითელი ზოლივით გადიან და თანდათან მოაზროვნე ადამიანების ცნობიერებამდე აღწევენ; ეს კანონები პირველად ჰეგელმა განავითარა ყოვლისშემცველ, მაგრამ მისტიფიცირებულ ფორმაში, და ერთ-ერთ ჩვენს მისწრაფებას წარმოადგენდა მათი განთავისუფლება ამ მისტიკური ფორმიდან და ნათლად შეგნება მთელი მათი სიმარტივითა და საყოველთაო მნიშვნელობით. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებოდით ძველი ნატურფილოსოფიით, რაოდენ მართლაც კარგსა და რაოდენ ნაყოფიერ

თესლსაც უნდა შეიცავდეს იგი[1]. როგორც ამ თხზულებაში დაწვრილებით გამორკვეულია, ნატურფილოსოფიის შეცდომა, განსაკუთრებით მისი ჰეგელისეული ფორმით, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ბუნებას მიაწერდა არა გახვითარებას დროში, არა «თანმიმდევრობას», არამედ მხოლოდ «ერთიმეორის გვერდით ყოფნას». ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ჩამარხული იყო თვით ჰეგელის სისტე-

[1] ბევრად უფრო ადვილია კარლ ფოგტისებური უაზრო სიბრიყვით ძველი ნატურფილოსოფიის გალანძღვა, ვიდრე მისი ისტორიული მნიშვნელობის დფასება. ნატურფილოსოფია ბევრ უაზრობასა და ფანტასტიკას შეიცავს, მაგრამ არა იმაზე მეტს, რასაც ემპირიკოს ბუნებისმკვლევართა იმავდროული არაფილოსოფიური თეორიები, ხოლო მასში რომ ბევრი აზრი და გონიერებაა, ეს ახლა თვალსაჩინო ხდება განვითარების თეორიის გავრცელების შემდეგ. ჰეგელმა სრულიად სამართლიანად აღიარა ტრევირანუსის და ოკენის დამსახურებანი. ოკენი თავის პირველყოფილ ლორწოსა და პირველყოფილ ბუშტში ბიოლოგიის პოსტულატად გვიდგენს იმას, რაც შემდეგ მართლაც აღმოჩენილ იქნა პროტოპლაზმისა და უჯრედის სახით. რაც სპეციალურად ჰეგელს შეეხება, იგი მრავალ მხრივ მაღლა დგას თავის ემპირიკოს თანამედროვეებზე, რომელთაც ეგონათ, რომ ყველა აუხსნელ მოვლენებს ხსნიდნენ, რაკი მათ ქვეშ რაიმე ძალას — სიმძიმის ძალას, ცურვის ძალას, ელექტრული კონტაქტის ძალას და სხვ. იგულისხმებდნენ — ან სადაც ეს არ ხერხდებოდა, ერთ-ერთ უცნობ ნივთიერებას მიმართავდნენ, სინათლის, სითბოს, ელექტრობის ნივთიერებას და სხვ.. წარმოსახვითი ნივთიერებანი დღეს თითქმის უარყოფილია, მაგრამ ძალებით სპეკულაცია, რომელსაც ჰეგელი ებრძოდა, გასართობ მოჩვენებასავით ჯერ კიდევ თავს იჩენს, მაგ., ჰელმჰოლცის მიერ 1869 წელს ინსბრუკში წარმოთქმულ სიტყვაში (**Helmholtz, Populäre Vorlesungen, II. Heft, 1871, გვ. 190**) [ჰელმჰოლცი, პოპულარული ლექციები, 2-რე რვეული, 1871, გვ. 190. რ ე დ.]. წინააღმდეგ XVIII საუკუნის ფრანგებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ნიუტონის გაღმერთებისა, რომელიც ინგლისს დიდ პატივსა და სიმდიდრეში ჰყავდა, ჰეგელმა აღნიშნა, რომ სამყაროს სხეულთა თანამედროვე მექანიკის ნამდვილი დამფუძნებელი კეპლერია, რომელიც გერმანიამ შიმშილით მოკლა და რომ ნიუტონის მიზიდულობის კანონი უკვე კეპლერის სამივე კანონშია მოთავსებული, ხოლო მესამეში იგი ნათლად გამოთქმულია. რასაც ჰეგელი თავის «**Naturphilosophie**»-ში [«ბუნების ფილოსოფიაში» რ ე დ.] § 270 და დამატებებში (**Hegels Werke, 1842, VII. Band, S. 98, u. 113 — 115**) [ჰეგელის თხზულებანი, 1842, ტ. VII, გვ. 98 და 113 — 115. რ ე დ.] ორიოდე მარტივი განტოლებით ამტკიცებს, ჩვენ კვლავ გვხვდება უახლესი მათემატიკური მექანიკის შედეგის სახით გუსტავ კირხჰოფის თხზულებაში («**Vorlesungen über mathematische Physik**», **2 Auflage, Leipzig, 1877, S. 10**) [«ლექციები მათემატიკური ფიზიკის შესახებ», გამოც. 2. ლაიპციგი, 1877, გვ. 10. რ ე დ.] და არსებითად იმავე, ჰეგელის მიერ პირველად გამოთქმული, მარტივი, მათემატიკური ფორმით. ნატურფილოსოფოსებს ისეთივე დამოკიდებულება აქვთ შეგნებულ-დიალექტიკურ ბუნებისმეცნიერებასთან, როგორი დამოკიდებულებაც აქვთ უტოპისტებს თანამედროვე კომუნიზმთან. [ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა].

ზაში, რომელიც მხოლოდ «სულს» მიაწერდა პროგრესულ ისტორიულ განვითარებას, ხოლო, მეორე მარივ, ბუნებისმეცნიერების იმდროინდელ საერთო მდგომარეობაში. ამრიგად, აქ ჰეგელი დიდად ჩამოორჩა კანტს, რომლის ნისლოვანებათა თეორია გულისხმობდა, მზის სისტემას დასაბამი აქვსო, და რომელმაც თავისი იმ აღმოჩენით, რომ ზღვის ტალღების მიმოქცევის გამო ხდება დედამიწის ტრიალის შეფერხება, აღიარა მზის სისტემას აუცილებელი დაღუპვა მოელისო. ბოლოს, ჩემი ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ბუნებაში გარედან შემეტანა დიალექტიკური კანონები, არამედ იმაში, რომ ისინი მასში აღმომეჩინა და მისგან განმევითარებინა.

მაგრამ ამის შესრულება სისტემატური კავშირის სახით და ყოველ ცალკე დარგში უზარმაზარ შრომას მოითხოვს. არა მარტო იმიტომ, რომ დასაპყრობი ასპარეზი თითქმის უსაზღვროა, არამედ, იმიტომაც, რომ ამ საერთო ასპარეზზე თვით ბუნებისმეცნიერება ისეთ ძლიერ გარდაქმნის პროცესს განიცდის, რომ მისთვის თვალყურის დევნება გაუჭირდება იმასაც კი, ვისაც შეუძლია ამას მთელი თავისი დრო მოახმაროს. კარლ მარქსის სიკვდილის შემდეგ კი ჩემი დრო უფრო გადაუდებელი ვალდებულებებით იყო დაკავებული და ამიტომ მე იძულებული ვიყავი ჩემი მუშაობა შემეწყვიტა ბუნებისმეცნიერების დარგში. ჯერჯერობით იძულებული ვარ ამ შრომაში მოცემული შენიშვნებით დავკმაყოფილდე და დავიცადო სანამ შემთხვევა მომეცემოდეს, რომ მიღწეული შედეგები შევაგროვო და გამოვცე, შეიძლება მარქსის მიერ დატოვებულ მეტად მნიშვნელოვან მათემატიკურ ხელნაწერებთან ერთად.

მაგრამ შეიძლება თეორიული ბუნებისმეცნიერების წინსვლამ ჩემი შრომა უმეტეს ნაწილად ან სავსებით ზედმეტი გახადოს, იმიტომ რომ რევოლუცია. რომელსაც თეორიული ბუნებისმეცნიერება ძალაუნებურად განიცდის იმ უბრალო აუცილებლობის გამო, რომ მან უნდა დაალაგოს მასობრივად დაგროვებული წმინდა ემპირიული აღმოჩენანი, ისეთი სახისაა, რომ იგი ბუნების მოვლენათა დიალექტიკურ ხასიათს თანდათან უფრო გასაგებად ხდის თვით ყველაზე ჯიუტი ემპირიკოსისათვისაც. თანდათან ჰქრება ძველი გაქვავებული წინააღმდეგობანი, მკვეთრი, გადაულახავი. გამმიჯნავი ხაზები. მას შემდეგ, რაც მოხერხდა უკანასკნელი «ქეშმარიტი» აირების გადაყვანა სითხის მდგომარეობაში, მას შემდეგ, რაც დამტკიცდა, რომ სხეული შეიძლება ისეთ მდგომარეობაში გადავიდეს, რომელშიც წვეთობრივი და აირისებური ფორმა ერთმანეთისაგან არ განირჩევა, აგრეგატულმა მდგომარეობებმა დაკარგეს თავიანთი წინანდელი აბსოლუტური ხასიათის უკანასკნელი

ნაშთი. როდესაც აირების კინეტიკურმა თეორიამ დაადგინა, რომ სრულქმნილ აირებში იმ სიჩქარეთა კვადრატები, რითაც ცალკეული აირის მოლეკულები მოძრაობენ, თანაბარი ტემპერატურის დროს მოლეკულური წონის უკუპროპორციულია, სითბოც პირდაპირ გადავიდა მოძრაობათა ისეთი ფორმების რიგში, რომელნიც უშუალოდ როგორც ასეთნი განიზომებიან. თუ ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ მოძრაობის ახლად აღმოჩენილი დიდი ძირითადი კანონი ისე ესმოდათ როგორც ენერგიის შ ე ნ ა ხ ვ ი ს უბრალო კანონი, როგორც მოძრაობის მოუსპობლობის და შეუქმნელობის უბრალო გამოხატულება, მაშასადამე, მხოლოდ მისი რაოდენობრივი მხრით, ახლა ამ ვიწრო, უარყოფით გამოხატულებას თანდათან აძევებს ენერგიის გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს, დადებითი გამოხატულება, სადაც პროცესის თვისებრივი შინაარსი პირველად მოიპოვებს თავის უფლებებს და სადაც წაშლილია უკანასკნელი მოგონება სამყაროს გარეშე შემოქმედზე. დღეს საჭირო აღარაა იმის ქადაგება როგორც ახალი რამისა, რომ მოძრაობის (ეგრეთწოდებული ენერგიის) რაოდენობა არ იცვლება, თუ იგი კინეტიკური ენერგიიდან (ეგრეთწოდებული მექანიკური ძალიდან) გარდაიქმნება ელექტრობად, სითბოდ, მდგომარეობის პოტენციურ ენერგიად და ა. შ., და პირიქით; იგი წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოპოვებულ საფუძველს გარდაქმნის თვითონ პროცესის ამიერიდან ბევრად უფრო შინაარსიანი გამოკვლევისა, იმ დიდი ძირითადი პროცესისა, რომლის შემეცნებაში შეჯამდება ბუნების მთელი შემეცნება. ხოლო მას შემდეგ, რაც ბიოლოგიას ევოლუციის თეორიის თვალსაზრისით ამუშავებენ, ორგანული ბუნების ასპარეზზე კლასიფიკაციის გაქვავებული გამმიჯნავი ზღუდეები ერთიმეორეზე მიყოლებით მოიშალა; კლასიფიკაციას თითქმის დაუქვემდებარებელი შუალედი რგოლები მატულობს დღითიდღე, უფრო ზედმიწევნითი გამოკვლევა ორგანიზმებს ერთი კლასიდან მეორეში ისვრის და თითქმის სარწმუნოების სიმბოლოდ გადაქცეული გამასხვავებელი ნიშნები კარგავენ თავიანთ უცილობელ მნიშვნელობას; ჩვენ ახლა ვიცით კვერცხის მდებელი ძუძუმწოვარნი და, თუ ცნობა გამართლდა, ფრინველებიც, რომელნიც ოთხ ფეხზე დადიან. თუ რამდენიმე წლის წინათ ვირხოვი იძულებული იყო უჯრედის აღმოჩენის გამო ცხოველთა ინდივიდუუმის ერთიანობა დაეშალნა უჯრედთა სახელმწიფოების ფედერაციად, — რასაც უფრო პროგრე-

სისტული[1] ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ბუნებისმეცნიერული და დიალექტიკური,—ცხოველური (და, მაშასადამე, აგრეთვე ადამიანური) ინდივიდუალობის ცნება კიდევ უფრო რთული ხდება სისხლის იმ თეთრი უჯრედების აღმოჩენით, რომელნიც უმაღლესი ცხოველების სხეულში მოძრაობენ ამებათა მსგავსად. მაგრამ ეს სწორედ ის შეურიგებელი და გადაუჭრელი სახით წარმოდგენილი პოლარული დაპირისპირებანია, ძალდატანებით ფიქსირებული გამმიჯნავი ხაზები და კლასთა განმასხვავებელი ნიშნებია, რომელთაც თანამედროვე თეორიულ ბუნებისმეცნიერებას მისი შეზღუდულ-მეტაფიზიკური ხასიათი მისცეს. ბუნების დიალექტიკური გაგების ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს იმ ჭეშმარიტების აღიარება, რომ მართალია ეს დაპირისპირებანი და განსხვავებანი ბუნებაში არსებობენ, მაგრამ მათ მხოლოდ შეფარდებითი მნიშვნელობა აქვთ, რომ, პირიქით, მათი წარმოსახვითი უძრაობა და აბსოლუტური მნიშვნელობა მხოლოდ ჩვენი რეფლექსიის მიერაა შეტანილი ბუნებაში. ადამიანმა შეიძლება დიალექტიკურ გაგებას მიაღწიოს, როცა ამას აიძულებს ბუნებისმეცნიერების მიერ მრავლად დაგროვილი ფაქტები; იგი ამას უფრო ადვილად აღწევს, როცა ამ ფაქტების დიალექტიკურ ხასიათს დიალექტიკური აზროვნების კანონების შეგნებას ახვედრებს. ყოველ შემთხვევაში ბუნებისმეცნიერებამ იმდენად წინ წაიწია, რომ ვეღარ გაექცევა დიალექტიკურ განზოგადოებას. მაგრამ იგი ამ პროცესს გაიადვილებს, თუ არ დაივიწყებს, რომ შედეგები, რომელშიც იგი თავისი ცდის მონაცემებს აზოგადებს, ცნებებია; ხოლო ხელოვნება ცნებათა მოხმარებისა არაა თანდაყოლილი და არც ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცნობიერებასთან ერთადაა მოცემული, არამედ ნამდვილ აზროვნებას მოითხოვს, ამ აზროვნებას კი ხანგრძლივი ემპირიული ისტორია აქვს, არც მეტი და არც ნაკლები, ისეთივე ხანგრძლივი, რაც ემპირიულ ბუნების კვლევას. სწორედ იმიტომ, რომ ბუნებისმეცნიერება ითვისებს ფილოსოფიის ორიათასხუთასი წლის განვითარების შედეგებს, იგი, ერთი მხრივ, განთავისუფლდება ყოველივე განსაკუთრებული, მის გარეშე და მასზე მაღლა მდგომი ნატურფილოსოფიისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი საკუთარი, ინგლისური ემპირიზმიდან მიღებული, აზროვნების შეზღუდული მეთოდისაგან.

ლონდონი, 23 სექტემბერი 1885 წ.

---

[1] გადაკრული შენიშვნა იმ გარემოებაზე, რომ ვირხოვი ეკუთვნოდა ლიბერალურ «პროგრესისტულ» პარტიას. რ ე დ.

III

ეს ახალი გამოცემა, ზოგიერთი მეტად უმნიშვნელო სტილისტური ცვლილებების გამოკლებით, წინანდელის გადმონაბეჭდს წარმოადგენს. მხოლოდ ერთს, სახელდობრ, მეორე განყოფილების მეათე თავში («კრიტიკული ისტორიიდან») მე ჩემ თავს ნება მივეცი არსებითი დამატებანი შემეტანა და ეს შემდეგი მოსაზრებებით მოვახდინე.

როგორც უკვე მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში აღვნიშნე, ყოველივე არსებითი ამ თავში მარქსს ეკუთვნის. თავდაპირველად, როცა ეს ნაწარმოები ჟურნალში დასაბეჭდად იყო განზრახული, მე იძულებული ვიყავი მარქსის ხელნაწერი შესამჩნევად შემემოკლებინა, განსაკუთრებით სწორედ იმ ნაწილებში, სადაც დიურინგის დებულებათა კრიტიკა უფრო უკანა რიგში დგება პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის დარგში მარქსის საკუთარ დამოუკიდებელ შეხედულებათა გადმოცემასთან შედარებით. მაგრამ სწორედ ხელნაწერის ეს ნაწილი დღესაც უდიდეს და წარუშლელ ინტერესს წარმოადგენს. მე ჩემ თავს ვალდებულად ვთვლი, რაც შეიძლება სრულად და სიტყვასიტყვით გადმოვცე ის მსჯელობანი, სადაც მარქსი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობაში შესაფერ ადგილს მიუჩენს ისეთ ადამიანებს, როგორიც არიან პეტი, ნორთი, ლოკი და იუმი; კიდევ უფრო აუცილებლად მიმაჩნია მოვიყვანო მარქსის მიერ მოცემული ახსნა კენეს «ეკონომიკური ცხრილისა», რომელიც სფინქსის აუხსნელ ამოცანად დარჩა მთელი თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიისათვის. პირიქით, რაც მხოლოდ ბატონ დიურინგის ნაწერებს ეხებოდა, მე გამოვტოვე, რამდენადაც ეს მთლიან კავშირს არ არღვევდა.

სხვაფრივ კი მე შემიძლია საესებით კმაყოფილი ვიყო იმ გარემოებით, რომ ამ ნაწარმოებში წარმოდგენილი შეხედულებები უკანასკნელი გამოცემის შემდეგ ასე გავრცელდა როგორც მეცნიერთა, ისე მუშათა კლასის საზოგადოებრივ შეგნებაში და ისიც მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

ფ. ენგელსი

ლონდონი, 23 მაისი 1894 წ.

შესავალი

1

ზოგადი შენიშვნები

თანამედროვე სოციალიზმი თავისი შინაარსით უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს შედეგს დაკვირვებისა, ერთი მხრივ, თანამედროვე საზოგადოებაში მქონებელთა და არამქონებელთა, დაქირავებულ მუშებსა და ბურჟუებს შორის გაბატონებულ კლასობრივ დაპირისპირებებზე, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოებაში გაბატონებულ ანარქიაზე. მაგრამ თავისი თეორიული ფორმის მიხედვით იგი თავდაპირველად გვევლინება როგორც XVIII საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებლების მიერ წამოყენებული პრინციპების შემდგომი, თითქოს უფრო თანმიმდევარი განვითარება[1]. როგორც ყოველი ახალი თეორია, სოციალიზმიც უწინარეს ყოვლისა მანამდე დაგროვებულ იდეურ მასალას უნდა დაყრდნობოდა, თუმცა მისი ფესვები [მატერიალურ] ეკონომიურ ფაქტებში იყო გადგმული.

დიდი ადამიანები, რომელთაც საფრანგეთში ადამიანთა თავები გაანათლეს მოახლოებული რევოლუციისათვის, თვითონაც უკიდურეს რევოლუციონერებად გამოდიოდნენ. ისინი არავითარ გარე-

---

[1] «შესავალის» შავ მონასახში ეს სტრიქონები შემდეგი რედაქციით იყო მოცემული: «თუმცა თანამედროვე სოციალიზმი არსებითად მქონებელთა და არამქონებელთა, მუშებსა და ექსპლოატატორებს შორის საზოგადოებაში არსებული კლასობრივი დაპირისპირებების დაკვირვებიდან წარმოიშვა, მაგრამ თავისი თეორიული ფორმით თავიდან იგი გვევლინება როგორც XVIII საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებლების მიერ წამოყენებული პრინციპების შემდგომი, უფრო თანმიმდევრული განვითარება,—სოციალიზმის პირველი წარმომადგენლები, მორელი და მაბლი, ხომ აგრეთვე განმანათლებელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ». რედ.

გან ავტორიტეტს არ ცნობდნენ, რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი. რელიგია, შეხედულება ბუნებაზე, საზოგადოება, სახელმწიფოებრივი წყობილება, ყოველივე ეს უაღრესად შეუბრალებელ კრიტიკას დაექვემდებარა; ყოველივე ამას თავისი არსებობა უნდა გაემართლებინა გონების სამსჯავროს წინაშე ან უარი ეთქვა თავის არსებობაზე. მოაზროვნე გონება ერთადერთ მასშტაბად იქცა, რომლითაც ყველაფერს ზომავდნენ. ეს იყო დრო, როცა, როგორც ჰეგელი ამბობს, სამყარო ყირამალა იქნა დაყენებული[1], უწინარეს ყოვლისა იმ აზრით, რომ ადამიანის თავი და მისი აზროვნებით აღმოჩენილი დებულებანი პრეტენზიას აცხადებდნენ, რათა ისინი ყოველივე ადამიანური მოქმედებისა და საზოგადოებრიობის საფუძვლად მიეჩნიათ; შემდეგ იმ ფართო აზრითაც, რომ სინამდვილე, რომელიც ამ დებულებებს ეწინააღმდეგებოდა, ფაქტიურად თავიდან ბოლომდე გადატრიალებულ იქნა. ყველა წინანდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფორმები, ყველა ტრადიციული წარმოდგენა გამოცხადებულ იქნა არაგონიერად და გადაყრილ იქნა როგორც ძველი ხარახურა; დღემდე ქვეყანას მხოლოდ ცრურწმენანი ხელმძღვანელობდნენ; ყოველივე წარსული მხოლოდ შებრალებისა და ზიზღის ღირსია. განთიადი მხოლოდ ახლა დაიწყო [დადგა გონების სუფევა], ამიერიდან ცრუმორწმუნეობამ, უსამართლობამ, პრივილეგიებმა და

[1] [აი რას ამბობს ჰეგელი საფრანგეთის რევოლუციაზე: «სამართლის იდეამ—მისმა ცნებამ—ერთბაშად მოიპოვა საყოველთაო აღიარება, უუფლებობის ძველ დასაყრდენთ არავითარი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ მისთვის. სამართლის იდეა საფუძვლად დაედო კონსტიტუციას, და ამიერიდან ყოველივე ამ საფუძველს უნდა დაყრდნობოდა. მას შემდეგ, რაც ცაზე მზე ანათებს და მის გარშემო პლანეტები ტრიალებენ, ჯერ არავის უნახავს, რომ ადამიანი თავით დამდგარიყო, ე. ი. აზრს დამყარებოდა, და მისი მიხედვით აეგო სინამდვილე. ანაქსაგორამ პირველმა თქვა, რომ Νûs, ე. ი. გონება განაგებს მსოფლიოსო, მაგრამ პირველად მხოლოდ ახლა მივიდა ადამიანი იმის აღიარებამდე, რომ აზრი უნდა მართავდეს სულიერ სინამდვილეს. ეს იყო მზის დიდებული ამოსვლა. ყველა მოაზროვნე არსება სიხარულით ეგებებოდა ახალი ეპოქის დადგომას. დიადი აღტაცება მბრძანებლობდა ამ დროს, და მთელი მსოფლიო გაიმსჭვალა სულის ენთუზიაზმით, თითქოს პირველად მოხდა ღვთაებრივი საწყისის შერიგება მსოფლიოსთან (Hegel, Philosophie der Geschichte, 1840, S. 535. (ჰეგელი, ისტორიის ფილოსოფია, 1840, გვ. 535. რედ.). განა დრო არ არის, ბოლოს, განსვენებული პროფესორის ჰეგელის ასეთი საშიში, საზოგადოებრივი საფუძვლების დამამხობელი მოძღვრების საწინააღმდეგოდ ამოქმედდეს კანონი სოციალისტების შესახებ?] [ენგელსის შენიშვნა.]

ჩაგვრამ ადგილი უნდა დაუთმოს სამარადისო ჭეშმარიტებას, სამარადისო სამართლიანობას, ბუნებაზე დაფუძნებულ თანასწორობას და განუსხვისებელ ადამიანურ უფლებებსო.

ჩვენ ახლა ვიცით, რომ გონების ეს სამეფო სხვა არა იყო რა, თუ არ ბურჟუაზიის გაიდეალებული სამეფო; რომ სამარადისო სამართლიანობამ თავისი განხორციელება ბურჟუაზიულ იუსტიციაში ჰპოვა; რომ თანასწორობა გადაიქცა ბურჟუაზიულ თანასწორობად კანონის წინაშე; რომ ბურჟუაზიული საკუთრება ერთ-ერთ ყველაზე არსებით ადამიანურ უფლებად იქნა გამოცხადებული; და რომ გონიერი სახელმწიფო, — რუსოს «საზოგადოებრივი ხელშეკრულება»,—განხორციელდა და იგი შეიძლებოდა განხორციელებულიყო როგორც ბურჟუაზიული, დემოკრატიული რესპუბლიკა. XVIII საუკუნის დიდ მოაზროვნეებს ისევე არ შეეძლოთ თავიანთი ეპოქის ჩარჩოებს გასცილებოდნენ, როგორც არ შეეძლოთ ეს ყველა მათ წინამორბედებს.

მაგრამ ფეოდალური თავადაზნაურობის და [იმ] ბურჟუაზიის დაპირისპირების გვერდით [რომელიც მთელი დანარჩენი საზოგადოების წარმომადგენლად გამოდიოდა] არსებობდა საერთო დაპირისპირება ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა, მდიდარ მუქთახორათა და მშრომელ ღატაკთა შორის. სწორედ ეს გარემოება იყო, რომელმაც ბურჟუაზიის წარმომადგენლებს შესაძლებლობა მისცა გამოსულიყვნენ არა როგორც ერთი განსაკუთრებული კლასის, არამედ როგორც მთელი ტანჯული კაცობრიობის წარმომადგენელნი. კიდევ მეტს ვიტყვით. წარმოშობიდანვე ბურჟუაზია თავის წიაღში თავის საკუთარ დაპირისპირებას ატარებდა: კაპიტალისტებს არ შეუძლიათ არსებობა დაქირავებული მუშების გარეშე, და იმდენად, რამდენადაც შუა საუკუნეების ამქარი მოქალაქე თანამედროვე ბურჟუად ვითარდებოდა, ქარგლები და საამქროს გარეშე მყოფი დღიური მუშები პროლეტარებად იქცეოდნენ. და თუმცა საერთოდ და მთლიანად ბურჟუაზიას შეეძლო პრეტენზია განეცხადებინა — თავადაზნაურობის საწინააღმდეგო ბრძოლაში აგრეთვე იმ დროის სხვადასხვა მშრომელი კლასების ინტერესების წარმომადგენელიც ვარო, მაინც ყოველი დიდი ბურჟუაზიული მოძრაობის დროს თავს იჩენდა ხოლმე იმ კლასის დამოუკიდებელი მღელვარებანი, რომელიც თანამედროვე პროლეტარიატის მეტად თუ ნაკლებად განვითარებული წინამორბედი იყო. ასეთი იყო [ანაბა-

პტისტების [1]] მოძრაობა და ტომას მიუნცერის მიმართულება [2] რეფორმაციისა და გლეხთა ომის დროს გერმანიაში; ლეველერების [3] მოძრაობა ინგლისის დიდი რევოლუციის დროს; ბაბეფის შეთქმულება საფრანგეთის დიდ რევოლუციაში. ამ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი კლასის რევოლუციურ შეიარაღებულ გამოსვლებთან ერთად შესატყვისი თეორიული მანიფესტაციებიც ხდებოდა; ასეთია XVI და XVII საუკუნეებში იდეალური საზოგადოებრივი მდგომარეობის უტოპიური გამოსახვა [4], XVIII საუკუნეში კი უკვე პირდაპირ კომუნისტური თეორიები (მორელი და მაბლი). თანასწორობის მოთხოვნა აღარ ისაზღვრებოდა პოლიტიკური უფლებების სფეროთი, იგი ცალკე პირთა საზოგადოებრივ მდგომარეობაზეც უნდა გავრცელებულიყო; უნდა მოსპობილიყო არა მარტო კლასობრივი პრივილეგიები, არამედ თვით კლასობრივი განსხვავებანიც. ახალი მოძღვრების პირველი გამოვლენის ფორმა ასკეტურად მკაცრი, [ცხოვრების ყოველი სიამოვნების აღმკვეთი] სპარტანული კომუნიზმი იყო. შემდეგ ასპარეზზე სამი დიდი უტოპისტი გამოვიდა: სენ-სიმონი, რომლის აზროვნებაში ბურჟუაზიულმა მიმართულებამ პროლეტარიულის გვერდით ერთგვარი ძალა კიდევ შეინარჩუნა; ფურიე და ოუენი, რომელმაც ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური წარმოების ქვეყანაში და ამ წარმოების მიერ შექმნილ დაპირისპირებულობათა შთაბეჭდილებით, სისტემატურად განავითარა თავისი წინადადებანი კლასობრივ განსხვავებათა მოსასპობად, და ამ მხრივ უშუალოდ ფრანგულ მატერიალიზმს დაუკავშირდა.

ამ სამ დიდ უტოპისტს ის აქვთ საერთო, რომ ისინი არ გამოდიოდნენ როგორც იმ დროს ისტორიულად შექმნილი პროლეტარიატის ინტერესთა წარმომადგენლები. განმანათლებელთა მსგავსად მათ სურდათ [პირველ ყოვლისა] არა განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასის, არამედ [ერთბაშად] მთელი კაცობრიობის განთავისუფლება. მათ მსგავსად ამათაც გონების და სამართლიანობის სა-

---

[1] ანაბაპტისტები (გარდანათლულნი)—რელიგიური სექტა XVI საუკუნის რეფორმაციის დროს. რ ე დ.

[2] ამ წინადადების ადგილას—[ასეთი იყვნენ გერმანიის რეფორმაციისა და გლეხთა ომის დროს ხელახლა მონათლულნი და ტომას მიუნცერი.]

[3] ლ ე ვ ე ლ ე რ ე ბ ი (სიტყვასიტყვითი თარგმანით—გ ა მ ა თ ა ნ ა ბ რ ე ბ ე ლ ნ ი) —სახელწოდება ქალაქისა და სოფლის პლებეურ ელემენტთა მოძრაობის წარმომადგენლებისა, რომლებიც 1648 წ. რევოლუციის დროს ინგლისში მეტისმეტად რადიკალურ დემოკრატიულ მოთხოვნებს აყენებდნენ. რ ე დ.

[4] ენგელსს მხედველობაში აქვს უტოპიური კომუნიზმის წარმომადგენლებისა—ტომას მორის (XVI ს.) და კამპანელას (XVII ს.) ნაწარმოებები. რ ე დ.

მეფოს დამყარება სურდათ; მაგრამ მათი სამეფო, როგორც ცა დედამიწისაგან, ისეა განსხვავებული ფრანგ განმანათლებელთა სამეფოსაგან.ამ განმანათლებელთა პრინციპების მიხედვით მოწყობილი ბურჟუაზიული მსოფლიოც უგუნური და უსამართლოა და ამიტომ ისიც სანაგვე ყუთში უნდა გადავისროლოთ ფეოდალიზმისა და ყველა წინანდელი საზოგადოებრივი წყობილების მსგავსადო. თუ ნამდვილი გონება და სამართლიანობა აქამდე ქვეყანაზე არ გაბატონებულა, ეს იმით აიხსნება, რომ ისინი აქამდე სწორად არ შეუცნიათო. გვაკლდა სწორედ გენიოსი ადამიანი, რომელიც ახლა გამოვიდა და რომელმაც ჭეშმარიტება შეიცნოო; ის რომ ახლა გამოვიდა და ჭეშმარიტება რომ სწორედ ახლა იქნა შეცნობილი, ეს ისტორიული განვითარების კავშირიდან აუცილებლად გამომდინარე, გარდაუვალ მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ უბრალო ბედნიერი შემთხვევაოო. ეს გენიალური ადამიანი ასევე კარგად შეიძლებოდა ხუთასი წლის წინათ დაბადებულიყო, და მაშინ კაცობრიობა გადარჩებოდა 500 წლის შეცდომებს, ბრძოლასა და ტანჯვასო.

ეს შეხედულება დამახასიათებელია ყველა ინგლისელი, ფრანგი და პირველი დროის გერმანელი სოციალისტებისათვის, ვაიტლინგის გამოუკლებლივ [1]. სოციალიზმი [ყველა მათთვის] აბსოლუტური ჭეშმარიტების, გონების და სამართლიანობის გამოხატულებაა და საჭიროა მხოლოდ მისი აღმოჩენა, რათა მან თავისი საკუთარი ძალით მსოფლიო დაიპყროსო; რადგან აბსოლუტური ჭეშმარიტება დამოუკიდებელია დროისა, სივრცისა და კაცობრიობის ისტორიული განვითარებისაგან, ამიტომ უბრალო შემთხვევაა—სად და როდის იქნება იგი აღმოჩენილიო. ამასთანავე აბსოლუტური ჭეშმარიტება, გონება და სამართლიანობა თვითეულ სკოლის დამაარსებელს სხვადასხვანაირად ესმის; და რადგან თვითეული მათგანისათვის აბსოლუტური ჭეშმარიტების, გონების და სამართლიანობის განსაკუთრებული სახე, თავის მხრივ, განსაზღვრულია ამა თუ იმ სკოლის დამაარსებლის სუბიექტიური გონებით, ცხოვრების პირობებით, ცოდნის მარაგითა და ახროვნების გაწვრთნის დონით, ამიტომ აბსოლუტურ ჭეშმა-

[1] წიგნში «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» ეს აზრი შემდეგი რედაქციით არის გადმოცემული: «უტოპისტების მსოფლმხედველობა ღიღხანს ბატონობდა XIX საუკუნის სოციალისტურ შეხედულებებზე და რამდენადმე იგი მასზე დღესაც ბატონობს. უკანასკნელ დრომდე მას ემხრობოდა ყველა ინგლისელი და ინგლისელი სოციალისტი და აგრეთვე ადრინდელი გერმანული კომუნიზმი, ვაიტლინგის გამოუკლებლივ». რ ე დ.

რიტებათა ამ კონფლიქტში შეუძლებელია სხვა გადაწყვეტა, გარდა მათი ურთიერთმორიგებისა. შეუძლებელი იყო აქედან სხვა რაიმე გამოსულიყო. გარდა ერთგვარი ეკლექტიკური საშუალო სოციალიზმისა, რომელიც დღემდე მართლაც გაბატონებულია საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტ მუშათა უმრავლესობის თავში; ეს ეკლექტიკური სოციალიზმი მრავალ ელფერს შეიცავს, იგი წარმოადგენს ნარევს რამდენიმე ნაკლებ თვალსაჩინო კრიტიკული შენიშვნისა, ეკონომიური დებულებისა და სექტის სხვადასხვა დამაარსებელთა წარმოდგენებისა მომავალი საზოგადოების შესახებ; ეს ნარევი მით უფრო ადვილად სდგება, რაც უფრო ბლაგვდება მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების წამახული კუთხეები კამათის მიმდინარეობაში, როგორც რგვალი კენჭები ნაკადულში. სოციალიზმი რომ მეცნიერებად გადაქცეულიყო, იგი, უწინარეს ყოვლისა, რეალურ ნიადაგზე უნდა დამდგარიყო.

ამასობაში, XVIII საუკუნის ფრანგული ფილოსოფიის გვერდით და მის შემდეგ, წარმოიშვა უახლესი გერმანული ფილოსოფია, რომელმაც თავისი დასრულება ჰეგელში ჰპოვა. მისი უდიდესი დამსახურება ის იყო, რომ იგი ხელახლა დაუბრუნდა დიალექტიკას როგორც აზროვნების უმაღლეს ფორმას. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ყველანი ბუნებით სტიქიური დიალექტიკოსები იყვნენ, და ყველაზე უნივერსალური თავის მქონე ადამიანმა მათ შორის — არისტოტელემ, უკვე დიალექტიკური აზროვნების ყველაზე არსებითი ფორმებიც გამოიკვლია[1]. პირიქით, თუმცა ახალ ფილოსოფიაში დიალექტიკას ბრწყინვალე წარმომადგენლები ჰყავდა (მაგ., დეკარტე და სპინოზა), ეს ფილოსოფია მაინც, განსაკუთრებით ინგლისური ფილოსოფიის გავლენის წყალობით, უფრო და უფრო ეგრეთწოდებულ მეტაფიზიკურ აზროვნებაში ჩაეფლო; თვით XVIII საუკუნის ფრანგები, ყოველ შემთხვევაში თავიანთ სპეციალურ ფილოსოფიურ შრომებში, თითქმის მხოლოდ ამ აზროვნებას ემორჩილებიან. საკუთრივ ფილოსოფიის ფარგლებს გარეთ მათაც შეძლეს დიალექტიკის სანიმუშო ნაწარმოებნი მოეცათ; გავიხსენოთ მხოლოდ დიდროს «რამოს ძმისწული» და რუსოს ტრაქტატი «უთანასწორობის წარმოშობაზე ადამიანთა შორის». — აქ მოკლედ გად-

[1] «შესავალის» შავ მონასახში ეს ადგილი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: «ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ყველანი ბუნებით სტიქიური მატერიალისტები იყვნენ, და არისტოტელემ, ძველი მსოფლიოს ჰეგელმა, დიალექტიკური აზროვნების უკვე ყველაზე არსებითი ფორმებიც გამოიკვლია». რ ე დ.

მოვცემთ აზროვნების ორივე მეთოდის არსებით მხარეებს; შემდეგ კიდევ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ საგანს.

თუ ჩვენ გონების თვალს გადავავლებთ ბუნებას, კაცობრიობის ისტორიას ან ჩვენივე საკუთარ სულიერ მოქმედებას, ჩვენს წინაშე, უწინარეს ყოვლისა, გაიშლება კავშირთა და ურთიერთზემოქმედებათა დაუსრულებელი გადახლართვის სურათი, სადაც არაფერი იქ და ისე არ რჩება, რაც, სადაც და როგორც იყო, არამედ ყოველივე მოძრაობს, იცვლება, წარმოიშობა და ისპობა. [ამრიგად, ჩვენ ჯერ ვხედავთ საერთო სურათს, რომელშიაც ცალკე მხარეები მეტნაკლებად უკანა რიგში დგება, ჩვენ უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ მოძრაობას, გადასვლებსა და კავშირებს, ვიდრე იმას, თუ სახელდობრ რა მოძრაობს, რა გადადის, რა იმყოფება კავშირში]. ეს თავდაპირველი, გულუბრყვილო, მაგრამ არსებითად სწორი შეხედულება სამყაროზე უკვე ძველ ბერძნულ ფილოსოფიას ახასიათებდა და პირველად ნათლად ჰერაკლიტემ გამოთქვა: ყოველივე არის და არც არის, იმიტომ რომ ყოველივე მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს, ყოველივე მუდმივ ცვლილებას განიცდის, ქმნადობისა და გაქრობის მუდმივ პროცესშია. მაგრამ, თუმცა ეს შეხედულება სწორად ასახავს მოვლენათა საერთო სურათის ზოგად ხასიათს, მაინც საკმაო არაა იმ ცალკე მხარეების ასახსნელად, რომლისგანაც ეს საერთო სურათი შედგება; ხოლო სანამ ჩვენ ამ ახსნას ვერ შევძლებთ, საერთო სურათსაც ნათლად ვერ წარმოვიდგენთ. ამ ცალკე მხარეების (კერძოობათა) შესაცნობად საჭიროა, რომ ჩვენ ისინი გამოვთიშოთ მათი ბუნებრივი ანუ ისტორიული კავშირიდან და თვითეული მათგანი გამოვიკვლიოთ მათი თვისებისა, მათი განსაკუთრებული მიზეზებისა და შედეგების მიხედვით და ა. შ.. ეს, უწინარეს ყოვლისა, ბუნებისმეცნიერებისა და ისტორიული კვლევა-ძიების ამოცანას წარმოადგენს; კვლევის ამ დარგებს სრულიად გასაგები მიზეზების გამო ნხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა კლასიკური დროის საბერძნეთში, იმიტომ რომ იქ ჯერ კიდევ [საამისო] მასალა უნდა დაგროვებულიყო. [მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბუნებისმეცნიერული და ისტორიული მასალა დაგროვდებოდა საკმაო რაოდენობით, შეიძლებოდა დაწყებულიყო კრიტიკული გარჩევა, შედარება, ამის შესაბამად აგრეთვე კლასებად, რიგებად და სახეებად დაყოფა]. ამიტომ ბუნების ზუსტი კვლევა-ძიების პირველი საწყისები თავდაპირველად მხოლოდ ალექსანდრიული პერიოდის ბერძნებმა, ხოლო შემდეგ, შუა საუკუნეებში არაბებმა განავითარეს; მაგრამ ნამდვილი ბუნებისმეცნიერება თარიღდება მხოლოდ XV საუკუნის

მეორე ნახევრიდან, ამ დროიდან იგი სულ უფრო აჩქარებული ნაბიჯით წავიდა წინ. ბუნების დაშლა ცალკე ნაწილებად, ბუნების სხვა, დასხვა პროცესებისა და საგნების დაყოფა განსაზღვრულ კლასებად-ორგანული სხეულების შინაგანი აგებულების გამოკვლევა მათი მრავალნაირი ანატომიური ფორმების მიხედვით — ყოველივე ეს წარმოადგენდა იმ უზარმაზარი პროგრესის ძირითად პირობას, რომელიც უკანასკნელმა 400 წელმა მოგვიტანა ბუნების შემეცნების დარგში. მაგრამ მან დაგვიტოვა აგრეთვე ჩვეულება ბუნების საგნებისა და პროცესების განცალკევებულად განხილვისა, დიდი საერთო კავშირის გარეშე, მაშასადამე, არა მათს მოძრაობაში, არამედ მათს უძრაობაში, არა როგორც არსებითად ცვალებადი, არამედ როგორც მყარი მდგომარეობანი, არა როგორც ცოცხალნი, არამედ როგორც მკვდარნი. ხოლო როცა ეს თვალსაზრისი ბეკონისა და ლოკის შემწეობით ბუნებისმეცნიერებიდან ფილოსოფიაში იქნა გადატანილი, მან შექმნა უკანასკნელი საუკუნეების სპეციფიკური შეზღუდულობა, მეტაფიზიკური წესი აზროვნებისა.

მეტაფიზიკოსისათვის საგნები და მათი აზროვნებითი ასახვანი, ცნებანი, წარმოადგენენ კვლევა-ძიების განცალკევებულ, ერთიმეორის მიყოლებით და ერთიმეორის დამოუკიდებლად განსახილველ, მყარ, გაქვავებულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ საგნებს. იგი აზროვნებს აშკარა უშუალო დაპირისპირებებით, ის ამბობს: «ჰო—ჰო, არა—არა, ამას გარდა ყოველივე ბოროტებაა». მისთვის საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს; აგრეთვე შეუძლებელია საგანი ერთსა და იმავე დროს თავის თავიც იყოს და სხვაც. დადებითი და უარყოფითი აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთმანეთს; მიზეზი და შედეგიც ერთიმეორისადმი გაქვავებულ დაპირისპირებაშია. აზროვნების ეს წესი პირველი შეხედვით იმიტომ გვგონია უაღრესად სიმართლის მსგავსი, რომ იგი ეგრეთწოდებული საღი ადამიანური განსჯის დამახასიათებელია. მაგრამ საღი ადამიანური განსჯა, რომელიც ესოდენ პატივსადები თანამგზავრია შინაურობაში, ოთხ კედელს შუა, გასაოცარ თავგადასავალს განიცდის, როცა კი გაბედავს კვლევა-ძიების ფართო ასპარეზზე გამოსვლას; მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა, თუმცა მართებულია და აუცილებელიც გარკვეულ სფეროებში საგნის ბუნების მიხედვით მეტნაკლებად ფართო ასპარეზზე, ადრე თუ გვიან აღწევს იმ ზღუდეს, რომლის იქით იგი ცალმხრივი, შეზღუდული, აბსტრაქტული ხდება და გადაუჭრელ წინააღმდეგობებში იხლართება, იმიტომ რომ იგი ცალკეულ საგნებში მათს კავშირს ივიწყებს. მათ მყოფობაში მათს ქმნადობასა და წარ-

მავალობას, მათი უძრაობის იქით მათს მოძრაობას, ხეებს ხედავს და ტყეს ვერა. ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგ., ჩვენ ვიცით და შეგვიძლია გარკვევით ვთქვათ, არსებობს ესა თუ ის ცხოველი თუ არა; მაგრამ უფრო ზუსტი გამოკვლევის დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ზოგჯერ მეტისმეტად რთული საკითხია, რაც კარგად იციან იურისტებმა,. რომელთაც ამაოდ იმტვრიეს თავი, რათა აღმოეჩინათ რაციონალური საზღვარი, რომლის იქით ბავშვის მოსპობა დედის საშოში მკვლელობად ჩაითვლება; ასევე შეუძლებელია სიკვდილის მომენტის დადგენა, იმიტომ რომ ფიზიოლოგია ამტკიცებს, სიკვდილი ერთდროული, წუთიერი მოვლენა კი არაა, მეტად ხანგრძლივი პროცესიაო. აგრეთვე ყოველი ორგანული არსება ყოველ წუთში იგივეა და არც იგივეა; ყოველ წუთში იგი გარედან მიღებულ ნივთიერებას ამუშავებს, ხოლო თავისი თავისაგან სხვა ნივთიერებას გამოჰყოფს, ყოველ წუთში მისი სხეულის უჯრედები კვდებიან და ახალი უჯრედები იქმნებიან; ამრიგად, დიდი თუ მცირე ხნის შემდეგ ამ სხეულის ნივთიერება სავსებით ახლდება, მის ადგილს ნივთიერების სხვა ატომები იჭერენ. ისე რომ ყოველი ორგანული არსება მუდამ ერთი და იგივე და მაინც სხვა არის. აგრეთვე უფრო ზუსტი განხილვის დროს ჩვენ ვხედავთ, რომ რომელიმე დაპირისპირებულობის ორივე პოლუსი,დადებითი და უარყოფითი, ისევე გაუთიშავი არიან ერთიმეორისაგან, როგორც ერთიმეორისადმი დაპირისპირებულნი არიან, და რომ ისინი ურთიერთდაპირისპირებულობის მიუხედავად ერთმანეთს მსჭვალავენ; აგრეთვე, მიზეზი და შედეგი წარმოდგენებია, რომელთაც ძალა აქვთ, როგორც ასეთებს, მხოლოდ ცალკე შემთხვევაზე გამოყენების დროს, მაგრამ როგორც კი ცალკე შემთხვევას განვიხილავთ მის ზოგად კავშირში მსოფლიო მთლიანობასთან, ეს წარმოდგენანი ერთდებიან და უნივერსალური ურთიერთზემოქმედების წარმოდგენაში გადადიან, სადაც მიზეზები და შედეგები მუდამ თავიანთ ადგილებს იცვლიან და ის, რაც ახლა ან აქ შედეგი იყო, იქ ან მაშინ მიზეზი იქნება და პირიქით.

ყველა ეს პროცესი და აზროვნების მეთოდი ვერ ჩაეტევა მეტაფიზიკური აზროვნების ჩარჩოებში. პირიქით, დიალექტიკისათვის, რომელიც საგნებსა და მათ გონებრივ ასახვათ არსებითად მათს კავშირში, მათს გადაჯაჭვაში, მათს მოძრაობაში, მათს წარმოშობასა და წარმავალობაში იღებს, ისეთი პროცესები, როგორიც ზემოთ აღვნიშნეთ, ადასტურებენ მისი კვლევის საკუთარ მეთოდს. ბუნება არის დიალექტიკის სასინჯი ქვა, და ჩვენც უნდა დავადას-

ტუროთ, რომ თანამედროვე ბუნებისმეცნიერებამ ამ სინჯისათვის დააგროვა უაღრესად მდიდარი მასალა, რომელიც დღითიდღე მატულობს, და ამით დაამტკიცა, რომ ბუნებაში, საბოლოოდ, ყველაფერი დიალექტიკურად ხდება და არა მეტაფიზიკურად, [რომ ბუნება მოძრაობს არა მარად ერთგვარ წრეში, რომელიც მუდამ ხელახლა მეორდება, არამედ განიცდის ნამდვილ ისტორიას. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ დარვინი, რომელმაც უძლიერესი ლახვარი ჩასცა მეტაფიზიკურ შეხედულებას ბუნებაზე იმის დამტკიცებით, რომ მთელი თანამედროვე ორგანული ბუნება, მცენარეები და ცხოველები, ამით, მაშასადამე, ადამიანიც, არის პროდუქტი განვითარების პროცესისა, რაც მილიონი წლობით გრძელდებოდა.] მაგრამ რადგანაც აქამდე თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს იმ ბუნებისმკვლევართა რიცხვი, რომელთაც ისწავლეს დიალექტიკურად აზროვნება, ეს კონფლიქტი აღმოჩენილ შედეგებსა და ტრადიციული აზროვნების მეთოდებს შორის ადვილად ხსნის იმ უსაზღვრო არევდარევას, რომელიც ამჟამად მეფობს თეორიულ ბუნებისმეცნიერებაში და როგორც მასწავლებლებს, ისე მოწაფეებს, როგორც მწერლებს, ისე მკითხველებს, სასოწარკვეთილებაში აგდებს.

ამრიგად, ზუსტი წარმოდგენა სამყაროზე, მის განვითარებასა და კაცობრიობის განვითარებაზე, ისევე როგორც ამ განვითარების ასახვაზე ადამიანთა თავებში, შეიძლება შეძენილ იქნეს მხოლოდ დიალექტიკური გზით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუდამ მხედველობაში მივიღებთ ქმნადობისა და წარმავალობის, პროგრესული და რეგრესული ცვლილებების საერთო ურთიერთ ზეგავლენას. და მაშინვე სწორედ ამ თვალსაზრისზე დადგა უახლესი გერმანული ფილოსოფია. კანტმა თავისი მოღვაწეობის სარბიელი იმით დაიწყო, რომ ნიუტონის უცვლელი და მარადიული ხანგრძლივობის მქონე მზის სისტემა (მას შემდეგ, რაც ყბადაღებული პირველი ბიძგი ერთხელ მიცემული აქვს) ისტორიულ პროცესად აქცია: მზე და ყველა პლანეტა მბრუნავი ნისლის მასიდან წარმოიშვნენო. ამავე დროს იგი უკვე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ წარმოშობასთან ერთად აუცილებლად მზის სისტემის მომავალი დაღუპვაც იგულისხმებაო. მისი შეხედულება ნახევარი საუკუნის შემდეგ ლაპლასმა დაასაბუთა მათემატიკურად, ხოლო კიდევ ერთი ნახევარი საუკუნის შემდეგ სპექტროსკოპმა დაამტკიცა შემჭიდროების სხვადასხვა საფეხურებზე მყოფი გავარვარებული აიროვანი მასების არსებობა სამყაროს სივრცეში.

თავისი დასრულება ამ უახლესმა გერმანულმა ფილოსოფიამ ჰპოვა ჰეგელის სისტემაში, რომლის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან მთელი ბუნებრივი, ისტორიული და სულიერი სამყარო პირველად გამოსახა როგორც პროცესი, ე. ი. როგორც მუდმივ მოძრაობაში, ცვალებადობაში, გარდაქმნასა და განვითარებაში მყოფი, და შეეცადა ამ მოძრაობასა და განვითარებაში შინაგანი კავშირი გამოემჟღავნებინა [1]. ამ თვალსაზრისით კაცობრიობის ისტორია აღარ წარმოადგენდა უაზრო ძალმომრეობათა უწესრიგო დომხალს, რომელიც დღეს ერთიანად უარსაყოფელია ახლა უკვე მომწიფებული ფილოსოფიური გონების სამჯავროს წინაშე და რომელიც, რაც შეიძლება ჩქარა, უნდა მიეცეს დავიწყებას; იგი წარმოადგენს თვით კაცობრიობის განვითარების პროცესს; და ახლა აზროვნების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ კვალდაკვალ მიჰყოლოდა ამ პროცესის ერთიმეორის მიმდევნო საფეხურებს ყოველი მისი ხეტიალის დროს და გამოერკვია მისი შინაგანი კანონზომიერება ყველა მოჩვენებით შემთხვევითობათა შორის.

აქ ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ საკითხს, რომ ჰეგელის სისტემამ ვერ გადაჭრა ეს ამოცანა. მისი ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან დასვა ეს ამოცანა. ეს სწორედ ისეთი ამოცანაა, რომლის გადაჭრა არასოდეს არ შეუძლია ცალკე პირს. თუმცა ჰეგელი, სენ-სიმონის გვერდით, თავისი დროის ყველაზე უნივერსალური თავის მქონე ადამიანი იყო, მაგრამ იგი მაინც შებოჭილი იყო, ჯერ-ერთი, თავისი საკუთარი ცოდნის აუცილებლად შეზღუდული მარაგით, ხოლო მეორე, თავისი ეპოქის სიღრმითა და სიფართით ასევე შეზღუდულ ცოდნათა და შეხედულებათა მარაგითაც. ამას კიდევ მესამე გარემოება დაემატა. ჰეგელი იდეალისტი იყო, ე. ი. თავისი აზრები მას მიაჩნდა არა ნამდვილი საგნებისა და

[1] «შესავალის» შავ მონასახში ჰეგელის ფილოსოფია შემდეგნაირად არის დახასიათებული: «ჰეგელის სისტემა ფილოსოფიის უკანასკნელი, ყველაზე დამთავრებული ფორმა» იყო, რამდენადაც ფილოსოფია წარმოდგენილია როგორც ყველა სხვა მეცნიერებაზე მაღლა მდგომი განსაკუთრებული მეცნიერება. მასთან ერთად მარცხი განიცადა მთელმა ფილოსოფიამ. დარჩა მხოლოდ აზროვნების დიალექტიკური წესი და გაგება მთელი ბუნებრივი, ისტორიული და ინტელექტუალური სა^ყაროსი, როგორც უსასრულოდ მოძრავ, ცვალებად, წარმოშობისა და მოსპობის მუდმივ პროცესში მყოფი სამყაროსი. ახლა არა მარტო ფილოსოფიის, არამედ ყ ვ ე ლ ა მეცნიერების წინაშე დაისვა მოთხოვნილება, რომ აღმოეჩინათ გარდაქმნის ამ მარადი პროცესის მოძრაობის კანონები თვითეულ ცალკე სფეროში. და ეი ამაში მდგომარეობდა ჰეგელის ფილოსოფიის მიერ მეშკვიდრეებისადმი დატოვებული სამკვიდრო». რ ე დ.

პროცესების მეტნაკლებ აბსტრაქტულ ანასახებად, არამედ, პირიქით, საგნებსა და მათს განვითარებას იგი თვლიდა სადღაც უკვე სამყაროს დასაბამამდე არსებული «იდეის» მხოლოდ განხორციელებულ ანასახებდ. ამით ყოველივე ყირამალა იყო დაყენებული და სამყაროს მოვლენათა ნამდვილი კავშირი სრულიად უკუღმა იყო შეტრიალებული. და [ამიტომ] თუმცა ჰეგელმა მოვლენათა ზოგიერთი ცალკე კავშირი სწორად და გენიოსურად შეიგნო, მაინც, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მისი სისტემის დეტალებშიც ბევრი რამ შეკოწიწებული, ხელოვნური, ნაძალადევი, მოგონილი, მოკლედ, დამახინჯებული აღმოჩნდა. ჰეგელის სისტემა როგორც ასეთი ერთი უზარმაზარი დღენაკლული არსება იყო, მაგრამ იგი უკანასკნელი იყო თავის გვარში. სახელდობრ, იგი კიდევ ერთი შინაგანი განუკურნებელი წინააღმდეგობით იყო დაავადებული: ერთი მხრივ, მის არსებითს წანამძღვარს წარმოადგენდა ისტორიული შეხედულება, რომ კაცობრიობის ისტორია არის განვითარების პროცესი, რომელიც თვით თავისივე ბუნების მიხედვით თავის გონებრივ დასრულებას ვერ იპოვის ეგრეთწოდებული აბსოლუტური ჭეშმარიტების აღმოჩენითო; მაგრამ, მეორე მხრივ, ეს სისტემა ამტკიცებს, სწორედ ამ აბსოლუტური ჭეშმარიტების ერთობლიობას წარმოვადგენო. ყოვლის შემცველი, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებული სისტემა ბუნების და ისტორიის შემეცნებისა ეწინააღმდეგება დიალექტიკური აზროვნების ძირითად კანონებს; მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს, რომ მთელი გარეგანი ქვეყნიერების სისტემატურ შემეცნებას შეუძლია უზარმაზარი ნაბიჯები გადადგას წინ თაობიდან თაობამდე.

იმის შეგნებას, რომ დღემდე არსებული გერმანული იდეალიზმი სრულიად უკუღმართიაო, აუცილებლად მატერიალიზმთან უნდა მივეყვანეთ, მაგრამ, თავისთავად იგულისხმება, არა XVIII საუკუნის მეტაფიზიკურ, მხოლოდ და მხოლოდ მექანიკურ მატერიალიზმთან. წინააღმდეგ მთელი წარსული ისტორიის გულუბრყვილო რევოლუციური, მარტივი უარყოფისა, თანამედროვე მატერიალიზმი ისტორიაში ხედავს კაცობრიობის განვითარების პროცესს, და მისი ამოცანაა ამ პროცესის მოძრაობის კანონები აღმოაჩინოს. წინააღმდეგ როგორც XVIII საუკუნის ფრანგების, ისე ჯერ კიდევ ჰეგელის აზროვნებაში გაბატონებული წარმოდგენისა ბუნებაზე, როგორც ვიწრო წრეში მოძრავ [მუდმივ] თავის თავის თანასწორ მთელზე მარადი ციური სხეულებით, როგორც ამას ნიუტონი გვასწავლიდა, და ორგანული არსებების უცვლელ სახეებზე, როგორც ამას ლინეი გვა-

სწავლიდა, თანამედროვე მატერიალიზმი ანზოგადებს ბუნებისმეცნიერების უახლეს მიღწევებს, რომელთა მიხედვით ბუნებასაც თავისი ისტორია აქვს დროში, ციური სხეულები, ისევე როგორც ორგანიზმების ის სახეობანი, რომელნიც მათზე ცხოვრობენ ხელსაყრელი პირობების დროს, წარმოიშობიან და ისპობიან, და წრებრუნვანი, რამდენადაც საზოგადოდ ისინი დასაშვები არიან, დაუსრულებლივ დიდ ზომებს იძენენ. ორივე შემთხვევაში ეს მატერიალიზმი არსებითად დიალექტიკურია და აღარ საჭიროებს სხვა მეცნიერებებზე მაღლა მდგომ ფილოსოფიას. როგორც კი თვითეულ ცალკე მეცნიერებას წავუყენებთ მოთხოვნას, ნათლად გამოარკვიოს თავისი ადგილი საგნებისა და საგნების შესახებ ცოდნის საყოველთაო კავშირში, ყოველი განსაკუთრებული მეცნიერება ამ საყოველთაო კავშირის შესახებ ზედმეტი ხდება. მაშინ ის, რაც მთელი ადრინდელი ფილოსოფიიდან დამოუკიდებელ მნიშვნელობას კიდევ ინარჩუნებს, არის მოძღვრება აზროვნებისა და მისი კანონების შესახებ — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა. ყოველივე დანარჩენი შედის პოზიტიურ მეცნიერებებში ბუნებისა და ისტორიის შესახებ.

მაგრამ მაშინ როდესაც გადატრიალება ბუნების შეხედულებაში შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კვლევაძიება შემეცნების სათანადო პოზიტიურ მასალას იძლეოდა, ბევრად უფრო ადრე მოხდა ისტორიული ფაქტები, რომელთაც ისტორიის გაგებაში გადამწყვეტი შემობრუნება მოახდინეს. 1831 წელს ლიონში მუშათა პირველი აჯანყება მოხდა; 1838 წლიდან 1842 წლამდე პირველმა ნაციონალურმა მუშათა მოძრაობამ, ინგლისელი ჩარტისტების მოძრაობამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. კლასობრივმა ბრძოლამ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის პირველი ადგილი დაიჭირა ევროპის ყველაზე მოწინავე ქვეყნების ისტორიაში, იმისდა მიხედვით, რაც იქ, ერთი მხრივ, მსხვილი მრეწველობა ვითარდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, ბურჟუაზიის მიერ ახლად დაპყრობილი პოლიტიკური ბატონობა. ფაქტები თანდათან სულ უფრო თვალსაჩინოდ ცხადყოფდნენ ბურჟუაზიული ეკონომიის მოძღვრების მთელ სიცრუეს კაპიტალისა და შრომის ინტერესთა იგივეობაზე, საყოველთაო ჰარმონიასა და ხალხის საყოველთაო კეთილდღეობაზე როგორც თავისუფალი კონკურენციის შედეგზე[1].

[1] «შესავალის» შავ მონასახში ამ სიტყვებს მოსდევდა შემდეგი სტრიქონები: «საფრანგეთში ლიონის 1835 [1834] წლის აჯანყებამ გამოაცხადა აგრეთვე პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ინგლისურმა და ფრანგულმა სოციალისტურმა თეორიებმა ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვეს და გამოხმაურება უნდა ეპოვა გერმანიაშიაც და კრიტიკა უნდა გამოეწვია, თუმცა იქ მრეწველო-

ამიერიდან შეუძლებელი იყო ყველა ამ ამბების უგულებელყოფა, ისევე როგორც შეუძლებელი იყო უგულებელყოფა ფრანგული და ინგლისური სოციალიზმისა, რომელიც მათი თეორიული, თუმცა უაღრესად არასრული გამოხატულება იყო. მაგრამ ისტორიის ძველი იდეალისტური გაგება, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განდევნილი, არ იცნობდა არავითარ მატერიალურ ინტერესებზე დაყრდნობილ კლასთა ბრძოლებს, საზოგადოდ არავითარ მატერიალურ ინტერესებს; წარმოება, ისევე როგორც ყველა ეკონომიური ურთიერთობა, მასში სხვათა შორის გვევლინებოდა, როგორც «კულტურის ისტორიის» მეორეხარისხოვანი ელემენტები. ახალმა ფაქტებმა გვაიძულა ხელახლა გამოგვეკვლია მთელი ადრინდელი ისტორია, და აღმოჩნდა, რომ მ თ ე ლ ი წინანდელი ისტორია [პირველყოფილი მდგომარეობის გამოკლებით] კლასთა ბრძოლების ისტორია ყოფილა, რომ ეს ერთიმეორის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივი კლასები ყოველთვის თავიანთი ეპოქის საწარმოო და გაცვლითი ურთიერთობის, ერთი სიტყვით, ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ურთიერთობის შედეგს წარმოადგენენ; მაშასადამე, ყოველი განსაზღვრული დროის საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა ქმნის იმ რეალურ საფუძველს, რომლითაც საბოლოო ინსტანციაში აიხსნება მთელი ზედნაშენი თვითეული ისტორიული პერიოდის სამართლებრივი და პოლიტიკური დაწესებულებებისა და აგრეთვე რელიგიური, ფილოსოფიური და სხვა წარმოდგენებისა. [ჰეგელმა მეტაფიზიკისაგან გაათავისუფლა ისტორიის გაგება, მან იგი დიალექტიკური გახადა, მაგრამ მისი გაგება ისტორიისა არსებითად იდეალისტური იყო.] ამრიგად, იდეალიზმი გაძევებულ იქნა მისი უკანასკნელი თავშესაფარიდან, ისტორიის გაგებიდან, მოცემულ იქნა ისტორიის მატერიალისტური გაგება და აღმოჩენილ იქნა გზა, რათა ადამიანების შეგნება ახსნილიყო მათი ყოფიერებით, ნაცვლად იმისა, რომ, როგორც აქამდე იყო, მათი ყოფიერება მათი შეგნებით ახსნილიყო.

[ამიტომ სოციალიზმი ახლა უკვე აღარ განიხილება როგორც ამა თუ იმ გენიალური გონების შემთხვევითი აღმოჩენა, არამედ როგორც ორი ისტორიულად წარმოშობილი კლასის — პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის — ბრძოლის აუცილებელი შედეგი. მისი

ბა ძლივს მხოლოდ იწყებდა განვითარებას წვრილი წარმოებიდან. თეორიულ სოციალიზმს, რომელიც ახლა ჩამოყალიბდა არა იმდენად გერმანიაში, რამდენადაც გერმანელთა შორის,—მაშასადამე, უნდა მოეხდინა მთელი თავისი მასალის იმპორტი. . .». რ ე დ.

ამოცანაა უკვე არა ის, რომ გამოიგონოს საზოგადოების რაც შეიძლება უფრო სრულყოფილი სისტემა, არამედ ის, რომ გამოიკვლიოს ისტორიულ-ეკონომიური პროცესი, რომლის აუცილებელ შედეგს წარმოადგენენ ხსენებული კლასები მათი ურთიერთ ბრძოლით, და რომ ამ პროცესით შექმნილ ეკონომიურ მდგომარეობაში მონახოს საშუალება ამ კონფლიქტის გადასაწყვეტად.]

მაგრამ წინანდელი სოციალიზმი ისევე არ ეგუებოდა ისტორიის ამ მატერიალისტურ გაგებას, როგორც ფრანგული მატერიალიზმის გაგება ბუნებისა არ ეგუებოდა დიალექტიკასა და უახლეს ბუნებისმეცნიერებას. მართალია, წინანდელი სოციალიზმი აკრიტიკებდა არსებული კაპიტალისტური წარმოების წესსა და მის შედეგებს, მაგრამ მას არ შეეძლო არც მისი ახსნა, არც, მაშასადამე, მასთან ანგარიშის გასწორება; მას შეეძლო უბრალოდ მხოლოდ მისი უვარგისად გამოცხადება. [რაც უფრო ძლიერად უმხედრდებოდა ის წარმოების ამ წესისაგან განუშორებელ ექსპლოატაციას მუშათა კლასისა, მით უფრო ნაკლებად შეეძლო მას ნათლად აეხსნა, თუ რაში მდგომარეობს ეს ექსპლოატაცია და როგორ წარმოიშობა იგი.] მაგრამ საკითხი იმას ეხებოდა, რომ ეს კაპიტალისტური წარმოების წესი ახსნილიყო, ერთი მხრივ, მის ისტორიულ კავშირსა და მის აუცილებლობაში განსაზღვრული ისტორიული პერიოდისათვის, მაშასადამე, ახსნილიყო მისი დაღუპვის აუცილებლობაც, მეორე მხრივ, გამომჟღავნებულიყო წარმოების ამ წესის შინაგანი ხასიათიც, რომელიც ჯერ კიდევ დაფარული იყო,— იმიტომ რომ წინანდელი კრიტიკა მიმართული იყო უფრო მისი მავნე შედეგებისაკენ, ვიდრე თვით საქმის ვითარებისაკენ. ეს მოხდა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს აღმოჩენის შემწეობით. დამტკიცდა, რომ გადაუხდელი შრომის მითვისება წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების წესისა და მის მიერ მუშის ექსპლოატაციის ძირითად ფორმას; რომ მაშინაც კი, როცა კაპიტალისტი თავისი მუშის სამუშაო ძალას იმ სრული ღირებულების მიხედვით ყიდულობს, რომელიც მას საქონლის ბაზარზე აქვს როგორც საქონელი, მაინც მეტ ღირებულებას გამორჩება ხოლმე მას, ვიდრე მან ამ სამუშაო ძალაში გადაიხადა; და რომ ეს ზედმეტი ღირებულება საბოლოო ინსტანციაში შეადგენს ღირებულებათა ჯამს, რომლისაგანაც მფლობელი კლასების ხელში მუდამ მზარდი კაპიტალის მასა გროვდება. ამრიგად, ახსნილ იქნა როგორც კაპიტალისტური წარმოების მსვლელობა, ისე თვით კაპიტალის წარმოება.

ამ ორივე დიდ აღმოჩენას — ისტორიის მატერიალისტურ გაგებას და კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოების გამომჟღავნებას ზედმეტი ღირებულების საშუალებით,— ჩვენ მ ა რ ქ ს ს უნდა ვუმადლოდეთ. ამ აღმოჩენათა მეოხებით სოციალიზმი მეცნიერებად იქცა, და ახლა საქმე, პირველ ყოვლისა, ისაა, რომ ეს მეცნიერება შემდგომ დამუშავდეს ყველა მისი დეტალითა და [ურთიერთკავშირით].

დაახლოებით ასეთი იყო საქმის ვითარება თეორიული სოციალიზმისა და ამჟამად განსვენებული ფილოსოფიის დარგში, როცა სცენაზე დიდი ღრიანცელით ბატონი ევგენი დიურინგი გამოხტა და გვაუწყა: სრული გადატრიალება მოვახდინე ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიასა და სოციალიზმშიო.

ვნახოთ, რას გვპირდება ბატონი დიურინგი და რას ასრულებს იგი.

II

რას გვპირდება ბატონი დიურინგი

ბატონი დიურინგის თხზულებებიდან ჩვენ საკითხთთან დამოკიდებულება აქვს უწინარეს ყოვლისა მის «Kursus der Philosophie»[1], მის «Kursus der National-und Sozialökonomie»[2] და მის «Kritische Geschichte der Nationalökonomie und des Sozialismus»[3]. ჩვენ გვაინტერესებს უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად მისი პირველი თხზულება.

პირველ გვერდზევე ბატონი დიურინგი თავის თავს გვაცნობს «ისეთ ადამიანად, რომელიც ამ ძალის (ფილოსოფიის) წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ს ჩ ე მ უ ლ ო ბ ს თავისი დროისათვის და უახლოესი განვითარებისათვის, რასაც კი თვალი მისწვდება». ამრიგად, იგი თავის თავს ერთადერთ ჭეშმარიტ ფილოსოფოსად აცხადებს აწმყოსა და «თვალმისაწვდომ» მომავალში. ვინც მას შორდება, ჭეშმარიტებას შორდება. ბატონ დიურინგამდეც მრავალ ადამიანს უ ფ ი ქ რ ი ა ასეთი რამ თავის თავის შესახებ, მაგრამ, თუ რიხარდ

[1] «ფილოსოფიის კურსი». 1875 წ. რ ე დ.

[2] «ნაციონალური და სოციალური ეკონომიის კურსი». 1876 წ. რ ე დ.

[3] «ნაციონალური ეკონომიისა და სოციალიზმის კრიტიკული ისტორია». 1875 წ. რ ე დ.

ვაგნერს მხედველობაში არ მივიღებთ, იგი პირველია, ვინც ასე მოურიდებლად ლაპარაკობს თავის თავზე. და ამასთანავე ჭეშმარიტება, რომლის შესახებაც ის ლაპარაკობს, «უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებაა».

ბატონი დიურინგის ფილოსოფია «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი სისტემა ანუ სინამდვილის ფილოსოფიაა... სინამდვილე მასში გააზრებულია ისე, რომ ყ ო ვ ე ლ ი მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა სიზმარისებური და სუბიექტივისტურად შეზღუდული სამყაროს წარმოდგენისაკენ გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა». ამრიგად, ეს ფილოსოფია ისეთი თვისებისაა, რომ იგი ბატონ დიურინგს ამაღლებს მის მიერვე აღიარებულ მის პირად სუბიექტივისტურ შეზღუდულობაზე. ეს, რასაკვირველია, საჭიროა, რათა მას საშუალება მიეცეს უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანი დაადგინოს, თუმცა ჩვენ აქამდე ჯერ კიდევ ვერ მივხვდით, როგორ უნდა მოხდეს ეს სასწაული.

ამ, «სულისთვის თავისთავად ძვირფასი ცოდნის ბუნებრივმა სისტემამ მ ტ კ ი ც ე დ დ ა ა დ გ ი ნ ა ყოფიერების ძირითადი სახეები, ისე რომ არავითარი ზიანი არ მიუყენებია აზრის სიღრმისათვის». თავისი «ნამდვილად კრიტიკული თვალსაზრისით» იგი იძლევა ელემენტებს ნამდვილი და, მაშასადამე, ბუნებისა და ცხოვრების სინამდვილისკენ მიმართული ფილოსოფიისა, რომელიც არ ცნობს არავითარ მხოლოდ მოჩვენებით ჰორიზონტს, არამედ თ ა ვ ი ს მ ძ ლ ა ვ რ ყ ო ვ ლ ი ს გ ა დ ა მ ა ტ რ ი ა ლ ე ბ ე ლ მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი გ ა რ ე გ ა ნ ი და შ ი ნ ა გ ა ნ ი ბ უ ნ ე ბ ი ს ყ ო ვ ე ლ ა ქ ვ ე ს კ ნ ე ლ ე ბ ს ა და ზ ე ს კ ნ ე ლ ე ბ ს შ ლ ი ს; იგი «აზროვნების ახალი წესია» და მისი შედეგები წარმოადგენენ «სრულიად თავისებურ დასკვნებს და შეხედულებებს... სისტემის შემქმნელ აზრებს... მტკიცედ დადგენილ ჭეშმარიტებებს». აქ ჩვენ გვაქვს მისი სახით «შრომა, რომელმაც თავისი ძალა კონცენტრიულ ინიციატივაში უნდა ეძებოს», (რასაც უნდა ნიშნავდეს ეს); ესაა «ფ ე ს ვ ე ბ ა მ დ ე დ ა ს უ ლ ი კვლევა-ძიება... ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ი მეცნიერება... საგნებისა და ადამიანების მ კ ა ც რ ი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი გაგება... ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ გ ა მ ს ჭ ვ ა ლ ა ვ ი აზროვნების მუშაობა... შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ნარკვევი აზრის მიერ დასაპყრობი წანამძღვარებისა და შედეგებისა... ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ფ უ ნ დ ა მ ე ნ ტ ა ლ უ რ ი რ ა მ». პოლიტიკური ეკონომიის დარგში იგი გვაძლევს არა მარტო «ისტორიულად და სისტემატურად ვრცელ შრომებს», რომელთა შორის ისტორიული შრომები ამას გარდა განირჩევიან «ჩ ე მ ი ისტო-

რიოგრაფიის მეოხებით დიდი სტილით» და რომელთაც პოლიტიკურ ეკონომიაში «შემოქმედებითი შემობრუნებები» მოახდინეს, არამედ ამთავრებს საკუთარი სავსებით შემუშავებული სოციალისტური გეგმით მომავალი საზოგადოებისათვის, რომელიც «ნათელი და უკანასკნელ ფესვებამდე დასული თეორიის პრაქტიკულ ნაყოფს» წარმოადგენს და ამიტომ ისევე შეუმცდარი და ერთადერთი ნეტარების მომნიჭებელია, როგორც დიურინგის ფილოსოფია; იმიტომ, რომ «მხოლოდ იმ სოციალისტურ სისტემაში, რომელიც მე ჩემი «ნაციონალური და სოციალური ეკონომიის კურსში» დავახასიათე, შეიძლება ნამდვილმა საკუთრებამ დაიჭიროს მხოლოდ მოჩვენებითი და წინასწარი, მაგრამ ძალმომრეობითი საკუთრების ადგილი». აი ამას უნდა შეეფარდოს მომავალი.

ჩვენ ადვილად შეგვეძლო ერთიათად გაგვედიდებინა ეს თვითშექების თაიგული, რომელსაც ბატონი დიურინგი ბატონ დიურინგსავე უძღვნის. თუმცა ნათქვამიც უკვე საკმარისია, რომ მკითხველს ახლავე ეჭვი აღეძრას, მართლაც ფილოსოფოსთან აქვს მას საქმე თუ... მაგრამ ჩვენ მკითხველს უნდა ვთხოვოთ თავი შეიკავოს მსჯავრის გამოტანისაგან, სანამ უფრო ახლო არ გაეცნობა ზემოაღნიშნულ საფუძვლიანობას. ჩვენ ეს თაიკული მხოლოდ იმიტომ მოვიყვანეთ, რათა დაგვენახვებინა, რომ ჩვენს წინაშე დგას არა ჩვეულებრივი ფილოსოფოსი და სოციალისტი, რომელიც უბრალოდ თავის აზრებს გამოთქვამს და მომავალს უთმობს მსჯავრის გამოტანას მისი ღირებულების შესახებ, არამედ სრულიად არაჩვეულებრივი არსება, რომელსაც თავისი თავი პაპზე ნაკლებ შეუმცდარი როდი ჰგონია და რომლის ერთადერთი ნეტარების მომნიჭებელი მოძღვრება უსიტყვოდ უნდა მივიღოთ, თუ გვინდა, რომ მომაკვდინებელ მწვალებლობაში არ გადავვარდეთ. ჩვენ აქ საქმე არა გვაქვს ერთ-ერთ ისეთ შრომასთან, რომლითაც მდიდარია ყველა სოციალისტური ლიტერატურა და მათ შორის ახლა გერმანულიც, შრომები, სადაც სხვადასხვა ყალიბის ადამიანები გულწრფელად ცდილობენ გამოარკვიონ საკითხები, რომელთა საპასუხოდ მათ შეიძლება მეტად თუ ნაკლებად მასალა აკლდეთ; შრომები, სადაც, მეცნიერული და ლიტერატურული ნაკლის მიუხედავად, ნათლად გამოსჭვივის სოციალისტური კეთილი სურვილი. პირიქით, ბატონი დიურინგი ისეთ დებულებებს გვთავაზობს, რომელნიც მას უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომელთა გვერდით, მაშასადამე, ყოველი

სხვა შეხედულება იმთავითვე ყალბია; მას ხელთ უჭირავს არა მარტო ერთადერთი ჭეშმარიტება, არამედ კვლევა-ძიების ერთადერთი მკაცრი მეცნიერული მეთოდი, რომლის გვერდით ყველა დანარჩენი მეთოდი არამეცნიერულია. ან იგი მართალია, და მაშინ ჩვენს წინაშე ყველა ეპოქის უდიდესი გენიოსი დგას, პირველი ზეკაცი, რადგან იგი შეუმცდარი ადამიანია. ანდა ის მართალი არ არის, და მაშინ, როგორიც უნდა იყოს ჩვენი მსჯავრი, კეთილგანწყობილი შეწყნარება მისი შესაძლო კეთილი სურვილისა მაინც მომაკვდინებელი შეურაცხყოფა იქნებოდა ბატონი დიურინგისთვის.

როცა ადამიანი უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებასა და ერთადერთ მკაცრ მეცნიერულობას ფლობს, რასაკვირველია, დანარჩენი შემცდარი და არამეცნიერული კაცობრიობა საკმაოდ ათვალისწუნებული ეყოლება. ამიტომ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ბატონი დიურინგი თავის წინამორბედებზე დიდი ზიზღით ლაპარაკობს და თუ მისი საფუძვლიანობა მხოლოდ რამდენიმე, გამონაკლისის სახით, მის მიერვე დიდ ადამიანებად გამოცხადებულ პირს ინდობს.

მოვუსმინოთ მას ჯერ ფილოსოფოსების შესახებ: «ყოველ პატიოსან მრწამსს მოკლებული ლ ა ი ბ ნ ი ც ი, ეს საუკეთესო ნიმუში ყოველ შესაძლებელ მოფილოსოფოსე კარისკაცთა შორის». კ ა ნ ტ ი ს ატანა კიდევ ასე თუ ისე შეიძლება; მაგრამ მის შემდეგ ყოველივე აირ-დაირიაო: მოგვევლინა «უახლოესი ეპიგონების, სახელდობრ, ვიღაც ფ ი ხ ტ ე ე ბ ი ს ა და შ ე ლ ი ნ გ ე ბ ი ს უცნაური აბდაუბდა, იმზომ უგუნური, რამდენადაც თავქარიანი სისულელე... უმეცარი ნატურფილოსოფიური უაზრობის საზარელი კარიკატურები... კ ა ნ ტ ი ს მომდევნო საშინელებანი» და «ციებცხელების ფანტაზიები», რომელსაც გვირგვინი «ვიღაც ჰ ე გ ე ლ მ ა» დაადგაო. ეს უკანასკნელი «ჰეგელის ჟარგონით» ლაპარაკობდა და ჰეგელის «შავი ჭირი» გაავრცელა ზთავისი ფორმითაც არამეცნიერული მანერით» და თავისი «ძნელად მოსანელებელი აზრებითო».

არც ბუნებისმეცნიერთ ადგება უკეთესი დღე, მაგრამ დასახელებული მხოლოდ დარვინია და ამიტომ ჩვენც მხოლოდ მას უნდა დავჯერდეთ: «დარვინის ნახევარპოეზია და მეტამორფოზებით თამაში მისი გაგების ტლანქი გრძნობადი სივიწროვითა და გარჩევის უნარის სიჩლუნგით... ჩვენი აზრით სპეციფიკური დარვინიზმი, რასაც, რასაკვირველია, ლ ა მ ა რ კ ი ს მოსაზრებანი უნდა გამოაკლდეს, ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მ ი მ ა რ თ უ ლ ი მ ხ ე ც ო ბ ი ს ე რ თ ი ნ ა წ ი ლ ი ა».

მაგრამ ყველაზე მეტი სოციალისტებს ხვდება. მხოლოდ ლუიბლანის, ყველაზე უმნიშვნელოს, გამოკლებით, ისინი ყველანი ცოდვილები არიანო და ღირსი არ არიან იმ სახელისა, რომელსაც მათ მიაგებდნენ უპირატესად ბატონ დიურინგის წინაშე (თუ გინდ მეორე რიგში). და არა მარტო ჭეშმარიტებისა და მეცნიერულობისა, არამედ ხასიათის მიხედვითაც. ბაბეფისა და 1871 წლის ზოგიერთი კომუნარის გამოკლებით არც ერთი მათგანი «ვაჟკაცი» არაა. სამ უტოპისტს «სოციალური ალქიმიკოსები» ეწოდება. მათ შორის სენ-სიმონს ავტორი შედარებით თავაზიანად ეპყრობა, მას მხოლოდ «ექსცენტრიულობა» ბრალდება და თანაგრძნობით შენიშნავს—სარწმუნოებრივი სიგიჟით იყო შეპყრობილიო. პირიქით, ფურიეს სახელის გაგონებაზე ბატონ დიურინგს ყოველი მოთმინება ეკარგება; იმიტომ რომ ფურიემ «სიგიჟის ყველა ელემენტი გამოამჟღავნაო... იდეები, რომელთაც უწინარეს ყოვლისა საგიჟეთში შეხვდებით... უველურესი ბოდვა... შეშლილობის ნაყოფი... ეს ენით გამოუთქმელად უგუნური ფურიე», ეს «ბალღის თავიანი კაცი», ეს «იდიოტი» სოციალისტიც კი არ არის; მისი ფალანსტერი რაციონალური სოციალიზმის ნატამალსაც კი არ წარმოადგენს, არამედ «ჩვეულებრივი აღებ-მიცემობის შაბლონის მიხედვით შექმნილი მახინჯი ნაწარმოებია». და, ბოლოს: «ვისთვისაც ეს თავდასხმები (ფურიესი ნიუტონის წინააღმდეგ)... საკმაო არაა, რათა დარწმუნდეს, რომ ფურიეს სახელში და მთელს ფურიერიზმში მხოლოდ პირველი მარცვალი (fou — გიჟი) შეიცავს ჭეშმარიტებას, თვით იგი უნდა იქნეს ჩარიცხული იდიოტების ამა თუ იმ კატეგორიაში». ბოლოს, რობერტ ოუენს «მკრთალი და მჭლე იდეები ჰქონდა... მისი აზროვნება ესოდენ ტლანქი იყო მორალის საკითხში... რამდენიმე ალმაცერი, მახინჯი, გაცვეთილი აზრი... უაზრო და ტლანქი შეხედულება... ოუენის აზრთა მსვლელობა იმის ღირსიც კი არ არის, რომ სერიოზულად გავაკრიტიკოთ... მისი ცრუ მედიდურება» და სხვ. თუ ბატონი დიურინგი უტოპისტებს მათი სახელების მიხედვით მეტისმეტად გონებამახვილად შემდეგნაირად ახასიათებს: სენ-სიმონი — saint (წმინდა), ფურიე — fou (გიჟი), ანფანტენი — enfant (ბავშვური), მხოლოდ ისღა აკლია, რომ დაუმატოს ოუენი — ოჰ, ვაი! და სოციალიზმის ისტორიის მთელი, მნიშვნელოვანი პერიოდი უბრალოდ ოთხი სიტყვით არის გაცამტვერებული, ხოლო ვისაც ამაში ეპვი ეპარება, «თვით იგი უნდა იქნეს ჩარიცხული იდიოტების ამა თუ იმ კატეგორიაში».

დიურინგის მსჯელობიდან შემდგომი ხანის სოციალისტების შესახებ ჩვენ სიმოკლის გულისთვის მხოლოდ ლასალისა და მარქსის დახასიათებას მოვიყვანთ:

ლ ა ს ა ლ ი: «პედანტურ-მენამცეცე პოპულარიზაციის ცდები... სქოლასტიკის ულრანი ტყე... ზოგადი თეორიის და წვრილმანი აბდაუბდის საშინელი ნარევი... უაზრო და უფორმო ჰეგელისეული ცრუმორწმუნეობა... შემზარავი მაგალითი... საკუთარი შეზღუდულობა... ყოყოჩობა უმნიშვნელო ნაგავით... ჩვენი ებრაელი გმირი... პამფლეტების მჯღაბნელი... ორდინარული... ცხოვრების და მსოფლმხედველობის შინაგანი მერყეობა».

მ ა რ ქ ს ი: «გაგების სივიწროვე... მისი შრომები და შედეგები თავისთავად, ე. ი. წმინდა თეორიული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ხანგრძლივ მნიშვნელობას მოკლებულია ჩვენი დარგისთვის (სოციალიზმის კრიტიკული ისტორიისთვის), ხოლო სულიერ მიმდინარეობათა ზოგადი ისტორიისთვის უკეთეს შემთხვევაში აღნიშნულ უნდა იქნეს როგორც ახალი სექტანტური სქოლასტიკის ერთი შტოს ზეგავლენის სიმპტომი... მაკონცენტრირებელი და მომწესრიგებელი ნიჭის უძლურება... აზრებისა და სტილის უფორმობა, ენის ულირსი ალიურები... გაინგლისურებული მედიდურება... გაბიაბურება... უცნაური კონცეფციები, რომელნიც ნამდვილად ისტორიული და ლოგიკური ფანტასტიკის მხოლოდ ნაბუშარს წარმოადგენენ... მაცდური აბრუნდი... პირადი გულზვიადობა... საზიზღარი მანერები... თავხედური... ბელეტრისტული ოხუნჯობა და ოინბაზობა... ჩინური განსწავლულობა... ფილოსოფიური და მეცნიერული ჩამორჩენილობა».

და სხვა და სხვა — იმიტომ რომ ესეც მხოლოდ პატარა, ნაჩქარევად მოკრეფილ თაიგულს წარმოადგენს დიურინგის ვარდების ბაღიდან. თავისთავად იგულისხმება, რომ ჯერჯერობით აქ არ ვეხებით იმ საკითხს, წარმოადგენს თუ არა უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ქემმარიტებას ეს თავაზიანი ლანძღვა-გინება, რომელსაც, ბატონ დიურინგს რომ ცოტაოდენი ზრდილობა ჰქონოდა, მისთვის ხელი უნდა შეეშალა რ ა ი მ ე საზიზღრად და თავხედურად მიეჩნია. აგრეთვე ჩვენ — ჯერჯერობით — თავის თავს ნებას არ მივცემთ ეპვი შევიტანოთ მათს საფუძვლიანობაში, იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ჩვენთვის კიდეც აეკრძალათ იდიოტების იმ კატეგორიის გამოძებნა, რომელსაც ჩვენ ვეკუთნით. ჩვენ მხოლოდ ჩვენს ვალდებულებად მივიჩნიეთ, ერთი მხრივ,

იმის მაგალითი მოგვეცა, რასაც ბატონი დიურინგი «თავაზიანი და ამ სიტყვის ჭეშმარიტი აზრით თავდაბალი გამოთქმის წესის ნიმუშს» უწოდებს, ხოლო, მეორე მხრივ, დაგვემტკიცებინა, რომ ბატონი დიურინგი ისევე დარწმუნებულია თავისი წინამორბედების უვარგისობაში, როგორც თავის საკუთარ შეუმცდარობაში. ამის შემდეგ კი ჩვენ ვდუმდებით უაღრესი მოკრძალებით გამსჭვალულნი ყველა ეპოქის უძლიერესი გენიოსის წინაშე — თუ, რასაკვირველია, ყოველივე ეს მართლაც ასეა.

პირველი განყოფილება

ფილოსოფია

III

დანაწილება. აპრიორიზმი

ფილოსოფია, ბატონ დიურინგის მიხედვით, წარმოადგენს „სამყაროს და ცხოვრების შეგნების უმაღლესი ფორმის განვითარებას და ფართო გაგებით მოიცავს ყოველი ცოდნისა და ნების პრინციპებს. სადაც კი ადამიანის ცნობიერების წინაშე შემეცნებათა ან მისწრაფებათა რიგის ან არსებობის ფორმათა რაიმე ჯგუფის საკითხი დგება, ამ ფორმათა პრინციპები ფილოსოფიის საგანი უნდა გახდეს. ეს პრინციპები მარტივი ან დღემდე მარტივად ნაგულისხმები შემადგენელი ნაწილებია, რომელთაგანაც შედგება მრავალფეროვანი ცოდნა და ნება. სხეულთა ქიმიური კონსტიტუციის მსგავსად საგანთა ზოგადი აღნაგობაც შეიძლება ძირითად ფორმებსა და ძირითად ელემენტებზე დავიყვანოთ. როცა ეს უკანასკნელი ელემენტები ანუ პრინციპები მოპოვებულია, ისინი გამოდგებიან არა მარტო უშუალოდ ცნობილი და მისაწვდომი, არამედ ჩვენთვის უცნობი და მიუწვდომელი ქვეყნიერებისთვისაც. ამრიგად, ფილოსოფიური პრინციპები წარმოადგენენ უკანასკნელ დამატებას, რომელიც მეცნიერებას სჭირდება, რათა ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების ახსნის მთლიან სისტემად იქცეს. გარდა ყოველი არსებობის ძირითადი ფორმებისა ფილოსოფიას კვლევა-ძიების ორი განსაკუთრებული საგანი აქვს, სახელდობრ ბუნება და ადამიანთა ქვეყანა. ამისდა მიხედვით ჩვენი მასალის დალაგების დროს სრულიად ძალდაუტანებლად სამი ჯგუფი სდგება, სახელდობრ, ზოგადი მსოფლიო სქემატიკა, მოძღვრება ბუნების პრინციპებზე და, ბოლოს, მოძღვრება ადამიანზე. ამ თანმიმდევრობაში ამავე დროს შინაგანი ლოგიკური წესრიგიცაა მოცემული, იმიტომ რომ პირველი ადგილი უჭირავთ ფორმალურ ძირითად დებულებებს, რომელთაც ძალა აქვთ ყოველი არსისთვის, ხოლო შემდეგ დაქვემდებარების მიხედვით მოდიან საგნობრივი დარგები, რომელთა მი-

მართ ხდება მათი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა. ასეთია ბატონი დიურინგის მსჯელობა თითქმის სიტყვასიტყვით.

მაშასადამე, იგი ლაპარაკობს პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ზ ე, ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი დ ა ნ და არა გარეგანი ქვეყნიერებიდან გამოყვანილ ფორმალურ ძირითად დებულებებზე, რომელნიც უნდა გამოვიყენოთ ბუნებისა და ადამიანთა სამეფოს მიმართ, რომელთა მიხედვით, მაშასადამე, უნდა მიიმართებოდნენ ბუნება და ადამიანი. მაგრამ საიდან ღებულობს აზროვნება ამ ძირითად დებულებებს? თავისი თავიდანვე? არა, თვით ბატონი დიურინგი ამბობს: წმინდა იდეალური დარგი განსაზღვრულია ლოგიკური სქემებით და მათემატიკური ფორმებით (ეს უკანასკნელი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორი არაა). ლოგიკური სქემები შეიძლება მხოლოდ ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ფ ო რ მ ე ბ ს ეხებოდეს; აქ კი ლაპარაკია მხოლოდ ა რ ს ი ს, გარექვეყნის ფორმებზე, ეს ფორმები კი აზროვნებას შეუძლია შექმნას და გამოიყვანოს არა თავის თავიდან, არამედ მხოლოდ გარექვეყნიდან. ამრიგად, მთელი მიმართება უკუღმატრიალდება: პრინციპები კვლევა-ძიების გამოსავალ პუნქტს კი არ წარმოადგენენ, არამედ მის საბოლოო შედეგს; ისინი ბუნებასა და ადამიანთა ისტორიაზე კი არ გამოიყენება, არამედ ხდება მათგან მათი აბსტრაქცია; ბუნება და ადამიანთა სამეფო პრინციპების მიხედვით კი არ მიიმართება, არამედ პრინციპები მხოლოდ იმდენადაა სწორი, რამდენადაც ბუნებასა და ისტორიას შეესაბამებიან. ესაა საქმის ვითარების ერთადერთი მატერიალისტური გაგება, ხოლო ბატონი დიურინგის საწინააღმდეგო თვალსაზრისი იდეალისტურია, საქმის ვითარებას ყირამალა აყენებს და ნამდვილ ქვეყნიერებას აგებს აზრიდან, სადღაც ქვეყნიერებამდე არსებული სამარადისო სქემებისა, მოჩვენებებისა ან კატეგორიებისაგან, სწორედ ისევე, როგორც ამას — ვ ი ღ ა ც ჰ ე გ ე ლ ი შვრებოდა.

მართლაც, ავიღოთ ჰეგელის «ენციკლოპედია» მთელი მისი ციებცხელებიანი ფანტაზიით და შევადაროთ ბატონ დიურინგის უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებათ. ბატონ დიურინგის აზროვნებაში ჩვენ უწინარეს ყოვლისა გვაქვს ზოგადი მსოფლიო სქემატიკა, რომელსაც ჰეგელი ლ ო გ ი კ ა ს უწოდებს. შემდეგ ორივე ამ ადამიანის აზროვნებაში გვაქვს ამ სქემების ანულოგიკური კატეგორიების გამოყენება ბუნებაზე, ე. ი. ნატურფილოსოფია და, ბოლოს, მათი გამოყენება ადამიანთა სამეფოზე, რასაც ჰეგელი სულის ფილოსოფიას უწოდებს. ამრიგად, დიურინ-

გის თანმიმდევრობის «შინაგან ლოგიკურ რიგს» «სრულიად ძალდა-უტანებლად» მივყავართ ჰეგელის «ენციკლოპედიისკენ», საიდანაც იგი ისე ერთგულადაა გადმოღებული, რომ ჰეგელის სკოლის «მარადიულ ურიას» — პროფესორ მიხელეტს ბერლინში — გულს აუჩუყებდა.

ასე ხდება, როცა «ცნობიერებას», «აზროვნებას» სრულიად ნატურალისტურად იღებენ როგორც მოცემულ რამეს, როგორც წინასწარ დაპირისპირებულ რამეს არსისადმი, ბუნებისადმი. მაშინ, რასაკვირველია, უაღრესად გასაკვირლად უნდა გვეჩვენოს, რომ ცნობიერება და ბუნება, აზროვნება და არსი, აზროვნების კანონები და ბუნების კანონები ასე ეთანხმებიან ერთმანეთს. მაგრამ თუ შემდეგ ვიკითხავთ, რას წარმოადგენს აზროვნება და ცნობიერება და საიდან წარმოსდგებიან ისინი, აღმოვაჩენთ, რომ ისინი ადამიანის ტვინის პროდუქტები არიან და რომ თვით ადამიანიც ბუნების პროდუქტია, რომელიც თავის გარემოში და ამ უკანასკნელთან ერთად განვითარდა; აქედან თავისთავად გასაგებია, რომ ადამიანის ტვინის ქმნილებანი, რომელნიც საბოლოო ინსტანციაში ბუნების პროდუქტებიც არიან, ბუნების დანარჩენ კავშირს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ შეესაბამებიან.

მაგრამ ბატონ დიურინგს არ შეუძლია საქმის ვითარება ასე მარტივად განიხილოს. ის აზროვნებს არა მარტო კაცობრიობის სახელით, რაც ძალიან კარგი საქმე იქნებოდა, არამედ სამყაროს ყველა სხეულთა შეგნებული და მოაზროვნე არსებების სახელით. მართლაც, «ცნობიერებისა და ცოდნის ძირითად ფორმათა ღირსების შებღალვა იქნებოდა, რომ ჩვენ ეპიტეტი «ადამიანურით» მოგვენდომებინა უგულებელგვეყო ან საეჭვოდ გაგვეხადა მათი სუვერენული მნიშვნელობა და უცილობელი პრეტენზია ჭეშმარიტებაზე». მაშასადამე, რათა ეჭვი არ დაიბადოს, რომ სადმე სამყაროს სხვა სხეულზე ორჯერ ორი ხუთიაო, ბატონი დიურინგი თავის თავს ნებას არ აძლევს აზროვნებას ადამიანური უწოდოს და ამიტომ იძულებული ხდება იგი მოაშოროს ერთადერთ ნამდვილ საფუძველს, რომელზედაც იგი ჩვენ გვხვდება, სახელდობრ, ადამიანსა და ბუნებას; ამასთანავე ბატონი დიურინგი უიმედოდ ეფლობა ისეთ იდეოლოგიაში, რომელიც მას «ეპიგონი» ჰეგელის ეპიგონად ხდის. ესეცაა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ხშირად მოგვიხდება ბატონ დიურინგს თავი დავუკრათ სამყაროს სხვა სხეულებზე.

თავისთავად გასაგებია, რომ ასეთ იდეოლოგიურ საფუძველზე არავითარი მატერიალისტური მოძღვრების დაფუძნება არ შეი-

ძლება. შემდეგ ჩვენ დავინახავთ, რომ ბატონი დიურინგი იძულებული გახდება ბუნებას არა ერთგზის მიაწეროს შეგნებული მოქმედების წესი, მაშასადამე, იქ შეიტანოს ის, რასაც უბრალოდ ღმერთს უწოდებენ.

მაგრამ ჩვენს სინამდვილის ფილოსოფოსს სხვა მოტივებიც ჰქონდა, ყოველი სინამდვილის საფუძველი ნამდვილი ქვეყნიერებიდან აზრთა ქვეყნიერებაში გადაეტანა. ბატონი დიურინგის ფილოსოფიის საფუძველს ხომ წარმოადგენს სწორედ მეცნიერება ამ ზოგად მსოფლიო სქემატიზმზე, არსის ამ ფორმალურ ძირითად საფუძვლებზე. თუ ჩვენ მსოფლიო სქემატიზმი თავიდან კი არა, მხოლოდ თავის შემწეობით ნამდვილი ქვეყნიერებიდან გამოვიყვანეთ, თუ არსის ძირითადი დებულებანი გამოვიყვანეთ იქიდან, რაც არის, ამისთვის ფილოსოფია კი არ დაგვჭირდება, არამედ დადებითი ცოდნა სამყაროსა და იმაზე, რაც მასში ხდება; ხოლო რასაც ამ გზით მივიღებთ, ასევე ფილოსოფია კი არა, დადებითი მეცნიერებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ბატონი დიურინგის მთელი ტომი ამაოდ გაწეული შრომა იქნებოდა.

შემდეგ: თუ საჭირო არაა ფილოსოფია, როგორც ასეთი, მაშინ საჭირო აღარაა არავითარი სისტემა, არც თვით ფილოსოფიის ბუნებრივი სისტემა. შეხედულება, რომ ბუნებრივი მოვლენების ერთობლიობა სისტემატურ კავშირში იმყოფება, მეცნიერებას აიძულებს ეს სისტემატური კავშირი დაამტკიცოს ყველგან როგორც კერძოში, ისე მთელში. მაგრამ ამ კავშირის შესაფერი, ამომწურავი, მეცნიერული გამოსახვა, იმ სამყაროს სისტემის ზუსტი აზროვნებითი ასახვის შედგენა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შეუძლებელია როგორც ჩვენთვის, ისე ყველა დროისათვის. კაცობრიობის განვითარების რომელიმე მომენტში სამყაროს ფიზიკური, სულიერი და ისტორიული კავშირების ასეთი საბოლოოდ დამთავრებული სისტემა რომ შემდგარიყო, მაშინ ამით ადამიანის შემეცნების სფერო დამთავრდებოდა და შემდგომი ისტორიული განვითარება შეწყდებოდა იმ მომენტიდან, როცა საზოგადოება მოეწყობოდა ამ სისტემის მიხედვით, — რაიცა აბსურდს, ნამდვილ უაზრობას წარმოადგენს. მაშასადამე, ადამიანები შემდეგი წინააღმდეგობის წინაშე დგანან: ერთი მხრივ, ისინი ცდილობენ ამომწურავად შეიცნონ სამყაროს სისტემა მის საერთო კავშირში, ხოლო მეორე მხრივ, ისინი როგორც თავიანთი ბუნების, ისე სამყაროს სისტემის ბუნების მიხედვით ვერასოდეს ვერ შეძლებენ ეს ამოცანა სავსებით გადაჭრან. მაგრამ ეს წინააღმდეგობა

მარტო ამ ორი ფაქტორის — სამყაროს და ადამიანის ბუნებაში როდი ძევს: იგი წარმოადგენს აგრეთვე მთელი გონებრივი წინსვლის მთავარ ბერკეტს და ყოველდღე განუწყვეტლივ იხსნება კაკობრიობის დაუსრულებელ პროგრესულ განვითარებაში, სრულიად ისევე, როგორც, მაგ., მათემატიკური ამოცანები დაუსრულებელ რიგსა ან უწყვეტ წილადებში იხსნება. ფაქტიურად სამყაროს სისტემის ყოველი აზროვნებითი ასახვა ობიექტურად ისტორიული მდგომარეობით არის შეზღუდული, ხოლო სუბიექტურად მისი ავტორის ფიზიკური და სულიერი ორგანიზაციით. ბატონი დიურინგი კი იმთავითვე აცხადებს, ჩემი აზროვნების წესი ისეთია, რომ შეუძლებელს ხდის ყოველივე სუბიექტივისტურად შეზღუდულ სამყაროს წარმოდგენასო. ჩვენ წინათ უკვე დავინახეთ, რომ იგი ყველგან მყოფია, სამყაროს ყველა შესაძლებელ სხეულზე იმყოფება. ახლა კი ვხედავთ, რომ იგი ყოვლის მცოდნეც ყოფილა. მან გადასჭრა მეცნიერების უკანასკნელი ამოცანები და ამრიგად ყრუდ დაუხშო კარები მთელი მეცნიერების მომავალს.

ბატონი დიურინგი ფიქრობს, რომ არსის ძირითადი ფორმების მსგავსად მთელი წმინდა მათემატიკაც შეიძლება უშუალოდ თავიდან გამოვიყვანოთ აპრიორულად, ე. ი. იმ ცდის გამოუყენებლად, რომელსაც გარეგანი ქვეყნიერება იძლევაო; წმინდა მათემატიკაში გონება «თავის საკუთარ თავისუფალ» ქმნილებებს და ფანტაზიებს» იყენებსო; რიცხვისა და ფიგურის ცნებები «მისი საკმაო და მის მიერვე შექმნილი ობიექტია» და, ამრიგად, მას «გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი გამოცდილებისაგან და რეალური მსოფლიო შინაარსისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა» აქვსო.

წმინდა მათემატიკას რომ ყოველი ცალკე პიროვნების კ ე რ ძ ო ცდისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, სწორია და იგივე შეიძლება ითქვას ყველა მეცნიერების ყოველ მტკიცედ დადგენილ ფაქტზე, მეტს ვიტყვით, ყოველ ფაქტზე საზოგადოდ. მაგნეტური პოლუსები, წყლის შედგენილობა წყალბადისა და ჟანგბადისაგან, ის ფაქტი, რომ ჰეგელი მკვდარია, ხოლო ბატონი დიურინგი ცოცხალია, მართებულია ჩემი ან სხვა ცალკე ადამიანების ცდის დამოუკიდებლად, თვით ბატონი დიურინგის ცდის დამოუკიდებლად, როცა მას მართალთა ძილით ძინავს. მაგრამ წმინდა მათემატიკაში გონებას სრულიადაც მარტო თავის ქმნილებებსა და ფანტაზიებთან არა აქვს საქმე. რიცხვისა და ფიგურის ცნებები არსაიდან არ არის ამოღებული, გარდა ნამდვილი ქვეყნიერებისა. ყველაფრად შეიძლება მივიჩნიოთ ათი თითი, რომელზედაც ადა-

მიანმა დათვლა, მაშასადამე, პირველი არითმეტიკული ოპერაციების წარმოება ისწავლა, მხოლოდ არა გონების თავისუფალ ქმნილებად. ანგარიშისთვის საჭიროა არა მარტო საანგარიშო საგნები, არამედ აგრეთვე უნარი ამ საგნების განხილვის დროს უგულებელვყოთ ყველა მათი სხვა თვისება, გარდა მათი რიცხვისა—ეს უნარი კი ხანგრძლივი ისტორიული, ცდის განვითარების შედეგია. როგორც რიცხვის, ისე ფიგურის ცნებაც მხოლოდ გარეგანი ქვეყნიერებიდან არის ნასესხები და სრულიადაც წმინდა აზროვნებიდან არ წარმომდგარა თავში. სანამ ფიგურის ცნება შეიქმნებოდა, უნდა არსებულიყო საგნები, რომელთაც გარკვეული ფორმა აქვთ და რომელთა ფორმები შეიძლება ერთმანეთს შეედაროს. წმინდა მათემატიკის საგანს ნამდვილი ქვეყნიერების სივრცის ფორმები და რაოდენობრივი ურთიერთობანი, მაშასადამე, მეტად რეალური მასალა შეადგენს. იმ გარემოებას, რომ ეს მასალა მეტად აბსტრაქტულ ფორმაში გვეელინება, მხოლოდ ზერელედ შეუძლია მიჩქმალოს მისი წარმოშობა გარეგანი ქვეყნიერებიდან. თუ გვინდა ეს ფორმები და ურთიერთობანი წმინდა სახით გამოვიკვლიოთ, ისინი სრულიად უნდა გამოვთიშოთ მათი შინაარსისაგან, ეს უკანასკნელი განზე გადავდოთ როგორც მნიშვნელობას მოკლებული; ამ გზით მივიღებთ განზომილებას მოკლებულ წერტილებს, სისქესა და სიფართეს მოკლებულ ხაზებს, a და b, x და y, შუდმივ და ცვლად სიდიდეებს, და მხოლოდ სულ ბოლოს მივადგებით გონების საკუთარ თავისუფალ ქმნილებებსა და ფანტაზიებს, სახელდობრ, წარმოსახვით სიდიდეებს. აგრეთვე მათემატიკურ სიდიდეთა ვითომდა ერთიმეორისაგან გამოყვანა ამტკიცებს არა მათს აპრიორულ წარმოშობას, არამედ მათს რაციონალურ ურთიერთკავშირს. სანამ მოიფიქრებდნენ, რომ ცილინდრის ფ ო რ მ ა გამოეყვანათ სწორკუთხედის ტრიალით ერთ-ერთი მისი გვერდის გარშემო, მრავალი ნამდვილი სწორკუთხედი და ცილინდრი უნდა გამოეკვლიათ თუნდაც არასრულქმნილი ფორმით. ყველა სხვა მეცნიერებათა მსგავსად მათემატიკაც ადამიანთა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი დ ა ნ წარმოიშვა: მიწის ნაკვეთების ფართობთა და ჭურჭლის მოცულობათა გაზომვიდან, დროის გამოანგარიშებიდან და მექანიკიდან. მაგრამ ისევე როგორც აზროვნების ყველა დარგში, ნამდვილი ქვეყნიერებიდან აბსტრაქციაქმნილი კანონები განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეთიშება ნამდვილ ქვეყნიერებას, უპირდაპირდება მას როგორც დამოუკიდებელი რამ, როგორც გარედან მომდინარე კანონები, რომლის მიხედვით

სამყარო უნდა წარიმართოს. ასევე მოუვიდა საზოგადოებასა და სახელმწიფოს; ასე და მხოლოდ ასე ვიყენებთ შემდეგ წმინდა მათემატიკას ქვეყნიერების მიმართ, თუმცა იგი ამ ქვეყნიერებიდანაა ნასესხები და მხოლოდ მისი შემადგენელი ფორმების ერთ ნაწილს წარმოადგენს და სწორედ მხოლოდ ამიტომ შეიძლება საზოგადოდ გამოყენებულ იქნეს.

ხოლო როგორც ბატონ დიურინგს წარმოდგენილი აქვს, რომ მათემატიკური აქსიომებიდან, რომელნიც «წმინდა ლოგიკური თვალსაზრისითაც არც უშვებენ და არც საჭიროებენ დასაბუთებას», ყოველივე ცდისეული დამატების გარეშე შეიძლება მთელი წმინდა მათემატიკა გამოვიყვანოთ და შემდეგ ეს უკანასკნელი მთელი ქვეყნიერების მიმართ გამოვიყენოთო, სწორედ ისევე მას წარმოდგენილი აქვს, რომ შეიძლება ჯერ თავისი თავიდან შექმნას არსის ძირითადი ფორმები, ყოველი ცოდნის მარტივი შემადგენელი ელემენტები, ფილოსოფიის აქსიომები, მათგან მთელი ფილოსოფია ან მსოფლიო სქემატიკა გამოიყვანოს და შემდეგ ეს თავისი კონსტიტუცია ბუნებასა და კაცობრიობას მედიდურად უწყალობოს. სამწუხაროდ, ბუნება სრულიადაც არ შედგება, ხოლო კაცობრიობა მხოლოდ მეტისმეტად მცირედს ნაწილში შედგება მანტოიფელის 1850 წლის პრუსიელებისაგან[1].

მათემატიკური აქსიომები უაღრესად მჭლე აზრთა შინაარსს გამოხატავენ, ეს შინაარსი მათემატიკამ ლოგიკიდან უნდა ისესხოს. ყველა აქსიომა შეიძლება ორზე დავიყვანოთ:

1. მთელი უფრო დიდია, ვიდრე ნაწილი. ეს დებულება წმინდა ტავტოლოგიაა, იმიტომ რომ რაოდენობრივად გაგებული წარმოდგენა «ნაწილი» იმთავითვე განსაზღვრულ მიმართებაში იმყოფება წარმოდგენა «მთელთან», სახელდობრ ისე, რომ «ნაწილი» პირდაპირ გვანიშნებს—რაოდენობრივი «მთელი» მრავალი რაოდენობრივი «ნაწილისგან» შედგებაო. რამდენადაც ეგრეთწოდებული აქსიომა ამას გარკვევით ადასტურებს, ჩვენ ერთ ნაბიჯსაც კი ვერ ვდგამთ წინ. შეიძლება რამდენიმედ კიდეც დავამტკიცოთ ეს ტავტოლოგია, თუ ვიტყვით: მთელი არის ის, რაც მრავალი ნაწილისგან შედგება; ნაწილი არის ის, რაც მრავლად შეერთებული მთელს შეადგენს; მაშასადამე, ნაწილი უფრო მცირეა, ვიდრე მთელი,—აქ განმეორების სიცარიელე კიდევ უფრო ცხადჰყოფს შინაარსის სიცარიელეს.

---

[1] აქ ენგელსი ირონიულად გვანიშნებს პრუსიელთა მონურ მორჩილებას; პრუსიელებმა მიიღეს 1850 წ. კონსტიტუცია, რომლის შედგენაში მონაწილეობას იღებდა რეაქციონერი მინისტრი მანტოიფელი. რედ.

2. თუ ორი სიდიდე ცალ-ცალკე მესამეს უდრის, ისინი ერთიმეორესაც უდრიან. ეს დებულება, როგორც უკვე ჰეგელმა დაამტკიცა, დასკვნაა, რომლის სისწორისთვის ლოგიკაა თავდები, რომელიც, მაშასადამე, დამტკიცებულია, თუმცა წმინდა მათემატიკის გარეშე. დანარჩენი აქსიომები ტოლობისა და უტოლობის შესახებ მხოლოდ ამ დასკვნის ლოგიკურ გაფართოებას წარმოადგენს.

ეს მჭლე დებულებანი ვერავის ვერ აცთუნებენ ვერც მათემატიკაში და ვერც სხვაგან. თუ გვინდა წინ გადავდგათ ნაბიჯი, უნდა მოვიშველიოთ რეალური ურთიერთობანი, დამოკიდებულებანი და სივრცითი ფორმები, რომელნიც ნამდვილი სხეულებიდან არიან აღებული. ხაზების, ფართის, კუთხეების, მრავალკუთხედების, კუბების, სფეროების და სხვ. წარმოდგენანი სინამდვილიდან არიან ნასესხები, და ადამიანი იდეოლოგიურად საკმაოდ გულუბრყვილო უნდა იყოს, რათა მათემატიკოსებს დაუჯეროს, პირველი ხაზი წარმოიშვა წერტილის მოძრაობით სივრცეში, პირველი ფართი ხაზის მოძრაობით, პირველი სხეული ფართის მოძრაობითო და სხვ. თვით ენაც კი პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ. სამგანზომილებიან მათემატიკურ ფიგურას სხეული ჰქვია, corpus solidum, მაშასადამე, ლათინურში ხელშესახები სხეულიც, მაშასადამე, იგი ისეთს სახელს ატარებს, რომელიც არასგზით გონების თავისუფალი წარმოსახვიდან კი არა, ტლანქი სინამდვილიდან არის აღებული.

მაგრამ რა საჭიროა ეს გაჭიანურებული მსჯელობანი? მას შემდეგ, რაც 42 და 43 გვერდზე ბატონმა დიურინგმა აღტაცებული ხოტბა მიუძღვნა წმინდა მათემატიკის დამოუკიდებლობას ცდის ქვეყნიერებისაგან, მის აპრიორულობას, მის მუშაობას თავისი საკუთარი თავისუფალი ქმნილებებითა და გონების ფანტაზიებით, იგი 63-ე გვერდზე ამბობს: «ადვილად გამორჩებათ მხედველობიდან ის გარემოება, რომ ეს მათემატიკური ელემენტები (რიცხვი, სიდიდე, დრო, სივრცე და გეომეტრიული მოძრაობა) იდეალურია მხოლოდ მათი ფორმის მიხედვით... ამიტომ აბსოლუტური სიდიდეები სავსებით ემპირიული არიან, სულერთია რომელ გვარსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი»... მაგრამ «მათემატიკური სქემები აღჭურვილია ცდისაგან გამოთიშული და მაინც საკმაო დახასიათებით», რაც მეტად თუ ნაკლებად ყოველ აბსტრაქციაზე ითქმის, მაგრამ ეს სულაც არ ამტკიცებს, რომ ის სინამდვილიდან არაა აბსტრაქციაქმნილი. მსოფლიო სქემატიკაში წმინდა მათემატიკა წმინდა აზროვნებიდანაა წარმოშობილი,

ნატურფილოსოფიაში იგი სავსებით ემპირიული რამ, გარეგანი ქვეყნიერებიდან აღებული და შემდეგ განკერძოებული რამ ყოფილა. რომელი ერთი უნდა ვიწამოთ?

IV

ᲨᲔᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲘᲛᲐᲢᲘᲙᲐ

«ყოვლისშემცველი არსი ერთადერთია. თვითსაკმარისობაში მას არაფერი აქვს თავის გვერდით ან თავის მაღლა. მისთვის მეორე არსის მიმატება იმას ნიშნავს, რომ იგი ისეთ რამედ ვაქციოთ, რაც არ არის, სახელდობრ, უფრო ვრცელი მთელის ნაწილად ანუ შემადგენელ ელემენტად. რადგან ჩვენ მას ჩვენი ერთიანი აზრის ჩარჩოში ვსვამთ, შეუძლებელია რაიმემ, რაც ამ აზრთა ერთიანობაში შედის, გაორება შეინარჩუნოს. მაგრამ არაფერს არ შეუძლია აგრეთვე ამ აზრთა ერთიანობას გაექცეს... ყოველი აზროვნების დედაარსი მდგომარეობს ცნობიერების ელემენტების შეერთებაში ერთ მთლიანობად... იგი შეკავშირების იმ გამაერთიანებელ პუნქტს წარმოადგენს, რომლის შემწეობით სამყაროს განუყოფელი ცნება წარმოიშვა და universum[1], როგორც თვით სიტყვიდან ჩანს, შეიცნობა როგორც ისეთი რამ, სადაც ყოველივე რაიმე ერთიანობაშია შეკავშირებული».

ასე ლაპარაკობს ბატონი დიურინგი. აქ პირველადაა გამოყენებული მათემატიკური მეთოდი: «ყოველი საკითხი აქსიომატურად უნდა გადაწყდეს მარტივ ძირითად ფორმებზე, თითქოს საქმე მათემატიკის მარტივ... ძირითად დებულებებს ეხებოდესო».

«ყოვლისშემცველი არსი ერთადერთია». თუ ტავტოლოგია ანუ შემასმენელში იმის უბრალო განმეორება, რაც ქვემდებარეში უკვე გამოთქმული იყო, აქსიომას წარმოადგენს, მაშინ ჩვენ აქ წმინდა წყლის აქსიომა გვაქვს. ქვემდებარეში ბატონი დიურინგი გვეუბნება, არსი ყოველივეს მოიცავსო, ხოლო შემასმენელში უშიშრად ამტკიცებს—მაშ მის გარეშე არაფერი არსებობსო. რა კოლოსალური «სისტემის შემქმნელი აზრია»!

მართლაც-და «სისტემის შემქმნელი»! სანამ ექვს სტრიქონს განვლიდეთ, ბატონმა დიურინგმა არსის ერთადერთობა ერთიანობად აქცია ჩვენი ერთიანი აზრის შემწეობით. რადგან ყოველი აზროვნების დედაარსი ერთიანობაში მდგომარეობს, არსი, როცა იგი გაიაზრება, როგორც ერთიანი რამ, სამყაროს ცნება განუყოფელია, და რადგან გააზრებული არსი, სამყაროს

[1] — სამყარო. რედ.

ᲪᲜᲝᲑᲐ ერთიანია, ნამდვილი არსი, ნამდვილი სამყაროც ასევე განუყოფელი ერთიანობაა.ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, «მიღმურობას ადგილი აღარ აქვს, რაკი სულმა ისწავლა არსის მის ერთგვარ უნივერსალობაში ჩაწვდომაო».

ესაა ლაშქრობა, რომლის წინაშე აუსტერლიცი და იენა, ქენიგგრეცი და სედანი სავსებით ჰქრება. ორიოდე წინადადებით, რომელიც ერთ გვერდსაც კი არ შეადგენს, როგორც კი პირველი აქსიომა ავამოძრავეთ, ჩვენ უკვე გავაუქმეთ, მოვსპეთ, გავანადგურეთ მთელი მიღმურობა, ღმერთი, ზეციური მხედრობა, ცა, ჯოჯოხეთი და სალხინებელი სულის უკვდავებითურთ.

როგორ გადავდივართ არსის ერთადერთობიდან მის ერთიანობაზე? იმით რომ მას საზოგადოდ წარმოვიდგენთ. როგორც კი ჩვენი ერთიანი აზრით ჩარჩო შემოვავლეთ ერთადერთ არსს, ერთადერთი არსი აზრში ერთიანობად, აზრთა ერთიანობად იქცევაო; იმიტომ რომ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ აზროვნების არსება მდგომარეობს ცნობიერების ელემენტების ერთ მთლიანობად გაერთიანებაშიო.

ეს უკანასკნელი დებულება პირდაპირ შემცდარია. ჯერ ერთი, აზროვნება იმდენადვე წარმოადგენს ცნობიერების საგანთა მათ ელემენტებად დაშლას, რამდენადაც ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების გაერთიანებას. უანალიზოდ სინთეზი არ არსებობს. მეორეც, აზროვნებას შეუმცდარად მხოლოდ ცნობიერების იმ ელემენტების გაერთიანება შეუძლია, რომელშიც ან რომელთა რეალურ პირველ სახეებში ᲣᲙᲕᲔ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ეს ერთიანობა. მე რომ ფეხსაცმლის ჯაგრისი ძუძუმწოვართა ერთიან კატეგორიაში მოვაქციო, ამის გამო მას რძის ჯირკვლები როდი გაუჩნდება. ამრიგად, არსის ერთიანობა ანუ გამართლება არსის აზრისეული გაგებისა, როგორც ერთიანობისა, სწორედ ისაა, რის დამტკიცებაც იყო საჭირო; ხოლო თუ ბატონი ᲓᲘᲣᲠᲘᲜᲒᲘ გვარწმუნებს, მე არსი გააზრებული მაქვს როგორც ერთიანი და არა როგორც გაორებაო, ამით მხოლოდ თავის შეხედულებას გამოსთქვამს, არა სავალდებულოს სხვებისთვის.

თუ გვსურს მისი აზრთა მსვლელობა წმინდად გადმოვცეთ, იგი შემდეგია: «მე ვიწყებ არსით. მაშასადამე, ვაზროვნებ არსს. არსის აზრი ერთიანია. აზროვნება და არსი კი ურთიერთ თანხმობაში უნდა იყოს, ისინი ერთმანეთს შეესატყვისებიან, «ერთმანეთს ფარავენ». მაშასადამე, არსი სინამდვილეშიც ერთიანია. მაშასადამე, არავითარი «მიღმურობა» არ არსებობს. მაგრამ ბატონ დიურინგს ზემომოყვანილი მისნური თხრობის მაგიერ რომ ასე გულახდილად ელაპარაკა, მისი იდეოლოგია მთელი სიცხადით გამომჟღავნდებო-

და. აზროვნებისა და არსის იგივეობიდან აზროვნების რაიმე შედეგის რეალობის დამტკიცების სურვილი სწორედ ვინმე ჰეგელის ერთ-ერთი ყველაზე გიჟური ციებ-ცხელების ფანტაზია იყო.

თუნდაც ბატონი დიურინგის მთელი არგუმენტაცია სწორი იყოს, სპირიტუალისტებს იგი ერთ გოჯ ტერიტორიასაც ვერ წაართმევდა. სპირიტუალისტები მას მოკლედ უპასუხებენ: სამყარო ჩვენთვისაც განუყოფელია; სააქაოდ და საიქიოდ გათიშვა არსებობს მხოლოდ ჩვენი სპეციფიკურად ამ ქვეყნიური, ცოდვილი თვალსაზრისისათვის; თავისთავად, ე.ი. ღმერთში მთელი არსი ერთიანია. და ისინი თან გაჰყვებიან ბატონ დიურინგს სანუკვარ სხვა ციურ მნათობებზეც, და მას ერთს ან მრავალს მათგანს აჩვენებენ, სადაც არავითარი ცოდვით დაცემა არ მომხდარა, სადაც, მაშასადამე, არ არსებობს დაპირისპირება სააქაოსა და საიქიოს შორის და სადაც სამყაროს ერთიანობა რწმენის მოთხოვნილებაა.

ყველაზე სასაცილო ამ ამბავში ისაა, რომ ბატონი დიურინგი ღვთის არსებობის ონტოლოგიურ დამტკიცებას იყენებს, რათა არსის ცნებიდან ღვთის არარსებობა დაამტკიცოს. ონტოლოგიური დამტკიცება ამბობს: როცა ჩვენ ღმერთს გავიაზრებთ, მას გავიაზრებთ როგორც ყველა სრულყოფილებათა ერთობლიობას. მაგრამ ყველა სრულყოფილებათა ერთობლიობას ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, არსებობა, იმიტომ რომ არარსებული არსება აუცილებლად არასრულყოფილია. მაშასადამე, ღვთის სრულყოფილებათ არსებობაც უნდა დავუმატოთ. მაშასადამე, ღმერთი უნდა არსებობდეს.—სწორედ ასე მსჯელობს ბატონი დიურინგი: როცა ჩვენ არსს გავიაზრებთ, მას გავიაზრებთ როგორც ერთ ცნებას. რაც ერთ ცნებაშია გაერთიანებული, ის ერთიანია. მაშასადამე, არსი შესატყვისი არ იქნებოდა თავისი ცნებისა, თუ იგი ერთიანი არ ყოფილიყო. მაშასადამე, იგი ერთიანი უნდა იყოს. მაშასადამე, ღმერთი არ არსებობს და ა. შ..

როცა ჩვენ არსზე ვლაპარაკობთ და მხოლოდ არსზე, ერთიანობა მხოლოდ იმაში შეიძლება მდგომარეობდეს, რომ ყველა საგანი, რომლებზედაც ლაპარაკია, არის, არსებობს. ისინი გაერთიანებული არიან ამ, და არა სხვა, არსის ერთიანობაში, ისინი ერთიანდებიან აზრით, და ზოგად გამოთქმას, რომ ისინი ყველანი არიან, არ შეუძლია მათ რაიმე სხვა, ზოგადი ან არაზოგადი თვისება მისცეს, არამედ ეს გამოთქმა პირველ ხანებში გა-

შორიცხავს ყოველ ასეთ თვისებას განხილვიდან. იმიტომ რომ როგორც კი ჩვენ თუნდ ერთი მილიმეტრით განვშორდებით იმ მარტივ ძირითად ფაქტს, რომ ყველა ამ ნივთს საერთო არსი აქვთ, ჩვენ თვალწინ გამოდიან ამ საგნების განსხვავებანი, და იმ გარემოებიდან, რომ ყველა ნივთს მარტო არსებობა მიეწერება თანაბარზომიერად, შეუძლებელია იმის გამოყვანა—მდგომარეობს თუ არა ეს განსხვავებანი იმაში, რომ ზოგი ნივთი თეთრია, ზოგი—შავი, ზოგი—ცოცხალი, ზოგი—უსიცოცხლო, ზოგი, ვთქვათ, სააქაო, ზოგი—საიქაო.

სამყაროს ერთიანობა მდგომარეობს არა მის არსში, თუმცა მისი არსი მისი ერთიანობის წანამძღვარია, იმიტომ რომ იგი ჯერ უნდა არსებობდეს, სანამ ერთიანი გახდებოდეს. არსი საზოგადოდ ღია საკითხია იმ საზღვრიდან, სადაც ჩვენი თვალთახედვის წრე თავდება. სამყაროს ნამდვილი ერთიანობა მის მატერიალობაში მდგომარეობს, და ეს მტკიცდება არა რამდენიმე ოინბაზური ფრაზით, არამედ ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერების ხანგრძლივი და ნელი განვითარებით.

გავუვეთ ტექსტს. არსი, რომელზედაც ჩვენ ბატონი დიურინგი მოგვითხრობს, არის «არა ის წმინდა არსი, რომელიც თავის თავს უდრის, მოკლებული უნდა იყოს ყველა განსაკუთრებულ განსაზღვრას, და ნამდვილად აზრთა არარაობის ან აზრთა უქონლობის ასახვას წარმოადგენს». მაგრამ ძლიერ ჩქარა ჩვენ დავინახავთ, რომ ბატონი დიურინგის სამყარო იწყება ისეთი არსით, რომელიც მოკლებულია ყოველივე შინაგან განსხვავებას, ყოველ მოძრაობასა და ცვლილებას და, მაშასადამე, ფაქტიურად აზრთა არარაობის ასახვას, მაშასადამე, ნამდვილ არარაობას წარმოადგენს. მხოლოდ ამ არს-არარაობისგან ვითარდება დღევანდელი დიფერენცირებული, ცვალებადი, განვითარების, ქმნადობის გამომხატველი სამყაროს მდგომარეობა; და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ ეს შევიგნეთ, ვაღწევთ იმას, რომ ამ მუდმივ გარდაქმნებში «ვინარჩუნებთ უნივერსალური არსის თავის თავის თანასწორ ცნებას». მაშასადამე, ჩვენ ახლა გვაქვს არსის ცნება უფრო მაღალ საფეხურზე, სადაც იგი მოიცავს როგორც სიმყარეს, ისე ცვალებადობას, როგორც არსს, ისე ქმნადობას. როდესაც ამ პუნქტს ვაღწევთ, ვამჩნევთ რომ «გვარი და სახე, საერთოდ ზოგადი და კერძო უმარტივესი განმასხვავებელი საშუალებანია, ურომლისოდაც შეუძლებელია საგანთა მოწყობილობის გაგება». მაგრამ ეს თვისებრიობის განსხვავების საშუალებანია; მათი განხილვის

შემდეგ ჩვენ წინ მივდივართ: «გვარის ცნების პირისპირ დგას სიდიდის ცნება, როგორც ისეთი ერთგვარისა, რომელშიც აღარ არსებობს სახეთა დიფერენციაცია»; ეს ნიშნავს, რომ თვისებრიობიდან რაოდენობაზე გადავდივართ, ხოლო ეს უკანასკნელი მუდამ შეიძლება «გაზომილ იქნეს».

შევადაროთ ეს «მკვეთრი გათიშვა საყოველთაო მოქმედი სქემებისა» და მათი «ნამდვილი კრიტიკული თვალსაზრისი» ვინმე ჰეგელის ძნელად მოსანელებელ აზრებს, აბდაუბდასა და ციებ-ცხელების ფანტაზიებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ჰეგელის ლოგიკა ისე როგორც ბატონი დიურინგის ლოგიკა არსით იწყება; რომ არსი, ისევე როგორც ბატონი დიურინგის ფილოსოფიაში, მეორდება როგორც არარაობა; რომ ამ «არს-არარაობიდან» გადასვლა ხდება ქმნადობისაკენ, რომლის შედეგია მუნარსებობა (Dasein), ე. ი. არსის (Sein), უმაღლესი, აღვსებული ფორმა, სწორედ ისევე როგორც ბატონი დიურინგის ფილოსოფიაში. მუნარსებობას თვისებრიობისაკენ მივყავართ, თვისებრიობას რაოდენობისკენ, სწორედ ისევე როგორც ბატონი დიურინგის ნაწერებში; და რათა სურათი სრული იქნეს, ბატონი დიურინგი სხვა შემთხვევის გამო მოგვითხრობს: «შეუგრძნებლობის სამეფოდან შეგრძნების სამეფოში ყოველივე რაოდენობითი თანდათანობის მიუხედავად მხოლოდ თვისებრივი ნახტომის შემწეობით გადავდივართ, რომლის შესახებ ჩვენ... შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ იგი დაუსრულებლივ განსხვავდება ერთი და იმავე თვისების უბრალო გრადაციისაგან». ეს სავსებით ჰეგელის ზომის შეფარდებათა კვანძური ხაზია, სადაც წმინდა რაოდენობითი გადიდება ან შემცირება განსაზღვრულ საკვანძო წერტილებში თვისებრივ ნახტომს იწვევს, როგორც, მაგ., წყლის გათბობისა ან გაცივების დროს, როცა დუღილისა და გაყინვის წერტილები წარმოადგენენ კვანძებს, სადაც ნორმალური წნევისას ხდება ნახტომი ახალ აგრეგატულ მდგომარეობაში, მაშასადამე, სადაც რაოდენობა თვისებრიობაში გადადის.

ჩვენი გამოკვლევაც შეეცადა ფესვებამდე მიეღწია, და აღმოჩნდა, რომ დიურინგის საფუძვლიანი ძირითადი სქემების ფესვებს წარმოადგენს ვინმე ჰეგელის «ციებ-ცხელების ფანტაზიები», ჰეგელის «ლოგიკის» პირველი ნაწილის კატეგორიები, მოძღვრება არსის შესახებ, მკაცრი, ძველი ჰეგელური «თანმიმდევრობით» და პლაგიატის დაფარვის თითქმის ყოველგვარი ცდის გარეშე.

მაგრამ ბატონი დიურინგი არ კმაყოფილდება იმით, რომ მან მის მიერვე ცილდაწამებულ წინამორბედს მოსტაცა მთელი მისი სქემატიკა არსის შესახებ. მას კიდევ კადნიერება შესწევს, მას შემდეგ, რაც თვით მოგვცა ზემომოყვანილი ნიმუში რაოდენობის თვისებრიობაში ნახტომისებური გადასვლისა, მარქსის შესახებ თქვას: «როგორ კომიკურია, მაგალითად (მარქსის მიერ), ჰეგელის იმ არეული და ბუნდოვანი წარმოდგენის დამოწმება, რომ რაოდენობა თვისებრიობად გარდიქმნებაო!».

სწორედ ესაა არეულ-დარეული, ბუნდოვანი წარმოდგენა! ვინ გარდაიქმნება აქ და ვისი ქცევაა კომიკური, ბატონო დიურინგ?

მაშასადამე, ყველა ეს მშვენიერი საქმენი არა თუ «აქსიომატურად გადაჭრილი» არაა, როგორც ამას წესი მოითხოვდა, არამედ უბრალოდ გარედან, ე. ი. ჰეგელის «ლოგიკიდან» არის შემოტანილი. ამასთანავე ისე, რომ მთელ თავში შინაგანი კავშირის ლანდიც კი არა ჩანს, თუ ეს კავშირი ჰეგელიდან არაა ნასესხები, და მთელი ამბავი ბოლოს იქცევა უშინაარსო ჭკუის ძალდატანებულ ბრძნობად სივრცესა და დროზე, მუდმივობასა და ცვალებადობაზე.

არსიდან ჰეგელი არსებაზე, დიალექტიკაზე გადადის. აქ იგი განიხილავს რეფლექსიის განსაზღვრებათ, მათ შინაგან დაპირისპირებებსა და წინააღმდეგობებს, როგორიცაა, მაგ., დადებითი და უარყოფითი, შემდეგ გადადის მიზეზობრიობაზე ანუ მიზეზისა და შედეგის ურთიერთობაზე და ბოლოს აუცილებლობით ამთავრებს. არც ბატონი დიურინგი იქცევა სხვანაირად. რასაც ჰეგელი უწოდებს მოძღვრებას არსებაზე, ბატონი დიურინგი თარგმნის სიტყვით: «არსის ლოგიკური თვისებები». ესენი კი, უწინარეს ყოვლისა, «ძალთა ანტაგონიზმში», დაპირისპირებებში მდგომარეობს. რაც შეეხება წინააღმდეგობას, ბატონი დიურინგი მას რადიკალურად უარყოფს; ჩვენ შემდეგ დავუბრუნდებით ამ თემას. შემდეგ იგი გადადის მიზეზობრიობაზე და აქედან აუცილებლობაზე. ამიტომ როცა ბატონი დიურინგი თავის თავზე ამბობს: «ჩვენ, რომელნიც გალიიდან არ ვფილოსოფოსობთო», იგი, ალბათ, გულისხმობს, რომ ის გალიაში ფილოსოფოსობს, სახელდობრ, ჰეგელის კატეგორიათა სქემატიზმის გალიაში.

V

ნატურფილოსოფია. დრო და სივრცე

ახლა ნატურფილოსოფიაზე გადავდივართ. აქაც ბატონ დიურინგს ყოველგვარი საბუთი აქვს უკმაყოფილო იყოს თავისი წინამორბედებით. ნატურფილოსოფია «ისე ღრმად დაეცა, რომ იგი უდაბურ, უმეცრებაზე დაყრდნობილ ცრუ პოეზიად იქცაო» და «ხელში ჩაუვარდა ვიღაც შელინგის და მის მსგავსთა პროსტიტუციაქმნილ ფილოსოფასტერიას, ამ ვაჟბატონებს თავი მოაქვთ თავიანთი ხარახურით აბსოლუტის ქურუმებად და საზოგადოებას ატყუებენო. დაქანცულობამ გვიხსნა «ამ მახინჯებისაგან», მაგრამ დღემდე მხოლოდ «მერყეობისთვის» გაანთავისუფლა ადგილიო; «ხოლო რაც შეეხება ფართო საზოგადოებას, აქ, როგორც ცნობილია, დიდი შარლატანის წასვლა მხოლოდ საბაბს აძლევს უფრო პატარა, მაგრამ გამოქექილ მემკვიდრეს წინამორბედის ყველა ოინი გაიმეოროს სხვა აბრის ქვეშ». თვით ბუნებისმკვლევარნი ნაკლებ «სურვილს გრძნობენ სამყაროს მომცველი იდეების სამეფოში გაისეირნონ» და ამიტომ თეორიულ დარგში მხოლოდ «არეულ-დარეულ, ნაჩქარევ განზოგადოებებს» აკეთებენ. ერთი სიტყვით, აქ დაბეჯითებით საჭიროა დახმარება და საბედნიეროდ ბატონი დიურინგიც თავის პოსტზე დგას.

რათა მართებულად შევაფასოთ მომდევნო გამომჟღავნებანი სამყაროს გაშლის შესახებ დროში და მისი შეზღუდულობის შესაებ სივრცეში, კიდევ რამდენიმე ადგილს უნდა მივმართოთ «სამყაროს სქემატიკაში».

არსს, ჰეგელის თანახმადაც, («ენციკლოპედია», § 93) მიეწერება უსასრულობა, რასაც ჰეგელი ცუდ უსასრულობას უწოდებს და ახლა ამ უსასრულობას იკვლევს. «ყველაზე გარკვეული სახე უსასრულობისა, რომელიც შეიძლება წინააღმეგობის გარეშე წარმოვიდგინოთ, არის რიცხვების უსასრულო დაგროვება რიცხვების მწკრივში... როგორც ჩვენ ყოველ რიცხვს შეიძლება კიდევ ერთი ერთეული მივუმატოთ ისე, რომ შემდგომი ანგარიშის შესაძლებლობა არ ამოიწურება, ისე არსის ყოველ მდგომარეობას შემდგომი მდგომარეობა ემატება, და უსასრულობაც ამ მდგომარეობათა უსაზღვრო წარმოშობაში მდგომარეობს. ამიტომ ამ ზედმიწევნით გააზრებულ უსასრულობას მხოლოდ ერთადერთი ძირითადი ფორმა აქვს ერთადერთი მიმართულებით. ვინაიდან, თუ კერძოდ ჩვენი აზროვნებისთვის სულერთია, აღნიშნოს თუ არა

შეცვლილ მდგომარეობათა დაგროვება საპირისპირო მიმართულებითაც, ამგვარი უკუმიმავალი უსასრულობა მაინც ნაჩქარევი წარმოდგენის ქმნილებაა. რადგან იგი სინამდვილეში შებრუნებული მიმართულებით უნდა გაგვეცლო, ყოველ მის მდგომარეობაში მას დაუსრულებელი რიცხვთა მწკრივი ექნებოდა თავის უკან. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით გადათვლილ უსასრულო რიცხვთა მწკრივის დაუშვებელ წინააღმდეგობას და, ამრიგად, უსასრულობის კიდევ მეორე მიმართულების გულისხმობა უაზროა».

პირველი დასკვნა, რომელიც უსასრულობის ასეთი გაგებიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ მიზეზთა და შედეგთა გადაჯაჭვას სამყაროში ოდესმე დასაწყისი უნდა ჰქონოდაო: «მიზეზთა დაუსრულებელი რიცხვი, რომელიც თითქოს ერთიმეორეს უნდა მიჯროდა, უკვე იმიტომაა წარმოუდგენელი, რომ იგი ურიცხვს დათვლილად გულისხმობს». მაშასადამე, დამტკიცებულია საბოლოო მიზეზის არსებობა.

მეორე დასკვნაა «განსაზღვრული რიცხვის კანონი: დამოუკიდებელ ობიექტთა რომელიმე რეალური გვარის იდენტურ ელემენტთა დაგროვება შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ როგორც განსაზღვრული რიცხვის შექმნა». დროის ყოველ პუნქტში თავისთავად განსაზღვრული უნდა იყოს არა მარტო სამყაროს სხეულთა არსებული რიცხვი, არამედ სამყაროში არსებული მატერიის უმცირესი დამოუკიდებელი ნაწილების საერთო რაოდენობაც. უკანასკნელი აუცილებლობა წარმოადგენს ნამდვილ საფუძველს—რატომაა შეუძლებელი რაიმე შეერთების გააზრება ატომების გარეშე. ყოველ ნამდვილ გაყოფილობას მუდამ დასრულებული განსაზღვრულობა აქვს და კიდეც უნდა ჰქონდეს, თუ გვინდა რომ თავიდან ავიცილოთ დათვლილი ურიცხვის წინააღმდეგობა. ამავე საფუძვლით არა მარტო განსაზღვრული უნდა იყოს მზის გარშემო დედამიწის მიერ უკვე შესრულებულ მობრუნებათა უცნობი რიცხვი, არამედ რაიმე დასაბამი უნდა ჰქონდეს ყველა პერიოდულ ბუნებრივ პროცესსაც, და ბუნების ყველა დიფერენციაცია, ყველა მრავალფეროვანებანი, რომელნიც ერთიმეორეს მოსდევენ, ფესვგადგმული უნდა იყვნენ რომელიმე თავის თავის თანასწორ მდგომარეობაში. ეს მდგომარეობა შეიძლება წინააღმდეგობის გარეშე მარადისობიდან არსებულად წარმოვიდგინოთ, მაგრამ ეს წარმოდგენაც შეუძლებელი იქნებოდა, თუ დრო თავისთავად რეალური ნაწილებისგან ყოფილიყო შემდგარი და ჩვენი განსჯის მიერ თვითნე-

ბურად არ იყოფოდეს შესაძლებლობათა მხოლოდ იდეალური დადგინებით. სხვაგვარია საქმის ვითარება დროის რეალური და თავის თავში განსხვავებული შინაარსის მიმართ; დროის ეს ნამდვილი ავსება ერთმანეთში განსხვავებული ფაქტებით და ამ დარგის არსებობის ფორმები, სწორედ ამ განსხვავების გამო, სწორედ იმას ეკუთვნის, რაც შეიძლება დათვლილ იქნეს. თუ წარმოვიდგენთ ისეთ მდგომარეობას, რომელიც არ განიცდის ცვლილებებს და თავის თავისადმი ტოლობაში არ იძლევა თანმიმდევრობის არავითარ განსხვავებას, ამ შემთხვევაში დროის სპეციალური ცნება არსის უფრო ზოგად იდეად იქცევა. სრულიად წარმოუდგენელია, რას უნდა ნიშნავდეს ცარიელი ხანგრძლივობის დაგროვება.—ასეთია ბატონი დიურინგის მსჯელობა, იგი დიდად კმაყოფილია ამ აღმოჩენათა მნიშვნელობით. ის თავდაპირველად იმედს გამოთქვამს, რომ მათ ყოველ შემთხვევაში არ ჩათვლიან მცირე მნიშვნელოვანქმარიტებად; მაგრამ შემდეგ იგი ამბობს: «გავიხსენოთ ი ს უ ა ღ რ ე ს ა დ მ ა რ ტ ი ვ ი ხერხები, რომელთა შემწეობით ჩ ვ ე ნ უსასრულობის ცნებებსა და მათ კრიტიკას დ ღ ე მ დ ე უ ც ნ ო ბ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა მივანიჭეთ... გავიხსენოთ სივრცისა და დროის უნივერსალური გაგების ელემენტები, რომელნიც ესოდენ მ ა რ ტ ი ვ ა დ არიან ჩამოყალიბებული თანამედროვე გამძაფრებისა და გაღრმავების წყალობით».

ჩ ვ ე ნ მივანიჭეთო! თანამედროვე გაღრმავება და გამძაფრებაო! ვინ ვართ ეს ჩვენ და როდის ხდება ეს თანამედროვეობა? ვინ აღრმავებს და ამძაფრებს?

«თეზისი. სამყაროს დასაბამი აქვს დროში, ხოლო სივრცის მიხედვით საზღვრებშია მოქცეული.—დამტკიცება: წარმოვიდგინოთ, რომ სამყაროს დასაბამი არა აქვს დროის მიხედვით, მაშინ გამოდის, რომ მარადისობას გაუვლია დროის ყოველ მოცემულ პუნქტამდე და, მაშასადამე, სამყაროში მომხდარა საგანთა ერთიმეორის მომდევნო მდგომარეობათა დაუსრულებელი რიგი. რიგის დაუსრულებლობა კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვერასოდეს ვერ დასრულდება თანმიმდევარი სინთეზის შემწეობით. მაშასადამე, დაუსრულებელი განვლილი მსოფლიო რიგი შეუძლებელია, ამრიგად, სამყაროს დასაბამი მისი არსებობის აუცილებელი პირობაა, რაც პირველად უნდა დამტკიცებულიყო. რაც შეეხება თეზისის მეორე ნახევარს, დავუშვათ კვლავ საპირისპირო მტკიცება, რომ სამყარო წარმოადგენს ერთდროულად არსებული საგნების დაუსრულებელ მოცემულ მთელს. მაგრამ ისე-

თი რაოდენობის სიდიდე, რომელიც მოცემული არაა განჭვრეტის განსაზღვრულ ფარგლებში, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ნაწილთა სინთეზით, ხოლო ასეთი რაოდენობის მთლიანობა — მხოლოდ დასრულებული სინთეზის ან ერთეულის თავის თავთან განმეორებითი მიმატებით. ამიტომ, რათა ყველა სივრცის ამავსებელი სამყარო მთლიანობად წარმოვიდგინოთ, აუცილებლად საჭიროა, რომ დასრულებულად განვიხილოთ დაუსრულებელი სამყაროს ნაწილების თანმიმდევარი სინთეზი, ე. ი. საჭირო გახდებოდა დაუსრულებელი დრო, რომელიც აუცილებელია ყველა თანაარსებული საგნების აღრიცხვისთვის, განხილული ყოფილიყო როგორც განვლილი, რაც შეუძლებელია. ამრიგად, შეუძლებელია ნამდვილი საგნების დაუსრულებელ აგრეგატს შევხედოთ როგორც მოცემულ მთელს, ამასთანავე იგი არ შეიძლება აგრეთვე განხილული იქნეს როგორც ერთდროულად მოცემული. მაშასადამე, სამყარო, სივრცეში განვრცობის მხრივ, არაა დაუსრულებელი, არამედ თავის საზღვრებშია მომწყვდეული—ეს მეორე, რაც უნდა დამტკიცებულიყო».

ეს დებულებანი სიტყვასიტყვითაა ამოწერილი ერთი კარგად ცნობილი წიგნიდან, რომელიც პირველად 1781 წელს გამოქვეყნდა და რომელსაც იმანუელ კანტის «წმინდა გონების კრიტიკა» ჰქვია, იქ ისინი ყველას შეუძლია წაიკითხოს მეორე წიგნის მეორე განყოფილების პირველ ნაწილში, თავი II, § 2: წმინდა გონების პირველი ანტინომია. ამრიგად, ბატონ დიურინგს მხოლოდ პატივი ეკუთვნის, რომ «განსაზღვრული რიცხვის კანონის» სახელი კანტის მიერ გამოთქმულ აზრს მიაწება და აღმოაჩინა, რომ იყო დრო, როცა არავითარი დრო არ იყო, სამყარო კი არსებობდაო. ყოველივე დანარჩენისთვის, მაშასადამე, ყველაფრისათვის, რასაც ბატონი დიურინგის მსჯელობაში კიდევ ცოტაოდენი აზრი აქვს, «ჩვენ»—იმანუელ კანტია, ხოლო «თანამედროვეობა» სულ ოთხმოცდათხუთმეტი წლისაა მხოლოდ! მართლაც რომ «მეტად მარტივი» ამბავია! საოცარი, «დღემდე უცნობი მნიშვნელობა»!

მაგრამ კანტი სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ზემოთ მოყვანილი დებულებანი ამოწურულია მისი დამტკიცებით. პირიქით, მეორე მოპირდაპირე გვერდზე იგი საწინააღმდეგოს ამბობს და ამტკიცებს: რომ სამყაროს დროში დასაბამი არა აქვს, ხოლო სივრცეში დასასრულიო; კანტი სწორედ იმაში ხედავს ანტინომიას, გადაუჭრელ წინააღმდეგობას, რომ ერთი დებულება ისევე შეიძლება დამტკიცდეს, როგორც მეორეო. უფრო ნაკლები ყალიბის ადა-

მიანები შეიძლება ჩაფიქრებოდნენ იმ გარემოებას, რომ «ვინმე კანტმა» აქ გადაუჭრელი სიძნელე აღმოაჩინა. მაგრამ ასეთი არაა ჩვენი მამაცი დამამზადებელი «სრულიად თავისებური შედეგებისა და შეხედულებებისა»: იგი შეუშფოთებლად იწერს, რაც მას კანტის ანტინომიიდან გამოადგება, ხოლო დანარჩენს განზე ისვრის.

თვით საკითხი ძალიან მარტივად წყდება. მარადისობა დროში, დაუსრულებლობა სივრცეში,—როგორც ეს ნათლად ჩანს პირველი შეხედვითვე და შეესაბამება ამ სიტყვების პირდაპირ აზრს,—იმაში მდგომარეობს, რომ მათ არა აქვთ დასასრული ა რ ა ვ ი თ ა რ ი მიმართულებით, არც წინ, არც უკან, არც ზევით, არც ქვევით, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ. ეს უსასრულობა სულ სხვანაირია, ვიდრე უსასრულო მწკრივისა, იმიტომ რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის პირდაპირ ერთით, პირველი წევრით იწყება. ამ მწკრივის წარმოდგენის გამოუსადეგობა ჩვენს საგანზე მაშინვე ნათელი გახდება, როგორც კი მას სივრცეს მივუყენებთ. უსასრულო მწკრივი, სივრცეზე გადატანილი, წარმოადგენს განსაზღვრული წერტილიდან განსაზღვრული მიმართულებით უსასრულობაში გაყვანილ ხაზს. განა ამით თუნდაც ოდნავ მაინც გამოიხატება სივრცის უსასრულობა? პირიქით, საჭიროა ამ ერთი წერტილიდან არა ნაკლებ ექვსი ხაზის გატარება სამმაგად საწინააღმდეგო მიმართულებით, რათა სივრცის განზომილებები გავიგოთ; ამ შემთხვევაში ექვს ასეთ განზომილებას მივიღებდით. კანტი ამას ისე კარგად ხედავდა, რომ მან თავისი რიცხვების მწკრივი არაპირდაპირ, მოხვეული გზით სამყაროს სივრცობრიობაზე გადაიტანა. ბატონი დიურინგი, პირიქით, გვაიძულებს სივრცის ექვსი განზომილება მივიღოთ, და ამავე დროს ამის შემდეგ იქვე საკმაო სიტყვებს ვერ პოულობს თავისი აღშფოთების გამოსახატავად გაუსის მათემატიკური მისტიციზმის გამო, რომელსაც არ სურდა სივრცის ჩვეულებრივი სამი განზომილებით დაკმაყოფილებულიყოო.

დროის მიმართ გამოყენებისას ორი მხრით უსასრულო ხაზს ან ორივე მხრივ ერთეულთა უსასრულო მწკრივს ერთგვარი სახობრივი აზრი აქვს. მაგრამ თუ ჩვენ დროს წარმოვიდგენთ როგორც ერთიდან აღრიცხულს, ან განსაზღვრული წ ე რ ტ ი ლ ი დ ა ნ გამომავალ ხაზს, ამით იმთავითვე ვიტყვით, რომ დროს დასაბამი აქვსო; ჩვენ ვიგულისხმებთ სწორედ იმას, რის დამტკიცება გვინდოდა. ჩვენ დროის უსასრულობას ცალმხრივ, სანახევრო ხასიათს ვაძლევთ; მაგრამ ცალმხრივი, განახევრებული უსასრუ-

ლობაც შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, იგი სწორედ უპირისპირდება «წინააღმდეგობის გარეშე გააზრებულ უსასრულობას». ამ წინააღმდეგობას მხოლოდ მაშინ დავაღწევთ თავს, თუ დავუშვებთ, რომ ერთი, რომლითაც ჩვენ მწკრივის დათვლა დავიწყეთ, წერტილი, საიდანაც ჩვენ ხაზს ვზომავთ, წარმოადგენს რომელიც გნებავთ ერთეულს მწკრივში, რომელიც გნებავთ წერტილს ხაზში, ისე რომ ხაზისა ან მწკრივისათვის სულერთია, სად მოვათავსებთ მათ.

როგორ-ღა მოვექცეთ «დათვლილ უსასრულო რიცხვთა მწკრივის» წინააღმდეგობას? ჩვენ შეგვეძლება იგი დაახლოებით გამოვიკვლიოთ, როცა ბატონი დიურინგი გვიჩვენებს ოინს, როგორ დ ა ვ ი თ ვ ა ლ ო თ ეს უსასრულო მწკრივი, როცა იგი მოახერხებს—∞ (მინუს უსასრულობიდან) ნულამდე დაითვალოს, მაშინ, დაე ხელახლა ჩვენთან მოვიდეს. ცხადია, რომ საიდანაც არ უნდა დაიწყოს დათვლა, უსასრულო მწკრივს დატოვებს თავის უკან, ხოლო ამასთანავე გადასაწყვეტ ამოცანასაც. დაე მან თავისი საკუთარი უსასრულო მწკრივი 1+2+3+4... შეაბრუნოს და სცადოს დაუსრულებელი ბოლოდან კვლავ ერთისაკენ დაითვალოს; ცხადია, ეს ისეთი ადამიანის ცდაა, რომელსაც არ ესმის საქმის ვითარება. კიდევ მეტს ვიტყვით. როცა ბატონი დიურინგი ამტკიცებს, განვლილი დროის უსასრულო მწკრივი დათვლილიაო, იგი ამით ამბობს, რომ დროს დასაწყისი აქვსო; სხვაფრივ, მას არც შეეძლო «დათვლის» დაწყება. მაშასადამე, იგი წანამძღვარის სახით ხელახლა იმას გულისხმობს, რაც უნდა დაამტკიცოს. მაშასადამე, დათვლილი უსასრულო მწკრივის წარმოდგენა, ანუ სხვა სიტყვებით, სამყაროს მომცველი დიურინგისეული კანონი განსაზღვრული რიცხვისა წარმოადგენს contradictio in adjecto[1]-ს, წინააღმდეგობას შეიცავს, ისიც უ ა ზ რ ო წინააღმდეგობას.

ცხადია, რომ უსასრულობა, რომელსაც დასასრული აქვს, მაგრამ დასაწყისი კი არა, არა მეტად და არა ნაკლებად დაუსრულებელია, ვიდრე უსასრულობა, რომელსაც დასაწყისი აქვს, მაგრამ დასასრული კი არა. ბატონ დიურინგს რომ დიალექტიკური აზროვნების ნატამალი ჰქონოდა, იგი იტყოდა, რომ დასაწყისი და დასასრული აუცილებლად დაკავშირებული არიან როგორც ჩრდილო პოლუსი და სამხრეთი პოლუსი, და რომ, თუ დასასრულს უკუვაგდებთ, დასაწყისი დასასრულად იქცევა, იმ ე რ თ დასასრულად, რომელიც

[1] წინააღმდეგობა განსაზღვრაში, ზედსართავ სახელში, ე. ი. საგანსა და მის განსაზღვრას შორის (მაგალითად, «ხის რკინა», «რგვალი კვადრატი» და სხვ. მისთ.). რ ე დ.

მწკრივს აქვს, და პირიქით. ეს შეცდომა შეუძლებელი იქნებოდა, თუ არ გვქონოდა მათემატიკური ჩვეულება უსასრულო მწკრივებით ოპერაციების წარმოებისა. რადგან მათემატიკაში განსაზღვრულიდან, დასრულებულიდან უნდა გამოვიდეთ, რათა განუსაზღვრელთან, დაუსრულებელთან მივიდეთ, ყველა მათემატიკური მწკრივი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, ერთით უნდა დაიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მათი შემწეობით ანგარიში. მათემატიკოსის იდეალური მოთხოვნილება კი სრულიადაც იძულებით კანონს არ წარმოადგენს რეალური სამყაროსთვის.

ესეცაა, რომ ბატონი დიურინგი ვერასოდეს ვერ მოახერხებს ნამდვილი უსასრულობა წარმოიდგინოს წინააღმდეგობის გარეშე. უსასრულობა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ა და იგი აღსავსეა წინააღმდეგობებით. წინააღმდეგობაა უკვე ის, რომ უსასრულობა მარტო დასრულებული სიდიდეებისაგან უნდა შედგებოდეს, ეს კი სწორედ ასეა. მატერიალური სამყაროს შეზღუდულობა არა ნაკლებ წინააღმდეგობათ იწვევს, ვიდრე მისი განუსაზღვრელობა, და ყოველი ცდა ამ წინააღმდეგობათა გადალახვისა, როგორც დავინახეთ, ახალ და უარეს წინააღმდეგობებს იწვევს. სწორედ ი მ ი ტ ო მ, რომ უსასრულობა წინააღმდეგობაა, იგი დაუსრულებელ, დროსა და სივრცეში დაუსრულებლად გაშლილ პროცესს წარმოადგენს. წინააღმდეგობის მოსპობა უსასრულობის ბოლო იქნებოდა. ეს უკვე ჰეგელმა გაიგო სრულიად სწორად და ამიტომ იგი დამსახურებული ზიზღით ეპყრობოდა იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ამ წინააღმდეგობაზე იტეხდნენ თავს.

გავყვეთ ქვევით. მაშასადამე, დროს დასაწყისი ჰქონებია. რა იყო ამ დასაწყისამდე? სამყარო, რომელიც თავის თავის თანასწორ, უცვლელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. და რადგან ამ მდგომარეობაში არავითარი ცვლილებები არ მოსდევს ერთიმეორეს, დროის სპეციალური ცნება იქცევა ა რ ს ი ს უფრო ზოგად იდეად. ერთი, რომ ჩვენ აქ სრულიადაც არ გვაინტერესებს, რა ცნებები იცვლება ბატონი დიურინგის თავში. საქმე ეხება არა დროის ც ნ ე ბ ა ს, არამედ ნ ა მ დ ვ ი ლ დროს, რომელსაც ბატონი დიურინგი ასე ადვილად თავს ვერ დააღწევს. მეორე, თუნდ დროს ცნება არსის ზოგად იდეად იქცეს, ამით ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ. იმიტომ რომ ყოველი არსის ძირითადი ფორმა სივრცე და დროა, და არსი დროის გარეშე ისეთივე დიდი უაზრობაა, როგორც არსი სივრცის გარეშე. ჰეგელის «დროის გარეშე განვლილი არსი» და ახალ-შელინგისეული «წინა-

რე მარადისმყოფი არსი» ჯერ კიდევ რაციონალური წარმოდგენებია ამ დროის გარეშე არსთან შედარებით. ამიტომ ბატონი დიურინგი ძალიან ფრთხილად ჰკიდებს ხელს საქმეს: კაცმა რომ თქვას, ეს დრო კი არის, მაგრამ ისეთი დრო, რომ არსებითად დრო არც კი დაერქმისო; დრო ხომ თავისთავად სრულიადაც არ შედგება რეალური ნაწილებისაგან, მას მხოლოდ ჩვენი გონება ანაწილებს სურვილისამებრო; დასათვლელის დარგს ეკუთვნის მხოლოდ დროის ნამდვილი აღვსება ერთმანეთისაგან განსასხვავებელი ფაქტებით—ხოლო რას ნიშნავს ცარიელი ხანგრძლივობის დაგროვება, ეს სრულიად გაუგებარია. ჩვენთვის აქ სავსებით სულერთია, რას უნდა ნიშნავდეს ეს დაგროვება; საკითხავია მხოლოდ, გრძელდება თუ არა, განიცდის თუ არა ხანგრძლივობას დროში სამყარო, რომელიც აქ ნაგულისხმევ მდგომარეობაში იმყოფება? ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ არაფერი გამოდის ასეთი უშინაარსო ხანგრძლივობის გაზომვისაგან, ისევე როგორც არაფერი გამოვა ცარიელი სივრცის უმიზნო და უსაგნო გაზომვისაგან, და ჰეგელი სწორედ ასეთი საქმიანობის მოსაწყენი ხასიათის გამო ამ უსასრულობას ცუდ უსასრულობას უწოდებს. ბატონი დიურინგის მიხედვით დრო მხოლოდ ცვლილების წყალობით არსებობს და არა ცვლილება არსებობს დროში და დროს შემწეობით. სწორედ იმიტომ, რომ დრო განსხვავდება, დამოუკიდებელია ცვლილებისაგან, შეიძლება იგი ცვლილებით გავზომოთ, იმიტომ რომ გაზომვისთვის მუდამ საჭიროა ვიქონიოთ გასაზომი საგნისაგან განსხვავებული რამ. და დრო, რომელშიც არავითარი შესაცნობი ცვლილებანი არ ხდება, ძალიან დაშორებულია იმას, რომ ა რ ა ვ ი თ ა რ ი დრო ა რ იყოს; პირიქით, იგი წ მ ი ნ დ ა, უცხო ნარევისაგან თავისუფალი, მაშასადამე, ეშმარიტი დროა, დრო რ ო გ ო რ ც ა ს ე თ ი. მართლაც, როცა ჩვენ გვინდა დროის ცნებას მთელს მის სიწმინდეში ჩავწვდეთ, გამოთიშულს ყოველი უცხო და შეუსაბამო ნარევისაგან, ჩვენ იძულებული ვართ ყველა სხვადასხვანაირი მოვლენა, რომელიც დროში ხდება ერთიმეორის გვერდით და ერთიმეორის მიყოლებით, გვერდით გადავდოთ როგორც საქმისთვის მიუკუთვნებელი და, ამრიგად, წარმოვიდგინოთ დრო, სადაც არაფერი ხდება. მაშასადამე, ამით ჩვენ დროის ცნება კი არ ჩავძირეთ არსის ზოგად იდეაში, არამედ სწორედ ამით დროის წმინდა ცნებას პირველად მივაღწიეთ.

მაგრამ ყველა ეს წინააღმდეგობანი და შეუსაბამობანი ჯერ კიდევ წმინდა ბავშვური თამაშობაა იმ არევდარევასთან შედარებით,

რომელშიც ბატონი დიურინგი ვარდება სამყაროს თავისი თავის თანასწორი საწყისი მდგომარეობით. თუ სამყარო ოდესმე ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელშიც აბსოლუტურად არავითარი ცვლილება არ ხდებოდა, როგორ შეეძლო ამ მდგომარეობიდან ცვლილებაზე გადასულიყო? შეუძლებელია, ის, რაც აბსოლუტურად უცვლელი იყო და ამასთანავე მარადისობიდან ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, თავისთავად ამ მდგომარეობიდან გამოსულიყო და მოძრაობისა და ცვალებადობის მდგომარეობაში გადასულიყო. მაშასადამე, მას გარედან, სამყაროს გარედან უნდა მისცემოდა პირველი ბიძგი, რომელმაც იგი აამოძრავა. მაგრამ «პირველი ბიძგი», როგორც ცნობილია, ღმერთის მეორე სახელია. ბატონ დიურინგს, რომელიც თავის სამყაროს სქემატიკაში გვარწმუნებდა, ღმერთსა და საიქიოს საბოლოოდ ავყარე საჭურველიო, ორიეე ხელახლა შემოჰყავს ნატურფილოსოფიაში გამძაფრებული და გაღრმავებული სახით.

შემდეგ ბატონი დიურინგი ამბობს: «სადაც სიდიდე არსის უცვლელ ელემენტს მიეკუთვნება, იგი უცვლელი დარჩება თავის განსაზღვრულობაში. ეს ითქმის... მატერიისა და მექანიკური ძალის შესახებ». სხვათა შორის, პირველი წინადადება ბატონი დიურინგის აქსიომატურ-ტავტოლოგიური მაღალი მჭევრმეტყველების ძვირფას ნიმუშს წარმოადგენს: სადაც სიდიდე არ იცვლება, იგივე რჩებაო. მაშასადამე, მექანიკური ძალის რაოდენობა, რომელიც სამყაროშია, მარად ერთი და იგივე რჩება. ჩვენ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ, რამდენადაც ნათქვამი სწორია, ფილოსოფიაში უკვე დ ე კ ა რ ტ მ ა იცოდა და გამოთქვა თითქმის სამასი წლის წინათ, ხოლო ბუნებისმეცნიერებაში ძალის შენახვის მოძღვრება უკვე ოცი წელიწადია საყოველთაოდ მიღებულია; ისე რომ ბატონი დიურინგი მას სრულიადაც არ აუმჯობესებს იმით, რომ მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი ძალით საზღვრავს. მაგრამ სად იყო მექანიკური ძალა უცვლელი მდგომარეობის დროს? ამ კითხვაზე ბატონი დიურინგი ჯიუტად არ იძლევა პასუხს.

სად იყო, ბატონო დიურინგ, იმ დროს მარად თავისი თავის თანაბარი მექანიკური ძალა და რას შვრებოდა იგი? პასუხი: «სამყაროს თავდაპირველი მდგომარეობა, ანუ, უფრო გარკვეით რომ ვთქვათ, მატერიის ყოფიერება, რომელიც მოკლებულია ცვლილებებს და არ უშვებს ცვლილებათა არავითარ დაგროვებას დროში,— ეს ისეთი საკითხია, რომელიც შეიძლება მხოლოდ იმ ჭკუის ადამიანმა უარყოს, ვინც თავისი შემოქმედებითი ძალის თვითდამა-

ხინჯებაში სიბრძნის მწვერვალს ხედავს». — მაშასადამე, ან თქვენ თვალდახუჭულად მიიღეთ ჩემი უცვლელი თავდაპირველი მდგომარეობა, ან მე, შემოქმედების ნიჭით აღჭურვილი ევგენი დიურინგი, სულიერ საჭურისებად გამოგაცხადებთო. ამან შეიძლება ზოგიერთი ვინმე დააფრთხოს. მაგრამ ჩვენ, რომელთაც ბატონი დიურინგის შემოქმედებითი ძალის ზოგიერთი ნიმუში უკვე დავინახეთ, შეგვიძლია თავის თავს ნება მივცეთ შეუპასუხებლად დავტოვოთ მოხდენილი ლანძღვა-გინება და ხელახლა ვიკითხოთ: ბატონო დიურინგ, გეთაყვა, როგორაა მექანიკური ძალის საქმე?

აქ ბატონი დიურინგი მაშინვე შეშფოთდება. მართლაც,—ბუტ-ბუტებს იგი,—«იმ დაწყებითი ზღვრული მდგომარეობის აბსოლუტური იგივეობა თავისთავად არავითარი გადასვლის პრინციპს არ იძლევა. მაგრამ გავიხსენოთ, რომ არსებითად ასეთივეა საქმის ვითარება ყოველი უმცირესი ახალი წევრის მიმართ ჩვენთვის კარგად ნაცნობი არსებობის ჯაჭვში. ვისაც, მაშასადამე, სურს სიძნელეები დაინახოს მოცემულ მთავარ შემთხვევაში, მან ისინი არ უნდა დაივიწყოს ნაკლებ თვალსაჩინო გარემოებებში. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს თანდათანობითი გრადაციული შუალედი მდგომარეობების ჩართვის შესაძლებლობა და, მაშასადამე, განუწყვეტლობის ხიდი ღიაა, რათა უკან წასვლით ცვალებადობის სრულ გაქრობას მივაღწიოთ. წმინდა ლოგიკური თვალსაზრისით, რასაკვირველია, ეს განუწყვეტლობა არ გვშველის მთავარ აზრში, მაგრამ იგი ჩვენთვის ყოველი კანონზომიერების და ყოველი სხვაფრივ ცნობილი გადასვლის ძირითადი ფორმაა, ისე რომ ჩვენ უფლება გვაქვს იგი გამოვიყენოთ როგორც შუამავალი იმ პირველ წონასწორობას და მის დარღვევას შორის. მაგრამ ჩვენ რომ ეს, ასე ვთქვათ (!), უმოძრაო წონასწორობა იმ ცნებათა მიხედვით წარმოგვედგინა, რომლებიც განსაკუთრებული წინააღმდეგობის გაუწევლად (!) ჩვენს თანამედროვე მექანიკაშია დაშვებული, შეუძლებელი იქნებოდა გაგება, როგორ შეეძლო მატერიას ცვალებადობის მდგომარეობამდე მიეღწია». გარდა მასათა მექანიკისა, არსებობს კიდევ მასათა მოძრაობის გადაქცევა მცირედი ნაწილაკების მოძრაობად, მაგრამ, თუ როგორ ხდება ეს, «ამის შესახებ დღემდე ზოგადი პრინციპი არ გაგვაჩნია, და ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ეს პროცესები ცოტა არ იყოს ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი ა».

ესაა ყველაფერი ის, რაც სათქმელი აქვს ბატონ დიურინგს. ჩვენ მართლაც სიბრძნის მწვერვალი უნდა დაგვენახა არა მარტო

«შემოქმედებითი ძალის თვითდამახინჯებაში», არამედ ბრმა და ბნელ რწმენაშიც, თავი რომ მოგვეტყუებინა ასეთი ჭეშმარიტად უბადრუკი, საცოდავი ფანდებითა და ფრაზებით. თავისთავადო, — აღიარებს ბატონი დიურინგი, — აბსოლუტურ იგივეობას არ შეუძლია ცვლილებამდე მივიდესო. თავისთავად არავითარი საშუალება არ არსებობს, რითაც აბსოლუტურ წონასწორობას მოძრაობაში გადასვლა შეეძლოს. მაშ რაღა არსებობს? სამი ყალბი, უბადრუკი აბრუნდი.

პირველი: ბატონი დიურინგის შეხედულებით, ასევე ძნელია დავადგინოთ გადასვლა ჩვენთვის კარგად ცნობილი არსებობის ჯაჭვის ყოველი უმცირესი რგოლიდან უახლოეს რგოლზე. — როგორც ეტყობა, ბატონი დიურინგი თავის მკითხველებს ძუძუმწოვარ ბალღებად თვლის. ცნობილია, რომ არსებობის ჯაჭვში უწვრილესი წევრების ცალკე გადასვლათა და ურთიერთობათა დადგენა სწორედ ბუნებისმეცნიერების შინაარსს წარმოადგენს, და თუ აქ სადმე საქმე ბრკოლდება, არავის, თვით ბატონ დიურინგსაც, თავში აზრად არ მოსდის მომხდარი მოძრაობა არარაობიდან ახსნას, არამედ ყოველთვის, რომელიმე წინანდელი მოძრაობის გადატანით, გარდაქმნით ან განგრძობით. აქ კი, ბატონი დიურინგის აღიარებით, მოძრაობა უმოძრაობიდან, ე. ი. ა რ ა რ ა ო ბ ი დ ა ნ, უნდა გამოვიყვანოთ.

მეორე: ჩვენ გვაქვს «განუწყვეტლობის ხიდი». მართალია, წმინდა ლოგიკური თვალსაზრისით ეს არ გვშველის სიძნელეთა გადასალახავად, მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს იგი გამაშუალებელ რგოლად გ ა მ ო ვ ი ყ ე ნ ო თ უმოძრაობასა და მოძრაობას შორის. სამწუხაროდ, უძრაობის განუწყვეტელობა იმაში მდგომარეობს, რომ ა რ მოძრაობდეს; ამიტომ საკითხი, თუ როგორ უნდა შეიქმნეს მისი შემწეობით მოძრაობა, კიდევ უფრო საიდუმლოებითაა მოცული, ვიდრე ოდესმე. და როგორც უნდა უსასრულო მცირე ნაწილაკებად დაშალოს ბატონმა დიურინგმა თავისი გადასვლა მოძრაობის არარაობიდან უნივერსალური მოძრაობისკენ, რა ხანგრძლივი დროც არ უნდა მიაწეროს მას, ჩვენ მილიმეტრის ერთი მეათიათასედითაც ვერ წავიწევთ წინ ერთი ადგილიდან. არარაობიდან შემოქმედებითი აქტის დაუხმარებლად რაიმეზე ვერ გადავალთ, თუნდაც ეს «რაიმე» ისე მცირე იყოს, როგორც მათემატიკური დიფერენციალი. მაშასადამე, განუწყვეტლობის ხიდი

ვირის ხიდიც[1] კი არაა, მასზე გავლა მხოლოდ ბატონ დიურინგს შეუძლია.

მესამე: სანამ ძალაშია თანამედროვე მექანიკა, რომელიც ბატონი დიურინგის მიხედვით ერთ ყველაზე უფრო არსებით ბერკეტს წარმოადგენს აზროვნების გასაივითარებლად, სრულიად შეუძლებელია გავიგოთ, როგორ უნდა გადავიდეთ უმოძრაობიდან მოძრაობაზე. მაგრამ სითბოს მექანიკური თეორია გვიჩვენებს, რომ მასათა მოძრაობა განსაზღვრულ პირობებში მოლეკულურ მოძრაობად იქცევა (თუმცა აქაც მოძრაობა მეორე მოძრაობიდან გამომდინარეობს, მაგრამ არასოდეს არ წარმოიშობა უმოძრაობიდან), ხოლო ეს კი, მოკრძალებით აღნიშნავს ბატონი დიურინგი, შეიძლებოდა ხიდი გამხდარიყო მკაცრ სტატიკურსა (წონასწორობაში მყოფსა) და დინამიკურს (მოძრავს) შორისო. მაგრამ ეს პროცესები «ცოტა არ იყოს ბნელ სფეროში შედიან». და ბატონი დიურინგი სიბნელეში გვტოვებს.

ყოველი გაღრმავების და გამახვილების შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ თანდათან უფრო ღრმად ჩავეფალით გამახვილებულ უაზრობაში, და, ბოლოს მივედით, სადაც აუცილებლად უნდა მივსულიყავით—«სიბნელეში». მაგრამ ეს ნაკლებად აწუხებს ბატონ დიურინგს. მეორე გვერდზე კი მას იმდენი უტიფრობა შესწევს, რომ ამტკიცოს, «მე შევძელი რეალური შინაარსით ამევსო თავისი თავის თანასწორი მუდმივობის ცნება უშუალოდ თვით მატერიისა და მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი ძ ა ლ ე ბ ი ს მოქმედებიდან». და ეს კაცი სხვებს უწოდებს «შარლატანებს»!

მაგრამ, საბედნიეროდ, ამ «სიბნელეში» უმეწეო ხეტიალისა და გზადაბნეულობის დროს ჩვენ ერთი ნუგეში გვრჩება, რაც გულს გვიმაგრებს: «შეუძლებელია სამყაროს სხვა სხეულთა მცხოვრებლების მათემატიკა რაიმე სხვა აქსიომებზე იყოს დაფუძნებული, ვიდრე ჩვენი აქსიომებია!».

VI

ნატურფილოსოფია. კოსმოგონია, ფიზიკა, ქიმია

შემდეგ ჩვენ მივადგებით თეორიებს იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა ახლანდელი სამყარო. ჯერ კიდევ იონიელი ფილო-

[1] დედანში ზმობაა, სიტყვათა თაშაში: გერმანულად Eselsbrücke (ვირის ხიდი) ნიშნავს დამხმარე საშუალებას გონებაჩლუნგი ან ზაომაცი მოწაფეებისათვის («სამახსოვრო ბარათის» მსგავსი რამ). რ ე დ.

სოფოსების გამოსავალი წერტილი ყოფილა წარმოდგენა მატერიის საყოველთაო გაფანტული მდგომარეობის შესახებ, ხოლო განსაკუთრებით კანტის შემდეგ თავდაპირველი ნისლოვანების ჰიპოთეზამ ახალი როლი ითამაშა, ამასთან გრავიტაციამ და სითბოს გამოსხივებამ გამოიწვია სამყაროს ცალკეული მყარი სხეულების თანდათანობითი შექმნა. ჩვენი დროის სითბოს მექანიკური თეორიებას გვაძლევს ბევრად უფრო გარკვეული ხასიათი მივცეთ დასკვნებს სამყაროს ადრინდელ მდგომარეობათა შესახებ. მაგრამ ყველა ამასთან ერთად «აირის მსგავსი გაფანტული მდგომარეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება სერიოზული დასკვნების გამოსავალი წერტილი გახდეს, თუ წინასწარ შესაძლებელი გახდება მასში მოცემული მექანიკური სისტემის უფრო გარკვევით დახასიათება. წინააღმდეგ შემთხვევაში არა მარტო ეს იდეა ფაქტიურად რჩება უკიდურესად ბუნდოვანი, არამედ თავდაპირველი ნისლოვანება მართლაც უფრო სქელი და გაუმჭვირვალე ხდება დასკვნათა შემდგომ მსვლელობაში... ჯერჯერობით კიდევ ყოველივე რჩება გაურკვეველ და უფორმო მდგომარეობაში დიფუზიის იდეისა, რომლის უფრო ზედმიწევნით გარკვევა შეუძლებელია», და, ამრიგად, ჩვენ «ამ აირის სამყაროს სახით მხოლოდ უაღრესად ჰაეროვანი •კონცეფცია გვაქვს».

კანტის თეორია სამყაროს ყველა დღევანდელი სხეულის წარმოშობის შესახებ მბრუნავი ნისლოვანი მასებიდან უდიდესი მიღწევა იყო, რომელიც კი ოდესმე ასტრონომიას გაუკეთებია კოპერნიკის შემდეგ. პირველად შეირყა წარმოდგენა, რომ თითქოს ბუნებას არა აქვს არავითარი ისტორია დროში. მანამდე ფიქრობდნენ, სამყაროს სხეულები დასაბამიდან მუდამ ერთსა და იმავე ორბიტებზე მოძრაობენ და ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფებიანო; და თუ სამყაროს ცალკეულ სხეულებზე ინდივიდუალური ორგანული არსებანი იხოცებოდნენ, გვარები და სახეები მაინც უცვლელად ითვლებოდა. მართალია, ბუნება აშკარად მუდმივ მოძრაობაში იმყოფება, მაგრამ ეს მოძრაობა ერთი და იმავე პროცესების განუწყვეტელ განმეორებად ითვლებოდა. აზროვნების საკუთარი მეტაფიზიკური წესის შესაფერი ეს წარმოდგენა პირველად კანტმა გაარღვია და გაარღვია ისე მეცნიერულად, რომ მის მიერ გამოყენებული დამამტკიცებელი საბუთების უმრავლესობას დღესაც აქვს ძალა. მართალია, კანტის თეორია, თუ ზუსტად ვიტყვით, დღემდე ჯერ კიდევ ჰიპოთეზას წარმოადგენს. მაგრამ დღემდე კოპერნიკის სამყაროს სისტემაც მხოლოდ ჰიპოთეზას წარმოადგენს და

შეტს არაფერს [1]. მას შემდეგ კი, რაც სპექტროსკოპმა ყოველი შეჰასუხების გამაბათილებელი ძალით დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ასეთი გავარვარებული აირის მასები ვარსკლავთა ცაშიც არსებობს, დადუმდა მეცნიერული ოპოზიცია კანტის თეორიის წინააღმდეგ. თვით ბატონ დიურინგსაც არ შეუძლია თავი გაართვას თავისი სამყაროს კონსტრუქციას ასეთი ნისლოვანი სტადიის დაუხმარებლად, მაგრამ იგი შურს იძიებს იმით, რომ მოითხოვს მიჩვენეთ ამ ნისლოვან მდგომარეობაში მყოფი მექანიკური სისტემაო; ხოლო რადგან ეს შეუძლებელია, იგი ამ ნისლოვან მდგომარეობას ყოველგვარი დამამცირებელი ეპიტეტებით ამკობს. სამწუხაროდ, თანამედროვე მეცნიერებას არ შეუძლია ეს სისტემა ისე დაახასიათოს, რომ ბატონი დიურინგი სავსებით დააკმაყოფილოს. არ შეუძლია მას აგრეთვე მრავალ სხვა კითხვას უპასუხოს. რად არ აქვს გომბეშოს კუდი? ამ კითხვაზე მეცნიერებას დღემდე შეუძლია მხოლოდ შემდეგი უპასუხოს: «იმიტომ, რომ მან იგი დაკარგა». მაგრამ თუ ამის გამო ვინმეს დაებადება სურვილი გაცხარებისა და თქმისა, რომ ამ შემთხვევაში, ეს ყოველივე დაკარგვის ძნელად გასარკვევი იდეის ბუნდოვანებასა და უფორმობაში რჩება და მეტად ჰაეროვანი კონცეფციაა, ასეთი მორალის გამოყენებით ბუნებისმეცნიერებაში ერთს ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ. ასეთი არათავისუფალი ზიანობისა და უკმაყოფილების გამოთქმა ყოველთვის და ყველგან შეიძლება, მაგრამ სწორედ ამიტომ ეს არსად და არასოდეს არ გამოდგება. მაგრამ ვინ უშლის ბატონ დიურინგს თვით აღმოაჩინოს თავდაპირველი ნისლოვანების მექანიკური სისტემა?

საბედნიეროდ ახლა ვიგებთ, რომ კანტის ნისლოვანი მასა «ძალიან დაშორებულია იმას, რომ სამყაროს მედიუმის სავსებით იდენტურ მდგომარეობას ან, სხვაგვარად რომ გამოვთქვათ, მატერიის თავის თავისადმი თანაბარ მდგომარეობას დაემთხვეს». ეს ნამდვილი ბედნიერებაა კანტისთვის, რომელიც კმაყოფილი

[1] კოპერნიკის სისტემის შესახებ ენგელსი 1888 წ. თავის ნაწარმოებში «ლუდვიგ ფოიერბახი» შემდეგს ამბობს: «კოპერნიკის მზის სისტემა სამასი წლის განმავლობაში ჰიპოთეზად რჩებოდა, უფრესად სავარაუდო, მაგრამ მაინც ჰიპოთეზად. მაგრამ როდესაც ლევერიემ ამ სისტემის მონაცემების საფუძველზე არა მარტო დაამტკიცა, რომ უნდა არსებობდეს კიდევ ერთი, აქამდე ჩვენთვის უცნობი პლანეტა, არამედ კიდევაც განსაზღვრა გამოთვლარიშების საშუალებით მის მიერ დაკავებული ადგილი ცის სივრცეში, და როდესაც ამის შემდეგ ჰალემ ნამდვილად იპოვა ეს პლანეტა, კოპერნიკის სისტემა დამტკიცდა». იხ. ფრ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი, გამოც. 1939 წ., გვ. 19 (რუს.). რედ.

უნდა ყოფილიყო, რომ სამყაროს არსებული სხეულებიდან შეეძლო ნისლოვან ბურთოზე გადასულიყო, და რომელიც თავის თავს ნებას არ აძლევდა მატერიის თავის თავისადმი თანაბარი მდგომარეობის შესახებ ეოცნება! აღვნიშნოთ გაკვრით, რომ თუ თანამედროვე ბუნებისმეცნიერებაში კანტის ნისლოვან ბურთოს თავდაპირველ ნისლოვანებას უწოდებენ, ეს, რასაკვირველია, მხოლოდ შეფარდებით უნდა გავიგოთ. იგი თავდაპირველი ნისლოვანებაა, ერთი მხრივ, როგორც სამყაროს არსებული სხეულების დასაბამი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც მატერიის ყველაზე ადრინდელი ფორმა, რომელიც კი ჩვენ დღეს შეიძლება ვიცოდეთ. მაგრამ ეს სრულიადაც არ უარყოფს, არამედ, პირიქით, გულისხმობს, რომ მატერიამ თავდაპირველ ნისლოვანებამდე მთელი რიგი სხვა ფორმები განვლო.

ეს ბატონ დიურინგს თავის უპირატესობად მიაჩნია. იქ, სადაც ჩვენ მეცნიერებასთან ერთად ჯერჯერობით ოდესღაც არსებული თავდაპირველი ნისლოვანების მდგომარეობაზე ვჩერდებით, მას მისი მეცნიერებათა მეცნიერება ეხმარება ბევრად უფრო ღრმად შეიჭრას წარსულში «სამყაროს მედიუმის იმ მდგომარეობისკენ, რომლის გაგება არც სტატიკურად შეიძლება ამ წარმოდგენის დღევანდელი მნიშვნელობით და არც დინამიკურად», რომლის გაგება, მაშასადამე, საზოგადოდ შეუძლებელია. «მატერიის და მექანიკური ძალის ერთიანობა, რომელსაც ჩვენ სამყაროს მედიუმს ვუწოდებთ, ასე ვთქვათ, ლოგიკურ-რეალური ფორმულაა, რათა აღინიშნოს მატერიის თავის თავისადმი თანაბარი მდგომარეობა, როგორც წინასწარი პირობა განვითარების ყველა დასათვლელი სტადიებისა».

ცხადია, დიდხანს კიდევ თავს ვერ დავაღწევთ მატერიის თავის თავისადმი თანაბარ თავდაპირველ მდგომარეობას. აქ მას მატერიისა და მექანიკური ძალის ერთიანობა ეწოდება, ეს კი «ლოგიკურ-რეალური ფორმულაა» და ა. შ. მაშასადამე, როგორც კი მატერიისა და მექანიკური ძალის ერთიანობა წყდება, მოძრაობა იწყება.

ლოგიკურ-რეალური ფორმულა სხვას არას წარმოადგენს, გარდა ბეჩავი ცდისა სინამდვილის ფილოსოფიისთვის იქნეს გამოყენებული ჰეგელის კატეგორიები «თავისთავად» (Ansich) და «თავისთვის» (Fürsich). ჰეგელის მიხედვით არსი «თავისთავად» შეიცავს რომელიმე ნიეთში, რომელიმე პროცესში, რომელიმე ცნებაში დაფარულ განუვითარებელ დაპირისპირებათა თავდაპირველ იგი-

ვეობას; თავისთავად არსში ხდება ამ დაფარული ელემენტების განსხვავება და გათიშვა და მათი ბრძოლა იწყება. მაშასადამე, ჩვენ უმოძრაო თავდაპირველი მდგომარეობა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მატერიის და მექანიკური ძალის ერთიანობა, ხოლო მოძრაობისკენ გადასვლა როგორც ორივეს გათიშვა და დაპირდაპირება. ამით ჩვენ მივაღწიეთ არა ამ ფანტასტიკური თავდაპირველი მდგომარეობის რეალობის დამტკიცებას, არამედ მხოლოდ იმას, რომ იგი შეგვიძლია შევიტანოთ ჰეგელის კატეგორიაში «თავისთავად», ხოლო მისი ასეთივე ფანტასტიკური შეწყვეტა კატეგორიაში «თავისთვის». ჰეგელო, გვიშველე!

მატერია, ამბობს ბატონი დიურინგი, ყოველი ნამდვილის მატარებელია; ამიტომ, შეუძლებელია რაიმე მექანიკური ძალა არსებობდეს მატერიის გარეშე. შემდეგ, მექანიკური ძალა მატერიის ერთგვარი მდგომარეობაა. და აი, თავდაპირველ მდგომარეობაში, როცა არაფერი არ ხდებოდა, მატერია და მისი მდგომარეობა, მექანიკური ძალა, ერთი იყო. მაშასადამე, შემდეგ, როცა რაღაცის მოხდენა დაიწყო, მდგომარეობა, რასაკვირველია, უნდა განსხვავებულიყო მატერიისაგან. ამრიგად, ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ ასეთი მისტიკური ფრაზებით და იმის რწმენებით, რომ თავის თავისადმი თანაბარი მდგომარეობა არც სტატიკური იყო და არც დინამიკური, არც წონასწორობაში იმყოფებოდა და არც მოძრაობაშიო. ჩვენ ჯერ კიდევ მაინც არ ვიცით, სად იყო იმ მდგომარეობაში მექანიკური ძალა და როგორ შეიძლებოდა, რომ გარეგანი ბიძგის, ე. ი. ღმერთის დაუხმარებლად აბსოლუტური უმოძრაობიდან მოძრაობაზე გადავსულიყავით.

ბატონ დიურინგამდე მატერიალისტებს ულაპარაკნიათ მატერიასა და მოძრაობაზე. მას მოძრაობა დაჰყავს მექანიკურ ძალაზე როგორც ვითომდა მის ძირითად ფორმაზე და ამით შეუძლებლად ხდის გაიგოს ის ნამდვილი კავშირი მატერიასა და მოძრაობას შორის, რომელიც გაურკვეველი იყო აგრეთვე ყველა წინანდელი მატერიალისტისთვისაც. საქმის ვითარება კი საკმაოდ მარტივია. მ ო ძ რ ა ო ბ ა მ ა ტ ე რ ი ი ს ა რ ს ებ ობ ის ფ ო რ მ ა ა. არსად და არასოდეს მატერია არ არსებულა უმოძრაობოდ, არც შეიძლება არსებობდეს. მოძრაობა სამყაროს სივრცეში, უფრო პატარა მასების მექანიკური მოძრაობა სამყაროს ცალკეულ სხეულებზე, მოლეკულური რხევა სითბოს ან ელექტრული და მაგნეტური ნაკადის სახით, ქიმიური დაშლა და შეერთება, ორგანული სიცოცხლე — მოძრაობის აი ის ფორმები, რომელშიც იმყოფება ერთ ან

მეორე, ანდა რამდენიმე ფორმაში ერთდროულად, სამყაროს ყოველი ნივთიერი ატომი ყოველ წუთს. ყოველი უძრაობა, ყოველი წონასწორობა მხოლოდ შეფარდებითია, მათ აზრი აქვთ მხოლოდ ამა თუ იმ განსაზღვრული მოძრაობის ფორმის მიმართ. მაგალითად, რომელიმე სხეული შეიძლება დედამიწაზე მექანიკურ წონასწორობაში იმყოფებოდეს, მექანიკურად უმოძრაოდ იყოს; ეს სრულიადაც ხელს არ უშლის, რომ იგი მონაწილეობას იღებდეს როგორც დედამიწის მოძრაობაში, ისე მთელი მზის სისტემის მოძრაობაში, ისევე როგორც ეს მის უმცირეს ფიზიკურ ნაწილაკებს ხელს არ უშლის მისი ტემპერატურით გამოწვეული რხევა შეასრულონ ან მის ნივთიერ ატომებს—რომელიმე ქიმიური პროცესი განვლონ. უმოძრაობოდ მატერია ისევე წარმოუდგენელია, როგორც მოძრაობა უმატერიოდ. ამიტომ მოძრაობაც ისევე შეუქმნელი და გაუნადგურებელია როგორც თვით მატერია; ამას წინანდელი ფილოსოფია (დეკარტი) ასე გამოთქვამს: სამყაროში არსებული მოძრაობის რაოდენობა მუდამ ერთი და იგივეა. მაშასადამე, შეუძლებელია მოძრაობა შეიქმნას, იგი მხოლოდ გადაიტანება. თუ მოძრაობა ერთი სხეულიდან მეორეზე გადაიტანება, მასში, რამდენადაც მოძრაობა გადადის და აქტიურია, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც გადატანილი მოძრაობის მიზეზი, რამდენადაც ეს უკანასკნელი გადატანილი და პასიურია. ამ აქტიურ მოძრაობას ჩვენ ძალას ვუწოდებთ, პასიურს კი—ძალის გამოვლენას. ამრიგად, მზესავით ნათელია, რომ, ძალას იგივე სიდიდე აქვს, რაც მის გამოვლენას, იმიტომ რომ ორივეში ხომ ერთი და იგივე მოძრაობა ხდება.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ მატერიის უმოძრაო მდგომარეობა ყოვლად ცარიელი და უაზრო წარმოდგენა ყოფილა, წმინდა «ციებცხელების ბოდვა». რათა იგი მივიღოთ, ის შეფარდებითი მექანიკური წონასწორობა, რომელშიც შეიძლება სხეული იმყოფებოდეს დედამიწის ზურგზე, აბსოლუტურ უძრაობად უნდა წარმოვიდგინოთ და შემდეგ მთელ სამყაროზე გადავიტანოთ. ეს, რა თქმა უნდა, გაადვილდება, თუ უნივერსალურ მოძრაობას მხოლოდ მექანიკურ ძალაზე დავიყვანთ. და მაშინ მოძრაობის განსაზღვრა მხოლოდ მექანიკური ძალით კიდევ იმ უპირატესობას იძლევა, რომ ძალა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც უძრავი, როგორც შებოჭილი, მაშასადამე, როგორც ამ მომენტში უმოქმედო. სახელდობრ, თუ რაიმე მოძრაობის გადატანა, როგორც ეს ხშირად ხდება, რამდენადმე რთულ პროცესს წარმოადგენს, რომელ-

შიც სხვადასხვა შუალედი რგოლი შედის, შეიძლება ნამდვილი გადატანა სასურველ მომენტამდე შევაჩეროთ იმით, რომ ჯაჭვის უკანასკნელ რგოლს ამოვაგდებთ. ასე ხდება ეს, მაგალითად, როცა თოფს გავტენით ხოლმე და ერთი წუთით შევჩერდებით, რათა ჩახმახის ფეხის გამოშლით გამოვიწვიოთ თოფის დაცლა, თოფის წამლის დაწვით გამოწვეული მოძრაობის გადატანა. მაშასადამე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ უმოძრაო, თავის თავისადში თანაბარ მდგომარეობაში მატერია ძალით დაიმუხტა, და, როგორც ეტყობა, ბატონი დიურინგი სწორედ ამას გულისხმობს, თუ საზოგადოდ იგი რამეს გულისხმობს, როცა მატერიისა და მექანიკური ძალის ერთიანობაზე ლაპარაკობს. ეს წარმოდგენა უაზროა, იმიტომ რომ მას მთელ სამყაროზე გადააქვს როგორც აბსოლუტური რამ ისეთი მდგომარეობა, რომელიც თავისი ბუნებით შეფარდებითია და რომელშიც განსაზღვრულ მომენტში მხოლოდ მატერიის ერთი ნაწილი შეიძლება იმყოფებოდეს. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, მაინც შემდეგი სიძნელე რჩება გადასალახავი: ერთი, როგორ მოხდა, რომ სამყარო დამუხტული აღმოჩნდა, ჩვენს დროში თოფები ხომ თავისთავად არ იტენება, და მეორე, ვისმა თითმა გამოსწია ჩახმახის ფეხი? რამდენიც არ უნდა ვიტრიალოთ და ვიბრუნოთ, ბატონი დიურინგის ხელმძღვანელობით ბოლოს მაინც ღვთის ხელს მივადგებით.

ასტრონომიიდან ჩვენი სინამდვილის ფილოსოფოსი მექანიკასა და ფიზიკაზე გადადის და ჩიეის, რომ სითბოს მექანიკური თეორია მისი აღმოჩენის დღიდან ერთი თაობის განმავლობაში არსებითად წინ არ წაწეულა და დაახლოებით იმ მდგომარეობაში იმყოფება, სადამდისაც იგი თვით რობერტ მაიერმა თანდათანობით მიიყვანა. ამას გარდა მთელი საქმის ვითარება ჯერ კიდევ მეტად ბუნდოვანიაო; ჩვენ «მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მატერიის მოძრაობის მდგომარეობებთან ერთად მოცემულია აგრეთვე სტატიკური ურთიერთობანიც, ხოლო ამ უკანასკნელთ არავითარი ზომა არა აქვთ მექანიკურ მუშაობაში... თუ ჩვენ წინათ ბუნებას დიდი მშრომელი ვუწოდეთ და ამ გამოთქმას ახლა მკაცრად მივიღებთ, კიდევ უნდა დავუმატოთ, რომ თავის თავის თანაბარი მდგომარეობანი და უძრავი ურთიერთობანი არავითარ მექანიკურ მუშაობას არ წარმოადგენენ. მაშასადამე, ჩვენ მაინც გვაკლია ხიდი სტატიკურიდან დინამიკურისკენ, და თუ ეგრეთწოდებული ფარული სითბო დღემდე თეორიისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს, ჩვენ უნდა

ვაღიაროთ, რომ აქაც ხარვეზია, რომლის უარყოფა ყველაზე ნაკლებ შეიძლება კოსმიური მოვლენების მიმართ გამოყენებისას».

მთელი ეს მისნური ღაქლაქი სხვა არა არის რა, თუ არა ბოროტი სინიდისის გამოვლენა, რომელიც ძალიან კარგად გრძნობს, რომ აბსოლუტური უძრაობიდან მოძრაობის შექმნით უიმედოდ ჩაეფლო და მაინც სცხვენია მიმართოს ერთადერთს მხსნელს, სახელდობრ, ცისა და დედამიწის შემოქმედს. თუ თვით მექანიკაში, სითბოს მექანიკის ჩათვლით, შეუძლებელია ხიდის აღმოჩენა სტატიკურიდან დინამიკურისაკენ, წონასწორობიდან მოძრაობისაკენ, როგორ შეიძლება ბატონი დიურინგისთვის დაგვევალებინა შენი უმოძრაო მდგომარეობიდან ხიდი იპოვე მოძრაობისკენო? ამით იგი ბედნიერად დააღწევდა თავს გაჭირვებას.

ჩვეულებრივ მექანიკაში ხიდს სტატიკურსა და დინამიკურს შორის გარეგანი ბიძგი წარმოადგენს. ცენტნერის სიმძიმის ქვა რომ ათი მეტრის სიმაღლეზე ავწიოთ და თავისუფლად ჩამოვკიდოთ, ისე რომ იგი იქ თავის თავის თანაბარ მდგომარეობასა და უძრავ ურთიერთობაში დარჩეს, საჭიროა ძუძუმწოვარი ბავშვების საზოგადოებისადმი მიმართვა, რათა ვამტკიცოთ, რომ ამ სხეულის ახლანდელი მდგომარეობა არავითარ მექანიკურ მუშაობას არ წარმოადგენს ან რომ მის მანძილს წინანდელი მდგომარეობიდან მექანიკური მუშაობის არავითარი საზომი არ გააჩნიაო. ყოველი გამვლელი ადვილად აუხსნიდა ბატონ დიურინგს, რომ ქვა თავისთავად როდი ჩამოკიდებულა თოკზე, ხოლო მექანიკის რომელიც გნებავთ სახელმძღვანელო მას ეტყოდა, რომ თუ ქვა ხელახლა ძირს ჩამოაგდე, იგი ჩამოვარდნის დროს იმდენსავე მექანიკურ მუშაობას შეასრულებს, რამდენიც საჭირო იყო მის ასაწევად ათი მეტრის სიმაღლეზეო. თვით უბრალო ფაქტი, რომ ქვა ზევით ჰკიდია, მექანიკურ მუშაობას წარმოადგენს, იმიტომ რომ თუ იგი საკმაო ხანს დარჩა ჩამოკიდებული, თოკს გასწყვეტს, რაკი ეს უკანასკნელი ქიმიური დაშლის გამო საკმაოდ მაგარი ველარ იქნება იმისათვის, რომ ქვა დააკავოს. მაგრამ ყველა მექანიკური პროცესი შეიძლება, ბატონი დიურინგის სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ, ასეთ «მარტივ ძირითად ფორმებზე» დავიყვანოთ, და ჯერ კიდევ საჭიროა დაიბადოს ისეთი ინჟინერი, რომელიც ვერ შეძლებს ხიდის აღმოჩენას სტატიკურიდან დინამიკურისკენ, რაკი მას საკმარისი გარეგანი ბიძგი მოეპოვება.

უდავოა, რომ ჩვენი მეტაფიზიკოსისათვის ძნელად გასატეხ კაკალსა და მწარე აბს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოძ-

რაობამ თავისი საზომი თავის დაპირისპირებაში, უძრაობაში უნდა იპოვოს. ეს ხომ აშკარა წინააღმდეგობაა, ყოველი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა კი, ბატონი დიურინგის მიხედვით, უ ა ზ რ ო ბ ა ს[1] წარმოადგენს. ამისდა მიუხედავად მაინც ფაქტია, რომ ჩამოკიდებული ქვა წარმოადგენს მექანიკური მოძრაობის განსაზღვრულ რაოდენობას, რომელიც ზედმიწევნით გაიზომება ქვის სიმძიმითა და მისი დაშორებით დედამიწის ზედაპირიდან და შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გამოყენებული (მაგ., პირდაპირი ვარდნით, დახრილ სიბრტყეზე დაცურებით, რომელიმე ღერძის ტრიალით); იგივე ითქმის გატენილ თოფზე. დიალექტიკური თვალსაზრისისთვის მოძრაობის მის წინააღმდეგობაში—უძრაობაში — გამოხატვის შესაძლებლობა სრულიად არავითარ სიძნელეს არ შეადგენს. მისთვის მთელი ეს დაპირისპირება, როგორც უკვე დავინახეთ, შეფარდებითია; არ არსებობს აბსოლუტური უძრაობა, უპირობო წონასწორობა. ცალკე მოძრაობა წონასწორობისკენ მიისწრაფის, ერთობლივი მოძრაობა ხელახლა არღვევს წონასწორობას. ამრიგად, უძრაობა და წონასწორობა იქ, სადაც ისინი გვხვდებიან, შეზღუდული მოძრაობის შედეგს წარმოადგენენ, და თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მოძრაობა შეიძლება გავზომოთ მისი შედეგის მიხედვით, გამოვხატოთ მასში და ხელახლა მივიღოთ მისგან ამა თუ იმ ფორმით. მაგრამ ბატონი დიურინგი ვერ დაკმაყოფილდება საქმის ასეთი უბრალო გადმოცემით. როგორც ნამდვილ მეტაფიზიკოსს შეეფერება, იგი სინამდვილეში არ არსებულ, პირღია უფსკრულს თხრის მოძრაობასა და წონასწორობას შორის და შემდეგ გაკვირვებას გამოთქვამს, რომ ხიდს ვერ პოულობს მის მიერვე გათხრილ უფსკრულზე. მას ასევე კარგად შეეძლო თავის მეტაფიზიკურ როსინანტზე[2] შემჯდარიყო და კანტის «საგანს თავისთავად» გადეევნებოდა; იმიტომ რომ ბოლოს ამ მიუწვდომელი ხიდის უკან სწორედ ეს იმალება და არა სხვა რაიმე.

მაგრამ როგორაა სითბოს მექანიკური თეორიის და შებოჭილი ან ფარული სითბოს საქმე, რომელიც ამ თეორიისთვის «შებრკოლების ლოდად» დარჩა?

ერთი გირვანქა ყინული რომ ავიღოთ გაყინვის წერტილის ტემპერატურაზე და ნორმალური ატმოსფერული წნევისას სითბოს

---

[1] გერმანულად სიტყვათა თამაშია, ზმობაა, რომელიც ქართულად ვერ გადმოიხატება: Widerspruch—წინააღმდეგობა, Widersinn—უაზრობა. რ ე დ.

[2] დონ-კიხოტის ცხენი სერვანტესის რომანში «დონ-კიხოტი». რ ე დ.

შემწეობით იმავე ტემპერატურის გირვანქა წყლად ვაქციოთ, გაქრება სითბოს რაოდენობა, რომელიც საკმაო იქნებოდა, რათა იგივე გირვანქა წყალი 0°-დან 79,4 გრადუსამდე (100 გრადუსიანი თერმომეტრის მიხედვით) გავათბოთ ან 79,4 გირვანქა წყალი ერთი გრადუსით გავათბოთ. ეს გირვანქა წყალი რომ დუღილის წერტილამდე, ე. ი. 100° გავაცხელოთ და 100°-იან ორთქლად ვაქციოთ, სანამ უკანასკნელი წყლის წვეთი აორთქლდებოდეს, თითქმის შვიდჯერ მეტი სითბოს რაოდენობა გაქრება, რომელიც საკმაოა, რათა 537,2 გირვანქა წყლის ტემპერატურა ერთი გრადუსით ავწიოთ. ამ გამქრალ სითბოს შ ე ბ ო ჭ ი ლ ს უწოდებენ. თუ გაცივების შემწეობით ორთქლი ხელახლა წყლად, ხოლო წყალი ხელახლა ყინულად ვაქციეთ, იმავე რაოდენობის სითბო, რომელიც წინათ შებოჭილ იქნა, ხელახლა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი, ე. ი. როგორც სითბო შეგრძნობისთვის მისაწვდომი და გასაზომი გახდება. სითბოს ეს განთავისუფლება ორთქლის შეკუმშვისა და წყლის გაყინვის დროს წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ ორთქლი, თუ იგი 100°-მდეა გაცივებული, მხოლოდ თანდათანობით იქცევა წყლად და რომ წყლის მასა გაყინვის წერტილის ტემპერატურაზე მხოლოდ ძალიან ნელა იქცევა ყინულად. ასეთია ფაქტები. ახლა საკითხავია: რა მოსდის სითბოს, როცა იგი შებოჭილია?

სითბოს მექანიკური თეორია, რომლის მიხედვით სითბო შედგება სხეულის უმცირესი ფიზიკურად მოქმედი ნაწილაკების (მოლეკულების) მეტ ან ნაკლებ (ტემპერატურისა და აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით) რხევისაგან, რომელიც განსაზღვრულ გარემოებაში შეიძლება მოძრაობის ყოველ სხვა ფორმაში გადავიდეს, ამას იმით ხსნის, რომ გამქრალმა სითბომ სამუშაო შეასრულა, იგი მუშაობად იქცაო. ყინულის გადნობის დროს მჭიდრო, მტკიცე კავშირი ცალკე მოლეკულებს შორის მოისპო და გადაიქცა შემხებ ნაწილაკთა ერთიმეორეზე თავისუფალ დალაგებად; წყლის დუღილის წერტილზე წყლის აორთქლების დროს ისეთი მდგომარეობა იქმნება, როცა ცალკეული მოლეკულები არავითარ შესამჩნევ გავლენას არ ახდენენ ერთმანეთზე და სითბოს ზემოქმედებით ყოველი მიმართულებითაც კი მიჰქრიან. ცხადია, რომ ამა თუ იმ სხეულის ცალკეულ მოლეკულებს აირისებურ მდგომარეობაში ბევრად მეტი ენერგია აქვთ, ვიდრე თხიერ მდგომარეობაში, ხოლო თხიერ მდგომარეობაში მეტი, ვიდრე მყარ მდგომარეობაში. მაშასადამე, შებოჭილი სითბო კი არ გამქრალა, იგი მხოლოდ გარდაიქმნა და მან მოლეკულური დაძაბულობის ძალის

ფორმა მიიღო. როგორც კი მოისპობა პირობა, რომელშიც ცალკე მოლეკულებს შეუძლიათ ერთიმეორის მიმართ აბსოლუტური ან შედარებითი თავისუფლება შეინარჩუნონ, ე. ი. როგორც კი ტემპერატურა დაეშვება მინიმუმ 100° ან 0° დაბლა, დაძაბულობის ძალა დუნდება, მოლეკულები ხელახლა ერთმანეთს მიაშურებენ იმავე ძალით, რომლითაც წინათ ერთმანეთს შორდებოდნენ; და ეს ძალა ქრება, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ხელახლა სითბოს სახით მოგვევლინოს, სწორედ იმავე რაოდენობის სითბოდ, რომელიც წინათ შებოჭილი იყო. რასაკვირველია, ეს ახსნა ჰიპოთეზაა, ისევე როგორც სითბოს მთელი მექანიკური თეორია, იმიტომ რომ დღემდე არავის მოლეკული, მით უმეტეს რხევადი მოლეკული არ დაუნახავს. ამიტომ მას, ალბათ, მრავალი ნაკლი აქვს როგორც ჯერ კიდევ სრულიად ახალ თეორიას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში პროცესის ახსნა შეუძლია ისე, რომ არსად წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდეს მოძრაობის მოუსპობლობის და შეუქმნელობის პრინციპთან და ამ ჰიპოთეზს თვით ისიც კი შეუძლია ზედმიწევნით გამოარკვიოს, სად იმყოფება სითბო მისი გარდაქმნის დროს. მაშასადამე, ფარული ანუ შებოჭილი სითბო სრულიადაც დაბრკოლებას არ წარმოადგენს სითბოს მექანიკური თეორიისთვის. პირიქით, ეს თეორია პირველად იძლევა ამ პროცესის რაციონალურ ახსნას, და დაბრკოლება შეიძლება მხოლოდ იქიდან წარმოდგეს, რომ ფიზიკოსები წინანდებურად სითბოს, რომელიც მოლეკულური ენერგიის სხვა ფორმად იქცა, დაძველებულ და შეუფერებელ სახელს, «შებოჭილს» უწოდებენ.

ამრიგად, მყარი, წვეთობრივ-თხევადი და აირისებური ფორმის აგრეგატული მდგომარეობის თავის თავისადმი თანაბარი მდგომარეობა და უძრავი ურთიერთობანი მექანიკურ მუშაობას წარმოადგენენ, რამდენადაც მექანიკური მუშაობა სითბოს საზომია. როგორც დედამიწის მაგარი ქერქი, ისე ოკეანეს წყალი დღევანდელ აგრეგატულ მდგომარეობაში წარმოადგენენ განთავისუფლებული სითბოს სრულიად განსაზღვრულ რაოდენობას, რომელსაც, რასაკვირველია, შეესაბამება მექანიკური ძალის ასევე განსაზღვრული რაოდენობა. როცა აირის სფერო, რომლისგანაც დედამიწა წარმოსდგა, ჯერ წვეთობრივ-თხევად, ხოლო შემდეგ უმეტესწილად მაგარ აგრეგატულ მდგომარეობაში გადავიდა, მოლეკულური ენერგიის განსაზღვრული რაოდენობა სამყაროს სივრცეში გასხივდა სითბოს სახით. მაშასადამე, ის სიძნელე, რომელზედაც ბატონი დიურინგი ასეთი იდუმალი სახით ჩურჩულებს, არ არსებობს, და თვით რა-

ცა საქმე კოსმიურ მოვლენებთან გვაქვს, შეიძლება ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს წავაწყდეთ (რომელნიც ჩვენი შემეცნების არასრულქმნილი საშუალებებითაა გამოწვეული), მაგრამ არასოდეს არ შეგვხვდება თეორიულად გადაულახავი დაბრკოლებები. ხიდი სტატიკურიდან დინამიკურისკენ აქაც გარეგანი ბიძგია, გაცივება ან გათბობა, გამოწვეული სხვა სხეულებით, რომელნიც მოქმედებენ წონასწორობაში მყოფ საგანზე. რაც უფრო ღრმად შევიჭრებით დიურინგის ნატურფილოსოფიაში, მით უფრო შეუძლებლად გვეჩვენება ყოველგვარი ცდა მოძრაობა უძრაობით ავხსნათ ან ვიპოვოთ ხიდი, რომლითაც წმინდა სტატიკურს, უძრავს, თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ შეუძლია დინამიკურზე, მოძრაობაზე გადასვლა.

ახლა კი თითქოს ჩვენ ერთი ხნით შეგვიძლია ბედნიერად გავშორდეთ თავის თავისადმი თანაბარ თავდაპირველ მდგომარეობას. ბატონი დიურინგი ქიმიაზე გადადის და ამ შემთხვევის გამო ბუნების მუდმივობის სამ კანონს ამეღავნებს, რომელიც დღემდე სინამდვილის ფილოსოფიის მიერ არის აღმოჩენილი, სახელობრ:

1)საზოგადოდ მთელი მატერიის რაოდენობა, 2) მარტივი (ქიმიური) ელემენტების რაოდენობა და 3) მექანიკური ძალის რაოდენობა უცვლელია.

მაშასადამე: მატერიის და აგრეთვე მისი მარტივი შემადგენელი ნაწილების (რამდენადაც მატერიას ასეთი ნაწილები აქვს) შეუქმნელობა და მოუსპობლობა, და მოძრაობის შეუქმნელობა და მოუსპობლობა — აი ეს ძველი, მსოფლიოში ცნობილი ფაქტები, უაღრესად არადამაკმაყოფილებლად გამოთქმული,— წარმოადგენს ერთადერთ ნამდვილად პოზიტიურს, რის შემოთავაზებაც ბატონ დიურინგს შეუძლია როგორც შედეგი თავისი არაორგანული სამყაროს ნატურფილოსოფიისა. ეს ისეთი ამბებია, რაც დიდი ხანია ვიცოდით. მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, რომ ისინი «მუდმივობის კანონები» ყოფილან და როგორც ასეთნი «საგანთა სისტემის სქემატურ თვისებებს» წარმოადგენენ. ხდება იგივე ამბავი, რაც ზემოთ კანტის მიმართ მოხდა: ბატონი დიურინგი იღებს რომელიმე ყველასათვის ცნობილ აბდაუბდას, ზედ დიურინგის ეტიკეტს აწებებს და ამას ეძახის: «ძირიანად თავისებურ დასკვნებსა და შეხედულებებს... სისტემის შემქმნელ აზრებს... საფუძვლიან მეცნიერებას».

მაგრამ ამან სასოწარკვეთილებაში როდი უნდა ჩაგვაგდოს. რა ნაკლიც უნდა ჰქონდეს საფუძვლიან მეცნიერებასა და საუკეთესო საზოგადოებრივ წესწყობილებას, ბატონ დიურინგს ე რ თ ი

რამ შეუძლია გარკვევით ამტკიცოს: «სამყაროში არსებული ოქრო ყოველთვის აუცილებლად ერთი და იგივე რაოდენობის უნდა იყოს და საყოველთაო მატერიის მსგავსად მას არც მომატება შეუძლია, არც შემცირება». მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი დიურინგი არ გვეუბნება, რის ყიდვა შეგვიძლია ამ «არსებული ოქროთი».

VII

ნატურფილოსოფია. ორგანული სამყარო

«წნევისა და ბიძგის მექანიკიდან შეგრძნებათა და აზრთა კავშირამდე გაბმულია შუალედ საფეხურთა ერთი მთლიანი და ერთადერთი კიბე». ეს მტკიცება ბატონ დიურინგს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან კიდევ რაიმე თქვას სიცოცხლის წარმოშობაზე, თუმცა ჩვენ უფლება გვქონდა გვეფიქრა, რომ მოაზროვნე, რომელიც კვალდაკვალ გაჰყვა სამყაროს განვითარებას თავის თავისადმი თანაბარ მდგომარეობამდე, და რომელიც სამყაროს სხვა სხეულებზე თავის თავს შინაურულად გრძნობს, აქაც ზედმიწევნით ცოდნას გამოიჩენდა. ესეცაა, რომ ეს მტკიცება მხოლოდ სანახევროდაა სწორი, თუ იგი არ შევავსეთ ჰეგელის ზემოაღნიშნული ზომის ურთიერთობათა კვანძური ხაზით. ყოველივე თანდათანობის მიუხედავად გადასვლა მოძრაობის ერთი ფორმიდან მეორე ფორმაზე ყოველთვის ნახტომად, გადამწყვეტ შემობრუნებად რჩება. ასეთია გადასვლა სამყაროს სხეულების მექანიკიდან სამყაროს ცალკეული სხეულების პატარა მასების მექანიკისაკენ; ასეთივეა გადასვლა მასების მექანიკიდან მოლეკულების მექანიკისაკენ, რომელიც მოიცავს იმ მოძრაობებს, რომელთაც საკუთრივ ეგრეთწოდებულ ფიზიკაში ვიკვლევთ: სითბოს, სინათლეს, ელექტრობას, მაგნეტიზმს;ასეთივე გადამწყვეტი ნახტომით ხდება გადასვლა მოლეკულთა ფიზიკიდან ატომების ფიზიკაზე, ქიმიაზე, და კიდევ უფრო მეტად აქვს ამ ნახტომს ადგილი ჩვეულებრივი ქიმიური მოქმედებიდან ცილების ქიმიზმზე გადასვლის დროს, ცილების ქიმიზმზე, რომელსაც ჩვენ სიცოცხლეს ვუწოდებთ. სიცოცხლის სფეროში უკვე ნახტომები უფრო და უფრო იშვიათი და შეუმჩნეველი ხდება.—ამრიგად, ბატონი დიურინგი ხელახლა ჰეგელმა უნდა შეასწოროს.

ორგანულ სამყაროზე ლოგიკური გადასვლისათვის ბატონი დიურინგი იყენებს მიზნის ცნებას. ეს უკანასკნელიც ნასესხებია ჰეგელისაგან, რომელიც «ლოგიკაში» — მოძღვრებაში ცნების შესახებ —

ტელეოლოგიისა ანუ მიზნის შესახებ მოძღვრების შემწეობით ქიმიზმიდან სიცოცხლეზე გადადის. საითაც უნდა გავიხედოთ, ბატონი დიურინგის აზროვნებაში ყველგან ჰეგელის «ძნელად მოსანელებელ აზრს» წავაწყდებით, რომელსაც იგი მოურიდებლად თავის საკუთარ საფუძვლიან მეცნიერებად ასაღებს. აქ შორს წაგვიყვანდა იმის გამორკვევა, რამდენად მართებული და შესაფერია მიზნისა და საშუალების წარმოდგენათა გამოყენება ორგანულ სამყაროზე. ყოველ შემთხვევაში გამოყენება ჰეგელის «შინაგანი მიზნისა», ე. ი. მიზნისა, რომელიც ბუნებაში რაიმე შეგნებულად მოქმედი მესამე ძალის, მაგალითად, განგების სიბრძნით არაა შეტანილი, არამედ თვით საქმის ვითარების აუცილებლობაშია, მუდამ იმას იწვევს, რომ ადამიანები, რომელნიც ფილოსოფიურად საესებით განსწავლული არ არიან, ბუნებას უაზროდ აწერენ შეგნებულ და განზრახულ მოქმედებას. იგივე ბატონი დიურინგი, რომელიც უსაზღვრო ზნეობრივ აღშფოთებას განიცდის, თუ სხვა ვინმემ მცირეოდენი «სპირიტისტული» მიდრეკილება გამოიჩინა, «გადაჭრით გვარწმუნებს, ინსტინქტები უმთავრესად შექმნილია იმ კმაყოფილებისათვის, რომელიც მათ თამაშთანაა დაკავშირებულიო». იგი მოგვითხრობს, საბრალო ბუნებამ «ყოველთვის ხელახლა უნდა მოაწესრიგოს საგნობრივი სამყარო» და გარდა ამისა მას უხდება ბევრი ისეთი საქმის მოგვარება, «რაც ბუნებისგან ბევრად მეტს სიფაქიზე-დახვეწილობას მოითხოვს, ვიდრე მას ჩვეულებრივ მიაწერენო». მაგრამ ბუნებამ არა მარტო იცის, რადა ჰქმნის იგი ამა თუ იმ საგნებსა და მოვლენებს, მას უხდება არა მარტო შინამოსამსახურის მუშაობის შესრულება, მას აქვს არა მარტო სიფაქიზე-დახვეწილობა, რაც საკმაოდ დიდ გაუმჯობესებას წარმოადგენს სუბიექტურ შეგნებულ აზროვნებაში, მას ნებისყოფაც კი აქვს; იმიტომ რომ ინსტინქტების ის დამატებითი როლი, რომ ისინი სხვათა შორის რეალურ ბუნებრივ ფუნქციებს ასრულებენ: კვებას, მოდგმის განგრძობას და სხვ., ამ დამატებას ჩვენ «უნდა შევხედოთ არა როგორც პირდაპირ, არამედ როგორც არაპირდაპირ სასურველს». ამრიგად, ჩვენ მივაღწიეთ შეგნებულად მოაზროვნე და მოქმედ ბუნებას, მაშასადამე, ჯერ კიდევ, მართალია, არ ვდგავართ სტატიკურიდან დინამიკურისაკენ გარდამავალ «ხიდზე», მაგრამ უკვე ვდგავართ პანთეიზმიდან დეიზმისკენ გადებულ ხიდზე. ანდა შეიძლება თვით ბატონმა დიურინგმაც მოისურვა ცოტა არ იყოს «ნატურფილოსოფიური ნახევარპოეზიის» წარმოება?

ეს შეუძლებელია. ყოველივე, რასაც ჩვენი სინამდვილის ფილოსოფოსი ორგანული ბუნების შესახებ გვეუბნება, განისაზღვრება ბრძოლით ნატურფილოსოფიური ნახევარპოეზიის წინააღმდეგ, «შარლატანობის წინააღმდეგ მისი თავქარიანობითა და ზერელობით და, ასე ვთქვათ, მეცნიერული მისტიფიკაციებით», დ ა რ ვ ი ნ ი ზ მ ი ს «მოპოეტურო თვისებების» წინააღმდეგ.

უწინარეს ყოვლისა ავტორი დარვინს უსაყვედურებს—მალთუსის მოსახლეობის თეორია პოლიტიკური ეკონომიიდან ბუნებისმეცნიერებაში გადაიტანაო, ცხოველების მომშენებლის წარმოდგენებითაა შებოჭილი, არსებობისთვის ბრძოლის იდეით არამეცნიერულ ნახევარპოეზიას აწარმოებს, და მთელი დარვინიზმი, ლამარკიდან ნასესხები ელემენტების გამოკლებით, ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული მხეცობის კარგა მოზრდილ დოზას წარმოადგენსო.

დარვინმა თავისი მეცნიერული მოგზაურობებიდან შინ ის შეხედულება მოიტანა, რომ მცენარეების და ცხოველების სახეები მუდმივი კი არა, ცვალებადი არიანო. შინ ამ აზრების შემდგომ დასამუშავებლად მას უკეთესი ასპარეზი არ ჰქონია, ვიდრე ცხოველების და მცენარეების მოშენებაა. სწორედ ამ დარგში ინგლისი კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენს; სხვა ქვეყნების მიღწევებს, მაგ., გერმანიისა, სრულიადაც არ შეუძლია თავისი მასშტაბით შეედარონ იმას, რაც ამ მხრივ ინგლისს გაუკეთებია. ამასთანავე ეს მიღწევანი უმეტეს ნაწილად უკანასკნელ ას წელიწადს ეკუთვნიან, ისე რომ ფაქტების აღნიშვნა დიდ სიძნელეს როდი წარმოადგენს. და აი დარვინმა აღმოაჩინა, რომ ერთი და იმავე სახის ცხოველებისა და მცენარეების მოშენებამ ხელოვნურად გამოიწვია უფრო დიდი განსხვავებანი, ვიდრე ის განსხვავებანია, რომელნიც საყოველთაოდ განსხვავებულად ცნობილ სახეებში გვხვდება. ერთი მხრივ, მაშასადამე, დამტკიცებულ იქნა სახეთა ცვალებადობა განსაზღვრულ საფეხურამდე, ხოლო, მეორე მხრივ, საერთო წინაპრების შესაძლებლობა ორგანიზმებისათვის, რომელთაც განსხვავებულ სახეთა თვისებანი აქვთ. ახლა დარვინი შეუდგა იმის გამოკვლევას, ხომ არ მოიპოვებიან ბუნებაში მიზეზები, რომელთაც მომშენებლის შეგნებული განზრახვის დამოუკიდებლად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცოცხალ ორგანიზმებში მაინც ისეთივე ცვლილებანი უნდა გამოეწვიათ, როგორიც ხელოვნურმა მოშენებამ გამოიწვიაო. ეს მიზეზები მან აღმოაჩინა იმ შეუფარდებლობაში, რომელიც, ერთი მხრივ, ბუნების მიერ შექმნილ ჩანასახთა უზარმაზარ რიცხვსა და, მეორე მხრივ, ნამდვილად

სიმწიფეს მიღწეულ ორგანიზმებს შორის არსებობს. ხოლო, რადგან ყოველი ჩანასახი განვითარებისაკენ მიისწრაფის, აუცილებლად წარმოიშობა ბრძოლა არსებობისათვის, რომელიც აშკარავდება არა მარტო როგორც პირდაპირი, ფიზიკური შებრძოლება ან ერთმანეთის ჩანთქმა, არამედ როგორც ბრძოლა სივრცისა და სინათლისათვის, რაც მცენარეებს შორისაც იჩენს თავს. თავისთავად ცხადია, რომ ამ ბრძოლაში უდიდესი შანსები მომწიფებისა და გამრავლებისათვის იმ ინდივიდუუმებს აქვთ, რომელნიც რაიმე, თუნდ უმნიშვნელო, მაგრამ არსებობისათვის ბრძოლაში ხელსაყრელი ინდივიდუალური თავისებურებით არიან აღჭურვილი. ამიტომ ამ ინდივიდუალურ თავისებურებებს მემკვიდრეობით გადაცემის ტენდენცია აქვთ, ხოლო როცა ისინი ერთი და იმავე სახის მრავალ ინდივიდუუმში გეხვდებიან, ერთხელ მიღებული მიმართულებით ძლიერდებიან დაგროვებული მემკვიდრეობის წყალობით; ამავე დროს ამ თავისებურებათა არმქონე ინდივიდუუმები არსებობისათვის ბრძოლაში უფრო ადვილად მარცხდებიან და თანდათან ჰქრებიან. ამრიგად, სახე იცვლება ბუნებრივი შერჩევის, ყველაზე უფრო შეგუებულთა გადარჩენის შემწეობით.

დარვინის ამ თეორიის წინააღმდეგ ბატონი დიურინგი ამბობს, რომ, როგორც თვით დარვინმა აღიარა, არსებობისათვის ბრძოლის იდეის წარმოშობა უნდა ვეძებოთ ეკონომისტის, მოსახლეობის თეორეტიკოსის, მალთუსის შეხედულებათა განზოგადებაში და ამიტომ ამ იდეას გააჩნია ყველა ის ნაკლი, რომელიც ახასიათებს ხუცურ მალთუსიანურ შეხედულებებს მოსახლეობის ზედმეტი გამრავლების შესახებო.— მაგრამ დარვინს აზრადაც არ მოსვლია ეთქვა, არსებობისთვის ბრძოლის იდეის წ ა რ მ ო შ ო ბ ა მალთუსის აზროვნებაში უნდა ვეძებოთო. იგი მხოლოდ ამბობს, ჩემი თეორია არსებობისთვის ბრძოლისა მალთუსის თეორიაა, მთელს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე გამოყენებულიო. რა დიდიც უნდა იყოს დარვინის შეცდომა იმაში, რომ მან გულუბრყვილოდ და ასე შეუმოწმებლად მიიღო მალთუსის მოძღვრება, მაინც ყველა პირველი შეხედვისთანავე დაინახავს, რომ სრულიადაც არაა საჭირო მალთუსის სათვალეები, რათა ბუნებაში არსებობისთვის ბრძოლა შევამჩნიოთ, — შევამჩნიოთ წინააღმდეგობა იმ ჩანასახთა ურიცხვ მასასა, რომელსაც ბუნება ხელგაშლილად ქმნის, და იმ მცირე რაოდენობას შორის, რომელიც მათგან საერთოდ შეძლებს ხოლმე დამწიფებას მიაღწიოს; ეს წინააღმდეგობა სინამდვილეში, მართლაც, უმეტესწილად არსებობისთვის ბრძოლით წყდება, რაც

ალაგ-ალაგ მეტისმეტად ულმობელ ხასიათს ღებულობს. და როგორც შრომის ხელფასის კანონმა თავისი ძალა და მნიშვნელობა შეინარჩუნა მას შემდეგაც კი, რაც მალთუსის საბუთებმა, რომელთაც რიკარდო ეყრდნობოდა, დიდი ხანია მნიშვნელობა დაკარგა, ისე ბუნებაშიც შეიძლება არსებობისთვის ბრძოლას ადგილი ჰქონდეს ყოველივე მალთუსიანური ინტერპრეტაციის გარეშეც. ესეცაა, რომ ბუნებაშიც ორგანიზმებს თავიანთი მოსახლეობის კანონები აქვთ, რომელნიც გამოკვლეული სრულიად არ არიან, მაგრამ მათ დადგენას სახეთა განვითარების თეორიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. და ვინ მისცა ამ მიმართულებითაც გადამწყვეტი ბიძგი? არავინ, გარდა დარვინისა.

ბატონი დიურინგი კეთილგონივრულად გაურბის შეეხოს საკითხის ამ პოზიტიურ მხარეს, მის მაგიერ მუდამ არსებობისთვის ბრძოლამ უნდა აგოს პასუხი. საზოგადოდ იმთავითვე ლაპარაკიც კი არ შეიძლება არსებობისთვის ბრძოლაზე ცნობიერებას მოკლებულ მცენარეებსა და გულკეთილ ბალახთმძოველებს შორისო: «არსებობისთვის ბრძოლა ზუსტად განსაზღვრული აზრით ცხოველებს შორის მხოლოდ იმდენადაა გავრცელებული, რამდენადაც კვება მოტაცებისა და ჩანთქმის შემწეობით ხდება». მას შემდეგ, რაც ბატონმა დიურინგმა არსებობისთვის ბრძოლის ცნება ამ ვიწრო საზღვრებში შეიყვანა, მას შეუძლია თავისუფალი გასაქანი მისცეს თავის აღშფოთებას მის მიერვე მხეცობით შემოფარგლული ცნების მხეცობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ზნეობრივი აღშფოთება მხოლოდ თვით ბატონ დიურინგს ხვდება, რომელიც ერთადერთი ავტორია ამრიგად შეზღუდულ არსებობისათვის ბრძოლისა და ამიტომ მისთვის პასუხისმგებლობაც მხოლოდ მას ეკისრება. ამრიგად, დარვინი კი არაა, ვინც «მხეცების სფეროში ბუნების ყოველი მოქმედების კანონებსა და გაგებას ეძებს»,—დარვინმა სწორედ მთელი ორგანული ბუნება ჩაბა ბრძოლაში, — არამედ თვით ბატონი დიურინგის მიერ შეკოწიწებული ფანტასტიკური საფრთხობელა. ესეცაა, რომ ეს ს ა ხ ე ლ ი — არსებობისთვის ბრძოლა — ადვილად შეგვიძლია დავუთმოთ ბატონი დიურინგის მაღალზნეობრივ გულისწყრომას. ხოლო ასეთი ბრძოლის ფ ა ქ ტ ი რომ მცენარეებს შორისაც არსებობს, ეს დიურინგს შეუძლია ყოველმა მდელომ, ყოველმა პურის ყანამ, ყოველმა ტყემ დაუმტკიცოს; საკითხი ეხება არა სახელწოდებას, არა იმას, «არსებობისთვის ბრძოლას» ვიტყვით, თუ «არსებობის პირობების და მექანიკური ზემოქმედების ნაკლებობას», არამედ იმას, როგორ მოქმედებს ეს ფაქტი სახეების

შენარჩუნებასა და ცვალებადობაზე. ამის შესახებ კი ბატონი დიუ-რინგი ჯიუტად თავის თავისადმი თანაბარ დუმილს ინარჩუნებს. ამიტომ ჯერჯერობით ბუნებრივ შერჩევაში ყოველივე ძველებუ-რად რჩება.

მაგრამ დარვინიზმი «თავის გარდაქმნებსა და განსხვავებებს არა-რაობიდან აწარმოებს». მართლაც დარვინი, როცა იგი ბუნებრივ შერჩევაზე ლაპარაკობს, უგულებელყოფს მ ი ზ ე ზ ე ბ ს, რომელთაც ცვლილებები გამოიწვიეს ცალკეულ ინდივიდუუმებში, და, უწინარეს ყოვლისა, იკვლევს, თუ როგორ იქცევიან თანდათან ასეთი ინდივიდუალური გადახრანი ამა თუ იმ რასის, ნაირსახეობის ან სახის თვისებად. დარვინისთვის, უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება არა იმას, რომ იპოვოს ეს მიზეზები, რომელნიც დღემდე ნაწი-ლობრივ სრულიად უცნობი არიან, ნაწილობრივ მხოლოდ სრუ-ლიად ზოგადად აღინიშნებიან, რამდენადაც იმას, რომ იპოვოს რაციონალური ფორმა, რომელშიც მათი შედეგები მტკიცდებიან, ხანგრძლივ მნიშვნელობას იძენენ. დარვინმა რომ თავის აღმოჩე-ნას გადაჭარბებით ფართო მოქმედების სფერო მიაწერა, რომ მან იგი სახეთა ცვლილების ერთადერთ ბერკეტად აქცია და განმეო-რებული ინდივიდუალური ცვლილებების მიზეზები უგულებელყო მათი განზოგადების ფორმის გულისთვის, შეცდომას წარმოადგენს, რაც მას ახასიათებს იმ ადამიანების უმრავლესობასთან ერთად, რომელნიც ნამდვილ პროგრესს ქმნიან. გარდა ამისა, თუ დარ-ვინი თავის ინდივიდუალურ გარდაქმნებს არარაობიდან აწარმო-ებს და ამასთანავე მხოლოდ და მხოლოდ «პირუტყვის მომშენებ-ლის სიბრძნეს» იყენებს, გამოდის, რომ პირუტყვის მომშენებელ-მა თავისი უკვე არა წარმოდგენილი, არამედ რეალური გარდაქმ-ნანი ცხოველების და მცენარეების ფორმებისა ა რ ა რ ა ო ბ ი დ ა ნ უნდა აწარმოოს. მაგრამ ეს ადამიანი სწორედ დარვინი იყო, რო-მელმაც ბიძგი მისცა იმ საკითხის გამოკვლევას, საიდან წარმოს-დგებიან არსებითად ეს გარდაქმნანი და განსხვავებანი.

უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით ჰ ე კ ე ლ ი ს წყალობით, ბუ-ნებრივი შერჩევის წარმოდგენა გაფართოვდა და სახეთა ცვალება-დობას განიხილავენ როგორც შეგუებისა და მემკვიდრეობის ურ-თიერთმოქმედების შედეგს, ისე რომ შეგუება წარმოდგენილია როგორც პროცესის შემცვლელი, ხოლო მემკვიდრეობა როგორც მისი შემნახველი მხარე. მაგრამ არც ეს მოსწონს ბატონ დიურინგს. «საკუთრივ შეგუება ცხოვრების პირობების მიმართ, როგორც ამ უკანასკნელთ ბუნება გვაძლევს ან გვართმევს, გულისხმობს ისეთ

სტიმულებს და მოქმედებათა ფორმებს, რომელნიც წარმოდგენათა მიხედვით განისაზღვრებიან. სხვანაირად შეგუება მხოლოდ მოჩვენებაა და ამ შემთხვევაში მოქმედი მიზეზობრიობა არ მაღლდება ფიზიკურის, ქიმიურის და მცენარისეულ-ფიზიოლოგიურის დაბალ საფეხურებზე ზევით». აქაც ბატონ დიურინგის გულისწყრომას სახელწოდება იწვევს. მაგრამ რა სახელიც უნდა უწოდოს მან ამ პროცესს, მაინც საკითხავია, იწვევენ თუ არა ასეთი პროცესები ცვლილებებს ორგანიზმების სახეებში? ბატონი დიურინგი აქაც კვლავ არავითარ პასუხს არ იძლევა.

«თუ მცენარე ზრდის დროს იმ მიმართულებას ირჩევს, რომლითაც ის სინათლის მაქსიმუმს იღებს, გაღიზიანების ეს მოქმედება მხოლოდ ფიზიკური ძალების და ქიმიური აგენტების კომბინაციაა, და თუ გვსურს შეგუებაზე ვილაპარაკოთ არა მეტაფორულად, არამედ პირდაპირი გაგებით, ეს ცნებებში სპირიტისტულ არევდარევას შეიტანს». ასე მკაცრად ეპყრობა სხვებს ეს ადამიანი, რომელმაც ზედმიწევნით იცის ვისი გულისთვის აკეთებს ბუნება ამასა თუ იმას, ადამიანი, რომელიც ლაპარაკობს ბუნების სიფაქიზე-დახვეწილობაზე, კიდევ მეტი, მის ნებისყოფაზე! ეს მართლაც სპირიტისტული არევდარეაა, — მაგრამ ვისი მხრით, ჰეკელის თუ ბატონი დიურინგის მხრით?

ესაა არა მარტო სპირიტისტული, არამედ ლოგიკური არევ-დარევაც. ჩვენ დავინახეთ, რომ ბატონი დიურინგი მთელი თავისი ძალღონით დაჟინებით ადგას იმ აზრს, რომ მიზნის ცნებას ბუნებაშიც აქვს ძალა და მნიშვნელობაო: «საშუალების და მიზნის ურთიერთობა სრულიადაც არ გულისხმობს შეგნებულ განზრახვას». მაგრამ რა არის შეგუება შეგნებული განზრახვის დამოუკიდებლად, იმ წარმოდგენათა დაუხმარებლად, რომელთა წინააღმდეგ იგი ასე იბრძვის, თუ არ ასეთი შეუგნებელი მიზანშეწონილი მოქმედება?

თუ, მაშასადამე, ვასაკებს (ხის ბაყაყებს) და ფოთლისმჭამელ მწერებს მწვანე, უდაბნოს მხეცებს ქვიშისებური მოყვითალო, ხოლო პოლარეთის ცხოველებს, უმეტესწილად, თოვლივით თეთრი ფერი აქვთ, მათ ეს განზრახ ან რაიმე წარმოდგენების ზეგავლენით კი არ მიუღიათ: პირიქით, ეს ფერები მხოლოდ ფიზიკური ძალებითა და ქიმიური აგენტებით აიხსნება. მაგრამ მაინც უცილობელია, რომ ეს ცხოველები ფერების შემწეობით მიზანშეწონილად შეგუებული არიან იმ წრეს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, სახელდობრ იმ მხრივ, რომ ბევრად ნაკლებ შესამჩნევი არიან თავიანთი მტრების თვალში. აგრეთვე ის ორგანოები, რომლითაც ზოგიერთი მცე-

ნარე მათზე ჩამომჯდარ მწერებს იჭერს და ნთქავს, შეგუებულია ამ მოქმედებას, და შეგუებულია მიზანშეწონილადაც კი. თუ ბატონი დიურინგი დაიჟინებს, რომ შეგუება წარმოდგენამ უნდა გამოიწვიოსო, იგი მხოლოდ სხვა სიტყვებით იმას იტყვის, რომ მიზანშეწონილი მოქმედებაც წარმოდგენებით გამოწვეული, შეგნებული, განზრახული უნდა იყოსო. ამით კი ჩვენ, როგორც სინამდვილის ფილოსოფიაშია ხოლმე, მიზანშეწონილად მოსაქმე შემოქმედს, ღმერთს მივადექით. «წინათ ასეთ ახსნას დეიზმს უწოდებდნენ და მას აგრე რიგად არ აფასებდნენო, (ამბობს ბატონი დიურინგი); ახლა კი, როგორც ჩანს, ამ მხრივაც განვითარებამ უკან დაიხიაო».

შეგუებიდან მემკვიდრეობაზე გადავდივართ. აქაც დარვინიზმი, ბატონი დიურინგის აზრით, სრულიად მცდარ გზაზე დგას. თითქოს დარვინი ამტკიცებს, მთელი ორგანული სამყარო ერთი თავდაპირველი არსებიდან უნდა წარმოსდგებოდეს, ასე ვთქვათ, ერთადერთი არსების შთამომავლობას წარმოადგენსო. თითქოს დარვინისთვის სრულიად არ არსებობს პარალელური დამოუკიდებელი რიგები ბუნების ერთგვაროვანი ქმნილებებისა, რომელნიც ერთმანეთთან საერთო წარმოშობით არ იყვნენ დაკავშირებული; ამიტომ თავისი უკან მიბრუნებული შეხედულებებით იგი მაშინვე ჩიხში უნდა მოექცეს, როგორც კი დაბადების ან სხვაგვარი გამრავლების ძაფი გაუწყდება.

იმის მტკიცება, რომ დარვინს ყველა ახლანდელი ორგანიზმი ერთადერთი თავდაპირველი არსებიდან გამოჰყავსო, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, ბატონი დიურინგის «საკუთარი თავისუფალი შემოქმედება და ფანტაზიაა». დარვინი «Origin of Species»[1]-ის უკანასკნელის წინა გვერდზე (მე-6 გამოცემა) გადაჭრით ამბობს, რომ იგი განიხილავს «ყველა არსებას არა როგორც განსაკუთრებულ ქმნილებათ, არამედ როგორც რამდენიმე მცირე რიცხოვანი არსების პირდაპირ ჩამომავალსო». ჰეკელი კიდევ ბევრად უფრო შორს მიდის და «ერთ სრულიად დამოუკიდებელ მოდგმას იღებს მცენარეთა სამეფოსათვის, ხოლო მეორეს — ცხოველთა სამეფოსათვის», მათ შორის კი ათავსებს «რამდენიმე დამოუკიდებელი პროტისტების მოდგმას, რომელთაგანაც თვითეული, პირველთაგან სრულიად დამოუკიდებლად, განვითარდა საკუთარი არქიგონული[2] მონერის ფორმიდან» («Schöpfungsgeschichte»[3], გვ. 397). ეს თავდაპირვე-

[1] «სახეთა წარმოშობა». რ ე დ.
[2] —პირველშობილი. რ ე დ.
[3] — «შექმნის ისტორია». რ ე დ.

ლი არსება ბატონმა დიურინგმა მხოლოდ იმისთვის მოიგონა, რომ თავდაპირველ ურია ადამთან პარალელის გატარებით მისთვის რაც შეიძლება სახელი გაეტეხა; ამავე დროს მას, სახელდობრ ბატონ დიურინგს, ის უბედურება ეწვია, რომ მისთვის გაუგებარი დარჩა, როგორ იქცა ეს თავდაპირველი ურია სმიტის ასირიული აღმოჩენების შემწეობით თავდაპირველ სემიტად; ისე რომ მთელი ბიბლიური შესაქმე და წარღვნის ამბავი იმ ძველი წარმართული რელიგიური თქმულებების ციკლის ნაწილი ყოფილა, რომელიც საერთოა ებრაელებისა და ბაბილონელებისათვის, ქალდეელებისა და ასირიელებისათვის.

ეს მართლაც მკაცრი, მაგრამ ძნელად უკუსაგდები საყვედურია დარვინის მიმართ, რომ იგი მაშინვე ჩიხში ვარდება, როგორც კი წარმოშობის ძაფი გაუწყდება ხოლმე. სამწუხაროდ, ეს საყვედური მთელმა ჩვენმა ბუნებისმეცნიერებამ დაიმსახურა. სადაც წარმოშობის ძაფი წყდება, იგი «ჩიხში ვარდება». დღემდე მან ვერ შეძლო ორგანული არსება შეექმნა სხვა არსებათა საშუალებით წარმოშობის გარეშე; მას უბრალო პროტოპლაზმის ან სხვა ცილოვანი ნივთიერების შექმნაც კი არ ძალუძს ქიმიური ელემენტებისაგან. მაშასადამე, სიცოცხლის წარმოშობაზე მას დღემდე დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ იგი ქიმიური გზით უნდა მომხდარიყო. მაგრამ შეიძლება სინამდვილის ფილოსოფიას შეეძლოს აქ დახმარება გაგვიწიოს, იმიტომ რომ მის განკარგულებაშია დამოუკიდებლად ერთიმეორის გვერდით დამწკრივებული ბუნებრივი ქმნილებანი, რომელნიც წარმოშობით ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან? როგორ შეიძლებოდა ისინი წარმოშობილიყვნენ? თვითჩასახვით? ჰო, მაგრამ დღემდე თვითჩასახვის უთამამეს წარმომადგენელთაც კი პრეტენზია არ განუცხადებიათ, რომ ამ გზით რაიმე შეიქმნებოდეს, გარდა ბაქტერიებისა, სოკოს ჩანასახებისა და სხვა მეტად პრიმიტიული ორგანიზმებისა—არც მწერები, არც თევზები, არც ფრინველები და არც ძუძუმწოვარი ცხოველები. და თუ ეს ერთგვაროვანი ბუნებრივი ქმნილებანი, რასაკვირველია, ორგანულნი, იმიტომ რომ მხოლოდ მათ შესახებაა აქ ლაპარაკი, ერთმანეთთან საერთო წარმოშობით არ არიან დაკავშირებულნი, მაშინ ისინი ან თვითეული მათი წინაპარი ქვეყანაზე შემოქმედების განცალკევებული აქტით უნდა გაჩნდეს იქ, «სადაც წარმოშობის ძაფი წყდება». მაშასადამე, ხელახლა შემოქმედის და იმის წინაშე აღმოვჩნდით, რასაც დეიზმი ეწოდება.

შემდეგ ბატონი დიურინგი დარვინის დიდ ზერელობად თვლის იმას, რომ «მან თვისებათა სქესობრივი კომპოზიციის უბრალო აქტი ამ თვისებათა წარმოშობის ძირითად პრინციპად აქცია». ესეც ჩვენი საფუძვლიანი ფილოსოფოსის თავისუფალი შემოქმედება და ფანტაზიაა. პირიქით, დარვინი გადაჭრით აცხადებს: გამოთქმა— «ბუნებრივი შერჩევა»—შეიცავს მხოლოდ ცვლილებათა შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა ს და არა მათ წარმოშობასო (გვ. 63). მაგრამ საგნების ეს ახალი არევდარევა, რომელიც დარვინს არასოდეს არ უთქვამს, მხოლოდ იმას ემსახურება, რომ გზა გაგვიკაფოს დიურინგის შემდეგი ღრმა აზრისკენ: «თუ სქესობრივი გამრავლების შინაგან სქემატიზმში აღმოვაჩენდით დამოუკიდებელი ცვლილების რაიმე პრინციპს, ეს აზრი სრულიად რაციონალური იქნებოდა; იმიტომ რომ სრულიად ბუნებრივია აზრი საერთო გენეზისის პრინციპისა და სქესობრივი გამრავლების პრინციპის შეერთებისა და უმაღლესი თვალსაზრისით ეგრეთწოდებული თვითჩასახვის განხილვა არა როგორც კვლავწარმოების აბსოლუტური დაპირისპირებისა, არამედ სწორედ როგორც წარმოებისა». და ადამიანს, რომელსაც შეუძლია ასეთი გალიმატია შეთხზას, იმასაც კი არ ერიდება, რომ ჰეგელს უსაყვედუროს, «ჟარგონს» ხმარობო!

მაგრამ კმარა მოსაწყენი, წინააღმდეგობით აღსავსე ბუზღუნი და აბეზარობა, რომელშიც ბატონი დიურინგი გამოსავალს აძლევს თავის გაბრაზებას ბუნებისმეცნიერების იმ უზარმაზარი წინსვლის გამო, რაც დარვინის თეორიამ გამოიწვია. არც დარვინს, არც მის მიმდევრებს ბუნებისმეცნიერთა წრიდან აზრად არ მოსვლიათ, რაიმე მხრით დაემცირებინათ ლამარკის დიდი დამსახურება; სწორედ პირველად მათ ასწიეს მაღლა ლამარკი ხელახლა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლამარკის დროს მეცნიერების განკარგულებაში საკმაო მასალა არ იყო, რათა სახეთა წარმოშობის საკითხისთვის სხვა პასუხი გაეცა, გარდა წინათგრძნობისა და წინასწარმეტყველებისა. გარდა უზარმაზარი მასალისა, რომელიც მას შემდეგ დაგროვდა როგორც აღმწერი, ისე ანატომიური ბოტანიკისა და ზოოლოგიის დარგში, ლამარკის შემდეგ წარმოიშვა ორი სრულიად ახალი მეცნიერება, რომელთაც აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ: ერთია მცენარისეულ და ცხოველისეულ ჩანასახთა განვითარების გამოკვლევა (ემბრიოლოგია), მეორე — დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა ფენებში დარჩენილი ორგანული ნაშთების გამოკვლევა (პალეონტოლოგია). აღმოჩნდა, რომ ორგანული ჩანასახების მომწიფებულ ორგანიზმებამდე თანდათანობით განვითარებასა და დედამიწის

ისტორიაში ერთიმეორის მიყოლებით გაჩენილი მცენარეებისა და ცხოველების თანმიმდევრულ რიგს შორის სწორედ დამახასიათებელი შესაბამობა ყოფილა. და სწორედ ამ შესაბამობამ მტკიცე საფუძველი მისცა განვითარების თეორიას. მაგრამ თვით განვითარების თეორია ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდაა და ამიტომ უცილობელია, რომ მომავალი კვლევა-ძიება ძლიერ შესამჩნევად შესცვლის ახლანდელ, მათ შორის მკაცრ დარვინისტულ წარმოდგენებსაც სახეთა განვითარების მსვლელობაზე.

მაგრამ დადებითი რა აქვს სათქმელი სინამდვილის ფილოსოფიას ორგანული სიცოცხლის განვითარებაზე?

«...სახეთა ცვალებადობა მისაღები წანამძღვარია». მაგრამ მის გვერდით მნიშვნელობას ინარჩუნებს «ბუნების ერთგვაროვან ქმნილებათა დამოუკიდებელი პარალელური რიგი, რომლებიც საერთო წარმოშობით არ არიან დაკავშირებული». ამის მიხედვით უნდა გვეფიქრა, ბუნების არაერთგვარი ქმნილებანი, ე. ი. სახეები, რომელნიც იცვლებიან, ერთმანეთისაგან წარმოსდგებიან, ერთგვაროვანი ქმნილებანი კი — არაო. მაგრამ ეს მთლად ასე არაა; იმიტომ რომ სახეებში, რომელნიც იცვლებიან, «საერთო წარმოშობის კავშირი, პირიქით, მხოლოდ ბუნების მეორეხარისხოვანი აქტი უნდა იყოს». მაშასადამე, ესეც მაინც წარმოშობაა, «მხოლოდ მეორე კლასისა». კმაყოფილი უნდა ვიყოთ იმისაც, რომ წარმოშობას ბოლოს მაინც უკანა კარიდან უშვებენ, მას შემდეგ, რაც ბატონმა დიურინგმა ამდენი ცუდი და ბნელი რამ თქვა მის შესახებ. იგივე ამბავი მოსდის ბუნებრივ შერჩევას, იმიტომ რომ მას შემდეგ, რაც არსებობისთვის ბრძოლაზე, რომლის შემწეობით ბუნებრივი შერჩევა ხდება, დიდი ზნეობრივი აღშფოთება გამოითქვა, უცებ ვკითხულობთ: «ორგანული წარმონაქმნების თვისებათა უფრო ღრმა საფუძველი, ამრიგად, ცხოვრების პირობებსა და კოსმიურ ურთიერთობაში უნდა ვეძებოთ, მაშინ როცა დარვინის მიერ ხაზგასმულ ბუნებრივ შერჩევას მხოლოდ მეორე რიგში შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს». მაშასადამე, აქაც ბუნებრივი შერჩევაა, თუმცა ესეც «მეორე კლასისა»; მაშასადამე, აქაც ბუნებრივ შერჩევასთან ერთად არსებობისთვის ბრძოლა და ხუცურ-მალთუსიანური მოსახლეობის სიჭარბეა! ესაა და ეს,—დანარჩენისთვის ბატონი დიურინგი ლამარკისკენ გვისტუმრებს.

ბოლოს იგი გვაფრთხილებს — ბოროტად არ ვიხმაროთ სიტყვები: «მეტამორფოზა» და «განვითარება». მეტამორფოზა, ამბობს ის, გაურკვეველ ცნებას წარმოადგენს, ხოლო განვითარების ცნება მხო-

ლოდ იმდენადაა დასაშვები, რამდენადაც ნამდვილად აქ შეიძლება დამტკიცებულ იქნეს განვითარების კანონები. ორივეს მაგიერ უნდა ვთქვათ «კომპოზიცია», და მაშინ ყოველივე კარგად იქნებაო. ეს იგივე ძველი ისტორიაა: საგნები ისევ ისეთი რჩება, როგორიც იყვნენ, და ბატონი დიურინგიც სავსებით დაკმაყოფილებულია, როგორც კი ჩვენ მხოლოდ სახელს შევცვლით. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ წიწილის განვითარებაზე კვერცხში, საქმის ვითარებას ვაბნევთ, იმიტომ რომ მხოლოდ არასაკმარისი სახით შეგვიძლია განვითარების კანონების დამტკიცება. მაგრამ თუ მის «კომპოზიციაზე» ვილაპარაკეთ, ყოველივე ნათელი გახდება. მაშასადამე, ჩვენ აღარ ვიტყვით: «ეს ბავშვი საუცხოოდ ვითარდება», არამედ ვიტყვით: «იგი შესანიშნავად კომპონირდება», და ჩვენ შეგვიძლია მივულოცოთ ბატონ დიურინგს, რომ იგი ღირსეულად უდგას გვერდში «ნიბელუნგების რგოლის» შემოქმედს არა მარტო კეთილშობილი თვითდაფასების მხრით, არამედ აგრეთვე როგორც მომავლის კომპოზიტორი.

VIII

ნატურფილოსოფია. ორგანული სამყარო (დასასრული)

«დეე ასწონდასწონონ... რა დადებითი ცოდნაა საჭირო ჩვენი ნატურფილოსოფიური განყოფილებისთვის, რათა იგი ყველა მეცნიერული წანამძღვარით აღვჭურვოთ. მას უწინარეს ყოვლისა საფუძვლად უდევს მათემატიკის ყველა არსებითი მათემატიკური მონაპოვარი, ხოლო შემდეგ ზუსტი ცოდნის მთავარი დებულებანი მექანიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში, ისევე როგორც საზოგადოდ ბუნებისმეცნიერების შედეგები ფიზიოლოგიასა, ზოოლოგიასა და მათ მსგავს კვლევაძიების დარგებში».

ასე თვითდაჯერებით და გაბედულად ლაპარაკობს ბატონი დიურინგი ბატონი დიურინგის მათემატიკური და ბუნებისმეცნიერული სწავლულობის შესახებ. მაგრამ თვით ამ მჭლე განყოფილებიდან და მით უმეტეს კიდევ უფრო მჭლე შედეგებიდან არ ჩანს, დადებითი ცოდნის რა საფუძვლიანობა იმალება მათ უკან. ყოველ შემთხვევაში, რათა ადამიანმა ფიზიკასა და ქიმიაში დიურინგისებური მისნობა გამოიჩინოს, ფიზიკიდან საკმაოა იმ განტოლების ცოდნა, რომელიც სითბოს მექანიკურ ეკვივალენტს გამოხატავს, ხოლო ქიმიიდან მხოლოდ იმისა, რომ ყველა სხეული

ელემენტებად და ელემენტთა შეერთებად იყოფა. ვინც ამას გარდა, როგორც ბატონი დიურინგი 131 გვ., «მიზიდულ ატომებზე» ლაპარაკობს, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ატომისა და მოლეკულის განსხვავება სრულიად «ბუნდოვნად» აქვს წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, ატომები არსებობენ არა მიზიდულობისა ან სხვა მექანიკური ან ფიზიკური მოძრაობის ფორმებისთვის, არამედ მხოლოდ ქიმიური მოქმედებისთვის. ხოლო როცა ვკითხულობთ თავს ორგანული ბუნების შესახებ, მისი ცარიელი, წინაალმდეგობით აღსავსე, უმნიშვნელოვანეს საკითხში მისნური, უაზრო ლაყბობით, საბოლოო შედეგების აბსოლუტური არარაობით, შეუძლებელია არ შეგვექმნას შეხედულება, რომ ბატონი დიურინგი აქ ისეთ საგნებზე ლაპარაკობს, რომელთა შესახებ მან საოცრად ცოტა რამ იცის. ეს შეხედულება რწმენად იქცევა, როცა მკითხველი მიადგება მის წინადადებას, მოძღვრებაში ორგანული სიცოცხლის შესახებ (ბიოლოგიაში) ამიერიდან «კომპოზიცია» ვთქვათ «განვითარების» მაგიერო. ვინც ასეთ წინადადებას იძლევა, იგი ამტკიცებს, რომ ოდნავი წარმოდგენაც არა აქვს ორგანული სხეულების შექმნაზე.

ყველა ორგანული სხეული, უდაბლესთა გამოკლებით, შედგება უჯრედებისაგან, პატარა ცილის გუნდებისაგან, რომელთა დანახვა მხოლოდ ძლიერი გადიდებით შეიძლება და რომელნიც შიგნით უჯრედის ბირთვით არიან აღჭურვილი. ჩვეულებრივ უჯრედი გარეკანსაც ანვითარებს და მაშინ მისი შინაარსი მეტად თუ ნაკლებად თხევადია. უდაბლესი უჯრედოვანი სხეულები ე რ თ ი უჯრედისგან შედგება; ორგანულ არსებათა დიდი უმრავლესობა მრავალ უჯრედიანია, ეს არსებანი წარმოადგენენ მრავალი უჯრედის შეკავშირებულ კომპლექსს; ეს უჯრედები დაბალ ორგანიზმებში ჯერ კიდევ ერთგვარი არიან, მაღალში კი სულ უფრო და უფრო სხვადასხვა ფორმებსა, დაჯგუფებასა და ფუნქციებს იძენენ. მაგ., ადამიანის სხეულში ძვლები, კუნთები, ნერვები, ძარღვები, მყესები, ოგეები, ხრტილები, კანი,— ერთი სიტყვით, ყველა ქსოვილი — ან შედგება ან წარმოდგება უჯრედებისაგან. მაგრამ ყველა ორგანული უჯრედიანი წარმონაქმნისათვის, დაწყებული ამებიდან, რომელიც მარტივ, უმეტეს შემთხვევაში უგარსო ცილის გუნდას წარმოადგენს, უჯრედის შინაგანი ბირთვით აღჭურვილს, ადამიანამდე, და უმცირეს ერთუჯრედიან დესმიდიაცეედან დაწყებული უმაღლესად განვითარებულ მცენარემდე, უჯრედების გამრავლების წესი ერთი და იგივეა: ესაა მათი გაყოფა. უჯრედის ბირთვი

ჯერ შუაზე გადაისკვნება, ეს ნასკვი, რომელიც ბირთვის ორივე ნახევარს თიშავს, თანდათან ძლიერდება, ბოლოს ისინი ერთმანეთს ეთიშებიან და ორი უჯრედის ბირთვს ქმნიან. იგივე პროცესი ხდება თვით უჯრედში, თვითეული ამ ორი ბირთვიდან უჯრედის ნივთიერების დაგროვების ცენტრი ხდება, ეს ნივთიერება მეორესთან დაკავშირებულია ნასკვით, რომელიც სულ უფრო ვიწროვდება, სანამ, ბოლოს, ორივენი გაითიშებიან და დამოუკიდებელი უჯრედების სახით განაგრძობენ ცხოვრებას. უჯრედთა ასეთი განმეორებითი გაყოფის გზით ცხოველის კვერცხის ჩანასახის ბუშტიდან მომხდარი განაყოფიერების შემდეგ თანდათან მთელი მომწიფებული ცხოველი ვითარდება, ხოლო მომწიფებულ ცხოველშიც გაცვეთილი ქსოვილების შეცვლა ხდება. ადამიანმა რომ ასეთს პროცესს კომპოზიცია უწოდოს, ხოლო მისი განვითარების ტერმინით აღნიშვნა «წმინდა ფანტაზიად» მონათლოს, ამისთვის საჭიროა, რომ მან არაფერი არ იცოდეს ამ პროცესზე, რაც დღეს ძნელი დასაშვებია; აქ ხომ პირდაპირი აზრით მ ხ ო ლ ო დ განვითარება ხდება და სრულიადაც არა კომპოზიცია!

ქვემოთ ჩვენ კიდევ ვიტყვით ზოგიერთ რამეს იმის შესახებ, თუ როგორ ესმის საერთოდ ბატონ დიურინგს სიცოცხლე, კერძოდ მას სიცოცხლე შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: «არაორგანული სამყაროც თავისთავად წარმოებული მოძრაობების სისტემას წარმოადგენს; მაგრამ საკუთრივ სიცოცხლეზე ლაპარაკი, ამ სიტყვის უფრო ვიწრო და მკაცრი გაგებით, ჩვენ მხოლოდ იქ შეგვიძლია, სადაც საკუთრივ განწევრება იწყება და სადაც ხდება ნივთიერების ცირკულაცია განსაკუთრებული არხების შემწეობით ერთი შინაგანი პუნქტიდან ჩანასახის სქემის მიხედვით, რომელიც დაუშვებს გადატანას უფრო მცირე წარმონაქმნზე».

თავი რომ დავანებოთ უმწეოდ არეულ-დარეულ გრამატიკულ წყობას, ეს წინადადება სიტყვის ვიწრო და მკაცრი გაგებით უაზროობის «თავისთავად წარმოებული მოძრაობების სისტემაა» (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს ამბები). თუ სიცოცხლე მხოლოდ იქ იწყება, სადაც საკუთრივ განწევრება იწყება, მაშინ ჩვენ ჰეკელის მთელი პროტისტების სამეფო მკვდრად უნდა გამოვაცხადოთ და შეიძლება ამას კიდევ ბევრი რამ დავუმატოთ იმისდა მიხედვით, თუ როგორ გავიგებთ განწევრების ცნებას. თუ სიცოცხლე მხოლოდ იქ იწყება, სადაც განწევრების გადატანა შესაძლებელი ხდება პატარა ჩანასახის სქემის შემწეობით, ცოცხალი არ ყოფილა ყოველ შემთხვევაში არც ერთი დაბალი ორგანიზმი, თვით ერთუჯრედოვანების ჩათვლით.

თუ ნივთიერების ცირკულაცია განსაკუთრებული არხების შემწეობით სიცოცხლის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს, მაშინ ჩვენ გარდა ზემოაღნიშნულისა ცოცხალ არსებათა რიგიდან უნდა გამოვრიცხოთ მთელი ზედა კლასი Coelenterata (ღრუნაწლავიანებისა), ყოველ შემთხვევაში, მედუზების გამოკლებით, ე. ი. ყველა პოლიპი და სხვა ცხოველ-მცენარე. ხოლო თუ ნივთიერების ცირკულაცია განსაკუთრებულ არხებში ერთი შინაგანი პუნქტიდან სიცოცხლის არსებით ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს, მკვდრად უნდა გამოვაცხადოთ ყველა ცხოველი, რომელთაც გული არა აქვთ, ან რამდენიმე გული აქვთ. ზემოაღნიშნულთა გარდა ასეთია ყველა ჭია, ზღვის ვარსკლავი და ბორბალა ცხოველი (Annuloida და Annulosa, ჰექსლის კლასიფიკაციით), კიბოსმაგვართა ნაწილი (კიბოები) და, ბოლოს, თვით ერთი ხერხემლიანიც, სახელდობრ ლანცეტოვანი ცხოველი (Amphioxus). აქვე უნდა მოვათავსოთ ყველა მცენარე.

მაშასადამე, როცა ბატონი დიურინგი იწყებს საკუთრივ სიცოცხლის დახასიათებას ვიწრო და მკაცრი გაგებით, იგი იძლევა სიცოცხლის ოთხ ერთიმეორის სავსებით მოწინააღმდეგე ნიშანდობლივ თვისებას, რომელთაგანაც ერთი მუდმივ სასიკვდილოდ სწირავს არა მარტო მთელ მცენარეთა სამეფოს, არამედ აგრეთვე დაახლოებით ცხოველთა ნახევარ სამეფოსაც. ჭეშმარიტად არავის შეუძლია თქვას, მან მოგვატყუაო, როცა «ძირიან-ფესვიანად თავისებური შედეგები და შეხედულებანი» აღგვითქვა!

მეორე ადგილას ვკითხულობთ: «ბუნებაშიც ყველა ორგანიზაციას, უდაბლესიდან დაწყებული უმაღლესამდე, საფუძვლად მარტივი ტიპი უძევს», და ეს ტიპი შეიძლება «სავსებით აღმოვაჩინოთ მის ზოგად არსებაში ყველაზე არასრულქმნილი მცენარის ყველაზე დაქვემდებარებულ მოძრაობაში». ეს დებულებაც «სავსებით და მთლიანად» უაზრობაა. უმარტივესი ტიპი, რომელიც მთელ ორგანულ ბუნებაში გვხვდება, უჯრედია; იგი მართლაც საფუძვლად უძევს უმაღლეს ორგანიზაციებს. მაგრამ უდაბლეს ორგანიზმებს შორის ვხვდებით მრავალს ისეთს, რომელნიც უჯრედზე ჯერ კიდევ დაბლა დგანან, ასეთი არის პროტამება, რომელიც უდიფერენციაციო ცილის გუნდას წარმოადგენს, სხვა მონერების მთელი რიგი და ყველა ლულოვანი წყალმცენარე (Siphoneae). ისინი ყველანი მხოლოდ იმით არიან დაკავშირებული უმაღლეს ორგანიზმებთან, რომ მათ არსებით შემადგენელ

ნაწილს ცილა წარმოადგენს და ისინი ცილის ფუნქციას ასრულებენ, ე. ი. ცოცხლობენ და კვდებიან.

შემდეგ ბატონი დიურინგი მოგვითხრობს: «ფიზიოლოგიურად შეგრძნება დაკავშირებულია რაიმე, თუნდაც მეტად მარტივი ნერვული აპარატის არსებობასთან. ამიტომ ყოველი ცხოველური ქმნილების დამახასიათებელი თვისებაა შეგრძნების, ე. ი. თავისი მდგომარეობის სუბიექტურად შეგნებული ათვისების უნარი. მკვეთრი საზღვარი მცენარესა და ცხოველს შორის ძევს იქ, სადაც ხდება ნახტომი შეგრძნებისკენ. შეუძლებელია ამ საზღვრის წაშლა ცნობილი გარდამავალი ფორმების შემწეობით, მით უმეტეს, რომ იგი პირველად იქცევა ლოგიკურ მოთხოვნილებად იმ ფორმების შემწეობით, რომელნიც გარეგნულად გადაუჭრელია ან რომელთა გადაჭრა შეუძლებელია». შემდეგ: «პირიქით, მცენარეები სრულიად და სამუდამოდ მოკლებული არიან შეგრძნების ნატამალსაც კი და არც რაიმე უნარი აქვთ ამისთვის».

ერთი რომ ჰეგელი «Naturphilosophie»-ში [1], § 351, დამატება, ამბობს, «შეგრძნება არის ცხოველის differentia specifica, მისი აბსოლუტურად გამასხვავებელი თვისებაო». მაშასადამე, ესეც ჰეგელის «ძნელად მოსანელებელი აზრია», რომელიც ბატონ დიურინგს უბრალო ანექსის წყალობით უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტების კეთილშობილ წოდებაში აჰყავს.

მეორე ის, რომ აქ პირველად გვესმის მცენარესა და ცხოველს შორის გარდამავალი ფორმების შესახებ, რომელნიც გარეგნულად გადაუჭრელია ან რომელთა გადაჭრა შეუძლებელია (მშვენიერი ქაჯური ენაა!). ის გარემოება, რომ ეს გარდამავალი ფორმები არსებობენ, რომ მოიპოვებიან ორგანიზმები, რომელთა შესახებ ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, მცენარეები არიან ისინი თუ ცხოველები; რომ ჩვენ საზოგადოდ არ შეგვიძლია მკვეთრი საზღვარი გავიყვანოთ მცენარესა და ცხოველს შორის, ეს ყოველივე ბატონ დიურინგის აზროვნებაში ლოგიკურ მოთხოვნილებას იწვევს, დაადგინოს განმასხვავებელი ნიშანი, რომლის შესახებ ის იმ წამსვე აღიარებს, იგი საიმედო არააო! მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ გვესაჭიროება უკან დავუბრუნდეთ საკამათო სფეროს, რომელიც მცენარეებსა და ცხოველებს შორის ძევს; განა მგრძნობიარე მცენარეები, რომელნიც თავიანთ ფოთლებს კეცავენ ან თავიანთ ყვავილებს ხურავენ ოდნავი შეხების დროს, განა მწე-

[1]) «ბუნების ფილოსოფია». რ ე დ.

რების მშთანთქმელი მცენარეები მოკლებული არიან შეგრძნების ნატამალსა და უნარს? ამის მტკიცება თვით ბატონ დიურინგსაც არ შეუძლია, თუ «არამეცნიერული ნახევარპოეზია» არ მოიშველია.

მესამე, ესეც ბატონ დიურინგის თავისუფალი შემოქმედება და ფანტაზიაა, როცა იგი ამტკიცებს, შეგრძნება ფიზიოლოგიურად დაკავშირებულია რაიმე, თუნდაც მარტივი ნერვული აპარატის არსებობასთანო. არა მარტო ყველა თავდაპირველი ცხოველი, არამედ აგრეთვე მცენარე-ცხოველები, ყოველ შემთხვევაში მათი დიდი უმრავლესობა, ნერვული აპარატის ნატამალსაც კი არ ამჟღავნებენ. მხოლოდ ჭიებიდან დაწყებული გვხვდება იგი როგორც წესი, და ბატონი დიურინგი პირველია, რომელიც ამტკიცებს, იმ ცხოველებს შეგრძნება არა აქვთ, იმიტომ რომ ნერვები არა აქვთო. შეგრძნება აუცილებლად ნერვებთან არაა დაკავშირებული, მაგრამ დაკავშირებულია ერთგვარ ცილოვან სხეულებთან, რომლებიც დღემდე ზუსტად ვერაა დადგენილი.

ესეც არ იყოს, ბატონი დიურინგის ბიოლოგიური ცოდნა საკმაოდ ხასიათდება იმ კითხვით, რომელსაც იგი შეუშფოთებლად უყენებს დარვინს: «ნუთუ ცხოველი მცენარისაგან განვითარდა?» ასეთი რამის კითხვა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც არაფერი იცის არც ცხოველებსა და არც მცენარეებზე.

საერთოდ სიცოცხლის შესახებ ბატონ დიურინგს მხოლოდ შემდეგის თქმა შეუძლია: «ნივთიერების ცვლა, რომელიც პლასტიკურად მაფორმირებელი სქემატიზაციის შემწეობით ხდება (ეშმაკმა იცის, რას ნიშნავს ეს!), საკუთრივ სიცოცხლის პროცესის დამახასიათებელ თვისებად რჩება მუდამ».

ესაა და ეს, რასაც სიცოცხლის შესახებ ვტყობილობთ, ამავე დროს «პლასტიკურად მაფორმირებელი სქემატიზაციის» გამო მუხლებამდე ვეფლობით წმინდა დიურინგისებური ჟარგონის უაზრო ქაჯურ ენაში. ამიტომ თუ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რა არის სიცოცხლე, ჩვენ თვითონ ზუსტად უნდა გამოვიკვლიოთ ეს საკითხი.

ნივთიერებათა ორგანული ცვლა რომ სიცოცხლის ყველაზე ზოგადი და დამახასიათებელი მოვლენაა, ეს უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში უთვალავჯერ უთქვამთ ფიზიოლოგ-ქიმიკოსებს და ქიმიკოს-ფიზიოლოგებს; მხოლოდ ბატონმა დიურინგმა ეს აზრი თავის მოხდენილ და ნათელ ენაზე გადათარგმნა. მაგრამ სიცოცხლის განსაზღვრა როგორც ნივთიერებათა ორგანული ცვლისა იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე განსაზღვრო როგორც სიცოცხლე; იმიტომ რომ ნივთიერებათა ორგანული ცვლა ანუ ნივთიერე-

ბათა ცვლა «პლასტიკურად მაფორმირებელი სქემატიზაციით» სწორედ ისეთი გამოთქმაა, რომელიც თვით საჭიროებს განმარტებას სიცოცხლით, განმარტებას ორგანულის და არაორგანულის, ე. ი. ცოცხალის და არაცოცხალის განსხვავებით. მაშასადამე, ამ განმარტებით ჩვენ ერთი ნაბიჯითაც ვერ მივდივართ წინ.

ნივთიერებათა ცვლა როგორც ასეთი არსებობს სიცოცხლის გარეშეც. ქიმიაში არსებობს მთელი რიგი პროცესებისა, რომლებიც, თუ ნედლი მასალის საკმაო მიწოდება იქნა, ყოველთვის ხელახლა ქმნიან თავიანთ საკუთარ პირობებს, და ეს ისე ხდება, რომ პროცესის მატარებელი განსაზღვრული სხეულია. ასე ხდება, მაგალითად, გოგირდმჟავას დამზადების დროს გოგირდის დაწვის შემწეობით. აქ ვღებულობთ გოგირდის ორჟანგს, SO_2, ხოლო როცა მას წყლის ორთქლსა და აზოტმჟავას ვუმატებთ, გოგირდის ორჟანგი წყალბადსა და ჟანგბადს შთანთქავს და იქცევა გოგირდმჟავად, H_2SO_4. ამასთანავე აზოტმჟავა ჟანგბადის ნაწილს გასცემს და აზოტის ჟანგად იქცევა; აზოტის ეს ჟანგი მაშინვე ახალ ჟანგბადს შთანთქავს ჰაერიდან და აზოტის უმაღლეს ჟანგებად იქცევა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ეს ჟანგბადი მაშინვე გოგირდის ორჟანგს მისცეს და ხელახლა იგივე პროცესი გააკეთოს, ისე რომ თეორიულად საკმაოა აზოტმჟავას უსასრულოდ მცირე რაოდენობა, რათა გოგირდის ორჟანგის, ჟანგბადის და წყლის განუსაზღვრელი რაოდენობა გოგირდმჟავად იქცეს.—შემდეგ ნივთიერებათა ცვლა ხდება, როცა სითხეები მკვდარ ორგანულ და თვით არაორგანულ აპკებს გადიან ხოლმე, აგრეთვე ტრაუბეს ხელოვნურ უჯრედებშიც. აქაც კვლავ ჩანს, რომ ნივთიერებათა ცვლით ადგილიდან ვერ დავიძვრებით; იმიტომ რომ ნივთიერებათა ის თავისებური ცვლა, რომელმაც სიცოცხლე უნდა აგვიხსნას, თვით საჭიროებს კვლავ ახსნას სიცოცხლის შემწეობით. ამიტომ სხვა ახსნა უნდა მოვძებნოთ.

ს ი ც ო ც ხ ლ ე ა რ ი ს ც ი ლ ო ვ ა ნ ი ს ხ ე უ ლ ე ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს წ ე ს ი, და არსებობის ეს წესი არსებითად ამ სხეულების ქიმიური შემადგენელი ნაწილების მუდმივ თვითგანახლებაში მდგომარეობს.

ცილოვანი სხეული აქ გაგებულია თანამედროვე ქიმიის აზრით, იგი ამ სახელწოდებაში თავს უყრის ყველა სხეულს, რომელიც შემადგენლობით ანალოგიურია ჩვეულებრივი ცილისა და პროტეინსხეულებადაც იწოდება. სახელწოდება უხერხულადაა არჩეული, იმიტომ რომ ჩვეულებრივი ცილა ყველა მონათესავე ნივთიე-

რებათ შორის ყველაზე უსიცოცხლო, პასიურ როლს ასრულებს, იგი კვერცხის გულთან ერთად მხოლოდ და მხოლოდ საკვებ ნივთიერებას წარმოადგენს განვითარების პროცესში მყოფი ჩანასახისათვის. მაგრამ სანამ ცილოვანი სხეულების ქიმიური შემადგენლობის შესახებ ასე ცოტა რამ არის ცნობილი, ეს სახელწოდება მაინც საუკეთესოა, იმიტომ რომ უფრო ზოგადია, ვიდრე ყველა დანარჩენი.

ყველგან, სადაც სიცოცხლეს ვხვდებით, იგი რაიმე ცილოვან სხეულთანაა დაკავშირებული, და ყველგან, სადაც მოიპოვება ცილოვანი სხეული, რომელიც დაშლის პროცესში არ იმყოფება, იქ გამოუკლებლივ სიცოცხლის მოვლენებსაც ვხვდებით. რასაკვირველია, ცოცხალ ორგანიზმში საჭიროა სხვა ქიმიურ ნაერთთა არსებობაც, რათა გამოწვეულ იქნეს ამ სიცოცხლის მოვლენათა განსაკუთრებული დიფერენციაცია; მარტოოდენ სიცოცხლისთვის ისინი არ არიან საჭირო; თუ არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ისინი საკვებს წარმოადგენენ და ცილად იქცევიან. უდაბლესი ცოცხალი არსებანი, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, მარტივ ცილოვან გუნდას წარმოადგენენ და სიცოცხლის ყველა არსებითს მოვლენას ამჟღავნებენ.

მაშ რაში მდგომარეობს ეს სიცოცხლის მოვლენები, რომლებიც თანაბრად არსებობენ ყველა ცოცხალ არსებაში? უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ ცილოვანი სხეული თავისი გარემოდან სხვა შესაფერ ნივთიერებებს იღებს, მათს ასიმილირებას ახდენს, მაშინ როცა სხეულის სხვა, უფრო ძველი ნაწილები იშლებიან და გამოიყოფიან ხოლმე. სხვა, არა ცოცხალი სხეულებიც იცვლებიან, იშლებიან, ან კომბინაციაში შედიან ბუნებრივი პროცესის მსვლელობაში; მაგრამ ისინი ამის შემდეგ ის აღარ არიან, რაც იყვნენ. კლდე, რომელიც გამოიფიტება, კლდე აღარ არის; დაჟანგვის გავლენით ლითონი ჟანგში გადადის. მაგრამ რაც მკვდარ სხეულებში განადგურების მიზეზია, ცილაში ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ძ ი რ ი თ ა დ პ ი რ ო ბ ა ს წარმოადგენს. იმ წუთიდან, როცა ცილოვან სხეულში წყდება შემადგენელი ნაწილების ეს შეუწყვეტელი გარდაქმნა, ეს მუდმივი შენაცვლება კვებისა და გამოყოფისა, იმავე წუთიდან თვით ცილოვანი სხეული ისპობა, იშლება, ე. ი. კ ვ დ ე ბ ა. მაშასადამე, სიცოცხლე, ე. ი. ცილოვანი სხეულის არსებობის წესი, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ წუთს იგი თავის თავიც არის და ამასთანავე სხვაც; და ეს ხდება არა იმ პროცესის შედეგად, რომელსაც იგი გარედანაა დაქვემდება-

რებული მკვდარი სხეულების მსგავსად. პირიქით, სიცოცხლე, კვებითა და გამოყოფით წარმოებულ ნივთიერებათა ცვლას წარმოადგენს, თავისთავად მიმდინარე .პროცესს, რომელიც დამახასიათებელია, თანდაყოლილია მისი მატარებელის, ცილისთვის, ურომლისოდ სიცოცხლე შეუძლებელია. აქედან ჩანს, რომ თუ ოდესმე ქიმიამ შეძლო ხელოვნურად შექმნას ცილა, ეს უკანასკნელი გამოააშკარავებს სიცოცხლის მოვლენებს, თუნდაც ჯერ კიდევ სუსტს. რასაკვირველია, საკითხია, შეძლებს თუ არა ქიმია ამავე დროს სათანადო საკვები აღმოაჩინოს ცილისთვის.

ნივთიერებათა ცვლიდან, რომელიც კვებისა და გამოყოფის შემწეობით წარმოებს და რომელიც ცილის არსებითს ფუნქციას წარმოადგენს, და აგრეთვე მისი დამახასიათებელი პლასტიურობიდან, გამომდინარეობს სიცოცხლის ყველა დანარჩენი, უმარტივესი ფაქტორი: გაღიზიანების უნარი, რომელიც უკვე იგულისხმება ცილისა და მისი საკვების ურთიერთმოქმედებაში; შეკუმშვის უნარი, რომელიც უკვე მეტად დაბალ საფეხურზე იჩენს თავს საკვების შთანთქმის დროს; ზრდის უნარი, რომელიც უდაბლეს საფეხურზე გულისხმობს გამრავლებას გაყოფის შემწეობით; შინაგანი მოძრაობა, ურომლისოდაც შეუძლებელია როგორც საკვების შთანთქმა, ისე მისი ასიმილიაცია.

რასაკვირველია, ჩვენი განსაზღვრა სიცოცხლისა მეტად არასაკმარისია, იგი არა თუ არ მოიცავს სიცოცხლის ყ ვ ე ლ ა მოვლენას, არამედ, პირიქით, კმაყოფილდება ყველაზე ზოგადით და მარტივით მათ შორის. ყოველ განსაზღვრას მცირედი ღირებულება აქვს მეცნიერული თვალსაზრისით. რათა მართლაც ამომწურავად გავიგოთ, რა არის სიცოცხლე, მისი გამოვლინების ყველა ფორმა უნდა განვვლოთ უდაბლესიდან უმაღლესამდე. მაგრამ ყოველდღიურ და სახელდახელოდ სახმარად ასეთი განსაზღვრანი მეტად მოხერხებულია და ხანდახან უიმათოდ იოლად ვერ წახვალთ; მათ არ შეუძლიათ ზიანის მოყენება, თუ მათ აუცილებელ ნაკლს არ დავივიწყებთ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბატონ დიურინგს. თუ მიწიერი ბიოლოგიის სფეროში მისი საქმე ცოტა არ იყოს ცუდათაა, იგი თავს ინუგეშებს იმით, რომ ვარსკლავებისკენ მიილტვის.

«არა მარტო შემგრძნები ორგანოს სპეციალური მოწყობილობა, არამედ მთელი ობიექტური სამყარო ისეა მოწყობილი, რომ სიამოვნება და ტკივილი გამოიწვიოს. ამიტომ ჩვენ ვაღიარებთ, რომ სიამოვნების და ტკივილის წინააღმდეგობა, სწორედ ჩვენთვის

ცნობილი სახით, უნივერსალური უნდა იყოს და სამყაროს სხვადასხვა ქვეყნებში არსებითად ერთგვარი გრძნობებით უნდა იყოს წარმოდგენილი... მაგრამ ეს შეთანხმება ცოტა რამეს როდი ნიშნავს, იმიტომ რომ იგი შეგრძნებათა უნივერსუმის გასაღებია... ამიტომ სუბიექტური კოსმიური სამყარო ჩვენთვის ბევრად უფრო უცხო არ არის, ვიდრე ობიექტური. ორივე სამეფოს კონსტიტუცია შეთანხმებული ტიპის მიხედვით უნდა წარმოვიდგინოთ; ამრიგად, ჩვენ გვაქვს ცნობიერების მოძღვრების დასაწყისი, რომლის მნიშვნელობა სცილდება დედამიწის საზღვრებს».

რას ნიშნავს ორიოდე ტლანქი შეცდომა მიწიერი ბუნებისმეცნიერების დარგში ადამიანისთვის, რომელსაც ჯიბეში შეგრძნებათა უნივერსუმის გასაღები აქვს? Allons donc! [1].

IX

მორალი და სამართალი. სამარადისო ჭეშმარიტებანი

ჩვენ თავს ვიკავებთ აქ იმ უაზრობისა და მისნობის დომხალის, მოკლედ იმ აშკარა ჩმახის, აბდაუბდის ნიმუშების მოყვანისაგან, რომლითაც ბატონი დიურინგი თავის მკითხველებს უმასპინძლდება სრული ორმოცდაათი გვერდის მანძილზე, აქაო-და ცნობიერების ელემენტების საფუძვლიან მეცნიერებას გაწვდითო. მხოლოდ ერთ ციტატს ამოვიღებთ: «ვისაც მხოლოდ ენის შემწეობით შეუძლია აზროვნება, მას არასოდეს არ გამოუცდია, თუ რას ნიშნავს განყენებული და ნამდვილი აზროვნება». თუ ეს ასეა, ცხოველები ყველაზე განყენებული და ნამდვილი მოაზრეები ყოფილან, იმიტომ რომ მათი აზროვნება არასოდეს ამღვრეული არაა ენის აპეზარი ჩარევით. ყოველ შემთხვევაში დიურინგის აზრებსა და მათ გამომხატველ ენაზე ნათლად ჩანს, რა ნაკლებ არიან ეს აზრები შექმნილი რომელიმე ენისთვის, ან რა ნაკლებაა გერმანული ენა გამოსადეგი ამ აზრებისათვის.

ბოლოს, ჩვენ მეოთხე განყოფილება გვშველის, რომელიც, გარდა ამ არეულ-დარეული ლაყბობისა, აქა-იქ ცოტაოდენ ხელშესახებ აზრებსაც გვაძლევს მორალისა და სამართლის შესახებ. დასაწყისშივე აქ სამყაროს სხვა სხეულებზე სამოგზაუროდ ჭვეპატიჟებიან: მორალის ელემენტები «შეთანხმებული უნდა აღმოჩნ-

[1] კმარა! რედ.

დეს ყველა გარეადამიანურ არსებებში, რომლებშიაც მოქმედმა გონებამ შეგნებულად უნდა მოაწესრიგოს სიცოცხლის ინსტინქტური გამოვლენანი... მაგრამ ჩვენი ინტერესი ასეთი დასკვნებისადმი დიდი როდი იქნება... გარდა ამისა გონებრივ ჰორიზონტზე ყოველთვის კეთილისმყოფელ გამაფართოებელ გავლენას ახდენს ეს იდეა, თუ წარმოვიდგენთ, რომ სამყაროს სხვა სხეულებზე ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრება უნდა გამოდიოდეს სქემიდან, რომელსაც... არ შეუძლია მოსპოს ან გვერდი აუაროს გონებრივად მოქმედი არსების ძირითად ზოგად ორგანიზაციას».

თუ ამ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, დიურინგის ჭეშმარიტების გამოყენება ყველა სხვა შესაძლებელ მსოფლიოში დასმულია არა სათანადო თავის დასასრულში, არამედ დასაწყისში, ამას თავისი საკმაო საფუძველი აქვს. რაკი დადგინდება, რომ დიურინგის მორალის და სამართლიანობის წარმოდგენები ყველა მსოფლიოსათვის გამოდგებაო, მაშინ ადვილი შესაძლებელი გახდება მათი კეთილისმყოფელი გავლენის გავრცელება ყველა დროზე. აქაც საკითხი, არც მეტი და არც ნაკლები, ეხება უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებებს. მორალურ სამყაროს, «ისევე როგორც ზოგადი ცოდნის სამყაროსაც, თავისი უცვლელი პრინციპები და მარტივი ელემენტები აქვს»; მორალური პრინციპები მაღლა დგანან «ისტორიასა და ხალხთა თვისებების დღევანდელ განსხვავებებზე... ცალკე ჭეშმარიტებებს, რომელთაგანაც განვითარების მსვლელობაში უფრო სრული ზნეობრივი შეგნება და, ასე ვთქვათ, სინიდისი იქმნება, შეუძლიათ, რამდენადაც კი ისინი უკანასკნელ საფუძვლებამდე არიან შეცნობილი, ისეთივე მნიშვნელობისა და ძალის პრეტენზია განაცხადონ, როგორსაც მათემატიკის ჭეშმარიტებანი და გამოყენებანი აცხადებენ. ნამდვილი შეჭმარიტებანი საზოგადოდ არ არიან ცვალებადნი... ასე რომ საზოგადოდ სისულელეა წარმოვიდგინოთ თითქოს შემეცნების სისწორე დამოკიდებული იყოს დროისა და რეალური ცვლილებებისაგან». ამიტომ მკაცრი ცოდნის საიმედობა და ჩვეულებრივი შემეცნების საკმარისობა ჩვენ ნებას არ გვაძლევს სულიერად ნორმალურ მდგომარეობისას დავეჭვდეთ ცოდნის პრინციპების აბსოლუტურ მნიშვნელობაში. «თვით ხანგრძლივი ეჭვი ავადმყოფური სისუსტის მდგომარეობაა, იგი გამოხატავს უიმედო არევდარევას, რომელიც ხანდახან თავისი არარობის სისტემატურ შეგნებაში ცდილობს რაღაც მდგრადობის

მოჩვენება მიიღოს. ზნეობის საკითხებში ზოგადი პრინციპების უარყოფა ებღაუპება ზნე-ჩვეულებათა და ძირითად დებულებათა გეოგრაფიულ და ისტორიულ მრავალფეროვანებას, და საკმარისია ამასთანავე ზნეობრივად ცუდისა და ბოროტის გარდაუვალი აუცილებლობის აღიარება, რომ უკვე სრულიად უარყოს შეხმატკბილებული მორალური მისწრაფებების სერიოზული მნიშვნელობა და ფაქტიური მოქმედება. ეს გამხრწნელი სკეპსისი, რომელიც მიმართულია არა ცალკეულ ყალბ მოძღვრებათა წინააღმდეგ, არამედ თვით იმ ადამიანური ნიჭის წინააღმდეგ, რომელიც შეგნებული მორალობისკენაა მიმართული, ბოლოს ნამდვილ არარაობად, ან კიდევ ისეთ რამედ უნდა იქცეს, რაც უარესია, ვიდრე უბრალო ნიჰილიზმი... იგი თავის თავს აიმედებს, ადვილად გავიმარჯვებ ჩემ მიერ დამხობილი ზნეობრივი წარმოდგენების ველურ ქაოსშიო და ფართოდ გზას გაუღებ უპრინციპო თვითნებობასო. მაგრამ იგი საშინლად ცდება, იმიტომ რომ საკმაოა უბრალოდ მივუთითოთ გონების აუცილებელ ბედზე ცთომილებასა და ჭეშმარიტებაში, რათა მარტო ამ ანალოგიის წყალობით ნათელი გახდეს, რომ ბუნებრივი კანონისებური შემცდარობა არ გამორიცხავს აუცილებლად სათანადო სისწორის განხორციელების საშუალებას».

აქამდე ჩვენ მშვიდად ვიღებდით ბატონ დიურინგის ყველა ამ მაღალფარდოვან ფრაზებს უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებებზე, აზროვნების სუვერენობაზე, შემეცნების აბსოლუტურ უცილობლობაზე და ა. შ., იმიტომ რომ ამ საგნის გამორკვევა მხოლოდ ამ პუნქტში შეიძლებოდა, რომელსაც ახლა მივაღწიეთ. აქამდე საკმარისი იყო გამოგვეკვლია, რამდენად ჰქონდათ «სუვერენული მნიშვნელობა» და «ჭეშმარიტების უცილობელი პრეტენზია» სინამდვილის ფილოსოფიის ცალკე დებულებებს; აქ ჩვენ მივადექით საკითხს, შეუძლიათ თუ არა ადამიანური შემეცნების პროდუქტებს საზოგადოდ და — სახელდობრ რომელს — სუვერენული მნიშვნელობა იქონიონ და ჭეშმარიტებაზე უცილობელი პრეტენზია (Anspruch) განაცხადონ. როცა მე ვლაპარაკობ ადამიანურ შემეცნებას-მეთქი, ამას იმ განზრახვით კი არ ვამბობ, რომ შეურაცხყოფა მივაყენო სამყაროს სხვა სხეულების მცხოვრებლებს, რომელთა ცნობის პატივი არა მაქვს, არამედ იმიტომ, რომ ცხოველებიც შეიცნობენ ხოლმე, თუმცა არა სუვერენულად. ძაღლი თავის ბატონს ღმერთად სცნობს, თუმცა ეს ბატონი შეიძლება უდიდესი არამზადაც იყოს.

სუვერენულია თუ არა ადამიანის აზროვნება? სანამ ან «ჰოს» ვუპასუხებდეთ ან «არას», ჯერ უნდა გამოვიკვლიოთ, რა არის ადამიანის აზროვნება. წარმოადგენს თუ არა ის განცალკევებული ადამიანის აზროვნებას? არა. მაგრამ იგი არსებობს მხოლოდ როგორც წარსული, აწმყო და მომავალი მრავალი მილიარდი ადამიანის განცალკევებული აზროვნება. როცა მე ვამბობ, რომ ეს ჩემს წარმოდგენაში გაერთიანებული აზროვნება ყველა ამ ადამიანებისა, მომავალთა ჩათვლით, სუვერენულია-მეთქი, მას შეუძლია არსებული სამყარო შეიცნოს-მეთქი, — რამდენადაც კაცობრიობას საკმაოდ ხანგრძლივი არსებობა მოელის და რამდენადაც ამ შემეცნებას ზღუდეები არა აქვს დადებული შემეცნების ორგანოებსა და საგნებში, — მე მხოლოდ საკმაოდ ბანალურ და ამასთანავე საკმაოდ უნაყოფო რამეს ვამბობ. ამ აზრის უძვირფასესი შედეგი იქნებოდა უკიდურესი ეჭვიანობა ჩვენი ახლანდელი შემეცნებისადმი, იმიტომ რომ, ალბათ, ჩვენ კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში ვდგავართ და ის თაობანი, რომელთაც ჩვენი გასწორება მოუხდებათ, ალბათ, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იქნებიან, ვიდრე ის თაობანი, რომელთა ცოდნას ჩვენ ვასწორებთ და ამასთან ძალიან უპატიოდ ვეპყრობით.

თვით ბატონი დიურინგი აუცილებლობად თვლის, რომ შეგნება, მაშასადამე, აგრეთვე აზროვნება და შემეცნება, მხოლოდ ცალკე არსებათა რიგში შეიძლება გამოვლინდეს. თვითეული ასეთი ინდივიდის აზროვნებას ჩვენ მხოლოდ იმდენად შეგვიძლია სუვერენობა მივაწეროთ, რამდენადაც არავითარ ძალას არ ვიცნობთ, რომელსაც შეეძლოს რაიმე აზრი ძალით მოახვიოს თავს მას საღ და ფხიზელ მდგომარეობაში. რაც შეეხება თვითეული ცალკე აზროვნების შემეცნებათა სუვერენულ მნიშვნელობას, ყველამ ვიცით, რომ ამის შესახებ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება და წარსული გამოცდილების მიხედვით ყველა ამ შემეცნებაში, გამოუკლებლივ, ბევრად მეტი ელემენტი მოიპოვება, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს, ვიდრე ისეთი, რომელიც გაუმჯობესებას არ საჭიროებს, ანუ სწორია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზროვნების სუვერენობა ხორციელდება უაღრესად არასუვერენულად მოაზროვნე ადამიანების მთელ რიგში; შემეცნება, რომელიც ქეშმარიტებაზე უცილობელ პრეტენზიას აცხადებს, ხორციელდება მთელ რიგ შეფარდებითს შეცდომებში; არც პირველს და არც მეორეს სხვაგვარად არ შეუძ-

ლია სავსებით განხორციელდეს, თუ არა მხოლოდ კაცობრიობის არსებობის დაუსრულებელ ხანგრძლივობაში.

ჩვენ აქ კვლავ იგივე წინააღმდეგობა გვაქვს, რომელიც ზემოთ გვქონდა აუცილებლად აბსოლუტურად წარმოდგენილ ადამიანურ აზროვნებასა და მის განხორციელებას შორის, რომელიც მხოლოდ შეზღუდულად მოაზროვნე ადამიანებში ხდება, ესაა წინააღმდეგობა რომელიც შეიძლება მხოლოდ დაუსრულებელ პროგრესში, ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, ადამიანურ თაობათა პრაქტიკულად დაუსრულებელ ურთიერთთანამიმდევრობაში გადაიჭრას. ამ აზრით ადამიანის აზროვნება ისევე სუვერენულია, როგორც არასუვერენული, მისი შემეცნების ნიჭი ისევე შეუზღუდველია, როგორც შეზღუდული. იგი სუვერენული და შეუზღუდველია ნიჭის, მოწოდების, შესაძლებლობის, ისტორიული საბოლოო მიზნის მიხედვით; არასუვერენული და შეზღუდულია განცალკევებული განხორციელებისა და ამა თუ იმ დროს მოცემული სინამდვილის მიხედვით.

იგივე ითქმის სამარადისო ჭეშმარიტებებზე. კაცობრიობა რომ ოდესმე იქამდე მისულიყო, რომ მხოლოდ სამარადისო ჭეშმარიტებებით, მხოლოდ აზროვნების ისეთი შედეგებით ემუშავა, რომელთაც სუვერენული მნიშვნელობა და ჭეშმარიტების უპირობო პრეტენზია აქვთ, იგი ისეთ წერტილს მიაღწევდა, სადაც როგორც სინამდვილისა, ისე შესაძლებლობის მხრივ ამოწურული იქნებოდა გონებრივი სამყაროს დაუსრულებლობა, და სადაც, მაშასადამე, მომხდარი იქნებოდა დათვლილი ურიცხვის სახელგანთქმული სასწაული.

მაგრამ ხომ არსებობენ ჭეშმარიტებანი, რომელნიც ისეთი მტკიცენი არიან, რომ ყოველი დაეჭვება მათში სიგიჟეს ნიშნავს? რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ სამკუთხედის სამი კუთხე ორ სწორს უდრის, რომ პარიზი საფრანგეთში ძევს, თუ ადამიანს საზრდო არ ექნა, შიმშილით მოკვდება და სხვ. მაშასადამე, ხომ არსებობენ **სამარადისო** ჭეშმარიტებანი, უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანი?

ოღონდაც. ჩვენ შეგვიძლია შემეცნების მთელი დარგი ძველთაგანვე ცნობილი წესის მიხედვით სამ დიდ ნაწილად გავყოთ. პირველი მოიცავს ყველა მეცნიერებას, რომელნიც არაცოცხალ ბუნებას იკვლევენ და მეტად თუ ნაკლებად მათემატიკურ დამუშავებას ექვემდებარებიან, ესენია: მათემატიკა, ასტრონომია, მექანიკა, ფიზიკა, ქიმია. თუ ვინმეს ესიამოვნება პრტყელ-პრტყელი

სიტყვები იხმაროს მეტად მარტივ საგნებზე, მას შეუძლია თქვას, რომ ამ მეცნიერებათა ზ ო გ ი ე რ თ ი შედეგი სამარადისო ჭეშმარიტებებს, უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებებს წარმოადგენს; ამიტომაც ამ მეცნიერებებს ზ უ ს ტ მეცნიერებებს უწოდებენ. მაგრამ ეს ყველა შედეგზე როდი ითქმის. ცვლადი სიდიდეების შემოღებით და მათი ცვალებადობის უსასრულო მცირესა და უსასრულო დიდზე გავრცელებით საერთოდ ზნეობრივად უმწიკვლო მათემატიკამ ცოდვა ჩაიდინა; მან იგემა შემეცნების ვაშლი, რამაც მას, ერთი მხრივ, უზარმაზარი წარმატების, ხოლო, მეორე მხრივ, შეცდომების სარბიელი გაუხსნა. ყოველივე მათემატიკურის აბსოლუტური მნიშვნელოვანების, დაურღვეველი დამტკიცებულობის ქალწულებრივი მდგომარეობა სამუდამოდ მოისპო: დაიწყო უთანხმოებისა და დავის ხანა, და იქამდე მივედით, რომ უმრავლესობა დიფერენციას და ინტეგრაციას ახდენს იმიტომ კი არა, რომ ესმოდეს რას აკეთებს, არამედ წმინდა რწმენის ზეგავლენით, იმიტომ რომ დღემდე შედეგი ყოველთვის სწორი იყო. ასტრონომიის და მექანიკის საქმე კიდევ უფრო უარესადაა, ხოლო ფიზიკასა და ქიმიაში ჰიპოთეზებით ვართ გარემოცული, თითქოს ფუტკრების სკაში ვიმყოფებოდეთ. ეს სხვანაირად არც კია შესაძლებელი. ფიზიკაში ჩვენ საქმე გვაქვს მოლეკულების მოძრაობასთან, ქიმიაში — მოლეკულების წარმოშობასთან ატომებისაგან, და თუ სინათლის ტალღების ინტერფერენცია ზღაპარი არაა, ჩვენ აბსოლუტურად არავითარი იმედი არა გვაქვს, რომ ამ საინტერესო საგნებს ოდესმე საკუთარი თვალებით დავინახავთ. უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანი თანდათან გასაოცრად იშვიათი ხდება.

კიდევ უარესადაა გეოლოგიის მდგომარეობა, იმიტომ რომ იგი თავისი ბუნების მიხედვით უმთავრესად ისეთ პროცესებს იკვლევს, რომელთაც არა თუ ჩვენ, საზოგადოდ არც ერთი ადამიანი არ დასწრებია. ამიტომ უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებათა სამკალი აქ მეტად დიდ შრომასთანაა დაკავშირებული და ამასთანავე შედეგი მეტად მცირედია.

მეცნიერებათა მეორე კლასი ცოცხალი ორგანიზმების გამოკვლევას აწარმოებს. ამ დარგში ვითარდება ურთიერთ დამოკიდებულებათა და მიზეზობრიობათა ისეთი მრავალფეროვანება, რომ არა თუ ყოველი გადაჭრილი საკითხი ურიცხვ ახალ საკითხს იწვევს, არამედ ყოველი ცალკე საკითხი უმეტეს შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდეს, მრავალრიცხოვანი, ხშირად

საუკუნეების განმავლობაში წარმოებული მთელი რიგი გამოკვლევების შემწეობით; ამავე დროს ურთიერთ დამოკიდებულებათა სისტემატურად დალაგების მოთხოვნილება კიდევ და კიდევ გვაიძულებს უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებებს გარს ჰიპოთეზების გაუვალი ტყე შემოვარტყათ. შუალედი საფეხურების რა გრძელი რიგი იყო საჭირო გალენიდან მალპიგიმდე, რათა ისეთი მარტივი ამბავი დაგვედგინა სწორად, როგორიცაა სისხლის მიმოქცევა ძუძუმწოვარ ცხოველებში, რა ცოტა რამ ვიცით სისხლის ბურთულების წარმოშობის შესახებ, და რა ბევრი შუალედი საფეხური გვაკლია დღესაც, რათა, მაგ., ამა თუ იმ ავადმყოფობის მოვლენები მის მიზეზებთან რაციონალურად დავაკავშიროთ! ამასთან ხშირად გვხვდება ისეთი აღმოჩენები, როგორიცაა, მაგ., უჯრედის აღმოჩენა, რომლებიც გვაიძულებენ ბიოლოგიის დარგში სრულს რევიზიას დაეუქვემდებაროთ უკანასკნელი ინსტანციის ყველა დღემდე დადგენილი საბოლოო ჭეშმარიტება, და მრავალი მათგანი ერთხელ და სამუდამოდ უკუვაგდოთ. ამრიგად, ვისაც აქ მართლაც ნამდვილი, უცველელი ჭეშმარიტებების წამოყენება სურს, უშინაარსო დებულებებით უნდა დაკმაყოფილდეს: ყოველი ადამიანი უნდა მოკვდეს, ყოველ დედალ ძუძუმწოვარ ცხოველს რძის ჯირკვლები აქვს და ა. შ.; მას იმის თქმაც კი არ შეუძლია, რომ უმაღლესი ცხოველები საკვებს კუჭით და ნაწლავების არხით ინელებენ და არა თავით, იმიტომ რომ თავში ცენტრალიზებული ნერვული მუშაობა აუცილებლად საჭიროა საკვების მოსანელებლად.

კიდევ უფრო უარესადაა სამარადისო ჭეშმარიტებათა მდგომარეობა მეცნიერებათა მესამე ჯგუფში, ისტორიულში, რომელიც ადამიანთა ცხოვრების პირობებს, საზოგადოებრივ ურთიერთობებს, სამართლის და სახელმწიფოს ფორმებს იკვლევს მათი იდეალური ზედნაშენითურთ, ფილოსოფიის, სარწმუნოების, ხელოვნების და სხვ. სახით მათს ისტორიულ თანმიმდევრობასა და დღევანდელ მდგომარეობაში. ორგანულ ბუნებაში ჩვენ ასე თუ ისე მაინც ისეთი მოვლენების თანმიმდევრულ რიგთან გვაქვს საქმე, რომლებიც, რამდენადაც ჩვენს უშუალო დაკვირვებას ექვემდებარებიან, მეტად ფართო საზღვრებში საკმაოდ რეგულარულად მეორდებიან. ორგანიზმების სახეები არისტოტელეს დროიდან საერთოდ და მთლიანად ისეთივე დარჩნენ. საზოგადოების ისტორიაში, პირიქით, მდგომარეობათა განმეორებანი წესი კი არა, გამონაკლისია, როგორც კი ადამიანთა პირველყოფილ მდგომარეობას, ეგრეთწოდებულ ქვის ხანას გავშორდებით; ხოლო, სადაც ასეთი განმეორებანი გვხვდება, ისინი

არასოდეს სწორედ იმავე გარემოებებში არ ხდება. ასეთია, მაგალითად, მიწის პირველყოფილი თემური საკუთრების არსებობის ფაქტი, რომელიც ყველა კულტურულ ხალხში გვხვდება, და მისი დაშლის ფორმა. ამიტომ კაცობრიობის ისტორიის დარგში მეცნიერება ბევრად უფრო ჩამორჩენილია, ვიდრე ბიოლოგიის დარგში; კიდევ მეტს ვიტყვით: თუ გამონაკლისის სახით ზოგჯერ ხერხდება ხოლმე რომელიმე ეპოქის საზოგადოებრივი და პოლიტიკური არსებობის ფორმების შინაგანი კავშირის შემეცნება, ეს როგორც წესი მაშინ ხდება, როცა ამ ფორმებმა სანახევროდ თავის თავი მოსპამეს და დაქვეითებისაკენ მიიმართებიან. მაშასადამე, შემეცნება აქ არსებითად შეფარდებითია, იმიტომ რომ იგი განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფორმების კავშირთა და შედეგთა გარკვევით, რომელნიც მხოლოდ ამა თუ იმ დროსა ან ამა თუ იმ ხალხში არსებობენ და თავიანთი ბუნებით წარმავალნი არიან. ამიტომ ვინც აქ უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებებს გამოედევნება, — გამოედევნება ნამდვილ, საერთოდ არაცვალებად ჭეშმარიტებებს, იგი ძლიერ ცოტას მოიპოვებს, — მოიპოვებს მხოლოდ ყველაზე მდარე ხარისხის უბადრუკ და უშინაარსო გაცვეთილ დებულებებს, მაგ., რომ ადამიანებს საზოგადოდ უშრომლად ცხოვრება არ შეუძლიათ, რომ ისინი დღემდე უმეტეს ნაწილად გაბატონებულ და დამორჩილებულ ელემენტებად იყოფოდნენ, რომ ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი გარდაიცვალა 5 მაისს 1821 წ. და ა. შ.

მაგრამ საყურადღებოა, რომ ყველაზე ხშირად სწორედ ამ დარგში გვხვდება ეგრეთწოდებული სამარადისო ჭეშმარიტებანი, უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანი და სხვ. ორჯერ ორი რომ ოთხია, ფრინველებს რომ ნისკარტი აქვთ და სხვა ამგვარს სამარადისო ჭეშმარიტებად მხოლოდ ისეთი ადამიანი გამოაცხადებს, ვისაც განზრახული აქვს სამარადისო ჭეშმარიტებათა არსებობიდან საზოგადოდ დაასკვნას, რომ კაცობრიობის ისტორიის დარგშიც არსებობენ სამარადისო ჭეშმარიტებანი, სამარადისო მორალი, სამარადისო სამართლიანობა და სხვ., რომელთაც ისეთივე ძალა და მნიშვნელობა აქვთ როგორც მათემატიკის თეორიებსა და მათ გამოყენებასო. ჩვენ შეგვიძლია სრულიად დარწმუნებული ვიყოთ, რომ იგივე კაცობრიობის მეგობარი პირველი შემთხვევისთანავე განაცხადებს, სამარადისო ჭეშმარიტებათა წინანდელი ფაბრიკანტები ყველანი მეტად თუ ნაკლებად ვირები და შარლატანები იყვნენ, ყველანი ცდებოდნენო; მაგრამ მ ა თ ი შეცდომა, მ ა თ ი გზის აცდენა ბუნებრივი იყო და ამტკიცებს, რომ

ჭეშმარიტება და სიმართლე ჩემს ხელთაა და მე, ახლად მოვლენილი წინასწარმეტყველი, ვფლობ მზამზარეული სახით უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებას, სამარადისო მორალს, სამარადისო სამართლიანობასო. ეს ყოველივე ასჯერ და ათასჯერ თქმულა, და პირდაპირ გასაკვირია, რომ კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც იმდენად ადვილად დამჯერენი არიან, რომ ეს სწამთ არა სხვების, არამედ თავიანთ თავის შესახებ. ამისდა მიუხედავად აქ ჩვენს წინაშე ერთი ასეთი წინასწარმეტყველი დგას, რომელიც ჩვეულების მიხედვით მაღალ ზნეობრივ აღშფოთებას განიცდის, როცა სხვა ადამიანები უარყოფენ იმის შესაძლებლობას, რომ რომელიმე ცალკე პიროვნებას შეუძლია მოგვცეს უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტება. ასეთი უარყოფა, თვით უბრალო ეჭვიც კი, წარმოადგენს სისუსტეს, საშინელ არევ-დარევას, არარაობას, გამხრწნელ სკეპსისსო. იგი უარესია, ვიდრე უბრალო ნიჰილიზმი, უაზრო ქაოსიო და სხვა ამგვარი თავაზიანი ამბები. როგორც წინასწარმეტყველებს შეეფერებათ, აქ ხდება არა კრიტიკულ-მეცნიერული გამოკვლევა და განსჯა, არამედ უბრალო მორალური ჭექა-ქუხილი.

ჩვენ ზემოთ კიდევ შეგვეძლო მოგვეხსენებინა მეცნიერებანი, რომელნიც ადამიანური აზროვნების კანონებს იკვლევენ, ე. ი. ლოგიკა და დიალექტიკა. მაგრამ არც აქაა უკეთ სამარადისო ჭეშმარიტებათა საქმე. საკუთრივ დიალექტიკას ბატონი დიურინგი ნამდვილ უაზრობად აცხადებს, ხოლო მრავალი წიგნი, რომელიც ლოგიკაზე დაწერილა და კიდევ დაიწერება, საკმაოდ ამტკიცებს, რომ აქაც უკანასკნელი ინსტანციის საბოლო ჭეშმარიტებანი ნაკლებ უხვადაა გაბნეული, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია.

მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ უნდა შეგვეშინდეს, რომ შემეცნების საფეხური, რომელზედაც დღეს ვიმყოფებით, ისევე ნაკლებ საბოლოოა, როგორც ყველა წინანდელი. იგი უკვე ფაქტების უზარმაზარ მასალას მოიცავს და შესწავლის მეტად დიდ სპეციალიზაციას მოითხოვს ყველასგან, ვისაც სურს, რომ რომელიმე დარგში გამოიბრძმედოს. მაგრამ ვინც უკანასკნელი ინსტანციის ნამდვილი, უცვლელი, საბოლოო ჭეშმარიტების მასშტაბით უდგება ცოდნას, რომელიც საგანთა ბუნების მიხედვით ან მრავალი თაობის განმავლობაში რელატიური უნდა დარჩეს და მხოლოდ თანდათან მიაღწიოს სისრულეს, ან კოსმოგონიის, გეოლოგიის და კაცობრიობის ისტორიის მსგავსად, სამუდამოდ დაუმთავრებელი და ნაკლოვანი დარჩეს ისტორიული მასალის უკმარობის გამო,

იგი ამით მხოლოდ თავის საკუთარ უმეცრებასა და გაუგებრობას ამტკიცებს, თუნდაც მათ ნამდვილ სარჩულს, როგორც აქ, პირადი უცდომელობის პრეტენზია არ წარმოადგენდეს. ჭეშმარიტებას და ცდომილებას, როგორც პოლარულ დაპირისპირებებში მოძრავ ყველა ლოგიკურ კატეგორიას, მხოლოდ მეტად შეზღუდულ დარგში აქვთ აბსოლუტური მნიშვნელობა; ეს ჩვენ ზევით უკვე დავინახეთ და ეს ბატონ დიურინგსაც ეცოდინებოდა, ცოტათი მაინც გაცნობილი რომ ყოფილიყო დიალექტიკის პირველ ელემენტებს, რომელიც სწორედ ყველა პოლარული დაპირისპირების უკმარობას განიხილავს. როგორც კი ჭეშმარიტებისა და ცდომილების დაპირისპირებას გამოვიყენებთ, ზემოთ ვიწროდ შემოფარგლული სფეროს გარეთ, იგი შეფარდებითი (რელატიური) გახდება და, მაშასადამე, მკაცრი მეცნიერული გამოთქმისათვის გამოუსადეგია; ხოლო თუ ჩვენ შევეცდებით იგი გამოვიყენოთ იმ სფეროს გარეთაც როგორც აბსოლუტურად სწორი, სრულ მარცხს განვიცდით; დაპირისპირების ორივე პოლუსი თავიანთ წინააღმდეგობად იქცევა, ჭეშმარიტება ცდომილება ხდება, ხოლო ცდომილება ჭეშმარიტება. მაგალითისთვის ავიღოთ ბოილის ცნობილი კანონი, რომლის მიხედვით აირის მოცულობა უცვლელი ტემპერატურის პირობებში შებრუნებით პროპორციულია წნევისა, რომელსაც ის განიცდის. რენიომ აღმოაჩინა, რომ ეს კანონი გარკვეულ შემთხვევებში არ მართლდება. იგი რომ «სინამდვილის ფილოსოფოსი» ყოფილიყო, ვალდებული იქნებოდა ეთქვა: ბოილის კანონი ცვალებადია, მაშასადამე, ნამდვილ ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს, მაშასადამე, იგი საზოგადოდ არავითარ ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს, მაშასადამე, შეცდომაა. მაგრამ ამით იგი ბევრად უფრო დიდ შეცდომას ჩაიდენდა, ვიდრე ბოილის კანონში იყო; მისი ჭეშმარიტების მარცვალი გაქრებოდა შეცდომის გროვაში; მაშასადამე, თავის პირვანდელ სწორ შედეგს იგი შეცდომად აქცევდა, რომლის მიმართ ბოილის კანონი თავისი თანდაყოლილი პაწია შეცდომითურთ ჭეშმარიტებად მოგვევლინებოდა. რენიომ, როგორც მეცნიერ ადამიანს შეეფერება, ასეთი ბავშვობა არ ჩაიდინა, არამედ გამოკვლევა განაგრძო და აღმოაჩინა, რომ ბოილის კანონი საზოგადოდ მხოლოდ დაახლოებითაა სწორი, განსაკუთრებით მას ძალა არ აქვს იმ აირების მიმართ, რომლებიც წნევის ზეგავლენით შეიძლება წვეთობრივ-თხევად მდგომარეობაში გადავიდნენ, სახელდობრ ძალა არა აქვს, როცა წნევა იმ წერტილს უახლოვდება, სადაც წვეთობრივობა იწყება. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ბოილის კანონი

სწორია მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში. მაგრამ აბსოლუტურად, საბოლოოდ ჭეშმარიტია თუ არა იგი ამ საზღვრებში? არც ერთი ფიზიკოსი არ დაიწყებს ამის მტკიცებას. ის იტყვის, ამ კანონს ძალა აქვს წნევის და ტემპერატურის განსაზღვრულ ფარგლებში და მხოლოდ ზოგიერთი აირისთვისო; და ის არ შეუდგება იმ შესაძლებლობის უარყოფას, რომ ამ ვიწრო ჩარჩოებში კიდევ ახალი შეზღუდვა მოგვიხდება ან საჭირო გახდება კანონის ფორმულირების შეცვლა მომავალი კვლევაძიების ზეგავლენით*. ასეთია, მაშასადამე, უკანასკნელი ინსტანციის საბოლო ჭეშმარიტებათა ვითარება, მაგ., ფიზიკაში. ამიტომ ნამდვილი მეცნიერული შრომები ჩვეულებრივ გაურბიან ისეთ დოგმატურ-მორალურ გამოთქმებს, როგორიცაა შეცდომა და ჭეშმარიტება, მაშინ როცა ისინი ყველგან გვხვდებიან ისეთ ნაწერებში, როგორიცაა სინამდვილის ფილოსოფია, სადაც ცარიელი ლაყბობა თავის თავს დაჟინებით სუვერენული აზროვნების უსუვერენულეს შედეგად ასაღებს.

მაგრამ, შეიძლება გულუბრყვილო მკითხველმა იკითხოს, სად თქვა ბატონმა დიურინგმა გარკვევით, ჩემი სინამდვილის ფილოსოფიის შინაარსი საბოლოო ჭეშმარიტებაა და ისიც უკანასკნელი ინსტანციისო? სად? — თუნდაც, მაგალითად, თავისი სისტემის დიფირამბში (გვ. 13), რომელიც ნაწილობრივ მოვიყვანეთ II თავში. ან როცა იგი ზემოთ მოყვანილ წინადადებაში ამბობს: მორალურ ჭეშმარიტებებს, რამდენადაც ისინი თავიანთ ძირითად საფუძვლებში შეცნობილი არიან, შეუძლიათ ისეთივე მნიშვნელოვანების პრენტენზია განაცხადონ როგორც მათემატიკის დასკვნებმაო. და განა ბატონი დიურინგი არ ამტკიცებს, რომ თავისი ნამდვილი კრიტიკული თვალსაზ-

* მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დავწერე, ჩემი სიტყვები, როგორც ჩანს, უკვე დადასტურდა. უახლესი, მენდელეევისა და ბოგუსკის მიერ უფრო ზუსტი ხელსაწყოებით წამოყენებული კვლევაძიებანი ამტკიცებენ, რომ ყველა ნამდვილი აირი ცვალებად ურთიერთობას ამჟღავნებს წნევასა და მოცულობას შორის; წყალბადის გაფართოების კოეფიციენტი ყველა დღემდე გამოკვლეულ წნევის დროს დადებითი აღმოჩნდა (მოცულობა უფრო ნელა კლებულობდა, ვიდრე წნევა მატულობდა); ატმოსფერულ ჰაერს და სხვა გამოკვლეულ აირებს თვითეულს აღმოაჩნდა წნევის ნულოვანი წერტილი, ისე რომ ნაკლები წნევის დროს ეს კოეფიციენტი დადებითი იყო, მეტი წნევის დროს — უარყოფითი. მაშასადამე, ბოილის კანონს, რომელიც პრაქტიკულად აქამდე ჯერ კიდევ გამოსადეგია, დამატება დასჭირდება მთელი რიგი სპეციალური კანონების სახით. (ახლა, 1885 წ., ჩვენ უკვე ვიცით, რომ საზოგადოდ არავითარი «ჭეშმარიტი» აირები არ არსებობს. ყველანი წვეთობრივ-თხევად მდგომარეობაში იქნენ გადაყვანილი. [ენგელსის შენიშვნა].

რისით და ფესვებამდე მისული კვლევაძიებით მიაღწია ამ უკანასკნელ საფუძვლებს, ძირითად სქემებს, რომ, მაშასადამე, მორალურ ჭეშმარიტებებს უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებათა ხასიათი მისცა? ხოლო თუ ბატონი დიურინგი ამ პრეტენზიას არ აცხადებს არც თავისთვის, არც თავისი დროისთვის, თუ მას მხოლოდ იმის თქმა სურს, რომ ოდესმე, ბუნდოვან მომავალში შეიძლება დადგენილ იქნას უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანიო, მაშასადამე, თუ მას დაახლოებით, ოღონდ უფრო არევდარევით, იმის თქმა სურს, რასაც «გამხრწნელი სკეპსისი» და «ეცნაური აბდაუბდა» ამბობს, მაშინ რა საჭიროა ეს ხმაურობა, რა სურს მის მოწყალებას?

თუ ჩვენ ჭეშმარიტებითა და ცდომილებით შორს ვერ წავედით, მით უმეტეს სიკეთითა და ბოროტებით ვერ წავალთ შორს. ეს დაპირისპირება მოძრაობს მხოლოდ და მხოლოდ მორალურ, მაშასადამე, ისეთ სფეროში, რომელიც კაცობრიობის ისტორიას ეკუთვნის, და სწორედ აქ განსაკუთრებით იშვიათად გვხვდება უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანი. ხალხიდან ხალხში, ეპოქიდან ეპოქაში სიკეთისა და ბოროტების წარმოდგენანი ისე იცვლებოდნენ, რომ ისინი ხშირად ერთმანეთს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ. —მაგრამ, შეიძლება ვინმემ გვითხრას, სიკეთე ხომ მაინც ბოროტება არ არის, ხოლო ბოროტება სიკეთე; სიკეთე და ბოროტება რომ ერთმანეთში ავურიოთ, ყოველივე ზნეობა მოისპობა, და ყველას შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც მას ნებავს. — ასეთია სწორედ ბატონ დიურინგის აზრი, თუ მისნისებური მეტყველების მანერისაგან განვძარცვავთ. მაგრამ საკითხი ასე უბრალოდ მაინც ვერ გადაწყდება. საქმე რომ ასე უბრალოდ ყოფილიყო, მაშინ არავითარი კამათი არ იქნებოდა სიკეთისა და ბოროტების შესახებ, და ყველას ეცოდინებოდა, თუ რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. როგორიღაა საქმის ვითარება დღეს? რა მორალს გვიქადაგებენ ამჟამად? აქ, უწინარეს ყოვლისა, გვხვდება ქრისტიანულ-ფეოდალური მორალი, რომელიც ადრინდელი რელიგიური ეპოქებიდან არის ნაანდერძევი და არსებითად, თავის მხრივ, კათოლიკურად და პროტესტანტულად ნაწილდება; ამ უკანასკნელთ თავიანთი მხრივ არ აკლიათ ქვეგანყოფილებანი იეზუიტურ-კათოლიკურიდან და ორთოდოქსურ-პროტესტანტულიდან დაწყებული და მერყევი განმანათლებლური მორალით გათავებული. მათ გვერდით გვევლინება თანამედროვე ბურჟუაზიული მორალი და ამ

უკანასკნელის გვერდით კიდევ პროლეტარული მომავლის მორალი, ისე რომ მარტო ყველაზე დაწინაურებულ ევროპულ ქვეყნებში წარსული, აწმყო და მომავალი ერთდროულად და ერთი-მეორის გვერდით სამი დიდი მორალური თეორიის ჯგუფითაა წარმოდგენილი. რომელი მათგანია სწორი? არც ერთი, აბსოლუტური სრულყოფილობის თვალსაზრისით; მაგრამ, უეჭველია, ყველაზე მეტი და დიდხანს გამძლე ელემენტები იმ მორალს ექნება, რომელიც აწმყოში თანამედროვე წყობილების დამხობას მოითხოვს და მომავალს იცავს, მაშასადამე, — პროლეტარულ მორალს.

მაგრამ, თუ ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე საზოგადოების სამი კლასიდან თვითეულს, ფეოდალურ არისტოკრატიას, ბურჟუაზიას და პროლეტარიატს, თავისი განსაკუთრებული მორალი აქვს, აქედან მხოლოდ ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ ადამიანებს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, თავიანთი ზნეობრივი შეხედულებანი საბოლოო ინსტანციაში გამოჰყავთ პრაქტიკული ურთიერთობიდან, რომელზედაც მათი კლასობრივი მდგომარეობაა დაფუძნებული, ე. ი. ეკონომიური ურთიერთობებიდან, რომელშიც ხდება წარმოება და გაცვლა.

მაგრამ ზემოაღნიშნულ სამ მორალურ თეორიაში არის სამივესთვის რაღაც საერთოც; შეიძლება სწორედ ეს წარმოადგენდეს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მორალის გარკვეულ ნაწილს? აღნიშნული მორალური თეორიები გამოხატავენ ერთი და იმავე ისტორიული განვითარების სამ სხვადასხვა საფეხურს, მაშასადამე, მათ საერთო ისტორიული ნიადაგი გააჩნიათ და უკვე ამიტომ აუცილებლად ბევრი რამ აქვთ საერთო. კიდევ მეტს ვიტყვით. ეკონომიური განვითარების თანაბარ ან დაახლოებით თანაბარ საფეხურზე მორალური თეორიებიც ცოტად თუ ბევრად აუცილებლად ერთიმეორეს უნდა ეთანხმებოდეს. იმ მომენტიდან, რაც მოძრავი ნივთების კერძო საკუთრება გავითარდა, ყველა საზოგადოებას, სადაც ეს კერძო საკუთრება ბატონობდა, საერთო მორალური მცნება უნდა ჰქონოდა: «არ მოიპარო». მაგრამ განა ამით ეს მცნება სამარადისო მორალურ მცნებად იქცა? სრულიადაც არა. განა საზოგადოებაში, სადაც ქურდობის მოტივები მოსპობილია, სადაც, მაშასადამე, დრო გავა და უკიდურეს შემთხვევაში სულით ავადმყოფები თუ იქურდებენ, რა სასაცილოდ აიგდებდნენ მორალის იმ მქადაგებელს, რომელიც მოისურვებდა ზეიმით გამოეცხადებინა სამარადისო ჭეშმარიტება: არ მოიპარო!

ამიტომ ჩვენ უკუვაგდებთ ყოველივე ცდას თავს მოგვახვიონ რომელიმე მორალური დოგმატიკა როგორც სამარადისო, საბოლოო, ამიერიდან უცვლელი ზნეობრივი კანონი, იმ საბაბით, რომ მორალურ სამყაროსაც აქვს თავისი წარუვალი პრინციპები, რომლებიც მაღლა დგანან ისტორიასა და ხალხთა განსხვავებებზეო. ჩვენ, პირიქით, ვამტკიცებთ, რომ ყველა დღემდე არსებული მორალური თეორია საბოლოო ინსტანციაში საზოგადოების სათანადო ეკონომიური მდგომარეობის ნაყოფს წარმოადგენს. და რადგან საზოგადოება დღემდე კლასობრივი დაპირისპირებებით ვითარდებოდა, მორალიც ყოველთვის კლასობრივი მორალი იყო; იგი ან გაბატონებული კლასის ბატონობასა და ინტერესებს ამართლებდა, ან, როცა დაჩაგრული კლასი საკმაოდ ძლიერდებოდა, წარმოადგენდა მის აღშფოთებას ამ ბატონის წინააღმდეგ და აგრეთვე ჩაგრულთა მომავლის ინტერესებს. შეუძლებელია ეჭვის შეტანა იმაში, რომ საერთოდ და მთლიანად მორალის დარგში, ისევე როგორც ადამიანური შემეცნების ყველა სხვა დარგში პროგრესი ხდება. მაგრამ კლასობრივი მორალი ჯერჯერობით არაა გადალახული. კლასობრივ წინააღმდეგობებსა და მის ყოველგვარ მოგონებაზე მაღლა მდგომი, მართლაც ადამიანური მორალი შესაძლებელი გახდება მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების ისეთ საფეხურზე, რომელზეც კლასობრივი წინააღმდეგობა არა მარტო გადალახული, არამედ ცხოვრების პრაქტიკაშიც დავიწყებული იქნება. და ახლა დაე შეაფასონ თვითგანდიდება ბატონი დიურინგისა, რომელიც წელთამდე ძველ კლასობრივ საზოგადოებაშია ჩაფლული, მაგრამ პრეტენზიას აცხადებს, სოციალური რევოლუციის წინადღით, მომავალ, უკლასო საზოგადოებას თავს მოახვიოს სამარადისო, დროისა და რეალური ცვლილებებისაგან დამოუკიდებელი მორალი! თუნდაც ამასთანავე ვიგულისხმოთ, რომ მას ძირითად ხაზებში მაინც ესმის ამ მომავალი საზოგადოების სტრუქტურა,— რაც ჩვენ ჯერჯერობით კიდევ არ ვიცით.

ბოლოს კიდევ ერთი, «ძირიან-ფესვიანად თავისებური», მაგრამ ამის გამო არანაკლებ «ფესვებამდე მიღწეული» აღმოჩენა ბოროტების წარმოშობის შესახებ: «ის ფაქტი, რომ, როგორც ცხოველთა ერთ-ერთი სახე არსებობს კ ა ტ ი ს ტ ი პ ი, მისთვის დამახასიათებელი სიყალბითურთ, ერთ საფეხურზე დგას იმ გარემოებასთან, რომ მსგავსი ხასიათი ადამიანშიც მოიპოვება... ამიტომ ბოროტება არაა საიდუმლოებით მოცული რამ, თუ არ გვინდა, რომ კ ა ტ ი ს ა ან საზოგადოდ მტაცებელი მხეცის არსებობაში რაიმე მისტიკური დავი-

ნახოთ». ბოროტება კატაა. მაშასადამე, ეშმაკს რქები და ცხენის ფოლები კი არა, არამედ ბრჭყალები და მწვანე თვალები აქვს. და გოეტემ მიუტევებელი შეცდომა ჩაიდინა, როდესაც მეფისტოფელი შავი ძაღლის სახით შემოჰყავს და არა ზემოხსენებული შავი კატის სახით. ბოროტება კატაა! ესაა მორალი არა მარტო ყველა ქვეყნისათვის, არამედ აგრეთვე კატისათვისაც![1].

X

მორალი და სამართალი. თანასწორობა

ჩვენ უკვე მრავალჯერ გავეცანით ბატონ დიურინგის მეთოდს. იგი იმაში მდგომარეობს, რომ შემეცნების ობიექტების თვითეული ჯგუფი დავშალოთ მათს ვითომდა უმარტივეს ელემენტებად, ამ ელემენტებს მივუყენოთ ასევე მარტივი, ვითომდა თავისთავად ცხადი აქსიომები და ამ გზით მიღებული შედეგებით შემდგომი ოპერაციები მოვახდინოთ. ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან აღებული საკითხიც «აქსიომატურად უნდა გადავწყვიტოთ ცალკეულ მარტივ, ძირითად ფორმებზე, ისე რომ თითქოს საქმე მათემატიკის მარტივ... ძირითად ფორმებს ეხებოდეს». ამრიგად, მათემატიკური მეთოდის გამოყენებამ ისტორიისა, მორალისა და სამართლის დარგში აქაც მათემატიკური უცილობლობის რწმენა უნდა მოგვცეს მიღწეული შედეგების ჭეშმარიტების შესახებ, მან ისინი უნდა დაახასიათოს როგორც ნამდვილი უცვლელი ჭეშმარიტებანი.

ეს მხოლოდ ახალი სახეა ძველი პოპულარული, იდეოლოგიური, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, აპრიორისტულად წოდებული მეთოდისა, რომელიც საგნის თვისებებს შეიცნობს არა თვით საგნიდან, არამედ დამტკიცების გზით გამოჰყავს თვით საგნის ცნებიდან. თავდაპირველად საგნიდან საგნის ცნებას ქმნიან; შემდეგ ყველაფერს თავდაყირა შეაბრუნებენ, საგნის ასახვას, მის ცნებას თვითონ საგნისათვის საზომად აქცევენ. ახლა უკვე ცნება კი არ უნდა შეეფარდოს საგანს, არამედ საგანი უნდა შეეფარდოს ცნებას. ბატონ დიურინგის აზროვნებაში ცნების მაგიერობას ასრულებენ უმარტივესი ელემენტები, ის უკანასკნელი აბსტრაქციები, რომელთაც შეუძლია მან მიაღწიოს, რაც საქმის ვითარებაში არაფერს ცვლის;

[1] აქ დედანში სიტყვათა თამაშია, ზმობაა, რომელიც ვერ ითარგმნება: გამოთქმა «für die Katze» ნიშნავს სრულიად უვარგის ნივთს და, ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე ისეთ შრომას, რომელიც ტყუილად დახარჯულა. რ ე დ.

ეს უმარტივესი ელემენტები უკეთეს შემთხვევაში წმინდა ცნებითი ბუნებისაა. მაშასადამე, სინამდვილის ფილოსოფია აქაც გამოდის როგორც წმინდა იდეოლოგია, როგორც სინამდვილის გამოყვანა არა თავისი თავიდან, არამედ წარმოდგენიდან.

რა ხდება, როცა ასეთი იდეოლოგი მორალსა და სამართალს აშენებს არა მის გარშემო მყოფი ადამიანების ნამდვილი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან, არამედ ცნებიდან ანუ «საზოგადოების» ეგრეთწოდებული უმარტივესი ელემენტებიდან? რა მასალა უძევს ამ შენობას საფუძვლად? ცხადია, ორი რამ: ჯერ-ერთი, რეალური შინაარსის უბადრუკი ნაშთი, რომელიც შეიძლება კიდევ მოიპოვება ამ საფუძვლად დადებულ აბსტრაქციებში, ხოლო მეორეც, შინაარსი, რომელიც ჩვენს იდეოლოგს თავისი საკუთარი ცნობიერებიდან შეაქვს. და რას პოულობს იგი თავის ცნობიერებაში? უმეტესწილად მორალურ და უფლებრივ შეხედულებებს, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად შესაფერ გამოხატულებას წარმოადგენენ — დადებითად იქნება ეს თუ უარყოფითად, დადასტურებისა თუ შებრძოლების აზრით — იმ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობისა, რომელშიც იგი ცხოვრობს; შემდეგ შეიძლება იგი პოულობს წარმოდგენებს, რომლებიც სათანადო ლიტერატურიდანაა ნასესხები; ბოლოს, შეიძლება კიდევ რაიმე პირადი უცნაურობანი. ჩვენს იდეოლოგს შეუძლია იმდენი იხტუნოს, იტრიალოს, რამდენიც სურს, ისტორიული რეალობა, რომელიც მან კარიდან გააგდო, ხელახლა ფანჯრიდან შემოდის, და იმ დროს, როცა მას ჰგონია ზნეობისა და სამართლის მოძღვრება შეავდგინე ყველა ქვეყნიერებისა და ეპოქისთვისო, იგი ნამდვილად ქმნის თავისი დროის კონსერვატულ ან რევოლუციურ მიმდინარეობათა დამახინჯებულ, თავის ნამდვილ ნიადაგს მოწყვეტილ, თავდაყირა დაყენებულ, თითქოს ჩაზნექილ სარკეში მოცემულ ასახვას.

ამრიგად, ბატონი დიურინგი საზოგადოებას მის უმარტივეს ელემენტებად შლის და ხედავს, რომ უმარტივესი საზოგადოება, უკიდურეს შემთხვევაში, ო რ ი ადამიანისაგან მაინც შედგება. და აი იგი იწყებს აქსიომატურად ამ ორი ადამიანით ოპერაციის წარმოებას. აქ ძალდაუტანებლად შემდეგ ძირითად მორალურ აქსიომას ვღებულობთ: «ორი ადამიანური ნებისყოფა როგორც ასეთი ერთმანეთის ს რ უ ლ ი ა დ თ ა ნ ა ს წ ო რ ი ა, და არც ერთ მათგანს მეორესთვის თავდაპირველად არავითარი დადებითი მოთხოვნის წარდგენა არ შეუძლია». ამით «დახასიათებულია მორალური სამართლიანობის ძირითადი ფორმა»; ამითვე დახასიათებულია იურიდიული სამარ-

თლიანობის ძირითადი ფორმაც, იმიტომ რომ «უფლების პრინციპული ცნებების განვითარებისათვის ჩვენ გვჭირდება მხოლოდ ორი ადამიანის სრულიად მარტივი და ელემენტარული ურთიერთობა».

ორი ადამიანი ან ორი ადამიანური ნებისყოფა, როგორც ასეთი, რომ სრულიად თანასწორია, ეს არა თუ აქსიომა არაა, არამედ ძლიერი გადაჭარბებაცაა. ორი ადამიანი, თვით როგორც ასეთი, შეიძლება არათანასწორი იყოს სქესის მიხედვით, ამ უმარტივეს ფაქტს კი ჩვენ მაშინვე იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საზოგადოების უმარტივეს ელემენტებს, თუ ჩვენ ერთი წუთით ამ ბავშვურ აზრებს გავუწევთ ანგარიშს, ორი მამაკაცი კი არა, მამაკაცი და დედაკაცი წარმოადგენენ, რომელნიც ოჯახს აარსებენ, საზოგადოებრივი კავშირის ამ უმარტივეს და უპირველეს ფორმას წარმოების მიზნით. მაგრამ ეს როდი გამოადგება ბატონ დიურინგს. იმიტომ რომ, ერთი მხრივ, საზოგადოების ორივე დამაარსებელი რაც შეიძლება თანასწორი უნდა იყოს, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ბატონი დიურინგი ვერ შეძლებდა პირველყოფილი ოჯახიდან მამაკაცის და დედაკაცის მორალური და უფლებრივი თანასწორობა აეშენებია. მაშასადამე, ორიდან ერთი: ან დიურინგის საზოგადოებრივი მოლეკულა, რომლის გამრავალკეცებიდან მთელი საზოგადოება უნდა აშენდეს, იმთავითვე დასაღუპადაა განწირული, იმიტომ რომ ორი მამაკაცი თავისთავად ვერასოდეს ვერ შექმნის ბავშვს, ან ჩვენ, ისინი უნდა წარმოვიდგინოთ ორი ოჯახის მეთაურად. ამ შემთხვევაში მთელი მარტივი ძირითადი სქემა თავის წინააღმდეგობად იქცევა: ადამიანების თანასწორობის მაგიერ იგი, უკეთეს შემთხვევაში, ოჯახთა მეთაურების თანასწორობას ამტკიცებს, ხოლო რადგან დედაკაცებს არაფერს ჰკითხავენ, აგრეთვე დედაკაცების დაქვემდებარებასაც.

ჩვენ აქ მკითხველს უნდა ვაუწყოთ არასასიამოვნო ამბავი, რომ ამიერიდან იგი კარგა ხნით თავიდან ვერ მოიცილებს ამ ორ შესანიშნავ მამაკაცს; საზოგადოებრივი ურთიერთობის ასპარეზზე ისინი იმგვარსავე როლს ასრულებენ, როგორც აქამდე სამყაროს სხვა სხეულების მცხოვრებლები ასრულებდნენ, რომელნიც ჩვენ, იმედია, უკვე თავიდან მოვიშორეთ. როგორც კი რაიმე საკითხი გახდება გადასაწყვეტი პოლიტიკური ეკონომიის, პოლიტიკის და სხვ. დარგში, მაშინვე ორი მამაკაცი გამოდის და თვალის დახამხამებაზე «აქსიომატურად» აგვარებს საქმეს. ესაა საუცხოო, შემოქმედებითი, სისტემის შემქმნელი აღმოჩენა სინამდვილის ჩვენი ფილო-

სოფოსისა: მაგრამ, სამწუხაროდ, ჭეშმარიტების პატივისცემა გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ ეს ორი მამაკაცი მას როდი აღმოუჩენია. მათ მთელი XVIII საუკუნე იცნობდა. ისინი გვხვდებიან უკვე რუსოს ტრაქტატში უთანასწორობის შესახებ (1754 წელს), სადაც სხვათა შორის სწორედ დიურინგის აზრის საწინააღმდეგო დებულებანია აქსიომატურად დამტკიცებული. ისინი მთავარ როლს ასრულებენ პოლიტიკური ეკონომისტების ნაწერებში ადამ სმიტიდან დაწყებული რიკარდომდე; მაგრამ აქ ისინი, ყოველ შემთხვევაში, იმ მხრივ არიან არათანასწორნი, რომ თვითეული მათგანი განსხვავებულ საქმეს ასრულებს, უფრო ხშირად ერთი მონადირეა, მეორე მეთევზე, და თავიანთ პროდუქტებს ურთიერთ შორის ცვლიან. გარდა ამისა, მთელ XVIII საუკუნეში ისინი უმთავრესად მარტივ განმმარტებელ მაგალითს წარმოადგენენ, და ბატონი დიურინგის ორიგინალობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს მაგალითის მეთოდი ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების ძირითად მეთოდად და ყველა ისტორიული საზოგადოებრივი ფორმის მასშტაბად აქცია. რასაკვირველია, შეუძლებელია უფრო მეტად გაიადვილოს კაცმა «მკაცრი მეცნიერული გაგება საგნებისა და ადამიანებისა».

მაგრამ ძირითადი აქსიომის შესადგენად, რომ ორი ადამიანი და მათი ნებისყოფა სავსებით თანასწორია და არც ერთს არ შეუძლია მეორესთვის რაიმეს ბრძანება, ყოველი ორი მამაკაცი როდი გამოდგება. ამისათვის საჭიროა ორი ადამიანი, რომლებიც ისე თავისუფალი არიან ყოველი სინამდვილისაგან, დედამიწის ზურგზე არსებულ ყოველ ეროვნულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ და რელიგიურ ურთიერთობათაგან, ყოველი სქესობრივი და პირადი თავისებურებისაგან, რომ არც ერთისა და არც მეორესაგან არაფერი რჩება, გარდა ცარიელი ცნებისა: «ადამიანი», და მაშინ ისინი მართლაც «სრულიად თანასწორი» არიან. მაშასადამე, ისინი ორი ნამდვილი მოჩვენებაა, გამოწვეულნი თვით იმ ბატონი დიურინგის მიერ, რომელიც ყველგან «სპირიტისტულ» გულისთქმებს ყნოსავს და ამჟღავნებს. ამ ორმა მოჩვენებამ, რასაკვირველია, ყოველივე უნდა მოიმოქმედოს, რასაც მათგან მათი ჯადოქარი მოითხოვს, და სწორედ ამიტომ ყოველი მათი ხელოვნური ნაწარმოებნი უაღრესად უმნიშვნელონი არიან მთელი დანარჩენი ქვეყნიერებისათვის.

მაგრამ გავყვეთ ბატონი დიურინგის აქსიომატიკას ცოტა ქვემოთ. ორივე ნებისყოფას არავითარი დადებითი მოთხოვნის წარ-

დგენა არ შეუძლია ერთიმეორისთვის. ხოლო თუ ერთი მათგანი ამას მაინც მოიმოქმედებს და თავის მოთხოვნას ძალით განახორციელებს, უსამართლო მდგომარეობა წარმოსდგება; და ამ ძირითად სქემაზე ხსნის ბატონი დიურინგი უსამართლობას, ძალმომრეობას, მონობას, მოკლედ, მთელ ადრინდელ დასაგმობ ისტორიას. მაგრამ უკვე რუსომ ზემოთ მოყვანილ თხზულებაში ორი მამაკაცის შემწეობით სწორედ საწინააღმდეგო აზრი დაამტკიცა ასევე აქსიომატურად, სახელდობრ ის, რომ ორი ადამიანიდან A-ს შეუძლია B დაიმონოს არა ძალმომრეობით, არამედ მხოლოდ იმით, რომ იგი B-ს ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებს, რომ მას არ შეუძლია A-ს დამოუკიდებლად იარსებოს; ბატონი დიურინგისთვის ეს, რასაკვირველია, მეტისმეტად მატერიალისტური შეხედულებაა. ამიტომ სხვანაირად შევხედოთ იმავე საქმეს. ვთქვათ, გემი დაიღუპა, დაუსახლებელ კუნძულზე ორი ადამიანი გაირიყა და იქ მათ საზოგადოება შექმნეს. მათი ნებისყოფანი ფორმალურად სრულიად თანასწორი არიან და ორივე ცნობს ამ გარემოებას. მაგრამ მატერიალურად მათ შორის დიდი უთანასწორობაა. A მედგარი, გამბედავი და ენერგიულია, B გაუბედავი, ზარმაცი და დონდლო; A ფხიზელია, მოსაზრებული, B სულელი. განა დიდი დრო დასჭირდება, რომ, როგორც წესი, A-მ თავისი ნებისყოფა B-ს თავს მოახვიოს ჯერ დაჯერებით, შემდეგ ჩვეულების ძალით, მაგრამ ყოველთვის ნებაყოფლობის ფორმით? შენარჩუნებული იქნება ნებაყოფლობის ფორმა თუ გათელილი, მონობა მონობად დარჩება. მთელ შუა საუკუნეებს გასდევს ნებაყოფლობითი შესვლა არათავისუფალ მდგომარეობაში, ხოლო გერმანიაში მან ოცდაათწლიან ომებამდე გასტანა. როცა პრუსიაში 1806 და 1807 წლების დამარცხების შემდეგ მოისპო ბატონყმური დამოკიდებულება და მასთან ერთად მოწყალე ბატონების ვალდებულება თავიანთი ხელქვეითებისათვის ეზრუნათ გაჭირვებისა, აავადმყოფობისა და მოხუცებულობის დროს, გლეხებმა მეფეს პეტიცია მიართვეს, მორჩილების მდგომარეობაში დაგვტოვეთ, თორემ ვინღა იზრუნებს ჩვენთვის. გაჭირვების დროსო? მაშასადამე, ორი ადამიანის სქემა ისევე კარგად «ეგუება» უთანასწორობასა და მონობას, როგორც თანასწორობასა და ურთიერთდახმარებას, და რადგან ჩვენ ისინი, საზოგადოების გადაშენების ასაცილებლად, ოჯახის მეთაურებად უნდა მივიღოთ, ამ სქემაში უკვე მემკვიდრეობითი მონობაც იგულისხმება.

მაგრამ თავი დავანებოთ ყოველივე ამას ერთი წუთით. დავუშვათ, რომ ბატონი დიურინგის აქსიომატიკამ დაგვაჯერა, და ჩვენ აღტაცებული ვართ ორივე ნებისყოფის სრული თანასწორუფლებიანობით, «საყოველთაო ადამიანური სუვერენიტეტით», «ინდივიდუუმის სუვერენიტეტით», — ერთი სიტყვით, მაღალფარდოვანი სიტყვების რახარუხით, რომლის წინაშე შტირნერის «ერთადერთი» მისი საკუთრებითურთ[1] ერთი მაჩანჩალა ვინმეა, თუმცა ამ საქმეში მასაც აქვს თავისი პატარა წვლილი შეტანილი. მაშასადამე, ახლა ჩვენ ყველანი სრულიად თანასწორნი და დამოუკიდებელნი ვართ. მართლაც ყველანი? არა, ყველანი მაინც არა. არსებობენ აგრეთვე «ნებადართული დამოკიდებულებანი», მაგრამ მათი ახსნა შეიძლება «საფუძვლებით, რომელნიც უნდა ვეძიოთ არა ორივე ნებისყოფის, როგორც ასეთის, მოქმედებაში; არამედ მესამე სფეროში, მაშასადამე, მაგალითად, ბავშვების მიმართ, მათი თვითგანსაზღვრის უკმარობაში».

მართლაც! დამოკიდებულების საფუძვლები უნდა ვეძებოთ არა ორი ნებისყოფის, როგორც ასეთის, მოქმედებაში! რასაკვირველია, არა, იმიტომ რომ სწორედ ერთი ნებისყოფის მოქმედება ფერხდება! არამედ უნდა ვეძებოთ მესამე სფეროში! და რა არის ეს მესამე სფერო? კონკრეტული განსაზღვრა ერთი დათრგუნვილი ნებისყოფისა როგორც არასაკმარისისა! ჩვენი სინამდვილის ფილოსოფოსი იმდენად დაშორდა სინამდვილეს, რომ აბსტრაქტული და უშინაარსო გამოთქმა «ნებისყოფასთან» შედარებით, ამ ნებისყოფის ნამდვილი შინაარსი, მისი დამახასიათებელი განსაზღვრა მას «მესამე სფეროდ» მიაჩნია. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ჩვენ უნდა დავადასტუროთ, რომ თანასწორუფლებიანობას თავისი გამონაკლისი აქვს. თანასწორუფლებიანობას ძალა არა აქვს ისეთი ნებისყოფისთვის, რომელსაც თვითგანსაზღვრის ნაკლოვანება ახლავს. უკანდახევა № 1.

შემდეგ. «სადაც ერთსა და იმავე პიროვნებაში მხეცი და ადამიანია შეერთებული, იქ შეიძლება მეორე, სრულიად ადამიანური პიროვნების სახელით ვიკითხოთ, ისეთივე უნდა იყოს თუ არა მისი მოქმედება, როგორიც იქნებოდა, ერთმანეთს რომ, ასე ვთქვათ, მხოლოდ ადამიანური პიროვნებანი დაპირდაპირებოდნენ... ამი-

---

[1] «ერთადერთი და მისი საკუთრება» — მაქს შტირნერის ნაწარმოებია, რომელიც გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მარქსმა და ენგელსმა «გერმანულ იდეოლოგიაში». რ ე დ.

ტომ ჩვენი წანამძღვარი ორი მორალურად უთანასწორო პიროვნების შესახებ, რომელთაგანაც ერთს ამა თუ იმ აზრით წილი აქვს საკუთრივ მხეცურ ხასიათში, ტიპიურ ძირითად ფორმას წარმოადგენს ყოველი ურთიერთობისათვის, რომელიც ამ განსხვავების მიხედვით შეიძლება შეგვხვდეს ადამიანურ ჯგუფებში და მათ შორის». და აი ამ უმწეო აბრუნდების შემდეგ დაე მკითხველმა თვით წაიკითხოს მომდევნო გოდება, სადაც ბატონი დიურინგი იეზუიტების ხუცესივით აქეთ-იქით ტრიალებს, რათა კაზუისტურად დაადგინოს, სანამდე შეუძლია გამოვიდეს ადამიანური ადამიანი მხეცური ადამიანის წინააღმდეგ, სანამდე შეუძლია მას მის წინააღმდეგ გამოიყენოს უნდობლობა, სამხედრო ვერაგობა, მკაცრი, თვით ტერორისტული, აგრეთვე მოტყუების საშუალებანი, ისე რომ ოდნავადაც არ დაარღვიოს უცვლელი მორალი.

მაშასადამე, როცა ორი პიროვნება «მორალურად უთანასწოროა», თანასწორობა ისპობა. მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად საჭირო არ იყო ორი სრულიად თანასწორი კაცი გამოგვეწვია, იმიტომ რომ არ არსებობს ორი პიროვნება, რომელიც მორალურად სავსებით თანასწორი იყოს. — მაგრამ უთანასწორობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ერთი ადამიანური პიროვნებაა, ხოლო მეორე ცხოველის ელემენტს შეიცავსო. მაგრამ რადგან ადამიანი ცხოველთა სამეფოდან წარმოიშვა, ცხადია, იგი სავსებით ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება მხეცობისაგან, ისე რომ საკითხი მხოლოდ მეტნაკლებობაშია, მხეცობისა და ადამიანობის ხარისხის განსხვავებაში. ადამიანების დანაწილებას ორ მკაცრად გაყოფილ ჯგუფად, ადამიანურ ადამიანებად და მხეც-ადამიანებად, კეთილებად და ბოროტებად, ცხვრებად და თხებად სინამდვილის ფილოსოფიის გარდა იცნობს კიდევ მხოლოდ ქრისტიანობა, რომელსაც სრულიად თანმიმდევრულად ჰყავს აგრეთვე თავისი მსოფლიო მსაჯული და იგი ახდენს ამ გათიშვას. მაგრამ ვინ უნდა იყოს მსოფლიო მსაჯული სინამდვილის ფილოსოფიაში? აქ, ალბათ, იგივე მოხდება, რაც ქრისტიანობის პრაქტიკაში მოხდა, სადაც ღვთისმოსავმა კრავებმა თვით იკისრეს მსოფლიო მსაჯულის როლი თავიანთი მოყვასი საერო თხების მიმართ და, როგორც ცნობილია, წარმატებასაც მიაღწიეს. სინამდვილის ფილოსოფოსების სექტა, თუ ოდესმე იგი წარმოიშობა, ამ მხრივ არ ჩამორჩება წყნარ ღვთისმოსავებს. მაგრამ ეს ჩვენთვის სულერთია; ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ აღიარება, რომ ადამიანებს შორის მორა-

ლური უთანასწორობის გამო თანასწორობა ხელახლა გაბათილებულია. უკანდახევა № 2.

გავყვეთ კიდევ ქვევით. «ერთმა რომ ჭეშმარიტებისა და მეცნიერების მიხედვით იმოქმედოს, ხოლო მეორემ რაიმე ცრუმორწმუნეობის და წინასწარ აკვიატებული რწმენის მიხედვით... როგორც წესი, ურთიერთშეჯახებები წარმოიშობოდა... თუ განსაზღვრული დონის უუნარობის, სიტლანქისა ან ხასიათის ბოროტი მიდრეკილებების არსებობას ვიგულისხმებთ, ყველა შემთხვევაში შეტაკება უნდა მოხდეს... ძალმომრეობა უკანასკნელ საშუალებას წარმოადგენს არა მარტო ბავშვებისა და შეშლილების წინააღმდეგ. არსებობენ ადამიანების მთელი ბუნებრივი ჯგუფები და კულტურული კლასები, რომლებსაც ისეთი მტრული ნებისყოფა აქვთ თავიანთი უკეთესობის გამო, რომ გარდაუვალ აუცილებლობად ხდება მათი დამორჩილება საერთო ცხოვრების ჩარჩოებში ჩასაყენებლად. სხვისი ნებისყოფა აქაც თანასწორუფლებიანად ითვლება; მაგრამ თავისი შეურაცხმყოფელი და მტრული მოქმედების უკეთესობით ხასიათით იგი გამოსწორების საჭიროებას იწვევს და თუ მას ძალმომრეობა ატყდება თავს, ამით ის იმკის მხოლოდ თავისი საკუთარი უსამართლობის უკუმოქმედებას».

მაშასადამე, არა მარტო მორალური,-არამედ გონებრივი უთანასწორობაც საკმაოა, რათა გაბათილდეს ორი ნებისყოფის «სრული თანასწორობა» და განმტკიცდეს ისეთი მორალი, რომლის მიხედვით შეიძლება გამართლდეს ყველა სამარცხვინო მოქმედება ცივილიზებული ევაზაკური ქვეყნებისა უკან ჩამორჩენილი ხალხების წინააღმდეგ, თვით მეფის რუსეთის მხეცური საშინელებანი თურქესტანში. როცა გენერალი კაუფმანი 1873 წლის ზაფხულს თავს დაესხა თათრების ტომს იომუდებს, მათი კარვები დააწვევინა, ხოლო მათი ქალები და ბავშვები, მისი ბრძანების სიტყვებით რომ ვთქვათ, «ნამდვილი კავკასიური წესით» გააჟლეტინა, ისიც ამტკიცებდა, გარდაუვალ აუცილებლობად იქცა იომუდების მტრული ნებისყოფის დამორჩილება მათი უკეთესობის გამო საერთო ცხოვრების ჩარჩოებში ჩასაყენებლად, ჩემ მიერ ნახმარი საშუალებები კი ყველაზე მიზანშეწონილიაო; ხოლო ვისაც მიზანი უნდა, საშუალებაც უნდა უნდოდესო. მაგრამ იგი იმდენად მკაცრი არ იყო, რომ ამას გარდა კიდევ სასაცილოდ აეგდო იომუდები და ეთქვა, იმით, რომ მე მათ გამოსასწორებლად ვჟლეტავ, მათს ნებისყოფას სწორუფლებიანად ვთვლიო. და ამ კონფლიქტში

ისევ რჩეულნი, ვითომდა ჭეშმარიტებისა და მეცნიერების მიხედვით მოქმედნი, ერთი სიტყვით, საბოლოო ინსტანციაში სინამდვილის ფილოსოფოსები, გადასჭრიან, თუ რა არის ცრუმორწმუნეობა, წინასწარაკვიატებული რწმენა, სიტლანქე, ბოროტი ხასიათის მიდრეკილება, და როდისაა საჭირო ძალმომრეობა და დამორჩილება ადამიანის გამოსასწორებლად. მაშასადამე, ახლა თანასწორობა წარმოადგენს გამოსწორებას ძალმომრეობის შემწეობით, ხოლო მეორე ნებისყოფა პირველის მიერ თანასწორუფლებიანად იქნება აღიარებული დამორჩილების წყალობით. უკანდახევა № 3, რომელიც აქ უკვე სამარცხვინო გაქცევაში გადადის.

გაკვრით აღვნიშნოთ: ფრაზა იმის შესახებ, რომ სხვისი ნებისყოფა სწორუფლებიანად არის მიჩნეული სწორედ გამოსწორების პროცესში ძალმომრეობის შემწეობით, წარმოადგენს მხოლოდ დამახინჯებას ჰეგელის თეორიისა, რომლის მიხედვით სასჯელი დამნაშავის უფლებას წარმოადგენს: «იმით რომ სასჯელი დამნაშავის საკუთარი უფლების შემცველად ითვლება, დამნაშავეს მართებული მიეძღვნება როგორც გონიერ არსებას» (Rechtsphilosophie[1], § 100, შენიშვნა).

აქ შეგვიძლია შევწყვიტოთ. ზედმეტი იქნებოდა ბატონ დიურინგს კიდევ გავყოლოდით მისი აქსიომატურად წამოყენებული თანასწორობის, ზოგადი ადამიანური სუვერენობის და სხვ. ნაწილ-ნაწილ დარღვევაში; თვალყური გვედევნებინა იმისათვის, თუ როგორ აგებს იგი საზოგადოებას ორი ადამიანისაგან, მაგრამ როგორ საჭიროებს სახელმწიფოს ასაგებად მესამესაც, იმიტომ რომ, მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მესამის დაუხმარებლად შეუძლებელია უმრავლესობის გადაწყვეტილებათა მიღება, ხოლო უამისოდ, მაშასადამე, უმრავლესობის უმცირესობაზე ბატონობის გარეშე, შეუძლებელია სახელმწიფო არსებობდეს; როგორ უხვევს შემდეგ იგი მომავლის თავისი «სოციალიტარული» სახელმწიფოს კონსტრუქციის მშვიდ კალაპოტში, სახელმწიფოსი, სადაც ერთ მშვენიერ დღეს პატივი გვექნება ვინახულოთ იგი. ჩვენ საკმაოდ დავრწმუნდით, რომ ორივე ნებისყოფის სრული თანასწორობა მხოლოდ იმდენხანს არსებობს, სანამ ამ ორივე ნებისყოფას არაფერი სურს; მაგრამ თანასწორობა მაშინვე ისპობა, როგორც კი ისინი აღარ იქნებიან აბსტრაქტული ადამიანური

[1] «სამართლის ფილოსოფია». რედ.

ნებისყოფანი როგორც ასეთნი და ნამდვილ, ინდივიდუალურ ნებისყოფად, ორი ნამდვილი ადამიანის ნებისყოფად იქცევიან; ჩვენ დავინახეთ, რომ ბალღობა, სიგიჟე, ეგრეთწოდებული სიმხეცე, საეგებისო ცრუმორწმუნეობა, დადასტურებული აკვიატებული აზრი, უნიჭობის გულისხმობა ერთ მხარეზე და წარმოსახული ადამიანობა, ჭეშმარიტებასა და მეცნიერებაში ჩახედულობა მეორე მხარეზე, ერთი სიტყვით, ყოველი განსხვავება ორივე ნებისყოფის თვისებასა და მათი თანმხლები გონების თვისებაში ამართლებს უთანასწორობას, რომელიც შეიძლება დამორჩილებამდე მივიდეს; რაღა უნდა მოვითხოვოთ კიდევ მას შემდეგ, რაც ბატონმა დიურინგმა ასე საფუძვლიანად დაანგრია თავისი საკუთარი თანასწორობის შენობა?

მაგრამ, თუ ჩვენ მოვითავეთ დიურინგისეული ზერელე და უნიჭო განმარტება თანასწორობის წარმოდგენისა, ამით ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვისწორებია ანგარიში თვით ამ წარმოდგენასთან, რომელიც განსაკუთრებით რუსოს წყალობით თეორიულ როლს ასრულებდა, დიდ რევოლუციაში[1] და მას შემდეგ — პრაქტიკულ-პოლიტიკურს, ხოლო დღესაც თითქმის ყველა ქვეყნის სოციალისტურ მოძრაობაში მნიშვნელოვან სააგიტაციო როლს ასრულებს. მისი მეცნიერული შინაარსის დადგენა განსაზღვრავს აგრეთვე მის ღირებულებასაც პროლეტარული აგიტაციისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ წარმოდგენა, ყველა ადამიანს როგორც ადამიანს რაღაც საერთო აქვს და სანამდე ეს საერთო აღწევს, ისინი თანასწორნიც არიანო, ძველის ძველია. მაგრამ ამისგან სრულიად განსხვავდება თანასწორობის თანამედროვე მოთხოვნა; იგი უფრო იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანობის იმ საერთო თვისებიდან, ადამიანის როგორც ადამიანის იმ თანასწორობიდან მას გამოჰყავს უფლება ყველა ადამიანის ან, უკიდურეს შემთხვევაში, რომელიმე სახელმწიფოს ყველა მოქალაქის, ან რომელიმე საზოგადოების ყველა წევრის თანასწორ პოლიტიკურ და სოციალურ ღირებულებაზე. ათას წლებს უნდა გაევლო და ათასმა წლებმა განვლო კიდეც, სანამ იმ თავდაპირველი წარმოდგენიდან შედარებითი თანასწორობის შესახებ გამოტანილი იქნებოდა დასკვნა სწორუფლებიანობაზე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, სანამ ეს დასკვნა ბუნებრივ, თავისთავად საგულისხმო რამედ

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს 1789 წ. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია. რ ე დ.

გამოჩნდებოდა. უძველეს, პირველყოფილ თემებში თანასწორ-უფლებიანობის შესახებ, უკუდურეს შემთხვევაში, მხოლოდ თემის წევრების მიმართ შეიძლებოდა ლაპარაკი; დედაკაცები, მონები, უცხოელები, თავისთავად ცხადია, გამორიცხული იყვნენ ამ თანასწორუფლებიან ადამიანთა რიცხვიდან. ბერძნებსა და რომაელებს შორის ადამიანთა უთანასწორობანი ბევრად უფრო დიდ როლს ასრულებდნენ, ვიდრე რაიმე თანასწორობა. ძველებს აუცილებლად გიჟურად მოეჩვენებოდათ ის აზრი, რომ ბერძნებსა და ბარბაროსებს, თავისუფლებსა და მონებს, სახელმწიფოს მოქალაქეებსა და შემოხიზნულებს, რომის მოქალაქეებსა და რომის ქვეშევრდომებს (ფართო გამოთქმა რომ ვიხმაროთ) შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ თანასწორ პოლიტიკურ მნიშვნელობაზეო. რომის იმპერიაში ყველა ეს განსხვავება თანდათან გაჰქრა, თავისუფლებისა და მონების განსხვავების გამოკლებით; ამასთანავე წარმოიშვა, ყოველ შემთხვევაში თავისუფალთათვის, კერძო პირთა ის თანასწორობა, რომლის ნიადაგზე განვითარდა რომის სამართალი, კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილი სამართლის ყველაზე სრულყოფილი ფორმა, როგორსაც კი ჩვენ საზოგადოდ ვიცნობთ. მაგრამ სანამ თავისუფალთა და მონათა დაპირდაპირება არსებობდა, შეუძლებელი იყო ლაპარაკი უფლებრივ დასკვნებზე ზოგადი ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი თანასწორობიდან; ჩვენ ეს ცოტა ხნის წინათ დავინახეთ ჩრდილო-ამერიკის კავშირის მონათმფლობელურ შტატებში.

ქრისტიანობა იცნობდა მხოლოდ ე რ თ თანასწორობას ყველა ადამიანისა, პირველშობილი ცოდვის თანასწორობას, რაც სავსებით შეეფერებოდა მის, როგორც მონების და ჩაგრულების რელიგიის ხასიათს. ამას გარდა იგი დიდი-დიდი იცნობდა რჩეულთა თანასწორობას, რომელსაც მხოლოდ ქრისტიანობის დასაწყის პერიოდში აღნიშნავდნენ ხაზგასმით. ქონების განზოგადოების ნიშნები, რომელსაც აგრეთვე ახალი რელიგიის დასაწყისში ვხვდებით, უფრო დევნილთა ერთად ცხოვრების საჭიროებით აიხსნება, ვიდრე ნამდვილი თანასწორობის წარმოდგენებით. ძალიან მალე სასულიერო და საერო პირების წინააღმდეგობის დამყარებამ ბოლო მოუღო ამ ქრისტიანული თანასწორობის ჩანასახსაც.—გერმანელების მიერ დასავლეთ ევროპის წალეკამ მთელი საუკუნეების მანძილზე მოსპო ყოველი თანასწორობის წარმოდგენანი იმით, რომ თანდათან შექმნა ისეთი რთული ხასიათის სოციალური და პოლიტიკური იერარქია, რომლის მსგავსი მანამდე არ არსებულა; მაგრამ ამავე დროს მან დასავლეთი და შუაევროპა ისტორიულ-

მოძრაობაში ჩააბა, პირველად შექმნა კომპაქტური კულტურული ასპარეზი, ხოლო ამ ასპარეზზე პირველად წარმოიშვა სისტემა უმთავრესად ნაციონალური სახელმწიფოებისა, რომლებიც ერთმანეთზე გავლენას ახდენდნენ და რომლებსაც ერთმანეთი მუქარის ქვეშ ჰყავდათ. ამით მან მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც შემდეგ ეპოქებში შეიძლებოდა ადამიანურ თანასწორობაზე, ადამიანურ უფლებებზე ლაპარაკი ჩამოვარდნილიყო.

ამას გარდა ფეოდალურმა შუა საუკუნეებმა თავის წიაღში შექმნა კლასი, რომელიც მოწოდებული იყო თავის შემდგომ განვითარებაში თანასწორობის თანამედროვე მოთხოვნის მატარებელი გამხდარიყო: ეს იყო ბურჟუაზია. ბურჟუაზია თავდაპირველად თვით ფეოდალური კლასი იყო, მან ფეოდალური საზოგადოების ფარგლებში განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე აიყვანა უმთავრესად ხელოსნური მრეწველობა და პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა, როცა მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს დიდი საზღვაო გზების აღმოჩენამ მას ახალი, უფრო ფართო სარბიელი გაუხსნა. ევროპის გარეშე ვაჭრობა, რომელიც მანამდე მხოლოდ იტალიასა და ლევანტს შორის წარმოებდა, ახლა ამერიკასა და ინდოეთამდე გაფართოვდა და მნიშვნელობის მხრივ მალე აჯობა როგორც ცალკე ევროპული ქვეყნების გაცვლა-გამოცვლას ურთიერთ შორის, ისე თვითეული ცალკე ქვეყნის შინაგან გაცვლას. ამერიკის ოქრომ და ვერცხლმა წალეკა ევროპა და დამშლელი ელემენტის სახით შეიჭრა ფეოდალური საზოგადოების ყველა ნახვრეტსა, ნაპრალებსა და სვრეტებში. ხელოსნური წარმოება ვეღარ აკმაყოფილებდა მზარდ მოთხოვნას; დაწინაურებული ქვეყნების ხელმძღვანელ სამრეწველო დარგებში იგი მანუფაქტურამ შეცვალა.

მაგრამ საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების პირობების ამ უზარმაზარ გადატრიალებას მაშინვე როდი მოჰყვა შესაფერი ცვლილება მის პოლიტიკურ სტრუქტურაში. სახელმწიფოებრივი წესწყობილება ფეოდალური დარჩა, მაშინ როცა საზოგადოება უფრო და უფრო ბურჟუაზიული ხდებოდა. ვაჭრობის წარმოება ფართო მასშტაბით, მაშასადამე, განსაკუთრებით საერთაშორისო ვაჭრობა და კიდევ უფრო მსოფლიო ვაჭრობა მოითხოვს თავისუფალ, თავის მოძრაობაში შეუბოჭველ საქონლის მფლობელებს, რომლებიც როგორც ასეთნი თანასწორუფლებიანნი არიან და ურთიერთ შორის გაცვლას აწარმოებენ ამ, მათთვის თანასწორი ყველა უფლების საფუძველზე,— ყოველ შემთხვევაში თვითეულ ცალკე ადგილას მაინც.

ხელოსნობიდან მანუფაქტურაზე გადასვლის წინასწარ პირობას წარმოადგენს განსაზღვრული რიცხვის თავისუფალი მუშების არსებობა, თავისუფალის, ერთი მხრივ, ამქრული ბორკილებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებებისაგან, რომლითაც მათ შეეძლოთ თავიანთი სამუშაო ძალა დამოუკიდებლად გამოეყენებინათ; ამ მუშებს შეუძლიათ ხელშეკრულება დადონ ფაბრიკანტებთან თავიანთი სამუშაო ძალის გაქირავების შესახებ და, მაშასადამე, მათ უპირდაპირდებიან როგორც თანასწორუფლებიანი ხელშეკრულების დამდები მხარე. და, ბოლოს, ყოველი ადამიანური შრომის თანასწორობამ და თანაბარმა მნიშვნელობამ, რადგან და რამდენადაც იგი საზოგადოდ ადამიანური შრომაა, თავისი შეუგნებელი და უძლიერესი გამოხატულება ჰპოვა თანამედროვე ბურჟუაზიული, პოლიტიკური ეკონომიის ღირებულების კანონში, რომლის მიხედვით ამა თუ იმ საქონლის ღირებულება გაიზომება მასში მოქცეული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომით [1]. — მაგრამ სადაც ეკონომიური ურთიერთობანი თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას მოითხოვდა, პოლიტიკური წესწყობილება მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამქრულ ბორკილებსა და განსაკუთრებულ პრივილეგიებს უპირდაპირებდა. ადგილობრივი უპირატესი უფლებანი, დიფერენციული ბაჟები, ყოველგვარი საგანგებო კანონები ვაჭრობაში ხშირად აზიანებდა არა მარტო უცხოელებსა და კოლონიების მცხოვრებლებს, არამედ სახელმწიფოს საკუთარ ქვეშევრდომთა მთელ კატეგორიებსაც; ამქრული პრივილეგიები ყველგან და ყოველთვის გზას უღობავდა მანუფაქტურის განვითარებას. არსად არ იყო სარბიელი თავისუფალი, ხოლო შანსები თანასწორი არ იყო ბურჟუაზიული მოქიშპეებისათვის—ამავე დროს კი ეს უპირველესი და ყველაზე საჭირო მოთხოვნილება იყო.

როგორც კი საზოგადოების ეკონომიურმა წინსვლამ დღის წესრიგში დასვა მოთხოვნილება ფეოდალური ბორკილებიდან განთავისუფლებისა და უფლებრივი თანასწორობის დაწესებისა ფეოდალურ უთანასწორობათა მოსპობის გზით, ამ მოთხოვნილებას მალე უფრო დიდი ფარგლები უნდა მიეღო. თუმცა იგი წამოყენებული იყო მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესების სახელით, მაგრამ იგივე სწორუფლებიანობა უნდა მოეთხოვათ გლეხთა დიდი მასისათვის, რომელიც დამონების ყველა საფეხურზე იმყოფე-

[1] ეს გამოყვანა თანასწორობის თანამედროვე წარმოდგენებისა ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიური პირობებიდან თავდაპირველად მარქსმა გადმოსცა «კაპიტალში». [ენგელსის შენიშვნა].

ბოდა, თვით სრულ ყმურ დამოკიდებულებამდე, იძულებული იყო თავისი სამუშაო დროის უდიდესი ნაწილი ყოვლადმოწყალე ფეოდალი ბატონისთვის მიეცა მუქთად და ამას გარდა ურიცხვი ღალა უნდა გაეღო მის და სახელმწიფოს სასარგებლოდ. მეორე მხრივ, შეუძლებელი იყო არ წარმოშობილიყო მოთხოვნილება, რომ მოსპობილიყო ფეოდალური უპირატესობანი, თავადაზნაურობის თავისუფლება გადასახადებისაგან და ცალკე წოდებათა პოლიტიკური პრივილეგიები. მაგრამ რადგან ეს ხდებოდა არა მსოფლიო იმპერიაში, როგორიც რომის იმპერია იყო, არამედ ისეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოების სისტემაში, რომელნიც დაახლოებით ბურჟუაზიული განვითარების ერთ დონეზე იდგნენ და ერთმანეთთან ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ როგორც თანაბარს თანაბართან, თავისთავად გასაგებია, რომ თანასწორობის მოთხოვნამ საყოველთაო, ცალკე სახელმწიფოს საზღვრების გადამლახავი ხასიათი მიიღო, რომ თავისუფლება და თანასწორობა ადამიანურ უფლებებად იქნენ გამოცხადებული. ამ ადამიანურ უფლებათა სპეციფიკურ ბურჟუაზიულ ხასიათს მოწმობს ის გარემოება, რომ ამერიკული კონსტიტუცია, პირველი კონსტიტუცია, რომელმაც ადამიანური უფლებები აღიარა, ამავე დროს ადასტურებს ამერიკაში არსებულ ფერადკანიანების მონობას: კლასობრივი უპირატესობანი დაჰგმეს, რასობრივი — აკურთხეს.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიას იმ წუთიდან, როცა იგი ფეოდალური მოქალაქეობიდან იჩეკება და შუა საუკუნეების წოდებიდან თანამედროვე კლასად იქცევა, მუდამ და აუცილებლად მისი ჩრდილი, პროლეტარიატი თან დასდევს ფეხდაფეხ. სწორედ ასევე თანასწორობის ბურჟუაზიულ მოთხოვნილებებს თან სდევს თანასწორობის პროლეტარული მოთხოვნილებანი. იმ წუთიდან, როცა დასმულ იქნა ბურჟუაზიული მოთხოვნა კლასობრივი პრივილეგიების მოსპობისა, მის გვერდით ისმება პროლეტარული მოთხოვნა თვით კლასების მოსპობისა — თავდაპირველად რელიგიურ ფორმაში, პირველყოფილ ქრისტიანობასთან დაკავშირებით, შემდეგ თანასწორობის თვით ბურჟუაზიულ თეორიებზე დაყრდნობით. პროლეტარები კრიჭაში უდგებიან ბურჟუაზიას: თანასწორობა უნდა იყოს არა მარტო მოჩვენებითი, ის უნდა ხორციელდებოდეს არა მარტო სახელმწიფოს ასპარეზზე, არამედ იგი ნამდვილიც უნდა იყოს, აგრეთვე საზოგადოებრივ, ეკონომიურ ასპარეზზეც უნდა გატარდესო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ბურჟუაზიამ დიდი რევოლუციის ეპოქიდან ბურჟუაზიული თანასწო-

რობა პირველ რიგში დასვა, საფრანგეთის პროლეტარიატმა დარტყმაზე დარტყმით უპასუხა და სოციალური, ეკონომიური თანასწორობა მოითხოვა: ამ დღიდან თანასწორობა სპეციალურად საფრანგეთის პროლეტარიატის ბრძოლის ლოზუნგად იქცა.

ამრიგად, თანასწორობის მოთხოვნას პროლეტარიატის ენაზე ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ან იგი (და ეს ხდება ხოლმე, განსაკუთრებით მისი ჩასახვის, მაგ., გლეხთა ომის დროს) ბუნებრივ სტიქიურ რეაქციას წარმოადგენს აღმაშფოთებელი სოციალური უთანასწორობისა, მდიდრებისა და ღარიბების, ბატონებისა და ყმების, ღორმუცელებისა და დამშეულების კონტრასტის წინააღმდეგ; როგორც ასეთი იგი რევოლუციური ინსტინქტის უბრალო გამოხატულებაა და მასში და მხოლოდ მასში პოულობს თავის გამართლებას. ან კიდევ თანასწორობის პროლეტარული მოთხოვნა წარმოსდგა რეაქციიდან თანასწროობის ბურჟუაზიული მოთხოვნის წინააღმდეგ, მეტად თუ ნაკლებად სწორი, შორსმიმავალი მოთხოვნები გამოჰყავს იქიდან და საგიტაციო საშუალების როლს ასრულებს, რათა მუშები კაპიტალისტების წინააღმდეგ ააჯანყოს თვით კაპიტალისტებისვე არგუმენტებით, და ამ შემთხვევაში ამ მოთხოვნის ბედიღბალი განუყრელად დაკავშირებულია თვით ბურჟუაზიული თანასწორობის ბედიღბალთან. ორივე შემთხვევაში თანასწორობის პროლეტარული მოთხოვნის ნამდვილ შინაარსს კ ლ ა ს თ ა მ ო ს პ ო ბ ი ს მოთხოვნა წარმოადგენს. თანასწორობის ყოველი მოთხოვნა, რომელიც ამაზე შორს მიდის, აუცილებლად უაზრობაში გადადის. ჩვენ უკვე წარმოვადგინეთ ამის მაგალითები და კიდევ პევრს შევხვდებით, როცა ბატონი დიურინგის მომავლის ფანტაზიებს მივადგებით.

ამრიგად, თანასწორობის წარმოდგენა, როგორც თავის ბურჟუაზიულ, ისე თავის პროლეტარულ ფორმაში, ისტორიული განვითარების პროდუქტია, რომლის წარმოსაშობად განსაზღვრული ისტორიული პირობები იყო საჭირო, რაც თავის მხრივ ხანგრძლივ წინასწარ ისტორიულ განვითარებას გულისხმობს. მაშასადამე, თანასწორობის ასეთი წარმოდგენა ყველაფერია, მხოლოდ არა მარადიული ჭეშმარიტება. და თუ იგი დღეს ფართო საზოგადოებისათვის, ამა თუ იმ აზრით, თავისთავად საგულისხმიერო რამეს წარმოადგენს, თუ მას, როგორც მარქსი ამბობს, «უკვე ხალხში გამჯდარი ცრურწმენის სიმტკიცე გააჩნია», ეს ამ წარმოდგენის აქსიომატური ჭეშმარიტების შედეგი კი არ არის, არამედ იმის შედეგია, რომ მეთვრამეტე საუკუნის იდეები საყოველთაოდ გავრცელდა და დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას. მაშასადამე, თუ ბატონ დიურინგს შეუძ-

ლია თავისი ყბადაღებული ორი მამაკაცი უცერემონიოდ თანასწორობის ასპარეზზე ამოქმედოს, ეს იმით აიხსნება, რომ ხალხის ცრუმორწმუნეობას ეს სრულიად ბუნებრივად ეჩვენება. და მართლაც, ბატონი დიურინგი თავის ფილოსოფიას იმიტომ უწოდებს ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ს, რომ იგი გამოდის მხოლოდ ისეთი დებულებებიდან, რომლებიც მას სრულიად ბუნებრივად ეჩვენება. მაგრამ რად ეჩვენება ისინი მას ბუნებრივად, ამას, რასაკვირველია, ის არც კითხულობს.

XI

ᲛᲝᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ

«პოლიტიკური და იურიდიული დარგისთვის ამ კურსში გამოთქმულ პრინციპებს საფუძვლად ს ა გ ნ ი ს გ ა ღ რ მ ა ვ ე ბ უ ლ ი ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი შ ე ს წ ა ვ ლ ა უძევს, ამიტომ... იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ აქ... ლაპარაკია იურისპრუდენციის და სახელმწიფოთმცოდნეობის შ ე დ ე გ ე ბ ი ს თანმიმდევარ გადმოცემაზე. ჩემი თავდაპირველი სპეციალობა სწორედ იურისპრუდენცია იყო, მას შევწირე არა მარტო ჩვეულებრივი სამი წელიწადი საუნივერსიტეტო თეორიული მომზადებისა, არამედ კიდევ სამი წლის განმავლობაში სასამართლოში პრაქტიკულად მუშაობის დროს განვაგრძე ეს შესწავლა, ისე რომ ჩემი მეცადინეობა მიმართული იყო განსაკუთრებით მისი მეცნიერული შინაარსის გ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ი ს ა კ ე ნ... სწორედ ასევე კერძო-უფლებრივ დამოკიდებულებათა და შესატყვის იურიდიულ შეუსაბამობათა კრიტიკა, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ი ს ე თ ი დ ა ჯ ე რ ე ბ ი თ ვერ გამოვიდოდა, თუ დარწმუნებული არ ვყოფილიყავი, რომ ერთნაირად კარგად ვ ი ც ნ ო ბ ამ სპეციალობის ყველა სუსტსა და ძლიერ მხარეებს».

ადამიანმა, რომელსაც საბუთი აქვს ასე ილაპარაკოს თავის თავზე, იმთავითვე რწმენა უნდა ჩაგვაგონოს, განსაკუთრებით თუ მას შევადარებთ «ბატონ მარქსს, რომელმაც, მისი აღიარების თანახმად, ოდესღაც ზერელედ შეისწავლა იურიდიული მეცნიერებანი». ამიტომ არ შეიძლება არ გაგვაკვირვოს, რომ ასეთი თვითრწმენით გამოსული კრიტიკა კერძოუფლებრივი ურთიერთობისა განისაზღვრება მხოლოდ სიტყვებით იმის შესახებ, რომ «იურისპრუდენციის მეცნიერულობა შორს არ წასულა», რომ დადებითი სამოქალაქო სამართალი უსამართლობაა, იმიტომ რომ სანქციას აძლევს ძალმომრე-

ობით შეძენილ საკუთრებას და რომ სისხლის სამართლის «ბუნებრივ საფუძველს» შ ე ურ ი ს ძ ი ე ბ ა წარმოადგენსო; ამ მტკიცებაში ახალია მხოლოდ «ბუნებრივი საფუძველის» მისტიკური სამოსელი. სახელმწიფოთმცოდნეობის შედეგები განისაზღვრება ჩვენთვის უკვე ცნობილი სამი ადამიანის მოლაპარაკებით, რომელთაგან ერთი მაინც კიდევ ახდენს ძალმომრეობას დანარჩენებზე; ამავე დროს ბატონი დიურინგი უაღრესად სერიოზულად იკვლევს საკითხს, ამ სამი პირიდან რომელმა შემოიღო თავდაპირველად ძალმომრეობა და მონობა — მეორემ თუ მესამემ.

მაგრამ გავყვეთ შემდეგ ჩვენი თვითდაჯერებული იურისტის ღრმად ჩამწვდომ სპეციალურ მუშაობას და სამი წლის სასამართლოს პრაქტიკით გაღრმავებულ მეცნიერულობას.

ლასალის შესახებ ბატონი დიურინგი მოგვითხრობს, მას ბრალად ედებოდა «ფულის ყუთის მოპარვის ც დ ი ს შ თ ა გ ო ნ ე ბ ა», «მაგრამ სასამართლოს განაჩენი არ გამოუტანია, იმიტომ რომ ადგილი ჰქონდა ი მ დ რ ო ს კ ი დ ე ვ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ეგრეთწოდებულ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო დ ა ნ ბ რ ა ლ დ ებ ი ს დ ა უ მ ტ კ ი ც ე ბ ლ ო ბ ი ს გ ა მ ო ი ნ ს ტ ა ნ ც ი ი ს მ ი ე რ... ა მ ნ ა ხ ე ვ ა რ გ ა მ ა რ თ ლ ებ ა ს».

ლასალის პროცესი, რომლის შესახებაც აქ საუბარია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 1848 წ. ზაფხულს გაარჩია კელნში, სადაც, როგორც მთელ რაინის პროვინციაში, ფრანგული სისხლის სამართალი მოქმედებდა. მხოლოდ პოლიტიკური შეცდომისა და დანაშაულისთვის, გამონაკლისის სახით, პრუსიის საერობო სამართალი იყო შემოღებული, მაგრამ ეს გამონაკლისის სახით შემოღებული ღონისძიება 1848 წლის აპრილში კ ა მ პ ჰ ა უ ზ ე ნ მ ა ხელახლა გააუქმა. ფრანგული სამართალი სრულიად არ იცნობს პრუსიული საერობო სამართლის უთავბოლო კატეგორიას — «დანაშაულის წაქეზებას», მით უმეტეს «დანაშაულის ცდის შთაგონებას». იგი იცნობს მხოლოდ დანაშაულის წ ა ქ ე ზ ე ბ ა ს, რომელიც ისჯება, როცა «საჩუქრების, აღთქმის, მუქარის, გავლენის, თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან ძალმომრეობის გამოყენებით, თვალთმაქცური შეგულიანებით ან დანაშაულებრივი ოინებით ხდება» (Code pénal, art. 60[1]). პრუსიის საერობო სამართალში ჩაღრმავებულმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ბატონი დიურინგის მსგავსად, არსებითი განსხვავება ვერ შეამჩნია ნათლად გამო-

[1] სისხლის სამართლის კოდექსი. რ ე დ.

კვეთილი ფრანგული კანონმდებლობის დებულებებსა და საერობო სამართლის ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას შორის, ტენდენციური სასამართლო პროცესი გაუმართა ლასალს და ბრწყინვალედ ჩაიფუშა. იმიტომ რომ იმის მტკიცება, თითქოს ფრანგული სისხლის სამართლის პროცესი პრუსიის საერობო სასამართლოს მსგავსად იცნობდეს «გამართლებას» ინსტანციის მიერ «ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო», ამ ნახევარ გამართლებას, მხოლოდ ისეთ კაცს შეუძლია გაბედულად, ვინც სრულიად უვიცია თანამედროვე ფრანგული სამართლის დარგში; ეს სამართალი სისხლის სამართლის პროცესში აღიარებს მხოლოდ დასჯას ან გამართლებას, და არავითარ საშუალო რამეს მათ შორის.

ამგვარად, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ბატონი დიურინგი უეჭველად ასეთი თვითრწმენით ლასალს ვერ მიუყენებდა «მაღალი სტილის ისტორიოგრაფიას», თუ კი ოდესმე ხელში Code Napoléon[1] სჭერია. მაშასადამე, ჩვენ უნდა დავადასტუროთ, რომ ბატონი დიურინგი სრულიად არ იცნობს ერთადერთ თანამედროვე სამოქალაქო კანონთა წიგნს, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის სოციალურ მონაპოვართა ნიადაგზე დგას და მათ იურიდიულ ენაზე თარგმნის, სახელდობრ, თანამედროვე ფრანგულ სამართალს.

მეორე ადგილას, როცა ბ. დიურინგი აკრიტიკებს მთელ კონტინენტზე საფრანგეთის წაბაძულობით შემოღებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, რომელსაც განაჩენი ხმების უმრავლესობით გამოაქვს, შემდეგ დარიგებას გვაძლევს: «ჰო, შეიძლება შეევეთვისოთ კიდევაც იმ, ისტორიულად არც თუ ზოგიერთ მაგალითმოკლებულ აზრს, რომ სრულყოფილ საზოგადოებაში შეუძლებელ ინსტიტუტს უნდა წარმოადგენდეს სასჯელის განჩინება ხმების გაყოფის დროს.... მაგრამ ეს სერიოზული და ღრმა იდეური გაგების სახე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუფერებლად უნდა გვეჩვენოს ტრადიციული ფორმებისათვის, იმიტომ რომ იგი მეტისმეტად კარგია მათთვის».

ბატონ დიურინგს არ ცოდნია არც ის ამბავი, რომ ინგლისური საერთო ადათური სამართლის, ე. ი. დაუწერელი ადათის სამართლის მიხედვით, რომელიც ძალაშია უხსოვარი დროიდან, ყოველ შემთხვევაში, მეთოთხმეტე საუკუნიდან, აუცილებლად სა-

[1] ნაპოლეონის კოდექსი — ნაპოლეონის მიერ შექმნილი კანონთა კრებული საფრანგეთის რევოლუციის Code civil-იდან (სამოქალაქო კოდექსი). რედ.

ჭიროა ნაფიც მსაჯულთა ერთხმოვანობა არა მარტო სისხლის სამართლის განაჩენის გამოტანის დროს, არამედ სამოქალაქო პროცესში გადაწყვეტილებათა გამოტანის დროსაც. სერიოზულსა და ღრმა იდეური გაგების ,სახეს, რომელიც დიურინგის შეხედულებით მეტისმეტად კარგია თანამედროვე ქვეყნიერებისთვის, ინგლისში კანონის ძალა ჰქონდა უკვე შაგბნელი შუა საუკუნეების ხანაში, ხოლო ინგლისიდან ირლანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისის ყველა კოლონიაში გადავიდა; ამასთანავე ბატონ დიურინგს კი იურისპრუდენციის ზედმიწევით სპეციალურმა შესწავლამ ამის შესახებ ვერაფერი ვერ ჩააგონა! მაშასადამე, ნაფიცთა ერთხმოვანების მოქმედების სფერო არა მარტო უსაზღვროდ უფრო დიდია, ვიდრე ის ერთი ნამცეცი კუთხე, სადაც პრუსიის საერობო სამართალი მოქმედებს, არამედ იგი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ყველა მხარე ერთად აღებული, სადაც ნაფიც მსაჯულებს განაჩენი ხმის უმრავლესობით გამოაქვთ. ბატონი დიურინგი არა თუ სრულიად არ იცნობს ერთადერთ თანამედროვე სამართალს, ფრანგულ სამართალს, იგი ასეთივე უმეცრებას იჩენს ერთადერთი გერმანული სამართლის მიმართაც, რომელიც დღემდე რომაული ავტორიტეტის დამოუკიდებლად განაგრძობს განვითარებას და მთელი მსოფლიოს ყველა ნაწილში გავრცელდა,— სახელდობრ, იგი არ იცნობს ინგლისურ სამართალს. და რატომ არ იცნობს? იურიდიული აზროვნების ინგლისური სტილი, ამბობს ბატონი დიურინგი, «სულერთია, უსუსური აღმოჩნდებოდა გერმანულ ნიადაგზე შექმნილი სკოლის პირისპირ, რომელიც კლასიკური რომაელი იურისტების წმინდა ცნებების ,სულისკვეთებით არის ჩამოყალიბებული»; და შემდეგ იგი ამბობს: «რას წარმოადგენს ინგლისურად მოლაპარაკე მსოფლიო თავისი ბალღური არეული ენით ჩვენს ბუნებრივად აღმოცენებულ თვითმყოფ ენობრივ წყობასთან შედარებით?». — ამაზე ჩვენ შეგვიძლია სპინოზას სიტყვებით ვუპასუხოთ: ignorantia non est argumentum — უმეცრება საბუთი არ არის.

ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ბატონი დიურინგის გაღრმავებული სპეციალური შესწავლა იმაში მდგომარეობდა, რომ სამი წელიწადი თეორიულად ჩაღრმავებული იყო Corpus Juris-ში [1], ხოლო შემდეგი სამი წელიწადი პრაქტიკულად კეთილშობილი პრუსიული საერობო სამართლის

[1] — VI საუკუნის რომის იმპერიის კანონთა ფართო კრებული. რ ე დ.

შესწავლაში. ასეთი განსწავლულობა, რასაკვირველია, თავისთავად უკვე დამსახურებას წარმოადგენს და საკმარისიც იქნებოდა რომელიმე ფრიად პატივცემული ძველი პრუსიელი ოლქის მოსამართლისა ან ადვოკატისთვის. მაგრამ როცა ადამიანი იწყებს სამართლის ფილოსოფიის შეთხზვას ყველა ქვეყნისა და ეპოქისათვის, მან ცოტა მეტი რამ უნდა იცოდეს ისეთი ერების უფლებრივ ურთიერთობათა შესახებ, როგორიც არიან ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, — ერები, რომლებმაც ისტორიაში სულ სხვანაირი როლი შეასრულეს, ვიდრე გერმანიის იმ კუთხემ, სადაც პრუსიული საერობო სამართალი ჰყვავის. მაგრამ გავყვეთ კიდევ ქვევით.

«ადგილობრივი, პროვინციული და საერობო სამართლის ჭრელი ნარევი, რომელიც ძალიან თვითნებურად უსხვადასხვანაირესი მიმართულებითაა გადახლართული ხან როგორც საადათო სამართალი, ხან როგორც დაწერილი კანონი, ისე რომ ხშირად უმნიშვნელოვანესი საქმეები წმინდა სტატუტარულ ფორმაშია გახვეული, — უწესრიგობისა და წინააღმდეგობის ეს სანიმუშო კოლექცია, რომელშიც ხან კერძო ახშობს ზოგადს, ხან კი შემთხვევისდა კვალად ზოგადი კერძოს, ჭეშმარიტად გამოსადეგი არაა იმისათვის, რომ ვინმეს სამართლის ნათელი შეგნება... შეუქმნას». — მაგრამ სადაა გაბატონებული ეს არეულ-დარეული მდგომარეობა? იმავე პრუსიული საერობო სამართლის მოქმედების სფეროში, სადაც ამ საერობო სამართლის გვერდით, მის მაღლა და მის ქვევით ძალასა და გავლენას ინარჩუნებენ უსხვადასხვანაირესი ხარისხით პროვინციული სამართალნი და ადგილობრივი სტატუტები, აქაიქ აგრეთვე საადათო სამართალიც და სხვა აბდაუბდა, რაც პრაქტიკოს იურისტებში იწვევს იმ სასოწარკვეთილების .ყვირილს, რომელსაც ბატონი დიურინგი ასეთი თანაგრძნობით იმეორებს. მას სრულიადაც არ ჭირდება თავისი საყვარელი პრუსიის დატოვება, საკმაოა მხოლოდ რაინისკენ გაისეირნოს, რათა დარწმუნდეს, რომ იქ უკვე სამოცდაათი წელიწადია ხსენება აღარაა ყოველივე ამის შესახებ; სხვა განათლებულ ქვეყნებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, იქ დიდი ხანია გაუქმებულია ასეთი მოძველებული წესები.

შემდეგ: «ნაკლებ მკვეთრ ფორმაში ბუნებრივი პირადი პასუხისმგებლობა იფარება იმ კოლეგიებისა და სხვა ბიუროკრატიული დაწესებულებების საიდუმლო და ამიტომ ანონიმური კოლექტიური გადაწყვეტილებებითა და კოლექტიური მოქმედებებით, რომელნიც ჩქმალავენ ყოველი წევრის პირად მონაწილეობას». მეორე ადგილას იგი ამბობს: «ჩვენს დღევანდელ მდგომარე-

ობაში გასაოცარ და უკიდურესად მკაცრ მოთხოვნად მოეჩვენებათ, თუ ვინმე კატეგორიულად გამოთქვამდა აზრს, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა არ იფარებოდეს და არ იჩქმალებოდეს კოლეგიების მიერო». — შეიძლება ბატონ დიურინგს გასაოცრად ეჩვენოს, თუ ჩვენ ვაცნობებთ, რომ ინგლისური სამართლის დარგში მსაჯულთა კოლეგიის ყოველმა წევრმა თავისი აზრი ღია საჯარო სხდომაზე ცალკე უნდა გამოთქვას და დაასაბუთოს; რომ ადმინისტრაციული კოლეგია, რომელიც არ აირჩევა, არც საჯაროდ მსჯელობს და არც საჯაროდ აძლევს ხმას, უმთავრესად პრუსიული დაწესებულებაა და უცნობია სხვა ქვეყნების უმრავლესობაში; ამიტომ მისი მოთხოვნა მხოლოდ პრუსიაში შეიძლება გასაოცრად და უკიდურესად მკაცრად ეჩვენოთ.

აგრეთვე ბატონი დიურინგის ჩივილი რელიგიის მსახურთა ძალდატანებით ჩარევაზე დაბადების, ქორწინების, სიკვდილის და დასაფლავების შემთხვევებში მთელი მისი ცერემონიებით ყველა დიდი განათლებული ქვეყნებიდან მხოლოდ პრუსიას ეხება, ხოლო სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის შემოღების შემდეგ მასაც კი აღარა. რაც ბატონ დიურინგს სურს «სოციალიტარული» მომავალი მდგომარეობით განახორციელოს, ამასობაში თვით ბისმარკმაც კი მოასწრო უკვე მისი გაკეთება უბრალო კანონის შემწეობით.— აგრეთვე «ჩივილში იმის გამო, რომ იურისტები საკმაოდ მომზადებული არ არიან თავიანთი პროფესიისთვის», ჩივილში, რომელიც შეიძლება «ადმინისტრაციის მოხელეებზეც» გავრცელდეს, ასეთივე სპეციფიკური პრუსიული იერემიას გოდება მოისმის; და თვით სასაცილოდ გადაპარბებული ებრაელთა სიძულვილი, რასაც ბატონი დიურინგი ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ამჟღავნებს, თუ სპეციფიკურად პრუსიული არა, სპეციფიკურად ოსტელბური თვისებაა. იგივე სინამდვილის ფილოსოფოსი, რომელიც ყოველგვარ წინასწარ აკვიატებულ რწმენასა და ცრუმორწმუნეობას სუვერენული ათვალისწუნებით უცქერის, თვითონ იმდენად შეპყრობილია პირადი ახირებულობითა და ჟინიანობით, რომ შუა საუკუნეების ფარისევლობიდან მემკვიდრეობით გადმოცემულ ხალხურ ცრუმორწმუნეობას ებრაელების წინააღმდეგ «ბუნებრივ საფუძვლებზე» დამყარებულ «ბუნებრივ მსჯელობას» უწოდებს, და იმ უკიდურესობამდეც კი მივიდა, რომ გაბედა ეთქვა: «სოციალიზმი ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია შეებრძოლოს მოსახლეობის მდგომარეობათ ძლიერი ებრაული შენარევით» (მდგომარეობათ ძლიერი ებრაული შენარევით! — რა ჭეშმარიტად ხალხური, წმინდა ბუნებრივი ენაა!).

კმარა! ამ ტრაბახობას, ესაო და იურიდიულად განსწავლული კაცი ვარო, უკეთეს შემთხვევაში, სარჩულად უდევს მეტად ჩვეულებრივი შუათანა პროფესიული ცოდნა მეტად ჩვეულებრივი ძველი პრუსიელი იურისტისა. იმ იურისპრუდენციის და სახელმწიფოთამცოდნეობის სფერო, რომლის შედეგებს ბატონი დიურინგი თანმიმდევრულად გადმოსცემს, «თანაემთხვევა» პრუსიული საერობო სამართლის მოქმედების სფეროს. გარდა რომაული სამართლისა, რომელსაც დღეს თვით ინგლისშიაც კი ყოველი იურისტი იცნობს, მისი იურიდიული ცოდნა ამოიწურება მხოლოდ და მხოლოდ პრუსიული საერობო სამართლით, ამ განათლებული პატრიარქალური დესპოტიზმის კოდექსით, რომელიც ისეთი გერმანული ენითაა დაწერილი, თითქოს ბატონ დიურინგს იქ გაევლოს სკოლა, და რომელიც თავისი მორალური შენიშვნებით, იურიდიული გაურკვეველობითა და მერყეობით, თავისი წვალებისა და სასჯელის ღონისძიებებით, როგორიცაა გაჯოხვა, სავსებით რევოლუციის წინა პერიოდს ეკუთვნის. რაც ამას სცილდება, იგი ბატონ დიურინგს ეშმაკეულად მიაჩნია, — ასეთია მისი აზრით როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული ფრანგული სამართალი, ისე ინგლისური სამართალი თავისი სრულიად თავისებური განვითარებითა და მთელს კონტინენტზე უცნობი პირადი თავისუფლების უზრუნველყოფით. ფილოსოფიას, რომელიც «არავითარ უბრალო მ ო ჩ ვ ე ნ ებ ი თ ჰორიზონტს არ ცნობს, არამედ თავის მძლავრ ყოველის დამამხობელ მოძრაობაში გარეგანი და შინაგანი ბუნების ყველა ზესკნელსა და ქვესკნელს გაშლის», თავის ნ ა მ დ ვ ი ლ ჰორიზონტად აქვს ძველი აღმოსავლეთ პრუსიის ექვსი პროვინციის საზღვრები და კიდევ ორიოდე მიწის ნაფლეთი, სადაც კეთილშობილი საერობო სამართალი მოქმედებს; ამ ჰორიზონტს იქით მას არც ქვესკნელი გადაუშლია და არც ზესკნელი, არც გარეგანი ბუნება და არც შინაგანი, არამედ მხოლოდ უტლანქესი უმეცრების სურათი მოგვცა იმის შესახებ, რაც დანარჩენ ქვეყანაში ხდება.

შეუძლებელია მორალსა და სამართალზე ვიმსჯელოთ ისე, რომ არ მივადგეთ ეგრეთწოდებული თავისუფალი ნების, ადამიანის შერაცხადობის, აუცილებლობისა და თავისუფლების ურთიერთობის საკითხს. სინამდვილის ფილოსოფიას ამ საკითხის ერთი კი არა, მთელი ორი გადაწყვეტა აქვს.

«თავისუფლების ყველა ყალბი თეორიის ადგილას უნდა დაისვას იმ ურთიერთობის ცდის გზით დადგენილი თვისება, რომლის მიხედვით, ერთი მხრივ, რაციონალური გაგება, ხოლო, მეორე მხრივ,

ინსტინქტური მიდრეკილებანი თითქოს საშუალო ტოლქმედ ძალაში ერთდებიან. ამ სახის დინამიკის ძირითადი ფაქტები დაკვირვებიდან უნდა ამოვიღოთ და, რამდენადაც ეს დასაშვებია, განსაზღვრულია საზოგადოდ ხარისხისა და სიდიდის მხრივ, რათა მათს საფუძველზე წინასწარ გავზომოთ მოვლენა, რომელიც ჯერ კიდევ არ მომხდარა. ამის წყალობით არა თუ ძირფესვიანად მოისპობა უაზრო ფანტაზიები შინაგან თავისუფლებაზე, რასაც ათასწლობით ლეჭავდნენ და რითაც ათასწლობით იკვებებოდნენ, არამედ მათ ადგილს დაიჭერს დადებითი რამ, რაც გამოსადეგია ცხოვრების პრაქტიკულად მოსაწყობად». — ამისდა მიხედვით თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ რაციონალური გაგება ადამიანს მარჯვნივ ეწევა, ირრაციონალური მისწრაფებები მარცხნივ, და ამ ძალთა პარალელოგრამში ნამდვილი მოძრაობა დიაგონალის მიმართულებით ხდება. მაშასადამე, თავისუფლება წარმოადგენს საშუალოს გაგებასა და მიდრეკილებას, გონებასა და უგუნურებას შორის, და თავისუფლების ხარისხი ყოველ ცალკე პიროვნებაში გამოცდილების მიხედვით უნდა დავადგინოთ «პიროვნული განტოლების» შემწეობით, ასტრონომიული გამოთქმა რომ ვიხმაროთ. მაგრამ რამდენიმე გვერდის შემდეგ ავტორი ამბობს: «მორალურ პასუხისმგებლობას თავისუფლებაზე ვამყარებთ, რომელიც ჩვენთვის ნიშნავს მხოლოდ შეგნებული მოტივების ათვისებას ბუნებრივი და შეძენილი გონების შესაბამად. ყველა ასეთი მოტივი გარდაუვალი ბუნებრივი კანონზომიერებით მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აღვიქვამთ წინააღმდეგობრივ მოქმედებათა შესაძლებლობას, მაგრამ ჩვენ სწორედ ამ გარდაუვალ იძულებას ვუწევთ ანგარიშს, როცა მორალურ ბერკეტს ვამოქმედებთ».

თავისუფლების ეს მეორე განსაზღვრა, რომელიც სრულიად უცერემონიოდ აბათილებს პირველს, აგრეთვე ჰეგელის შეხედულების უკიდურეს ვულგარიზაციას წარმოადგენს მხოლოდ. ჰეგელი პირველი იყო, ვინც სწორად გადმოსცა თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობა. მისი აზრით თავისუფლება აუცილებლობის შეგნებაა. «აუცილებლობა ბრმაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არაა შეგნებული». თავისუფლება მდგომარეობს არა ოცნებით წარმოდგენილ დამოუკიდებლობაში ბუნების კანონებისაგან, არამედ ამ კანონების შემეცნებაში და ამით მოცემულ შესაძლებლობაში, რათა ბუნების კანონები ვაიძულოთ გეგმიანად მოქმედებდნენ გარკვეული მიზნებისთვის. ეს ითქმის როგორც გარეგანი ბუ-

ნების კანონებზე, აგრეთვე ისეთ კანონებზეც, რომლებიც თვით ადამიანის სხეულებრივ და სულიერ არსებობას აწესრიგებენ, — ესაა კანონთა ორი კლასი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია, უკეთეს შემთხვევაში, წარმოდგენაში გავთიშოთ, მაგრამ არა სინამდვილეში. ამიტომ ნების თავისუფლება ნიშნავს მხოლოდ საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარს. მაშასადამე, რაც უფრო თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა ამა თუ იმ ადამიანის მსჯელობა განსაზღვრული საკითხის მიმართ, მით მეტი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი თ განისაზღვრება ამ მსჯელობის შინაარსი; მაშინ როდესაც უცოდინარობაზე დაყრდნობილი დაურწმუნებლობა, რომელიც თითქოს თვითნებურ არჩევანს ახდენს მრავალ სხვადასხვა და ერთიმეორის საწინააღმდეგო შესაძლებელ გადაწყვეტილებას შორის, ამით სწორედ თავის არათავისუფლებას ამტკიცებს, თავის დამორჩილებას იმ საგნისადმი, რომელიც სწორედ მას უნდა დაემორჩილებინა. მაშასადამე, თავისუფლება მდგომარეობს ბუნებრივ აუცილებლობათა (Naturnotwendigkeiten) შემეცნებაზე დაყრდნობილ ბატონობაში თვით ჩვენ თავზე და გარეგან ბუნებაზე; ამიტომ იგი აუცილებლად ისტორიული განვითარების პროდუქტს წარმოადგენს. ცხოველთა სამეფოდან გამოყოფილი პირველი ადამიანები ყოველივე არსებითში ისევე არათავისუფალი იყვნენ, როგორც თვით ცხოველები; მაგრამ ყოველი ნაბიჯი წინ კულტურის გზაზე იყო ნაბიჯი თავისუფლებისაკენ. კაცობრიობის ისტორიის ზღურბლზე დგას მექანიკური მოძრაობის სითბოდ გარდაქმნის აღმოჩენა: ესაა ცეცხლის მიღება ხახუნის შემწეობით; დღემდე განვლილი განვითარების დასასრულს დგას აღმოჩენა სითბოს მექანიკურ მოძრაობად გარდაქმნის შესახებ: ესაა ორთქლის მანქანა. — მაგრამ მიუხედავად იმ უზარმაზარი გამათავისუფლებელი გადატრიალებისა, რომელსაც ორთქლის მანქანა ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში (ეს გარდაქმნა ჯერ კიდევ სანახევროდაც არაა დასრულებული), მაინც უცილობელია, რომ ხახუნით მიღებული ცეცხლი მას ჯერ კიდევ ჭარბობს თავისი მსოფლიო-ისტორიული, კაცობრიობის გამათავისუფლებელი მოქმედებით; იმიტომ რომ ხახუნის შემწეობით მიღებულმა ცეცხლმა ადამიანს პირველად მისცა ბატონობა გარკვეულ ბუნებრივ ძალაზე და ამით საბოლოოდ გამოთიშა ადამიანი ცხოველთა სამეფოს. ორთქლის მანქანა ვერასოდეს ვერ გამოიწვევს ასეთ ძლიერ ნახტომს კაცობრიობის განვითარებაში, თუმცა იგი ყველა იმ, მასთან დაკავშირებული უზარმაზარი საწარმოო ძალების წარმომადგენელია, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელია ისეთი

საზოგადოებრივი წყობილების შექმნა, სადაც არ იარსებებენ არავითარი კლასობრივი განსხვავებანი, არავითარი ზრუნვა ინდივიდუალური არსებობის საშუალებებისთვის და სადაც პირველად გახდება შესაძლებელი ვილაპარაკოთ ნამდვილ ადამიანურ თავისუფლებაზე, არსებობაზე შეცნობილ ბუნებრივ კანონებთან შეთანხმებით. მაგრამ თუ რა ახალგაზრდაა ჯერ კიდევ მთელი კაცობრიობის ისტორია, თუ რა სასაცილო იქნებოდა, რომ ჩვენი ახლანდელი შეხედულებებისათვის რაიმე აბსოლუტური მნიშვნელობა მიგვეწერა, ჩანს იმ უბრალო ფაქტიდან, რომ მთელი ადრინდელი ისტორია შეიძლება განვიხილოთ როგორც ისტორია პერიოდისა, რომელიც მექანიკური მოძრაობის სითბოდ გარდაქმნის პრაქტიკულად აღმოჩენით იწყება და სითბოს მექანიკურ მოძრაობად გარდაქმნის აღმოჩენით თავდება.

ბატონი დიურინგი, რასაკვირველია, სხვანაირად განიხილავს ისტორიას. საზოგადოდ, იგი, როგორც შეცდომების, უმეცრებისა და სიტლანქის, ძალმომრეობისა და მონობის ისტორია, დასაგმობ საგანს წარმოადგენს სინამდვილის ფილოსოფიისათვის; მაგრამ კერძოდ იგი ორ დიდ ნაწილად იყოფა, სახელდობრ: 1) მატერიის თავის თავისადმი თანაბარი მდგომარეობიდან საფრანგეთის რევოლუციამდე, და 2) საფრანგეთის რევოლუციიდან ბატონ დიურინგამდე; ამავე დროს XIX საუკუნე «არსებითად ჯერ კიდევ რეაქციული რჩება, სულიერად იგი კიდევ უფრო რეაქციულია (!), ვიდრე XVIII საუკუნე», თუმცა იგი თავის წიაღში სოციალიზმს ატარებს და, მაშასადამე, «უფრო უზარმაზარი გარდაქმნის ჩანასახსაც, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციის წინამორბედებს და გმირებს ჰქონდათ მოფიქრებული (!)». სინამდვილის ფილოსოფიის ზიზღი მთელი ადრინდელი ისტორიისადმი შემდეგნაირად მართლდება: «რამდენიმე ათას წელიწადს, რომლის შესახებ წარსულის ისტორიული მოგონება შეგვრჩა პირვანდელი წერილობითი ძეგლების შემწეობით, მათ მიერვე დღემდე შექმნილი კაცობრიობის წესწყობილებითურთ დ ი დ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა რ ა ქ ვ ს, თუ მომავალი ათასეული წლების მთელ რიგს წარმოვიდგენთ... ადამიანის მოდგმა როგორც მთელი ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდაა, და თუ ოდესმე მეცნიერული რეტროსპექცია ათიათასი წლობით დაიწყებს ანგარიშს ათასი წლების მაგიერ, ჩვენი დაწესებულებების სულიერ უმწიფარობასა და ბავშვურ მდგომარეობას თავისთავად გასაგები წანამძღვრის უდავო მნიშვნელობა ექნება ჩვენი დროის მიმართ, რომელსაც მაშინ უძველეს ხანად ჩათვლიან».

ჩვენ დიდხანს აღარ შევჩერდებით უკანასკნელი წინადადების მართლაც «თვითმყოფ ენობრივ წყობაზე» და მხოლოდ ორ რამეს შევნიშნავთ: ერთი, რომ ეს «უძველესი ხანა» ყველა გარემოებაში დიდად საინტერესო ისტორიულ ეპოქად დარჩება ყველა მომავალი თაობისათვის, იმიტომ რომ იგი საფუძველს წარმოადგენს მთელი შემდგომი მაღალი განვითარებისათვის, იმიტომ რომ მისი გამოსავალი წერტილია ადამიანის გამოთიშვა ცხოველთა სამეფოდან, ხოლო მისი შინაარსია ისეთი სიძნელეების გადალახვა, რომელიც არასოდეს არ შეხვდება მომავალ ასოცირებულ ადამიანებს. მეორე, ყოველ შემთხვევაში მეტისმეტად უცნაურია ამ უძველესი ხანის დასასრული, რომელთან შედარებით სიძნელეებისაგან და დაბრკოლებებისაგან განთავისუფლებული მომავალი ისტორიული პერიოდები სულ სხვა უბადლო მეცნიერულ, ტექნიკურ და საზოგადოებრივ წარმატებას აღგვითქვამენ, კაცმა ისეთ მომენტად აირჩიოს, რომ მომავალ ათას წლებს უკარნახოს უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანი, უცვლელი ჭეშმარიტებანი და საფუძვლიანი კონცეფციები, აღმოჩენილი ჩვენი ესოდენ «ჩამორჩენილი» და «რეტროგრადული» საუკუნის სულიერად მოუმწიფებელი ბავშვური მდგომარეობის საფუძველზე. მართლაც ადამიანი რიხარდ ვაგნერი უნდა იყოს ფილოსოფიაში, — მაგრამ ვაგნერის ნიჭს მოკლებული, — რათა ვერ შეამჩნიოს, რომ ყველა ეს დამამცირებელი შენიშვნა, რომელსაც წარსულ ისტორიულ განვითარებას აყრის თავს, ბღალავს მის ვითომდა უკანასკნელ შედეგსაც, ეგრეთწოდებულ სინამდვილის ფილოსოფიასაც.

ახალი, საფუძვლიანი მეცნიერების ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიმუშს წარმოადგენს განყოფილება სიცოცხლის ინდივიდუალიზაციასა და ღირებულების ამაღლებაზე. აქ მთელი სამი თავის მანძილზე მისნური სიბრძნე შეუწყვეტლად გადმოჩუხჩუხებს. ჩვენ, სამწუხაროდ, ორიოდე პატარა ნიმუშით უნდა დავკმაყოფილდეთ.

«ყოველი შეგრძნების და, მაშასადამე, აგრეთვე სიცოცხლის ყოველი სუბიექტური ფორმების უღრმესი არსება მდგომარეობათა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ზ ე არის დაყრდნობილი... მაგრამ ს რ უ ლ ი (!) ცხოვრებისთვის შეიძლება, ბევრიც რომ არ ვილაპარაკოთ (!), დავამტკიცოთ, რომ სიცოცხლის გრძნობა ძლიერდება და გადამწყვეტი გაღიზიანებანი ვითარდებიან არა უძრავი მდგომარეობიდან, არამედ ცხოვრების ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის შემწეობით... არსებობის შესაგრძნობად დიდი მნიშვნელობა როდ-

აქვს დაახლოებით თავის თავისადმი თანაბარ, ასე ვთქვათ, ინერციაში შეჩერებულ და ამასთანავე ერთსა და იმავე წონასწორობაში მყოფ მდგომარეობას, როგორიც უნდა იყოს იგი... შეჩვევა და, ასე ვთქვათ, შეთვისება მას სრულიად ინდიფერენტულ და განურჩეველ რამედ აქცევს, რაც მაინც და მაინც არც კი განსხვავდება სიკვდილისაგან. უკიდურეს შემთხვევაში ამას ზედ ერთვის კიდევ, როგორც ცხოვრების ერთგვარი უარყოფითი გამოვლენა, ტანჯვა მოწყენილობის გამო... დამყაყებულ ცხოვრებაში ცალკე პირებისა და ხალხებისათვის ჰქრება ყოველი ვნება და ყოველი ინტერესი არსებობისადმი. სხვაობის ჩვენი კანონი კი ადვილად ხსნის ყველა ამ მოვლენას».

პირდაპირ დაუჯერებელია, როგორ სწრაფად ამზადებს ბატონი დიურინგი თავის საფუძვლიანად თავისებურ შედეგებს. ვერც კი მოასწრო სინამდვილის ფილოსოფიის ენაზე გადაეთარგმნა ის ტრივიალური აზრი, რომ ერთი და იმავე ნერვის ხანგრძლივი გაღიზიანება ან ერთი და იმავე გაღიზიანების განგრძობა ღლის ყოველ ნერვსა და ყოველ ნერვულ სისტემასო, რომ, მაშასადამე, ნორმალურ მდგომარეობაში საჭიროა ნერვული გაღიზიანების შეჩერება და შეცვლაო (რაც უკვე კარგა ხანია ყოველი ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოში შეიძლება წაიკითხოთ და ყოველმა ფილისტერმა იცის საკუთარი გამოცდილებით), ვერც კი მოასწრო მისტიკურ ფორმაში გაეხვია ეს ძველისძველი ტრივიალური აზრი, რომ «ყოველი შეგრძნების უღრმესი არსი მდგომარეობათა განსხვავებაზეა დაფუძნებულიო», რომ იგი უკვე «სხვაობის ჩვენს კანონად» იქცა. და სხვაობის ეს კანონი «სავსებით ,ხსნის» მოვლენათა მთელ რიგს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შეგრძნებათა ცვლილების სიამოვნების ილუსტრაციასა და მაგალითს, — რაც სრულიად არ საჭიროებს ახსნას თვით ყველაზე ორდინარული ფილისტერის გონებისთვისაც კი და სხვაობის ამ ვითომდა კანონის დამოწმებით ერთი ნამცეცითაც უფრო ნათელი არ ხდება.

მაგრამ ამით სრულიადაც ამოწურული არაა «სხვაობის ჩვენი კანონის» საფუძვლიანობა: «ცხოვრების ასაკთა ცვლა და მასთან დაკავშირებული ცვლილება ცხოვრების პირობებში კარგ ხელშესახებ ნიმუშს იძლევა სხვაობის ჩვენი პრინციპის დასასურათებლად. ბავშვი, ბიჭი, ჭაბუკი და მამაკაცი თავიანთი სიცოცხლის გრძნობის ძალას მოცემულ მომენტში განიცდიან იმდენად არა უკვე ფიქსაციაქმნილ მდგომარეობათა შემწეობით, რომლებშიც ისი-

ნი იმყოფებიან, რამდენადაც ერთი მდგომარეობიდან მეორეში გარდამავალი ეპოქების შემწეობით». მაგრამ ეს კიდევ არ კმარა: «სხვაობის ჩ ვ ე ნ ს კანონს შეუძლია კიდევ უფრო შორეული გამოყენება მოიპოვოს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ უკვე გამოცდილის ან გაკეთებულის განმეორება არაფერს წარმოადგენს მიმზიდველს». ახლა უკვე თვით მკითხველს შეუძლია აზრით მიუმატოს ის მისნური აბდაუბდა, რომლისთვისაც გამოსავალ წერტილს წარმოადგენს ზემოთ მოყვანილ დებულებათა მსგავსი ღრმა და საფუძვლიანი დებულებანი; და, რა თქმა უნდა, ბატონ დიურინგს უფლება აქვს თავისი წიგნის ბოლოს გამარჯვებულივით წამოიძახოს: «ცხოვრების ღირებულების დაფასებისა და ზევით აწევისთვის სხვაობის კანონი გადამწყვეტ მნიშვნელობას მოიპოვებდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით!». იგივე ითქმის ბატონ დიურინგის მიერ მისივე მკითხველი საზოგადოების დაფასებაზე: ის, ალბათ, ფიქრობს, ეს საზოგადოება ნამდვილი ვირებისა და ფილისტერებისაგან შედგებაო.

ამას მოსდევს შემდეგი მეტად პრაქტიკული წესები ცხოვრებისა: «საშუალება, რომლის შემწეობითაც შეიძლება ცხოვლად შევინარჩუნოთ საერთო ინტერესი ცხოვრებისადმი (მშვენიერი ამოცანაა ფილისტერებისათვის და იმათთვის, ვისაც სურს ფილისტერები გახდნენ!), «იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეულ, ა ს ე ვ თ ქ ვ ა თ, ელემენტარულ ინტერესებს, რომელთაგანაც მთელი შედგება, ნება მივცეთ განვითარდნენ და ერთიმეორე შეცვალონ დროის ბუნებრივი ზომების მიხედვით. ამავე დროს იმავე მდგომარეობისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სკალა, რომლის შემწეობით დაბალი და ადვილად დასაკმაყოფილებელი გაღიზიანებანი უფრო მაღალი და გამძლე გაღიზიანებებით შეიცვლებიან, რათა თავიდან ავიშოროთ სრულიად არასაინტერესო ხარვეზები. გარდა ამისა, უნდა გავურბოდეთ იმას, რომ ბუნებრივად ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ მსვლელობაში სხვაგვარად წარმოშობილი დაძაბვანი არ დაგროვდნენ თვითნებურად, ზედმეტად არ აჩქარდნენ ან, რაც საპირისპირო უკუღმართობას წარმოადგენს, არ დაკმაყოფილდნენ პირველ სუსტ გაღიზიანებისთანავე და ხელი არ შეუშალონ სიამოვნების უნარის მქონე მოთხოვნილების განვითარებას. ბუნებრივი რიტმის შენარჩუნება აქ, ისევე როგორც სხვაგან, ჰარმონიული და სასიამოვნო მოძრაობის წინასწარ პირობას წარმოადგენს. აგრეთვე არ უნდა დავსვათ გადაუჭრელი ამოცანა და რაიმე მდგომარეობით შექმნილ გაღიზიანებათა განგრძობა

მოვისურვოთ მისთვის ბუნების ან პირობების მიერ მიზომილი ვადის იქით» და სხვ. თუ რომელიმე დოყლაპია «ცხოვრებაში გამოცდის» დროს სახელმძღვანელოდ მიიღებს ამ უგემურ ბანალობაში ჩაფლული და ჭკუას ძალდატანებული პედანტობის დღესასწაულებრივ ფილისტერულ მისნობას, აღარ იჩიენებს «სრულიად არასაინტერესო ხარვეზების გამო». იგი მთელ თავის დროს სიამოვნების რეგულარულ მომზადებასა და მოწესრიგებას მოახმარს, ისე რომ თვით დატკბობისთვის ერთი თავისუფალი წუთიც კი აღარ დარჩება.

ჩვენ ცხოვრება უნდა გამოვცადოთ, მთელი ცხოვრება. მხოლოდ ორ რამეს გვიკრძალავს ბატონი დიურინგი: ერთია «ბინძური გატაცება თუთუნით», ხოლო მეორეა სასმელი და საკვები, რომელთაც «უსიამოვნოდ გამაღიზიანებელი ან საზოგადოდ სათუთი შეგრძნებისთვის ცუდი თვისებები აქვთ». მაგრამ რადგან ბატონი დიურინგი თავის «ეკონომიკის კურსში» დითირამბებს უმღეროდა არაყის გამოხდას, უეჭველია ამ სასმელთ შორის იგი არაყს არ გულისხმობს; მაშასადამე, იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ მისი აკრძალვა მხოლოდ ღვინოსა და ლუდს ეხება. დაე მან ხორციც აკრძალოს და მაშინ სინამდვილის მისი ფილოსოფია იმ სიმაღლეზე იქნება აყვანილი, სადაც ერთ დროს განსვენებული გუსტავ სტრუვე[1] მოღვაწეობდა წარმატებით — სახელდობრ ნამდვილი ბავშვობის სიმაღლეზე.

ესეცაა, რომ სპირტის სასმელების მიმართ ბატონ დიურინგს შეეძლო მეტი ლიბერალობა გამოეჩინა. ადამიანს, რომელსაც მისივე აღსარების მიხედვით ჯერ კიდევ ხიდი ვერ უპოვია სტატიკურიდან დინამიკურისაკენ, ყოველგვარი საბუთი აქვს შეიწყნაროს ბედშავი ლოთი-შფოთი, რომელიც მეტად ღრმად ჩასცქერის თავის ჭიქას და ამიტომ ასევე ამაოდ ეძებს ხიდს დინამიკურიდან სტატიკურისაკენ.

XII

დიალექტიკა. რაოდენობა და თვისებრიობა

«უპირველესი და უმნიშვნელოვანესი დებულება არსის ძირითადი ლოგიკური თვისებების შესახებ ეხება წინააღმდეგობის გამორიცხვას. წინააღმდეგობრივი ისეთი კატეგორიაა, რომელიც

[1] გუსტავ სტრუვე (1805—1870) — წვრილბურჟუაზიული დემოკრატი, ვეგეტარიანიზმის თავგამოდებული პროპაგანდისტი. რ ე დ.

შეიძლება მხოლოდ აზრთა კომბინაციას ეკუთვნოდეს, მაგრამ სინამდვილეს კი არა. საგნებში არაა არავითარი წინააღმდეგობა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალურად აღიარებული წინააღმდეგობა უაზრობის მწვერვალს წარმოადგენს... იმ ძალთა ანტაგონიზმი, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულებით, ყოველი მოქმედების ძირითად ფორმას წარმოადგენს სამყაროს და მისი არსებების მყოფობაში. მაგრამ ელემენტების და ინდივიდების ძალთა მიმართულებების ეს ბრძოლა სრულიადაც არ თანაემთხვევა წინააღმდეგობის აბსურდობის აზრს... ჩვენ აქ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ იმით, რომ რეალური წინააღმდეგობის ნამდვილი აბსურდობის ნათლად გამოაშკარავებით გავფანტეთ ბურუსი, რომელსაც ჩვეულებრივ ლოგიკის მოჩვენებითი საიდუმლოებანი ჰქმნიან და დავამტკიცეთ იმ გუნდრუკის უსარგებლობა, რომელსაც ხან აქ და ხან იქ უხვად უკმევდნენ ანტაგონისტურ მსოფლიო სქემატიკის მაგიერ შემოპარებული წინააღმდეგობის დიალექტიკის ტლანქად გამოჭრილ ხის ტიკინას». — ესაა თითქმის ყველაფერი, რაც «ფილოსოფიის კურსშია» ნათქვამი დიალექტიკის შესახებ. პირიქით, «კრიტიკულ ისტორიაში» წინააღმდეგობის დიალექტიკას და მასთან ერთად განსაკუთრებით ჰეგელს ავტორი სულ სხვანაირად უსწორდება. «წინააღმდეგობრიობა, სახელდობრ, ჰეგელის ლოგიკის ანუ, უკეთ, ლოგოსის მოძღვრების მიხედვით არსებობს არა მარტო აზროვნებაში, რომელიც თავისი ბუნებით უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სუბიექტური და შეგნებული, არამედ იგი ობიექტურად და ასე ვთქვათ ხორციელად მოიპოვება თვით საგნებსა და პროცესებში, ისე რომ უაზრობა წარმოადგენს არა აზრის შეუძლებელ კომბინაციას, არამედ ფაქტიურ ძალად იქცევა. აბსურდის სინამდვილე პირველი მუხლია ჰეგელის ლოგიკის და არალოგიკის ერთიანობის სარწმუნოების სიმბოლოსი... რაც მეტია წინააღმდეგობა, მით უფრო ჭეშმარიტია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო აბსურდულია, მით უფრო სარწმუნოაო: ეს კანონი, რომელიც ახლად აღმოჩენილიც კი არაა, არამედ წარმოადგენს გამოცხადების ღვთისმეტყველებიდან და მისტიკიდან ნასესხებ მაქსიმას, ეგრეთწოდებული დიალექტიკური პრინციპის შიშველი გამოხატულებაა».

ორივე ზემომოყვანილი ადგილის აზრობრივი შინაარსი შეიძლება გამოვხატოთ იმ დებულებით, რომ წინააღმდეგობა = უაზრობას და ამიტომ შეუძლებელია იგი ნამდვილ ქვეყნიერებაში არსებობდეს. სხვა მხრივ საკმაოდ ჯანსაღი გონების მქონე ადამიანებს

ეს დებულება ისევე თავისთავად საგულისხმიეროდ ეჩვენებათ, როგორც ის დებულება, რომ წრფე შეუძლებელია მრუდი იყოს, ხოლო მრუდი — წრფე. მაგრამ, ჯანსაღი ადამიანური გონების ყოველი პროტესტის მიუხედავად, დიფერენციული აღრიცხვა განსაზღვრულ პირობებში ათანაბრებს წრფესა და მრუდს და ამით აღწევს ისეთ წარმატებებს, რომელთაც ვერასოდეს ვერ მიაღწევდა ჯანსაღი ადამიანური გონება, რომელიც გაჯიქდებოდა წრფისა და მრუდის იგივეობის უაზრობაზე. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც ეგრეთწოდებულმა წინააღმდეგობის დიალექტიკამ ფილოსოფიაში შეასრულა უძველესი ბერძნებიდან დაწყებული დღემდე, თვით უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეც, ვიდრე ბატონი დიურინგია, ვალდებული იქნებოდა დიალექტიკის წინააღმდეგ სხვა საბუთებით გამოსულიყო, ვიდრე ერთი ლიტონი მტკიცებითა და მრავალი სალანძღავი სიტყვით.

სანამ ჩვენ საგნებს ისე განვიხილავთ როგორც უძრავსა და უსიცოცხლოს, თვითეულს თავისთავად, ერთიმეორის გვერდითა და ერთიმეორის შემდეგ, მართლაც არავითარ წინააღმდეგობას არ წავაწყდებით მათში. ჩვენ აღმოვაჩენთ განსაზღვრულ თვისებებს, რომლებიც ნაწილობრივ საერთო, ნაწილობრივ განსხვავებულია, კიდევ მეტი, ერთიმეორის საწინააღმდეგოა, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვადასხვა საგნებს შორისაა განაწილებული და, მაშასადამე, თვით არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს. სანამ განხილვის საგანს ეს სფერო წარმოადგენს, ჩვენ შეგვიძლია აზროვნების ჩვეულებრივი მეტაფიზიკური წესით დავკმაყოფილდეთ. მაგრამ სულ სხვაა, როცა ჩვენ საგნებს მათ მოძრაობაში, მათ ცვალებადობაში, მათ ცხოვრებაში, მათ ურთიერთ ზეგავლენაში განვიხილავთ. აქ მაშინვე წინააღმდეგობებს წავაწყდებით. თვით მოძრაობაც წინააღმდეგობაა; თვით მარტივი მექანიკური ადგილგადანაცვლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ისე, რომ სხეული დროის ერთსა და იმავე მომენტში ერთ ადგილზეცაა და იმავე დროს მეორე ადგილზეც, ერთსა და იმავე ადგილზე იმყოფება და არც იმყოფება. და მოძრაობა სწორედ ამ წინააღმდეგობის მუდმივი დადგინება და იმავდროული გადაწყვეტაა.

მაშასადამე, აქ ჩვენ გვაქვს წინააღმდეგობა, რომელიც «თვით საგნებსა და პროცესებში მოიპოვება ობიექტურად და ასე ვთქვათ ხორციელად შეიძლება შეგვხვდეს». და რას ამბობს ამის შესახებ ბატონი დიურინგი? იგი ამტკიცებს, დღემდე, საზოგადოდ «რაციონალურ მექანიკაში არავითარი ხიდი არაა წმინდა სტატიკურსა

და დინამიკურს შორისო». მკითხველი ახლა, ბოლოს, ამჩნევს, რა იმალება ბატონი დიურინგის ამ საყვარელ ფრაზაში; მეტი არაფერი, გარდა შემდეგისა: მეტაფიზიკურად მოაზროვნე გონებას აბსოლუტურად არ შეუძლია უძრაობის აზრიდან მოძრაობის აზრზე გადავიდეს, იმიტომ რომ აქ მას ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა გზას უღობავს. მისთვის მოძრაობა სრულიად გაუგებარია, იმიტომ რომ იგი წინააღმდეგობაა. და რამდენადაც იგი მოძრაობის გაუგებრობას ამტკიცებს, თავისდა უნებურად თვითონვე აღიარებს ამ წინააღმდეგობის არსებობას, მაშასადამე, აღიარებს, რომ წინააღმდეგობა თვით საგნებსა და პროცესებში არსებობს ობიექტურად, რომ ეს წინააღმდეგობა ამასთან ფაქტიურ ძალას წარმოადგენს.

თუ მარტივი მექანიკური მოძრაობა, უბრალო ადგილგადანაცვლება უკვე წინააღმდეგობას შეიცავს, მით უმეტეს ეს ითქმის მატერიის მოძრაობის უფრო მაღალ ფორმებზე და განსაკუთრებით ორგანულ სიცოცხლესა და მის განვითარებაზე. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ სიცოცხლე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის არსება ყოველ წუთს იგივეცაა და მაინც სხვაც. მაშასადამე, სიცოცხლე აგრეთვე თვით საგნებსა და პროცესებში არსებული, თავის თავის მუდამ დამდგენი და გადამწყვეტი წინააღმდეგობაა; და როგორც კი წინააღმდეგობა ისპობა, ისპობა სიცოცხლეც, სიკვდილი იწყება. ასევე ჩვენ დავინახეთ, რომ აზროვნების სფეროშიც ვერ გავექცევით წინააღმდეგობებს და, მაგალითად, წინააღმდეგობა ადამიანური შემეცნების შინაგანად განუსაზღვრელ უნარსა და მის ნამდვილ განხორციელებას შორის მხოლოდ ცალკე, გარეგნულად შეზღუდულ და შეზღუდულად შემცნობ ადამიანებში, იხსნება, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის, პრაქტიკულად, ერთიმეორეს მომდევნო თაობათა დაუსრულებელ რიგში, დაუსრულებელ პროგრესში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ უმაღლესი მათემატიკის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია წინააღმდეგობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთ პირობებში წრფე და მრუდი ერთსა და იმავეს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ უმაღლეს მათემატიკაში თავის განხორციელებას ჰპოვებს აგრეთვე მეორე წინააღმდეგობაც, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხაზები, რომელნიც ჩვენ თვალწინ იკვეთებიან, მაინც ხუთი-ექვსი სანტიმეტრის მანძილზე მათი გადაკვეთის წერტილიდან პარალელურად ითვლებიან, ე. ი. ისეთ ხაზებად, რომლებიც თვით დაუსრულებელი გაგრძელების დრო-

საც აღარ გადიკვეთებიანო. მიუხედავად ამისა, ასეთი და კიდევ უფრო ძლიერი წინააღმდეგობების შემწეობით უმაღლესი მათემატიკა აღწევს არა მარტო სწორ, არამედ დაბალი მათემატიკისთვის სრულიად მიუღწეველ შედეგებს.

მაგრამ დაბალი მათემატიკაც სავსეა წინააღმდეგობებით. მაგალითად, წინააღმდეგობაა, რომ A-ს ფესვი უნდა იყოს A-ს ხარისხი, მაგრამ ამისდა მიუხედავად $A^{\frac{1}{2}}=\sqrt{A}$. წინააღმდეგობაა ისიც, რომ უარყოფითი სიდიდე უნდა იყოს რაიმე სიდიდის კვადრატი, ვინაიდან ყოველი უარყოფითი სიდიდე თავის თავზე გამრავლებული დადებით კვადრატს იძლევა. ამიტომ მინუს ერთის კვადრატული ფესვი წარმოადგენს არა მარტო წინააღმდეგობას, არამედ აბსურდულ წინააღმდეგობასაც, ნამდვილ უაზრობას. მიუხედავად ამისა, $\sqrt{-1}$ მრავალ შემთხვევაში სწორი მათემატიკური ოპერაციების აუცილებელი შედეგია; კიდევ მეტს ვიტყვით: სად იქნებოდა მათემატიკა, გინდ უმაღლესი მათემატიკა და გინდ დაბალი მათემატიკა, თუ მას აუკრძალავდნენ $\sqrt{-1}$-ით ოპერირებას?

თვით მათემატიკა დიალექტიკის ასპარეზზე გამოდის, როცა ცვლად სიდიდეებზე მუშაობს, და დამახასიათებელია, რომ ეს პროგრესი მასში დიალექტიკურმა ფილოსოფოსმა დეკარტმა შეიტანა. რა დამოკიდებულებაც აქვს ცვლად სიდიდეთა მათემატიკას მუდმივ სიდიდეთა მათემატიკასთან, იმავე დამოკიდებულებაშია დიალექტიკური აზროვნება მეტაფიზიკური აზროვნებისადმი. მაგრამ ეს იმას ხელს არ უშლის, რომ მრავალი მათემატიკოსი დიალექტიკას მხოლოდ მათემატიკის დარგში ცნობს და მათ შორის ბევრი მოიპოვება ისეთი, რომელიც დიალექტიკური გზით მოპოვებული მეთოდებით მთლად ძველებური, შეზღუდული, მეტაფიზიკური წესით მუშაობს.

ბატონი დიურინგის ძალთა ანტაგონიზმის და მისი ანტაგონისტური სამყაროს სქემატიკის დაწვრილებით გარჩევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, მას რომ ამ თემაზე ჩვენთვის ცოტა რაიმე მოეცა, გარდა უბრალო ფ რ ა ზ ე ბ ი ს ა. მაგრამ ამავე დროს, მას შემდეგ, რაც ეს ფრაზა შეთხზა, ბატონი დიურინგი ერთხელაც არ გვიჩვენებს ამ ანტაგონიზმს არც სამყაროს სქემატიკაში და არც ნატურფილოსოფიაში როგორც მოქმედ ძალას, და ეს საუკეთესო აღიარებაა იმისა, რომ ბატონ დიურინგს აბსოლუტურად არ ძალუძს დადებითად გამოიყენოს ეს თავისი «ძირი-

თადი ფორმა ყოველი მოქმედებისა სამყაროს და მის არსებათა ყოფიერებაში». მართლაც, თუ ჰეგელის «მოძღვრება არსების შესახებ» დაქვეითებულია ბანალურ აზრამდე, რომ ძალები წინააღმდეგობაში კი არ მოძრაობენ, არამედ ერთიმეორის დაპირისპირებული მიმართულებითო, რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა სრულიად მოერიდებოდით ამ გაცვეთილი აზრის გამოყენებას.

შემდგომ საბაბს თავისი ანტიდიალექტიკური გულისწყრომის გადმოსანთხევად ბატონ დიურინგს მარქსის «კაპიტალი» აძლევს. «ბუნებრივი და გასაგები ლოგიკის უქონლობა, რითაც დიალექტიკურად დახლართული ქამანდები და წარმოდგენათა არაბესკები განირჩევიან... წიგნის უკვე გამოქვეყნებული ნაწილისადმი ის პრინციპი უნდა გამოვიყენოთ, რომ გარკვეული თვალსაზრისით და აგრეთვე საზოგადოდ (!) ცნობილი ფილოსოფიური ცრუმორწმუნეობის მიხედვით ყველაფერი თვითეულში და თვითეული ყველაფერში უნდა ვეძებოთ, და რომ ამ არეული და უკუღმართი წარმოდგენის შედეგად ბოლოს ყოველივე ერთია». ცნობილი ფილოსოფიური ცრუმორწმუნეობის ეს მისი გაგება ბატონ დიურინგს ნებას აძლევს დარწმუნებით იწინასწარმეტყველოს, რა «ბოლო» მოელის მარქსის ეკონომიურ სიბრძნისმეტყველებას, მაშასადამე, როგორი იქნება «კაპიტალის» მომდევნო ტომების შინაარსი; და ეს ხდება სწორედ შვიდი სტრიქონის ქვემოთ მას შემდეგ, რაც მან განაცხადა, რომ «მართლაც შეუძლებელია გამოცნობა, კერძოდ რა უნდა მოჰყვეს კიდევ, ადამიანური და გერმანული ენით რომ ითქვას, ორ შემდგომ ტომშიო».

მაგრამ ეს პირველად არაა, რომ ბ-ნ დიურინგის თხზულებანი ისეთ «საგანთა» რიცხვში გვევლინებიან, რომლებშიც «წინაალმდეგობრივი ობიექტურად არსებობს და, ასე ვთქვათ, ხორციელად შეიძლება აღმოვაჩინოთ». მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის ძლევამოსილივით განაგრძოს: «მაგრამ ჯანსაღი ლოგიკა, იმედია, გაიმარჯვებს თავის კარიკატურაზე... ქედმაღლობა და დიალექტიკური საიდუმლო აბდაუბდა არავის არ შეაცდენს, ვისაც კი ცოტაოდენი ჯანსაღი მსჯელობის უნარი შერჩენია, ამ უფორმო აზრებსა და სტილში ჩაეფლოს. დიალექტიკური სისულელეების უკანასკნელი ნაშთების გადაშენებასთან ერთად, ეს მოტყუების უკანასკნელი საშუალება დაჰკარგავს... თავის მაცდუნებელ გავლენას და არავინ აღარ დაიჯერებს, უნდა ვიტანჯო, რათა უღრმესი სიბრძნე მოვძებნო იქ, საიდაც დახლართულ საგანთა ჩენჩოსაგან განთავისუფლებული მარცვალი საუკეთესო შემთხვევაში ჩვეულებრივი თე-

ორიების ან კიდევ ტრივიალური აზრების ნიშნებს ამეღავნებს... სრულიად შეუძლებელია (მარქსის) აზრთა ხლართები ლოგოსის მოძღვრების მიხედვით გადმოვცეთ, ისე რომ საღი ლოგიკის პროსტიტუცია არ მოხდეს». დიურინგის მიხედვით, მარქსის მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ «დიალექტიკური სასწაული მოახდინოს მისი მართლმორწმუნეებისათვის» და ა. შ.

ჩვენ აქ ჯერ კიდევ სრულიადაც არა გვაქვს საქმე მარქსის კვლევაძიების ეკონომიური შედეგების სისწორესა ან არა სისწორესთან, არამედ მხოლოდ მარქსის მიერ გამოყენებულ დიალექტიკურ მეთოდთან. მაგრამ ერთი რამ უცილობელია: «კაპიტალის» მკითხველების უმრავლესობა მხოლოდ ახლა გაიგებს ბატონი დიურინგისაგან, რა წაიკითხეს მათ არსებითად. და მათ შორის იქნება თვით ბატონი დიურინგიც, რომელსაც 1867 წელს (Ergänzungsblätter III, Heft 3[1]) ჯერ კიდევ შეეძლო — თავისი ზომის მოაზროვნის შესაფერად — შედარებით რაციონალურად გადმოეცა მარქსის წიგნის შინაარსი, ისე რომ იძულებული არ გამხდარიყო მარქსის აზრთა მსვლელობა-განვითარება ჯერ დიურინგის ენაზე გადაეთარგმნა, რასაც ახლა იგი აუცილებლად აცხადებს. თუ მან უკვე მაშინ შეცდომა ჩაიდინა და მარქსის დიალექტიკა ჰეგელის დიალექტიკასთან გააიგივა, მაინც ჯერ კიდევ უნარი არ დაჰკარგვოდა თვით მეთოდი გაერჩია მისი შემწეობით მიღწეული შედეგებისაგან, და გაეგო, რომ ზოგადი ფორმით მეთოდზე თავდასხმა ჯერ კიდევ არ უკუაგდებს შედეგებს მათი კერძო სახით.

ყოველ შემთხვევაში, ყველაზე გასაოცარია ბატონ დიურინგის განცხადება, თითქოს მარქსის თვალსაზრისით «საბოლოოდ ყველაფერი ერთია», რომ, მაშასადამე, მარქსისათვის, მაგ., კაპიტალისტები და დაქირავებული მუშები, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური წარმოების წესი «ყოველივე ერთია», კიდევ მეტი, ბოლოს, თვით მარქსი და ბატონი დიურინგიც «ერთი» არიანო. ასეთი აშკარა სისულელის ასახსნელად უნდა ვიფიქროთ, რომ მარტოოდენ სიტყვა «დიალექტიკა» ბატონ დიურინგს ისე უბნევს გონებას და შეურაცხადობის მდგომარეობაში აგდებს, რომ წარმოდგენათა ერთგვარი არევ-დარევისა და გაუკულმართების წყალობით მას ყველაფერი «ერთიანად» ეჩვენება, რასაც კი იგი აკეთებს და ამბობს.

---

[1] «დამატებითი გვერდები» III, ნაკვეთი 3. რ ე დ.

აქ ჩვენ გვაქვს იმის ნიმუში, რასაც ბატონი დიურინგი უწოდებს «ჩ ე მ ი მაღალი სტილის ისტორიოგრაფიას», ანუ კიდევ «შეჯამებით მეთოდს, რომელიც ანგარიშს უწევს გვარსა და ტიპს და იქამდე არ ქვეითდება, რომ მიკროლოგიურად წერილმანი მხილებით პატივი დასდოს იმ ადამიანებს, რომლებსაც იუმი მეცნიერთა ბრბოს უწოდებდა; მხოლოდ ეს მაღალი და კეთილშობილი სტილის მეთოდი შეესაბამება სრული ჰეშმარიტების ინტერესებსა და ამქრული ბორკილებისაგან თავისუფალი საზოგადოების მიმართ დაკისრებულ ვალდებულებებს». მაღალი სტილის ისტორიოგრაფია და შეჯამებითი ანგარიშის გასწორება გვართან და ტიპთან მართლაც მეტად მოსახერხებელია ბატონი დიურინგისთვის, იმიტომ რომ მას შეუძლია ყველა განსაზღვრული ფაქტი უგულებელჰყოს და არარად მიიჩნიოს როგორც მიკროლოგიური, და დამტკიცების მაგიერ მხოლოდ ზოგადი ფრაზები წამოისროლოს, ამტკიცოს ან უბრალოდ იგრგვინოს... ამასთანავე ამ მეთოდს კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ მოწინააღმდეგეს არავითარ ფაქტიურ დასაყრდენ წერტილს არ აძლევს პოლემიკისათვის, ისე რომ ამ უკანასკნელს თითქმის არავითარი შესაძლებლობა არ რჩება პასუხის გასაცემად, გარდა იმისა, რომ ისევე მაღალი სტილით და შეჯამებულად ამტკიცოს ესა თუ ის დებულება, ზოგადი ფრაზები მოიშველიოს და ბოლოს ბატონ დიურინგს დასჭყიველოს, მოკლედ, როგორც იტყვიან წაჯექ-უკუჯექობა ითამაშოს, რაც ყველას როდი მოსწონს. ამიტომ ჩვენ ბატონ დიურინგს მადლობა უნდა გადავუხადოთ, რომ იგი გამონაკლისის სახით სტოვებს მაღალ და კეთილშობილ სტილს, რათა დასაგმობი მარქსისეული ლოგოსის მოძღვრების ორი ნიმუში მაინც მოგვცეს.

«ვანა კომიკურად არ გამოიყურება, მაგ., ჰეგელის დაბნეული და ბუნდოვანი წარმოდგენის დამოწმება, რომ რაოდენობა თვისებრიობაში გადადის და რომ ავანსი, თუ მან გარკვეულ საზღვარს მიაღწია, მარტო ამ რაოდენობითი ზრდის წყალობით კაპიტალად იქცევა?».

მართლაც, ეს აზრი, ბატონი დიურინგის მიერ ასე «გაწმენდილად» გადმოცემული, საკმაოდ კურიოზულია. მაგრამ ვნახოთ ამიტომ როგორ გამოიყურება იგი მარქსის ორიგინალში. 313 გვერდზე («კაპიტალი», მეორე გამოც.)[1] მარქსს ის დასკვნა გამოჰყავს წინა გამოკვლევიდან მუდმივი და ცვალებადი კაპიტალისა და ზედ-

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 262. რ ე დ.

მეტი ღირებულების შესახებ, რომ «არა ყოველი ფულის ანუ ღირებულების ჯამი შესაძლოა კაპიტალად გადაიქცეს, პირიქით, ამ გადაქცევის წინასწარ პირობას წარმოადგენს ის, რომ ცალკეული ფულის ან საქონლის მფლობელს ფულის ან საცვლელი ღირებულების განსაზღვრული მინიმუმი მოეპოვებოდეს». შემდეგ იგი მაგალითად იღებს, რომ, ვთქვათ, შრომის რომელიმე დარგში მუშა ყოველდღიურად რვა საათს მუშაობს თავისთვის, ე. ი. თავისი შრომის ხელფასის ღირებულების შესაქმნელად, ხოლო შემდეგ ოთხ საათს კაპიტალისტისათვის, ე. ი. ამ უკანასკნელის ჯიბეში ჩასადებელი ზედმეტი ღირებულების შესაქმნელადო. ამ შემთხვევაში ადამიანის განკარგულებაში იმდენი ღირებულების თანხა მაინც უნდა იყოს, რომ მან შეძლოს ორი მუშა აღჭურვოს ნედლი მასალითა, სამუშაო საშუალებებითა და შრომის ხელფასით, რათა ყოველდღიურად ჩაიჯიბოს ზედმეტი ღირებულების ისეთი თანხა, რომ იცხოვროს იმაზე არა ნაკლებ, ვიდრე ერთ-ერთი მისი მუშა ცხოვრობს. მაგრამ რადგან კაპიტალისტური წარმოების მიზანია არა უბრალოდ არსებობის შენარჩუნება, არამედ სიმდიდრის გადიდება, ორი მუშის დამქირავებელი ადამიანი მაინც კაპიტალისტად ვერ ჩაითვლება. მას ოთხჯერ მეტი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ზემოაღნიშნული ღირებულების თანხაა, რათა ორჯერ უკეთ იცხოვროს, ვიდრე ჩვეულებრივი მუშა ცხოვრობს და წარმოებული ზედმეტი ღირებულების ნახევარი ხელახლა კაპიტალად აქციოს. და მხოლოდ ამ და კიდევ უფრო დეტალური მსჯელობის შემდეგ, რომელიც არკვევს და ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ ყოველი მცირედი ღირებულების თანხა არ კმარა კაპიტალად გადასაქცევად, რომ ამ მხრივ განვითარების ყოველ პერიოდს და მრეწველობის ყოველ დარგს თავისი მინიმალური საზღვარი აქვს, მარქსი შენიშნავს: «აქ ისევე, როგორც ბუნებისმეცნიერებაში, დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა ჰეგელის მიერ მის «ლოგიკაში» აღმოჩენილი კანონის სისწორე, რომ წმინდა რაოდენობრივი ცვლილებანი განსაზღვრულ წერტილზე თვისებრივ განსხვავებებში გადადიან» [1].

და ახლა დასტკბით იმ მაღალი და კეთილშობილი სტილით, რომლის შემწეობით ბატონი დიურინგი მარქსს იმის საწინააღმდეგოს მიაწერს, რაც მან ნამდვილად თქვა. მარქსი ამბობს: ის ფაქტი, რომ ღირებულებათა თანხას მხოლოდ მაშინ შეუძლია კაპიტალად იქცეს, როცა იგი გარემოების მიხედვით განსხვავებულ,

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 263 — 264. რ ე დ.

მაგრამ ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას აღწევს, — ეს ფაქტი ამტკიცებს ჰეგელის კანონის სისწორეს. ბატონი დიურინგი კი მარქსს შემდეგს ათქმევინებს: რადგან ჰეგელის კანონის მიხედვით რაოდენობა თვისებრიობად იქცევა, «ამიტომ ავანსი, თუ მან გარკვეულ საზღვარს მიაღწია, კაპიტალი ხდება». მაშასადამე, იგი მარქსს სწორედ საწინააღმდეგო აზრს მიაწერს.

ზემოთ, როცა ბატონი დიურინგი დარვინის ნაწარმოებებს არჩევდა, ჩვენ უკვე გავეცანით ყალბი ციტირების მის ჩვეულებას «სრული ჟეშმარიტების ინტერესებისა» და «ამქრული ბორკილებისაგან განთავისუფლებული საზოგადოების წინაშე დაკისრებული ვალდებულებების» გულისთვის. თანდათან უფრო ირკვევა, რომ ეს სინამდვილის ფილოსოფიის შინაგანი აუცილებლობა ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ეს მეტისმეტად «შეჯამებითი მეთოდია». იმაზე აღარას ვამბობთ, რომ ბატონი დიურინგი მარქსს მიაწერს, თითქოს იგი ყოველ «ავანსად» გაღებულ «თანხაზე» ლაპარაკობდეს, მაშინ როცა აქ საქმე ეხება მხოლოდ ისეთ ავანსს, რომელიც დახარჯული იყო ნედლ მასალაზე, შრომის იარაღებზე და შრომის ხელფასზე; ამრიგად, ბატონი დიურინგი მარქსს წმინდა უაზრობას ათქმევინებს. და ამის შემდეგ მას გამბედაობა შესწევს მის მიერვე შეთითხნილი უაზრობა კომიკურად ჩათვალოს. მსგავსად იმისა, როგორც მან ფანტასტიკური დარვინი შეაკოწიწა, რათა მასზე თავისი ძალა ესინჯა, ისე აქ ფანტასტიკურ მარქსს აკოწიწებს. ეს მართლაც რომ «მაღალი სტილის ისტორიოგრაფიაა»!

ზემოთ, სამყაროს სქემატიკაში, უკვე დავინახეთ, რომ ჰეგელის ამ ზომის ურთიერთობათა კვანძურ ხაზში, სადაც რაოდენობითი ცვლილების განსაზღვრულ წერტილებში უცებ თვისებრივი გარდატეხა ხდება, ბატონ დიურინგს პატარა უბედურება დაატყდა თავს, მან იგი თვით აღიარა და გამოიყენა სისუსტის წუთში. ჩვენ იქ მოვიყვანეთ ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითი, სახელდობრ წყლის აგრეგატული მდგომარეობის ცვლილება: წყალი ატმოსფეროს ნორმალური წნევის დროს 0° C ტემპერატურით თხევადი მდგომარეობიდან მყარ მდგომარეობაში გადადის, ხოლო 100° C დროს — თხევადიდან აირისებურ მდგომარეობაში, მაშასადამე, გარდატეხის ამ ორ წერტილში ტემპერატურის უბრალო რაოდენობითი ცვლილება წყლის მდგომარეობის თვისებრივ ცვლილებას იწვევს.

ამ კანონის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვეძლო კიდევ ასობით ამვარი ფაქტების მოყვანა როგორც ბუნების, ისე ადამიანთა საზოგა-

დოების დარგიდან. ასე, მაგალითად, მარქსის «კაპიტალის» მთელ მეოთხე განყოფილებაში — «შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება»—კოოპერაციის, შრომის დანაწილებისა და მანუფაქტურის, მანქანური წარმოებისა და მსხვილი მრეწველობის დარგიდან განხილულია უამრავი შემთხვევა, სადაც რაოდენობითი ცვლილება საგნების თვისებრიობას ცვლის, ხოლო მათი თვისებრივი ცვლილება მათს რაოდენობას, სადაც, მაშასადამე, ბატონი დიურინგისათვის ესოდენ საძულველი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რაოდენობა თვისებრიობად იქცევა და პირიქით. ასეთია, მაგ., ფაქტი, რომ მრავალ პირთა კოოპერაცია, მრავალ ძალთა შედუღება ერთ საერთო ძალად, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, «ახალი ძალის პოტენციას» ქმნის, რომელიც არსებითად განსხვავდება მისი შემადგენელი ცალკეული ძალების ჯამისაგან.

გარდა ამისა, მარქსმა იმ ადგილას, რომელიც ბატონმა დიურინგმა სრული ჭეშმარიტების ინტერესების სახელით უკუღმა შეატრიალა, შემდეგი შენიშვნა დაუმატა: «თანამედროვე ქიმიაში გამოყენებული, პირველად ლორანისა და ჟერარისაგან მეცნიერულად განვითარებული მოლეკულური თეორია სწორედ ამ კანონს ემყარება» [1]. მაგრამ რა საქმე აქვს დიურინგს ამასთან? მან ხომ იცის, რომ «აზროვნების ბუნებისმეცნიერული წესის უაღრესად თანამედროვე გამანათლებელი ელემენტები სწორედ იქ არ არის, სადაც, როგორც ბატონი მარქსის და მისი მეტოქის ლასალის ნაწერებში, ნახევარმეცნიერებანი და ცოტა არ იყოს ცრუფილოსოფოსობა უბადრუკ საჭურველს წარმოადგენენ სწავლული სახის მისაღებად», მაშინ როდესაც ბატონი დიურინგის აზროვნებას საფუძვლად უძევს «ზუსტი ცოდნის მთავარი ურყევი დებულებები მექანიკასა, ფიზიკასა და ქიმიაში» და ა. შ. თუ რა სახით, ეს უკვე დავინახეთ. ხოლო რათა მესამე პირებმაც შეძლონ საკითხის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღონ, ჩვენ გვსურს მარქსის შენიშვნაში მოყვანილი მაგალითი რამდენადმე უფრო ახლოს განვიხილოთ.

აქ საუბარია სახელდობრ ნახშირბადის ნაერთთა ჰომოლოგიურ რიგებზე, რომელთაგან მრავალი უკვე ცნობილია და რომელთაგანაც თვითეულს თავისი შემადგენლობის საკუთარი ალგებრული ფორმულა აქვს. თუ, მაგალითად, როგორც ქიმიაში ხდება, ნახშირბადის ატომს C-თი გამოვხატავთ, წყალბადის ატომს — H-ით, ჟანგბადის ატომს — O-თი, ხოლო თვითეულ ნაერთში მოთავსებული

[1] «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 264, შენიშვნა 205 ა. რ ე დ.

ნახშირბადის ატომებს n-ით, ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი ამ რიგისთვის მოლეკულური ფორმულები შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

C_nH_{2n+2}—ნორმალური პარაფინების რიგი.
$C_nH_{2n+2}O$—პირველადი ალკოჰოლების რიგი.
$C_nH_{2n}O_2$—ერთფუძიანი ცხიმოვანი სიმჟავეების რიგი.

ავიღოთ მაგალითისათვის ეს უკანასკნელი რიგი და ერთიმეორის მიყოლებით მივიღოთ, რომ $n=1$, $n=2$, $n=3$ და ა. შ., ამ შემთხვევაში შემდეგ შედეგს მივიღებთ (იზომერების გამოკლებით):

CH_2O_2—ჭიანჭველის სიმჟავე—	დუღილის	წერტილი	100°,	დნობის	წერტილი 1°
$C_2H_4O_2$—ძმრის სიმჟავე —	»	»	118°	»	» 17°
$C_3H_6O_2$—პროპიონის სიმჟავე	»	»	140?	»	» —
$C_4H_8O_2$—ერბოს სიმჟავე	»	»	162°	»	» —
$C_5H_{10}O_2$—ვალერიანის სიმჟავე—	»	»	175°	»	» —

და ასე შემდეგ $C_{30}H_{60}O_2$-მდე — მელისინის სიმჟავემდე, რომელიც მხოლოდ 80° დნება და რომელსაც არავითარი დუღილის წერტილი არა აქვს, იმიტომ რომ საზოგადოდ დაუშლელად არ აქროლდება.

აქ, მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ თვისებრივად განსხვავებულ სხეულთა მთელ რიგს; ისინი იქმნებიან ელემენტების უბრალო რაოდენობითი მიმატებით, ისიც ერთი და იმავე პროპორციით. ყველაზე წმინდა სახით ეს მოვლენა თავს იჩენს იქ, სადაც ნაერთის ყველა ელემენტი თავის რაოდენობას ერთი და იმავე პროპორციით იცვლის, ასე, მაგალითად, ნორმალურ პარაფინებში C_nH_{2n+2}, მათ შორის უდაბლესია მეთანი, CH_4, — აირი; ცნობილთაგან უმაღლესია ჰექსადეკანი, $C_{16}H_{34}$ — მაგარი, უფერული კრისტალების შემქმნელი სხეული, რომელიც 21° დნება და მხოლოდ 278° დუღდება. ორივე რიგში ყოველი ახალი წევრი იქმნება იმით, რომ წინამორბედი წევრის მოლეკულურ ფორმულას CH_2— ერთი ატომი ნახშირბადი და ორი ატომი წყალბადი ემატება, და მოლეკულური ფორმულის ´ეს რაოდენობითი ცვლილება ყოველთვის თვისებრივად განსხვავებულ სხეულს ჰქმნის.

მაგრამ ეს რიგები მხოლოდ განსაკუთრებით ხელშესახებ მაგალითს წარმოადგენენ; თითქმის ყველგან ქიმიაში, მაგალითად, აზოტის სხვადასხვა ოქსიდებში, ფოსფორისა ან გოგირდის სხვადასხვა ჟანგბადიან სიმჟავეებში შეიძლება დავინახოთ როგორ «გადადის რაოდენობა თვისებრიობაში» და ეს ჰეგელის ვითომდა არეულ-დარეული ბუნდოვანი წარმოდგენა, ასე ვთქვათ, განხორციელებული გვხვდება საგნებსა და მოვლენებში, ასე რომ არავინ

რჩება არეულ-დარეულად და ბუნდოვნად, გარდა ბატონი დიურინგისა. და თუ მარქსმა ამ მოვლენას პირველმა მიაქცია ყურადღება, ხოლო ბატონმა დიურინგმა ეს მითითება წაიკითხა და შიგ ვერაფერი გაიგო (წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გაუგონარ დანაშაულს, რასაკვირველია, დაუსჯელად არ გაუშვებდა), ეს საკმაოა, რათა ბატონი დიურინგის სახელოვან ნატურფილოსოფიაში ჩაუხედავად გამოვარკვიოთ, ვის აკლია «აზროვნების ბუნებისმეცნიერული წესის უაღრესად თანამედროვე გამანათლებელი ელემენტები», მარქსსა თუ ბატონ დიურინგს, და მათ შორის რომელი არ იცნობს «ქიმიის მთავარ ურყევ დებულებებს».

დასასრულს, ჩვენ გვინდა კიდევ ერთი მოწმე მოვიყვანოთ რაოდენობის თვისებრიობად გადაქცევის დასადასტურებლად, სახელდობრ, ნაპოლეონი. იგი შემდეგნაირად აღწერს ცუდი ცხენოსანი, მაგრამ კარგად დისციპლინირებული ფრანგი კავალერიის ბრძოლას მამელუკებთან, რომელნიც იმ დროს ორთაბრძოლაში უცილობლად საუკეთესო, მაგრამ არადისციპლინირებულ მხედრობას წარმოადგენდნენ: «ორი მამელუკი უცილობლად სჯობდა სამ ფრანგს; 100 მამელუკი 100 ფრანგს უდრიდა; 300 ფრანგი ჩვეულებრივ სჯობდა 300 მამელუკს; ხოლო 1000 ფრანგი ყოველთვის ამარცხებდა 1500 მამელუკს».—სწორედ ისე, როგორც მარქსის აზრით საჭიროა საცვლელი ღირებულების თანხით განსაზღვრული, თუმცა ცვალებადი მინიმალური ოდენობა, რათა შესაძლებელი გახდეს მისი გადაქცევა კაპიტალად, ნაპოლეონის აზრითაც საჭიროა ცხენოსანთა რაზმის მინიმალური ოდენობა, რათა თავი იჩინოს დისციპლინის ძალამ, რომელიც შემჭიდროვებულ წყობასა და გეგმიან მოქმედებაში მდგომარეობს, და აჯობოს ირეგულარული მხედრობის თვით უფრო დიდ მასებს, რომელიც უკეთესი ცხენოსნებისაგან შედგება, უკეთ იბრძვის და, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ მამაცია. მაგრამ რა საბუთია ეს ბატონი დიურინგის თვალში? განა ნაპოლეონი სამარცხვინოდ არ დამარცხდა ევროპის წინააღმდეგ ბრძოლაში? განა მან დამარცხებაზე დამარცხება არ განიცადა? და რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ჰეგელის არეულ-დარეული და ბუნდოვანი წარმოდგენა შეიტანა კავალერიის ტაქტიკაში!

XIII

დიალექტიკა. უარყოფის უარყოფა

«ეს ისტორიული ნარკვევი (კაპიტალის ეგრეთწოდებული პირველადი დაგროვების გენეზისი ინგლისში) შედარებით საუკეთესო

ადგილია მარქსის წიგნში და კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, თუ მეცნიერულ ყავარჯენს გარდა დიალექტიკურ ყავარჯენსაც არ ეყრდნობოდეს. განსაკუთრებით ჰეგელის უარყოფის უარყოფას აქ, უკეთესი და უფრო გარკვეული საშუალების უქონლობის გამო, ბებიაქალის როლის შესრულება უხდება, რომლის შემწეობით მომავალი იბადება წარსულის წიაღიდან. ინდივიდუალური საკუთრების გაუქმება, რომელიც აღნიშნული გზით XVI საუკუნიდან მოხდა, პირველი უარყოფაა. მას მოჰყვება მეორე, რომელიც ხასიათდება როგორც უარყოფის უარყოფა და ამასთანავე როგორც «ინდივიდუალური საკუთრების» აღდგენა, მაგრამ უფრო მაღალ ფორმაში, მიწისა და შრომის საშუალებების საზოგადო მფლობელობის ნიადაგზე. თუ ამ ახალ «ინდივიდუალურ საკუთრებას» ბატონი მარქსი იმავე დროს «საზოგადოებრივ საკუთრებასაც» უწოდებს, ამაში შეღავნდება ჰეგელის უმაღლესი ერთიანობა, რომელშიც წინააღმდეგობა მოიხსნება (aufgehoben) ხოლმე, ე. ი. სიტყვის თამაშის მიხედვით იგი კიდეც უნდა გადალახულ იქნეს და კიდეც შენარჩუნებულ იქნეს... ამისდა მიხედვით ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია ისტორიული სინამდვილის ავტომატურ შედეგს წარმოადგენს მის მატერიალურ გარეგნულ ურთიერთობაში... ძნელი საფიქრებელია, რომ რომელიმე გონიერმა კაცმა ჰეგელის ფანდების საფუძველზე, როგორიცაა უარყოფის უარყოფა, თავისი თავი დაარწმუნებინოს — მიწისა და კაპიტალის საზოგადოებრივი მფლობელობა აუცილებელიაო... ესეცაა, რომ მარქსის წარმოდგენათა ბუნდოვანი სიმახინჯე არავის გააკვირვებს, ვინც იცის, თუ რის გაკეთება შეიძლება ისეთ მეცნიერულ საფუძველზე, როგორიც არის ჰეგელის დიალექტიკა, ანუ უკეთ, რა შეუსაბამობა შეიძლება იქიდან გამოვიდეს. ამ ოინების უცოდინართათვის გარკვევით უნდა შევნიშნოთ, რომ ჰეგელის აზროვნებაში პირველი უარყოფა წარმოადგენს კატეხიზმიდან ნასესხებ ცნებას ცოდვაში შთავარდნისა, ხოლო მეორე — მონანიებისაკენ მიმავალი უზენაესი ერთიანობისა. რასაკვირველია, ფაქტების ლოგიკა ვერ დაემყარება ამ ახირებული ანალოგიის ფოკუსებს, რომელიც სარწმუნოების დარგიდანაა აღებული... ბატონი მარქსი შეუშფოთებლად რჩება თავისი, ერთსა და იმავე დროს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი საკუთრების ბუნდოვან წარმოდგენათა სამყაროში და თავის ადეპტებს უთმობს ამ ღრმაასროვანი დიალექტიკური გამოცანის გადაწყვეტას». ასე ლაპარაკობს ბატონი დიურინგი.

მაშასადამე, გამოდის, რომ მარქსს არ შეუძლია სოციალური რევოლუციის აუცილებლობა, მიწისა და შრომით შექმნილი საწარმოო საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებაზე დაყრდნობილი საზოგადოებრივი წესწყობილების შემოღების აუცილებლობა სხვანაირად დაამტკიცოს, თუ არ მოიშველია ჰეგელის უარყოფის უარყოფა; რამდენადაც იგი თავის სოციალისტურ თეორიას რელიგიიდან ნასესხებ ახირებულ ანალოგიის ფოკუსებზე აფუძნებს, იმ შედეგამდე მიდის, რომ მომავალ საზოგადოებაში ერთსა და იმავე დროს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი საკუთრება იქნება გაბატონებული როგორც გადალახული წინააღმდეგობის ჰეგელისეული უმაღლესი ერთიანობაო.

თავი დავანებოთ ჯერჯერობით უარყოფის უარყოფას და ვნახოთ ეს «ერთსა და იმავე დროს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი საკუთრება». მას ბატონი დიურინგი «ბუნდოვან წარმოდგენათა სამყაროს» უწოდებს და აქ იგი მართლაც საოცრად მართალია. მაგრამ ამ ბუნდოვან წარმოდგენათა სამყაროში [დიურინგისდა] სამწუხაროდ მარქსი კი არა, ისევ თვით დიურინგი იმყოფება. ისევე როგორც ზევით ჰეგელის «ბოდვითი ფანტაზირების» მეთოდის მოხერხებულად გამოყენების წყალობით მან შრომა-გარჯის გაუწევლად გამოარკვია, რას უნდა შეიცავდეს «კაპიტალის» ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ტომები, აქაც მას ადვილად შეუძლია დიდი შრომის დაუხარჯავად მარქსი გაასწოროს ჰეგელის მიხედვით და მას საკუთრების უმაღლესი ერთიანობა მიაწეროს, რის შესახებ მარქსს კრინტიც კი არ დაუძრავს...

მარქსი ამბობს: «ეს უარყოფის უარყოფაა. იგი ხელახლა აღადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, მაგრამ კაპიტალისტური ერის მონაპოვართა საფუძველზე — თავისუფალ მუშაკთა კოოპერაციის, და მიწისა და თვით შრომის მიერ წარმოებულ საწარმოო საშუალებათა მათი საერთო მფლობელობის საფუძველზე. ცალკე პირთა საკუთარ შრომაზე დამყარებული, დაქუცმაცებული კერძო საკუთრების გადაქცევა კაპიტალისტურ საკუთრებად, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ხანგრძლივი, მძიმე და ძნელი პროცესია, ვიდრე ფაქტიურად წარმოების უკვე საზოგადოებრივ პროცესზე დამყარებული კაპიტალისტური კერძო საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევა»[1]. ესაა და ეს. ამრიგად, ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციით შექმნილი მდგომარეობა დახასიათებულია როგორც ინდივი-

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930, გვ. 704—705. რ ე დ.

დუალური საკუთრების აღდგენა, მხოლოდ მიწისა და თვით შრომის მიერ წარმოებულ საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების ნ ი ა დ ა გ ზ ე. ყველა, ვისაც დაწერილის გაგება შეუძლია, მიხვდება, რომ საზოგადოებრივი საკუთრება ვრცელდება მიწასა და სხვა საწარმოო საშუალებებზე, ხოლო ინდივიდუალური საკუთრება პროდუქტებზე, ე. ი. მოხმარების საგნებზე. და რათა საკითხი თვით ექვსი წლის ბალღებისთვისაც კი გასაგები გახდეს, მარქსი 56 გვერდზე წინადადებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ «იმ თავისუფალ ადამიანთა კავშირი, რომელნიც წარმოების საერთო საშუალებებით მუშაობენ და თავიანთ ინდივიდუალურ სამუშაო ძალებს კანონზომიერად ხარჯავენ როგორც ერთ საზოგადოებრივ სამუშაო ძალას», მაშასადამე, სოციალისტურად ორგანიზაციაქმნილი კავშირი, და ამბობს: «კავშირის მთელი პროდუქტი საზოგადოებრივი პროდუქტია. ამ პროდუქტის ერთი ნაწილი ხელახლა გამოიყენება როგორც საწარმოო საშუალება. ი გ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ა დ რ ჩ ე ბ ა. ხოლო მეორე ნაწილი, როგორც საარსებო საშუალება, კავშირის წევრთა მიერ მოიხმარება. ა მ ი ტ ო მ ი გ ი მ ა თ შ ო რ ი ს უ ნ დ ა გ ა ნ ა წ ი ლ დ ე ს»[1]. ყოველივე ეს საკმაოდ ნათელი უნდა იყოს თვით ბატონ დიურინგის ჰეგელიანობაში გახლართული თავისთვისაც.

ეს საკუთრება, რომელიც ერთსა და იმავე დროს ინდივიდუალურიცაა და საზოგადოებრივიც, ეს არეული ჰერმაფროდიტული სიმახინჯე, ეს ჰეგელის დიალექტიკიდან გამომდინარე შეუსაბამობა, ეს ბუნდოვან წარმოდგენათა სამყარო, ეს ღრმააზროვანი დიალექტიკური გამოცანა, რომელსაც მარქსი თავის ადეპტებს უტოვებს გადასაჭრელად, — ყოველივე ეს ბატონი დიურინგის თავისუფალ შემოქმედებასა და ფანტაზიას წარმოადგენს. მარქსი, როგორც ვითომდა ჰეგელიანელი, ვალდებულია ნამდვილი უმაღლესი ერთიანობა მოგვცეს როგორც უარყოფის უარყოფის შედეგი და რადგან იგი ამას არ შვრება ბატონი დიურინგის გემოვნების მიხედვით, ეს უკანასკნელი ხელახლა მაღალ და კეთილშობილ სტილში უნდა გადავარდეს და მარქსს სრული ჭეშმარიტების სახელით ისეთი რამეები მიაწეროს, რაც ბატონი დიურინგის საკუთარ ფაბრიკატს წარმოადგენს. ადამიანმა, რომელსაც ნიჭი სრულიად არ შესწევს, თუნდაც გამონაკლისის სახით, ციტატი სწორად ამოიწეროს, ზნეობრივი აღშფოთება უნდა განიცადოს სხვა ადამიანების

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 44—45. რ ე დ.

«ჩინური განსწავლულობის» წინააღმდეგ, რომლებიც ყოველთვის, გამოუკლებლივ, სწორად იწერენ ციტატებს, მაგრამ სწორედ ამით «ცუდად ფარავენ ამა თუ იმ შემთხვევაში მოყვანილი მწერლის იდეათა ერთობლიობის არასაკმარის გაგებას». ბატონი დიურინგი მართალია. გაუმარჯოს მაღალი სტილის ისტორიოგრაფიას.

აქამდე ჩვენ იმ წანამძღვარიდან გამოვდიოდით, რომ ბატონი დიურინგის მიერ ციტატების ჯიუტად არასწორად ამოღება კეთილსინდისიერად მაინც ხდება და დამყარებულია ან სწორად გაგების უნარის სრულ უქონლობაზე ან კიდევ მაღალი სტილის ისტორიოგრაფიის დამახასიათებელ ჩვეულებაზე ციტატების მახსოვრობით ამოღებისა, რაც ჩვეულებრივ დაუდევრობად ითვლება. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენ აქ მივაღწიეთ პუნქტს, სადაც დიურინგის ნაწერებშიც რაოდენობა თვისებრიობად იქცევა. იმიტომ რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მარქსს ეს ადგილი თავისთავად სრულიად ნათლად აქვს გადმოცემული და ამასთანავე იგი იმავე წიგნში შევსებულია მეორე ადგილით, რომელიც თავისუფალია ყოველი გაუგებრობისაგან; მეორეც, რომ ამას გარდა არც «კაპიტალის» ზემოაღნიშნულ კრიტიკაში «Ergänzungsblätter»-ში, არც «კრიტიკული ისტორიის» პირველ გამოცემაში მოთავსებულ კრიტიკაში ბატონ დიურინგს ეს საშინელება, «ერთსა და იმავე დროს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი საკუთრება» არ აღმოუჩენია, არამედ იგი თავისი წიგნის მხოლოდ მეორე გამოცემაში, ე. ი. «კაპიტალის» მ ე ს ა მ ე წაკითხვის დროს შეამჩნია; რომ ბოლოს ამ სოციალისტურად გადამუშავებულ მეორე გამოცემაში ბატონმა დიურინგმა საჭიროდ დაინახა მარქსისთვის რაც შეიძლება მეტი უაზრობა მიეწერა საზოგადოების მომავალი ორგანიზაციის შესახებ, რათა, პირიქით, თავის თავზე უფრო მედიდურად და ზეიმით ეთქვა (რასაც იგი კიდევაც აკეთებს): «სამეურნეო კომუნა, რომელიც მ ე ეკონომიურად და იურიდიულად მოვხაზე ჩემს «კურსშიო», — თუ ჩვენ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, თავისთავად იმ დასკვნას მივადგებით, რაზეც ბატონი დიურინგი თითქმის გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ბატონმა დიურინგმა აქ განზრახ «კეთილისმყოფელად გააფართოვა» მარქსის აზრი, — კეთილისმყოფელად თვით ბატონი დიურინგისთვის.

რა როლს ასრულებს მარქსის აზროვნებაში უარყოფის უარყოფა? 791 გვერდზე და შემდეგ [1] იგი საბოლოოდ რეზიუმეს უკეთებს.

---

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 702—705. რ ე დ.

წინა 50 გვერდზე ჩატარებულ ეკონომიურ და ისტორიულ გამოკვლევას კაპიტალის ეგრეთწოდებული პირვანდელი დაგროვების შესახებ. კაპიტალისტურ ერამდე, ყოველ შემთხვევაში ინგლისში, არსებობდა წვრილი წარმოება იმ ნიადაგზე, რომ მუშას თავისი წარმოების საშუალებანი კერძო საკუთრებად ჰქონდა. კაპიტალის ეგრეთწოდებული პირვანდელი დაგროვება აქ ამ უშუალო მწარმოებლების ექსპროპრიაციაში მდგომარეობდა, ე. ი. საკუთარ შრომაზე დაყრდნობილი კერძო საკუთრების დაშლაში. ეს შესაძლებელი გახდა, იმიტომ რომ ზემოაღნიშნული წვრილი წარმოება ეგუება მხოლოდ წარმოებისა და საზოგადოების ვიწრო, პრიმიტიულ ჩარჩოებს და ამიტომ განვითარების განსაზღვრულ დონეზე თავისი საკუთარი მოსპობის მატერიალურ საშუალებებს ჰქმნის. ეს მოსპობა, ინდივიდუალური და დაქსაქსული წარმოების საშუალებების გარდაქმნა საზოგადოებრივ კონცენტრაციაქმნილად, კაპიტალის წინაისტორიას წარმოადგენს. როგორც კი მუშაკები პროლეტარებად იქცნენ, ხოლო მათი შრომის საშუალებანი — კაპიტალად, როგორც კი წარმოების კაპიტალისტური წესი საკუთარ ფეხზე დადგა, შემდგომი გასაზოგადოებრივება შრომისა, და მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა შემდგომი გადაქცევა (კაპიტალად), მაშასადამე, კერძო მესაკუთრეთა შემდგომი ექსპროპრიაცია, ახალ ფორმას იღებს. «ვისაც ახლა ექსპროპრიაცია მოელის, დიდი ხანია უკვე არის არა მუშა, რომელიც დამოუკიდებლად აწარმოებდა მეურნეობას, არამედ მრავალი მუშის მყვლეფელი კაპიტალისტი. ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონების მოქმედებით, კაპიტალთა კონცენტრაციით. ერთი კაპიტალისტი მრავალს კლავს. ხელი-ხელ ჩაკიდებული ამ კონცენტრაციასთან ანუ მრავალ კაპიტალისტთა ექსპროპრიაციასთან, რომელსაც ახდენს კაპიტალისტთა მცირე რიცხვი, სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება შრომის პროცესის კოოპერაციული ფორმა, მეცნიერების შეგნებული ტექნოლოგიური გამოყენება, მიწის გეგმიანი კოლექტიური ექსპლოატაცია, შრომის საშუალებების გადაქცევა შრომის მხოლოდ კოლექტიურად გამოსაყენებელ საშუალებებად, წარმოების ყველა საშუალებათა ეკონომიზირება, მათი როგორც კომბინირებული, საზოგადოებრივი შრომის საერთო საწარმოო საშუალებათა გამოყენებით. კაპიტალის მაგნატების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად, რომლებიც უკანონოდ ითვისებენ და თავის მონოპოლიად აქცევენ ამ გარდაქმნის პროცესის ყველა ხელსაყრელ მხარეებს, მასობრივად

იზრდება სიღატაკე, ჩაგვრა, დამონება, გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე ძლიერდება მუდამ მზარდი და თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაწვრთნილი, გაერთიანებული და ორგანიზაციულად დარაზმული მუშათა კლასის აღშფოთება. კაპიტალი წარმოების იმ წესის ბორკილებად იქცევა, რომელმაც მასთან ერთად და მისი დახმარებით აყვავებას მიაღწია. წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან მათ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ექსპროპრიატორები ექსპროპრიაციაქმნილი ხდებიან».

და აი ახლა მკითხველს ვეკითხები: სადაა დიალექტიკურად დაჩუქურთმებული ხლართები და წარმოდგენათა არაბესკები, სადაა არეულ-დარეული და უკუღმართი წარმოდგენა, რომლის მიხედვით ბოლოს ყოველივე ერთია, სადაა დიალექტიკური სასწაულები მართლმორწმუნეთათვის, სადაა დიალექტიკური საიდუმლო აბდაუბდა და ხლართები ჰეგელის ლოგოსის მოძღვრების მიხედვით, ურომლისოდაც მარქსს, თუ ბატონ დიურინგს დავუჯერებთ, არ შეეძლო თავისი აზრები განევითარებინა? მარქსი უბრალოდ ამტკიცებს ისტორიულად, ხოლო აქ მოკლედ აჯამებს, რომ როგორც ერთ დროს წვრილმა წარმოებამ თავისი საკუთარი განვითარების შემწეობით გარდაუვალი აუცილებლობით თავისი მოსპობის, ე. ი. წვრილი მესაკუთრეების ექსპროპრიაციის პირობები შექმნა, ისე დღეს კაპიტალისტური წარმოების წესმა თვითვე შექმნა მატერიალური პირობები, რომელმაც იგი უნდა მოსპოს. ეს ისტორიული პროცესია და თუ იგი ამასთანავე დიალექტიკურიც არის, ეს არაა მარქსის ბრალი, რა რიგ საბედისწეროც არ უნდა იყოს ეს ბატონი დიურინგისთვის.

მხოლოდ ამის შემდეგ, რაც მარქსმა დაასრულა თავისი ისტორიულ-ეკონომიური დამტკიცება, იგი განაგრძობს: «წარმოებისა და მითვისების «კაპიტალისტური» წესი და, ამიტომ, კაპიტალისტური კერძო საკუთრებაც პირველი უარყოფაა ინდივიდუალური, საკუთარ შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრებისა. მაგრამ კაპიტალისტური წარმოება ბუნებრივი პროცესის აუცილებლობით წარმოშობს თავის საკუთარ უარყოფას. ეს უარყოფის უარყოფაა» და სხვ. (როგორც ზემოთ არის მოყვანილი).

მაშასადამე, თუ მარქსი ამ პროცესს უარყოფის უარყოფას უწოდებს, იგი სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ამით მის ისტო-

რიულ აუცილებლობას დაამტკიცებს. პირიქით: მას შემდეგ, რაც მან ისტორიულად დაამტკიცა, რომ ეს პროცესი ნაწილობრივ უკვე მოხდა, ხოლო ნაწილობრივ ჯერ კიდევ უნდა მოხდეს, მხოლოდ ამის შემდეგ იგი მას ახასიათებს როგორც ისეთ პროცესს, რომელიც ამასთან განსაზღვრული დიალექტიკური კანონის მიხედვით სრულდება. ესაა და ეს. მაშასადამე, ეს კვლავ მხოლოდ მარქსის აზრის დამახინჯებაა, როცა ბატონი დიურინგი ამტკიცებს, უარყოფის უარყოფამ ბებიაქალის როლი უნდა შეასრულოს, რომლის შემწეობით მომავალი იშობა წარსულის წიაღიდანო, ან თითქოს მარქსი მოითხოვდეს, რომ ვინმემ დაიჯეროს მიწისა და კაპიტალის საზოგადოებრივი მფლობელობის აუცილებლობა (რაც თვით დიურინგის «განხორციელებულ წინააღმდეგობას» წარმოადგენს) უარყოფის უარყოფის რწმენაზე იყოს დამყარებულიო.

დიალექტიკის ბუნების სრულ გაუგებრობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბატონი დიურინგი მას უბრალო დამტკიცების რაღაც იარაღად თვლის, ისევე როგორც შეზღუდული გაგების დროს ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ფორმალური ლოგიკა ან ელემენტარული მათემატიკა. თვით ფორმალური ლოგიკაც, უწინარეს ყოვლისა, ახალი შედეგების გამოძებნის მეთოდს წარმოადგენს ცნობილიდან უცნობზე [გადასასვლელად; იგივეა, მხოლოდ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აზრით, დიალექტიკა, რომელიც უფრო ფართო მსოფლმხედველობის ჩანასახს შეიცავს, იმიტომ რომ არღვევს ფორმალური ლოგიკის ვიწრო ჰორიზონტს. მათემატიკაშიც იგივე ურთიერთობა არსებობს. ელემენტარული მათემატიკა, მუდმივ სიდიდეთა მათემატიკა ფორმალური ლოგიკის ფარგლებში მოძრაობს, ყოველ შემთხვევაში საერთოდ და მთლიანად; ცვლად სიდიდეთა მათემატიკა, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს უსასრულო მცირეთა აღრიცხვა შეადგენს, არსებითად წარმოადგენს მხოლოდ დიალექტიკის გამოყენებას მათემატიკური შეფარდებებისადმი. უბრალო დამტკიცება აქ გადაკრით იჩრდილება მეთოდის მრავალგვარი გამოყენების წინაშე ახალი კვლევაძიების დარგებში. მაგრამ უმაღლესი მათემატიკის თითქმის ყველა დამტკიცება, დიფერენციალური აღრიცხვის პირველი დამტკიცებებიდან დაწყებული, ელემენტარული მათემატიკის თვალსაზრისით, მკაცრად რომ ვთქვათ, ყალბია. ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს, თუ, როგორც აქ ხდება, მოისურვებენ, რომ დიალექტიკის სფეროში მოპოვებული შედეგები ფორმალური ლოგიკის საშუალებით დაამტკიცონ. ცდა იმისა, რომ მარტო დიალექტიკის საშუალებით რამე დავუმტკი-

ცოთ ისეთ უხეშ მეტაფიზიკოსს, როგორიც ბატონი დიურინგია, ისეთივე დაკარგული შრომა იქნებოდა, როგორიც იყო ლაიბნიცისა და მისი მოწაფეების შრომა, როცა იმდროინდელ მათემატიკოსებს უსასრულო მცირეთა აღრიცხვის თეორემებს უმტკიცებდნენ. დიფერენციალი მაშინდელ მათემატიკოსებში იმავე კრუნჩხვებს იწვევდა, როგორსაც ბატონ დიურინგში «უარყოფის უარყოფა» იწვევს, რომელშიც, როგორც დავინახავთ, დიფერენციალიც ერთგვარ როლს ასრულებს. ის ვაჟბატონები, რომლებიც იმჟამად ცოცხალი დარჩნენ, ბოლოს ბუზღუნით დანებდნენ, იმიტომ კი არა, რომ ისინი დაარწმუნეს, არამედ იმიტომ, რომ დიფერენციალური აღრიცხვა ყოველთვის სწორ შედეგებს იძლეოდა. ბატონი დიურინგი ჯერ, როგორც თვით ამბობს, მხოლოდ ორმოცი წლისაა და თუ მან ღრმა მოხუცებულობას მიაღწია, რასაც ჩვენ მას ვუსურვებთ, შეიძლება იგივე განიცადოს.

მაგრამ მაინც რა არის ეს საშინელი «უარყოფის უარყოფა», რომელმაც ბატონ დიურინგს ასე გაუმწარა სიცოცხლე და რომელიც მის თვალში იმავე მიუტევებელი დანაშაულის როლს ასრულებს, როგორსაც ქრისტიანობაში ასრულებდა შეცოდება სულიწმინდის წინააღმდეგ? — ესაა მეტისმეტად მარტივი, ყველგან და ყოველდღიურად წარმოებული პროცედურა, რომლის გაგება ყოველ ბალღს შეუძლია, თუ მას მისტიკურ ძონძებს მოვაშორებთ, რაშიც იგი ძველმა იდეალისტურმა ფილოსოფიამ გაახვია და რომელშიც მის კვლავ გახვევას ისურვებდნენ თავისი ინტერესებისათვის ბატონ დიურინგის ყაიდის უმწეო მეტაფიზიკოსები. ავიღოთ, მაგალითად, ქერის მარცვალი. ასეთი ქერის მარცვლის ბილიონებს ფქვავენ, ხარშავენ, ლუდს ხდიან, შემდეგ ხმარობენ. მაგრამ თუ ერთმა ასეთმა ქერის მარცვალმა ნორმალური პირობები იპოვა, თუ იგი ხელსაყრელ ნიადაგზე დაეცა, სითბოს და ნესტის ზეგავლენით მასში თავისებური ცვლილება მოხდება, იგი აღმოცენდება; მარცვალი როგორც ასეთი მოისპობა, უარიყოფა, მის ნაცვლად მისგან წარმოშობილი მცენარე გაჩნდება,— მარცვლის უარყოფა. მაგრამ როგორია ამ მცენარის ნორმალური ცხოვრების ტრიალი? იგი იზრდება, ჰყვავის, ნაყოფიერდება და ბოლოს ხელახლა ქერის მარცვლებს გამოიბამს, და როცა ეს უკანასკნელნი დამწიფდებიან, ღერო კვდება, თავის მხრივ იგიც უარიყოფა. ამ უარყოფის უარყოფის შედეგად ჩვენ ხელახლა თავდაპირველი ქერის მარცვალი გვაქვს, მაგრამ არა ერთ ცალად, არამედ ათად, ოცად, ოცდაათად გამრავლებული. ხორბლეულის სახეები მეტად

ნელა იცვლება და ამიტომ თანამედროვე ქერი თითქმის ისეთივეა, როგორიც ასი წლის წინათ იყო. მაგრამ ავიღოთ რომელიმე პლასტიკური დეკორატიული მცენარე, მაგ., დალია ან ორქიდეა; თუ ჩვენ თესლსა და მისგან წარმოშობილ მცენარეს ისე მოვეპყრობით როგორც მებაღის ხელოვნება მოითხოვს, უარყოფის უარყოფის შედეგად მივიღებთ არა მარტო მეტ თესლს, არამედ თვისებრივად გაუმჯობესებულ თესლსაც, რომელიც უფრო ლამაზ ყვავილებს ჰქმნის, და ამ პროცესის ყოველი განმეორება, ყოველი ახალი უარყოფის უარყოფა აძლიერებს ამ გაუმჯობესებას. — ეს პროცესი მწერთა უმრავლესობაშიც, მაგ., პეპლებში, ისევე მიმდინარეობს როგორც ქერის მარცვალში. ისინი კვერცხიდან ჩნდებიან კვერცხის უარყოფით, გადიან გარდაქმნის სხვადასხვა ფაზას თვით სქესობრივ მომწიფებამდე, ერთმანეთს პეპლავენ და ხელახლა უარიყოფიან, ე. ი. კვდებიან, როცა გვარის განგრძობის პროცესი დასრულებულია და დედალმა მრავალი კვერცხი დასდო. ჩვენ აქ ჯერ არ ვეხებით იმას, რომ სხვა მცენარეებსა და ცხოველებში ეს პროცესი ასე მარტივად არ მთავრდება, რომ ისინი, სანამ დაიხოცებოდნენ, ერთხელ კი არა, მრავალჯერ აწარმოებენ თესლსა, კვერცხსა ან ჩვილებს; ჩვენ მხოლოდ იმის დამტკიცება გვინდოდა, რომ უარყოფის უარყოფა მართლაც ხდება ორგანული სამყაროს ორივე სამეფოში. შემდეგ, მთელი გეოლოგია წარმოადგენს უარყოფილ უარყოფათა რიგს, ძველი მთის ჯიშების ფორმაციების თანმიმდევრად დაშლისა და ახალი ფორმაციების ფენებად დალაგების რიგს. ჯერ თავდაპირველი, თხევადი მასის გაცივებისაგან წარმომდგარი მიწის ქერქი ფხვიერდება ოკეანური, მეტეოროლოგიური და ატომსფერულ-ქიმიური ზემოქმედებით და ეს გაფხვიერებული მასები ფენებად ილექება ზღვის ფსკერზე. ზღვის ფსკერის ადგილობრივი აწევისა და ზღვის ზედაპირზე აცილების გამო ეს პირველი ფენების გარკვეული ნაწილები ხელახლა ექვემდებარება წვიმის, წელიწადის დროთა ცვალებადი სითბოს, ატმოსფეროს ჟანგბადისა და ნახშირმჟავას ზემოქმედებას; იმავე ზემოქმედებას განიცდის მიწის გულიდან ამოხეთქილი გამდნარი ქვის მასები, რომლებიც ფენებს ხეთქავენ და შემდეგ ცივდებიან. ამრიგად, მილიონი საუკუნეების განმავლობაში სულ ახალი და ახალი ფენები იქმნება, უმეტესწილად მუდმივად ხელახლა იშლება და კვლავ ხმარდება მასალის სახით ახალი ფენების შექმნას. მაგრამ შედეგი ამ პროცესისა მეტად დადებითია: ესაა ნიადაგის შექმნა სხვადასხვა ქიმიური ელემენტებისაგან, რომლებიც მექანიკური დაქუცმაცების მდგომარეობაში იმყოფებიან,

რაც ხელს უწყობს უაღრესად მასობრივ და მრავალგვარ მცენარეულობას.

იგივე ითქმის მათემატიკაზე. ავიღოთ რომელიმე ალგებრული სიდიდე, მაგალითად, a. თუ იგი უარვყავით —a-ს (მინუს a-ს) მივიღებთ. თუ ამ უარყოფას უარვყოფთ იმით, რომ —a-ს გავამრავლებთ — a-ზე, მივიღებთ $+a^2$, ე. ი. პირვანდელ დადებით სიდიდეს, მაგრამ უფრო მაღალ საფეხურზე, სახელდობრ, მეორე ხარისხში. აქაც მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ იმავე a^2 დადებითი a-ს თავის თავზე გამრავლებითაც მივიღებთ. იმიტომ რომ უარყოფილი უარყოფა ისე მტკიცედაა a^2-ში, რომ ამ უკანასკნელს ყოველ პირობებში ორი კვადრატული ფესვი აქვს, სახელდობრ $+a$ და —a. და ეს შეუძლებლობა უარყოფილი უარყოფიდან, კვადრატში მოქცეული უარყოფითი ფესვიდან თავის დაღწევისა მეტად ხელშესახებ მნიშვნელობას იძენს კვადრატულ განტოლებებში.— კიდევ უფრო აშკარად ჩანს უარყოფის უარყოფა უმაღლეს ანალიზში, იმ «უსასრულო მცირე სიდიდეთა შეჯამებაში», რომელსაც თვით ბატონი დიურინგი მათემატიკის უმაღლეს ოპერაციებად აცხადებს და რომელსაც ჩვეულებრივ ენაზე დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვას უწოდებენ. როგორ სრულდება აღრიცხვის ამგვარი სახეები? მაგალითად, განსაზღვრულ ამოცანაში ორი ცვლადი სიდიდე მაქვს x და y, რომელთაგან ერთი ისე ვერ შეიცვლება, რომ მეორე არ შეიცვალოს საქმის ვითარებით განსაზღვრული შეფარდებით. მე ვაწარმოებ x და y დიფერენცირებას, ე. ი. მე x-სა და y-ს ისე უსასრულოდ მცირედ ვიღებ, რომ ისინი ჰქრებიან ყოველივე უმცირეს ნამდვილ სიდიდესთან შედარებით, რომ x და y-საგან არაფერი რჩება, გარდა მათი ურთიერთობისა, მაგრამ, ასე ვთქვათ, ყოველგვარი მატერიალური საფუძველის გარეშე, რჩება რაოდენობითი შეფარდება, მოკლებული ყოველივე რაოდენობას. მაშასადამე, $\frac{dy}{dx}$, ე. ი. x-ის და y-ის ორივე დიფერენციალის შეფარდება $= \frac{0}{0}$, მაგრამ $\frac{0}{0}$, რომელიც მიღებულია როგორც გამოხატულება $\frac{y}{x}$. აღვნიშნავ გაკვრით, რომ ორი გამქრალი სიდიდის ეს შეფარდება, მათი გაქრობის ეს ფიქსაციაქმნილი მომენტი წინააღმდეგობას წარმოადგენს; მაგრამ ეს წინააღმდეგობა ჩვენ ისევე ვერ შეგვაფერხებს, როგორც ვერ აფერხებდა

საზოგადოდ მათემატიკას თითქმის ორასი წლის განმავლობაში. მაშასადამე, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარვყოფდი x და y, მაგრამ უარვყოფდი არა ისე, თითქოს არაფერი საქმე აღარ მქონდა მათთან, როგორც მეტაფიზიკა უარყოფს, არამედ უარვყოფდი საქმის ვითარების მიხედვით? ამრიგად, x და y ნაცვლად ამ ფორმულებსა ანუ განტოლებებში მათი უარყოფა dx და dy მაქვს. შემდეგ, როცა ამ ფორმულებზე ანგარიშს ვაწარმოებ, dx და dy ისე ვეპყრობი როგორც ნამდვილ სიდიდეებს, რომლებიც ზოგიერთ გამონაკლის კანონს ექვემდებარებიან, და განსაზღვრულ წერტილში უარვყოფ უარყოფას, ე. ი. დიფერენციალური ფორმულის ინტეგრაციას ვახდენ, dx და dy ნაცვლად ნამდვილ სიდიდეებს x და y ვიღებ და ამით უბრალოდ კი არ ვუბრუნდები დასაწყისს, არამედ ვხსნი ამოცანას, რომელზედაც შეიძლება ამაოდ მოეტეხა კბილები ჩვეულებრივ გეომეტრიასა და ალგებრას.

სხვაგვარად როდი ხდება ისტორიაშიც. ყველა კულტურული ხალხი იწყებს სათემო მიწათსაკუთრებით. ყველა ხალხში, რომელიც ერთგვარ პირველყოფილ საფეხურს ასცილდა, სათემო საკუთრება წარმოების ბორკილებად იქცევა მიწათმოქმედების განვითარების მსვლელობაში. იგი ისპობა, უარიყოფა, მოკლე ან გრძელი გარდამავალი საფეხურების შემდეგ კერძო საკუთრებად იქცევა. მაგრამ მიწათმოქმედების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, რომელიც თვით მიწის კერძო საკუთრების წყალობითაა მიღწეული, პირიქით, კერძო საკუთრება ხდება წარმოების ბორკილი, რასაც დღეს ვხედავთ როგორც წვრილ, ისე მსხვილ მიწათმფლობელობაში. აუცილებელი ხდება მოთხოვნა, რომ მიწის კერძო საკუთრებაც უარყოფილ იქნეს, იგი ხელახლა საერთო კუთვნილებად იქცეს. მაგრამ ეს მოთხოვნა არ ნიშნავს ძველი, პირველყოფილი სათემო საკუთრების აღდგენას, არამედ ნიშნავს საზოგადო მფლობელობის უფრო მაღალი, უფრო განვითარებული ფორმის დამყარებას, რომელიც არა თუ არ წარმოადგენს წარმოებისთვის ხელშემშლელ დაბრკოლებას, არამედ მას პირველად გაანთავისუფლებს ბორკილებისაგან და შეაძლებინებს სავსებით გამოიყენოს თანამედროვე ქიმიური აღმოჩენები და მექანიკური გამოგონებანი.

ან კიდევ ერთი მაგალითი. ანტიკური ფილოსოფია პირველყოფილი, სტიქიური მატერიალიზმი იყო. როგორც სტიქიურ მატერიალიზმს მას უნარი არ შესწევდა გამოერკვია აზროვნების დამოკიდებულება მატერიასთან. მაგრამ ამ საკითხის გამორკვევის აუცილებლობამ გამოიწვია მოძღვრება სხეულისაგან გამოთიშულ სულზე, შემდეგ

ამ სულის უკვდავების მტკიცება, ბოლოს, მონოთეიზმი. მაშასადამე, ძველი მატერიალიზმი უარყოფილ იქნა იდეალიზმის მიერ. მაგრამ ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაში იდეალიზმიც უძლური აღმოჩნდა და იგი თანამედროვე მატერიალიზმმა უარყო. ეს უარყოფის უარყოფა წარმოადგენს არა ძველი მატერიალიზმის უბრალო ხელახლა აღდგენას, არამედ მის ურყევ საფუძვლებს უერთებს კიდევ როგორც ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერების ორიათასი წლის განვითარების მთელ იდეურ შინაარსს, ისე თვით ამ ორიათასი წლის ისტორიას. ეს თანამედროვე მატერიალიზმი საერთოდ ფილოსოფიას კი აღარ წარმოადგენს, არამედ უბრალოდ მსოფლმხედველობას, რომელიც მტკიცდება და ხორციელდება არა განსაკუთრებულ მეცნიერებათა მეცნიერებაში, არამედ რეალურ მეცნიერებებში. ამრიგად, აქ ფილოსოფია «მოხსნილია», ე. ი. «ერთსა და იმავე დროს გადალახულიცაა და შენარჩუნებულიც»; გადალახულია მისი ფორმის მიხედვით, შენარჩუნებულია მისი ნამდვილი შინაარსის მიხედვით. მაშასადამე, სადაც ბატონი დიურინგი მხოლოდ «სიტყვების თამაშს» ხედავს, ყურადღებით დაკვირვების დროს ნამდვილი შინაარსი ჩანს.

ბოლოს, თვით რუსოს მოძღვრება თანასწორობის შესახებ, რომლის უფერულ გაყალბებულ ანარეკლს დიურინგის მოძღვრება წარმოადგენს, ვერ აიგებოდა, თუ ჰეგელის უარყოფის უარყოფას — და ისიც ოც წელზე ადრე ჰეგელის დაბადებამდე — ბებიაქალის როლი არ შეესრულებინა. რუსოს მოძღვრებას სრულიადაც არ რცხვენია ამ როლისა, იგი თავის პირველ გადმოცემაში, შეიძლება ითქვას, თითქმის მედიდურად ამჟღავნებს თავის დიალექტიკურ წარმოშობას. ბუნებრივ და ველურ მდგომარეობაში ადამიანები თანასწორნი იყვნენო; ხოლო რადგან რუსო ენას უკვე ბუნებრივი მდგომარეობის გაყალბებად თვლიდა, მას სრული უფლება ჰქონდა ცხოველთა თანასწორობა, ერთი და იმავე სახის ფარგლებში, მიეწერა ამ ცხოველ-ადამიანებისთვისაც, რომელთა ჰიპოთეტური კლასიფიკაცია ჰეკელმა მოახდინა ამ ცოტა ხნის წინათ როგორც alali — უენოებისა. მაგრამ ამ თანასწორ ცხოველ-ადამიანებს ერთი უპირატესობა ჰქონდათ სხვა ცხოველების წინაშე: გაუმჯობესების, შემდგომი განვითარების უნარი; და ეს გახდა უთანასწორობის მიზეზი. მაშასადამე, რუსო უთანასწორობის წარმოშობაში პროგრესს ხედავს. მაგრამ ეს პროგრესი ანტაგონისტური იყო, იგი იმავე დროს რეგრესსაც წარმოადგენდა. «ყოველი შემდგომი პროგრესი (პირველყოფილ მდგო-

მარეობასთან შედარებით) მხოლოდ მოჩვენებით წინსვლას წარმოადგენდა ცალკე ადამიანის გაუმჯობესების მხრივ, ნამდვილად კი ხელს უწყობდა ადამიანთა მოდგმის დაქვეითებას. ლითონის დამუშავება და მიწათმოქმედება ის ორი ხელოვნება იყო, რომელთა გამოგონებამ ეს დიდი რევოლუცია გამოიწვია» (პირველყოფილი ტყის გადაქცევა დამუშავებულ მიწად, მაგრამ ამასთანავე სიღატაკის და მონობის შემოღება საკუთრების შემწეობით). «პოეტის თვალსაზრისით, ოქრომ და ვერცხლმა, ხოლო ფილოსოფოსის თვალსაზრისით, რკინამ და ხორბალმა ცივილიზაცია შეიტანა ადამიანებში, და ადამიანთა მოდგმა დაღუპა». ცივილიზაციის ყოველი წინსვლა უთანასწორობის ახალ წინსვლასაც მოასწავებს. ყველა დაწესებულება, რომელსაც ცივილიზაციასთან ერთად წარმოშობილი საზოგადოება ჰქმნის, თავისი პირვანდელი მიზნის წინააღმდეგობად იქცევა. «უცილობელია, და ეს მთელი სახელმწიფოებრივი უფლების ძირითად კანონს წარმოადგენს, რომ ხალხებმა თავადები იმისთვის შეჰქმნეს, რათა თავიანთი თავისუფლება დაეცვათ და არა იმისათვის, რომ ეს თავისუფლება გაენადგურებინათ». მიუხედავად ამისა ეს თავადები აუცილებლად ხალხთა მჩაგვრელები ხდებიან და ამ ჩაგვრას აძლიერებენ იმ წერტილამდე, სადაც უაღრესად გამძაფრებული უთანასწორობა ხელახლა თავის წინააღმდეგობად იქცევა, თანასწორობის მიზეზი ხდება: დესპოტის წინაშე ყველა თანასწორია, სახელდობრ, ყველა არარაობას წარმოადგენს. «აქაა უთანასწორობის უკიდურესი საფეხური, საბოლოო წერტილი, რომელიც წრეს ამთავრებს და იმ წერტილს ეხება, საიდანაც ჩვენ გამოვედით: აქ ყველა კერძო ადამიანი თანასწორია, სწორედ იმიტომ, რომ არაფერს წარმოადგენს და ქვეშევრდომებს სხვა კანონი არა აქვთ, გარდა მბრძანებლის ნებისყოფისა». მაგრამ დესპოტი ბატონია მხოლოდ მანამ, სანამ მას ხელთ ძალა უჭირავს და ამიტომ, «თუ იგი განდევნეს, მას არ შეუძლია ძალის წინააღმდეგ იჩივლოს... მას ძალა აკავებდა, იგი ძალამ დაამხო, ყოველივე თავისი მართებული ბუნებრივი გზით მიდის». ამრიგად, უთანასწორობა ხელახლა თანასწორობად იქცევა, მაგრამ არა პირველყოფილი უენო ადამიანების ძველ სტიქიურ თანასწორობად, არამედ საზოგადოებრივი ხელშეკრულების უმაღლეს თანასწორობად. დამთრგუნველნი ითრგუნებიან. ესაა უარყოფის უარყოფა.

ამრიგად, ჩვენ უკვე რუსოს ნაწერებში გვხვდება არა მარტო აზრთა განვითარება, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მარქსის მიერ «კაპიტალში» გამოთქმულ აზრებს, არამედ დეტალებშიც ჩვენ ვხედავთ მთელ რიგ ისეთ დიალექტიკურ.გამოთქმებს, რომლებსაც მარქსი ხმარობს: პროცესები, რომლებიც ანტაგონისტური არიან თავიანთი ბუნებით და წინააღმდეგობას შეიცავენ, ერთი უკიდურესობის გადაქცევა თავის წინააღმდეგობად, ბოლოს, უარყოფის უარყოფა როგორც ყოველივეს ძირითადი ბირთვი. თუ, მაშასადამე, რუსოს 1754 წელს ჯერ კიდევ არ შეეძლო «ჰეგელის ჟარგონით» ლაპარაკი, იგი მაინც 23 წლით ადრე ჰეგელის დაბადებამდე განუკურნებლად დაავადებული იყო ჰეგელიანობის ჭირით, წინააღმდეგობის დიალექტიკით, ლოგოსის მოძღვრებით, თეოლოგიკით და სხვ. და თუ ბატონი დიურინგი რუსოს თანასწორობის თეორიას აუგვანებს და თავის ორ ძლევამოსილ მამაკაცს ამოქმედებს, ისიც მოლიპულ გზაზე იმყოფება, საიდანაც უიმედოდ მისრიალებს უარყოფის უარყოფის წიაღში. იმ მდგომარეობას, რომელშიც ამ ორი მამაკაცის თანასწორობა ჰყვავის და რომელიც აგრეთვე დახატულია როგორც იდეალური მდგომარეობა, «ფილოსოფიის კურსში» 271 გვერდზე «პირველყოფილი მდგომარეობა» ეწოდება. მაგრამ ეს პირველყოფილი მდგომარეობა 279 გვერდზე გარდაუვალი აუცილებლობით ისპობა «ძარცვა-გლეჯის სისტემის» მიერ: ესაა პირველი უარყოფა. მაგრამ ჩვენ ამჟამად სინამდვილის ფილოსოფიის წყალობით იმას მივაღწიეთ, რომ ძარცვა-გლეჯის სისტემას ვსპობთ და მის ნაცვლად ბატონ დიურინგის მიერ მოგონილ, თანასწორობაზე დაყრდნობილ სამეურნეო კომუნას ვამყარებთ: ესაა უარყოფის უარყოფა, თანასწორობა უმაღლეს საფეხურზე. ვის არ გაუმხიარულებს გულს და ვის არ გაუფართოვებს კეთილისმყოფელად ჰორიზონტს ეს სასაცილო სანახაობა, თუ როგორ სჩადის თვით ბატონ დიურინგის მაღალმოწყალება უარყოფის უარყოფის მომაკვდინებელ ცოდვას!

მაშ, რა არის უარყოფის უარყოფა? ესაა ბუნების, ისტორიის და აზროვნების განვითარების უაღრესად ზოგადი და სწორედ ამიტომ უაღრესად ფართოდ მოქმედი და მნიშვნელოვანი კანონი; როგორც დავინახეთ, ამ კანონს ძალა აქვს როგორც ცხოველების, ისე მცენარეების სამეფოში, როგორც გეოლოგიასა, მათემატიკასა და ისტორიაში, ისე ფილოსოფიაში; მას თავისდა უცოდინარად და ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაუწიოს თავისებურად თვით ბატონმა დიურინგმაც, მიუხედავად მთელი თავისი ჯიუტობისა და წინააღ-

მდეგობისა. თავისთავად იგულისხმება, რომ მე კიდევ არაფერს ვამბობ განვითარების იმ განსაკუთრებულ პროცესზე, რომელსაც, მაგალითად, ქერის მარცვალი გადის ნაყოფის მატარებელი მცენარის ჩასახვიდან დაწყებული სიკვდილამდე, თუ ვიტყვი, რომ იგი უარყოფის უარყოფაა მეთქი. იმიტომ რომ, რადგან ინტეგრალური აღრიცხვაც აგრეთვე უარყოფის უარყოფას წარმოადგენს, საწინააღმდეგო დებულების მტკიცებით მხოლოდ იმ უაზრობის მტკიცებას დავიწყებდი, რომ ქერის ღეროს სიცოცხლის პროცესი ინტეგრალური აღრიცხვაა ან თუ გნებავთ სოციალიზმია მეთქი. მაგრამ სწორედ ესაა, რასაც მეტაფიზიკოსები მუდამ დიალექტიკას მიაწერენ. თუ მე ყველა ამ პროცესის შესახებ ვამბობ, ისინი უარყოფის უარყოფაა მეთქი, მე მათ ყველას ამ ერთი მოძრაობის კანონის ფარგლებში ვაქცევ და სწორედ ამიტომ უყურადღებოდ ვტოვებ ყოველი ცალკე სპეციალური პროცესის თავისებურებას. დიალექტიკა კი სხვა არა არის რა, თუ არა მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოების და აზროვნების მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონების შესახებ.

მაგრამ შეიძლება გვიპასუხონ: აქ წარმოებული უარყოფა სრულიადაც არ წარმოადგენს სწორ უარყოფას; მე ქერის მარცვალს უარვყოფ იმ შემთხვევაშიც, როცა მას ვფქვავ, მწერს, როცა მას ვქულტ, დადებით სიდიდეს a-ს, როდესაც მას ვშლი და ა. შ. ან მე უარვყოფ დებულებას: ვარდი ვარდია, თუ ვიტყვი: ვარდი ვარდი არაა მეთქი; და რა გამოვა, თუ ეს უარყოფა ხელახლა უარვყავი და ვთქვი: ვარდი მაინც ვარდია მეთქი? — ეს შეპასუხებანი მართლაც მეტაფიზიკოსების მთავარ საბუთებს წარმოადგენენ დიალექტიკის წინააღმდეგ და სწორედ შესაფერნიც არიან მათი აზროვნების შეზღუდულობისა. დიალექტიკაში უარყოფა არც უბრალოდ «არას» თქმას ნიშნავს, არც საგნის არარსებულად გამოცხადებას, არც მის ამა თუ იმ რიგად განადგურებას. ჯერ კიდევ სპინოზა ამბობდა: «Omnis determinatio est negatio», ყოველი განსაზღვრა ანუ განმარტება იმავე დროს უარყოფაა. შემდეგ უარყოფის წესი აქ განსაზღვრულია ერთი—პროცესის ზოგადი და მეორე—პროცესის განსაკუთრებული ბუნებით. მე არა მარტო უნდა უარვყო, არამედ ეს უარყოფა ხელახლა უნდა გავაბათილო. მაშასადამე, პირველი უარყოფა ისე უნდა ვაწარმოო, რომ მეორე შესაძლებელი იყოს ან შესაძლებელი გახდეს. როგორ? ყოველი ცალკე შემთხვევის განსაკუთრებული ბუნების მიხედვით. თუ ქერის მარცვალი დავფქვი, თუ მწერი გავქულიტე, მართალია, პირ-

ველ აქტს შევასრულებ, მაგრამ მეორეს შეუძლებელს გავხდი. მაშასადამე, ყოველი სახის საგნისთვის არსებობს განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებელი წესი ისეთი უარყოფისა, რომ ამ უკანასკნელიდან განვითარება წარმოსდგეს; იგივე ითქმის ყოველი სახის წარმოდგენებსა და ცნებებზე. უსასრულო მცირეთა აღრიცხვაში უარყოფა სხვანაირად ხდება, ვიდრე უარყოფითი ფესვებიდან დადებითი ხარისხების მიღებაში. ამას შესწავლა უნდა, როგორც ყოველივე დანარჩენს. მარტოოდენ იმის ცოდნით, რომ ქერის თავთავი და უსასრულო მცირეთა აღრიცხვა უარყოფის უარყოფას ექვემდებარება, მე არც ქერის მოყვანა შემიძლია წარმატებით, არც დიფერენცირება და არც ინტეგრირება, ისევე როგორც მარტოოდენ სიმების ზომებისაგან ბგერების დამოკიდებულების კანონების ცოდნა შესაძლებლობას არ მაძლევს ჭიანური დავუკრა.—მაგრამ ცხადია, რომ ასეთი უარყოფის უარყოფიდან, რომელიც ბავშვურ თავის შექცევაში მდგომარეობს, ისე რომ რიგრიგობით a ხან დადგინდება და შემდეგ წაიშლება, ან ვარდის შესახებ რიგრიგობით მტკიცდება, რომ იგი ვარდია და იგი ვარდი არააო,—არაფერი გამოვა, გარდა იმ კაცის უჭკუობის გამომჟღავნებისა, ვინც ასეთს მოსაწყენ პროცედურას იწყებს. ამავე დროს კი მეტაფიზიკოსებს სურთ დაგვარწმუნონ, სწორედ ესაა მართებული წესი, თუ უარყოფის უარყოფის წარმოება გვინდაო.

მაშასადამე, სწორედ ბატონი დიურინგი ახდენს ჩვენს მისტიფიცირებას, როცა იგი ამტკიცებს, რომ უარყოფის უარყოფა ჰეგელის მიერ მოგონილი, სარწმუნოების დარგიდან ნასესხები, ცოდვაში შთავარდნის და გამოხსნის ისტორიაზე აგებული უცნაური ანალოგიაა. ადამიანები დიალექტიკურად აზროვნებდნენ დიდი ხნით ადრე, სანამ გაიგებდნენ, რა არის დიალექტიკა, ისევე როგორც ისინი პროზით ლაპარაკობდნენ დიდი ხნით ადრე, ვიდრე სიტყვა «პროზა» შეიქმნებოდა. უარყოფის უარყოფის კანონი, რომელიც ხორციელდება ბუნებასა და ისტორიაში და, სანამ იგი შემეცნებული არაა, შეუგნებლად ხდება აგრეთვე ჩვენს თავებშიც, პირველად მხოლოდ ჰეგელმა ჩამოაყალიბა მკვეთრ ფორმულაში. და თუ ბატონ დიურინგს სურს ეს საქმე ფარულად აწარმოოს და მხოლოდ სახელს ვერ იტანს, დეე მან უკეთესი სახელი მონახოს. ხოლო თუ მას თვით საგნის განდევნა სურს აზროვნებიდან, კეთილ ინებოს და თავდაპირველად ბუნებიდან და ისტორიიდან განდევნოს და ისეთი მათემატიკა გამოიგონოს, სადაც—a×—a არ არის

$+a^2$ და სადაც დასჯა ემუქრება იმას, ვინც დიფერენციაციას და ინტეგრაციას აწარმოებს.

XIV

დასკვნა

ჩვენ დავასრულეთ ფილოსოფიის განხილვა; იმას, რაც «კურსში» მომავლის ფანტაზიებზეა ნათქვამი, ჩვენ შევეხებით იმ გადატრიალების გარჩევის დროს, რომელიც ბატონმა დიურინგმა მოახდინა სოციალიზმის დარგში. რა აღგვითქვა ბატონმა დიურინგმა? ყოველივე. და რა შეასრულა მან? სრულიად არაფერი. «ნამდვილი და ამის მიხედვით ბუნებისა და ცხოვრების სინამდვილისკენ მიმართული ფილოსოფიის ელემენტები», «მკაცრი მეცნიერული მსოფლმხედველობა», «სისტემის შემქმნელი აზრები» და ბატონი დიურინგის სხვა ღვაწლი, ბატონი დიურინგის მიერვე მაღალფარდოვანი ფრაზებით გახმაურებული, პირველი შეხებისთანავე ა შ კ ა რ ა თ ვ ა ლ ი ს ა ხ ვ ე ვ ა აღმოჩნდა. სამყაროს სქემატიკა, რომელმაც «აზრის სიღრმის დაუთმობლად არსის ძირითადი ფორმები დაადგინა ურყევად», ჰეგელის ლოგიკის უსაზღვროდ ზერელე ანარეკლი გამოდგა და მის იმ ცრუმორწმუნეობას იზიარებს, თითქოს «ძირითადი ფორმები» ანუ ლოგიკური კატეგორიები საიდუმლოებით აღსავსე არსებობას ატარებენ სადღაც იმ სამყარომდე და სამყაროს გარეშე, რომელსაც ისინი უნდა «მივუყენოთო». ნატურფილოსოფიამ მოგვაწოდა კოსმოგონია, რომლის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს «მატერიის თავის თავისადმი თანაბარი მდგომარეობა», რომლის წარმოდგენა შეიძლება მხოლოდ უნუგეშო არევდარევის შემწეობით მატერიის და მოძრაობის კავშირის თაობაზე და რომლის წარმოდგენა ამას გარდა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ სამყაროს გარეშე არსებულ პიროვნულ ღმერთს ვცნობთ; მხოლოდ ამ ღმერთს შეუძლია ამ მდგომარეობის ამოძრავება. ორგანული ბუნების განხილვის დროს სინამდვილის ფილოსოფია იძულებული იყო, მას შემდეგ, რაც მან დაჰგმო დარვინისეული ბრძოლა არსებობისთვის და ბუნებრივი შერჩევა «როგორც ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული მხეცობის საკმაოდ მოზრდილი დოზა», ხელახლა ორივე უკანა კარიდან შემოეშვა როგორც ბუნებაში მოქმედი ფაქტორები, თუნდაც მეორე ხარისხისა. ამასთანავე მან შემთხვევა იპოვა ისეთი უმეცრება გამოემეღავნებინა ბიოლოგიის დარგში, რომლის მსგავსი დღეს, რო-

ცა ადამიანი ვეღარ გაექცევა პოპულარულ-მეცნიერულ ლექციებს, სანთლით უნდა ეძებო «განათლებული წოდების» ქალიშვილებს შორისაც კი. მორალისა და სამართლის ასპარეზზე რუსოს მოძღვრების გაუხამსებას უფრო ბედნიერი შედეგები არ გამოუწვევია, ვიდრე წინათ ჰეგელის გაწყალებამ გამოიწვია; სამართლის მეცნიერების მიმართაც, იმის მიუხედავად, რომ ავტორი წინააღმდეგს ირწმუნებოდა, მან ისეთი უმეცრება გამოიჩინა, რომლის მსგავსს იშვიათად ვხედებით თვით ჩვეულებრივ ძველ პრუსიელ იურისტებს შორისაც. ფილოსოფია, «რომელიც არავითარ მხოლოდ მოჩვენებით ჰორიზონტს არ ცნობს», იურიდიულად იმ ნამდვილი ჰორიზონტით კმაყოფილდება, რომელიც პრუსიის საერობო სამართლის მოქმედების სფეროთი იფარგლება. ჩვენ ჯერ კიდევ ველით «გარეგანი და შინაგანი ბუნების ქვესკნელსა და ზესკნელს», რომლის გაშლა ჩვენს წინაშე აღგვითქვა ამ ფილოსოფიამ თავის ძალოვან ყოვლის გადამტრიალებელ მოძრაობაში; ასევე ნაკლებ არ მოველით აგრეთვე «უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებებს» და «აბსოლუტურად ფუნდამენტალურს». აღმოჩნდა, რომ ფილოსოფოსი, რომლის აზროვნების წესი გამორიცხავს ყოველივე მისწრაფებას «სამყაროს სუბიექტივისტურად შეზღუდული წარმოდგენისადმი», არა მარტო სუბიექტივისტურად შეზღუდული ყოფილა, როგორც ეს ჩვენ დავადგინეთ, უკიდურესად არასაკმარისი ცოდნით, თავისი შეზღუდული ვიწრო მეტაფიზიკური აზროვნების წესით და კარიკატურული თვითგანდიდებით, არამედ თვით ბალღური ჟირადი ეინიანობითაც. მას არ ძალუძს ააგოს თავისი სინამდვილის ფილოსოფია ისე, რომ მთელ დანარჩენ კაცობრიობას, ებრაელების ჩათვლით, როგორც საყოველთაო კანონი თავს არ მოახვიოს თავისი სიძულვილი თუთუნისა, კატებისა და ებრაელების მიმართ. მისი «ჭეშმარიტად კრიტიკული თვალსაზრისი» სხვა ადამიანების მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ მათ ჯიქურად ისეთ რამეებს აწერს, რაც მათ არ უთქვამთ და რაც თვით ბატონი დიურინგის საკუთარი ნაწარმოებია. მისი წყალწყალა მათხოვრული სალაფავი, მსჯელობანი ფილისტერულ თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, ცხოვრების ღირებულება და ცხოვრებით დატკბობის საუკეთესო საშუალება, ისეთი ფილისტერობითაა გაჟღენთილი, რომ გასაგები ხდება მისი გაბოროტება გოეთეს ფაუსტის წინააღმდეგ. მართლაც გოეთეს არ ეპატიება, რომ მან გმირად უზნეო ფაუსტი გახადა და არა სინამდვილის სერიოზული ფილოსოფოსი ვაგნერი. — ერთი სიტყვით, სინამდვილის ფილოსოფია, ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ,

«გერმანული განმანათლებლობის ყველაზე წყალწყალა ნალექი» აღმოჩნდა, ნალექი, რომლის თხელი და გამქვირვალე უგვანობა სქელდება და იმღვრევა მხოლოდ მისნური ენამქევრობის ნამცეცების შიგ ჩაყრით. და როცა წიგნის კითხვას ვამთავრებთ, ვხედავთ, რომ იმდენივე ვიცით, რაც უწინ, მის დაწყებამდე ვიცოდით; იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ მართალია, «აზროვნების ახალმა წესმა», «ძირიან-ფესვიანად თავისებურმა შედეგებმა და შეხედულებებმა» და «სისტემის შემქმნელმა აზრებმა» სხვადასხვაგვარი ახალი უაზრობა მოგვიძღვნა, მაგრამ მათ შორის არ იყო არც ერთი სტრიქონი, საიდანაც რაიმეს სწავლა შეგვძლებოდა. და ეს ადამიანი, რომელიც თავის ხელოვნებას და თავის საქონელს საყვირის და დაფდაფების ხმაურით აქებს და ადიდებს, არა ნაკლებ, ვიდრე ბაზრის ჩვეულებრივი რეკლამისტი, და რომლის მაღალფარდოვანი სიტყვების უკან არაფერი, სრულიად არაფერი ჩანს, ეს ადამიანი იმდენად კადნიერდება, რომ შარლატანებს უწოდებს ისეთ ადამიანებს, როგორიც არიან ფიხტე, შელინგი და ჰეგელი, რომელთაგანაც ყველაზე ნაკლებ გამოჩენილიც კი დევგმირია მასთან შედარებით. აქ ვილაც მართლაც შარლატანია, მაგრამ ვინ?

მეორე განყოფილება

პოლიტიკური ეკონომია

I

საგანი და მეთოდი

პოლიტიკური ეკონომია, ყველაზე ფართო გაგებით, არის მეცნიერება იმ კანონების შესახებ, რომლებიც განაგებენ მატერიალურ საარსებო საშუალებათა წარმოებასა და გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში. წარმოება და გაცვლა ორი სხვადასხვა ფუნქციაა. წარმოება შეიძლება გაცვლის გარეშე მიმდინარეობდეს, გაცვლა კი— რადგან იგი სწორედ იმთავითვე პროდუქტების გაცვლა-გამოცვლაა, არ შეიძლება უწარმოებოდ ხდებოდეს. თვითეული ეს საზოგადოებრივი ფუნქცია უმეტესწილად განსაკუთრებულ გარეგან ზემოქმედებათა გავლენას განიცდის და ამიტომ მეტწილად მათ აგრეთვე საკუთარი, განსაკუთრებული კანონები აქვთ. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ფუნქციები ერთიმეორის პირობას წარმოადგენენ ყოველ მომენტში და იმზომად მოქმედებენ ერთიმეორეზე, რომ მათ შეიძლება ეკონომიური მრუდის აბსცისი და ორდინატი ეუწოდოთ.

პირობები, რომელშიაც ადამიანები პროდუქტებს აწარმოებენ და ცვლიან, იცვლება ქვეყნიდან ქვეყანაში, ხოლო თვითეულ ქვეყანაში, თავის მხრივ, თაობიდან თაობაში. ამიტომ პოლიტიკური ეკონომია ერთი და იგივე ვერ იქნება ყველა ქვეყნისა და ყველა ისტორიული ეპოქისათვის. უზარმაზარი მანძილია, ერთი მხრივ, ველური ტომების მშვილდისარსა, ქვის დანასა და მხოლოდ გამონაკლისის სახით წარმოებულ გაცვლასა, და, მეორე მხრივ, ათასცხენისძალიან ორთქლის მანქანასა, მექანიკურ საქსოვ დაზგასა, რკინა-

გზებსა და ინგლისის ბანკს შორის. ცეცხლის ქვეყნის მცხოვრებლები ვერ მივიდნენ მასობრივ წარმოებასა და მსოფლიო ვაჭრობამდე, ასევე ვერ მივიდნენ ისინი თამასუქების სპეკულაციამდე ან ბირჟის კრახამდე. ამიტომ ვინც მოისურვებს, რომ ერთსა და იმავე კანონს დაუქვემდებაროს ცეცხლის ქვეყნისა და თანამედროვე ინგლისის პოლიტიკური ეკონომია, ის ცხადია, ვერაფერს მოგვცემდა, გარდა უაღრესად ბანალური აზრებისა. ამრიგად, პოლიტიკური ეკონომია არსებითად ისტორიული მეცნიერებაა. იგი ამუშავებს ისტორიულ, მაშასადამე, მუდამ ცვალებად მასალას; იგი, უწინარეს ყოვლისა, იკვლევს წარმოებისა და გაცვლის განვითარების თვითეული ცალკე საფეხურის განსაკუთრებულ კანონებს და მას მხოლოდ ამ გამოკვლევის დასასრულს შეუძლია წამოაყენოს ორიოდე ზოგადი კანონი, რომელსაც ძალა აქვს წარმოებისა და გაცვლისათვის საერთოდ. ამასთანავე თავისთავად იგულისხმება, რომ კანონები, რომლებსაც ძალა აქვთ წარმოების განსაზღვრული წესებისა და გაცვლის ფორმებისათვის, ამ ძალას ინარჩუნებენ აგრეთვე ყველა ისტორიული პერიოდისთვის, რომელშიც საერთოა წარმოების ეს წესები და გაცვლის ფორმები. ასე, მაგალითად, ლითონის ფულის შემოღებასთან ერთად მოქმედებას იწყებს მთელი რიგი კანონები, რომლებიც ძალას ინარჩუნებენ ყველა ქვეყნისა და ყველა ისტორიული პერიოდისათვის, რომელშიც ლითონის ფული გაცვლას შუამავლობს.

განსაზღვრული ისტორიული საზოგადოების წარმოების და გაცვლის სახესა და წესზე, და ამ საზოგადოების ისტორიულ წინაპირობებზე დამოკიდებულია ამ პროდუქტების განაწილების სახე და წესიც. თავისთავად იგულისხმება, რომ გვაროვნულ ან სასოფლო თემში, რომელსაც საერთოდ მიწათსაკუთრება აქვს და რომლის მეტად თვალსაჩინო ნაშთით ყველა კულტურული ხალხი ისტორიაში შედის, პროდუქტები საკმაოდ თანაბრად ნაწილდება; სადაც წევრებს შორის განაწილების მხრივ უფრო დიდი უთანასწორობა მყარდება, იქ ის უკვე თემის დაწყებული დაშლის ნიშანია. — როგორც მსხვილი, ისე წვრილი მიწათმოქმედება იმ ისტორიული წინაპირობების მიხედვით, საიდანაც ისინი განვითარდნენ, განაწილების მეტად განსხვავებულ ფორმებს ხდის შესაძლებლად. მაგრამ აშკარაა, რომ მსხვილი მიწათმოქმედება მუდამ სხვანაირ განაწილებას იწვევს, ვიდრე წვრილი; მსხვილი მიწათმოქმედება გულისხმობს ან ჰქმნის კლასთა დაპირისპირებას მონათმფლობელებსა და მონებსა, მემამულეებსა და საბატონო მებეგრე გლეხებსა, კაპიტალისტებსა

და დაქირავებულ მუშებს შორის, მაშინ როცა წვრილი მიწათმოქმედების დროს სრულიადაც აუცილებელი არაა კლასობრივი განსხვავება სამიწათმოქმედო წარმოებაში ჩაბმულ ინდივიდუუმებს შორის და, პირიქით, ამ განსხვავების არსებობის თვით ფაქტი მოწმობს პარცელური მეურნეობის დაქვეითების დასაწყისს. — ლითონის ფულის შემოღება და გავრცელება ისეთ ქვეყანაში, სადაც მანამდე მხოლოდ და მხოლოდ ან უმთავრესად ნატურალური მეურნეობა ბატონობდა, ყოველთვის დაკავშირებულია წინანდელი განაწილების მეტად თუ ნაკლებად სწრაფ გადატრიალებასთან, სახელდობრ ისე, რომ განაწილების უთანასწორობა ცალკე პირთა შორის, მაშასადამე, მდიდართა და ღარიბთა წინააღმდეგობა, თანდათან მატულობს. — რამდენადაც შუა საუკუნეების ადგილობრივი, ამჭრული ხელოსნური წარმოება შეუძლებელს ხდიდა მსხვილ კაპიტალისტებსა და მთელი სიცოცხლის მანძილზე დაქირავებულ მუშებს, ამდენადვე მათ აუცილებლად ჰქმნიან თანამედროვე მსხვილი ინდუსტრია, თანამედროვე კრედიტის განვითარება და მათ ორიეს განვითარების შესაფერი გაცვლის ფორმა, თავისუფალი კონკურენცია.

მაგრამ განაწილებაში მომხდარ განსხვავებასთან ერთად თავს იჩენენ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ნ ი ც. საზოგადოება ნაწილდება პრივილეგიებით აღჭურვილ და დაზარალებულ, ექსპლოატატორ და ექსპლოატირებულ, გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებად, და სახელმწიფო, რომელიც განვითარდა მონათესავე ტომთა თემების ბუნებრივად აღმოცენებული ჯგუფებიდან, თავდაპირველად მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავიანთი საერთო ინტერესები დაეკმაყოფილებინათ (მაგალითად, აღმოსავლეთში—მორწყვა) და გარეშე მტრებისაგან თავი დაეცვათ, ამიერიდან ახალ მიზანს ისახავს, სახელდობრ ძალმომრეობის საშუალებით დაიცვას მმართველი კლასის ცხოვრებისა და ბატონობის პირობები ჩაგრული კლასის წინააღმდეგ.

მაგრამ განაწილება წარმოების და გაცვლის უბრალო პასიურ შედეგს როდი წარმოადგენს; იგი თავის მხრივ უკუზეგავლენას ახდენს წარმოებასა და გაცვლაზე. წარმოების ყოველ ახალ წესს ან გაცვლის ახალ ფორმას თავდაპირველად აფერხებს არა მარტო ძველი ფორმები ან მათი შესაფერი პოლიტიკური დაწესებულებები, არამედ აგრეთვე განაწილების ძველი წესიც. წარმოების ახალმა წესმა და გაცვლის ახალმა ფორმამ თავიანთი შესაფერი განაწილება მხოლოდ ხანგრძლივ ბრძოლაში უნდა მოიპოვოს. მაგრამ

რაც უფრო მოძრავია წარმოებისა და გაცვლის ესა თუ ის წესი, რაც უფრო მეტად აქვს მას გარდაქმნისა და განვითარების უნარი, მით უფრო ჩქარა აღწევს განაწილებაც ისეთ საფეხურს, სადაც იგი ზრდაში გაუსწრებს თავის მშობელს და წინააღმდეგობაში ვარდება წარმოებისა და გაცვლის წინანდელ წესთან. ძველი, პირველყოფილი, ბუნებრივად აღმოცენებული თემები, რომელთა შესახებ უკვე საუბარი იყო, შეიძლება ათასი წლები არსებობდნენ, როგორც დღესაც არსებობენ ინდოელებსა და სლავიანებში, სანამ ურთიერთობა გარეშე ქვეყნიერებასთან ამ თემების შიგნით არ შექმნიდეს ქონებრივ განსხვავებებს, რის გამო იწყება მათი დაშლა. პირიქით, თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოებამ, რომელიც სამასი წლის ძლივს იქნება და გაბატონდა მხოლოდ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, ე. ი. მსხვილი ინდუსტრიის შემოღების შემდეგ, ამ მოკლე ხანში მოასწრო შეექმნა განაწილების წინააღმდეგობანი,— კაპიტალების კონცენტრაცია რამდენიმე კაცის ხელში, ერთი მხრივ, უქონელი მასების კონცენტრაცია დიდ ქალაქებში, მეორე მხრივ, —რის წყალობითაც იგი აუცილებლად უნდა დაიღუპოს.

ყოველგვარი განაწილების კავშირი ამა თუ იმ საზოგადოების არსებობის ყოველგვარ მატერიალურ პირობებთან იმდენად ფესვგადგმულია საქმის ბუნებაში, რომ იგი, როგორც წესი, აირეკლება ხალხის ინსტინქტში. სანამ წარმოების გარკვეული წესი თავისი განვითარების ზეაღმავალ სტადიაში იმყოფება, მას ქებას უძღვნიან თვით ისინიც კი, რომლებიც ზარალობენ მისი შესაფერი განაწილების წესის წყალობით. ეს ითქმის მსხვილი ინდუსტრიის აღმავლობის დროის ინგლისელ მუშებზე. კიდევ მეტი: სანამ წარმოების ეს წესი საზოგადოებრივად ნორმალურია, მანამდე საზოგადოდ ბატონობს კმაყოფილება განაწილების გამო, და თუ პროტესტი მაინც გაისმის, მხოლოდ თვით გაბატონებული კლასის წიაღიდან (სენსიმონი, ფურიე, ოუენი), და ეს პროტესტი არავითარ გამოხმაურებას არ პოვებს სწორედ ექსპლოატირებულ მასებში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარმოების სათანადო წესმა უკვე გაანვლო თავისი დაღმავალი სტადიის საკმაოდ დიდი მანძილი, როცა მან სანახევროდ მოჭამა თავისი დრო, როცა მისი არსებობის პირობები უმეტესწილად გაჰქრა, ხოლო მისი მემკვიდრე უკვე კარს უკაკუნებს, მხოლოდ მაშინ გვეჩვენება უსამართლოდ სულ უფრო და უფრო მზარდი უთანასწორობა განაწილებაში, მხოლოდ მაშინ მოუწოდებენ ადამიანები დრომოჭმული ფაქტებიდან ეგრეთწოდებული სამართლიანობისაკენ. ეს მოწოდება ზნეო-

ბისა და სამართლისადმი მეცნიერული თვალსაზრისით ოდნავადაც არ გვშველის; ეკონომიურ მეცნიერებას ამ ზნეობრივ აღშფოთებაში, რარიგ სამართლიანიც უნდა იყოს იგი, შეუძლია მხოლოდ სიმპტომი დაინახოს და არა დამამტკიცებელი საბუთი. მის ამოცანას უფრო ის წარმოადგენს, დაამტკიცოს, რომ ახლად გამოჩენილი საზოგადოებრივი უწესრიგობანი წარმოების არსებული წესის აუცილებელი შედეგია, მაგრამ ამავე დროს მისი მოახლოებული დაშლის ნიშანიცაა; ამასთანავე დაშლის პროცესში მყოფი ეკონომიური მოძრაობის ფორმის შიგნით მან უნდა აღმოაჩინოს წარმოებისა და გაცვლის მომავალი, იმ უწესრიგობის გადამლახავი, ახალი ორგანიზაციის ელემენტები. გულისწყრომა, რომელიც პოეტებს ჰქმნის, სრულიად სამართლიანია ამ უწესრიგობის დახატვის დროს, ისევე როგორც «ჰარმონიის» იმ ქადაგებზე თავდასხმის დროს, რომლებიც უარყოფენ ან ალამაზებენ ამ უწესრიგობას გაბატონებული კლასის სამსახურში; მაგრამ რარიგ ნაკლებად გამოდგება იგი ამა თუ იმ შემთხვევაში დ ა მ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ლ ს ა ბ უ თ ა დ, იქიდან ჩანს, რომ წარსული ისტორიის ყ ო ვ ე ლ ეპოქაში მასალა საკმაოდ მოიპოვებოდა გულისწყრომისათვის.

პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება პირობებისა და ფორმების შესახებ, რომელშიც ადამიანთა სხვადასხვა საზოგადოებანი პროდუქტებს აწარმოებენ და ცვლიან, და რომელშიც ამისდა მიხედვით ყოველთვის პროდუქტები ნაწილდება, პოლიტიკური ეკონომია სიტყვის ასეთი ფართო გაგებით ჯერ კიდევ უნდა შეიქმნას. ის, რასაც ამჟამად ეკონომიური მეცნიერება გვაძლევს, თითქმის გამოუკლებლივ წარმოების კაპიტალისტური წესის გენეზისითა და განვითარებით განისაზღვრება: იგი იწყებს წარმოებისა და გაცვლის ფეოდალური ფორმების ნაშთის კრიტიკით, ამტკიცებს, რომ აუცილებელია მისი შეცვლა კაპიტალისტური ფორმების მიერ, შემდეგ ანვითარებს წარმოების კაპიტალისტური წესის კანონებს და მის შესაფერ გაცვლის ფორმებს დადებითი მხრით, ე. ი. იმდენად, რამდენადაც ისინი საზოგადოების საერთო მიზნებს უწყობენ ხელს და ამთავრებს წარმოების კაპიტალისტური წესის სოციალისტური კრიტიკით, ე. ი. მისი კანონების გადმოცემით უარყოფითი მხრით, იმის მტკიცებით, რომ წარმოების ეს წესი თავისი საკუთარი განვითარების ძალით მიისწრაფვის იმ წერტილისაკენ, სადაც იგი თავის თავს შეუძლებლად ხდის. ეს კრიტიკა ამტკიცებს, რომ წარმოების და გაცვლის კაპიტალისტური ფორმები თანდათან აუტანელი ბორკილი ხდება თვით წარმოებისათვის; რომ იმ ფორმების

მიერ აუცილებლად გამოწვეული განაწილების წესი ქმნის კლასთა აუტანელ მდგომარეობას, დღითი-დღე უფრო და უფრო გამწვავებულ წინააღმდეგობას მცირერიცხოვან, მაგრამ სულ უფრო და უფრო გამდიდრებულ კაპიტალისტებსა და თანდათან უფრო მრავალრიცხოვან, საერთოდ უფრო და უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილ უქონელ დაქირავებულ მუშებს შორის; და, ბოლოს, ეს კრიტიკა ამტკიცებს, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის ფარგლებში შექმნილი, მასობრივი საწარმოო ძალები, რომელთა დამორჩილება მათ აღარ ძალუძთ, ელიან მხოლოდ დაპყრობას გეგმიანი საერთო შრომისთვის ორგანიზაციაქმნილი საზოგადოების მიერ, რათა საზოგადოების ყველა წევრს არსებობის და თავის ნიჭის თავისუფალი განვითარების საშუალება მიეცეს და ისიც სულ უფრო და უფრო მზარდი ზომით.

რათა სავსებით გატარებულიყო ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ეს კრიტიკა, საკმაო როდი იყო წარმოების, გაცვლისა და განაწილების კაპიტალისტური ფორმის ცოდნა. საჭირო იყო აგრეთვე, ყოველ შემთხვევაში მთავარ ხაზებში, გამოკვლეულიყო და შესადარებლად გამოყენებულიყო ის ფორმები, რომლებიც მას წინ უსწრებდნენ ანდა, რომლებიც მის გვერდით ჯერ კიდევ არსებობენ ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში. ასეთი გამოკვლევა და შედარება დღემდე საერთოდ და მთლიანად მხოლოდ მარქსმა მოახდინა, და ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ მის გამოკვლევებს უნდა ეუმადლოდეთ იმას, რაც დღემდე დადგენილია წინაბურჟუაზიული თეორიული ეკონომიის დარგში.

თუმცა პოლიტიკური ეკონომია, ამ ცნების ვიწრო გაგებით, წარმოიშვა გენიოსი ადამიანების თავებში XVII საუკუნის დამლევს, მაგრამ თავისი იმ დადებითი ფორმულირებით, რომელიც მას ფიზიოკრატებმა და ადამ სმიტმა მისცეს, იგი არსებითად მაინც XVIII საუკუნის პირმშოა, და იმავე დროის დიდი ფრანგი განმანათლებლების მიღწევათა რიცხვში დგას და იმ ეპოქის ყველა ნაკლსა და ღირსებას იზიარებს. რაც ჩვენ განმანათლებელთა შესახებ ვთქვით, შეიძლება იმდროინდელ ეკონომისტებზედაც გავიმეოროთ. ახალი მეცნიერება მათ თვალში წარმოადგენდა არა მათი ეპოქის დამოკიდებულებათა და მოთხოვნილებათა გამოხატულებას, არამედ სამარადისო გონების გამოხატულებას; წარმოებისა და გაცვლის მის მიერ აღმოჩენილი კანონები წარმოადგენდნენ არა ამ მოქმედებათა ისტორიულად განსაზღვრული ფორმის კანონებს, არამედ ბუნების სამარადისო კანონებს; ისინი ადამიანის ბუნებიდან გა-

მოჰყავდათ. მაგრამ ახლო განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი მხოლოდ იმდროინდელი საშუალო ბიურგერი იყო, რომელიც ბურჟუად გადაქცევის პროცესს განიცდიდა, და მისი ბუნება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი საქონელს აწარმოებდა და ვაჭრობდა იმდროინდელ, ისტორიულად განსაზღვრულ პირობებში.

მას შემდეგ, რაც საკმაოდ გაეცანით ჩვენს «კრიტიკულ ფუძემდებელს», ბატონ დიურინგს და მის მეთოდს ფილოსოფიაში, შეგვიძლია ადვილად ვიწინასწარმეტყველოთ, როგორ გაიგებს იგი პოლიტიკურ ეკონომიას. ფილოსოფიაში, სადაც იგი უბრალოდ არ როშავდა სისულელეს (როგორც, მაგ., ნატურფილოსოფიაში), მისი შეხედულება XVIII საუკუნის შეხედულებების კარიკატურა იყო. მისთვის საქმე ეხებოდა არა განვითარების ისტორიულ კანონებს, არამედ ბუნების კანონებს, სამარადისო ჭეშმარიტებებს. საზოგადოებრივი ურთიერთობანი, როგორიცაა მორალი და სამართალი, წყდებოდა არა ამა თუ იმ დროის ისტორიული პირობების მიხედვით, არამედ ორი ყბადაღებული მამაკაცის შემწეობით, რომელთაგანაც ერთი მეორეს ან ჩაგრავს, ან არ ჩაგრავს, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ მომხდარა. ამიტომ ჩვენ არ შევცდებით, თუ დავასკვნით, რომ ბატონი დიურინგი პოლიტიკურ ეკონომიასაც უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებებსა, ბუნების სამარადისო კანონებსა, აბსოლუტურად უშინაარსო ტავტოლოგიურ აქსიომებზე დაიყვანს, მაგრამ ამასთანავე პოლიტიკური ეკონომიის მთელ დადებით შინაარსს, რამდენადაც იგი მას იცნობს, ხელახლა უკანა კარებიდან შემოაპარებს კონტრაბანდად; ხოლო განაწილებას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, იგი განავითარებს არა წარმოებიდან და გაცვლიდან, არამედ თავის ორ სახელოვან მამაკაცს გადასცემს საბოლოოდ მოსაგვარებლად. მაგრამ რადგანაც ყოველივე ეს ჩვენთვის უკვე დიდი ხნის ცნობილი ოინებია, შეგვიძლია მოკლე განხილვით დავკმაყოფილდეთ.

მართლაც, უკვე მეორე გვერდზე ბატონი დიურინგი აცხადებს, ჩემი ეკონომიკური თეორია ემყარება იმას, რაც ჩემს ფილოსოფიაში «მტკიცედაა დაფუძნებული» და «ზოგიერთ არსებით პუნქტში ეყრდნობა უფრო მაღალი რიგის, კ ვ ლ ე ვ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ს ფ ე რ ო შ ი უ კ ვ ე ს ა ბ ო ლ ო ო დ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ებ ს ო».—ყველგან იგივე აბეზარი თვითგანდიდება ჩანს. ყველგან ბატონი დიურინგი ზეიმობს ბატონ დიურინგის მიერ მტკიცედ დაფუძნებული და დამთავრებული საკითხების გამო. მართ-

ლაც, ბევრი რამ დამთავრებულია, ეს ჩვენ საკმაოდ დავინახეთ, მაგრამ დამთავრებულია ისე, როგორც დამთავრებულად ჩაითვლება მბეუტავი სანთლის ჩაქრობა[1].

მაშინვე ამის შემდეგ «ყოველი მეურნეობის ყველაზე უფრო ზოგად ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ებ ს გვამცნობენ»,—მაშასადამე, სწორად გამოგვიცვნია. მაგრამ ეს ბუნებრივი კანონები მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაძლევენ წარსული ისტორიის სწორ გაგებას, თუ მათ «გამოიკვლევენ იმ უფრო გარკვეული ფორმით, რომელიც მათმა შედეგებმა მიიღეს დამორჩილების და დაჯგუფების პოლიტიკური ფორმების წყალობით. ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა მონობა და დაქირავებული კაბალა, რომელთაც ტყუპისცალივით ძალდატანებითი საკუთრება ემატება, უნდა განხილულ იქნეს როგორც წმინდა პოლიტიკური ხასიათის სოციალ-ეკონომიური წყობის ფორმები, და დღემდე იმ ჩარჩოებს წარმოადგენენ, რომლის ფარგლებშიც მხოლოდ დღემდე შეიძლებოდა გამომჟღავნებულიყო სამეურნეო ბუნებრივი კანონების მოქმედება».

ეს დებულება საყვირის ხმაა, რომელიც ვაგნერის ლეიტმოტივის მსგავსად ორი ყბადაღგბული მამაკაცის გამოსვლას გვაუწყებს. მაგრამ იგი კიდევ მეტია, იგი ბატონ დიურინგის მთელი წიგნის ძირითად თემას წარმოადგენს. სამართლის განხილვის დროს ბატონმა დიურინგმა ვერაფერი მოგვცა, გარდა სოციალისტურ ენაზე რუსოს თანასწორობის თეორიის ცუდი თარგმანისა, რომლის ბევრად უკეთესი ნიმუშები პარიზის ყოველ მუშათა ლუდხანაში შეგვიძლია მოვისმინოთ უკვე დიდი ხანია. აქ იგი იძლევა არა უკეთესს, ეკონომისტების ჩვეულის სოციალისტურ თარგმანს ეკონომიური სამართლისა ბუნებრივი კანონებისა და მათი მოქმედებების გაუკუღმართების შესახებ, სახელმწიფოს, ძალდატანების ჩარევის გამო. და ამ მხრივ იგი დამსახურებულად სრულიად განმარტოებული დგას სოციალისტებს შორის. ყოველმა სოციალისტმა მუშამ, რომელი ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, ძლიერ კარგად იცის, რომ ძალმომრეობა მხოლოდ იცავს, მაგრამ არ იწვევს ექსპლოატაციას, რომ კაპიტალის და დაქირავებული შრომის ურთიერთობა მისი ექსპლოატაციის საფუძველს წარმოადგენს და რომ ეს უკანასკნელი წმინდა ეკონომიური და არა ძალდატანებითი გზით წარმოსდგა.

---

[1] დედანში ძნელად სათარგმნელი სიტყვათა თამაშია, ზმობა, ausmachen ნიშნავს დამთავრებას, აგრეთვე ჩაქრობას. რ ე დ.

შემდეგ ჩვენ ვიგებთ, რომ ყველა ეკონომიურ საკითხში «შეიძლება ორი პროცესი გავარჩიოთ, სახელდობრ წარმოებისა და განაწილების პროცესი». ცნობილმა ზერელე ჟ. ბ. სეიმ ამათ მესამე პროცესი დაუმატა, მოხმარების პროცესი, მაგრამ მის შესახებ ვერც მან, ვერც მისმა მიმდევარმა, ვერაფერი თქვეს აზრიანი. გაცვლა ანუ ცირკულაცია კი მხოლოდ წარმოების ქვეგანყოფილებას წარმოადგენს, რადგან წარმოებას ყველაფერი ეკუთვნის, რაც უნდა მოხდეს, რათა ნაწარმოებმა უკანასკნელ, ნამდვილ მომხმარებელს მიაღწიოსო.—თუ ბატონი დიურინგი ერთმანეთში ურევს ორ არსებითად განსხვავებულ, თუმცა ურთიერთგამპირობებელ წარმოების და ცირკულაციის პროცესს და სრულიად უცერემონიოდ ამტკიცებს, ამ არევდარევის უგულებელყოფა მხოლოდ «არევდარევას გამოიწვევსო», ამით მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ არ იცნობს ან არ გაეგება ის უზარმაზარი განვითარება, რომელიც სწორედ ცირკულაციამ გააკეთა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში; ამას მთელი მისი წიგნიც ადასტურებს. მაგრამ ეს არ კმარა. რაკი მან წარმოება და გაცვლა უბრალოდ შეაერთა საერთოდ წარმოების სახით, განაწილებას წარმოების გ ვ ე რ დ ი თ აყენებს როგორც მეორე, სრულიად გარეგან პროცესს, რომელსაც პირველთან არაფერი აქვს საერთო. ჩვენ კი დავინახეთ, რომ განაწილება თავის უმთავრეს ხაზებში ყოველთვის წარმოადგენს განსაზღვრული საზოგადოების წარმოებისა და გაცვლითი ურთიერთობის, აგრეთვე ამ საზოგადოების ისტორიულ წინაპირობათა აუცილებელ შედეგს, ისე რომ, თუ ჩვენ ამ უკანასკნელებს ვიცნობთ, გარკვევით შეგვიძლია დავასკვნათ, როგორი ხასიათისაა ამ საზოგადოებაში გაბატონებული განაწილების წესი. მაგრამ ჩვენ ვხედავთ იმასაც, რომ თუ ბატონ დიურინგს არ სურს უღალატოს თავის მორალის, სამართლის და ისტორიის მოძღვრებაში «მტკიცედ დადგენილ» პრინციპებს, მან უნდა უარყოს ეს ელემენტარული ეკონომიური ფაქტი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ისე დგას, რომ მან პოლიტიკურ ეკონომიაში კონტრაბანდით უნდა შეაპაროს თავისი ორი აუცილებელი მამაკაცი. ეს დიდი ამბავი შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც განაწილება ბედნიერად განიძარცვა წარმოებასა და გაცვლასთან ყოველი კავშირისაგან.

მაგრამ გავიხსენოთ, უწინარეს ყოვლისა, როგორი იყო საქმის ვითარება მორალისა და სამართლის გარჩევის დროს. აქ ბატონმა დიურინგმა თავდაპირველად საკითხის გარჩევა ერთადერთი ადა-

მიანიდან დაიწყო; მან თქვა: «ერთ ადამიანს, რამდენადაც მას წარმოვიდგენთ მარტოდმარტო, ანუ, რაც იგივეა, სხვებთან ყოველი ურთიერთობის გარეშე, შეუძლებელია ჰქონდეს რაიმე ვ ა ლ დ ებ ულ ებ ა ნ ი. მისთვის არსებობს არა ვ ა ლ დ ებ ულ ებ ა, არამედ მხოლოდ სურვილი». მაგრამ რა არის ეს უვალდებულო, განმარტოვებულად წარმოდგენილი ადამიანი, თუ არა ფატალური «პირველყოფილი ურია ადამი» სამოთხეში, სადაც იგი უცოდველია სწორედ იმიტომ, რომ არ შეუძლია რაიმე ცოდვა ჩაიდინოს?—მაგრამ ამ სინამდვილის ფილოსოფიის ადამსაც ცოდვაში შთავარდნა მოელის. ამ ადამის გვერდით ანაზდეულად ხშირ ხუჭუჭთმიანი ევა თუ არ გამოდის, ყოველ შემთხვევაში მეორე ადამი მაინც გამოდის. და მაშინვე ადამს ვალდებულებანი ეკისრება, რომლებსაც იგი არღვევს. იმის მაგიერ, რომ თავისი ძმა მკერდზე მიიკრას როგორც თანასწორუფლებიანი, იგი მას თავის ბატონობას უქვემდებარებს, იმონებს, და ამ პირველი ცოდვის, დამონების მემკვიდრეობითი ცოდვის ტვირთს მთელი მსოფლიო ისტორია ითმენს დღემდე, ამიტომაც იგი გახვრეტილი გროშიც არ ღირს ბატონი დიურინგის აზრით.

გაკვრით შევნიშნავთ: თუ ბატონ დიურინგს ეგონა, საკმაო ზიზღი გამოვთქვი «უარყოფის უარყოფისადმი» იმით, რომ მას ცოდვაში შთავარდნისა და ხსნის ძველი ისტორიის ანარეკლი ვუწოდეო, მაშინ რა უნდა ითქვას იმავე ისტორიის მ ი ს უახლეს გამოცემაზე? (იმიტომ რომ, ერთი ქვემძრომული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თავის დროზე ხსნის იდეასაც «მივუახლოვდებით»). ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვირჩევნია ძველი სემიტური ტომობრივი თქმულება, რომლის მიხედვით მამაკაცისა და დედაკაცისათვის მაინც ღირდა უბიწოების მდგომარეობიდან გამოსულიყვნენ, ბატონ დიურინგს კი არავინ შეედავება იმ სახელში, რომელიც მან მოიხვეჭა იმით, რომ პირველყოფილი შეცოდება ორი მამაკაცის შემწეობით ააგო.

ყური დავუგდოთ, მაშასადამე, როგორ ითარგმნება პოლიტიკური ეკონომიის ენაზე ცოდვით დაცემა: «წარმოების ცნებისათვის, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება სათანადო ლოგიკური სქემა მოგვცეს რობინზონის წარმოდგენამ, რომელიც თავისი ძალებით განმარტოებული უპირდაპირდება ბუნებას და არავის არაფერს უნაწილებს... ასევე მიზანშეწონილია იმის თვალსაჩინო ილუსტრაციისათვის, რაც არსებითია განაწილების იდეაში, ორი პირის ლოგიკური სქემა, რომელთა სამეურნეო ძალები ურთიერთ შორის კომბინაციას ქმნიან და რომლებიც აშკარაა, ამა თუ იმ ფორმით

ერთმანეთს უნდა შეუთანხმდნენ თავიანთი წილის საკითხში. მართლაც მეტი არაფერია საჭირო, გარდა ამ უბრალო დუალიზმისა, რათა მთელი სიმკაცრით გადმოვცეთ განაწილების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ურთიერთობა და შევისწავლოთ ემბრიონალურად მათს ლოგიკურ აუცილებლობაში მათი კანონები... საერთო მოქმედება თანასწორ პირობებში აქ ისევე წარმოსადგენია, როგორც ძალების კომბინაცია, რომელიც ერთ მხარეს მეორეს უმორჩილებს და მას ან მონად აქცევს, ან კიდევ უბრალო იარაღად სამეურნეო მიზნებისათვის და ამიტომ იგი შენარჩუნებული უნდა იქნეს როგორც მხოლოდ ასეთი იარაღი... თანასწორობის მდგომარეობასა და არარაობის მდგომარეობასა, ერთი მხრივ, ხოლო ყოვლის შემძლებლობასა და ერთადერთ აქტიურ მონაწილეობას შორის, მეორე მხრივ, არსებობს მთელი რიგი საფეხურები, რომლის ავსებას ჭრელი მრავალფერადობით მსოფლიო ისტორიის მოვლენები შეეცადა. არსებით წანამძღვარს აქ წარმოადგენს უნივერსალური ხედვა უ ფ ლ ე ბ ი ს და უ უ ფ ლ ე ბ ო ბ ი ს დაწესებულებათა ისტორიაში»... ბოლოს მთელი განაწილება «განაწილების ეკონომიურ უფლებად» იქცევა.

ახლა ბატონ დიურინგს, ბოლოს, ხელახლა მტკიცე ნიადაგი აქვს ფეხთქვეშ, ხელიხელ გაყრილს თავის ორ ადამიანთან მას შეუძლია მთელი თავისი საუკუნე გამოიწვიოს საბრძოლველად. მაგრამ ამ სამი ვარსკვლავის უკან კიდევ ერთი დგას დაუსახელებლად.

«კაპიტალს ზედმეტი შრომა არ აღმოუჩენია. ყველგან, სადაც საზოგადოების ერთ ნაწილს საწარმოო საშუალებათა მონოპოლია ეკუთვნის, მუშამ, თავისუფალმა თუ არათავისუფალმა, იმ სამუშაო დროს, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისათვის, უნდა მიუმატოს ზედმეტი სამუშაო დრო, რომ აწარმოოს საარსებო საშუალებანი საწარმოო საშუალებათა მესაკუთრისათვის, იქნება ეს მესაკუთრე ათენელი kalos kagathos[1], ეტრუსკელი თეოკრატი, civis romanus (რომის მოქალაქე), ნორმანელი ბარონი, ამერიკელი მონათმფლობელი, ვალაქელი ბოიარინი, თანამედროვე ლენდლორდი თუ კაპიტალისტი» (მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, მეორე გამოც. გვ. 227)[2].

რაკი ბატონმა დიურინგმა ამრიგად გაიგო, რა შეადგენს ექსპლოატაციის ძირითად ფორმას, რომელიც საერთოა წარმოების

[1] —არისტოკრატი. რ ე დ.

[2] იხ. ქართული გამოც. «კაპიტალი», ტომი I, 1930 წ., გვ. 191—192. რ ე დ.

ყველა დღემდე არსებული ფორმისათვის, რამდენადაც ისინი კლასობრივ წინააღმდეგობებში მოძრაობენ, მას მხოლოდ ისღა დარჩა, რომ თავისი ორი მამაკაცი გამოიყენოს, და სინამდვილის ეკონომიის ძირითადი საფუძველიც მზად იყო. იგი ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა ამ «სისტემის შემქმნელი აზრის» შესრულებაში. აუნაზღაურებელი შრომა, რომელიც უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მუშის ცხოვრების შესანახად საჭირო დრო,—აი რა შეადგენს საქმის დედაარსს. ადამი, რომელსაც აქ რობინზონი ჰქვია, აიძულებს მეორე ადამს, პარასკევას, მთელი ძალღონით იმუშაოს. მაგრამ რად მუშაობს პარასკევა მეტს, ვიდრე მის შესანახადაა საჭირო? აგრეთვე ამ საკითხის თანდათანობით გადაწყვეტა ჩვენ გვხვდება მარქსთან. მაგრამ იგი მეტად გრძელი ისტორიაა ორი მამაკაცისათვის. საქმე სახელდახელოდ გვარდება: რობინზონი «ჩაგრავს» პარასკევას, აიძულებს მას «სამეურნეო სამსახური შეასრულოს როგორც მონამ ან როგორც იარაღმა» და ისე უვლის «როგორც მხოლოდ იარაღს». ამ უახლესი «შემოქმედებითი მობრუნებით» ბატონი დიურინგი ერთი დაკვრით ორ ბუზსა ჭკლავს. ერთი, რომ იგი თავს არ იწუხებს და არ ხსნის ადრინდელი განაწილების სხვადასხვა ფორმებს, მათს განსხვავებებსა და მათს მიზეზებს: ისინი, უბრალოდ, არაფრად ვარგა, ისინი ჩაგვრასა და ძალმომრეობაზე არიან დაყრდნობილნი. ამის შესახებ ჩვენ კვლავ მალე ვილაპარაკებთ. მეორე, რომ მას განაწილების მთელი თეორია ეკონომიური ნიადაგიდან მორალისა და სამართლის ნიადაგზე გადააქვს, ე. ი. მტკიცე მატერიალური ფაქტების ნიადაგიდან მეტად თუ ნაკლებად მერყეევი აზრებისა და გრძნობების ნიადაგზე. მაშასადამე, მას სჭირდება არა გამოკვლევა ან მტკიცება, არამედ მხოლოდ ხელაღებით დეკლამირება, და შეუძლია მოთხოვნა წამოაყენოს, შრომის ნაწარმოებთა განაწილება უნდა მიიმართებოდეს არა მათი ნამდვილი მიზეზების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, რაც მას, ბატონ დიურინგს, ზნეობრივად და სამართლიანად ეჩვენება. მაგრამ რაც ბატონ დიურინგს სამართლიანად ეჩვენება, სრულიადაც უცვლელი არაა, მაშასადამე, ძლიერ დაშორებულია ნამდვილ ჭეშმარიტებას. იმიტომ რომ ეს უკანასკნელი, თვით ბატონ დიურინგის მიხედვით, «საზოგადოდ არაა ცვალებადი». 1868 წელს ბატონი დიურინგი ამტკიცებდა («Die Schicksale meiner sozialen Denkschrift etc.»[1]): «ყოველი უმაღლესი ცივილიზაციის ტენდენ-

1 Die Schicksale meiner sozialen Denkschrift für das Preussische Staatsministerium»—«ბედი ჩემი სოციალური მემორანდუმისა პრუსიის სახელმწიფო საშინისტროსათვის». რ ე დ.

ციაა, უფრო მკვეთრად ჩამოაყალიბოს საკუთრება და ამაში და არა უფლებებისა და ბატონობის სფეროების არევ-დარევაში მდგომარეობს თანამედროვე განვითარების არსება და მომავალიო». და შემდეგ მას საერთოდ არ შეეძლო მაშინ დაენახა «როგორ შეიძლება ოდესმე დაქირავებული შრომის გადაქცევა საარსებო საშუალებათა მოპოვების სხვა ფორმად შეეთანხმოს ადამიანური ბუნების კანონებს და საზოგადოებრივი სხეულის ბუნებრივად აუცილებელ დასახსვრას». მაშასადამე, 1868 წელს: კერძო საკუთრება და დაქირავებული შრომა ბუნებრივად აუცილებელი და ამიტომ სამართლიანია; 1876 წელს: ორივე ძალმომრეობის და «ძარცვა-გლეჯის» შედეგს წარმოადგენს და ამიტომ უსამართლოა. და ჩვენთვის შეუძლებელია იმის ცოდნა, რა მოეჩვენება ესოდენ მძლავრ და დაუდეგარ გენიოსს რამდენიმე წლის შემდეგ ზნეობრივად და სამართლიანად და ამიტომ, ყოველ შემთხვევაში, კარგად მოვიქცევით, თუ სიმდიდრეთა განაწილების განხილვის დროს ნამდვილ, ობიექტურ, ეკონომიურ კანონებს ჩავჭიდებთ ხელს და არა ბატონი დიურინგის წუთიერ, ცვალებად, სუბიექტურ წარმოდგენას სამართალსა და უსამართლობაზე.

ჩვენი რწმენა შრომის პროდუქტების განაწილების თანამედროვე წესის მოახლოებული გადატრიალების შესახებ იმ აღმაშფოთებელი წინააღმდეგობებით სიღარიბესა და ფუფუნებას, შიმშილსა და სიმაძღრეს შორის, რომელიც მას თან სდევს, მხოლოდ იმ შეგნებას რომ ეყრდნობოდეს, განაწილების ეს წესი უსამართლოა და სამართალმა ბოლოს მაინც უნდა გაიმარჯვოსო, ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდა და დიდხანს მოგვიხდებოდა ლოდინი. შუა საუკუნეების მისტიკოსებს, რომლებიც ოცნებობდნენ ათასწლიური სუფევის მოახლოებაზე, უკვე ჰქონდათ კლასობრივ წინააღმდეგობათა უსამართლობის შეგნება. ახალი ისტორიის ზღურბლზე, 350 წლის წინათ, ტომას მიუნცერმა იგი ხმამაღლა გამოთქვა მთელი ქვეყნის გასაგონად. იგივე ძახილი გაისმის ინგლისის, საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციებში და — დუმდება. რით აიხსნება, რომ ეს მოწოდება კლასობრივ დაპირისპირებათა და კლასობრივ სხვადასხვაობათა მოსპობისადმი, რომელიც 1830 წლამდე თანაგრძნობას არ პოულობდა მშრომელ და ტანჯულ მასებში, ახლა მრავალმი-

ლიონიან გამოძახილს იწვევს და ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის იმავე თანამიმდევრობითა და იმავე ინტენსივობით, რომლითაც ცალკეულ ქვეყნებში მსხვილი ინდუსტრია ვითარდება, რომ მან ერთი თაობის განმავლობაში ისეთი ძალა მოიპოვა, რომელიც ეურჩება ყველა მის წინააღმდეგ შეერთებულ ძალებს და უცილობელ გამარჯვებას ელის ახლო მომავალში? რითი აიხსნება ეს? იმით, რომ თანამედროვე მსხვილმა ინდუსტრიამ, ერთი მხრივ, შექმნა პროლეტარიატი, ისეთი კლასი, რომელსაც პირველად ისტორიაში შეუძლია წამოაყენოს მოთხოვნა არა ამა თუ იმ განსაკუთრებული კლასობრივი ორგანიზაციის, არა ამა თუ იმ განსაკუთრებული კლასობრივი უპირატესობის მოსპობისა, არამედ კლასების მოსპობისა საზოგადოდ; კლასი, რომელიც ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ეს მოთხოვნა უნდა განახორციელოს, თუ არ სურს ჩინელი ყულიების მდგომარეობაში ჩავარდეს. მეორე მხრივ, იმავე მსხვილმა ინდუსტრიამ ბურჟუაზიის სახით შექმნა კლასი, რომელსაც ხელთ აქვს ყველა საწარმოო იარაღისა და საცხოვრებელი საშუალების მონოპოლია, მაგრამ ყოველი სპეკულაციის პერიოდში და ყოველი მომდევნო კრახის დროს ამტკიცებს, რომ მას უნარი აღარ შესწევს დაიმორჩილოს საწარმოო ძალები, რომლებიც იმდენად გაზრდილან, რომ თავს აღარ უდებენ მას; ესაა კლასი, რომლის ხელმძღვანელობით საზოგადოება დაღუპვისაკენ მიექანება, როგორც ორთქლმავალი, რომლის მემანქანეს ძალა არ შესწევს მცველი სარქველი გახსნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იმით აიხსნება, რომ წარმოების თანამედროვე კაპიტალისტური წესის მიერ შექმნილი საწარმოო ძალები და მის მიერ შემუშავებული დოვლათის განაწილების სისტემა მწვავე წინააღმდეგობაში ჩავარდა თვით ამ წარმოების წესთან და ისიც იმდენად, რომ წარმოების და განაწილების წესის ისეთი გადატრიალება უნდა მოხდეს, რომელიც გააუქმებს ყოველ კლასობრივ განსხვავებას, წინაალმდეგ შემთხვევაში მთელი თანამედროვე საზოგადოება დაიღუპება. თანამედროვე სოციალიზმის გამარჯვების რწმენა დაფუძნებულია ამ ხელშესახებ მატერიალურ ფაქტზე, რომელიც მეტად თუ ნაკლებად ნათელი ფორმით გარდაუვალი აუცილებლობით იჭრება ექსპლოატირებული პროლეტარების შეგნებაში, და არა ამა თუ იმ კაბინეტური მტვერიყლაპიას წარმოდგენებში სამართალსა და უსამართლობაზე.

II

ძალმომრეობის თეორია

«ზოგადი პოლიტიკის დამოკიდებულება სამეურნეო სამართლის ფორმებისადმი ჩემს სისტემაში ისე გარკვევით და ამასთანავე თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ ა ა განსაზღვრული, რომ შესწავლის შესამსუბუქებლად ზედმეტი არ იქნებოდა განსაკუთრებული მითითება ამაზე. პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ურთიერთობათა ფორმა ი ს ტ ო რ ი უ ლ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს წარმოადგენს, ხოლო ს ა მ ე უ რ ნ ე ო დამოკიდებულებანი მხოლოდ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ნ ი ა ან სპეციალური შემთხვევანი და ამიტომ ყოველთვის მ ე ო რ ე რ ი გ ი ს ფ ა ქ ტ ე ბ ი ა რ ი ა ნ. ზოგიერთი უახლესი სოციალისტური სისტემა ხელმძღვანელ პრინციპად სრულიად უკუღმა შებრუნებული დამოკიდებულების აშკარა მოჩვენებას იხდის და ეკონომიური მდგომარეობიდან მას გამოჰყავს, ასე ვთქვათ, პოლიტიკური დაქვემდებარების ფორმები. მართალია, ეს მეორე რიგის შედეგები როგორც ასეთნი არსებობენ და ამჟამად განსაკუთრებით საგრძნობი არიან; მაგრამ პ ი რ ვ ე ლ ა დ ი მაინც უნდა ვეძიოთ უ შ უ ა ლ ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ა შ ი და არა არაპირდაპირ ეკონომიურ ძლიერებაში». ასევე მეორე ადგილზეც ბატონი დიურინგი იმ «დებულებიდან გამოდის, რომ პოლიტიკური მდგომარეობანი სამეურნეო მდგომარეობის გადამწყვეტ მიზეზს წარმოადგენენ, ხოლო შებრუნებული დამოკიდებულება მეორეხარისხოვანი უკუმოქმედების გამოხატულებაა... სანამ პოლიტიკურ დაჯგუფებას თვითკმარ გამოსავალ წერტილად არ მივიღებთ, და მას ისე შეეხედავთ როგორც მარტოოდენ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს კ უ ჭ ი ს გ ა ძ ღ ო მ ი ს მ ი ზ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, მანამდე ადამიანთა შეხედულებებში მაინც დარჩება რეაქციულობის მნიშვნელოვანი ფარული ნაწილი, რარიგ რადიკალურ სოციალისტურად და რევოლუციურადაც უნდა გვეჩვენებოდნენ ეს შეხედულებანი».

ასეთია ბატონი დიურინგის თეორია. აქაც და მრავალ სხვა ადგილასაც მისი უბრალოდ წამოყენება, ასე ვთქვათ, დეკრეტად გამოცხადება ხდება. მის სამ დიდტანიან წიგნში არსად ლაპარაკი არაა დამტკიცების თუნდ მცირეოდენ ცდაზე ან საწინააღმდეგო შეხედულების დარღვევაზე. და თუნდაც საბუთები ჩალის ფასად იყოს, ბატონი დიურინგი მაინც არავითარ საბუთს არ მოგვაწვდიდა. საკითხი ხომ უკვე დამტკიცებულია ცნობილი ცოდვაში შთავარდნით,

როცა რობინზონმა პარასკევა დაიმონაო. ეს იყო ძალმომრეობის აქტი, მაშასადამე, პოლიტიკური აქტიო. და რადგან ეს დამონება დღემდე მთელი ისტორიის გამოსავალ წერტილს და ძირითად ფაქტს წარმოადგენს და მას უსამართლობის პირველყოფილ ცოდვას გადასდებს, ისე რომ შემდგომ პერიოდებში იგი მხოლოდ შესუსტდა და «მხოლოდ არაპირდაპირ ეკონომიურ დამოკიდებულებათა ფორმებად იქცა», რადგან ამ პირველყოფილ დამონებაზე მთელი დღემდე არსებული «ძალმომრეობითი საკუთრებაა» დაფუძნებული, ცხადია, რომ ყოველი ეკონომიური მოვლენა პოლიტიკური მიზეზით უნდა აიხსნას, სახელდობრ, ძალმომრეობითო. ხოლო ვისაც ეს არ აკმაყოფილებს, იგი ფარული რეაქციონერიაო.

აღვნიშნოთ, უწინარეს ყოვლისა, რომ ადამიანი დიურინგივით თვითშეყვარებული უნდა იყოს, რათა ეს შეხედულება ისე «თავისებურად» მიიჩნიოს, როგორიც იგი სრულიადაც არაა. წარმოდგენა, თითქოს დიდი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური მოქმედებანი გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენდნენ ისტორიაში, ისევე ძველია, როგორც თვით ისტორიოგრაფია, და ესაა იმის მთავარი მიზეზი, რომ ჩვენამდე ასე ცოტა ცნობებია შემონახული ხალხთა განვითარების შესახებ, რომელიც ამ მყვირალა გამოსვლათა უკანა რიგში ჩუმად ხდებოდა და ნამდვილად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ეს წარმოდგენა ისტორიის მთელ ადრინდელ გაგებაში ბატონობდა და იგი პირველად რესტავრაციის დროის ფრანგმა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა შეარყიეს; მასში «თავისებურია» მხოლოდ ის, რომ ბატონმა დიურინგმა ყველა ამის შესახებ კვლავ არაფერი იცის.

შემდეგ: წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ ბატონი დიურინგი მართალია, რომ მთელი წარსული ისტორია შეიძლება დაყვანილ იქნეს ადამიანის მიერ ადამიანის დამონებაზე; ამით საქმის ვითარებას მაინც ვერ გვიხსნის. რადგან, უწინარეს ყოვლისა, საკითხი იბადება: რად დაპირდა რობინზონს პარასკევას დამონება? მხოლოდ სიამოვნების გულისთვის? რასაკვირველია, არა! პირიქით, ჩვენ დავინახეთ, რომ პარასკევა, «როგორც მონა ან როგორც უბრალო იარაღი იძულებული იყო სამეურნეო სამსახური შეესრულებინა და მას ისე ინახავდნენ, როგორც იარაღს». რობინზონმა პარასკევა იმისათვის დაიმონა, რომ მან რობინზონის სასარგებლოდ იმუშაოს. და როგორ შეუძლია რობინზონს სარგებლობის მიღება პარასკევას მუშაობიდან? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარასკევა თავისი შრომით მეტს საარსებო საშუალებას შე-

ქმნის, ვიდრე მას რობინზონმა უნდა მისცეს, რათა მან მუშაობის უნარი შეინარჩუნოს. მაშასადამე, ბატონი დიურინგის აშკარა კარნახის წინააღმდეგ, რობინზონმა პარასკევას დამონებით შექმნილი «პოლიტიკური დაჯგუფება თვითკმარ გამოსავალ წერტილად როდი მიიღო, არამედ იგი მხოლოდ და მხოლოდ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა დ ა ქ ც ი ა კ უ ტ ი ს გ ა ს ა ძ ღ ო მ ა დ»; და ახლა დაე თვითონ მოიფიქროს, თუ როგორ უნდა მოუაროს თავის ბატონსა და ოსტატს დიურინგს.

მაშასადამე, ბალღური მაგალითი, რომელიც ბატონმა დიურინგმა სპეციალურად იმისათვის გამოიგონა, რათა დაემტკიცებინა, ძალმომრეობის «ისტორიული ფუნდამენტალური» ხასიათი, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ძალმომრეობა მხოლოდ საშუალებაა, ხოლო ეკონომიური სარგებლობა, პირიქით, მიზანია. რამდენადაც მიზანი უფრო «საფუძვლიანია», ვიდრე მისი გულისთვის გამოყენებული საშუალება, იმდენად უფრო საფუძვლიანია ისტორიაში ურთიერთობის ეკონომიკური მხარე პოლიტიკურთან შედარებით. მაშასადამე, ეს მაგალითი სწორედ იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რაც უნდა დაემტკიცებინა. და ბატონობის და მონობის თვითეულ შემთხვევაში აქამდე ყოველთვის იგივე ხდებოდა, რაც რობინზონსა და პარასკევას მოუვიდა. ბატონი დიურინგის მოხდენილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, დამონება ყოველთვის «საშუალება იყო კუტის გასაძღომად» (ამ უკანასკნელი გამოთქმის ფართო გაგებით), მაგრამ არსად და არასოდეს არ წარმოადგენდა «თვით თავისთვის» თვითკმარ პოლიტიკურ დაჯგუფებას. ადამიანი ბატონი დიურინგი უნდა იყოს, რათა წარმოიდგინოს, რომ გადასახადები სახელმწიფოში მხოლოდ «მეორე რიგის აქტებს» წარმოადგენენ, ან კიდევ თანამედროვე პოლიტიკური დაჯგუფება გაბატონებულ ბურჟუაზიად და ჩაგრულ პროლეტარიატად მხოლოდ «თვით ამ დაჯგუფებისათვის» არსებობს და არა გაბატონებული ბურჟუების «კუტის გასაძღომად», სახელდობრ, არა მოგების მისაღებად და არა კაპიტალის დასაგროვებლადო..

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ ჩვენს ორ მამაკაცს. «ხმლით აღჭურვილი» რობინზონი პარასკევას თავის მონად აქცევს. მაგრამ ამის მოსაგვარებლად რობინზონს სხვა რამეც სჭირდება გარდა ხმლისა. ყველა ვერ გამოიყენებს მონის შრომას. მის გამოსაყენებლად ორი რამ უნდა ჰქონდეს თავის განკარგულებაში: ერთი, შრომის იარაღი და საგნები მონის შრომისათვის, მეორე — სახსარი მონის გაჭირვებულად შენახვისათვის. მაშასადამე, სანამ მონობა შესაძლებელი გახდებოდეს, საჭიროა ერთ-

გვარი საფეხურის მიღწევა წარმოების განვითარებაში და უთანასწორობის ერთგვარი დონის დამყარება განაწილებაში. ხოლო, რათა მონური შრომა წარმოების გაბატონებული წესი გახდეს მთელს საზოგადოებაში, საჭიროა, რომ წარმოება, ვაჭრობა და სიმდიდრის დაგროვება ბევრად უფრო მაღალ დონეზე ავიდეს. პირველყოფილ ბუნებრივად აღმოცენებულ თემებში, სადაც საერთო მიწათმფლობელობა იყო გაბატონებული, მონობა ან სულ არ არსებობდა ან ფრიად დაქვემდებარებულ როლს ასრულებდა. იგივე ითქმის პირველყოფილ გლეხურ ქალაქ რომზე; როცა, პირიქით, რომი «მსოფლიო ქალაქი» გახდა, ხოლო იტალიის მიწათმფლობელობა არაჩვეულებრივად მდიდარი მესაკუთრეების მცირერიცხოვანი კლასის ხელში დაგროვდა, გლეხთა მოსახლეობა მონათა მოსახლეობამ განდევნა. თუ სპარსელთა ომების დროს მონების რიცხვი კორინთოში 460000-მდე ავიდა, ხოლო ეგინაში 470000-მდე, ისე რომ თავისუფალი მოსახლეობის თვითეულ სულზე ათი მონა მოდიოდა, ამისთვის კიდევ უფრო მეტი რამ იყო საჭირო, ვიდრე «ძალმომრეობა», სახელდობრ, მაღალგანვითარებული მხატვრული და ხელოსნური მრეწველობა და ფართო ვაჭრობა. მონობა ამერიკის შეერთებულ შტატებში იმდენად ძალმომრეობას არ ეყრდნობოდა, რამდენადაც ინგლისის ბამბის მრეწველობას; იმ კუთხეებში, სადაც ბამბა არ მოდიოდა, ან სადაც მოსაზღვრე შტატების მსგავსად მონების მოშენებას არ აწარმოებდნენ ბამბის მომყვანი შტატებისთვის, იგი თავისთავად მოისპო, ძალმომრეობის გამოუყენებლად, უბრალოდ, იმიტომ, რომ იგი ხარჯებს ვერ ფარავდა.

როცა, მაშასადამე, ბატონი დიურინგი თანამედროვე საკუთრებას ძალმომრეობის საკუთრებას უწოდებს და მას ახასიათებს როგორც «ბატონობის ისეთ ფორმას, რომელიც დაფუძნებულია არა მარტო მოყვასისთვის საარსებო ბუნებრივი საშუალებით სარგებლობის წართმევაზე, არამედ აგრეთვე (რაც ბევრად უფრო მეტს ნიშნავს), ადამიანის დამორჩილებაზე მონური შრომის შესასრულებლად», იგი საქმის ვითარებას თავდაყირა აყენებს. ადამიანის დამორჩილება მონური შრომის შესასრულებლად, ყველა თავის ფორმაში, გულისხმობს, რომ დამმორჩილებლის განკარგულებაშია სამუშაო საშუალებები, რომლის შემწეობით მას შეუძლია დამონებული გამოიყენოს; ხოლო მონობის დროს ამას გარდა საჭიროა, რომ მის განკარგულებაში იყოს აგრეთვე საარსებო საშუალებებიც, რომლის შემწეობით მას შეუძლია მონებს არსებობა შეუნარჩუნოს. მაშასადამე, ყველა შემთხვევაში იგულისხმება გან-

საზღვრული, საშუალო დონეზე მეტი ქონების მფლობელობა. საიდან წარმოდგა ეს უკანასკნელი? ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ იგი შეიძლება მოტაცებულიც იყოს, მაშასადამე, ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ა ს ეყრდნობოდეს, მაგრამ ეს არაა აუცილებელი. იგი აგრეთვე შეიძლება შრომით, ქურდობით, ვაჭრობით, სპეკულაციით იყოს შეძენილი. იგი საერთოდ ჯერ შრომით უნდა შეიქმნეს, სანამ მოიტაცებენ.

კერძო საკუთრება საზოგადოდ ისტორიაში სრულიად არ შედის როგორც მოტაცებისა და ძალმომრეობის შედეგი. პირიქით: იგი უკვე ყველა კულტურული ხალხის უძველეს, პირველყოფილ თემში არსებობს, თუმცა მხოლოდ ზოგიერთი საგნის მიმართ. იგი უკვე ვითარდება ამ თემის ფარგლებში საქონლის ფორმით, თავდაპირველად უცხოელებთან გაცვლა-გამოცვლის დროს. რაც უფრო საქონლის ფორმას ღებულობენ თემის ნაწარმოებნი, ე. ი. რაც უფრო ნაკლები იწარმოება მწარმოებელთა საკუთარი მომხმარებისათვის და უფრო მეტი იწარმოება გაცვლის მიზნით, რაც უფრო აძევებს თემის ფარგლებშიც გაცვლა პირველყოფილ ბუნებრივად აღმოცენებულ შრომის დანაწილებას, მით უფრო უთანასწორო ხდება თემის ცალკეულ წევრთა ქონებრივი მდგომარეობა, მით უფრო ღრმად ეთხრება ძირი ძველ სათემო მიწათმფლობელობას, მით უფრო სწრაფად მიდის თემი რღვევისაკენ და იქცევა წვრილ მესაკუთრე გლეხების სოფლად. აღმოსავლურმა დესპოტიზმმა და დამპყრობელი მომთაბარე ხალხების ცვალებადმა ბატონობამ ათასი წლების განმავლობაში ვერაფერი დააკლო ამ ძველ თემებს; მაგრამ მსხვილი მრეწველობის პროდუქტების კონკურენციის წყალობით მათი სტიქიურად აღმოცენებული ოჯახური მრეწველობის თანდათანობით ნგრევა სულ უფრო და უფრო შლის ამ თემებს. აქ ისევე ნაკლებ შეიძლება ძალმომრეობაზე ლაპარაკი, როგორც სათემო ადგილმამულის დანაწილების დროს, რაც დღესაც ხდება მოზელის ხეობასა და ჰოხვალდში ეგრეთწოდებულ «Gehöferschaften»-ში[1]; გლეხები თავისთვის სასარგებლოდ თვლიან, რომ მიწის კერძო საკუთრება დამყარდეს სათემო საკუთრების მაგიერ. თვით პირველყოფილი გვაროვნული არისტოკრატიის შექმნა, როგორც ეს კელტებსა, გერმანელებსა და ინდოეთის პენჯაბში მოხდა სათემო მიწათმფლობელობის ნიადაგზე, უწინარეს ყოვლისა, სრულიადაც ძალმომრეობას არ ეყრდნობა, არამედ ნებაყოფლო-

1—საკომლო თემები. რ ე დ.

ბასა და ჩვეულებას. ყველგან, სადაც კერძო საკუთრება იქმნება, ეს ხდება როგორც წარმოების და გაცვლის შეცვლილი ურთიერთობის შედეგი, წარმოების და აღებმიცემობის გასაძლიერებლად, მაშასადამე, ეკონომიური მიზეზების გამო. ძალმომრეობა აქ არავითარ როლს არ ასრულებს. ცხადია, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი უკვე უნდა არსებობდეს, სანამ ავაზაკი სხვისი ქონების მ ი თ ვ ი ს ე ბ ა ს შეძლებდეს; მაშასადამე, ძალმომრეობას, მართალია, შეუძლია შეცვალოს ქონების მფლობელი, მაგრამ არ შეუძლია შექმნას კერძო საკუთრება როგორც ასეთი.

ჩვენ ასევე არც ძალმომრეობა გვჭირდება და არც ძალმომრეობითი საკუთრება, რათა ავხსნათ «ადამიანის დამორჩილება მონური შრომის შესასრულებლად» მისი თანამედროვე ფორმით, დაქირავებული შრომის სახით. ჩვენ უკვე გავიხსენეთ, თუ რა როლს ასრულებს ძველი თემების დაშლის, მაშასადამე, კერძო საკუთრების პირდაპირი და არაპირდაპირი საყოველთაო გავრცელების დროს შრომის პროდუქტების გადაქცევა საქონლად, მათი წარმოება არა საკუთარი მოხმარებისა, არამედ გაცვლისათვის. მარქსმა კი «კაპიტალში» დღის სინათლესავით ცხადი გახადა,—თუმცა ბატონი დიურინგი გაურბის კრინტი დაძრას ამაზე,—რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე საქონლის წარმოება კაპიტალისტურ წარმოებად იქცევა, და რომ ამ საფეხურზე «საქონლის წარმოებაზე და საქონლის მიმოქცევაზე დამყარებული მითვისების კანონი ანუ კერძო საკუთრების კანონი, თავისი საკუთარი, შინაგანი, გარდაუვალი დიალექტიკის წყალობით თავის პირდაპირ წინააღმდეგობაში გადადის: ეკვივალენტების გაცვლა, რომელიც ძირითადი პირვანდელი ოპერაციის სახით გვევლინებოდა, ისე შეტრიალდა, რომ ეს გაცვლა მხოლოდ მოჩვენებითი გახდა; და მართლაც, კაპიტალის ნაწილი, რომელიც გაცვლილი იქნა სამუშაო ძალაზე, ჯერ ერთი, თვით წარმოადგენს მხოლოდ უეკვივალენტოდ მითვისებული სხვისი შრომის პროდუქტის ნაწილს, და მეორეც, იგი არა მარტო ანაზღაურებულ უნდა იქნეს მისი მწარმოებელი მუშის მიერ, არამედ ანაზღაურებულ უნდა იქნეს ახალი ზედმეტი პროდუქტით... თავდაპირველად საკუთრების უფლება საკუთარ შრომაზე დამყარებულად გვეჩვენებოდა... ახლა კი ჩანს (მარქსის ანალიზის შედეგად), რომ საკუთრება კაპიტალისტისთვის სხვისი გადაუხდელი შრომის მითვისების უფლებას წარმოადგენს, ხოლო მუშისათვის — თავისი საკუთარი პროდუქტის მითვისების შეუძლებლობას. საკუთრებისა და შრომის გათიშვა იმ კანონის აუცილებელი შედეგი ხდე-

ბა, რომლის გამოსავალი წერტილიც თითქოს მათი იგივეობა იყო»[1]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: თვით იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ გამოვრიცხავთ ყოველი ძარცვა-გლეჯის, ყოველი ძალმომრეობისა და მოტყუების შესაძლებლობას, როცა ჩვენ ვღებულობთ, რომ ყოველი კერძო საკუთრება თავდაპირველად მფლობელის საკუთარ შრომაზე იყო დაფუძნებული, და რომ მთელ შემდგომ განვითარებაში მხოლოდ თანასწორი ღირებულებანი იცვლებოდნენ თანასწორ ღირებულებებში, მაინც წარმოებისა და გაცვლის შემდგომი განვითარება აუცილებლად მიგვიყვანს წარმოების თანამედროვე კაპიტალისტურ წესამდე, რაც გულისხმობს საწარმოო საშუალებებისა და საარსებო საშუალებების მონოპოლიზაციას ერთი მცირერიცხოვანი კლასის ხელში, მეორე, დიდი უმრავლესობის შემქმნელი კლასის დაქვეითებას უქონელი პროლეტარების მდგომარეობამდე, გაცხოველებული სპეკულაციური წარმოებისა და სავაჭრო კრიზისების პერიოდულ ცვლას და მთელ თანამედროვე ანარქიას წარმოებაში. მთელი პროცესი წმინდა ეკონომიური მიზეზებითაა ახსნილი, ისე რომ არც ერთხელაც საჭირო არ გამხდარა ძარცვა-გლეჯის, ძალმომრეობის, სახელმწიფოს ან რაიმე პოლიტიკური ჩარევის მოშველება. «ძალმომრეობითი საკუთრება» აქაც მხოლოდ მაღალფარდოვანი ფრაზა აღმოჩნდა, რომელიც ფარავს საქმის ნამდვილი მსვლელობის გაგებას.

ეს პროცესი, ისტორიულად გამოხატული, ბურჟუაზიის განვითარების ისტორიაა. თუ «პოლიტიკური პირობები სამეურნეო მდგომარეობის გადამწყვეტი მიზეზებია», თანამედროვე ბურჟუაზია ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში კი არ უნდა განვითარებულიყო, არამედ მის წიაღში ნებაყოფლობით წარმოშობილი სანუკვარი პირმშო უნდა ყოფილიყო. ყველამ იცის, რომ სწორედ პირუკუ მოხდა. ბურჟუაზიამ, რომელიც თავდაპირველად გაბატონებული ფეოდალური თავადაზნაურობის მოხარკე დაჩაგრული წოდება იყო და თავის რიგებს ყოველგვარ მორჩილთა და ყმათა რაზმებიდან ავსებდა, შეუწყვეტელ ბრძოლაში ერთი პოზიცია მეორეს მიყოლებით წაართვა თავადაზნაურობას და, ბოლოს, განვითარებულ ქვეყნებში მის მაგიერ ხელთ იგდო ბატონობა; ამასთანავე საფრანგეთში მან პირდაპირ დაამხო თავად-აზნაურობა, ინგლისში კი იგი თანდათან გააბურჟუაზიულა და შეისისხლხორცა

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 527—528. რ ე დ.

ჩუქურთმოვანი მწვერვალის სახით. და როგორ შესძლო მან ეს? სწორედ მხოლოდ «სამეურნეო მდგომარეობის» შეცვლის წყალობით, რასაც ადრე თუ გვიან, ნებაყოფლობით თუ ბრძოლით, პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა მოსდევდა. ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალური თავადაზნაურობის წინააღმდეგ არის ქალაქის ბრძოლა სოფლის წინააღმდეგ, მრეწველობის ბრძოლა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, ფულის მეურნეობის ბრძოლა ნატურალური მეურნეობის წინააღმდეგ, და ბურჟუაზიის გადამწყვეტი იარაღი ამ ბრძოლაში იყო მისი ეკონომიური ძლიერების საშუალებანი, რომლებიც განუწყვეტლივ იზრდებოდა ჯერ ხელოსნური, ხოლო შემდეგ მანუფაქტურად განვითარებული მრეწველობისა და ვაჭრობის გაფართოების წყალობით. მთელი ამ ბრძოლის დროს პოლიტიკური ძალა თავადაზნაურობის მხარეზე იდგა, იმ პერიოდის გამოკლებით, როცა მეფის ხელისუფლება ბურჟუაზიას თავადაზნაურობის წინააღმდეგ იყენებდა, რათა ერთი წოდება მეორის შემწეობით შეეკავებინა; მაგრამ იმ წუთიდან, როცა პოლიტიკურად მაინც კიდევ უილაჯო ბურჟუაზია სახიფათო გახდა თავისი ეკონომიური ძლიერების ზრდის წყალობით, მეფის ხელისუფლება ხელახლა თავადაზნაურობას შეუკავშირდა და ამით ჯერ ინგლისში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში ბურჟუაზიის რევოლუცია გამოიწვია. საფრანგეთში «პოლიტიკური წყობილება» უცვლელი დარჩა, მაშინ როცა «სამეურნეო მდგომარეობა» გამოვიდა მისი ფარგლებიდან. თავისი პოლიტიკური მდგომარეობით თავადაზნაურობა ყველაფერი იყო, ბურჟუა არაფერი; სოციალური მდგომარეობის მიხედვით ბურჟუაზია ახლა უმნიშვნელოვანესი კლასი იყო სახელმწიფოში, მაშინ როცა თავადაზნაურობას ყველა სოციალური ფუნქცია წაერთვა და განაგრძობდა მხოლოდ შემოსავლის მიღებას გასამრჯელოს სახით ამ თავისი დაკარგული ფუნქციებისათვის. ეს კიდევ ცოტაა: ბურჟუაზია მთელი თავისი წარმოებით სალტე-შემორტყმული იყო შუა საუკუნეების ფეოდალური პოლიტიკური ფორმების მიერ, რომელშიც დიდი ხანია ვეღარ ეტეოდა ეს წარმოება, არა მარტო მანუფაქტურა, არამედ თვით ხელოსნობაც კი; იგი შებოჭილი იყო ათასგვარი საამქრო პრივილეგიებით. ადგილობრივი და პროვინციული საბაჟო ზღუდეებით, რომლებიც შარის საბაბად და ბორკილებად იქცნენ წარმოებისათვის.

ბურჟუაზიის რევოლუციამ ბოლო მოუღო ამას. მაგრამ იმით კი არა, რომ ბატონი დიურინგის პრინციპის მიხედვით, სამეურნეო მდგომარეობა პოლიტიკურ პირობებს შეუგუა,

—ამის მოხდენას დიდი ხნის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა სწორედ თავადაზნაურობა და მეფის ხელისუფლება,—არამედ, პირიქით, იმით, რომ ძველი დახავსებული პოლიტიკური ხარახურა გვერდზე გადაისროლა და ისეთი პოლიტიკური პირობები შექმნა, რომელშიც ახალ «სამეურნეო მდგომარეობას» არსებობა და განვითარება შეეძლო. და იგი ბრწყინვალედ განვითარდა ამ ახალ, მის შესაფერ პოლიტიკურ და უფლებრივ ატმოსფეროში, ისე ბრწყინვალედ, რომ ბურჟუაზია უკვე ბევრად დაშორებული არაა იმ მდგომარეობას, რომელიც თავადაზნაურობას ეჭირა 1789 წელს: იგი თანდათან არა თუ სოციალურად ზედმეტი, არამედ სოციალურად შემაფერხებელი ხდება; იგი თანდათან ეთიშება მწარმოებელ მოქმედებას და თანდათან, როგორც ერთ დროს თავადაზნაურობა, მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლის მიმთვისებელი კლასი ხდება; და ეს გადატრიალება თავის საკუთარ მდგომარეობაში და ახალი კლასის, პროლეტარიატის შექმნა მან წმინდა ეკონომიური გზით მოახერხა, ყოველივე ძალმომრეობითი ფოკუსების დაუხმარებლად. კიდევ მეტს ვიტყვით: მას სრულიადაც არ მოუსურვებია, რომ მის საკუთარ მოქმედებას ასეთი შედეგი მოჰყოლოდა; პირიქით, ეს უკანასკნელი დაუძლეველი ძლიერებით განხორციელდა მისი სურვილისა და განზრახვის წინააღმდეგ; მისი საკუთარი საწარმოო ძალები იმდენად გაიზარდნენ, რომ აღარ ემორჩილებიან მის ხელმძღვანელობას და ბუნებრივი აუცილებლობით მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას დაღუპვისა ან გადატრიალებისაკენ მიაქანებენ. და თუ ბურჟუები დღეს ძალმომრეობისკენ მოუწოდებენ, რათა განადგურების გზაზე დამდგარი «სამეურნეო მდგომარეობა» დაღუპვას გადაარჩინონ, ამით მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ისინიც ბატონი დიურინგივით იმავე შეცდომით არიან შეპყრობილი, თითქოს «პოლიტიკური პირობები სამეურნეო მდგომარეობის გადამწყვეტი მიზეზები იყოს»; ბატონი დიურინგის მსგავსად, მათაც წარმოდგენილი აქვთ, რომ «პირველადი ფაქტორის», «უშუალო პოლიტიკური ძალმომრეობის» შემწეობით შეუძლიათ გარდაქმნან «მეორე რიგის ფაქტები», სამეურნეო მდგომარეობა და მისი გარდაუვალი განვითარებაო, რომ კრუპის ზარბაზნებისა და მაუზერის თოფების გასროლით შეიძლება დედამიწის პირიდან აღიგაოს ორთქლის მანქანისა და მისი საშუალებით ამოძრავებული თანამედროვე მანქანების, მსოფლიო ვაჭრობის, დღევანდელი საბანკო და საკრედიტო განვითარების ეკონომიური შედეგებიო.

III
ძალმომრეობის თეორია
(გაგრძელება)

მაგრამ მაინც ცოტა უფრო ახლოს გავსინჯოთ ბატონი დიურინგის ეს ყოვლისშემძლე «ძალმომრეობა». «ხმლით აღჭურვილი» რობინზონი პარასკევას იმონებს. საიდანღა აქვს მას ხმალი? თვით რობინზონადების ფანტასტიკურ კუნძულებზე დღემდე ხმლები ხეებზე არ იზრდება, ბატონი დიურინგი კი კრინტს არ ძრავს ამ კითხვაზე. ისევე როგორც რობინზონს შეეძლო ხმალი ეშოვა, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს პარასკევა გამოჩნდება გატენილი რევოლვერით შეიარაღებული და მაშინ მთელი «ძალმომრეობის» ურთიერთობა შეტრიალდება: პარასკევა მბრძანებლობას იწყებს, ხოლო რობინზონი იძულებულია იმუშაოს მთელი ძალ-ღონით. მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდი, რომ განუწყვეტლივ ვუბრუნდები რობინზონისა და პარასკევას ამბავს, რომელიც უფრო საბავშვო ოთახში გამოდგება, ვიდრე მეცნიერებაში, მაგრამ რა გაეწყობა? ჩვენ იძულებული ვართ სინდისიერად ვიხმაროთ ბატონ დიურინგის აქსიომატური მეთოდი, და ჩვენი ბრალი არაა, თუ მუდამ მართლა ბალღობის ნიადაგზე გვიხდება მოძრაობა. მაშასადამე რევოლვერი იმარჯვებს ხმალზე, აქედან კი ბავშვივით გულუბრყვილო აქსიომატიკოსისათვისაც ნათელია, რომ ძალმომრეობა უბრალო ნებისყოფის აქტს კი არ წარმოადგენს, არამედ მეტად რეალურ წინაპირობებს მოითხოვს თავისი მოქმედებისათვის, სახელდობრ, გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ა რ ა ღ ებ ს, რომელთაგანაც უფრო სრულქმნილი ნაკლებ სრულქმნილს სჯობნის; შემდეგ ეს იარაღები უნდა წარმოებულ იქნეს, რაც ამავე დროს იმას ნიშნავს, რომ ძალმომრეობის სრულქმნილი იარაღის, ან მარტივად რომ ვთქვათ, თოფ-იარაღის მწარმოებელი ამარცხებს ნაკლებად სრულქმნილი იარაღის მწარმოებელს; ე რ თ ი სიტყვით, ძალმომრეობის გამარჯვება დაფუძნებულია იარაღის წარმოებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ დამყარებულია წარმოებაზე საზოგადოდ, მაშასადამე, «ეკონომიურ ძალაზე», «სამეურნეო მდგომარეობაზე», ძალმომრეობის განკარგულებაში მყოფ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ საშუალებებზე.

ძალმომრეობა დღეს ჯარი და საომარი ფლოტია, ორივე კი, როგორც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ყველამ ვიცით, «ძალიან ბევრი ფული ღირს». მაგრამ ძალმომრეობას თავისთავად ფულის გამოჩეკა არ

შეუძლია, არამედ საუკეთესო შემთხვევაში, უკვე მოკრილი ფულის წართმევას თუ მოახერხებს, მაგრამ ვერც ეს მოუტანს დიდ სარგებლობას, როგორც ეს, აგრეთვე ჩვენდა სამწუხაროდ, საფრანგეთის მილიარდებზე განვიცადეთ. მაშასადამე, ფული საბოლოოდ ეკონომიურმა წარმოებამ უნდა მოგვცეს; მაშასადამე, ძალაც სამეურნეო მდგომარეობით განისაზღვრება, იგი მას საშუალებას აძლევს მისი იარაღების შესაძენად და შესანახად. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. არაფერი არაა ისე დამოკიდებული ეკონომიურ წინაპირობებზე, როგორც სწორედ არმია და ფლოტი. შეიარაღება, შემადგენლობა, ორგანიზაცია, ტაქტიკა და სტრატეგია, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია განსაზღვრული დროის წარმოების საფეხურზე და კავშირგაბმულობის საშუალებებზე. აქ გადატრიალება მოახდინა არა გენიოსი მხედართმთავრების «გონების თავისუფალმა შემოქმედებამ», არამედ უკეთესი იარაღების გამოგონებამ და ჯარისკაცთა შემადგენლობის ცვლილებამ; გენიოსი მხედართმთავრების გავლენა, უკეთეს შემთხვევაში, იმით განისაზღვრება, რომ ბრძოლის წესს უფარდებდნენ ახალ იარაღსა და მებრძოლებს.

XIV საუკუნის დამდეგს თოფის წამალი არაბებიდან დასავლეთ ევროპის ხალხებში გავრცელდა და როგორც ყოველმა მოწაფემ იცის, მთელი სამხედრო საქმე ძირიან-ფესვიანად შეცვალა. მაგრამ თოფის წამლისა და ცეცხლისმსროლელი იარაღის შემოღება სრულიადაც ძალმომრეობის აქტი არ იყო, არამედ სამრეწველო, მაშასადამე, სამეურნეო პროგრესს წარმოადგენდა. მრეწველობა მრეწველობად რჩება, სულერთია, საგნების შექმნისკენაა იგი მიმართული, თუ მათი განადგურებისაკენ. და ცეცხლისმსროლელი იარაღის შემოღებამ გადატრიალება მოახდინა არა მარტო თვით ომის წარმოებაში, არამედ აგრეთვე პოლიტიკური ბატონობის და დამორჩილების ურთიერთობაში. თოფის წამლისა და ცეცხლის მსროლელი იარაღის შესაძენად საჭირო იყო მრეწველობა და ფული, ეს ორივე კი მოქალაქეებს ჰქონდათ. ამიტომ ცეცხლისმსროლელი იარაღი იმთავითვე ქალაქების და ქალაქებზე დაყრდნობილი, ზეაღმავალი მონარქიის იარაღს წარმოადგენდა ფეოდალური თავადაზნაურობის წინააღმდეგ. თავადაზნაურთა მანამდე მიუდგომელმა ციხე-გალავნებმა მოქალაქეთა ზარბაზნებს ვერ გაუძლეს, რაინდების წვრილთვალა ჯაჭვკურტაკები მოქალაქეების თოფის ტყვიებმა გახვრიტა. თავადაზნაურობის შეჯავშნულ მხედრობასთან ერთად დაემხო თავადაზნაურობის ბატონობაც; ბურჟუაზიის განვითარებასთან ერთად ქვეითი ჯარი და არტილერია თანდათან გა-

დამწყვეტ შეიარაღებულ ძალებად იქცნენ; არტილერიის მოთხოვნილებებმა აიძულა სამხედრო ხელოსნობა ახალი, სავსებით სამრეწველო დარგი მიემატებინა — საინჟინერო საქმე.

ცეცხლისმსროლელი იარაღი მეტისმეტად ნელა უმჯობესდებოდა. ზარბაზანი მძიმე იყო, თოფი, მრავალი ცალკეული გაუმჯობესების მიუხედავად, ტლანქი. სამას წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა, სანამ შეიქმნებოდა ისეთი თოფი, რომელიც მთელი ქვეითი ჯარის შესაიარაღებლად გამოდგებოდა. მხოლოდ XVIII საუკუნის დამდეგს კაჟის ხიშტიანმა თოფმა საბოლოოდ განდევნა შუბი ქვეითი ჯარის შეიარაღებიდან. იმდროინდელი ქვეითი ჯარი შედგებოდა მკაცრად გაწვრთნილი, მაგრამ სრულიად არასაიმედო პირებისაგან, რომელთაც მხოლოდ ჯოხით აკავებდნენ ერთად; მათ კრეფდნენ საზოგადოების ყველაზე დაქვეითებულ ელემენტებისაგან, ხშირად მთავართა ეს ჯარები იძულებით იყო შემდგარი მტრულად განწყობილი სამხედრო ტყვეებისაგან, და ერთადერთი ბრძოლის ფორმა, რომელშიც ამ ჯარისკაცებს ახალი იარაღის მოხმარება შეეძლო, იყო ხაზობრივი ტაქტიკა, რომელმაც ფრიდრიხ II დროს უმაღლეს სრულყოფას მიაღწია. არმიის მთელი ქვეითი ნაწილი სამხაზად განწევრებულ, მეტად გრძელ და შიგნით ცარიელ ოთხკუთხედად ირაზმებოდა და საომარი წესით მოძრაობდა მხოლოდ როგორც ერთი მთელი; უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ ერთ-ერთ ფრთას ეძლეოდა ნება ცოტათი წინ წაწეულიყო ან უკან დაეხია. ამ უმწეო მასას წესრიგით მოძრაობა მხოლოდ მთლად ვაკეზე შეეძლო და ისიც მხოლოდ ნელი ტემპით (სამოცდახუთმეტი ნაბიჯი წუთში); ბრძოლის წესრიგის შეცვლა შეტაკების დროს შეუძლებელი იყო და გამარჯვება თუ დამარცხება ჩქარა წყდებოდა ერთი დარტყმით, როგორც კი ქვეითი ჯარი შედიოდა ცეცხლის რკალში.

ამ უმწეო მწკრივებს ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომში აჯანყებულთა გუნდები დაუპირისპირდნენ, რომლებიც, მართალია, გაწვრთნილი არ იყვნენ, მაგრამ მშვენივრად ისროდნენ თავიანთი დახრახნილი გრძელი შაშხანებიდან და თავიანთი საკუთარი ინტერესებისათვის იბრძოდნენ, მაშასადამე, არ დეზერტირობდნენ მოკრებილი ჯარისკაცების მსგავსად; ისინი ინგლისელების წინაშე ისეთ თავაზიანობას არ იჩენდნენ, რომ მათსავით დამწკრივებული გამოსულიყვნენ გაშლილ ვაკეზე, არამედ გაფანტული, სწრაფად მოძრავი მსროლელთა რაზმებით ესხმოდნენ თავს ტყის საფარიდან. ხაზობრივი წყობა აქ უილაჯო აღმოჩნდა და დამარცხებულ იქნა

უჩინარი და მიუწვდომელი მოწინააღმდეგეების მიერ. აღმოჩენილ იქნა ბრძოლის ახალი წესი, მსროლელთა გაფანტული წყობა, იგი ჯარისკაცთა ცოცხალი მასალის ცვლილების შედეგს წარმოადგენდა.

რაც ამერიკის რევოლუციამ დაიწყო, ის საფრანგეთის რევოლუციამ დაასრულა,—აგრეთვე სამხედრო დარგშიც. კოალიციის გაწვრთნილ დაქირავებულ ჯარებს მანაც დაუპირდაპირა ცუდად გაწვრთნილი, მაგრამ მრავალრიცხოვანი მასები, მთელი ერის შეიარაღება, ლაშქარი. ამ მასებს პარიზი უნდა დაეცვათ, მაშასადამე, გარკვეული ტერიტორია დაეფარათ, ეს კი ვერ მოხდებოდა გაშლილ მასობრივ ბრძოლაში გაუმარჯვებლად. მარტოოდენ მსროლელთა რაზმების ბრძოლა საკმაო როდი იყო; საჭირო იყო ახალი ფორმის აღმოჩენა მასების გამოსაყენებლადაც; იგი ნაპოვნი იქნა **კ ო ლ ო ნ ი ს** სახით. კოლონებად დაწყობა ნაკლებ გაწვრთნილ ჯარებსაც ნებას აძლევდა ერთგვარი წესრიგით ემოძრავნათ და სწრაფი ლაშქრული ნაბიჯითაც (ასი ნაბიჯი და მეტიც წუთში), იგი მათ შესაძლებლობას აძლევდა გაერღვიათ ძველი ხაზობრივი წყობის მოუქნელი ფორმები, ებრძოლნათ ყოველ, მწკრივისთვის არახელსაყრელ, ტერიტორიაზე, გარემოების მიხედვით ყოველნაირად დაეჯგუფებინათ ნაწილები და გაფანტული მსროლელების ბრძოლასთან ერთად მტრის მწკრივები შეეჩერებინათ, დაებანდებინათ, დაექანცათ, სანამ დადგებოდა მომენტი, როცა პოზიციის გადამწყვეტ პუნქტში მათ გაარღვევდნენ სათადარიგო მასების შემწეობით. ეს ახალი საომარი წესი, რომელიც დაფუძნებული იყო გაფანტული მსროლელების კოლონებთან შეერთებაზე და ჯარის დაყოფაზე დამოუკიდებელ, ყოველი სახის იარაღისგან შემდგარ დივიზიებად ან საარმიო კორპუსებად, როგორც ტაქტიკურად, ისე სტრატეგიულად ნაპოლეონმა შეიმუშავა სავსებით. მაგრამ იგი, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელი გახდა იმ ცვლილების გამო, რომელიც ჯარის ცოცხალ მასალაში საფრანგეთის რევოლუციამ მოახდინა. მაგრამ მას ორი მეტად მნიშვნელოვანი ტექნიკური წანამძღვარი ჰქონდა: ერთი იყო გრიბოვალის მიერ კონსტრუირებული საველე ქვემეხების მსუბუქი ლაფეტები, რომლის შემწეობით შესაძლებელი გახდა მათი საჭირო სისწრაფით მოძრაობა, ხოლო მეორე — საფრანგეთში 1777 წელს სანადირო თოფის წაბაძულობით თოფის მოღუნული კონდახის შემოღება წინანდელის მაგიერ, რომელიც თოფის ლულის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენდა,—ამ ცვლილებამ შესაძლებელი გახადა ერთი განსაზღვრული ადამიანის მიზანში ამოღება ალალბედზე სროლის მაგიერ. ეს გაუმჯობესება **რომ**

არ მომხდარიყო, შეუძლებელი იქნებოდა გაფანტული წყობით სროლა ძველი თოფების შემწეობით.

მთელი ხალხის შეიარაღების რევოლუციური სისტემა ჩქარა შეზღუდულ იქნა იძულებითი გაწვევით (გამოყიდვის საშუალებით შემცვლელის წამოყენების უფლებით შეძლებულთათვის) და ამ ფორმით მიღებულ იქნა კონტინენტის დიდი სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ. მხოლოდ პრუსია ცდილობდა თავისი ლანდვერის[1] სისტემით ხალხის შეიარაღებული ძალები სამხედრო სამსახურში დიდი მასშტაბით გაეწვია. ამას გარდა, პრუსია პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც მთელი თავისი ქვეითი ჯარი ახალი, საფალიედან გასატენი, დახრახნილი შაშხანით შეაიარაღა იმ ხანმოკლე როლის შემდეგ, რაც 1830 წელსა და 1860 წელს შორის ომში გამოსადეგმა ტუჩიდან გასატენმა დახრახნილმა თოფებმა შეასრულეს. ორივე ამ ღონისძიებამ მას გამარჯვება მოუპოვა 1866 წელს.

გერმანია-საფრანგეთის ომში ერთმანეთს პირველად დაუპირდაპირდნენ არმიები, რომლებიც დახრახნილი და საფალიედან გასატენი შაშხანებით იყვნენ შეიარაღებული და არსებითად იმავე საბრძოლო მწყობრით, როგორც ძველი, გლუვლულიანი კაჟის თოფების დროს. მხოლოდ პრუსია შეეცადა ასეულის კოლონის შემოღებით ახალი შეიარაღების შესაფერი ბრძოლის ფორმა შეექმნა. მაგრამ როცა 18 აგვისტოს სენ-პრივასთან პრუსიელების გვარდიამ სცადა სერიოზულად გამოეყენებინა ასეულის კოლონა, ხუთმა პოლკმა, რომელიც ყველაზე დიდ მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლაში, ორიოდე საათის განმავლობაში თავისი შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტი (176 ოფიცერი და 5114 ჯარისკაცი) დაკარგა, და ამ დროიდან ასეულის კოლონაც უარყოფილ იქნა როგორც ბრძოლის ფორმა, ისევე როგორც წინათ ბატალიონის კოლონა და მწკრივი; ამიერიდან ხელი აიღეს ყოველ ცდაზე მტრის თოფის ცეცხლისთვის მიჯრილი რაზმები დაეპირდაპირებინათ და გერმანელების მხრით ბრძოლა წარმოებდა მხოლოდ მჭიდრო მსროლელთა რაზმებით, რომლებადაც კოლონა ჩვეულებრივ თავისთავად იშლებოდა გამანადგურებელი ტყვიის ქარიშხალში, რასაც სარდლობა ებრძოდა როგორც წესრიგის დამრღვევ მოვლენას; აგრეთვე გადარბენა მოძრაობის ერთადერთ ფორმად იქცა მტრის თოფის ცეცხლის რკალში. ჯარისკაცმა ერთხელ კიდევ მეტი გონიერება გამოიჩინა, ვიდრე ოფიცერმა; სწორედ მან, ჯა-

[1] — ერობის ლაშქარი. რ ე დ.

რისკაცმა, ინსტინქტით აღმოაჩინა ბრძოლის ერთადერთი ფორმა, რომელიც გამოდგება საფალიედან გასატენი თოფის ცეცხლის რკალში და წარმატებით გაატარა იგი უფროსების წინააღმდეგობის მიუხედავად.

გერმანია-საფრანგეთის ომით დადგა მობრუნების წერტილი, რომელსაც სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ყველა წინანდელთ. ჯერ-ერთი, თოფ-იარაღი ისე გაუმჯობესდა, რომ შესაძლებელი აღარაა ახალი პროგრესი, რომელსაც რაიმე გადატრიალების მნიშვნელობა ჰქონდეს. როცა ქვემეხები გვაქვს, რომელთა შემწეობით შეიძლება ბატალიონს იმ მანძილზე მივწვდეთ, სანამდე მას თვალი არჩევს, და თოფი, რომელიც იმავე მანძილზე ხვდება მიზანში ამოღებულ ცალკე ადამიანს, და რომლის გატენა ნაკლებ დროს გვართმევს, ვიდრე დამიზნება, ყოველი შემდგომი წინსვლა მეტად თუ ნაკლებად სულერთია საველე ომისთვის. მაშასადამე, განვითარების ერა ამ მიმართულებით არსებითად დასრულებულია. მეორეც, ამ ომმა ყველა კონტინენტალური დიდი სახელმწიფო აიძულა შემოეღო გაძლიერებული პრუსიული ლანდვერის სისტემა და ამით თავის მხრებზე დაედო სამხედრო ტვირთი, რომელიც მათ მოკლე ხანში დაღუპავს. არმია სახელმწიფოს მთავარ მიზნად, მის თვითმიზნად იქცა; ხალხები მხოლოდ იმისთვის-ღა არსებობენ, რომ ჯარისკაცები გამოიყვანონ და გამოჰკვებონ. მილიტარიზმი ბატონობს და ნთქავს ევროპას. მაგრამ ეს მილიტარიზმი აგრეთვე თავისი საკუთარი დაღუპვის ჩანასახს ატარებს. ერთი მხრივ, ცალკე სახელმწიფოების მეტოქეობა ერთმანეთს შორის მათ აიძულებს ყოველწლიურად მეტი ფული გაიღონ არმიისა, ფლოტისა, არტილერიისათვის და სხვა, მაშასადამე, დააჩქარონ ფინანსური კატასტროფა; მეორე მხრივ, იგი მათ აიძულებს უფრო და უფრო სერიოზულად მოეპყრან საყოველთაო საავალდებულო სამხედრო სამსახურს და, ბოლოს, მთელ ხალხს შეასწავლონ იარაღის ხმარება და, მაშასადამე, მას შესაძლებლობა მისცენ გარკვეულ მომენტში თავისი ნებისყოფა დაუპირდაპიროს მბრძანებელ სამხედრო უფროსობას. და ეს მომენტი დადგება, როგორც კი ხალხის მასას, სოფლისა და ქალაქის მუშებსა და აგრეთვე გლეხებს ერთი ნებისყოფა ე ქ ნ ე ბ ა თ. ამ საფეხურზე მეფის ჯარი ხალხის ჯარად იქცევა; მანქანა უარს ამბობს სამსახურზე, და მილიტარიზმი იღუპება თავისივე საკუთარი განვითარების დიალექტიკის ძალით. რის შერულებაც 1848 წლის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ ვერ შეძლო, სწორედ იმიტომ, რომ იგი ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი იყო და

არა პროლეტარული, სახელდობრ, ვერ შეძლო მიეცა მშრომელი მასებისთვის ისეთი ერთიანი ნებისყოფა, რომლის შინაარსი მისი კლასობრივი მდგომარეობის შესაბამისი იქნებოდა, — იმას უცილობლად სოციალიზმი მიაღწევს. ეს კი მოასწავებს მილიტარიზმისა და მასთან ერთად ყველა მუდმივი არმიის შ ი გ ნ ი დ ა ნ აფეთქებას.

ესაა ჩვენი თანამედროვე ქვეითი ჯარის ისტორიის პირველი მორალი. მეორე მორალი, რომელიც ხელახლა ბატონ დიურინგთან გვაბრუნებს, იმაში მდგომარეობს, რომ არმიების მთელი ორგანიზაცია და ბრძოლის მეთოდი, და მასთან ერთად გამარჯვება და დამარცხება დამოკიდებულია მატერიალურ, ე. ი. ეკონომიურ პირობებზე, ადამიანისა და თოფ-იარაღის მასალაზე, მაშასადამე, მოსახლეობისა და ტექნიკის თვისებასა და რაოდენობაზე. მხოლოდ მონადირე ხალხს, როგორიც ამერიკელები იყვნენ, შეეძლოთ მსროლელთა გაფანტული წყობა აღმოეჩინათ, ისინი კი მონადირეები იყვნენ წმინდა ეკონომიური მიზეზების გამო, ისევე როგორც ამჟამად ძველი შტატების იგივე იანკები წმინდა ეკონომიური მიზეზების გამო გლეხებად, მრეწველებად, მეზღვაურებად და ვაჭრებად იქცნენ, რომლებიც უღრან ტყეებში თოფს აღარ ისვრიან კანტი-კუნტად, მაგრამ სამაგიეროდ მით უფრო მეტი წარმატებით მოქმედებენ სპეკულაციის ასპარეზზე, სადაც მასების გამოყენებაშიც დიდი ნაბიჯი გადადგეს. — მხოლოდ ისეთ რევოლუციას, როგორიც საფრანგეთის რევოლუცია იყო, რომელმაც ეკონომიურად გაანთავისუფლა ბურჟუები და განსაკუთრებით გლეხები, შეეძლო აღმოეჩინა მასობრივი არმიების ფორმები და აგრეთვე ის თავისუფალი მოძრაობის ფორმები, რომელზედაც დაიმსხვრა ძველი, მოუქნელი მწკრივები, იმ აბსოლუტიზმის მილიტარული ანარეკლები, რომლის გულისთვისაც ისინი იბრძოდნენ. ჩვენ ყველა შემთხვევაზე უკვე დავინახეთ, ბრძოლის წესის როგორ ცვლილებებს, კიდევ მეტი — გადატრიალებებს ახდენს ტექნიკის პროგრესი, იმ წამშივე — თითქმის ძალდატანებით, ხშირად მთავარსარდლობის სურვილის წინააღმდეგაც, როგორც კი იგი მილიტარულად გამოსაყენებელი ხდება და გამოიყენებენ კიდეც. ხოლო რამდენად ძლიერაა, გარდა ამისა, ომის წარმოება დამოკიდებული როგორც საკუთარი ზურგის, ისე საომარი ასპარეზის საწარმოო ძალებსა და კავშირგაბმულობის საშუალებებზე, ამის შესახებ ყოველ გულმოდგინე უნტეროფიცერს შეუძლია ახსნა-განმარტებანი მისცეს ბატონ დიურინგს. ერთი სიტყვით, «ძალ-

მომრეობის» გამარჯვებას ყველგან და ყოველთვის ეკონომიური პირობები და ძლიერების საშუალებანი შეელოდნენ, მათ გარეშე ძალა ძალა არაა, და ვინც დიურინგის პრინციპების მიხედვით მოისურვებს სამხედრო საქმის რეფორმა საწინააღმდეგო თვალსაზრისით მოახდინოს, ვერაფერს მოიმკის, გარდა ცემა-ტყეპისა [1].

თუ ახლა ხმელეთიდან წყალზე გადავალთ, დავინახავთ, რომ მარტო უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში აქ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გადატრიალება მოხდა. ყირიმის ომის დროის საომარი ხომალდი 60—100 ზარბაზნით აღჭურვილ ხის ორ ან სამერდოიან გემს წარმოადგენდა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, იალქნებით მოძრაობდა და მხოლოდ დამხმარე ძალად კიდევ სუსტ ორთქლის მანქანას ხმარობდა. მის შეიარაღებას, უმთავრესად, შეადგენდა 32 გირვანქიანი ქვემეხები, რომელთა ლულის წონა დაახლოებით 50 ცენტნერს უდრიდა, გარდა ამისა, მხოლოდ რამდენიმე 68 გირვანქიანი ქვემეხი 95 ცენტნერის წონით. ომის დასასრულს გამოჩნდნენ ჯავშნოსანი მცურავი ბატარეები, ისინი უხეშ, მძიმედ მოძრავ ურჩხულებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათი დაზიანება შეუძლებელი იყო იმდროინდელი არტილერიით. ჩქარა რკინის ჯავშანი საომარ გემებზეც გადაიტანეს; თავდაპირველად თხელი, ოთხი გოჯის სისქე რკინა უკვე მეტად მძიმე ჯავშნად ითვლებოდა. მაგრამ არტილერიის პროგრესმა ჩქარა გაუსწრო შეჯავშნას; ჯავშნის ყოველგვარი სისქის თანდათანობით მომატებას, ახალი მძიმე ქვემეხი უპირდაპირდებოდა, რომელიც მას ადვილად ხვრეტდა. ამრიგად, ჩვენ უკვე, ერთი მხრივ, ათ, თორმეტ, თოთხმეტ, ოცდაოთხგოჯიანი სისქის ჯავშანს მივაღწიეთ (იტალიას სურს სამფუტიანი სისქის ჯავშნის მქონე გემი ააგებინოს); მეორე მხრივ, დახრახნილ ქვემეხებს, რომელთა ლულის წონა 25, 35, 80, თვით 100 ტონას უდრის (თუ ერთ ტონას 20 ცენტნერად მივიჩნევთ [2]) და, რომლებიც 300, 400, 1700-დან 2000—გირვანქიან ჭურვებს ისვრიან წინათ გაუგონარ მანძილზე. თანამედროვე საომარი გემი უზარმაზარ ჯავშნოსან ხრახნილიან ორთქლის ხომალდს წარმოადგენს 8000 — 9000 ტონა წყალწყვითა და 6000-დან 8000-მდე ცხენის ძალით, მბრუ-

[1] ეს უკვე ძლიერ კარგად იციან პრუსიის გენერალურ შტაბშიც. «სამხედრო საქმის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი პირველ რიგში საერთოდ ხალხების ს ა მ ე უ რ ნ ე ო ცხოვრების წყობაა», — ამბობს ბატონი მაქს იენსი, გენერალური შტაბის კაპიტანი, ერთ მეცნიერულ მოხსენებაში («Kölnische Zeitung» [«კელნის გაზეთი». რ ე დ.], 1876 წ. 20 აპრილი, მესამე ფურცელი). [ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა.]

[2] აქ ენგელსს მხედველობაში აქვს ჯერმანული ცენტნერი (50 კგ.), რომელიც მეტრული ცენტნერის ნახევარს შეადგენს. რ ე დ.

ნავი კოშკებითა და ოთხი, ან დიდი-დიდი ექვსი მძიმე ქვემეხით და კონცხით, რომელიც წყალქვეშ იშლება, რათა მტრის ხომალდი ქვეშიდან გატარნოს; იგი წარმოადგენს ერთ მთლიან უზარმაზარ მანქანას, რომელსაც ორთქლი არა მარტო სწრაფ მოძრაობას აძლევს, არამედ რომელზედაც იგი საჭეს ამოძრავებს, ღუზასაც უშვებს და სწევს, კოშკებსაც ატრიალებს, ქვემეხებსაც მიმართავს და სტენის, წყალსაც ამოტუმბავს, ნავებს ასწევს და ჩაუშვებს, თვით ამ ნავების მოძრაობა ნაწილობრივ ორთქლის ძალით ხდება, და ა. შ. შეჯიბრება შეჯავშნასა და არტილერიის მოქმედებას შორის ჯერ კიდევ იმდენად შორსაა დამთავრებისაგან, რომ გემი დღეს ვეღარც კი ასწრებს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, იგი უკვე დაძველებულია, სანამ გემთსაშენიდან გამოვიდოდეს და წყალში ჩაუშვებდნენ. თანამედროვე საბრძოლო გემი წარმოადგენს არა მარტო თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიის პროდუქტს, არამედ აგრეთვე მის ნიმუშსაც, მცურავ ფაბრიკას, რომელიც, მართალია, ფულის მფლანგველობას ემსახურება. იმ ქვეყაყანას, სადაც მსხვილი ინდუსტრია ყველაზე მეტადაა განვითარებული, თითქმის მონოპოლია აქვს ამ გემების აგებაში. ყველა თურქული, თითქმის ყველა რუსული ჯავშნოსანი და გერმანული ჯავშნოსნების უმრავლესობა ინგლისშია აგებული; რამდენადმე ხეირიან ჯავშნებს თითქმის მხოლოდ და მხოლოდ შეფილდში ამზადებენ; ევროპის სამი რკინის ქარხნიდან, რომლებსაც შეუძლიათ უმძიმესი ქვემეხები დაამზადონ, ორი ინგლისშია (ვულვიჩი და ელსვიკი), ხოლო მესამე გერმანიაში (კრუპი). ჩაქ მეტად ხელშესახებად ჩანს, რომ «უშუალო პოლიტიკური ძალმომრეობა», რომელიც ბატონი დიურინგის მიხედვით «სამეურნეო მდგომარეობის გადამწყვეტ მიზეზს» წარმოადგენს, პირიქით, სავსებით დამორჩილებულია სამეურნეო მდგომარეობის მიერ; არა მარტო ძალმომრეობის საზღვაო იარაღთა წარმოება, არამედ მისი გამოყენებაც ზღვაზე, სახელდობრ, საბრძოლო გემის გამოყენებაც, თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიის დარგად იქცა. და ეს გარემოება არავის არ აწუხებს ისე, როგორც სწორედ «ძალა-უფლებას», სახელმწიფოს, რომელსაც დღეს ერთი გემი იმდენივე უჯდება, რამდენიც წინათ მთელი პატარა ფლოტი უჯდებოდა; იგი იძულებულია უცქიროს იმ ამბავს, თუ ეს ძვირადღირებული გემები როგორ ძველდება, მაშასადამე, ღირებულებას კარგავენ მანამდე, სანამ წყალში ჩაუშვებენ; და, უეჭველია, იგი ბატონი დიურინგივით უკმაყოფილოა იმ გარემოებით, რომ «სამეურნეო მდგომარეობის» ადამიანი — ინჟენერი დღეს გემის

ქიმზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე «უშუალო ძალაუფლების» ადამიანი—მეთაური. ჩვენ კი, პირიქით, არავითარი საფუძველი არ გვაქვს შეწუხებისთვის, როცა ვხედავთ, რომ ჯავშნოსანის და ქვემეხის ამ შეჯიბრებაში საომარი ხომალდი სრულქმნილი ხელოვნების მწვერვალს აღწევს, რაც მას ფასის მხრივ მიუწვდომელსა და ომში გამოუსადეგს ხდის ერთსა და იმავე დროს[1], და რომ ამ შეჯიბრების წყალობითვე საზღვაო ომის დარგშიც მეღავნდება დიალექტიკური მოძრაობის ის შინაგანი კანონები, რომელთა მიხედვით მილიტარიზმი, ყოველი სხვა ისტორიული მოვლენის მსგავსად, თავისივე საკუთარი განვითარების შედეგებმა უნდა დაღუპოს.

მაშასადამე, აქაც დღესავით ნათელია, რომ არაა მართალი, თითქოს «თავდაპირველი მიზეზი უნდა ვეძებოთ უშუალო პოლიტიკურ ძალმომრეობაში და არა არაპირდაპირ ეკონომიურ ძლიერებაში». პირიქით. რა აღმოჩნდა თვით ძალადობის «თავდაპირველი» მიზეზი? ეკონომიური ძლიერება, მსხვილი ინდუსტრიის მძლავრ საშუალებათა ფლობა. ზღვაზე პოლიტიკური ძლიერება, რომელიც თანამედროვე საომარ გემებს ეყრდნობა, სრულიადაც «უშუალოდ» არ მეღავნდება, არამედ სწორედ ეკონომიური ძლიერების ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ, მეტალურგიის ძლიერი განვითარებით, დახელოვნებული ტექნიკოსების თავის განკარგულებაში ყოლითა და მდიდარი ქვანახშირის მაღაროების ფლობით.

მაგრამ რა საჭიროა ყოველივე ეს? დაე, უახლოეს საზღვაო ომში უმაღლესი სარდლობა ბატონ დიურინგს გადასცენ, და იგი ტორპედებისა და სხვა ოინების დაუხმარებლად, მარტოოდენ თავისი «უშუალო ძალმომრეობით» შემუსრავს «სამეურნეო მდგომარეობის» მიერ დამონებულ ჯავშნოსან ფლოტებს.

IV

ძალმოგმრეობის თეორია

(დასასრული)

«მეტად მნიშვნელოვანი გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტიურად ბ უ ნ ე ბ ი ს დამორჩილება საზოგადოდ (!) მხოლოდ ა დ ა მ ი ა ნ ი ს დამორჩილების შემწეობით მოხდა (დამორჩილება მოხდა!).

[1] როგორც ჩანს, ეს განხორციელებული იქნება თვითმოძრავი ტორპედების გაუმჯობესებით, ეს ტორპედები საზღვაო ომისთვის მომუშავე მსხვილი ინდუსტრიის უკანასკნელ პროდუქტს წარმოადგენენ; ამრიგად, უმცირესი ტორპედოსანი კატარღა აჯობებდა უძლიერეს ჯავშნოსან გემს. (ამასთანავე მკითხველმა გაიხსენოს, რომ ზემონათქვამი 1878 წელსაა დაწერილი). [ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა].

მიწის საკუთრების სამეურნეო გამოყენება დიდი ფართობით არასოდეს და არსად არ მომხდარა ისე, რომ წინასწარ ადამიანები არ დაემონებინათ და არ აეძულებინათ იგი ესა თუ ის მონური შრომა ან საბატონო ბეგარა შეესრულებინა. ეკონომიური ბატონობის დამყარებას საგნებზე წინასწარ პირობად ჰქონდა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ბატონობა ადამიანისა ადამიანზე. როგორ შეიძლება მსხვილი მიწათმფლობელი მებატონე წარმოვიდგინოთ და ამავე დროს არ ვიგულისხმოთ მისი ბატონობა მონებსა, ყმებსა ან მისგან არაპირდაპირ დამოკიდებულ არათავისუფალ ადამიანებზე? რა მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა ან რა მნიშვნელობა აქვს ფართო სამიწათმოქმედო კულტურისთვის მართლაც ცალკეული ადამიანის ძალას, რომელსაც, უკეთეს შემთხვევაში, ოჯახის წევრთა დამხმარე ძალები თუ გააჩნდა?,მიწის ექსპლოატაცია ან ეკონომიური ბატონობის გავრცელება მასზე, იმ მასშტაბით, რომელიც სჭარბობდა ცალკეული ადამიანის ბუნებრივ ძალებს, დღემდე ისტორიაში შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ მიწაზე ბატონობის დამყარებამდე, ან მასთან ერთად, გატარდა აგრეთვე ადამიანის დამონება, რაც საჭირო იყო ამისთვის. განვითარების შემდგომ პერიოდებში ეს დამონება შერბილებულ იქნა... მისი დღევანდელი ფორმა უმაღლესად ცივილიზებულ სახელმწიფოებში დაქირავებული შრომაა, რომელსაც მეტად თუ ნაკლებად პოლიციური ხელისუფლება უწევს ხელმძღვანელობას. მაშასადამე, დაქირავებულ შრომაზეა დაფუძნებული თანამედროვე სიმდიდრის იმ სახეების პრაქტიკული შესაძლებლობა, რომელიც უფრო ფართო მიწაზე ბატონობაში და (!) უფრო მსხვილ მიწათმფლობელობაში გამოიხატება. თავისთავად იგულისხმება, რომ გასანაწილებელი სიმდიდრის ყველა დანარჩენი სახე ისტორიულად ამგვარადვე უნდა აიხსნას, და ადამიანის არაპირდაპირი დამოკიდებულება ადამიანისაგან, რაც დღეს ეკონომიურად ყველაზე მეტად განვითარებული მდგომარეობის მთავარ ნიშანს წარმოადგენს, შეიძლება გაგებულ და ახსნილ იქნეს არა თავისთავად, არამედ მხოლოდ როგორც ოდნავ სახეშეცვლილი მემკვიდრეობა წინათ არსებული პირდაპირი დამორჩილებისა და ექსპროპრიაციისა». ასე ლაპარაკობს ბატონი დიურინგი.

თეზისი: ბუნების დამორჩილება (ადამიანის მიერ) წინასწარ გულისხმობს ადამიანის დამორჩილებას (ადამიანის მიერვე).

დამტკიცება: მიწის საკუთრების სამეურნეო გამოყენება დიდი ფართობით ყოველთვის და ყველგან მხოლოდ დამონებული ადამიანების შემწეობით ხდებოდა.

დამტკიცების დამტკიცება: როგორ შეიძლება მსხვილი მიწათმფლობელები არსებობდნენ უმონებოდ, უყმებოდ, როცა მსხვილ მიწათმფლობელს თავისი ოჯახით უყმებოდ თავისი მფლობელობის მხოლოდ მცირედი ნაწილის დამუშავება შეეძლო.

მაშასადამე, იმის დასამტკიცებლად, რომ, ადამიანმა წინასწარ ადამიანი უნდა დაიმონოს, რათა ბუნება დაიმორჩილოს, ბატონი დიურინგი «ბუნებას» პირდაპირ «ფართო მასშტაბის მსხვილი მიწის საკუთრებად» აქცევს და ამ მიწის საკუთრებას — არავინ იცის, ვის საკუთრებას? — მაშინვე მსხვილი მიწათმფლობელის — საკუთრებად, რომელსაც, რასაკვირველია, თავისი მიწის დამუშავება არ შეუძლია უყმებოდ.

ჯერ-ერთი, «ბუნების დამორჩილება» და «მიწის საკუთრების სამეურნეო გამოყენება» სრულიად ერთი და იგივე არაა. ბუნების დამორჩილება ინდუსტრიაში ბევრად უფრო დიდი მასშტაბით ხდება, ვიდრე მიწათმოქმედებაში, რომელიც დღემდე დამოკიდებულია დარისაგან, იმის მაგიერ, რომ თვით იმორჩილებდეს დარს.

მეორე, თუ ჩვენ შემოვიფარგლებით მიწის საკუთრების სამეურნეო გამოყენებით დიდ ფართობზე, საკითხავია, ვის ეკუთვნის მიწის ეს საკუთრება. და აქ ყველა კულტურული ხალხის ისტორიის დასაწყისში ჩვენ ვპოულობთ არა «მსხვილ მიწის მებატონეს», რომელსაც ბატონი დიურინგი გვაჩრის თავისი ჩვეულებრივი ჯამბაზური მანერით, რასაც იგი «ბუნებრივ დიალექტიკას» უწოდებს, არამედ ტომისა და სოფლის თემებს საერთო მიწათმფლობელობით. ინდოეთიდან ირლანდიამდე მიწის საკუთრების დამუშავება დიდ ფართობზე თავდაპირველად ასეთი ტომისა და სოფლის თემების შემწეობით ხდებოდა, ისე რომ სახნავ მიწას ხან მთელი თემი ამუშავებდა თემის ხარჯზე, ხან კიდევ ცალკე ოჯახები ამუშავებდნენ თემის მიერ მიზომილ მიწის ნაკრებს გარკვეული ვადით, მაგრამ ტყე და საძოვარი სამუდამო საერთო სარგებლობაში რჩებოდა. ესეც დამახასიათებელია ბატონი დიურინგის «ღრმა სპეციალური მუშაობისთვის პოლიტიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა დარგებში», რომ მან არაფერი იცის ყველა ამ ამბებზე; ყველა მისი თხზულება მოწმობს ავტორის სრულ უცოდინარობას მაურერის მიერ დაწერილი, ეპოქის შემქმნელი შრომებისა პირველყოფილ გერმანულ სამარკო წესწყობილებაზე, რომელიც

მთელი გერმანული სამართლის საფუძველს წარმოადგენს; ასევე ისინი მოწმობენ იმას, რომ დიურინგი სრულიად არ იცნობს განუწყვეტლივ მზარდ ლიტერატურას, რომელიც უმთავრესად მაურერის შრომების გავლენით არის გამოწვეული, და რომელიც ამტკიცებს პირველყოფილი სათემო მიწათმფლობელობის არსებობას ევროპისა და აზიის ყველა კულტურულ ხალხში და, გადმოსცემს მისი არსებობისა და დაშლის სხვადასხვა ფორმებს. ისევე როგორც ბატონი დიურინგი «თავის თავს უნდა უმადლოდეს მთელ თავის უმეცრებას» ფრანგული და ინგლისური სამართლის დარგში,— ხოლო ეს უმეცრება მეტისმეტად დიდია,—ასევე იგი «თავის თავისაგან არის დავალებული» თავისი კიდევ უფრო დიდი უმეცრებით გერმანული სამართლის დარგში. ადამიანი, რომელიც ასეთი სიძლიერით გამოთქვამს თავის გულისწყრომას უნივერსიტეტის პროფესორების შეზღუდული ჰორიზონტის გამო, გერმანული სამართლის დარგში დღესაც, უკეთეს შემთხვევაში, იქ დგას, სადაც პროფესორები 20 წლის წინათ იდგნენ.

ბატონი დიურინგის «თავისუფალი შემოქმედებისა და ფანტაზიის» ნამდვილ «ნაყოფს» წარმოადგენს მისი მტკიცება, რომ დიდი მასშტაბით მიწის საკუთრების სამეურნეო გამოყენებისათვის მიწათმფლობელები და ყმები იყვნენ საჭიროო. მთელ აღმოსავლეთში, სადაც მიწის მესაკუთრე ან თემია ან სახელმწიფო, ენას აკლია თვით სიტყვა «მამულის მეპატონე», ამის შესახებ ბატონ დიურინგს შეუძლია ცნობა მიიღოს ინგლისელი იურისტებისაგან, რომელნიც ინდოეთში ისევე ამაოდ იტეხდნენ თავს იმ კითხვის გამოსარკვევად: «ვინ არის მამულის მესაკუთრეო», როგორც განსვენებული თავადი ჰაინრიხ LXXII როის-გრაიც-შლაიც-ლობენ-შტაინ-ებერსვალდე კითხვის გამოსარკვევად: «ვინ არის ღამის გუშაგიო». აღმოსავლეთში პირველად თურქებმა შემოიღეს მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ერთგვარი მიწათმფლობელური ფეოდალიზმი. უკვე გმირული პერიოდის საბერძნეთი ისტორიაში წოდებრივად დანაწილებული შედის, რაც თავის მხრივ ხანგრძლივი, ჩვენთვის უცნობი წინაისტორიის თვალსაჩინო ნაყოფს წარმოადგენს; მაგრამ იქაც მიწას უმთავრესად დამოუკიდებელი გლეხები ამუშავებენ; წარჩინებულთა და ტომის მთავართა დიდი მამულები გამონაკლისს წარმოადგენენ და ამას გარდა ჩქარაც ქრებიან. იტალიაში მიწა უმთავრესად გლეხებმა დაამუშავეს; როცა რომის რესპუბლიკის უკანასკნელ ხანებში მსხვილი მამულების ჯგუფებმა — ლატიფუნდიებმა — წვრილი გლეხები გააძევეს და მონებით შეცვალეს, ამავე

დროს მათ მიწათმოქმედება მესაქონლეობით შეცვალეს და, როგორც უკვე პ ლ ი ნ ი უ ს მ ა იცოდა, იტალია დაღუპეს (latifundia Italiam perdidere). შუა საუკუნეებში მთელ ევროპაში (განსაკუთრებით უდაბური მიწების დამუშავების დროს) გლეხური კულტურა ბატონობს, ამ შემთხვევაში კი ზემოთ აღნიშნული საკითხისთვის სულერთია, იხდიდნენ თუ არა ეს გლეხები გადასახადს და რამდენს იხდიდნენ ამა თუ იმ ფეოდალური მებატონის სასარგებლოდ. ფრიზელი, ქვემოსაქსონელი, ფლამანდიელი და ქვემორაინელი კოლონისტები, რომლებიც ამუშავებდნენ სლავებისაგან წართმეულ მიწებს ელბის აღმოსავლეთით, მეტად შეღავათიან ხარკს იხდიდნენ როგორც თავისუფალი გლეხები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში «რაიმე საბატონო ბეგარის სახით».

ჩრდილოეთ ამერიკაში მიწის უდიდესი ნაწილი თავისუფალი გლეხების შრომით იქნა კულტივირებული, მაშინ როცა სამხრეთის დიდმა მემამულეებმა თავიანთი მონებითა და ყაჩაღური მეურნეობით იმდენად გამოფიტეს ნიადაგი, რომ ზედ არაფერი იზრდებოდა, გარდა ნაძვისა, ისე რომ ბამბის კულტურა თანდათან დასავლეთისაკენ უნდა გადასახლებულიყო. ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ჩაიფუშა ინგლისის მთავრობის ყველა ცდა მიწათმფლობელი არისტოკრატიის ხელოვნურად დანერგვისა. ერთი სიტყვით, თუ ტროპიკულ და სუბტროპიკულ კოლონიებს გამოვრიცხავთ, სადაც ჰავა ევროპელს სამიწათმოქმედო შრომას უკრძალავს, მსხვილი მემამულე, რომელიც თავისი მონებისა ან მობეგრე ყმების შემწეობით ბუნებას იმორჩილებს და ნიადაგს ამუშავებს, ფანტაზიის მტკნარი გამონაგონი აღმოჩნდება. პირიქით, სადაც ძველ დროს სარბიელზე მსხვილი მიწათმფლობელი გამოდიოდა, როგორც, მაგ., იტალიაში, უდაბურ ადგილებს კი არ ამუშავებდა, არამედ გლეხების მიერ დამუშავებულ სახნავ-სათეს მიწებს საძოვრებად აქცევდა, ხალხისგან აცარიელებდა და ანგრევდა მთელ კუთხეებს. მხოლოდ ახალ დროში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსახლეობის გამრავლებამ მიწის ღირებულება ასწია, ხოლო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აგრონომიის განვითარებამ უფრო ცუდი მიწებიც გამოსაყენებელი გახადა, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მსხვილმა მიწათმფლობელობამ დიდი მასშტაბით მონაწილეობის მიღება უდაბური და საძოვარი მიწების დამუშავებაში, რაც უმთავრესად გლეხების სათემო მიწების გაქურდვის შემწეობით ხდებოდა როგორც ინგლისში, ისე გერმანიაში. მაგრამ აქაც საქმე მოპირდაპირე პროცესის გარეშე არ მომხდარა. ყოველ აკრ

სათემო მიწაზე, რომელსაც მსხვილი მიწისმფლობელები ინგლისში ამუშავებდნენ, ისინი შოტლანდიაში სამ აკრ დამუშავებულ მიწას მაინც ცხვრების საძოვრად, ხოლო ბოლოს თვით მსხვილი ნადირის სათარეშოდ სანადირო ნაკვეთებად აქცევდნენ.

ჩვენ აქ საქმე გვაქვს ბატონი დიურინგის მხოლოდ იმ მტკიცებასთან, რომ დიდი ტერიტორიების, ე. ი. თითქმის მთელი კულტურული სამიწათმოქმედო ფართობის დამუშავება «არასოდეს და არსად» სხვანაირად არ მომხდარა, თუ არა მსხვილი მიწათმფლობელებისა და დამონებული ადამიანების შემწეობითო, — ესაა მტკიცება, რომლის «წინასწარ პირობას», როგორც დავინახეთ, ისტორიის მართლაც რომ გაუგონარი უცოდინარობა წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ აქ არც იმის გამორკვევას შევუდგებით, რამდენად ამუშავებდნენ სხვადასხვა დროს უკვე მთლიანად ან უმეტესწილად ათვისებულ მიწის ფართობებს მონებით (როგორც საბერძნეთის აყვავების ხანაში) ან ყმებით (როგორც შუა საუკუნეებიდან მოკიდებული გლეხთა მობეგრე კომლებით), არც იმის გამოკვლევას შევუდგებით, თუ როგორი საზოგადოებრივი ფუნქციები ჰქონდათ სხვადასხვა დროს მსხვილ მიწათმფლობელებს.

მას შემდეგ, რაც ბატონმა დიურინგმა გადაგვიშალა თავისი ოსტატური ფანტასტიკური სურათი, რომლის შესახებ ადამიანმა არ იცი, რა უფრო უნდა გაკვირვებდეს, დედუქციის ჯამბაზობა თუ ისტორიის გაყალბება, იგი ტრიუმფით გაიძახის: «თავისთავად გასაგებია, რომ გასანაწილებელი სიმდიდრის ყველა დანარჩენი სახე ისტორიულად ამგვარადვე უნდა აიხსნას!» ამით იგი, რასაკვირველია, თავის თავს ათავისუფლებს შრომა-გარჯისაგან, თუნდაც ერთი სიტყვით მაინც მოიხსენიოს, მაგალითად, კაპიტალის წარმოშობა.

თუ ბატონი დიურინგი ამტკიცებს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის დამორჩილება წინაპირობაა ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილებისაო, თუ ამით მას საზოგადოდ მხოლოდ იმის თქმა უნდა, რომ მთელი ჩვენი თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა, მიწათმოქმედებისა და მრეწველობის მიერ მიღწეული განვითარების დონე, შედეგია საზოგადოების ისტორიისა, რომელიც კლასობრივი წინააღმდეგობის, ბატონობისა და დამონების ურთიერთობაში ვითარდებაო, მაშინ იგი ისეთ რამეს ამბობს, რაც «კომუნისტური მანიფესტის» გამოქვეყნების შემდეგ თავისთავად საგულისხმო ეშმარიტებად იქცა. საქმე სწორედ ისაა, კლასების და ბატონობა-დამონების ურთიერთობის წარმოშობა ავხსნათ,

და თუ ბატონ დიურინგს ამისთვის არაფერი აქვს, გარდა ერთი სიტყვისა — «ძალმომრეობა», ამით ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ. მარტო ის მარტივი ფაქტი, რომ დამორჩილებულნი და ექსპლოატაციაქმნილნი ყოველ ეპოქაში უფრო მრავალრიცხოვანნი არიან, ვიდრე მბრძანებელნი და ექსპლოატატორნი და რომ, მაშასადამე, ნამდვილი ძალა პირველთა ხელშია, საკმაოა, რათა მთელი ძალმომრეობის თეორიის უაზრობა გამოვამეღავნოთ. მაშასადამე, ბატონობისა და დამონების ურთიერთობა ხელახლა ასახსნელი რჩება.

ისინი ორი გზით წარმოიშვა.

როგორც ადამიანები თავდაპირველად ცხოველთა სამეფოდან (ამ ცნების ვიწრო გაგებით) გამოდიან, ისტორიაშიც ისე შედიან: ჯერ კიდევ ნახევრადცხოველები, ველურები, ისინი ჯერ კიდევ უილაჯონი არიან ბუნების ძალების წინააღმდეგ, ჯერ კიდევ ვერ იცნობენ თავიანთ საკუთარ ძალებს; ამიტომ ისინი ისევე ღარიბები არიან, როგორც ცხოველები და მათზე ბევრად მეტს როდი აწარმოებენ. გაბატონებულია ერთგვარი თანასწორობა ცხოვრების პირობებში, ხოლო ოჯახის მეთაურებისათვის აგრეთვე ერთგვარი თანასწორობა საზოგადოებრივ მდგომარეობაში, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი კლასების უქონლობა, რაც შემდეგ კულტურული ხალხების ბუნებრივად აღმოცენებულ, მიწათმოქმედ თემებში გრძელდება. თვითეულ ასეთ თემში იმთავითვე გარკვეული საერთო ინტერესები არსებობს, რომელთა დაცვა ცალკე პირებს უნდა დაეკისროს, თუნდაც მთელი საზოგადოების მეთვალყურეობის ქვეშ; შუღლის დაცხრობა, რეპრესიული ზომების მიღება იმის წინააღმდეგ, რომ ცალკე პირმა არ გადააჭარბოს თავის უფლებებს, მორწყვის მეთვალყურეობა, განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში, ბოლოს, პირველყოფილ ველურ მდგომარეობაში, რელიგიური ფუნქციები. ასეთი თანამდებობის პირები ყოველ ეპოქაში გვხვდებიან პირველყოფილ თემებში, ასე, მაგალითად, უძველეს გერმანულ სამარკო თემში, ხოლო დღეს კიდევ ინდოეთში. ისინი, რასაკვირველია, ერთგვარად უფლებამოსილნი არიან და სახელმწიფო ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენენ. საწარმოო ძალები თანდათან იზრდება: ხშირი მოსახლეობა აქ ჰქმნის საერთო ინტერესებს, იქ ერთიმეორის საწინააღმდეგო ინტერესებს ცალკე თემებს შორის, რომელთა დაჯგუფება დიდ ერთეულებად თავის მხრივ იწვევს შრომის ახალ დანაწილებას, ორგანოების შექმნას საერთო ინტერესების დასაცავად და გამთიშავი ინტერესების და-

სათრგუნავად. ეს ორგანოები, რომლებსაც, როგორც მთელი ჯგუფის ზოგადი ინტერესების წარმომადგენლებს, თვითეული განცალკევებული თემის მიმართ განსაკუთრებული, ხოლო გარკვეულ პირობებში თვით ანტაგონისტური მდგომარეობა უჭირავთ, ჩქარა კიდევ უფრო დამოუკიდებელი ხდებიან, ნაწილობრივ საზოგადოებრივ თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემის გამო, რაც თითქმის თავისთავად მყარდება იმ ქვეყანაში, სადაც ყოველივე სტიქიურად ხდება, ნაწილობრივ იმის გამო, რომ სხვა ჯგუფებთან ხშირი კონფლიქტების დროს იზრდება ამ ორგანოების აუცილებლობა. ჩვენთვის აქ საჭირო არაა იმის დაწვრილებით განხილვა, თუ როგორ შეძლო საზოგადოებრივი ფუნქციების ამ დამოუკიდებლობამ საზოგადოების მიმართ დროთა განმავლობაში მიეღწია საზოგადოებაზე გაბატონებამდე, როგორ გადაიქცა თანდათან თავდაპირველი მოსამსახურე ხელშემწყობ პირობებში ბატონად, და გარემოების მიხედვით როგორ გვევლინებოდა იგი ხან როგორც აღმოსავლეთის დესპოტი ან სატრაპი, ხან როგორც ბერძნული ტომის მთავარი, ხან როგორც კელტების კლანის შეფი და სხვ., რამდენად იყენებდა იგი ამ გარდაქმნაში ძალმომრეობასაც და როგორ შედუღდნენ ბოლოს ცალკე პირები, რომლებმაც ბატონობას მიაღწიეს, გაბატონებულ კლასებად. აქ მხოლოდ იმ ფაქტის დადგენაა საჭირო, რომ პოლიტიკურ ბატონობას ყველგან საზოგადოებრივი თანამდებობის შესრულება ედო საფუძვლად; პოლიტიკური ბატონობაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო ხანგრძლივად მტკიცე, როცა ამ თავის საზოგადოებრივ თანამდებობრივ ფუნქციას ასრულებდა. რამდენი დესპოტიები გაჩენილა და დაღუპულა სპარსეთსა და ინდოეთში და თვითეულმა მათგანმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, მდინარეების ხეობათა მორწყვის ერთობლივი მომწესრიგებელი იყო, მოურწყავად იქ შეუძლებელია მიწათმოქმედება. ეს გარემოება მხოლოდ განათლებულმა ინგლისელებმა ვერ შეამჩნიეს ინდოეთში; მათი მფლობელობის დროს სარწყავი არხები და რაბები განადგურდა და, ბოლოს, შიმშილმა, რომელიც რეგულარულად მეორდება ინდოეთში, გამოააშკარავა, რომ მათ უყურადღებოდ დატოვეს ერთადერთი ფუნქცია, რომელიც მათ ბატონობას ინდოეთში, ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც გაამართლებდა, როგორც მათი წინამორბედების ბატონობას ამართლებდა.

ამ კლასთა წარმოშობის პროცესის გვერდით მეორეც ხდებოდა. სტიქიურად აღმოცენებული დანაწილება შრომისა მიწათმოქ-

მედ ოჯახში კეთილდღეობის განსაზღვრულ საფეხურზე ნებას იძ-ლეოდა მისთვის ერთი ან რამდენიმე სამუშაო ძალა აეყვანა გა-რედან. ეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში ხდებოდა, სადაც სათე-მო მიწათმფლობელობა უკვე დაშლილი იყო ან სადაც, ყოველ შემთხვევაში, მიწის ძველებურმა საერთო დამუშავებამ ადგილი დაუთმო მიწის ცალკე ნაკვეთების დამუშავებას სათანადო ოჯახე-ბის მიერ. წარმოება იმდენად განვითარებული იყო, რომ ადამია-ნის სამუშაო ძალას ახლა მეტის შექმნა შეეძლო, ვიდრე მისი უბ-რალო არსებობისათვის იყო საჭირო; გაჩნდა სახსარი მეტი სამუ-შაო ძალის შესანახავად და აგრეთვე გამოსაყენებლად; სამუშაო ძალამ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შეიძინა. მაგრამ არც საკუთარი თემი, არც კავშირი, რომელსაც თემი ეკუთვნოდა, არ იძლეოდა თავისუ-ფალ, ზედმეტ სამუშაო ძალებს. პირიქით,ამ ძალას ომი აწვდიდა, ომი კი ისეთივე ძველი ამბავი იყო, როგორც რამდენიმე მეზო-ბელი თემური ჯგუფის ერთდროული თანაარსებობა. მანამდე არ იცოდნენ, როგორ მოეხმარათ სამხედრო ტყვეები, მათ უბრალოდ ხოცავდნენ, წინათ კიდევ ჭამდნენ. «სამეურნეო მდგომარეობის» აწ მიღწეულ საფეხურზე კი ტყვეებმა რაღაც ღირებულება მო-იპოვეს; მათ სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ და მათ შრომას იყე-ნებდნენ. ამრიგად, იმის მაგიერ, რომ ძალმომრეობას სამეურნეო მდგომარეობაზე ებატონა, პირიქით, იძულებული იყო მისთვის გაეწია სამსახური. აღმოჩენილ იქნა მ ო ნ ო ბ ა. იგი ჩქარა წარმოების გაბატონებული ფორმა გახდა ყველა ხალხში, რომელ-თაც განვითარებაში გადაასწრეს ძველ სათემო წესწყობილებას, მაგრამ ბოლოს იგი მათი დაშლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად გა-დაიქცა. პირველად მონობამ გახადა შესაძლებელი შრომის დანა-წილება დიდი მასშტაბით მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის და ამით ნიადაგი მოუმზადა ანტიკური ქვეყნის, ბერძნუ-ლი კულტურის აყვავებას. მონობა რომ არ ყოფილიყო, არც სა-ბერძნეთის სახელმწიფო, არც ბერძნული ხელოვნება და მეცნიე-რება იქნებოდა; მონობა რომ არ ყოფილიყო, არც რომის იმპე-რია იქნებოდა. ხოლო ბერძნული კულტურისა და რომის იმპე-რიის მიერ ჩაყრილი საძირკველის გარეშე კი ვერც თანამედროვე ევროპა იქნებოდა. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური და გონებრივი განვი-თარების წანამძღვარს წარმოადგენს ისეთი მდგომარეობა, სადაც მონობა ისევე აუცილებელი იყო, როგორც საყოველთაოდ აღი-არებული. ამ გაგებით ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ: ანტიკური

მონობა რომ არ ყოფილიყო, არც თანამედროვე სოციალიზმი იქნებოდა.

მეტად ადვილი საქმეა ზოგადი მაღალფარდოვანი ფრაზებით თავდასხმა მონობასა და სხვა ამგვარ მოვლენებზე და მაღალი ზნეობრივი გულისწყრომის გადანთხევა ასეთ სამარცხვინო საგნებზე. სამწუხაროდ, ეს გულისწყრომა მხოლოდ იმას გამოხატავს, რაც ყველამ იცის, სახელდობრ, იმას, რომ ეს ანტიკური დაწესებულებანი აღარ შეეფერებიან ჩვენს თანამედროვე პირობებს და ამ პირობებით განსაზღვრულ გრძნობებს. მაგრამ ჩვენ სრულიად ვერაფერს ვგებულობთ იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა ეს დაწესებულებანი, რად არსებობდნენ ისინი და რა როლი შეასრულეს მათ ისტორიაში. ხოლო რაკი ამ საგანზე შევჩერდით, თუნდაც ეს წინააღმდეგობად და მწვალებლობად გვეჩვენოს, უნდა ვთქვათ, რომ მონობის შემოღება იმდროინდელ პირობებში დიდი პროგრესი იყო. ფაქტია ის ამბავი, რომ კაცობრიობა მხეცობიდან გამოვიდა, და ამიტომ ბარბაროსული, თითქმის მხეცური საშუალებანი იყო საჭირო, რათა მას ბარბაროსობისათვის თავი დაეღწია. ძველი თემები, სადაც კი ისინი არსებობას განაგრძობდნენ, ათასი წლების განმავლობაში უტლანქესი სახელმწიფოებრივი ფორმის, აღმოსავლური დესპოტიზმის საფუძველს წარმოადგენდნენ, ინდოეთიდან რუსეთამდე. მხოლოდ იქ, სადაც ისინი დაიშალა, ხალხები წინ წავიდნენ, დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით, და მათი უახლოესი ეკონომიური პროგრესი მდგომარეობდა წარმოების გაძლიერებასა და განვითარებაში მონური შრომის შემწეობით. ერთი რამ ცხადია: სანამ ადამიანის შრომა იმდენად ნაკლებ პროდუქტიული იყო, რომ მცირეოდენ ნაჭარბს იძლეოდა ადამიანისთვის აუცილებლად საჭირო საარსებო საშუალებებზე ზევით, საწარმოო ძალების გაძლიერება, კავშირურთიერთობის გაფართოება, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარება, ხელოვნებისა და მეცნიერების დაფუძნება მხოლოდ გაძლიერებული შრომის დანაწილებით იყო შესაძლებელი, რის საძირკველსაც წარმოადგენდა დიდი შრომის დანაწილება უბრალო ფიზიკური შრომით დატვირთულ მასებსა და მცირერიცხოვან პრივილეგირებულთა შორის, რომლებიც სამუშაოებს, ვაჭრობას, სახელმწიფო საქმეებს ხელმძღვანელობდნენ, ხოლო შემდეგ ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში იღწვოდნენ. ამ შრომის დანაწილების უმარტივესი, სტიქიურად აღმოცენებული ფორმა სწორედ მონობა იყო. ძველი, კერძოდ ბერძნული მსოფლიოს ისტორიულ წანამძღვართა პირობებში წინ-

სელა კლასობრივ წინააღმდეგობებზე დაფუძნებული საზოგადოებისკენ შეიძლებოდა მხოლოდ მონობის ფორმით მომხდარიყო. თვით მონებისთვისაც ეს პროგრესი იყო; სამხედრო ტყვეები, რომელთაგანაც მონების მასა იკრიბებოდა, ახლა სიცოცხლეს მაინც ინარჩუნებდნენ, მაშინ როცა წინათ მათ ხოცავდნენ, ხოლო კიდევ უფრო ადრე შესაჭმელადაც ხრაკავდნენ.

ამ შემთხვევის გამო დავუმატოთ, რომ ყველა დღემდე არსებული ისტორიული დაპირისპირებანი ექსპლოატატორ და ექსპლოატირებულ, გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებს შორის აიხსნება ადამიანის შრომის იმავე შედარებით განუვითარებელი ნაყოფიერებით. სანამ ნამდვილად მშრომელი მოსახლეობა იმდენად დატვირთული იყო თავისი აუცილებელი შრომით, რომ დრო არ რჩებოდა საერთო მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი საქმეებისათვის—სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის, სახელმწიფო საქმეებისათვის, მართლმსაჯულების საწარმოებლად, ხელოვნებისა და მეცნიერებისთვის და სხვ., მანამდე მუდამ უნდა არსებულიყო განსაკუთრებული კლასი, რომელიც განთავისუფლებული იყო ნამდვილი შრომისაგან და ამ საქმეებს უძღვებოდა; ამავე დროს ეს კლასი არასოდეს ხელიდან შემთხვევას არ უშვებდა მშრომელი მასები უფრო და უფრო მეტი შრომით დაეტვირთა თავის სასარგებლოდ. მხოლოდ მსხვილი ინდუსტრიის მიერ მიღწეული საწარმოო ძალთა ზრდა მოგვცემს ნებას გამოუკლებლივ საზოგადოების ყველა წევრზე გავანაწილოთ შრომა და ამით თვითეულის სამუშაო დრო ისე შევზღუდოთ, რომ ყველას საკმაო თავისუფალი დრო დარჩეს, რათა მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საერთო საქმეებში, როგორც თეორიულში, ისე პრაქტიკულში. მაშასადამე, მხოლოდ დღეს გახდა ყოველი გაბატონებული და ექსპლოატატორი კლასი არა მარტო ზედმეტი, არამედ საზოგადოებრივი განვითარების შემაფერხებელიც, და მხოლოდ დღეს მოისპობა იგი შეუბრალებლად, სულერთია, რა «უშუალო ძალაც» უნდა იყოს მის ხელთ.

მაშასადამე, თუ ბატონი დიურინგი ბერძნულ სამყაროზე ცხვირაწეული ლაპარაკობს, იმიტომ რომ იგი მონობას ეყრდნობოდაო, მას იმავე უფლებით შეუძლია ბერძნებს უსაყვედუროს, რატომ ორთქლის მანქანები და ელექტრონის ტელეგრაფი არ გქონდათო. ხოლო, როცა იგი ამტკიცებს, თანამედროვე დაქირავებული მონობა უწინდელი მონობის მხოლოდ ოდნავ შეცვლილ და შერბილებულ მემკვიდრეობას წარმოადგენს და ვერ აიხსნება თავის თავითო (ე. ი.

თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური კანონებითო), ეს ან მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ როგორც დაქირავებული შრომა, ისე მონობა ჩაგვრისა და კლასობრივი ბატონობის ფორმებია, რაც ყოველმა ბალღმა იცის, ან კიდევ იგი ყალბია. იმიტომ რომ ჩვენ შეგვეძლო იმავე უფლებით გვეთქვა, დაქირავებული შრომა შეიძლება აიხსნას მხოლოდ როგორც იმ კაციჭამიობის შერბილებული ფორმა, რომელიც, როგორც ახლა დადგენილია, ყველგან დამარცხებული მტრის გამოყენების თავდაპირველ სახეს წარმოადგენდა.

ამის შემდეგ ნათელია, თუ რა როლს ასრულებს ისტორიაში ძალმომრეობა ეკონომიური განვითარების მიმართ. ერთი, რომ ყოველი პოლიტიკური ძალაუფლება თავდაპირველად რაიმე ეკონომიურ, საზოგადოებრივ ფუნქციას ეყრდნობა და იმდენად ძლიერდება, რამდენადაც პირველყოფილი თემების დაშლის გამო საზოგადოების წევრები კერძო მწარმოებლებად იქცევიან და ამრიგად კიდევ უფრო შორდებიან საერთო-საზოგადოებრივი ფუნქციების განმგებლებს. მეორეც, მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ძალაუფლება საზოგადოების მიმართ დამოუკიდებელი გახდა, მოსამსახურისაგან ბატონად იქცა, მას შეუძლია ორი მიმართულებით იმოქმედოს. ან იგი კანონზომიერი ეკონომიური განვითარების აზრითა და მიმართულებით მოქმედობს. ამ შემთხვევაში მათ შორის არავითარი კონფლიქტი არ არსებობს და ეკონომიური განვითარება ჩქარდება. ან იგი ეკონომიური განვითარების წინააღმდეგ მოქმედებს და, იშვიათი შემთხვევის გამოკლებით, როგორც წესი, მარცხდება ეკონომიური განვითარების მიერ. ეს მცირე გამონაკლისები დაპყრობის ცალკე შემთხვევებია, როცა ნაკლები კულტურის მქონე დამპყრობელები ანადგურებდნენ ან აძევებდნენ ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობას, ხოლო საწარმოო ძალებს, რომელთა მოხმარება მათ არ იცოდნენ, აოხრებდნენ ან ალალბედზე ტოვებდნენ. ასე მოექცნენ ქრისტიანები მავრიტანულ ესპანეთში იმ სარწყავ ნაგებობათა უდიდეს ნაწილს, რომელზედაც დამყარებული იყო მავრების დიდად განვითარებული მიწათმოქმედება და მებაღეობა. თავისთავად ცხადია, რომ ყოველთვის, როცა დამპყრობელად ნაკლებ კულტურული ხალხი გამოდის, ეკონომიური განვითარება ფერხდება, ხოლო საწარმოო ძალები ნადგურდება. მაგრამ ხანგრძლივ დაპყრობათა უმრავლეს შემთხვევაში ნაკლებ კულტურული დამპყრობელი იძულებულია შეეგუოს უმაღლეს «სამეურნეო მდგომარეობას», რომელსაც იგი დაპყრობის შემდეგ ნახულობს; ხდება მისი ასიმილაცია დაპყრობილი ხალხის მიერ და იგი ხშირად იძულებულია მისი

ენაც კი შეითვისოს. მაგრამ დაპყრობის შემთხვევები რომ ყურადღების გარეშე დავტოვოთ, სადაც კი ამა თუ იმ ქვეყნის შინაგანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მის ეკონომიურ განვითარებას დაპირისპირებია, როგორც ეს დღემდე განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე თითქმის ყოველ პოლიტიკურ ძალაუფლებას მოუვიდა, ბრძოლა ყოველთვის პოლიტიკური ძალუფლების დამხობით დასრულებულა. ეკონომიური განვითარება გზას იკვალავდა გამოუკლებლივ და შეუბრალებლად, — ამის უკანასკნელი თვალსაჩინო მაგალითი უკვე მოვიხსენეთ: ესაა საფრანგეთის დიდი რევოლუცია. თუ, როგორც ბატონი დიურინგი გვასწავლის, ამა თუ იმ ქვეყნის «სამეურნეო მდგომარეობა» და მასთან ერთად ეკონომიური წყობა უბრალო პოლიტიკურ ძალაზეა დამოკიდებული, გაუგებარია, რად ვერ შეძლო ფრიდრიხ ვილჰელმ IV-მ 1848 წლის შემდეგ თავისი «საუცხოო მხედრობის» მიუხედავად შუა საუკუნეების საამქროები და სხვა რომანტიკული უცნაურობანი დაემყნო რკინიგზებსა, ორთქლის მანქანებსა და თავისი ქვეყნის ახლად განვითარებულ მსხვილ ინდუსტრიაზე; ან რად ხდება, რომ რუსეთის იმპერატორს, რომელიც კიდევ უფრო ძლიერია, არ შეუძლია არა თუ თავისი ვალების გადახდა, არამედ თავისი «ძალაუფლების» შენარჩუნებაც, თუ განუწყვეტლივ დასავლეთ ევროპის «სამეურნეო მდგომარეობიდან» კრედიტები არ ამოტუმბა.

ბატონი დიურინგისთვის ძალმომრეობა აბსოლუტურ ბოროტებას წარმოადგენს, პირველი ძალმომრეობის აქტი მას ცოდვაში შთავარდნად მიაჩნია. მთელი მისი ნაწერი წარმოადგენს გოდებას იმის გამო, რომ მთელი წარსული ისტორია დაავადებულია ამ თანდაყოლილი ცოდვითო, რომ ყველა ბუნებრივი და საზოგადოებრივი კანონი სამარცხვინოდ გაყალბებულია ამ ეშმაკის იარაღით, ძალმომრეობითო. ბატონი დიურინგი კრინტსაც არ ძრავს იმის შესახებ, რომ ძალმომრეობა სხვა როლსაც ასრულებს ისტორიაში, რევოლუციურ როლს, რომ იგი, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბებიაქალია ყოველი ძველი საზოგადოებისა, რომელიც ორსულადაა ახლით, რომ ძალმომრეობა იარაღია, რომლის შემწეობითაც საზოგადოებრივი მოძრაობა გზას იკვალავს და გაქვავებულ, მომაკვდავ პოლიტიკურ ფორმებს ამსხვრევს. მხოლოდ ოხვრითა და კვნესით სთვლის იგი შესაძლებლად, რომ ექსპლოატატორთა მეურნეობის დასამხობად შეიძლება ძალმომრეობა გახდეს საჭიროო,—სამწუხაროდ! იმიტომ რომ ყოველი ძალმომრეობის გამოყენება დემორალიზაციას იწვევს იმაში, ვინც მას მი-

მართავსო. და ამას იგი ამბობს იმ მაღალი ზნეობრივი და გონებრივი აღმაფრენის მიუხედავად, რაც ყოველ გამარჯვებულ რევოლუციას მოსდევს ხოლმე! და ამას იგი ამბობს გერმანიაში, სადაც ძალდატანებით შეტაკებას, რომელშიც ხალხი შეიძლება ძალაუნებურად ჩაებას, ყოველ შემთხვევაში, ის სარგებლობა ექნებოდა, რომ ეროვნული შეგნებიდან აღმოფხვრიდა ოცდაათწლიანი ომის მიერ ნაანდერძევი მონური მორჩილებისა და ლაქიობის სულს. და ეს დონდლო, უსისხლხორცო და უილაჯო მქადაგებლის აზროვნება პრეტენზიას აცხადებს თავს მოეხვიოს ყველაზე რევოლუციურ პარტიას, რომელსაც კი იცნობს ისტორია.

V

ღირებულების თეორია

დაახლოებით ასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ლაიპციგში გამოქვეყნდა ერთი წიგნი, რომელიც ამ საუკუნის დამდეგამდე ოცდაათზე მეტჯერ გამოიცა, და რომელსაც ქალაქსა და სოფელში ავრცელებდნენ მოხელეები, მქადაგებლები და ყოველი ჯურის ფილანთროპები, და ყველგან სახალხო სკოლებს თავაზობდნენ როგორც საკითხავ წიგნს. ამ წიგნს ეწოდებოდა როხოვის «ბავშვთა მეგობარი». მისი მიზანი იყო გლეხებისა და ხელოსნების ნორჩი თაობა გაენათლებინა მათი ცხოვრების მოწოდებისა და საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფროსებისადმი ვალდებულების შესახებ, ამასთანავე მათთვის შთაეგონებინა კეთილისმყოფელი კმაყოფილება თავიანთი ამქვეყნიური ხვედრით, შავი პურითა და კარტოფილით, საბატონო ბეგარით, დაბალი ხელფასით, მამობრივი წკეპლით და სხვა ამგვარი სასიამოვნო რამეებით; და ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო იმ დროს გავრცელებული განმანათლებლობის შემწეობით. ამ მიზნით ქალაქის და სოფლის ახალგაზრდობას ჩასჩიჩინებდნენ, რომ ბუნების ბრძნული განაწესის მიხედვით ადამიანმა უნდა იშრომოს, რათა თავი ირჩინოს და სიამოვნება მიიღოსო, რომ გლეხი და ხელოსანი თავიანთ თავს ბედნიერად უნდა გრძნობდნენ, რომ მათ ნება დართული აქვთ თავიანთი კერძი მძიმე შრომის საკაზმავით გააგემრიელონო, მაშინ როცა მდიდარ ღორმუცელას კუჭის მოშლილობა, ნაღველის შეჩერება ან მუცლის შეკრულობა მუდმივად ტანჯავს და იგი ზიზღით ულაპავს ყველაზე რჩეულ საჭმელებსო. ამავე ბანალურ აზრებს, რომელთაც მოხუცი როხოვი სასარგებლოდ სთვლიდა

თავისი დროის კურსაქსონელი გლეხის ბავშვებისთვის, ბატონი დიურინგი თავისი «კურსის» მეთოთხმეტე და შემდეგ გვერდებზე გვთავაზობს როგორც «აბსოლუტურად ფუნდამენტალურ» ამბავს უახლეს პოლიტიკურ ეკონომიაში.

«ადამიანის მოთხოვნილებებს, როგორც ასეთს, თავიანთი ბუნებრივი კანონზომიერება აქვთ და მათი ზრდა განსაზღვრულ ჩარჩოებშია მოთავსებული; ამ ჩარჩოების გადალახვა მხოლოდ შერყვნილ ბუნებას შეუძლია დროებით, სანამ ამას არ მოჰყვება სიძულვილი, გულის ამსუყება, ცხოვრების მოწყენა, არაქათის გამოცლა, სოციალური სახიჩრობა და, ბოლოს, მხსნელი განადგურება... მარტოოდენ სიამოვნებით აღსავსე თამაშობა, მოკლებული ყოველივე ფართო და სერიოზულ მიზანს, იწვევს ნაყოვნების, მოყირჭებულობის გრძნობას ანუ, რაც იგივეა, ყოველივე მგრძნობიარობის გაცვეთას. მაშასადამე, ნამდვილი შრომა ამა თუ იმ ფორმით ჯანსაღ არსებათა სოციალური ბუნებრივი კანონია... მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს რომ მოპირისპირე საშუალება არ ჰქონდეს, ისინი მარტივ ბალღურ არსებობასაც ვერ უზრუნველყოფდნენ, ისტორიულად გაძლიერებული ცხოვრების განვითარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუ მათი სრული დაკმაყოფილება გაუჭირვებლად მოხდებოდა, ისინი ჩქარა ამოიწურებოდნენ, ხოლო ადამიანის არსებობა უშინაარსო გახდებოდა განვლილ ინტერვალებში მათ ხელახლა დაბრუნებამდე... მაშასადამე, მისწრაფებათა და გულისთქმათა დაკმაყოფილება დამოკიდებულია ამა თუ იმ სამეურნეო დაბრკოლების გადალახვისაგან, და იგი წარმოადგენს ბუნების გარეგანი მოწყობილობის და ადამიანის შინაგანი თვისებების ყოველმხრივ კეთილისმყოფელ ძირითად კანონს» და სხვ. და სხვ. როგორც ხედავთ, პატივცემული როხოვის უხამსი ბანალობანი ბატონი დიურინგის წიგნში თავისი ასი წლის იუბილეს დღესასწაულობს და ისიც როგორც ერთადერთი ჭეშმარიტად კრიტიკული და მეცნიერული «სოციალიტარული სისტემის უღრმესი დაფუძნება».

რაკი ამრიგად საძირკველი ჩაყრილია, ბატონ დიურინგს შეუძლია მშენებლობა განაგრძოს. იგი მათემატიკურ მეთოდს მიმართავს და, უწინარეს ყოვლისა, ძველი ევკლიდეს წაბაძულობით განსაზღვრათა მთელ რიგს იძლევა. ეს მით უფრო მოსახერხებელია, რომ მას შეუძლია თავისი განსაზღვრანი ისე ააგოს, რომ მასში უკვე ნაწილობრივ მოთავსებული იყოს ის, რაც მათი შემწეობით უნდა დამტკიცდეს. მაგალითად, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ვგებულობთ,

რომ ხელმძღვანელ ცნებას დღემდე პოლიტიკურ ეკონომიაში სიმდიდრე ერქვა, ხოლო სიმდიდრე, როგორც იგი ნამდვილად ესმოდათ აქამდე მსოფლიო ისტორიაში და იმ ფორმით, როგორც ვითარდებოდა მისი ბატონობა, წარმოადგენს «ეკონომიურ ძალაუფლებას ადამიანებსა და საგნებზე». ეს ორნაირად ყალბია. ჯერ-ერთი, ძველი ტომისა და სოფლის თემის სიმდიდრე სრულიადაც არ წარმოადგენდა ბატონობას ადამიანებზე. მეორეც, თვით იმ საზოგადოებებში, რომელნიც კლასობრივ წინააღმდეგობებში მოძრაობენ, სიმდიდრე, რამდენადაც იგი ადამიანებზე ბატონობას შეიცავს, უმეტეს ნაწილად, თითქმის გამოუკლებლივ ადამიანებზე ბატონობას წარმოადგენს საგნებზე ბატონობის ძ ა ლ ი თ ა და ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ. იმ მეტად ადრინდელი დროიდან, როცა მონების შეპყრობა და მონების ექსპლოატაცია როგორც საქმიანობის დარგები გაითიშნენ, მონური შრომის ექსპლოატატორებს მონები უნდა ეყიდათ, ე. ი. ადამიანებზე ბატონობა შეეძინათ მხოლოდ საგნებზე ბატონობის შემწეობით; ეს საგნები იყო მონის ფასი, მისი სარჩო და შრომის საშუალებანი. მთელ შუა საუკუნეებში მსხვილი მიწათმფლობელობა წინასწარ პირობას წარმოადგენს, რომლის შემწეობით ფეოდალური თავადაზნაურობა მებეგრე და ღალავალდებულ გლეხკაცობას თავის მფლობელობაში იღებდა. დღეს კი ექვსი წლის ბალღმაც იცის, რომ სიმდიდრე ადამიანებზე ბატონობს მხოლოდ საგნების შემწეობით, რომელთაც იგი ფლობს.

მაგრამ რად შეაკოწიწა ბატონმა დიურინგმა სიმდიდრის ეს ყალბი განსაზღვრა, რად დაარღვია ის ფაქტიური კავშირი, რომელიც დღემდე არსებობდა ყველა კლასობრივ საზოგადოებაში? იმისთვის, რომ სიმდიდრე ეკონომიკურის სფეროდან მორალურ სფეროში გადაეთრია. ბატონობა საგნებზე ძალიან კარგია, მაგრამ ბატონობა ადამიანებზე ბოროტებაა; ხოლო რადგან ბატონმა დიურინგმა თავის თავს აუკრძალა,ადამიანებზე ბატონობა საგნებზე ბატონობით აეხსნა, მას შეუძლია ხელახლა თამამი ფანდი იხმაროს და იგი უბრალოდ თავისი საყვარელი ძალმომრეობით ახსნას. სიმდიდრე როგორც ადამიანებზე გაბატონებული ძალა «ყაჩაღობააო». ამრიგად, ჩვენ ხელახლა ვუბრუნდებით პრუდონის უძველესი გამოთქმის — «საკუთრება ქურდობააო» — გაუარესებულ გამოცემას.

ამგვარად, ჩვენ სიმდიდრე ბედნიერად დავუქვემდებარეთ წარმოებისა და განაწილების ორ არსებითს თვალსაზრისს; ერთია, სიმდიდრე როგორც ბატონობა საგნებზე, წარმოების სიმდიდრე, კარგი მხარე; მეორეა, სიმდიდრე როგორც ბატონობა ადამიანებზე, ადრინდე-

ლი განაწილებითი სიმდიდრე, ცუდი მხარე, ძირს იგი! თანამედროვე ურთიერთობაზე გამოყენებით ეს ნიშნავს: წარმოების კაპიტალისტური წესი სრულიად კარგია და შეიძლება დარჩეს, მაგრამ განაწილების კაპიტალისტური წესი არაფრად არ ვარგა და უნდა მოისპოს. ასეთ უაზრობას მიადგება ადამიანი, როცა პოლიტიკურ ეკონომიაზე წერს და წარმოდგენაც კი არა აქვს წარმოებისა და განაწილების კავშირზე.

სიმდიდრის შემდეგ ღირებულების განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: «ღირებულება ის მნიშვნელობაა, რომელიც სამეურნეო საგნებსა და შრომებს სამეურნეო ტრიალში აქვთ». ეს მნიშვნელობა შეესაბამება «ფასს ან რომელიმე სხვა ეკვივალენტის სახელს, მაგ., ხელფასს». სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღირებულება არის ფასი, ან, უკეთ, ბატონ დიურინგს რომ უსამართლოდ არ მოვეპყრათ და მისი განსაზღვრის უაზრობა შეძლებისამებრ მისი საკუთარი სიტყვებით გადმოვცეთ: ღირებულება ფასებია. იმიტომ რომ 19 გვ. იგი ამბობს: «ღირებულება და მისი ფულად გამომსახველი ფასები», მაშასადამე, თვით ადასტურებს, რომ ერთსა და იმავე ღირებულებას მეტად განსხვავებული ფასები და, მაშასადამე, ასევე განსხვავებული ღირებულებანი აქვს. ჰეგელი რომ დიდი ხნის მკვდარი არ იყოს, თავს ჩამოიხრჩობდა. იგი ვერავითარი თეოლოგიკით ვერ შეაკოწიწებდა ამ ღირებულებას, რომელსაც იმდენივე სხვადასხვა ღირებულება აქვს, რამდენიც ფასი. ადამიანს სწორედ ბატონი დიურინგის თვითრწმენა უნდა ჰქონდეს, რათა პოლიტიკური ეკონომიის ახალი, გაღრმავებული დაფუძნება დაიწყოს განცხადებით, ფასსა და ღირებულებას შორის სხვა განსხვავება არ არსებობს, გარდა იმისა, რომ ერთი ფულითაა გამოხატული, ხოლო მეორე არაო.

ამის შემდეგ ჩვენ მაინც არაფერი ვიცით, რა არის ღირებულება და რით განისაზღვრება იგი. მაშასადამე, ბატონმა დიურინგმა უფრო დაწვრილებითი ახსნა-განმარტებანი უნდა წარმოადგინოს. «სრულიად ზოგადი სახით შედარებისა და შეფასების ძირითადი კანონი, რომელსაც ღირებულება და მისი ფულად გამოხატული ფასები ეყრდნობა, თავდაპირველად მარტო წარმოების სფეროში ძევს, დამოუკიდებლად განაწილებისა, რომელსაც მხოლოდ მეორე ელემენტი შეაქვს ღირებულების ცნებაში. მეტი ან ნაკლები დაბრკოლებანი, რომელთაც ბუნებრივ დამოკიდებულებათა სხვადასხვაობა საგნების წარმოებისკენ მიმართულ მისწრაფებებს უპირდაპირებს და რომელთა შემწეობით იგი გვაიძულებს სამეურ-

ნეო ძალიდან ან მეტი დავხარჯოთ ან ნაკლები, განსაზღვრავს აგრეთვე... მეტ ან ნაკლებ ღირებულებას» და ეს უკანასკნელი იზომება «ბუნებისა და პირობების მიერ წარმოებისთვის შექმნილი წინააღმდეგობით... მოცულობა, რომლითაც ჩვენ მათში (საგნებში) ჩვენი საკუთარი ძალა შეგვაქვს, უშუალოდ გადამწყვეტ მიზეზს წარმოადგენს ღირებულების არსებობისა საზოგადოდ და მისი განსაზღვრული სიდიდისა კერძოდ».

რამდენადაც ყოველივე ზემოთქმულს რაღაც აზრი აქვს, იგი შემდეგს ნიშნავს: შრომის პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება მის საწარმოებლად აუცილებელი სამუშაო დროით, ეს კი ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით ბატონ დიურინგის დამოუკიდებლადაც. იმის მაგიერ, რომ ფაქტი უბრალოდ გვაუწყოს, მან იგი მისნურად უნდა შეატრიალოს. ყალბია ის შეხედულება, თითქოს მოცულობა, რომლითაც ამა თუ იმ პიროვნებას თავისი ძალა საგანში შეაქვს (ეს მაღალფარდოვანი ფრაზა რომ ვიხმაროთ), ღირებულების და ღირებულების სიდიდის უშუალოდ გადამწყვეტი მიზეზიაო. ჯერ-ერთი, მნიშვნელობა აქვს, რა საგანში შეიტანება ძალა, მეორე — როგორ შეიტანება იგი. თუ ვინმე ისეთ საგანს ამზადებს, რომელსაც არავითარი სახმარი ღირებულება არა აქვს სხვებისთვის, მთელი მისი ძალა ერთ ატომ ღირებულებასაც ვერ შექმნის; ხოლო თუ იგი გაჯიუტდა და ხელით მოამზადა საქონელი, რომელსაც მანქანა ოცჯერ უფრო იაფად ამზადებს, მის მიერ საქონელში შეტანილი ძალის ცხრამეტი მეოცედი ვერც ღირებულებას შექმნის საზოგადოდ და ვერც მის განსაკუთრებულ ოდენობას.

შემდეგ ეს საქმის მთლად უკულმა შეტრიალებას ნიშნავს, თუ მწარმოებლური შრომა, რომელიც პოზიტიურ ნაწარმოებებს ჰქმნის, ვაქციეთ წინააღმდეგობის უბრალო ნეგატიურ დაძლევად. ამ შემთხვევაში პერანგის მისაღებად შემდეგნაირად უნდა მოვქცეულიყავით: უპირველეს ყოვლისა, უნდა გადავლახოთ ბამბის თესლის წინააღმდეგობა, რომელსაც იგი დათესვისა და ზრდის პროცესს უწევს, შემდეგ მოწეული ბამბის წინააღმდეგობა მოკრეფისა, შეფუთვისა და გაგზავნისადმი, შემდეგ კიდევ წინააღმდეგობა შეფუთვილის გახსნისა, დაჩეჩისა და დართვისადმი, შემდეგ ნართის წინააღმდეგობა ქსოვის პროცესისადმი, ქსოვილის წინააღმდეგობა მოთეთრებისა და შეკერვისადმი, ბოლოს, მომზადებული პერანგის წინააღმდეგობა ჩაცმისადმი.

რისთვისაა საჭირო ყველა ეს ბავშვური აბრუნდი და დამახინჯებანი? იმისთვის, რომ ამ «წინააღმდეგობის» შემწეობით «წარმოე-

ბითი ღირებულებიდან», ამ ჭეშმარიტი, მაგრამ დღემდე მხოლოდ იდეალური ღირებულებიდან გადავიდეს ძალმომრეობის მიერ გაყალბებულ «განაწილებით ღირებულებაზე», რომელიც დღემდე ერთადერთი მოქმედებდა ისტორიაში: «გარდა ბუნების მიერ გაწეული წინააღმდეგობისა... არსებობს კიდევ მეორე, წმინდა სოციალური დაბრკოლება... ადამიანსა და ბუნებას შორის ხელისშემშლელი ძალა დგება, და ეს ძალა კვლავ ადამიანია. მარტოდმარტო და განცალკევებულად გააზრებული ადამიანი თავისუფლად დგას ბუნების წინაშე... მაგრამ მდგომარეობა სხვანაირად ეწყობა, როგორც კი მეორე ადამიანს წარმოვიდგენთ, რომელიც მახვილით ხელში ბუნებისა და მისი დამხმარე წყაროების მისასვლელებს დაიკავებს და შესაშვებად ამა თუ იმ ფორმით ფასს მოითხოვს. ეს მეორე... პირველს დაბეგრავს და იმის მიზეზი ხდება, რომ სასურველი საგნის ღირებულება უფრო დიდი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე იგი იქნებოდა, თუ მის მოპოვებას ან წარმოებას ეს პოლიტიკური და საზოგადოებრივი დაბრკოლება არ გადაღობებოდა... მეტად მრავალფეროვანია საგანთა ამ ხელოვნურად აწეული მნიშვნელობის კერძო ფორმები, რომელთაც, რასაკვირველია, თანსდევს სათანადო დაქვეითება შრომის მნიშვნელობისა... ამიტომ ილუზია იქნებოდა, რომ ღირებულება იმთავითვე ისე გაგვეხილა როგორც ეკვივალენტი ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, ე. ი. როგორც თანასწორმნიშვნელოვანი ან როგორც საცვლელი შეფარდება, რომელიც დადგინდა შრომისა და მისი სანაზღაურო შრომის თანასწორობის პრინციპის მიხედვით... პირიქით, ღირებულების სწორი თეორიის ნიშანი ის იქნებოდა, რომ მასში გააზრებული უზოგადესი შეფასების მიზეზი არ თანაემთხვევა განაწილების იძულებაზე დაფუძნებულ ღირებულების განსაკუთრებულ ფორმას. ეს უკანასკნელი იცვლება სოციალურ წესწყობილებასთან ერთად, მაშინ როცა საკუთრივ ეკონომიური ღირებულება შეიძლება მხოლოდ ბუნების მიმართ გაზომილი საწარმოო ღირებულება იყოს და ამიტომ შეიცვლება მხოლოდ ბუნებრივი და ტექნიკური ხასიათის წმინდა საწარმოო დაბრკოლებებთან ერთად».

მაშასადამე, ბატონ დიურინგის მიხედვით ამა თუ იმ საგნის პრაქტიკულად არსებული ღირებულება ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია მასში მოთავსებული შრომა, მეორე. — «მახვილით აღჭურვილი ხელით» იძულებული გადასახადის დამატება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამჟამად არსებული ღირებულება მონოპოლიური ფასია. თუ ამ ღირებულების თეორიის მიხედვით ყველა საქონელს

ასეთი მონოპოლიური ფასი აქვს, მხოლოდ ორი შემთხვევაა შესაძლებელი. ან ყოველი კაცი როგორც მყიდველი ხელახლა კარგავს იმას, რაც მან მოიგო როგორც გამყიდველმა; მაშინ ფასები მხოლოდ ნომინალურად იცვლება, სინამდვილეში კი — თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებაში — უცვლელი რჩებიან; ყოველივე ადრინდებულად რჩება, და მრავალქებული განაწილებითი ღირებულება მხოლოდ მოჩვენებაა. ან კიდევ გადასახადის მოჩვენებითი დამატება ღირებულების ნამდვილ თანხას წარმოადგენს, სახელდობრ, ისეთს, რომელსაც მშრომელი, ღირებულების შემქმნელი კლასი აწარმოებს, მაგრამ მონოპოლისტების კლასი ითვისებს; მაშინ ღირებულების ეს თანხა უბრალოდ გადაუხდელი შრომისაგან შედგება; ამ შემთხვევაში ჩვენ, მახვილით აღჭურვილი მამაკაცის მიუხედავად, მოჩვენებითი გადასახადის დანამატისა და აღიარებული განაწილებითი ღირებულების მიუხედავად, მარქსის ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თეორიამდე მივალთ.

მაგრამ დავაკვირდეთ მრავალქებული «განაწილებითი ღირებულების» ზოგიერთ ნიმუშს. 125 გვერდზე და შემდეგ ნათქვამია: «ფასის გაფორმებაც ინდივიდუალური კონკურენციის შემწეობით უნდა ჩაითვალოს ეკონომიური განაწილებისა და ურთიერთ გადასახადის დადების ფორმად... თუ წარმოვიდგენთ, რომ უცბად რომელიმე აუცილებელი საქონლის მარაგი შესამჩნევად შემცირდა, გამყიდველების მხარეზე აღმოჩნდება ექსპლოატაციის არაპროპორციულად დიდი ძალა... რამდენად უზარმაზარი შეიძლება იყოს გადიდება, განსაკუთრებით იმ არანორმალური შემთხვევებიდან ჩანს, როცა აუცილებელი საქონლის შემოზიდვა დიდი ხნით შეწყვეტილია» და სხვ.. გარდა ამისა, საქმის ნორმალური ვითარების დროსაც არსებობს ფაქტიური მონოპოლიები, რომლებიც თვითნებურად ფასის აწევის შესაძლებლობას იძლევიან, მაგალითად, რკინიგზები, ქალაქებისთვის წყლისა და გასანათებელი აირის მიმწოდებელი საზოგადოებანი და სხვ.. დიდი ხანია ცნობილია, რომ ხდება ასეთი მონოპოლისტური ექსპლოატაციის შემთხვევები. ახალი ამბავია მხოლოდ ის, რომ მათ მიერ შექმნილი მონოპოლიური ფასები გამონაკლისად და კერძო შემთხვევებად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ სწორედ ღირებულებათა დადგენის ამჟამად მოქმედი წესის კლასიკურ მაგალითებად. როგორ განისაზღვრება საარსებო საშუალებათა ფასი? შედით ალყაშემორტყმულ ქალაქში, სადაც საქონლის შეზიდვა შეწყვეტილია, და მიიკითხმოიკითხეთ! —გვიპასუხებს ბატონი დიურინგი. როგორ მოქმედებს

კონკურენცია საბაზრო ფასების დადგენაზე? კითხეთ მონოპოლიას, ის მოგცემთ პასუხს!

თუმცა არც ამ მონოპოლიებში შეიძლება იმ მახვილით აღჭურვილი მამაკაცის აღმოჩენა, რომელიც თითქოს მათ უკან უნდა იდგეს. პირიქით, ალყაშემორტყმულ ქალაქებში, მახვილით აღჭურვილი მამაკაცი, კომენდანტი, თუ იგი თავის ვალდებულებას ასრულებს, ჩვეულებრივ მეტად ჩქარა უღებს ბოლოს მონოპოლიებს და მონოპოლიური მარაგის კონფისკაციას ახდენს, რათა იგი თანასწორად გაანაწილოს. სხვაფრივ, როცა მახვილით აღჭურვილი მამაკაცები ცდილან «განაწილებითი ღირებულება» შეექმნათ, მათ არაფერი მოუმკიათ, გარდა საქმეების გაუარესებისა და ფულის დაკარგვისა. ჰოლანდიელებმა აღმოსავლეთ ინდოეთის ვაჭრობის მონოპოლიზაციით თავიანთი მონოპოლიაც და თავიანთი ვაჭრობაც გაანადგურეს. ორი უძლიერესი მთავრობა, რომელიც ოდესმე არსებულა, ჩრდილოეთ ამერიკის რევოლუციური მთავრობა და საფრანგეთის ნაციონალური კონვენტი შეეცადა მაქსიმალური ფასები დაეწესებინა და საშინლად დამარცხდა. რუსეთის მთავრობა უკვე რამდენიმე წელიწადია ცდილობს, რათა ასწიოს რუსული ქაღალდის ფულის კურსი, რომელიც დაეცა რუსეთში დიდძალი დაუხურდავებელი ბანკნოტების შეუჩერებლად გამოშვების გამო, და ამ მიზნით ლონდონში განუწყვეტლივ რუსეთზე გაცემულ თამასუქებს ყიდულობს. ეს სასიამოვნო ოპერაცია რამდენიმე წელიწადში მას 60 მილიონი მანეთი დაუჯდა, მანეთი კი დღეს ორ მარკაზე დაბლა დგას, იმის მაგიერ, რომ სამ მარკაზე მაღლა იდგეს. მახვილს რომ ის ჯადოსნური ეკონომიური ძალა ჰქონებოდა, რომელსაც მას ბატონი დიურინგი მიაწერს, რატომ ვერც ერთმა მთავრობამ ვერ შეძლო ცუდი ფულისთვის ხანგრძლივად კარგი ფულის «განაწილებითი ღირებულება» ან ასიგნაციებისთვის ოქროს ღირებულება მიენიჭებინა? და სად არის მახვილი, რომელიც მბრძანებლობს მსოფლიო ბაზარზე?

შემდეგ, არსებობს კიდევ ერთი მთავარი ფორმა, რომელშიც განაწილებითი ღირებულება უზრუნველყოფს სხვისი შრომის პროდუქტების უსასყიდლო მითვისებას: ესაა მფლობელობითი რენტა, ე. ი. მიწის რენტა და კაპიტალის მოგება. ჩვენ ამას მხოლოდ იმისთვის აღვნიშნავთ, რათა შეგვეძლოს ვთქვათ, რომ ეს არის ყველაფერი, რასაც ჩვენ ყბადაღებული «განაწილებითი ღირებულების» შესახებ ვგებულობთ. — მართლაც ყველაფერი? არა, მთლად ყველაფერი არა. მაშ მრავუსმინოთ:

«მიუხედავად ორმაგი თვალსაზრისისა, რომელიც მეღავნდება საწარმოო და განაწილებითი ღირებულების შეცნობაში, მათ საფუძვლად მუდამ მაინც რჩება საერთო რამ იმ საგნის სახით, რომლისგანაც ყველა ღირებულება შედგება და რომლითაც ისინი ამიტომ განიზომებიან კიდევაც. უშუალო, ბუნებრივი საზომია ძალ-ღონის დახარჯვა, ხოლო უმარტივესი ერთეული—ადამიანის ძალა ამ სიტყვის უტლანქესი აზრით. ამ უკანასკნელს მივყავართ არსებობის დროისკენ, რომლის თვითშენახვა თავის მხრივ წარმოადგენს კვებისა და ცხოვრების სიძნელეთა განსაზღვრული ჯამის გადალახვას. განაწილებითი ან მითვისებითი ღირებულება წმინდად და გამოუკლებლად მხოლოდ იქ მოიპოვება, სადაც არსებობს განკარგულების უფლება წარმოების გარეშე შექმნილ საგნებზე, ანუ, ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, იქ, სადაც თვით ეს საგნები იცვლებიან შრომაზე ან ნამდვილი საწარმოო ღირებულების მქონე საგნებზე. ის ერთგვარი, რაც ყოველი ღირებულების გამოხატულებაში მეღავნდება, და, მაშასადამე, მეღავნდება იმ ღირებულების შემადგენელ ნაწილებშიც, რომელსაც განაწილების გზით უსასყიდლოდ ითვისებენ, მდგომარეობს ადამიანის ძალის დახარჯვაში, რომელიც... ყოველ საქონელში... ხორციელდება».

რა უნდა ვთქვათ ამის გამო? თუ საქონლის ყოველი ღირებულება იზომება საქონელში განხორციელებული ადამიანის ძალის დახარჯვით, სადღაა აქ განაწილებითი ღირებულება, ფასის მომატება, ხარკით დაბეგვრა? მართალია, ბატონი დიურინგი გვეუბნება, რომ არა შრომით წარმოებული, მაშასადამე, საკუთრივ ღირებულების უნარმოკლებული საგნებიც ღებულობენ განაწილებითს ღირებულებას და მწარმოებლური, ღირებულების მქონე ნივთებზე გაიცვლებიანო. მაგრამ იგი ამასთანავე ამბობს, ყოველი ღირებულება, მაშასადამე, წმინდა და განსაკუთრებული განაწილებითი ღირებულებანი მათში განხორციელებული ძალის დახარჯვაში მდგომარეობენო. მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ ვგებულობთ, როგორ შეიძლება არა შრომით წარმოებულ საგანში ძალის დახარჯვა განხორციელდეს. ყოველ შემთხვევაში, ღირებულებათა ამ არევ-დარევისაგან, ბოლოს, როგორც ჩანს, ირკვევა, რომ განაწილებითი ღირებულება, ეს სოციალური მდგომარეობით იძულებული ფასის დამატება საქონელზე, ეს დაბეგვრა მახვილის შემწეობით ანაფერი ყოფილა; საქონლის ღირებულებანი განისაზღვ-

რებიან მხოლოდ ადამიანური ძალ-ღონის დახარჯვით, Vulgo[1], შრომით, რომელიც მათში ხორციელდება? მაშასადამე, თუ მიწის რენტასა და ორიოდე მონოპოლიურ ფასს არ შევეხებით, ბატონი დიურინგი უწესრიგოდ და ბუნდოვანად იმასვე ამბობს, რაც ყბადაღებულმა რიკარდო — მარქსის ღირებულების თეორიამ ბევრად უფრო გარკვეულად და ნათლად გამოთქვა?

იგი ამას ამბობს და იმავე წუთში საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მარქსი, რომელიც რიკარდოს გამოკვლევებიდან გამოდის, ამბობს: საქონელთა ღირებულება განისაზღვრება საქონელში განხორციელებული, საზოგადოებრივად აუცილებელი, ზოგადი ადამიანური შრომით, რომელიც, თავის მხრივ, თავისი ხანგრძლივობით იზომება. შრომა ყველა ღირებულების საზომია, მაგრამ თვით მას არა აქვს არავითარი ღირებულება. მიიღო რა შრომა ღირებულების საზომად, თავისებურად არეულ-დარეულად ბატონი დიურინგი განაგრძობს: შრომას «მივყავართ არსებობის დროისკენ, რომლის თვითშენახვა თავის მხრივ წარმოადგენს კვებისა და ცხოვრების სიძნელეთა განსაზღვრული ჯამის გადალახვას». უყურადღებოდ დავტოვოთ უბრალო ორიგინალობის წყურვილზე დაფუძნებული არევა შრომის დროისა, რომელზეც შეიძლება იყოს აქ ლაპარაკი, არსებობის დროსთან, რომელსაც დღემდე არასოდეს არც შეუქმნია და არც გაუზომია ღირებულება. უყურადღებოდ დავტოვოთ აგრეთვე ყალბი «სოციალიტარული» მოჩვენება, რომელიც ამ არსებობის დროის თ ვ ი თ შენახვამ უნდა შემოიტანოს; რაც სამყარო არსებობს და სანამ იგი იარსებებს, თვითეული არსება ვიძულებულია თვით შეინახოს თავისი თავი, იმ აზრით, რომ თავისი არსებობის საშუალებები თ ვ ი თ მოიხმაროს. წარმოვიდგინოთ, რომ ბატონ დიურინგს პოლიტიკური ეკონომიის ზედმიწევნით ზუსტი ენა ეხმარა, მაშინ ზემოთ მოყვანილი წინადადება ან არაფერს არ ნიშნავს, ან მხოლოდ შემდეგს ნიშნავს: საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასში განხორციელებული სამუშაო დროით, ხოლო ამ სამუშაო დროის ღირებულება — იმ საარსებო საშუალებათა ღირებულებით, რომელიც მუშის შესანახადაა საჭირო ამ ხნის განმავლობაში. ეს კი დღევანდელ საზოგადოებაში ნიშნავს: საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასში მოთავსებული შ რ ო მ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ი თ.

აქ ჩვენ, ბოლოს, მივაღწიეთ იმას, რის თქმაც სახელდობრ უნდა ბატონ დიურინგს. საქონლის ღირებულება, ვულგარული

[1] უბრალოდ რომ ვთქვათ. რ ე დ.

პოლიტიკური ეკონომიის ენაზე, წარმოების ხარჯებით განისაზღვრება; ამის წინააღმდეგ კერიმ «ის ჭეშმარიტება აღნიშნა ხაზგასმით, რომ ღირებულებას განსაზღვრავს არა წარმოების ხარჯები, არამედ კვლავწარმოების ხარჯები» («Kritische Geschichte», S. 401 [1]). რა აზრი აქვს წარმოებისა და კვლავწარმოების ამ ხარჯებს, ამის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ; აქ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ისინი, როგორც ცნობილია, შრომის ხელფასისა და კაპიტალის მოგებისგან შედგებიან. შრომის ხელფასი საქონელში განხორციელებულ «ძალ-ღონის დახარჯვას», წარმოებითს ღირებულებას წარმოადგენსო; მოგება წარმოადგენს ბაჟს ან ფასის დანამატს, განაწილებითს ღირებულებას, რომელსაც კაპიტალისტი თავისი მონოპოლიის შემწეობით, მახვილით აღჭურვილი ხელით იპყრობსო. ამრიგად, დიურინგის ღირებულების თეორიის მთელი წინააღმდეგობით აღსავსე აბდაუბდა უმშვენიერეს ჰარმონიულ სიცხადეში გადადის.

საქონლის ღირებულების განსაზღვრა შრომის ხელფასით, რომელსაც ადამ სმიტი ხშირად ურევს სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრაში, რიკარდოს შემდეგ განდევნილია მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიიდან და დღეს მხოლოდ ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიაშია შეხიზნული. ისინი სწორედ არსებული კაპიტალისტური საზოგადოებრივი წესწყობილების უსაძაგლესი სიკოფანტები არიან, რომლებიც ქადაგებენ — ღირებულება შრომის ხელფასით განისაზღვრებაო და ამავე დროს კაპიტალის მოგებას უმაღლესი სახის შრომის ხელფასად ასაღებენ, დათმენის ჯილდოდ (იმისთვის, რომ კაპიტალისტმა თავისი კაპიტალი არ გაფლანგა), რისკის პრემიად, საქმის ხელმძღვანელობის ქირად და სხვ. ბატონი დიურინგი მათგან განირჩევა მხოლოდ იმით, რომ მოგებას ძარცვა-გლეჯად აცხადებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბატონი დიურინგი თავის სოციალიზმს პირდაპირ უმდარესი სახის ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის თეორიებით ასაბუთებს. რადაც ეს ვულგარული ეკონომია ღირს, სწორედ იმად ღირს მისი სოციალიზმიც. ისინი ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვული.

ერთი რამ ნათელია: ის, რასაც მუშა აწარმოებს და ის, რადაც თვით მისი სამუშაო ძალა ღირს, ისეთივე სხვადასხვა საგნებია, როგორც ის, რასაც მანქანა აწარმოებს და ის, რადაც თვით მანქანა ღირს. ღირებულებას, რომელსაც მუშა თორმეტსაათიან სამუშაო დღეში ჰქმნის, არაფერი აქვს საერთო იმ საარსებო სა-

[1] «კრიტიკული ისტორია», გვ. 401. რ ე დ.

შუალებათა ღირებულებასთან, რომელთაც იგი ამ სამუშაო დღეში და მასთან დაკავშირებული დასვენების დროს მოიხმარს. ამ საარსებო საშუალებებში შეიძლება შრომის ნაყოფიერების განვითარების დონის მიხედვით სამი, ოთხი, შვიდსაათიანი სამუშაო დრო იყოს განხორციელებული. წარმოვიდგინოთ, რომ მათ საწარმოებლად შვიდი საათის სამუშაო დრო იყო საჭირო, მაშინ ბატონ დიურინგის მიერ მიღებული ვულგარულ-ეკონომიური ღირებულების თეორიის თვალსაზრისით 12 საათის შრომის პროდუქტს 7 საათის შრომის პროდუქტის ღირებულება აქვს, 12 საათის შრომა უდრის 7 საათის შრომას ან 12=7. ან კიდევ უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ავიღოთ ასეთი მაგალითი: სოფლის მუშა, სულერთია რა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, წელიწადში ხორბლის გარკვეულ რაოდენობას, ვთქვათ, 20 ჰექტოლიტრს აწარმოებს. თვით იგი ამ ხნის განმავლობაში ხმარობს ღირებულებათა ჯამს, რომელიც გამოხატულია თხუთმეტ ჰექტოლიტრ ხორბალში. ამ შემთხვევაში გამოდის, თითქოს ოც ჰექტოლიტრ ხორბალს თხუთმეტი ჰექტოლიტრის ღირებულება ჰქონდეს ერთსადაიმავე ბაზარზე და სხვამხრივ სრულიად თანასწორ პირობებში, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 20 უდრის 15. და ამას პოლიტიკური ეკონომია ჰქვია!

ადამიანთა საზოგადოების მთელი განვითარება ცხოველური ველურობის საფეხურს შემდეგ იმ დღიდან იწყება, როცა ოჯახის შრომამ მეტი პროდუქტები შექმნა, ვიდრე მის სარჩენად იყო საჭირო, იმ დღიდან, როცა შრომის ერთი ნაწილი შეიძლებოდა მოხმარებოდა არა მარტო საარსებო საშუალებათა წარმოებას, არამედ საწარმოო საშუალებათა შექმნას. შრომის პროდუქტის გარდამეტი შრომის შენახვის ხარჯებთან შედარებით და საზოგადოებრივი საწარმოო და სარეზერვო ფონდის შექმნა და დაგროვება ამ გარდამეტიდან ყოველი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ინტელექტუალური პროგრესის საძირკველი იყო და არის. წარსულ ისტორიაში ეს ფონდი პრივილეგიური კლასის საკუთრებას წარმოადგენდა, ეს კლასი ამ საკუთრებასთან ერთად აგრეთვე პოლიტიკურ ბატონობასა და სულიერ ხელმძღვანელობას ღებულობდა. მომავალი სოციალური გადატრიალება პირველად აქცევს ნამდვილად საზოგადოებრივად ამ საზოგადოებრივ საწარმოო და სარეზერვო ფონდს, ე. ი. ნედლი მასალის, წარმოების იარაღებისა და საარსებო საშუალებათა საერთო მასას, წაართ-

მევს რა მათ პრივილეგიურ კლასს და მთელ საზოგადოებას გადასცემს როგორც საერთო ქონებას.

ორიდან ერთი რამ არის სწორი. ან საქონლის ღირებულება გაიზომება მის დასამზადებლად საჭირო შრომის შესანახი ხარჯებით, ე. ი. შრომის ხელფასით დღევანდელ საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში ყოველი მუშა თავის ხელფასში თავისი შრომის პროდუქტის ღირებულებას ღებულობს, და მაშინ დაქირავებული მუშების კლასის ექსპლოატაცია კაპიტალისტების კლასის მიერ შეუძლებელია. წარმოვიდგინოთ, რომ ერთი მუშის შესანახი ხარჯები განსაზღვრულ საზოგადოებაში სამი მარკის თანხას უდრის. ამ შემთხვევაში მუშის დღიური პროდუქტი ზემოაღნიშნული ვულგარული ეკონომიური თეორიის მიხედვით სამი მარკის ღირებულებისაა. ახლა ვთქვათ, რომ კაპიტალისტი, რომელიც ამ მუშას ქირაობს, მისი პროდუქტის ფასს მოგებას უმატებს, ერთი მარკის გადასახადს, და პროდუქტს ოთხ მარკად ჰყიდის. ამას სჩადიან სხვა კაპიტალისტებიც. ამის შემდეგ მუშას აღარ შეუძლია დღიურად სამი მარკით ირჩინოს თავი, არამედ უკვე ოთხ მარკას საჭიროებს. რადგან ყველა სხვა პირობებიც უცვლელადაა ნაგულისხმევი, საარსებო საშუალებებში გამოხატული შრომის ხელფასი იგივე უნდა დარჩეს, მაშასადამე, ფულში გამოხატულმა შრომის ხელფასმა ზევით უნდა აიწიოს, სახელდობრ, სამი მარკიდან ოთხამდე დღიურად. რაც კაპიტალისტებმა მუშათა კლასს მოგების სახით წაართვეს, მას ხელახლა უკან უნდა დაუბრუნონ ხელფასის სახით. ჩვენ, ამრიგად, ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს წინ: თუ შრომის ხელფასი ღირებულებას განსაზღვრავს, მაშინ მუშის ექსპლოატაცია კაპიტალისტის მიერ შეუძლებელია. მაგრამ მაშინ შეუძლებელია აგრეთვე პროდუქტების გარდამეტის შექმნაც, იმიტომ რომ ჩვენი ვარაუდის თანახმად მუშები სწორედ იმდენ ღირებულებას ნთქავენ, რამდენსაც ჰქმნიან. ხოლო რადგან კაპიტალისტები არავითარ ღირებულებას არ ჰქმნიან, გაუგებარია, რით უნდა იცხოვრონ მათ. თუ კი წარმოების ასეთი გარდამეტი მოხმარებაზე, ასეთი საწარმოო და სარეზერვო ფონდი მაინც არსებობს, და სახელდობრ კაპიტალისტების ხელში იმყოფება, მაშინ სხვა არავითარი ახსნა აღარაა შესაძლებელი, გარდა იმისა, რომ მუშები თავიანთი თავის სარჩენად მხოლოდ საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ხმარობენ, თვით საქონელს კი კაპიტალისტებს უტოვებენ შემდგომი მოხმარებისთვის.

ან კიდევ: თუ ეს საწარმოო და სარეზერვო ფონდი ფაქტიურად არსებობს კაპიტალისტების კლასის ხელში, თუ იგი ფაქტიურად მოგების დაგროვებითაა შექმნილი (მიწის რენტას ჩვენ ჯერჯერობით უყურადღებოდ ვტოვებთ), უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ფონდი შედგება შრომის პროდუქტის დაგროვილი გარდამეტისაგან, რომელსაც მუშათა კლასი აძლევს კაპიტალისტთა კლასს და აღემატება იმ სამუშაო ხელფასის თანხას, რომელსაც კაპიტალისტების კლასი მუშათა კლასს უხდის. ამ შემთხვევაში ღირებულება განისაზღვრება არა შრომის ხელფასით, არამედ შრომის რაოდენობით; ამ შემთხვევაში მუშათა კლასი კაპიტალისტების კლასს შრომის პროდუქტში ღირებულების მეტ რაოდენობას აწვდის, ვიდრე იგი კაპიტალისტთა კლასისაგან ღებულობს შრომის ხელფასის სახით; მაშასადამე, კაპიტალის მოგება, როგორც სხვისი გადაუხდელი შრომის პროდუქტის მითვისების ყოველი სხვა ფორმა, აიხსნება როგორც მარქსის მიერ აღმოჩენილი ზედმეტი ღირებულების უბრალო შემადგენელი ნაწილი.

სხვათა შორის, იმ დიდი აღმოჩენის შესახებ, რომლითაც რიკარდო თავის მთავარ შრომას იწყებს: «რომ საქონლის ღირებულება დამოკიდებულია მის საწარმოებლად საჭირო შრომის რაოდენობაზე და არა ამ შრომისთვის გადახდილ მაღალ ან დაბალ გასამრჯელოზეო», — ამ ეპოქის შემქმნელი აღმოჩენის შესახებ ბატონი დიურინგი არსად არაფერს ამბობს მთელ თავის «პოლიტიკური ეკონომიის კურსში». «კრიტიკულ ისტორიაში» იგი მისნური ფრაზით კმაყოფილდება: «იგი (რიკარდო) არ ფიქრობს, რომ მეტმა თუ ნაკლებმა პროპორციამ, რომელშიც ხელფასს შეუძლია ასიგნება წარმოადგინოს ცხოვრების საჭიროებაზე (!), აგრეთვე ღირებულებათა ურთიერთობების ფორმირების პროცესში სხვადასხვაგვარი მრავალსახეობა უნდა გამოიწვიოს!». ესაა ფრაზა, რომლის შესახებ მკითხველს შეუძლია იფიქროს, რაც სურს; ყველაზე უკეთესი იქნება, თუ სულ არაფერს არ იფიქრებს მასზე.

და ახლა დაე მკითხველმა თვით აირჩიოს რომელიც მოსწონს ყველაზე მეტად იმ ხუთი ჯურის ღირებულებიდან, რომელთაც ბატონი დიურინგი გვთავაზობს: ან პირველი, საწარმოო ღირებულება, რომელიც ბუნებიდან წარმოდგება, ან მეორე, განაწილებითი ღირებულება, რომელიც ადამიანების უკუღმართობამ შექმნა და რომელიც იმით განირჩევა, რომ იგი განიზომება იმ ძალ-ღონის დახარჯვით, რაც მასში არაა, ან, მესამე, ღირებულება, რომელიც სამუშაო დროით განიზომება, ან, მეოთხე, ღირებულება,

რომელიც კვლავწარმოების ხარჯებით განიზომება; ანდა, ბოლოს, მეხუთე, ის ღირებულება, რომელიც შრომის ხელფასით იზომება. არჩევანი მდიდარია, არევ-დარევა სრული, და ჩვენ ის-ღა დაგვრჩენია, ბატონ დიურინგთან ერთად წამოვიძახოთ: «ღირებულების მოძღვრება ეკონომიკური სისტემების ღირსების სასინჯ ქვას წარმოადგენს!».

VI

მარტივი და რთული შრომა

ბატონმა დიურინგმა მარქსს აღმოუჩინა მეტად ტლანქი, მეოთხე კლასის მოწაფის შესაფერი ეკონომიური შეცდომა, რომელიც აგრეთვე საზოგადოებრივად სახიფათო სოციალისტურ მწვალებლობას შეიცავს. მარქსის ღირებულების თეორია «სხვას არაფერს წარმოადგენს, გარდა ჩვეულებრივი... მოძღვრებისა, რომ შრომა ყოველი ღირებულების მიზეზს წარმოადგენს, ხოლო სამუშაო დრო—მის საზომს. სრულიად გამოურკვეველი რჩება აქ, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეგრეთწოდებული კვალიფიციური შრომის განსხვავებული ღირებულება. მართალია, ჩვენი თეორიის მიხედვითაც მხოლოდ გამოყენებული შრომის დროით შეიძლება ბუნებრივი თვითღირებულების და ამასთანავე სამეურნეო საგნების აბსოლუტური ღირებულების გაზომვა; მაგრამ ამავე დროს ყოველი ინდივიდუუმის სამუშაო დრო იმთავითვე სავსებით თანასწორად უნდა მივიჩნიოთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც კვალიფიციური მუშაობისას ცალკე პირის ინდივიდუალური სამუშაო დროს სხვა პირების სამუშაო დროც ემატება..., მაგალითად, გამოყენებული ინსტრუმენტის სახით. მაშასადამე, საქმის ვითარება ისე კი არაა, როგორც ბატონ მარქსს ბუნდოვანად წარმოუდგენია, თითქოს ვინმეს სამუშაო დროს თავისთავად უფრო მეტი ღირებულება ჰქონდეს, ვიდრე სხვა პირისას, იმიტომ რომ პირველში თითქოს მეტი საშუალო სამუშაო დროა შედედებული, არამედ ყველა სამუშაო დრო გამოუკლებლივ და პრინციპულად, მაშასადამე, ისე რომ საშუალო დონის მიღება საჭირო არაა, სავსებით თანასწორი ღირებულებისაა, და რომელიმე პირის სამუშაოში, ისევე როგორც ყოველ დამზადებულ საგანში უნდა გამოვარკვიოთ, სხვა პირების რამდენი სამუშაო დრო არის დაფარული მხოლოდ მისი საკუთარი, — ერთი შეხედვით, — სამუშაო დროის დახარჯვაში. იქნება ეს საწარმოო იარაღი, რომელსაც ხელი ამოძრავებს, თუ

ბელი, ან თვით თავი, ის ნივთი, რომელსაც სხვა ადამიანების სამუშაო დროს გარეშე არ შეუძლია განსაკუთრებული თვისება და შრომის უნარიანობა მიიღოს, ამას თეორიის მკაცრი გამოყენებისთვის როდი აქვს მნიშვნელობა. ბატონი მარქსი კი თავის მსჯელობაში ღირებულების შესახებ ვერ თავისუფლდება კვალიფიციური სამუშაო დროის მოჩვენებისაგან, რომელიც მოჩანს სცენის სიღრმეში. ამ მიმართულებით გზის გაკაფვაში მას ხელი შეუშალა იმ განათლებული კლასების მემკვიდრეობით გადმოცემულმა აზროვნების მეთოდმა, რომელთაც საშინელებად უნდა ეჩვენოთ იმის აღიარება, რომ მეურმის და ხუროთმოძღვრის სამუშაო დრო თავისთავად ეკონომიკურად სავსებით თანასწორღირებულებიანიაო».

მარქსის ის ადგილი, რომელმაც ბატონ დიურინგის ესოდენ «ძლიერი გულისწყრომა» გამოიწვია, მეტად მოკლეა. მარქსი იკვლევს, რით განისაზღვრება ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღირებულება, და უპასუხებს: მასში მოთავსებული ადამიანური შრომითო. «იგი, — განაგრძობს მარქსი, — დახარჯვაა მარტივი სამუშაო ძალისა, რომელსაც შეიცავს საშუალოდ ყოველი, განსაკუთრებული განვითარების არმქონე, ჩვეულებრივი ადამიანის ორგანიზმი... რთული შრომა მხოლოდ ხარისხში აყვანილი, ანუ, უკეთ, გამრავლებული მარტივი შრომაა, ასე რომ რთული შრომის ნაკლები რაოდენობა მარტივი შრომის მეტ რაოდენობას უდრის. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს რედუქცია, — რთული შრომის მარტივ შრომაზე დაყვანა, — მუდამ წარმოებს. საქონელი შეიძლება ფრიად რთული შრომის პროდუქტი იყოს, მაგრამ მისი ღირებულება ამ საქონელს მარტივი შრომის პროდუქტს უთანასწორებს და ამიტომ თვით იგი მარტივი შრომის მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას წარმოადგენს. სხვადასხვა პროპორცია, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სახის შრომა დაყვანილია მარტივ შრომაზე, როგორც მის საზომ ერთეულზე, საზოგადოებრივი პროცესის წყალობით მწარმოებელთა ზურგს უკან ყალიბდება და ამიტომ მათ იგი ტრადიციით დამყარებულად ეჩვენებათ» [1].

აქ მარქსი, უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკობს ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ღირებულების მხოლოდ განსაზღვრაზე, რომლებიც კერძო მწარმოებლებისაგან შემდგარ საზოგადოებაში ამ კერძო მწარმოებლების მიერ იწარმოება კერძო ანგარიშზე და ერთიმეორეზე იცვლება. მაშასადამე,

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 12. რ ე დ.

აქ ლაპარაკია არა «აბსოლუტურ ღირებულებაზე», სადაც არ უნდა სუფევდეს ეს უკანასკნელი, არამედ ღირებულებაზე, რომელსაც განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაში აქვს ძალა და მნიშვნელობა. აღმოჩნდება, რომ ეს ღირებულება, ამ განსაზღვრული ისტორიული გაგებით იქმნება და იზომება ადამიანის შრომით, რომელიც ცალკე საქონელშია განხორციელებული, ხოლო ეს ადამიანის შრომა უბრალო სამუშაო ძალის დახარჯვა ყოფილა. მაგრამ ყოველი შრომა მარტო ადამიანის უბრალო სამუშაო ძალის დახარჯვას როდი წარმოადგენს; შრომის ძალიან ბევრი სახე შეიცავს მეტ-ნაკლები ჯაფით, დროისა და ფულის დახარჯვით შეძენილი დახელოვნების ან ცოდნის გამოყენებას. ჰქმნიან თუ არა რთული შრომის ეს სახეები დროის თანასწორ მონაკვეთებში იმავე საქონლურ ღირებულებას, როგორც მარტივი შრომა, როგორც მარტოოდენ უბრალო სამუშაო ძალის დახარჯვა? ცხადია, არა. რთული შრომის ერთი საათის პროდუქტი უფრო მაღალი, ორმაგი ან სამმაგი ღირებულების საქონელს წარმოადგენს მარტივი შრომის ერთი საათის პროდუქტთან შედარებით. რთული შრომის პროდუქტების ღირებულება ასეთი შედარების წყალობით მარტივი შრომის განსაზღვრულ რაოდენობაში გამოიხატება; მაგრამ რთული შრომის ეს დაყვანა მარტივ შრომაზე ხდება საზოგადოებრივი პროცესის შემწეობით, მწარმოებელთა ზურგს უკან, — ისეთი პროცესის შემწეობით, რომელიც აქ, ღირებულების თეორიის განხილვის დროს, შეიძლება დადგენილ იქნეს, მაგრამ ჯერ კიდევ ახსნილი არაა.

მარქსი აქ აღნიშნავს სწორედ ამ მარტივ ფაქტს, რომელიც ყოველდღე ხდება ჩვენ თვალწინ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ეს ფაქტი იმდენად უცილობელია, რომ თვით ბატონი დიურინგიც კი ვერ ბედავს იგი უარყოს თავის «კურსსა» და «ეკონომიური მეცნიერების ისტორიაში»; და მარქსის მიერ საგნის გადმოცემა ისე მარტივი და გამჭვირვალეა, რომ, ალბათ, არავინ აქ «სრულ გაურკვევლობაში არ დარჩება», გარდა ბატონი დიურინგისა. ამ თავისი სრული გაურკვევლობის გამო იგი საქონლის ღირებულებას, რომლის გამოკვლევასაც აქ მარქსი უპირველეს ყოვლისა აწარმოებს, მიიჩნევს «ბუნებრივ თვითღირებულებად», რაც კიდევ უფრო აბუნდოვანებს საკითხს, თვით «აბსოლუტურ ღირებულებადაც» კი, რომელსაც, რამდენადაც ვიცით, დღემდე პოლიტიკურ ეკონომიაში არსად ადგილი არ ჰქონია. მაგრამ რაც არ უნდა ესმოდეს ბატონ დიურინგს «ბუნებრივ თვითღირებულებაში» და მისი ხუთი სახის ღირებულებიდან რომელსაც არ უნდა ჰქონდეს პატივი წარ-

მოადგინოს «აბსოლუტური ღირებულება», — ერთი რამ უცილობელია, რომ მარქსი ლაპარაკობს არა ამ საგნებზე, არამედ მხოლოდ საქონლის ღირებულებაზე; მთელ განყოფილებაში, რომელიც «კაპიტალში» ღირებულებას აქვს მიძღვნილი, კრინტიც კი არაა დაძრული იმის შესახებ — თვლის თუ არა მარქსი და რამდენად თვლის, რომ საქონლის ღირებულების ეს თეორია სხვა საზოგადოებრივ ფორმებსაც მიუდგებაო. — «მაშასადამე, — განაგრძობს ბატონი დიურინგი,—საქმე ისე კი არაა, როგორც ბატონ მარქსს წარმოუდგენია ბუნდოვანად, თითქოს ვინმეს სამუშაო დრო თავისთავად მეტი ღირდეს სხვის სამუშაო დროზე, იმიტომ რომ მასში მეტი საშუალო დრო იყოს შედედებული, არამედ ყოველი სამუშაო დრო გამოუკლებლივ და პრინციპულად სავსებით თანასწორი ღირებულებისაა, ისე რომ არავითარი საშუალოს მიღება მხედველობაში არაა საჭირო». — ბატონი დიურინგისთვის ბედნიერებაა, რომ იგი ბედმა ფაბრიკანტი არ გახადა და ამით იხსნა იგი იმისგან, რომ თავისი საქონლის ღირებულება ამ ახალი წესის მიხედვით დაედგინა და აუცილებელი გაკოტრების გზას დადგომოდა. მაგრამ როგორ? განა ჩვენ აქ კიდევ ფაბრიკანტების საზოგადოებაში ვიმყოფებით? სრულიადაც არა. ბუნებრივი თვითღირებულებისა და აბსოლუტური ღირებულების შემწეობით ბატონი დიურინგი ნახტომს გვაკეთებინებს, ნამდვილ salto mortale[1]-ს ექსპლოატატორთა დღევანდელი ცუდი ქვეყნიერებიდან მის საკუთარ მომავალ სამეურნეო კომუნაში, თანასწორობისა და სამართლიანობის წმინდა ციურ ატმოსფეროში, და ამრიგად ჩვენ იძულებული ვართ, თუმცა რამდენადმე ნაადრევადაც კი, აქვე შევიხედოთ ამ ახალ ქვეყნიერებაში.

რასაკვირველია, ბატონ დიურინგის თეორიით, სამეურნეო კომუნაშიც სამეურნეო საგნების ღირებულება მხოლოდ დახარჯული სამუშაო დროით გაიზომება, მაგრამ ყოველი ინდივიდუუმის სამუშაო დრო იმთავითვე, გამოუკლებლივ და პრინციპულად, სავსებით თანასწორი ღირებულების მქონედ ჩაითვლება, ყოველი სამუშაო დრო სრულიად ტოლღირებულად მიიჩნევა, ისე რომ საჭირო არ იქნება ჯერ საშუალო სიდიდის მიღება. და აი ეს რადიკალური თანასწორობის სოციალიზმი შეადარეთ მარქსის ბუნდოვან წარმოდგენას, თითქოს ვინმეს სამუშაო დრო თავისთავად მეტი ღირდეს, ვიდრე რომელიმე მეორე პირის სამუშაო დრო,

[1] სასიკვდილო, განწირული ნახტომი. რ ე დ.

იმიტომ რომ პირველში მეტი საშუალო სამუშაო დროა შედედებულიო; ამ წარმოდგენას მარქსი შებოჭილი ჰყავს განათლებული კლასების ტრადიციული აზროვნების წესით, რომელსაც საშინელებად უნდა ეჩვენოს მეურმის და ხუროთმოძღვრის სამუშაო დროის ეკონომიურად საესებით ტოლღირებულად აღიარება!

დიურინგის სამწუხაროდ, მარქსი ზემოთ მოყვანილ ადგილს «კაპიტალში» შემდეგ პატარა შენიშვნას უკეთებს: «მკითხველს მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ აქ ლაპარაკია არა ხ ე ლ ფ ა ს ზ ე ანუ ღირებულებაზე, რომელსაც მუშა, ვთქვათ, ერთ სამუშაო დღეში ი ღ ებ ს, არამედ—ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ა ზ ე, რომელშიაც მისი სამუშაო დღეა გ ა ნ ი ვ თ ი ერ ებ უ ლ ი»[1]. მარქსი, რომელმაც აქ თითქოს წინდაწინვე იგრძნო დიურინგის გალაშქრება, მაშასადამე, თვითონვე გვაფრთხილებს იმის წინააღმდეგ, რომ მისი ზემოაღიშნული დებულებანი გამოყენებული იქნეს თუნდაც იმ შრომის ხელფასის ასახსნელად, რომელსაც თანამედროვე საზოგადოებაში იძლევიან რთული შრომისათვის. ხოლო თუ ბატონი დიურინგი ამით არ კმაყოფილდება და ზემოაღნიშნულ დებულებებს იმ პრინციპებად ასაღებს, რომელთა მიხედვით მარქსს თითქოს საარსებო საშუალებათა განაწილების მოწესრიგება სურდეს სოციალისტურად ორგანიზებულ საზოგადოებაში, ეს ისეთი ურცხვი დამახინჯებაა, რომლის მსგავსი მხოლოდ ავაზაკურ ლიტერატურაში მოიპოვება.

მაგრამ ცოტათი უფრო ახლო გავეცნოთ დიურინგის «ტოლღირებულებიანობის მოძღვრებას». ყოველი სამუშაო დრო სრულიად ტოლღირებულია, სულერთია, მეურმისაა ეს დრო, თუ ხუროთმოძღვრისაო. ამრიგად, სამუშაო დროსა და, მაშასადამე, თვით შრომასაც ღირებულება აქვთ. მაგრამ შრომა ხომ ყოველი ღირებულების შემქმნელია. მხოლოდ ერთადერთი იგი აძლევს ღირებულებას, ეკონომიური აზრით, ჩვენს მიერ ნახულ ბუნებრივ პროდუქტებს. თვითონ ღირებულება მხოლოდ გამოხატულებაა რომელიმე საგანში განივთებული, საზოგადოებრივად აუცილებელი ადამიანური შრომისა. მაშასადამე, შრომას ა რ შ ე ი ძ ლ ებ ა რაიმე ღირებულება ჰქონდეს. შრომის ღირებულებაზე ლაპარაკი და მისი განსაზღვრის ცდა იგივე იქნებოდა, რომ თვით ღირებულების ღირებულებაზე ვილაპარაკოთ ან მოვინდომოთ არა რომელიმე მძიმე სხეულის წონის განსაზღვრა, არამედ თვით სიმძიმის წონისა. ბატონი დიურინგი

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 12 რ ე დ.

ადვილად უსწორდება და სოციალურ ალქიმიკოსებს უწოდებს ისეთ ადამიანებს, როგორიც არიან ოუენი, სენ-სიმონი და ფურიე. მაგრამ როცა იგი სამუშაო დროის, ე. ი. შრომის ღირებულებაზე ბრძნობას იწყებს, ის ამტკიცებს, რომ იგი ბევრად უფრო დაბლა დგას, ვიდრე ნამდვილი ალქიმიკოსები. და ახლა გაზომეთ ის სითამამე, რომლითაც ბატონი დიურინგი მარქსს იმის მტკიცებას მიაწერს, თითქოს ვინმეს სამუშაო დრო თავისთავად მეტი ღირდეს, ვიდრე მეორე პირისაო, თითქოს სამუშაო დროს, მაშასადამე, შრომასაც, ღირებულება აქვსო, — მიაწერს მარქსს, რომელმაც პირველად დაასაბუთა, რომ შრომას არ აქვს ღირებულება და დაამტკიცა, თუ რატომ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა შრომას ღირებულება ჰქონდეს!

სოციალიზმისთვის, რომელსაც სურს ადამიანის სამუშაო ძალა გაანთავისუფლოს ს ა ქ ო ნ ლ ი ს მდგომარეობისაგან, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის გაგებას, რომ შრომას ღირებულება არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამასთან ერთად ემხობა ყოველი ცდა, რომელიც სტიქიური მუშური სოციალიზმიდან ბატონ დიურინგზე მემკვიდრეობით გადავიდა, რომ მომავალში საარსებო საშუალებათა განაწილება უნდა მოწესრიგდეს როგორც შრომის ერთგვარი უმაღლესი ხელფასიო. აქედან შემდეგ გამომდინარეობს შეხედულება, რომ განაწილება, რამდენადაც მას წმინდა ეკონომიური მოსაზრებანი განაგებენ, წარმოების ინტერესებით მოწესრიგდება, ხოლო წარმოება ყველაზე უკეთესად განვითარდება განაწილების ისეთი წესით, რომელიც საზოგადოების ყ ვ ე ლ ა წევრს ნებას მისცემს თავისი უნარი, რამდენადაც შესაძლებელია, ყოველმხრივ განავითაროს, დაიცვას, და გამოაელინოს. განათლებული კლასების აზროვნების წესი კი, რომელიც ბატონ დიურინგს მიუღია მემკვიდრეობით, რასაკვირველია, საშინელებად უნდა ეჩვენოს, რომ დადგება დრო, როცა აღარ იარსებებენ პროფესიონალური მეურმეები და ხუროთმოძღვრები, რომ ადამიანი, რომელმაც ნახევარი საათის განმავლობაში ხუროთმოძღვრის განკარგულებანი გასცა, შემდეგ ერთხანს ურემს გაუძღვება, სანამ ხელახლა მისი ხუროთმოძღვრული მოღვაწეობა არ გახდება საჭირო. კარგი იქნებოდა ის სოციალიზმი, რომელიც გაამარადისებს პროფესიონალურ მეურმეებს!

თუ სამუშაო დროის ტოლღირებულებიანობას ის აზრი უნდა ჰქონდეს, რომ ყოველი მუშა დროის თანასწორ მონაკვეთებში თანასწორ ღირებულებას აწარმოებს, ისე რომ რაიმე საშუალო

სიდიდის აღება პირველად საჭირო არ იყოს, ეს აშკარად ყალბია. ორი მუშის ერთი საათის შრომით შექმნილი პროდუქტის ღირებულება, თუნდაც წარმოების ერთსა და იმავე დარგში, სხვადასხვანაირი იქნება შრომის ინტენსივობისა და დახელოვნების მიხედვით; ამ უბედურებას, რომელიც მხოლოდ დიურინგის მსგავსი ადამიანებისთვის არსებობს, ვერავითარი სამეურნეო კომუნა ვერ უშველის, ყოველ შემთხვევაში ჩვენს პლანეტაზე. მაშ რა რჩება ყოველი და თვითეული შრომის ტოლღირებულებიანობიდან? არაფერი, გარდა ცარიელი მყვირალა ფრაზისა, რომელსაც არავითარი სხვა ეკონომიური საფუძველი არ აქვს, გარდა ბატონ დიურინგის უუნარობისა ერთმანეთისაგან გაარჩიოს, ერთი მხრივ, ღირებულების შრომით განსაზღვრა და, მეორე მხრივ, ღირებულების შრომის ხელფასით განსაზღვრა, — გარდა უბრალო ბრძანებულებისა, რომელიც ახალი სამეურნეო კომუნის ძირითად კანონს წარმოადგენს: თანასწორი სამუშაო დროისთვის შრომის ხელფასი თანასწორი უნდა იყოს! ძველ ფრანგ მუშა კომუნისტებსა და ვაიტლინგს ბევრად უკეთესი საბუთები ჰქონდათ თავიანთი შრომის ხელფასის თანასწორობისათვის.

როგორ-ღა წყდება მთელი მნიშვნელოვანი საკითხი რთული შრომის უკეთესად დაჯილდოების შესახებ? კერძო მწარმოებლების საზოგადოებაში კერძო ადამიანები ან მათი ოჯახები იხდიან კვალიფიციური მუშის სწავლა-განათლების ხარჯებს; ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, კერძო პირებს კვალიფიციური სამუშაო ძალის მაღალი ფასი ერგებათ: დახელოვნებული მონა უფრო ძვირად იყიდება, დახელოვნებული დაქირავებული მუშა უფრო მაღალ ხელფასს იღებს. სოციალისტურად მოწყობილ საზოგადოებაში ამ ხარჯებს საზოგადოება კისრულობს, ამიტომ მასვე ეკუთვნის მისი ნაყოფიც, რთული შრომის მიერ შექმნილი უფრო მაღალი ღირებულებანი. თვით მუშას არ შეუძლია მეტი მოითხოვოს. აქედან, სხვათა შორის, ის სასარგებლო დასკვნა გამომდინარეობს, რომ ზოგჯერ სრულიად უცილობელი არაა მუშის პრეტენზია «მთელი შრომის ნაწარმოებზე».

VII

კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება

«კაპიტალი ბატონ მარქსს, უწინარეს ყოვლისა, არ მიაჩნია საყოველთაოდ მიღებულ ეკონომიკურ ცნებად, რომლის მიხედვით კაპიტალი წარმოებული საწარმოო საშუალებაა, არამედ იგი

ცდილობს შექმნას უფრო სპეციალური, დიალექტიკურ-ისტორიული იდეა, რომელსაც იგი ცნებების და ისტორიის მეტამორფოზების თამაშობად აქცევს. კაპიტალი, მარქსის აზრით, ფულიდან იქმნება; იგი ჰქმნის ისტორიულ ფაზას, რომელიც იწყება XVI საუკუნიდან, სახელდობრ, ამ დროისთვის ნაგულისხმევი მსოფლიო ბაზრის ჩანასახით. ცხადია, რომ კაპიტალის ცნების ასეთი გაგების დროს იკარგება ეკონომიური ანალიზის სიმძაფრე; ასეთ უშინაარსო კონცეფციებში, რომელიც ნახევრად ისტორიული უნდა იყოს, ნახევრად ლოგიკური, ნამდვილად კი ისტორიული და ლოგიკური ფანტასტიკის ნაბუშარს წარმოადგენს, ჰქრება გონების უნარი განსხვავებათა დანახვისა და ამასთანავე ცნებათა ყოველი პატიოსანი გამოყენება»... ამრიგად გრძელდება ეს როშვა მთელ გვერდზე: «მარქსის მიერ კაპიტალის ცნების დახასიათებით შეიძლება მხოლოდ არევ-დარევა შეიქმნას სახალხო მეურნეობის მკაცრ მოძღვრებაში... თავქარიანობანი, რომლებიც ღრმა ლოგიკურ ეშმარიტებებად საღდება... საფუძველთა მერყეობა» და სხვ.

მაშასადამე, მარქსის მიხედვით, კაპიტალი XVI საუკუნის დამდეგს ფულიდან უნდა შექმნილიყო. ეს იგივეა, რომ კაცმა თქვას, ლითონის ფული სამი ათასზე ბევრად მეტი წლის წინათ შინაური პირუტყვიდან შეიქმნაო, იმიტომ რომ სხვა საგანთა შორის წინათ შინაური პირუტყვიც ფულის ფუნქციებს ასრულებდა. მხოლოდ ბატონ დიურინგს შეუძლია ასეთი ტლანქი და ორაზროვანი გამოთქმები იხმაროს. მარქსის მოძღვრებაში იმ ეკონომიური ფორმების ანალიზის დროს, რომლებშიც საქონლის მიმოქცევის პროცესი მოძრაობს, უკანასკნელი ფორმა ფული აღმოჩნდა. «საქონლის მიმოქცევის ეს საბოლოო შედეგი წარმოადგენს კაპიტალის გ ა მ ო ვ ლ ე ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ფ ო რ მ ა ს. ისტორიულად კაპიტალი მიწის საკუთრებას თავდაპირველად ყველგან ფულის სახით უპირდაპირდება, როგორც ფულადი ქონება, სავაჭრო კაპიტალი და სავახშო კაპიტალი... იგივე ისტორია ყოველდღე მეორდება ჩვენ თვალწინ. ყოველი ახალი კაპიტალი დასაწყისში გამოდის ასპარეზზე, ე. ი. ბაზარზე, — საქონლის, შრომის ან ფულის ბაზარზე, ყოველთვის როგორც ფული, — ფული, რომელიც განსაზღვრული პროცესების გზით კაპიტალად უნდა გადაიქცეს» [1]. მაშასადამე, აქაც მარქსი მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს. ბატონ დიურინგს ძალა არ შესწევს მის გასაბათილებლად და უკულმა ატრიალებს მას: კაპიტალი ვითომდა ფულიდან შექმნილაო!

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 108. რ ე დ.

შემდეგ მარქსი იმ პროცესებს იკვლევს, რომელთა შემწეობით ფული კაპიტალად იქცევა და, უწინარეს ყოვლისა, ხედავს, რომ ფორმა, რომელშიც ფული მიმოიქცევა როგორც კაპიტალი, იმ ფორმის შებრუნებაა, რომელშიც იგი მიმოიქცევა როგორც საყოველთაო საქონლის ეკვივალენტი. უბრალო საქონლის მფლობელი ყიდის, რათა იყიდოს; იგი ყიდის, რაც მას არ სჭირდება და მიღებული ფულით ყიდულობს, რაც მას სჭირდება; კაპიტალისტი კი, საქმეს რომ წამოიწყებს, იმთავითვე იმას ყიდულობს, რაც თვით მას არ სჭირდება; იგი ყიდულობს, რათა გაყიდოს და ამასთანავე გაყიდოს უფრო ძვირად, რათა სავაჭრო საქმეში თავდაპირველად დახარჯული ფულადი ღირებულება უკან დაიბრუნოს, გადიდებული ფულადი ნამატით; ამ ნამატს მარქსი ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს უწოდებს.

საიდან წარმოდგება ეს ზედმეტი ღირებულება? იგი არ შეიძლება არც იქიდან წარმოდგებოდეს, რომ მყიდველმა საქონელი ღირებულებაზე დაბლა იყიდა, არც იქიდან, რომ გამყიდველმა იგი ღირებულებაზე მაღლა გაყიდა. იმიტომ რომ ორივე შემთხვევაში თვითეული პირის მოგება და წაგება ერთიმეორეს აწონასწორებენ, რადგან თვითეული პირი მყიდველი და გამყიდველია შენაცვლებით. შეუძლებელია აგრეთვე, რომ ზედმეტი ღირებულება მოტყუების შედეგი იყოს, იმიტომ რომ თუმცა მოტყუებას შეუძლია ერთი კაცი გაამდიდროს მეორეს ხარჯზე, მაგრამ მას არ შეუძლია ორივეს მფლობელობაში მყოფი საერთო ჯამი, მაშასადამე, აგრეთვე მიმოქცევაში მყოფი ღირებულებების ჯამი საერთოდ გაადიდოს. «ამა თუ იმ ქვეყნის კაპიტალისტთა მთელი კლასი არ შეიძლება თავის საკუთარ ხარჯზე მდიდრდებოდეს»[1].

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ქვეყნის კაპიტალისტთა მთელი კლასი შეუჩერებლივ მდიდრდება ჩვენ თვალწინ იმით, რომ უფრო ძვირად ყიდის, ვიდრე იყიდა, იმით რომ ზედმეტ ღირებულებას ითვისებს. ამრიგად, იმავე საკითხს ვუბრუნდებით: საიდან წარმოდგება ეს ზედმეტი ღირებულება? ეს საკითხი აუცილებლად უნდა გადაწყდეს და მასთან გადაწყდეს წ მ ი ნ დ ა ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი გზით, ყოველი მოტყუების, ყოველი ძალდატანების ჩარევის გარეშე; ესაა საკითხი: როგორაა შესაძლებელი, რომ ადამიანი შეუჩერებლივ უფრო ძვირად ყიდდეს,

[1] «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 124. რ ე დ.

ვიდრე ყიდულობს, თუნდაც იგულისხმებოდეს, რომ თანასწორი ღირებულება მუდამ თანასწორ ღირებულებაზე იცვლება?

ამ საკითხის გადაჭრა მარქსის შრომის დიდ, ეპოქის შემქმნელ დამსახურებას შეადგენს. იგი ნათელი დღის შუქს ფენს ეკონომიკურ დარგებს, სადაც წინათ სოციალისტები, ბურჟუაზიულ ეკონომისტებზე არა ნაკლებ წყვდიადში დადიოდნენ ხელის ფათურით. აქედან თარიღდება მეცნიერული სოციალიზმი. ამ საკითხის გადაჭრა წარმოადგენს მეცნიერული სოციალიზმის ცენტრალურ პუნქტს.

ეს გადაწყვეტა შემდეგია. იმ ფულის ღირებულების ზრდა, რომელიც კაპიტალად უნდა იქცეს, არ შეიძლება თვით ამ ფულში მოხდეს, ან ყიდვიდან წარმოდგეს, იმიტომ რომ ეს ფული აქ მხოლოდ საქონლის ფასის რეალიზაციას ახდენს, ეს ფასი კი, რადგან ჩვენ ვგულისხმობთ, რომ თანასწორი ღირებულებანი იცვლებიან ერთმანეთზე, არ განსხვავდება საქონლის ღირებულებისაგან. მაგრამ იმავე მიზეზით შეუძლებელია აგრეთვე ღირებულების გადიდება საქონლის გაყიდვიდან წარმოდგეს. მაშასადამე, ცვლილება უნდა განიცადოს იმ საქონელმა, რომელსაც ყიდულობენ, მაგრამ არა მისმა ღირებულებამ,— იმიტომ რომ საქონელს მისი ღირებულების მიხედვით ყიდულობენ და ყიდიან, — არამედ მისმა სახმარმა ღირებულებამ, როგორც ასეთმა, ე. ი. ღირებულების ცვლილება საქონლის მოხმარებიდან უნდა წარმოიშვას. «მაგრამ ჩვენმა ფულის მფლობელმა რომ საქონლის მოხმარებიდან ღირებულება მიიღოს, იგი ისეთი ბედნიერი ადამიანი უნდა იყოს, რომ... ბაზარზე აღმოაჩინოს საქონელი, რომლის სახმარი ღირებულება თვით შეიცავს იმ განსაკუთრებულ თვისებას, რომ ის ღირებულების წყარო იყოს, და რომლის ფაქტიური მოხმარება, ამრიგად, თვით არის შრომის გასაგნობრივება და ამიტომ ღირებულების შექმნა. და ფულის პატრონი მართლაც პოულობს ბაზარზე ასეთ სპეციფიკურ საქონელს: ეს არის შრომის უნარი ანუ სამუშაო ძალა»[1]. თუ, როგორც დავინახეთ, შეუძლებელია, რომ შრომას როგორც ასეთს ღირებულება ჰქონდეს, იგივე არ ითქმის სამუშაო ძალაზე. ეს უკანასკნელი ღირებულებას ღებულობს, როგორც კი საქონელი გახდება, როგორც ის დღეს არის ფაქტიურად საქონელი, და ეს ღირებულება «ყოველი სხვა საქონლის ღირებულების მსგავსად განისაზღვრება იმ სამუშაო

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 128. რედ.

დროით, რომელიც აუცილებელია ამ სპეციფიკური საგნის წარმოებისა და, მაშასადამე, აგრეთვე მისი ხელახალი წარმოებისთვის»[1], ე. ი. სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა იმ საარსებო საშუალებათა საწარმოებლად, რაც მუშას სჭირდება თავისი თავის შესანახად შრომისუნარიან მდგომარეობაში და თავისი მოდგმის გასაგრძელებლად. წარმოვიდგინოთ, რომ ეს საარსებო საშუალებანი დღითი დღე ექვსსაათიან სამუშაო დღეს წარმოადგენენ. ჩვენი კაპიტალისტი, რომელიც საქმეს შედგომია და თავისი წარმოების ასამოძრავებლად სამუშაო ძალას ყიდულობს, ე. ი. მუშას ქირაობს, ამ მუშას მისი სამუშაო ძალის სრულ დღიურ ღირებულებას უხდის, თუ მას ფულის იმ თანხას აძლევს, რომელიც სწორედ ექვს სამუშაო საათს წარმოადგენს. რაკი მუშამ ექვსი საათი იმუშავა ამ კაპიტალისტის სამსახურში, მან მას სრულიად აუნაზღაურა მისი ხარჯი, რომელიც სამუშაო ძალის დღიური ღირებულების გადასახდელად იყო გაღებული. მაგრამ ამით ფული კაპიტალად ვერ იქცეოდა, იგი ზედმეტ ღირებულებას ვერ შექმნიდა. ამიტომ სამუშაო ძალის მყიდველს სრულიად სხვანაირი შეხედულება აქვს მის მიერ დადებული გარიგების ბუნებაზე. ის გარემოება, რომ საჭიროა მხოლოდ ექვსი საათის შრომა, რათა მუშამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში შეინახოს თავი, სრულიადაც მას ხელს არ უშლის თორმეტი საათი იმუშაოს ოცდაოთხი საათიდან. სამუშაო ძალის ღირებულება და სამუშაო ძალის მიერ შრომის პროცესში შექმნილი ღირებულება ორი სხვადასხვა სიდიდეა. ფულის მფლობელმა სამუშაო ძალის დღიური ღირებულება გადაიხადა, ამიტომ მას ეკუთვნის მისი მოხმარებაც მთელი დღის განმავლობაში, დღიური შრომა. თუ ის ღირებულება, რომელსაც სამუშაო ძალის მოხმარება ერთი დღის განმავლობაში ჰ ქ მ ნ ი ს, ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე მისი საკუთარი დღიური ღირებულება, ეს განსაკუთრებული ბედნიერებაა მყიდველისთვის, მაგრამ საქონლის გაცვლა-გამოცვლის კანონების მიხედვით სრულიადაც არ წარმოადგენს უსამართლობას გამყიდველის მიმართ. მაშასადამე, მუშა ფულის მფლობელს, ჩვენი დაშვების თანახმად, დღიურად 6 სამუშაო საათის ღირებულების პროდუქტი უ ჯ დ ე ბ ა, მაგრამ მუშა დღიურად კაპიტალისტს 12 საათის ღირებულების პროდუქტს ა ძ ლ ე ვ ს. განსხვავება ფულის მფლობელის სასარგებლოდ ექვსი საათის გადაუხდელი ზედმეტი შრომაა, გადაუხდელი

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 131. რ ე დ.

ზედმეტი პროდუქტი, რომელშიც ექვსი საათის შრომაა განხორციელებული. ფოკუსი გაკეთდა. ზედმეტი ღირებულება შეიქმნა, ფული კაპიტალად იქცა.

რაკი მარქსმა ამრიგად დაამტკიცა, როგორ წარმოდგება ზედმეტი ღირებულება და როგორ შეიძლება იგი წარმოდგეს საქონლის გაცვლა-გამოცვლის მომწესრიგებელი კანონების ბატონობის დროს, მან გამოააშკარავა წარმოების თანამედროვე კაპიტალისტური წესის მექანიზმი და მასზე დაყრდნობილი მითვისების წესი, გამოააშკარავა კრისტალიზაციის ბირთვი, რომლის ირგვლივ მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილება ჩამოყალიბდა.

მაგრამ კაპიტალის ამ შექმნას ერთი არსებითი წანამძღვარი აქვს: «ფულის კაპიტალად გადასაქცევად ფულის მფლობელმა საქონლის ბაზარზე უნდა პოვოს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ უ შ ა, თავისუფალი ორგვარი მნიშვნელობით, ერთი, იმ მხრივ, რომ იგი, როგორც თავისუფალი პიროვნება, უნდა ფლობდეს თავის სამუშაო ძალას საქონლის სახით, მეორე, იმ მხრივ, რომ მას არ უნდა გააჩნდეს გასაყიდად სხვა საქონელი,— ის ცარიელ-ტარიელი, თავისუფალი უნდა იყოს ყველა თავის სამუშაო ძალის გამოყენებისათვის საჭირო ნივთებისაგან»[1]. მაგრამ ეს ურთიერთობა ფულის ან საქონლის მფლობელებისა ერთ მხარეზე და მხოლოდ საკუთარი სამუშაო ძალის მფლობელებისა მეორე მხარეზე, არც ბუნებრივად შექმნილ ურთიერთობას წარმოადგენს, არც ყველა ისტორიული პერიოდისთვის საერთოდ დამახასიათებელ ურთიერთობას, «ცხადია, ეს ურთიერთობა თვით არის შედეგი წარსული ისტორიული განვითარების, პროდუქტი... საზოგადოებრივი წარმოების მთელი რიგი ძველი ფორმაციების დაღუპვისა»[2]. ეს თავისუფალი მუშა პირველად ისტორიაში მასობრივად XV საუკუნის დამლევსა და XVI საუკუნის დამდეგს გვხვდება, როგორც წარმოების ფეოდალური წესის დაშლის შედეგი. მაგრამ ამით და მსოფლიო ვაჭრობისა და მსოფლიო ბაზრის შექმნით, რაც იმავე ეპოქით თარიღდება, საძირკველი ჩაეყარა ისეთ ვითარებას, რომელშიც არსებული მოძრავი სიმდიდრის მასა თანდათან უფრო და უფრო კაპიტალად უნდა გადაქცეულიყო და წარმოების კაპიტალისტური, ზედმეტი ღირებულების შექმნისკენ მიმართული წესი, თანდათან მხოლოდ თითონ უნდა გაბატონებულიყო.

---

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 129. რ ე დ.
[2] იქვე, გვ. 130. რ ე დ.

აქამდე ჩვენ მარქსის «უცნაურ კონცეფციებს» მივყვებოდით, ამ «ისტორიული და ლოგიკური ფანტასტიკის ნაბუშარს», რომელშიც «ჰქრება გონების უნარი განსხვავებათა დანახვისა და ამასთანავე ცნებათა პატიოსნად გამოყენება». დავუპირდაპიროთ ახლა ამ «თავქარიანობის ნაყოფს» ის «ღრმა ლოგიკური ჭეშმარიტებანი» და ის «საბოლოო და მკაცრი მეცნიერულობა ზედმიწევნით ზუსტი დისციპლინების აზრით», როგორც ამას ბატონი დიურინგი გვთავაზობს.

მაშასადამე, კაპიტალად მარქსს ესმის «არა საყოველთაოდ მიღებული ეკონომიური ცნება, რომლის მიხედვით კაპიტალი არის წარმოებული საწარმოო საშუალება»; პირიქით, მარქსი ამბობს, რომ ღირებულებათა გარკვეული ჯამი მხოლოდ მაშინ იქცევა კაპიტალად, როცა მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ზ რ დ ა ხ დ ე ბ ა, როცა იგი ზედმეტ ღირებულებას ჰქმნისო. და რას ამბობს ბატონი დიურინგი? «კაპიტალი არის ეკონომიური ძლიერების დედაბოძი წარმოების შემდგომ გასაგრძელებლად და წ ი ლ ი ს შ ე ს ა ქ მ ნ ე ლ ა დ ს ა ე რ თ ო ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს ნ ა ყ ო ფ შ ი». რარიგ მისნურად და უბირადაც არ უნდა იყოს ეს გამოთქმული, ერთი რამ მაინც უცილობელია: ეკონომიური ძლიერების დედაბოძმა შეიძლება წარმოება უკუნითი უკუნისამდე გააგრძელოს, ის მაინც, ბატონი დიურინგის საკუთარი სიტყვების მიხედვით, კაპიტალი არ გახდება, სანამ არ შექმნის «წილს საერთო სამუშაო ძალის ნაყოფში», ე. ი. ზედმეტ ღირებულებას ან, ყოველ შემთხვევაში, ზედმეტ პროდუქტს. მაშასადამე, ბატონი დიურინგი არა მარტო თვით სჩადის იმ ცოდვას, რომელსაც მარქსს უსაყვედურებს, კაპიტალის საყოველთაოდ მიღებულ ეკონომიურ ცნებას უგულებელჰყოფსო, არამედ, ამას გარდა, სჩადის მაღალფარდოვანი ფრაზებით «ცუდად დაფარულ» უხეშ პლაგიატსაც მარქსიდან.

262 გვერდზე ეს აზრი დაწვრილებით არის განვითარებული: «საქმე ისაა, რომ კაპიტალი სოციალური გაგებით» (ხოლო კაპიტალი არასოციალური გაგებით ბატონმა დიურინგმა ჯერ კიდევ უნდა აღმოაჩინოს) «სპეციფიკურად განსხვავდება წმინდა საწარმოო საშუალებებისაგან, იმიტომ რომ მაშინ, როცა ამ უკანასკნელს მხოლოდ ტექნიკური ხასიათი აქვს და ყოველ გარემოებაში საჭიროა, პირველი ხასიათდება მითვისებისა და წილის შექმნის საზოგადოებრივი ძალით. მაგრამ სოციალური კაპიტალი, უმეტესწილად, მხოლოდ ტექნიკურ საწარმოო საშუალებას წარმოადგენს მ ი ს ს ო ც ი ა ლ უ რ ფ უ ნ ქ ც ი ა შ ი; მაგრამ სწორედ ეს ფუნქციაა,

რომელიც... უნდა გაჰქრეს». თუ გავიხსენებთ, რომ პირველად სწორედ მარქსმა აღნიშნა ხაზგასმით ის «სოციალური ფუნქცია», რომლის შემწეობით ღირებულების რაღაც ჯამი კაპიტალად იქცევა, «საგნის ყოველი დაკვირვებული მეთვალყურესათვის ჩქარა უნდა გამოირკვეს, რომ მარქსის მიერ კაპიტალის ცნების დახასიათებამ მხოლოდ არევ-დარევა უნდა გამოიწვიოს», — მაგრამ არა ზუსტ მოძღვრებაში სახალხო მეურნეობის შესახებ, როგორც ბატონ დიურინგს ჰგონია, არამედ, როგორც ამას თვალნათლივ გვიჩვენებს მოცემული შემთხვევა, მხოლოდ და მხოლოდ თვით ბატონი დიურინგის თავში, რომელმაც «კრიტიკულ ისტორიაში» უკვე დაივიწყა, რა ძლიერ სარგებლობდა კაპიტალის ზემოაღნიშნული ცნებით თავის «კურსში».

მაგრამ ბატონი დიურინგი იმით არ კმაყოფილდება, რომ თავისი განსაზღვრა «კაპიტალისა», თუნდაც «გაწმენდილი» ფორმით, მარქსისაგან ისესხა. იგი იძულებულია მარქსს უკან გაჰყვეს აგრეთვე «ცნებათა და ისტორიულ მოვლენათა მეტამორფოზებით თამაშობაში», და ეს მოიმოქმედოს მიუხედავად თავისი საკუთარი უფრო უკეთესი გაგებისა, რომ აქედან არაფერი გამოვა, გარდა «უცნაური კონცეფციებისა», «თავქარიანობისა», «საფუძვლების მერყეობისა» და სხვ.. საიდან წარმოდგება კაპიტალის ეს «სოციალური ფუნქცია», რომელიც მას ნებას აძლევს სხვისი შრომის ნაყოფი მიითვისოს და რომლითაც იგი განსხვავდება მხოლოდ უბრალო საწარმოო საშუალებისაგან? იგი დაყრდნობილიაო, ამბობს ბატონი დიურინგი, «არა საწარმოო საშუალებათა ბუნებასა და არა მათ ტექნიკურ აუცილებლობაზე». მაშასადამე, იგი ისტორიულად წარმოშობილა, და ბატონი დიურინგი 252 გვერდზე მხოლოდ იმას იმეორებს, რაც უკვე ათჯერ მოგვისმენია, როცა იგი კაპიტალის წარმოშობას ხსნის უკვე ძველთაგანვე ნაცნობი ორი მამაკაცის ავანტურით, ერთმა მათგანმა ისტორიის დასაწყისში თავისი საწარმოო საშუალება კაპიტალად აქცია და მეორე ძალმომრეობით დაიმორჩილაო. მაგრამ ბატონი დიურინგი არ კმაყოფილდება იმით, რომ სოციალურ ფუნქციას, რომლის შემწეობითაც ღირებულების რაღაც ჯამი მხოლოდ კაპიტალად იქცევა, ისტორიულ დასაბამს მიაწერს; იგი წინასწარმეტყველებს — მას ისტორიული დასასრულიც ექნებაო. «სწორედ იგი უნდა მოისპოსო». მოვლენას, რომელიც ისტორიულად წარმოიშვა და ისტორიულად კვლავ ჰქრება, ჩვეულებრივად «ისტორიულ ფაზას» უწოდებენ. მაშასადამე, კაპიტალი ისტორიული ფაზაა არა მარტო მარქსის,

არამედ ბატონი დიურინგის მიხედვითაც, და ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ დიურინგი იეზუიტთა წესს მისდევს: თუ ორი ადამიანი ერთსა და იმავეს აკეთებს, ეს კიდევ ერთი და იგივე როდია. როცა მარქსი ამბობს, კაპიტალი ისტორიული ფაზააო, ეს ყოფილა უცნაური კონცეფცია, ისტორიული და ლოგიკური ფანტასტიკის ნაბუშარი, რომელშიც იკარგება განსხვავებათა დანახვის უნარი და ამასთანავე ცნებათა ყოველგვარი პატიოსნად გამოყენება. ხოლო როცა ბატონი დიურინგიც კაპიტალს ისტორიულ ფაზას უწოდებს, ეს თურმე მოწმობს ეკონომიური ანალიზის სიმახვილეს და უღრმეს და უმკაცრეს მეცნიერულობას ზედმიწევნით ზუსტი დისციპლინების აზრით.

რით განსხვავდება დიურინგის წარმოდგენა კაპიტალზე მარქსის წარმოდგენისაგან?

«კაპიტალს ზედმეტი შრომა არ აღმოუჩენია,—ამბობს მარქსი.— ყველგან, სადაც საზოგადოების ერთ ნაწილს საწარმოო საშუალებათა მონოპოლია ეკუთვნის, მუშამ, თავისუფალმა თუ არათავისუფალმა, იმ სამუშაო დროს, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისათვის, უნდა მიუმატოს ზედმეტი სამუშაო დრო, რომ აწარმოოს საარსებო საშუალებანი საწარმოო საშუალებათა მესაკუთრესთვის» [1]. მაშასადამე, ზედმეტი შრომა, შრომა მუშის შესანახად საჭირო დროის ზევით, ამ ზედმეტი შრომის პროდუქტის მითვისება სხვების მიერ, ე. ი. შრომის ექსპლოატაცია საერთოა ყველა დღემდე არსებული საზოგადოებრივი ფორმისთვის, რამდენადაც ეს უკანასკნელნი კლასობრივ წინააღმდეგობებში მოძრაობდნენ. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ამ ზედმეტი შრომის პროდუქტი ზედმეტი ღირებულების ფორმას ღებულობს, როცა საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეს უპირდაპირდება თავისუფალი მუშა, რომელიც თავისუფალია სოციალური ბორკილებისა და საკუთრებისაგან და ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენს, და როცა პირველი მეორეს ყვლეფს საქონელთა წარმოების მიზნით, მხოლოდ მაშინ ღებულობს, მარქსის მიხედვით, საწარმოო საშუალება კაპიტალის სპეციფიკურ ხასიათს. ეს კი დიდი მასშტაბით მოხდა მხოლოდ XV საუკუნის დამლევიდან და XVI საუკუნის დამდეგიდან.

ბატონი დიურინგი კი, პირიქით, კაპიტალად აცხადებს საწარმოო საშუალებათა ყოველ ჯამს, რომელიც «წილს ქმნის საყო-

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 191. რედ.

ველთაო სამუშაო ძალის ნაყოფში», და, მაშასადამე, რომელიც ზედმეტ შრომას ჰქმნის ამა თუ იმ ფორმით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბატონი დიურინგი იჩემებს მარქსის მიერ აღმოჩენილ ზედმეტ შრომას, რათა მისი შემწეობით მისთვის ამ წუთში გამოუსადეგი, მარქსის მიერვე აღმოჩენილი, ზედმეტი ღირებულება მოსპოს. მაშასადამე, ბატონი დიურინგის მიხედვით, განურჩევლად კაპიტალი იქნებოდა არა მარტო იმ კორინთელი და ათენელი მოქალაქეების მოძრავი და უძრავი სიმდიდრე, რომლებიც მონებით აწარმოებდნენ მეურნეობას, არამედ იმპერიის დროის რომაელი მსხვილი მიწათმფლობელებისა და არა ნაკლებ შუა საუკუნეების ფეოდალური ბარონების სიმდიდრეც, რამდენადაც იგი ამა თუ იმ სახით წარმოებას ემსახურებოდა.

მაშასადამე, თვით ბატონ დიურინგს კაპიტალის შესახებ აქვს «არა საყოველთაოდ მიღებული ცნება, რომლის მიხედვით კაპიტალი არის წარმოებული საწარმოო საშუალება», არამედ, პირიქით, სრულიად საწინააღმდეგო ცნება, რომელიც შეიცავს თვით არა წარმოებულ საწარმოო საშუალებებსაც კი, მიწასა და ბუნებრივ დამხმარე წყაროებს. მაგრამ მაინც წარმოდგენა, რომ კაპიტალი უბრალოდ «წარმოებული საწარმოო საშუალებაა», საყოველთაოდ მიღებულია მხოლოდ ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიაში. ამ, ბატონი დიურინგისთვის ესოდენ ძვირფასი, ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის გარეშე, «წარმოებული საწარმოო საშუალება» ანუ ღირებულებათა რაღაც ჯამი საზოგადოდ კაპიტალი ხდება მხოლოდ იმით, რომ მოგებას ანუ სარგებელს იძლევა, ე. ი. ითვისებს გადაუხდელი შრომის ზედმეტ პროდუქტს ზედმეტი ღირებულების ფორმით, და ზედმეტ ღირებულებას სწორედ ამ ორი განსაზღვრული კერძო ფორმის სახით. ამავე დროს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, რომ მთელ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში გაბატონებულია წარმოდგენა, რომ მოგების ან სარგებლის მოცემის თვისება ახასიათებს სრულიად თავისთავად ყოველ ღირებულების ჯამს, რომელიც ნორმალურ პირობებში წარმოებასა ან გაცვლაში გამოიყენებაო. კაპიტალი და მოგება ანუ კაპიტალი და სარგებელი კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში ისევე განუყრელი არიან, ისეთსავე ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან, როგორც მიზეზი და შედეგი, მამა და შვილი, გუშინ და დღეს. მაგრამ სიტყვა «კაპიტალი» თავისი თანამედროვე ეკონომიკური მნიშვნელობით დაახლოებით მხოლოდ იმ დროს ჩნდება, როცა თვით საგანიც გა-

ჩნდა, როცა მოძრავმა სიმდიდრემ თანდათან კაპიტალის ფუნქცია მიიღო, ითვისებდა რა თავისუფალი დაქირავებული მუშების ზედმეტ შრომას, რათა საქონელი ეწარმოებინა; სახელდობრ კი, სიტყვა «კაპიტალი» ხმარებაში შემოიღო კაპიტალისტთა პირველმა ერმა ისტორიაში, სახელდობრ იტალიელებმა XV და XVI საუკუნეში. და თუ მარქსმა პირველად მოახდინა თანამედროვე კაპიტალის დამახასიათებელი მითვისების წესის საფუძვლიანი ანალიზი, თუ მან კაპიტალის ცნება ისტორიულ ფაქტებს შეუთანხმა, რომელთაგანაც იგი საბოლოო ინსტანციაში აბსტრაქციაქმნილი იყო და რომელთაც თავის არსებობას უმადლოდა; თუ მარქსმა ამით ეს ეკონომიკური ცნება გაანთავისუფლა ბუნდოვანი და მეოყევი წარმოდგენებისაგან, რომლებიც მას მიტმასნებული ჰქონდა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაშიც და წინანდელი სოციალისტების აზროვნებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ მარქსი იყო, ვინც ის «უკიდურესი და უმკაცრესი მეცნიერულობა» გამოიყენა, რომელიც მუდამ პირზე აკერია ბატონ დიურინგს, მაგრამ, სამწუხაროდ, არსად ჩანს მის ნაწერებში.

მართლაც, ბატონი დიურინგის ნაწერებში საქმის ვითარება სრულიად სხვანაირადაა. იგი არ კმაყოფილდება იმით, რომ ჯერ გაკიცხა კაპიტალის წარმოდგენა ისტორიულ ფაზად და მას «ისტორიული და ლოგიკური ფანტასტიკის ნაბუშარი» უწოდა, ხოლო შემდეგ თვით მან იგი ისტორიულ ფაზად დასახა. იგი განურჩევლად კაპიტალად აცხადებს ეკონომიური ძლიერების ყ ვ ე ლ ა საშუალებას, ყ ვ ე ლ ა საწარმოო საშუალებას, რომლებიც ითვისებენ «წილს საყოველთაო სამუშაო ძალის ნაყოფში», მაშასადამე, კაპიტალად აცხადებს მიწის საკუთრებასაც ყველა კლასობრივ საზოგადოებაში; მაგრამ ეს მას სულ მცირედაც ხელს არ უშლის შემდეგი გადმოცემის პროცესში მიწის საკუთრება და მიწის რენტა, ტრადიციით დადგენილი წესის მიხედვით, კაპიტალისა და მოგებისაგან გამოჰყოს, და კაპიტალად მხოლოდ ის საწარმოო საშუალებანი დაახასიათოს, რომლებიც მოგებასა და სარგებელს იძლევიან, როგორც ეს შეიძლება დაწვრილებით მისი «კურსის» 116 გვერდზე და შემდეგ წავიკითხოთ. ბატონ დიურინგს ასევე შეეძლო «ლოკომოტივის» სახელწოდებაში ცხენები, ხარები, ვირები და ძაღლებიც ეგულისხმა, იმიტომ რომ მათი შემწეობით ურემეტლის ამოძრავება შეიძლება, — და თანამედროვე ინჟინერებისთვის ესაყვედურა, რომ, რამდენადაც თქვენ ლოკომოტივის სახელწოდებას თანამედროვე ორთქლმავალით ზღუდავთ, მას ის-

ტორიულ ფაზად აქცევთ, უცნაურ კონცეფციებს ადგენთ, ისტორიული და ლოგიკური ფანტასტიკის ნაბუშარს ჰქმნითო და სხვ., ხოლო ბოლოს განეცხადებინა, ცხენები, ვირები, ხარები და ძაღლები გამორიცხული არიან ლოკომოტივის სახელწოდებიდანო და ეს უკანასკნელი მხოლოდ ორთქლმავალს მიუდგებაო.— ამრიგად, ჩვენ კვლავ იძულებული ვართ ვთქვათ, რომ ეს სწორედ კაპიტალის დიურინგისეული ცნების განსაზღვრაა, რომელსაც დაკარგული აქვს ეკონომიური ანალიზის ყოველგვარი სიმახვილე და განსხვავების დანახვის უნარი ცნების პატიოსნად გამოყენებასთან ერთად, და რომ უცნაური და ცარიელი კონცეფციები, არევ-დარევა, თავქარიანობის ნაყოფი, რომელსაც უღრმეს ლოგიკურ ჭეშმარიტებად ასაღებს, საფუძვლების მერყეობა, ყოველივე ეს სწორედ ბატონი დიურინგის ნაწერებში გვხვდება უხვად გაფურჩქნილი.

მაგრამ ყოველივე ეს არაფერს ნიშნავს. ბატონ დიურინგს მაინც ის დამსახურება რჩება, რომ მან აღმოაჩინა ის ღერძი, რომლის გარშემო მოძრაობს მთელი წინანდელი პოლიტიკური ეკონომია, მთელი პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ერთი სიტყვით, მთელი წარსული ისტორია. აი ეს აღმოჩენა:

«ძალმომრეობა და შრომა ორი მთავარი ფაქტორია, რომელიც მონაწილეობას იღებს სოციალური კავშირების შექმნაში».

ამ ერთადერთ დებულებაში მთელი წარსული ეკონომიური სამყაროს კონსტიტუციაა მოცემული. იგი უაღრესად მოკლეა და შემდეგს ამბობს:

მუხლი პირველი: შრომა აწარმოებს.

მუხლი მეორე: ძალმომრეობა ანაწილებს.

«ადამიანურად და გერმანულად რომ ვთქვათ», ამით ამოიწურება ბატონი დიურინგის მთელი ეკონომიკური სიბრძნე.

VIII

კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება

(დასასრული)

«ბატონ მარქსის შეხედულებით შრომის ხელფასი მხოლოდ იმ სამუშაო დროის გადახდას წარმოადგენს, რომლის განმავლობაში მუშა ნამდვილად თავისი საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად მოქმედებს. ამისათვის საკმარისია საათების მცირე რაოდენობა; მთელი დანარჩენი ნაწილი სამუშაო დღისა, რომელიც ხშირად

კარგა ხანს გრძელდება, იძლევა გარდამეტს, რომელშიც მოთავსებულია ჩვენი ავტორის მიერ ეგრეთწოდებული «ზედმეტი ღირებულება», ანუ, ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, კაპიტალის მოგება. იმ სამუშაო დროის გამოკლებით, რომელიც წარმოების ამა თუ იმ საფეხურზე უკვე შრომის საშუალებებსა და შესაფერ ნედლ მასალაშია მოქცეული, სამუშაო დღის ეს გარდამეტი კაპიტალისტი მეწარმის წილს წარმოადგენს. სამუშაო დღის გაგრძელება, ამრიგად,' წმინდა ექსპლოატატორული მოგებაა კაპიტალისტის სასარგებლოდ».

მაშასადამე, ბატონ დიურინგის მიხედვით, მარქსის ზედმეტი ღირებულება იგივეა, რასაც ჩვეულებრივ ენაზე კაპიტალის მოგებას ანუ სარგებელს უწოდებენ. მოვუსმინოთ თვით მარქსს. «კაპიტალის» 195 გვერდზე [1] ზედმეტი ღირებულების ახსნა-განმარტება ხდება ამ სიტყვის შემდეგ ფრჩხილებში მოქცეული სიტყვების შემწეობით: «სარგებელი, მოგება, რენტა». 210 გვერდზე[2] მარქსი მაგალითს იძლევა, რომელშიც 71 შილინგის რაოდენობის ზედმეტი ღირებულების ჯამი განაწილების სხვადასხვა ფორმით გვევლინება: ათისთავი, ადგილობრივი და სახელმწიფო გადასახადი — 21 შილინგი, მიწის რენტა—28 შილინგი, მოიჯარის მოგება და სარგებელი—22 შილინგი, საერთოდ ზედმეტი ღირებულების მთელი ჯამი—71 შილინგი.— 542 გვერდზე[3] მარქსი რიკარდოს მთავარ ნაკლად იმას აცხადებს, რომ იგი «არ იკვლევდა ზედმეტ ღირებულებას როგორც ასეთს, ე. ი. მისი განსაკუთრებული ფორმებისაგან, მაგალითად, მოგების, მიწის რენტის და სხვ. დამოუკიდებლად». და რომ იგი ამიტომ ზედმეტი ღირებულების ნორმის გამსაზღვრელ კანონებს მოგების ნორმის გამსაზღვრელ კანონებში ურევს; ამის წინააღმდეგ მარქსი შენიშნავს: «შემდეგ, ამ ნაწარმოების მესამე წიგნში მე დავამტკიცებ, რომ ზედმეტი ღირებულების ერთი და იგივე ნორმა შეიძლება გამოიხატოს მოგების სრულიად სხვადასხვა ნორმებში, და ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნორმები, განსაზღვრულ პირობებში გამოიხატოს მოგების ერთსა და იმავე ნორმაში». 587 გვერდზე [4] ჩვენ ვკითხულობთ: «კაპიტალისტი, რომელიც ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, ე. ი. უშუალოდ სწოვს მუშებს გადაუხდელ შრომას და საქონელში ათავსებს მას, თუმცა ამ ზედ-

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 165, შენიშვნა. რ ე დ.
[2] იხ. იქვე, გვ. 177. რ ე დ.
[3] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 468. რ ე დ.
[4] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 508—509. რ ე დ.

მეტი ღირებულების პირველი მიმთვისებელია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის მისი საბოლოო მესაკუთრე. მან უნდა გაუყოს შემდეგ იგი კაპიტალისტებს, რომელნიც მთლიანად აღებულ საზოგადოებრივ წარმოებაში სხვა ფუნქციებს ასრულებენ, მიწის მესაკუთრეებს და სხვ. ამნაირად, ზედმეტი ღირებულება სხვადადასხვა ნაწილებად იყოფა. მისი სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა კატეგორიების პირთა ხელში გადადის და სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ფორმებს იღებს, როგორიცაა: მოგება, სარგებელი, სავაჭრო მოგება, მიწის რენტა და ა. შ. ზედმეტი ღირებულების ეს გარდაქმნილი ფორმები შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მესამე წიგნში».— და ასევე ლაპარაკობს მრავალ სხვა ადგილას.

შეუძლებელია აზრის უფრო ნათლად გამოთქმა. ყოველთვის, როცა მარქსს მოხერხებული შემთხვევა ეძლევა, იგი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მისი ზედმეტი ღირებულება არასგზით არ უნდა აგვერიოს მოგებასა ანუ კაპიტალის შემოსავალში, რომ ეს უკანასკნელი უფრო დაქვემდებარებული ფორმაა, ხშირად კი მხოლოდ ნაწილია ზედმეტი ღირებულებისა. თუ ბატონი დიურინგი მაინც ამტკიცებს, მარქსის ზედმეტი ღირებულება «ჩვეულებრივ ენაზე რომ ვთქვათ, კაპიტალის მოგებაა» და თუ უდავოა, რომ მარქსის მთელი წიგნი ზედმეტი ღირებულების გარშემო ტრიალებს, შესაძლებელია მხოლოდ ორი შემთხვევა: ან ბატონ დიურინგს არაფერი ესმის და მაშინ მისი მხრით უმაგალითო უსირცხვილობაა, რომ აგინებს წიგნს, რომლის მთავარ შინაარსს იგი არ იცნობს, ან კიდევ მას ესმის, რაშია საქმე, და ამ შემთხვევაში იგი განზრახ აყალბებს საქმის ვითარებას.

გავყვეთ ქვემოთ: «სრულიად გასაგებია ბატონი მარქსის გესლიანი სიძულვილი, რომლითაც იგი იყენებს ექსპლოატაციური მეურნეობის გაგების ამ წესს. მაგრამ შესაძლებელია კიდევ უფრო ძლიერი გულისწყრომა გამოვთქვათ და კიდევ უფრო სრულიად ვაღიაროთ დაქირავებულ შრომაზე დაფუძნებული მეურნეობის ფორმის ექსპლოატაციური ხასიათი, მაგრამ არ მივიღოთ ის თეორიული მიდგომა, რომელიც გამოიხატება მარქსის მოძღვრებაში ზედმეტი ღირებულების შესახებ».

ამრიგად, მარქსის კეთილგანზრახული, მაგრამ შემცდარი თეორიული მიდგომა მასში გესლიან სიძულვილს იწვევს ექსპლოატაციური მეურნეობისადმი; თავისთავად ზნეობრივი გრძნობა ყალბი «თეორიული მიდგომის» გამო უზნეო გამოხატულებას ღებუ-

ლობს, იგი მეღავნდება არაკეთილშობილ სიძულვილსა და მდაბალ გესლიანობაში, მაშინ როცა ბატონ დიურინგის «უაღრესი და უმკაცრესი მეცნიერულობა» შესაფერი კეთილშობილი ბუნების ზნეობრივ გრძნობაში, გულისწყრომაში იხატება, რომელიც ფორმის მხრივაც ზნეობრივია და ამას გარდა რაოდენობითაც ჭარბობს გესლიან სიძულვილს, როგორც უფრო ძლიერი გულისწყრომა. ვიდრე ბატონი დიურინგი ასე შეტრფის საკუთარ პიროვნებას, ვნახოთ ერთი, საიდან წარმოდგება ეს უფრო ძლიერი გულისწყრომა.

«იბადება სწორედ კითხვა, — ნათქვამია შემდეგ, — როგორ შეუძლიათ მეტოქე მეწარმეებს შრომის მთელი პროდუქტი და ამასთანავე ზედმეტი პროდუქტიც ხანგრძლივად ისეთ ფასებში ჰყიდონ, რომელიც საგრძნობლად ჭარბობს ბუნებრივ საწარმოო ხარჯებს, როგორც ამას გარდამეტი სამუშაო საათების აღნიშნული შეფარდება გვიჩვენებს. ამის პასუხი არ გვხვდება მარქსის მოძღვრებაში, სახელდობრ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ შეუძლებელი იყო თვით ამ საკითხის დასმა. ხასიათი დაქირავებულ შრომაზე დამყარებული წარმოებისა, რომელიც დაქვემდებარებულია ფუფუნების საგნების დამზადებას, სრულიადაც არაა სერიოზულად განხილული, და სოციალური წესწყობილება მისი სისხლის გამომწოვი პოზიციებითურთ თეთრი მონობის საბოლოო მიზეზად არაა აღიარებული. პირიქით, პოლიტიკურ-სოციალური მოვლენები ყოველთვის ეკონომიური მიზეზებით უნდა აიხსნასო».

ზემოთ მოყვანილი ადგილებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ მარქსი სრულიადაც არ ამტკიცებს, თითქოს ზედმეტ პროდუქტს ინდუსტრიული კაპიტალისტი, რომელიც მისი პირველი მიმთვისებელია, ყოველ პირობებში საშუალოდ მისი სრული ღირებულების მიხედვით ყიდდეს, როგორც ამას აქ ბატონი დიურინგი გულისხმობს. მარქსი გარკვევით ამბობს, სავაჭრო მოგებაც ზედმეტი ღირებულების ნაწილს შეადგენსო, ეს კი აღნიშნული წანამძღვარების დროს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ფაბრიკანტი თავის პროდუქტს ვაჭარს მის ღირებულებაზე დაბლა მიჰყიდის და ამით წილს დაუდებს ნადავლში. მაშასადამე, მარქსს არ შეეძლო საკითხის ისე დასმა, როგორც იგი აქაა დასმული. თუ ამ საკითხს რაციონალურად დავსვამთ, იგი შემდეგს ამბობს: როგორ იქცევა ზედმეტი ღირებულება მის ქვეფორმებად: მოგებად, სარგებლად, სავაჭრო მოგებად, მიწის რენტად და ა. შ.. მარქსი აღგვითქვამს,

ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხს მესამე წიგნში გადავწყვეტო[1]. მაგრამ თუ ბატონ დიურინგს არ შეეძლო დაეცადა, სანამ «კაპიტალის» მეორე ტომი[2] გამოქვეყნდებოდა, პირველი ტომი მაინც უნდა გადაეთვალიერებინა უფრო გულმოდგინედ. მაშინ მას. გარდა ზემოთ მოყვანილი ადგილებისა, მაგ., 323 გვ.[3] შეეძლო წაეკითხა, რომ მარქსის მიხედვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონები კაპიტალების გარეგან მოძრაობაში იხატებიან როგორც კონკურენციის იძულებითი კანონები და ინდივიდუალური კაპიტალისტი მათ ამ სახით შეიგნებს როგორც თავისი საქმიანობის მამოძრავებელ მოტივებს; რომ, მაშასადამე, კონკურენციის მეცნიერული ანალიზი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა გაგებულია კაპიტალის შინაგანი ბუნება, ისევე როგორც ციური სხეულების ხილული მოძრაობა მხოლოდ ისეთი ადამიანისთვისაა გასაგები, რომელმაც იცის მათი ნამდვილი მოძრაობა, მაგრამ რაც გრძნობებით არ აითვისება; ამის შემდეგ მარქსი მაგალითით გვიჩვენებს, რომ განსაზღვრული კანონი, ღირებულების კანონი, გარკვეულ შემთხვევაში კონკურენციაში მჟღავნდება და თავის მამოძრავებელ ძალას ამხელს. ბატონ დიურინგს უკვე აქედან შეეძლო დაესკვნა, რომ ზედმეტი ღირებულების განაწილების დროს კონკურენცია მთავარ როლს ასრულებს; მართლაც, ცოტაოდენი დაფიქრებაც კმარა, რათა ადამიანმა პირველ ტომში მოყვანილი შენიშვნებიდან საერთო ხაზებში მაინც გაიგოს ზედმეტი ღირებულების გადაქცევა მის ქვეფორმებად.

მაგრამ ბატონი დიურინგისათვის სწორედ კონკურენცია წარმოადგენს აბსოლუტურ დაბრკოლებას საქმის ვითარების გაგებისათვის. მას ვერ წარმოუდგენია, როგორ შეუძლიათ მეტოქე მეწარმეებს შრომის მთელი ნაწარმოები და მასთან ერთად ზედმეტი პროდუქტი ხანგრძლივად ბუნებრივ საწარმოო ხარჯებზე ძვირად გაასაღონ. ეს კვლავ ბ. დიურინგისათვის ჩვეულებრივი «სიმკაცრით» არის გამოთქმული, რაც ნამდვილად დაუდევრობაა. ზედმეტ პროდუქტს როგორც ასეთს, მ ა რ ქ ს ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, ა რ ა ვ ი თ ა რ ი ს ა წ ა რ მ ო ო ხ ა რ ჯ ე ბ ი ა რ ა ა ქ ვ ს, იგი წარმოადგენს პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც კაპიტალისტს ა რ ა ფ რ ა დ უ ღ ი რ ს.

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 509. რ ე დ.

[2] მარქსის გეგმის მიხედვით, მეორე ტომში უნდა შესულიყო «კაპიტალის» მეორე და მესამე წიგნი. შემდეგში მესამე წიგნი ცალკე ტომად — მესამე ტომად გამოვიდა. რ ე დ.

[3] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 271. რ ე დ.

მაშასადამე, თუ მეტოქე მეწარმეებს სურთ ზედმეტი პროდუქტი მისი ბუნებრივი საწარმოო ხარჯების მიხედვით გაასაღონ, მათ იგი უბრალოდ უნდა გ ა ა ჩ უ ქ ო ნ. მაგრამ ნუ შევჩერდებით ასეთ «მიკროლოგიურ წვრილმანებზე». განა, მართლაც, მეტოქე მეწარმეები შრომის პროდუქტს ყოველდღე ბუნებრივ საწარმოო ხარჯებზე ძვირად არ ასაღებენ? ბატონი დიურინგის მიხედვით ბუნებრივი საწარმოო ხარჯები მდგომარეობს «შრომის ანუ ძალის დახარჯვაში, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ საბოლოო ანგარიშით შეიძლება კვების ხარჯებით გაიზომოს»; მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოებაში ბუნებრივი საწარმოო ხარჯები შედგება ნედლი მასალისა, სამუშაო საშუალებებისა და შრომის ხელფასისთვის ნამდვილად გაღებული ხარჯებისაგან, — «ბეგარის», მოგებისა და მახვილით აღჭურვილი ხელით გამოძალული დამატებისაგან განსხვავებით. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმ საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მეტოქე მეწარმეები თავიანთ საქონელს ასაღებენ ა რ ა მათი ბუნებრივი საწარმოო ხარჯების მიხედვით, არამედ მიითვლიან, ჩვეულებრივ კიდეც ღებულობენ, ეგრეთწოდებულ დამატებას, მოგებას. მაშასადამე, საკითხი, რომლის დასმა ბატონ დიურინგს საკმაოდ მიაჩნია, რათა მისი შემწეობით მარქსის მთელი შენობა ერთი შებერვით დაანგრიოს, ისე როგორც ერთ დროს იესუ ნავინმა იერიქონის კედლები დაანგრია, ეს საკითხი ბატონი დიურინგის ეკონომიური თეორიისთვისაც არსებობს. ვნახოთ, როგორ უპასუხებს იგი მას.

«კაპიტალის საკუთრებას,— ამბობს იგი,— არავითარი პრაქტიკული აზრი არა აქვს და შეუძლებელია მისი გამოყენება, თუ მასში იმავე დროს შეტანილი არაა არაპირდაპირი ძალდატანება ადამიანური მასალის მიმართ. ამ ძალდატანების ნაყოფია კაპიტალის მოგება, ამიტომ ამ უკანასკნელის სიდიდე დამოკიდებულია ამ ბატონობის გამოყენების მოცულობასა და ინტენსივობაზე... კაპიტალის მოგება პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტია, რომელიც უფრო ძლიერ მოქმედებს, ვიდრე კონკურენცია. მეწარმეები ამ მხრივ ისე მოქმედებენ როგორც წოდება, და თვითეული მათგანი თავის პოზიციას ამაგრებს. კაპიტალის მოგების გარკვეული დონე გაბატონებულ სამეურნეო სისტემაში აუცილებლობას წარმოადგენს».

სამწუხაროდ, ჩვენ ახალაც არ ვიცით ჯერ კიდევ, როგორ შეუძლიათ მეტოქე მეწარმეებს შრომის ნაწარმოები ხანგრძლივად ბუნებრივ საწარმოო ხარჯებზე ძვირად გაასაღონ. შეუძლებელია ბატონი

დიურინგი თავის მკითხველ საზოგადოებას ისე დაბლა აფასებდეს რომ იგი ჰკვებოს ფრაზით, კაპიტალის მოგება კონკურენციაზე მაღლა დგას, როგორც ერთ დროს პრუსიის მეფე კანონზე მაღლა იდგაო. ჩვენ ვიცნობთ ოინებს, რომელთა შემწეობით პრუსიის მეფე კანონზე მაღლა დგებოდა; რაც შეეხება იმ ოინებს, რომელთა შემწეობით კაპიტალის მოგება ახერხებს კონკურენციაზე მეტი სიძლიერე გამოიჩინოს, აი სწორედ ეს უნდა აეხსნა ბატონ დიურინგს, მაგრამ იგი ჯიუტად უარს ამბობს ამ ახსნაზე. ისიც არაფერს გვიხსნის, როცა იგი გვეუბნება, მეწარმეები ამ მხრივ ისე მოქმედებენ როგორც წოდება, ხოლო თვითეული პირი თავის პოზიციას ამაგრებსო. ჩვენ ხომ ვალდებული არ ვართ მის სიტყვას დავუჯეროთ, თითქოს საკმაოა რამდენიმე ადამიანმა წოდების სახით იმოქმედოს, რათა თვითეულმა მათგანმა თავისი პოზიცია გაიმაგროსო? ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ამქრის ხელოსნები, ხოლო 1789 წელს ფრანგი თავადაზნაურები მედგრად მოქმედებდნენ როგორც წოდება, მაგრამ მაინც დაიღუპნენ. პრუსიის ჯარიც იენასთან ისე მოქმედებდა როგორც წოდება, მაგრამ თავისი პოზიციების შენარჩუნების მაგიერ, პირიქით, იძულებული გახდა ლტოლვილიყო და შემდეგ ნაწილობრივ მტერსაც დანებებოდა. ასევე ვერც იმის რწმუნება დაგვაკმაყოფილებს, რომ გაბატონებულ სამეურნეო სისტემაში კაპიტალის მოგების განსაზღვრული დონე აუცილებელიაო; იმიტომ რომ საქმე სწორედ ისაა, დავამტკიცოთ, რ ა ტ ო მ ა ა ეს ასე. ერთი ნაბიჯითაც მიზანს არ გვაახლოებს ბატონი დიურინგის შემდეგი განცხადება: «კაპიტალის ბატონობა წარმოიშვა მიწის ბატონობასთან დაკავშირებით. სოფლის ყმა მუშების ერთი ნაწილი ქალაქებში ხელოსან მუშებად და, ბოლოს, ფაბრიკის მასალად იქცა. მიწის რენტის შემდეგ შეიქმნა კაპიტალის მოგება, როგორც მფლობელობის რენტის მეორე ფორმა». თავიც რომ დავანებოთ ამ მტკიცების ისტორიულ უკუღმართობას, იგი მაინც უბრალო მტკიცებად რჩება და იმით კმაყოფილდება, რომ განმეორებით ირწმუნება იმას, რაც სწორედ ასახსნელი და დასამტკიცებელია. მაშასადამე, ჩვენ მხოლოდ იმ დასკვნამდე შეგვიძლია მივიდეთ, რომ ბატონ დიურინგს არ ძალუძს თავისივე საკუთარ კითხვას უპასუხოს: როგორ შეუძლიათ მეტოქე მეწარმეებს შრომის ნაწარმოები ხანგრძლივად ბუნებრივ საწარმოო ხარჯებზე ძვირად გაასაღონო. ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ ძალუძს მოგების წარმოშობა ახსნას. მას ის-ღა დარჩენია, რომ მოკლედ დეკრეტით განაცხადოს: კაპიტალის მოგება ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ი ს ნაყოფიაო, რაც სავსებით

ეთანხმება ბატონი დიურინგის საზოგადოებრივი წესწყობილების მეორე მუხლს: ძალმომრეობა ანაწილებს. ეს, რასაკვირველია, მეტად ლამაზადაა ნათქვამი, მაგრამ ახლა «იბადება საკითხი»: ძალმომრეობა ანაწილებს—რას? რამე ხომ უნდა იყოს გასანაწილებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოვლისშემძლებელი ძალაც ვერაფერს გაანაწილებს თავისი საუკეთესო სურვილების მიუხედავად. მოგება, რომელსაც მეტოქე მეწარმეები იჯიბავენ, მეტად ხელშესახები და მტკიცე რამაა. ძალმომრეობას შეუძლია იგი წ ა ი ღ ო ს, მაგრამ მისი შ ე ქ მ ნ ა არ შეუძლია. და თუ ბატონი დიურინგი ჯიუტად უარს ამბობს აგვიხსნას, რ ო გ ო რ მიაქვს ძალმომრეობას მეწარმის მოგება, იგი სამარისებური დუმილით უპასუხებს კითხვას, ს ა ი დ ა ნ მიაქვს იგი. სადაც არაფერია, იქ იმპერატორიც, ისევე როგორც ყოველი სხვა ძალა, თავის უფლებას ჰკარგავს. არაფრისაგან არაფერი არ შეიქმნება, მით უმეტეს არც მოგება. თუ კაპიტალის საკუთრებას არავითარი პრაქტიკული აზრი არ აქვს და მისი განაღდება შეუძლებელია, რამდენადაც მასში ამავე დროს შეტანილი არაა არაპირდაპირი ძალდატანება ადამიანურ მასალაზე, ხელახლა დგება საკითხი, ერთი, — როგორ მიაღწია კაპიტალის სიმდიდრემ ამ ძალას, საკითხი, რომელიც სრულიადაც გადაჭრილი არაა ზემომოყვანილი ორიოდე ისტორიული მტკიცებით; მეორე, — როგორ იქცევა ეს ძალდატანება კაპიტალის ღირებულების ზრდად, მოგებად, და, მესამე,—საიდან ღებულობს იგი ამ მოგებას.

რომელი მხრიდანაც უნდა მივუდგეთ ბატონი დიურინგის პოლიტიკურ ეკონომიას, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ. ყოველი, თავისთვის არასასიამოვნო მოვლენისთვის, როგორიცაა მოგება, მიწის რენტა, მშიერული ხელფასი, მუშათა დამონება, მას მხოლოდ ე რ თ ი სიტყვა აქვს ასახსნელად: ძალმომრეობა და ერთხელ კიდევ ძალმომრეობა, და ბატონი დიურინგის «უძლიერესი გულისწყრომა» გადადის გულისწყრომაში ამ ძალმომრეობის მიმართ. ჩვენ დავინახეთ, ერთი რომ, ეს დამოწმება ძალმომრეობისა წარმოადგენს უბადრუკ ფანდს, გადასვლას ეკონომიური დარგიდან პოლიტიკურზე, რომელსაც არავითარი ეკონომიური ფაქტის ახსნა არ შეუძლია; მეორე, რომ იგი აუხსნელს ტოვებს თვით ძალმომრეობის წარმოშობას, და ამას განზრახ სჩადის, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ ყოველ საზოგადოებრივ ძალას და ყოველ პოლიტიკურ ხელისუფლებას ფესვები აქვს ეკონომიურ წინაპირობებში, განსაზღვრული საზოგადოების წარმოებისა და გაცვლის ისტორიულად მოცემულ წესში.

მაგრამ შეეეცადოთ, ხომ ვერ შევძლებთ პოლიტიკური ეკონომიის ამ ულმობელ «უღრმეს დამფუძნებელს» კიდევ რამდენიმე განმარტება გამოვტაცოთ მოგების შესახებ. იქნებ ეს მოვახერხოთ, თუ გავეცნობით შრომის ხელფასის გარჩევას მის მიერ. 158 გვერდზე იქ ნათქვამია:

«შრომის ხელფასი ჯამაგირია სამუშაო ძალის სარჩენად და იგი, უწინარეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ როგორც საფუძველი მიწის რენტისა და კაპიტალის მოგებისათვის. რათა სრულიად გამოვარკვიოთ ამ დარგში მოქმედი ურთიერთობანი, მიწის რენტა და შემდეგ კაპიტალის მოგებაც, თავდაპირველად ისტორიულად უნდა წარმოვიდგინოთ შრომის ხელფასის გარეშე, მაშასადამე, მონობისა ან ბატონყმობის საფუძველზე... რაა საჭირო — მონის თუ ყმის, ან კიდევ დაქირავებული მუშის შენახვა, ეს განსხვავებას იწვევს მხოლოდ საწარმოო ხარჯების დარიცხვის წესსა და რიგში. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში სამუშაო ძალის გამოყენებით მიღებული წმინდა პროდუქტი პატრონის შემოსავალს შეადგენს. ამრიგად ცხადია, რომ... სახელდობრ ის მთავარი დაპირისპირება, რომლის შემწეობით ერთ მხარეზე მფლობელური რენტის რომელიმე სახე ჩნდება, ხოლო მეორე მხარეზე ქონებას მოკლებული დაქირავებული შრომა დგას, არ შეიძლება ვეძებოთ ამ ურთიერთობის მხოლოდ ერთ-ერთ წევრში, არამედ ორივეში მხოლოდ ერთდროულად». მფლობელური რენტა კი, როგორც 188 გვერდზე ვგებულობთ, საერთო გამოთქმაა მიწის რენტისა და კაპიტალის მოგებისთვის. შემდეგ 174 გვერდზე ნათქვამია: «კაპიტალის მოგებისათვის დამახასიათებელია სამუშაო ძალის პროდუქტის უმთავრესი ნაწილის მითვისება. შეუძლებელია კაპიტალის მოგების წარმოდგენა, თუ ამავე დროს ამა თუ იმ სახით მისი კორელატი — პირდაპირ ან არაპირდაპირ დამორჩილებული შრომა არ წარმოვიდგინეთ». 183 გვერდზე კი ნათქვამია: შრომის ხელფასი «ყოველ პირობებში სხვა არაფერია, გარდა ჯამაგირისა, რომლის შემწეობით საერთოდ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მუშის რჩენა და მისი მოდგმის გამრავლების შესაძლებლობა». ბოლოს, 195 გვერდზე ვკითხულობთ: «რაც მფლობელურ რენტას ერგება, შრომის ხელფასს უნდა წაერთვას და, პირიქით, რაც საერთო მწარმოებელი უნარიდან (!) შრომას ერგება, მფლობელურ შემოსავალს უნდა დააკლდეს».

ბატონი დიურინგი უფრო და უფრო გვაოცებს. ღირებულების თეორიაში და შემდგომ თავებში კონკურენციის მოძღვრებამდე და

მისი ჩათვლით, მაშასადამე, 1 გვერდიდან 155 გვერდამდე, საქონლის ფასები ანუ ღირებულებანი ნაწილდებოდნენ, ერთი, ბუნებრივ საწარმოო ხარჯებად, ანუ «საწარმოო ღირებულებად», ე. ი. ნედლი მასალის, შრომის საშუალებების და შრომის ხელფასის ხარჯებად და, მეორე, დამატებად ანუ «განაწილებითი ღირებულებად», მახვილით შეიარაღებული ხელის მიერ იძულებულ დაბეგვრად მონოპოლისტების კლასის სასარგებლოდ; ამ დანამატს, როგორც დავინახეთ, სინამდვილეში არაფრის შეცვლა არ შეეძლო სიმდიდრის განაწილებაში, იმიტომ რომ მას ერთი ხელით უნდა დაებრუნებინა ის, რაც მეორეთი მიჰქონდა; გარდა ამისა, რამდენადაც ბატონი დიურინგი მის წარმოშობასა და შინაარსს გვაცნობს, იგი არაფრისგან წარმოდგებოდა და ამიტომ არაფრისგან შედგებოდა. ორ მომდევნო თავში, რომელიც შემოსავლის სხვადასხვა სახეს ეხება, მაშასადამე, 156-დან 217 გვერდამდე, დანამატზე ლაპარაკიც აღარაა. ამის მაგიერ ახლა ყოველი შრომის პროდუქტის, მაშასადამე, ყოველი საქონლის ღირებულება ორ შემდგომ ნაწილად იყოფა: ერთია საწარმოო ხარჯები, რომლებშიც აგრეთვე გადახდილი შრომის ხელფასიც შედის, ხოლო, მეორე, «სამუშაო ძალის გამოყენებით მიღებული წ მ ი ნ დ ა ა მ ო ნ ა გ ე ბ ი, რომელიც პატრონის შემოსავალს წარმოადგენს. და ამ წმინდა ამონაგებს კარგად ნაცნობი ფიზიონომია აქვს, რომელიც არ დაიფარება არავითარი ტატუირებით ან შეფერადების ხელოვნებით. «რათა აქ გაბატონებული ურთიერთობა ნათლად გამოირკვეს», დაე მკითხველმა წარმოიდგინოს, რომ ახლახან მოყვანილი ადგილები ბატონი დიურინგის წიგნში დაბეჭდილია მარქსის წიგნიდან წინათ მოყვანილი ადგილების გვერდით ზედმეტი შრომისა, ზედმეტი პროდუქტისა და ზედმეტი ღირებულების შესახებ, და იგი დაინახავს, რომ ბატონი დიურინგი აქ თავისებურად პ ი რ დ ა პ ი რ გ ა დ მ ო ს წ ე რ ს მარქსის «კაპიტალს».

ზედმეტ შრომას ამა თუ იმ ფორმით, მონობა იქნება ის, ყმური დამოკიდებულება, თუ დაქირავებული შრომა, ბატონი დიურინგი ყველა დღემდე გაბატონებული კლასის შემოსავლის წყაროდ თვლის; ეს ამოღებულია «კაპიტალის» (გვ. 277)[1] მრავალჯერ მოყვანილი ადგილიდან: «კაპიტალს ზედმეტი შრომა არ აღმოუჩენია» და სხვ. — ხოლო «წმინდა ამონაგები», რომელიც «პატრონის შემოსავალს» შეადგენს, რა არის ის, თუ არა შრომის პროდუქტის გარდამეტი შრომის ხელფასზე, რომელმაც ბატონი დიურინგის მიხედვითაც,

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 191. რ ე დ.

თუმცა ეს ხელფასი სრულიად ზედმეტად ჯამაგირის ტანსაცმელში გვევლინება, საერთოდ უნდა უზრუნველყოს მუშის რჩენა და მისი მოდგმის გამრავლების შესაძლებლობა? მართლაც, როგორ შეიძლება «სამუშაო ძალის პროდუქტის უმთავრესი ნაწილის მითვისება მოხდეს», თუ არ იმით, რომ კაპიტალისტი, ისე როგორც მარქსს აქვს წარმოდგენილი, მუშას მეტ შრომას წოვს, ვიდრე მუშის მიერ მოხმარებულ საარსებო საშუალებათა კვლავწარმოებისთვისაა საჭირო, ე. ი. იმით, რომ კაპიტალისტი მუშას მეტს ამუშავებს, ვიდრე საჭიროა, რომ მუშისთვის გადახდილი სამუშაო ქირის ღირებულება ანაზღაურდეს? მაშასადამე, სამუშაო დღის გაგრძელება მუშის საარსებო საშუალებათა კვლავწარმოებისთვის საჭირო დროს იქით, ე. ი. მარქსის ზედმეტი შრომა,— ესაა და სხვა არაფერი, რაც ბატონი დიურინგის «სამუშაო ძალის გამოყენებაში» იმალება; ხოლო რაც შეეხება დიურინგისეული პატრონის «წმინდა ამონაგებს», რაში უნდა გამოისახოს იგი, თუ არა მარქსისეულ ზედმეტ პროდუქტსა და ზედმეტ ღირებულებაში? და სხვა რით განსხვავდება დიურინგისეული მფლობელობის რენტა მარქსის ზედმეტი ღირებულებისაგან, გარდა მისი არაზუსტი გამოთქმისა? სხვამხრივ, ტერმინი «მფლობელობის რენტა» ბატონმა დიურინგმა როდბერტუსისაგან ისესხა, რომელმაც მიწის რენტა და კაპიტალის რენტა ანუ კაპიტალის შემოსავალი უკვე შეაერთა საერთო გამოთქმაში «რ ე ნ ტ ა», ისე რომ ბატონ დიურინგს მხოლოდ სიტყვა «მფლობელობის» მიმატება დასჭირდა[1]. და რათა არავის არავითარი ეჭვი არ დარჩეს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს პლაგიატთან, ბატონი დიურინგი თავისებურად გადმოსცემს მარქსის მიერ «კაპიტალის» მე-15 თავში («კაპიტალი»[2], გვ. 539 და შემდ.) განვითარებულ კანონებს სამუშაო ძალის ფასისა და ზედმეტი ღირებულების სიდიდის თანაფარდობის შესახებ, და ამბობს, რაც მფლობელობის რენტას ერგება, შრომის ხელფასს უნდა დაეკარგოს და, პირიქითო, და ამით მარქსის შინაარსიანი, კონკრეტული კანონები უშინაარსო ტავტოლოგიაზე დაჰყავს; იმიტომ რომ, თავისთავად იგულისხმება, რადგან მოცემული, ორ ნაწილად გა-

[1] არსებითად ეს სიტყვაც კი არ მიუმატებია ბ. დიურინგს. როდბერტუსი ამბობს («Soziale Briefe, 2. Brief, S. 59.) [სოციალური წერილები, 2-ე წერილი, გვ. 59. რ ე დ.]: «რენტა ამ (ე. ი. თვით როდბერტუსის) თეორიით არის ყოველგვარი შემოსავალი, რაც საკუთარი შრომის დაუხარჯავად, მარტოოდენ მფლობელობის ნ ი ა დ ა გ ზ ე მ ი ი ღ ე ბ ა». [ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა]

[2] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 464 და შემდ. რ ე დ.

ყოფილი სიდიდიდან ერთ ნაწილს არ შეუძლია გაიზარდოს, თუ მეორე არ შემცირდა. ამრიგად, ბატონმა დიურინგმა შეძლო იმ სახით მიეთვისებინა მარქსის იდეები, რომ სრულიად იკარგება «ის უაღრესი და უმკაცრესი მეცნიერულობა ზუსტი დისციპლინების გაგებით», რითაც უდავოდ გამოირჩევა მარქსის მსჯელობა.

ამრიგად, ჩვენ იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ საშინელი ღრიანცელი, რომელიც ბატონმა დიურინგმა «კრიტიკულ ისტორიაში» ატეხა «კაპიტალის» შესახებ და განსაკუთრებით ის კორიანტელი, რომელიც ბატონმა დიურინგმა დააყენა ზედმეტი ღირებულების ყბადაღებულ საკითხთან დაკავშირებით, რაც უკეთესი იყო არ დაესვა, რაკი თვითონ მასზე პასუხის გაცემა არ შეუძლია,— ყოველივე ეს მხოლოდ საომარი ოინებია, თვალთმაქცური მანევრები, რათა დაფაროს «კურსში» ჩადენილი ტლანქი პლაგიატი მარქსის თხზულებიდან. ბატონ დიურინგს მართლაც, ყოველგვარი საბუთი ჰქონდა თავისი მკითხველები გაეფრთხილებინა იმ «ხლართისაგან, რომელსაც ბატონი მარქსი «კაპიტალს» უწოდებს», ისტორიული და ლოგიკური ფანტასტიკის ნაბუშარისაგან, ჰეგელის არეულ-დარეული, ბუნდოვანი წარმოდგენებისა და აბრუნდებისაგან და სხვ. ის ვენერა, რომლის მიმართაც ეს ერთგული ეკარტი[1] გერმანელ ახალგაზრდობას აფრთხილებს, თვით მან ჩუმად საკუთრივ მოსახმარად უხიფათო თავშესაფარში გაიტაცა მარქსის სამფლობელოდან. ვულოცავთ ბატონ დიურინგს ამ წმინდა ამონაგების მიღების გამო, რასაც მან მარქსის სამუშაო ძალის გამოყენებით მიაღწია, და აგრეთვე იმასაც, რომ მის მიერ მარქსისეული ზედმეტი ღირებულების მოძღვრების ანექსია, რასაც იგი მფლობელობის რენტის სახელით სჩადის, თავისებურ შუქს ფენს მის ჯიუტ, ორ გამოცემაში განმეორებულ, ყალბ მტკიცებას, თითქოს მარქსს ზედმეტი ღირებულება ესმოდეს მხოლოდ როგორც მოგება ან კაპიტალის სარგებელი.

ამრიგად, ჩვენ ბატონი დიურინგის მიღწევანი ბატონი დიურინგისვე სიტყვებით შემდეგნაირად უნდა დავახასიათოთ: «ბატონი»... დიურინგის «შეხედულებით შრომის ხელფასი მხოლოდ იმ სამუშაო დროის გადახდას წარმოადგენს, რომლის განმავლობაში მუშა ნამდვილად მუშაობს იმისათვის, რომ შესაძლებელი გახადოს საკუთარი არსებობა. ამისთვის საკმაოა საათების მცირე რიცხვი; მთელი დანარჩენი ნაწილი სამუშაო დღისა, რომელიც ხშირად

[1] გერმანული ლეგენდის პერსონაჟი. რ ე დ.

კარგა ხანს გრძელდება, იძლევა გარდამეტს, რომელშიც მოთავსებულია ჩვენი ავტორის მიერ ეგრეთწოდებული» მფლობელობის რენტა... «იმ სამუშაო დროის გამოკლებით, რომელიც წარმოების ამა თუ იმ საფეხურზე უკვე შრომის საშუალებებში და შესაფერ ნედლ მასალაშია მოქცეული, სამუშაო დღის აღნიშნული გარდამეტი კაპიტალისტი მეწარმის წილს წარმოადგენს. სამუშაო დღის გაგრძელება, ამრიგად, წმინდა ექსპლოატატორული გამორჩენაა კაპიტალისტის სასარგებლოდ. სრულიად გასაგებია ის გესლიანი სიძულვილი, რომლითაც ბატონი»... დიურინგი «იყენებს ექსპლოატატორული მეურნეობის გაგების ამ წესს»... პირიქით, ნაკლებ გასაგებია, როგორ სურს ახლა ისევ თავისი «უძლიერესი გულისწყრომა» გამოიჩინოს?

IX

მეურნეობის ბუნებრივი კანონები. მიწის რენტა

აქამდე ჩვენ, საუკეთესო სურვილების მიუხედავად, ვერ შევძელით აღმოგვეჩინა, როგორ შეძლო ბატონმა დიურინგმა, რომ პოლიტიკური ეკონომიის დარგში «გამოსულიყო პრეტენზიით— ახალ, არა მარტო ეპოქის დამაკმაყოფილებელ, არამედ ეპოქისთვის სახელმძღვანელო სისტემას» ექმნიო. მაგრამ რაც ჩვენ ვერ შევამჩნიეთ ძალმომრეობის თეორიაში, ღირებულებისა და კაპიტალის მოძღვრებაში, შეიძლება ნათელი გახდეს ბატონ დიურინგის მიერ წამოყენებული «სახალხო მეურნეობის ბუნებრივი კანონების» განხილვის დროს. იმიტომ რომ, როგორც იგი თავისი ჩვეულებრივი ორიგინალობითა და გონებამახვილობით ამბობს, «უმაღლესი მეცნიერულობის ტრიუმფი იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს უძრავ მდგომარეობაში მყოფი მასალის უბრალო აღწერიდან და განაწილებიდან ცოცხალ, შემოქმედების გამანათებელ შეხედულებებზე გადავიდეთ. ამიტომ ყველაზე სრულქმნილია კანონების შემეცნება; იმიტომ რომ იგი გვიჩვენებს, როგორ არის გაპირობებული მიზეზობრივად ერთი პროცესი მეორის მიერ».

ყოველი მეურნეობის პირველი ბუნებრივი კანონი სპეციალურად ბატონი დიურინგის მიერ ყოფილა აღმოჩენილი. საყურადღებოა, რომ ადამ სმიტს «არა თუ პირველ რიგში არ დაუსვამს ყოველი სამეურნეო განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, არამედ მან არ მოახდინა მისი განსაკუთრებულ ფორმულაში ჩამოყა-

ლიბებაც და, ამრიგად, უნებურად მეორეხარისხოვან როლზე ჩამოიყვანა ის ძალა, რომელმაც თანამედროვე ევროპულ განვითარებას თავის ბეჭედი დააჭდო». ეს «ძირითადი კანონი, რომელიც პირველ რიგში უნდა დაისვას, არის კანონი ადამიანის ბუნებრივად მოცემული სამეურნეო ძალის ტექნიკურად აღჭურვისა, კიდევ მეტი, შეიძლება ითქვას შეიარაღებისა». ბატონი დიურინგის მიერ აღმოჩენილი ეს «ძირითადი კანონი» ამბობს:

კანონი № 1. «სამეურნეო საშუალებების, ბუნებრივი დამხმარე წყაროებისა და ადამიანის ძალის ნაყოფიერება იზრდება აღმოჩენებისა და გამოგონებების შემწეობით».

ჩვენ გაკვირვებული ვართ. ბატონი დიურინგი ისე გვეპყრობა, როგორც მოლიერის ცნობილი ხუმარა ახალგამოცხობილ აზნაურს, რომელსაც იგი ახალ ამბავს აცნობებს, მთელ შენ სიცოცხლეში პროზით ლაპარაკობდი და ეს კი არ იცოდიო. გამოგონებანი და აღმოჩენანი რომ ზოგიერთ შემთხვევაში შრომის მწარმოებლურ ძალას ზრდიან (ბევრ შემთხვევაში კი ეს არ ხდება, რასაც საპატენტო უწყებათა არქივის მასობრივი მაკულატურა ამტკიცებს მთელ მსოფლიოში), — ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით; ხოლო ეს უძველესი ტრივიალობა რომ მთელი პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი კანონი ყოფილა,— ამ აღმოჩენას სავსებით ბატონ დიურინგს უნდა ვუმადლოდეთ. თუ «უმაღლესი მეცნიერულობის ტრიუმფი» როგორც პოლიტიკურ ეკონომიაში, ისე ფილოსოფიაში მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევითს ბანალობას მაღალფარდოვანი სახელი მივცეთ, იგი ბუნებრივ კანონად და თვით ძირითად კანონად გამოვაცხადოთ ბუკითა და ნაღარით, მეცნიერების «უფრო ღრმად დაფუძნება» და გადატრიალება მართლაც ყველასთვის შესაძლებელი გახდება, თვით ბერლინის «Volkszeitung-ის»[1] რედაქციისათვისაც. მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებოდით ბატონ დიურინგის მსჯელობა პლატონზე «მთელი სიმკაცრით» თვით მის მიმართ გამოვიყენოთ: «თუ ამგვარი რამ პოლიტიკურ-ეკონომიური სიბრძნეა», «კრიტიკული ძირითადი საფუძვლების» ავტორი «მას ფლობს ყველასთან ერთად, ვისაც კი რაიმე შემთხვევა ჰქონია რაიმე ეფიქრა» ან რაიმე წამოეროშა «სრულიად თვალსაჩინო რამეზე». თუ, მაგალითად, ჩვენ ვამბობთ: ცხოველები სუნთქავენ, თურმე გულუბრყვილოდ უდიდეს ჭეშმარიტებას გამოვხატავთ; ვინაიდან საკმარისია მხოლოდ ვთქვათ, ჭამა მთელი ცხოველთა

[1] «სახალხო გაზეთი» — ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების ბერლინური გაზეთი. რ ე დ.

სამეფოს ძირითადი კანონიაო და ამით თურმე მთელი ზოოლოგიის გადატრიალებას მოვახდენთ.

კანონი № 2. შრომის დანაწილება: «პროფესიული დარგების გათიშვა და საქმიანობათა დანაწილება ადიდებს შრომის ნაყოფიერებას». რამდენადაც ეს სწორია, ადამ სმიტის შემდეგ ესეც ბანალობად იქცა. ხოლო რამდენადაა ეს სწორი, ამას მესამე განყოფილებაში დავინახავთ.

კანონი № 3. «მანძილი და ტრანსპორტი მთავარი მიზეზებია, რომელთა შემწეობით ფერხდება ან ადვილდება საწარმოო ძალების ერთად მოქმედება».

კანონი № 4. «ინდუსტრიულ სახელმწიფოს შეუდარებლად შეტი მოსახლეობის ტევადობა აქვს, ვიდრე მიწათმოქმედ სახელმწიფოს».

კანონი № 5. «ეკონომიურ სფეროში არაფერი ხდება რაიმე მატერიალური ინტერესის ჩაურევლად».

ესაა «ბუნებრივი კანონები», რომელზედაც ბატონი დიურინგი თავის ახალ პოლიტიკურ ეკონომიას აფუძნებს. იგი ერთგული რჩება თავისი, ფილოსოფიაში უკვე გადმოცემული მეთოდისა. ორიოდე, უიმედო, გაცვეთილი და ყოველდღიური ჭეშმარიტება, ისიც ალმაცერად გადმოცემული, აგრეთვე პოლიტიკურ ეკონომიაშიც წარმოადგენს აქსიომას, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება, ფუნდამენტალურ დებულებას, ბუნებრივ კანონებს. შემდეგ ამ კანონების შინაარსის განვითარების საბაბით, რომელთაც არავითარი შინაარსი არა აქვთ, ბატონი დიურინგი ფართოდ აწარმოებს წყლის ნაყვას სხვადასხვა ეკონომიურ თემებზე, რომელთა სახელები გვხვდება ამ ვითომდა კანონებში, ე. ი. გამოგონებების, შრომის დანაწილების, ტრანსპორტის საშუალებების, მოსახლეობის, ინტერესის, კონკურენციისა და სხვა თემაზე, წყლის ნაყვას, რომლის უბირი ყოველდღიურობა შეზავებულია მხოლოდ მისნური მრავალალმთქმელი მჭევრმეტყველებით, ხოლო აქა-იქ ყალბი შეხედულებით და მედიდური ბრძნული მსჯელობით ყოველგვარ კაზუისტურ წვრილმანებზე. შემდეგ ვხვდებით მიწის რენტას, კაპიტალის მოგებასა და შრომის ხელფასს; რადგან ზემოთ უკვე შევეხეთ მითვისების მხოლოდ ორ უკანასკნელ ფორმას, ახლა დასასრულებლად გვინდა მოკლედ გამოვიკვლიოთ აგრეთვე დიურინგის შეხედულება მიწის რენტაზე.

ჩვენ უყურადღებოდ დავტოვებთ ყველა პუნქტს, სადაც ბატონ დიურინგს მხოლოდ გადმოწერილი აქვს თავისი წინამორბედის — კერის დებულებანი; ჩვენ საქმე არა გვაქვს კერისთან, არც ის გვინ-

და, რომ მიწის რენტის რიკარდოსეული გაგება დავიცვათ კერის დამახინჯებისა და უაზრობისაგან. ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ბატონ დიურინგთან, ეს კი მიწის რენტას განსაზღვრავს როგორც «იმ შემოსავალს, რომელსაც მესაკუთრე, **როგორც ასეთი**, მიწიდან და ადგილ-მამულიდან ღებულობს». ბატონი დიურინგი უბრალოდ იურიდიულ ენაზე თარგმნის მიწის რენტის ეკონომიურ ცნებას, რომელიც მან უნდა ახსნას, ასე რომ ჩვენ აქ ახალს ვერაფერს ვიძენთ. ამიტომ ჩვენმა ულრმესმა დამფუძნებელმა უნდა კეთილი ინებოს და, ავად თუ კარგად, შემდგომი განმარტებანი აწარმოოს. იგი ამა თუ იმ მამულის იჯარით გაცემას მოიჯარეზე ადარებს განსაზღვრული კაპიტალის სესხებას მეწარმისადმი, მაგრამ მალე აღმოაჩენს, რომ ეს შედარება, ზოგიერთი სხვა შედარებისა არ იყოს, მოიკოჭლებს. ვინაიდან, ამბობს ის, «თუ ამ ანალოგიას გავყვებით, მოგება, რომელიც მოიჯარეს რჩება მიწის რენტის გადახდის შემდეგ, უნდა შეესაბამებოდეს კაპიტალის მოგების იმ ნაშთს, რომელიც ამ კაპიტალის შემწეობით მოსაქმე მეწარმეს რჩება პროცენტების გამოკლების შემდეგ. **მაგრამ შეჩვეული არ ვართ** მოიჯარის მოგება მთავარ შემოსავლად ჩავთვალოთ, ხოლო მიწის რენტა ნაშთად... სხვადასხვაობას ამ საკითხის გაგებაში ამტკიცებს ის **ფაქტი**, რომ მიწის რენტის მოძღვრებაში განსაკუთრებით არ აღნიშნავენ ხოლმე თვითონ მესაკუთრის მიერ მეურნეობის წარმოების შემთხვევას, და არავითარ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აძლევენ იმ რაოდენობრივ განსხვავებას, რომელიც იჯარის ფორმით წარმოშობილ რენტასა და თვითშექმნილ რენტას შორის არსებობს. **ყოველ შემთხვევაში არავის საჭიროდ არ მიუჩნევია** თვით მესაკუთრის მიერ წარმოებული მეურნეობიდან წარმოშობილი რენტა აზრით ისე გაენაწილებინა, რომ ერთი შემადგენელი ნაწილი ადგილ-მამულის პროცენტებს წარმოადგენდეს, ხოლო მეორე მეწარმეობის გარდამეტ მოგებას. მოიჯარის მიერ გამოყენებული საკუთარი კაპიტალი რომ უყურადღებოდ დავტოვოთ, მისი სპეციალური **მოგება, როგორც ეტყობა, უმეტესწილად** ერთგვარ შრომის ხელფასად **ითვლება**. მაგრამ ამის შესახებ რაიმეს მტკიცება **საფრთხილო საქმეა**, იმიტომ რომ საკითხი ასე გარკვეულად არც კი დასმულა. ყველგან, სადაც საქმე დიდ მეურნეობებს ეხება, ადვილად ჩანს, რომ შეუსაბამოა სპეციფიკური საიჯარო მოგება შრომის ხელფასად ჩავთვალოთ. სახელდობრ, თვით ეს მოგება დამყარებულია წინააღმდეგობაზე სოფ-

ლის სამუშაო ძალისადმი, რომლის გამოყენებაც მხოლოდ შესაძ-ლებლად ხდის შემოსავალის იმ სახეს. ცხადია, მოიჯარის ხელში რჩება რ ე ნ ტ ი ს ნ ა წ ი ლ ი, რის წყალობითაც შეიკვეცება ს რ უ-ლ ი რ ე ნ ტ ა, რომელიც მიღებული იქნებოდა, თუ მეურნეობას თვით მესაკუთრე გაუძღვებოდა».

მიწის რენტის თეორია პოლიტიკური ეკონომიის სპეციფიკურ-რად ინგლისური ნაწილია, და ეს გასაგებია, იმიტომ რომ მხოლოდ ინგლისში არსებობდა წარმოების ასეთი წესი, რომელშიც რენტა ფაქტიურად გამოეთიშა მოგებასა და სარგებელს. როგორც ცნო-ბილია, ინგლისში მსხვილი მიწთამფლობელობა და მსხვილი მიწათ-მოქმედებაა გაბატონებული. მიწის მესაკუთრეები თავიანთ მა-მულებს იჯარით აძლევენ დიდ, ხშირად ძალიან დიდ ნაკვრებად მოიჯარეებს, რომელთაც საკმაო კაპიტალი გააჩნიათ მათ დასამუ-შავებლად და ჩვენი გლეხებივით თვითონ კი არ მუშაობენ, არა-მედ მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების შრომას იყენებენ რო-გორც ნამდვილ კაპიტალისტ მეწარმეებს შეეფერება. მაშასადა-მე, ჩვენ აქ გვაქვს ბურჟუაზიული საზოგადოების სამი კლასი და თვითეული მათგანის შესაფერი შემოსავალი: მიწის მესაკუთრე, რომელიც მიწის რენტას ღებულობს, კაპიტალისტი თავისი მოგე-ბითა და მუშა თავისი შრომის ხელფასით. არასოდეს არც ერთ ინგლისელ ეკონომისტს თავში აზრად არ მოსვლია, როგორც ეს ბატონ დიურინგს ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა, მოიჯარის მოგება ერთგვარ შრო-მის ხელფასად მიეჩნია; და არც ერთ მათგანს ს ა ფ რ თ ხ ი ლ ო დ არ ჩვენებია მტკიცება, რომ მოიჯარის მოგება არის ის, რაც უცილობე-ლი, თვალსაჩინო და ხელშესახები არისო, სახელდობრ, კაპიტალის მოგებაა. პირდაპირ სასაცილოა აქ იმის განცხადება, თითქოს კით-ხვა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სახელდობრ მოიჯარის მოგება, ასე გარკვეულად სრულიადაც არ დასმულაო. ინგლისში სრულიადაც საჭირო არაა ამ კითხვის დასმა, როგორც კითხვა, ისე პასუხი დიდი ხანია მოცემულია ფაქტებში, და ამის შესახებ ადამ სმიტის დროიდან არავითარი ეჭვი არ არსებობს.

თვითმეურნეობის შემთხვევა, როგორც ბატონი დიურინგი უწო-დებს, ან უკეთ, დამუშავება მოურავის საშუალებით მიწათმფლობე-ლის ანგარიშზე, როგორც ეს ნამდვილად ხდება გერმანიაში უმეტეს-წილად, არაფერს ცვლის საქმის ვითარებაში. თუ მიწათმფლო-ბელი კაპიტალსაც იძლევა და მეურნეობას საკუთარ ანგარიშზე აწარმოებინებს, იგი მიწის რენტის გარდა კაპიტალის მოგებასაც ოჯიბავს, როგორც ეს თავისთავად იგულისხმება წარმოების თანა-

მედროვე წესის არსებობის დროს და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ხოლო თუ ბატონი დიურინგი ამტკიცებს, აქამდე საჭიროდ არ მიაჩნდათ თვითმეურნეობიდან წარმოშობილი რენტა (უნდა ეთქვა შემოსავალიო) დანაწილებული წარმოედგინათო, ეს მართალი არაა და, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მის საკუთარ უმეცრებას ამტკიცებს. მაგალითად:

«შემოსავალს, რომელიც შრომიდან გამომდინარეობს, შრომის ხელფასი ჰქვია; შემოსავალს, რომელსაც ვინმე კაპიტალის გამოყენებიდან ღებულობს, მოგება ჰქვია... შემოსავალს, რომელიც მხოლოდ მიწიდან წარმოდგება, რენტა ეწოდება და მიწათმფლობელს ეკუთვნის... თუ ეს სამი სხვადასხვაგვარი შემოსავალი სხვადასხვა პირს ერგო, მათი გარჩევა ადვილია; ხოლო თუ ისინი ერთსა და იმავე პირს ხვდა, ყოველდღიურ ენაზე მაინც მათ ხშირად აურევენ ერთმანეთში. მიწათმფლობელს, რომელიც თავისი საკუთარი მამულის ნაწილს თ ვ ი თ ა მ უ შ ა ვ ებ ს, დამუშავების ხარჯების გამოკლების შემდეგ, უნდა მიეღო რ ო გ ო რ ც მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ს რ ე ნ ტ ა, ი ს ე მ ო ი ჯ ა რ ი ს მ ო გ ებ ა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივ ენაზე მაინც, ადვილად ხდება, რომ იგი მთელ თავის შემოსავალს ხშირად მოგებას უწოდებს და ამრიგად ერთმანეთში ურევს რენტასა და მოგებას. ჩვენი ჩრდილო-ამერიკელი და ვესტინდიელი პლანტატორების უმრავლესობა ამ მდგომარეობაშია; მრავალი მათგანი ამუშავებს თავის საკუთარ მამულს, და ამიტომ იშვიათად გვსმენია რაიმე პლანტაციის რენტაზე, პირიქით, ხშირად ლაპარაკობენ მის მიერ მოცემულ მოგებაზე... მებაღე, რომელიც თავისი ხელით ამუშავებს თავის საკუთარ ბაღს, ერთსა და იმავე დროს მიწათმფლობელიც არის, მოიჯარეც და მუშაც. ამიტომ მის პროდუქტს მისთვის უნდა გადაეხადა პირველის რენტა, მეორის მოგება და მესამის ხელფასი. მაგრამ ყოველივე ეს, ერთად აღებული, ჩვეულებრივად ითვლება მის შრომით გასამრჯელოდ; ამრიგად, რენტა და მოგება აქ არეულია შრომის ხელფასთან».

ეს ადგილი მოთავსებულია ა დ ა მ ს მ ი ტ ი ს[1] პირველი წიგნის მეექვსე თავში. თვითმეურნეობის შემთხვევა, მაშასადამე, უკვე ასი წლის წინათ იქნა გამოკვლეული, ექვი და ყოყმანი, რომელიც ბატონ დიურინგს აქ ასე აღონებს, სწორედ მისი საკუთარი უმეცრების ნაყოფია.

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს ადამ სმიტის წიგნი «ხალხთა სიმდიდრე». რ ე დ.

ბოლოს იგი სიძნელეს თამამი ხრიკით აღწევს თავს: მოიჯარის მოგება დაყრდნობილია «სოფლის მუშის ძალის» ექსპლოატაციაზე და ამიტომ, ცხადია, «რენტის ნაწილს» წარმოადგენს, რომლითაც ის «სრული რენტა უნდა შემოკლდეს», საკუთრივ მიწათმფლობელის ჯიბეში რომ უნდა ჩავიდესო. ამის წყალობით ჩვენ ორ რამეს ვგებულობთ: ერთი, მოიჯარე «ამოკლებს» მიწათმფლობელის რენტას, ისე რომ ბატონი დიურინგის მიხედვით, მოიჯარე კი არ უხდის, როგორც აქამდე წარმოდგენილი ჰქონდათ, რენტას მიწათმფლობელს, არამედ მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ი უ ხ დ ი ს მ ო ი ჯ ა რ ე ს; ეს მართლაც რომ «ძირიან-ფესვიანად თავისებური შეხედულებაა». მეორე, ჩვენ, ბოლოს, ვგებულობთ, რა აქვს წარმოდგენილი ბატონ დიურინგს მიწის რენტად, სახელდობრ, მთელი ზედმეტი პროდუქტი, რომელიც მიწათმოქმედებაში იქმნება სასოფლო შრომის ექსპლოატაციით. მაგრამ რადგან ეს ზედმეტი პროდუქტი აქამდე პოლიტიკურ ეკონომიაში, ზოგიერთი ვულგარული ეკონომისტის ნაწერის გამოკლებით, მიწის რენტად და კაპიტალის მოგებად ნაწილდება, ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ბატონი დიურინგი მიწის რენტის შესახებაც «არ ემხრობა საყოველთაოდ მიღებულ გაგებას».

მაშასადამე, მიწის რენტა და კაპიტალის მოგება ბატონი დიურინგის მიხედვით მხოლოდ იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ პირველი წარმოიშობა მიწათმოქმედებაში, ხოლო მეორე მრეწველობასა და ვაჭრობაში. ბატონი დიურინგი აუცილებლად მიდის ამ არაკრიტიკულ და არეულ-დარეულ წარმოდგენებამდე. ჩვენ დავინახეთ, რომ იგი გამოვიდა «ქეშმარიტი ისტორიული გაგებიდან», რომლის მიხედვით ბატონობა მიწაზე დაფუძნებულია მხოლოდ ადამიანებზე ბატონობის წყალობით. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, როცა მიწა მუშავდება არათავისუფალი შრომის ამა თუ იმ ფორმის შემწეობით, მემამულისათვის წარმოიშობა გარდამეტი, და ეს გარდამეტი სწორედ რენტაა, ისევე როგორც მრეწველობაში შრომის პროდუქტის გარდამეტი მუშის მიერ წარმოებულ მის შემოსავალს ზევით კაპიტალის მოგებას წარმოადგენს. «ამრიგად, ცხადია, რომ მიწის რენტა ყოველ დროს და ყველგან დიდი ზომით არსებობს იქ, სადაც მიწათმოქმედებას რაიმე სახის არათავისუფალი შრომით აწარმოებენ». რაკი ბატონ დიურინგს რენტა ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს იგი მიწათმოქმედებაში მოპოვებული საერთო ზედმეტი პროდუქტი იყოს, მას, ერთი მხრივ, გზაზე ეღობება ინგლისელი მოიჯარეების მოგება, ხოლო მეორე მხრივ,

აქედან დასესხებული და მთელი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიერ აღიარებული განაწილება ამ ზედმეტი პროდუქტისა ძირითად რენტად და მოიჯარის მოგებად; მაშასადამე, მას წინ ელობება წ მ ი ნ დ ა, ზუსტი გაგება რენტისა. რას შვრება ბატონი დიურინგი? იგი თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ერთი სიტყვაც კი არ გაეგონოს სამიწათმოქმედო ზედმეტი პროდუქტის განაწილებაზე მოიჯარის მოგებად და მიწის რენტად, მაშასადამე, არაფერი გაეგონოს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მთელ რენტის თეორიაზე; თითქოს საერთოდ პოლიტიკურ ეკონომიაში სრულიადაც «ასეთი გარკვეულობით» არ დასმულიყოს საკითხი, რას წარმოადგენს, სახელდობრ, მოიჯარის მოგება; თითქოს საქმე ეხებოდეს სრულიად გამოუკვლეველ საგანს, რომლის შესახებაც არაფერია ცნობილი, გარდა უბრალო მოჩვენებისა და საცილობელ-საყოყმანო რამეებისა. და აი, ბატონი დიურინგი ილტვის ცოდვილი ინგლისიდან, სადაც სამიწათმოქმედო ზ ედმეტი პროდუქტი რომელიმე თეორიული სკოლის დაუხმარებლად შეუბრალებლად ითიშება ორ შემადგენელ ნაწილად: მიწის რენტად და კაპიტალის მოგებად,— ილტვის თავისი საყვარელი პრუსიული საერობო სამართლის მოქმედების სფეროსაკენ, სადაც თვითმეურნეობა სავსებით პატრიარქალურ აყვავებას განიცდის, სადაც «მემამულეს რენტა ესმის როგორც მისი მამულის შემოსავალი» და სადაც ბატონი იუნკრების შეხედულება რენტაზე პრეტენზიითაც კი გამოდის, რომ მეცნიერებაში ხელმძღვანელი როლი უნდა ვითამაშოთ, სადაც, მაშასადამე, ბატონ დიურინგს შეუძლია კიდევ იმედი იქონიოს, როგორმე გამოვძვრები ჩემი არეულ-დარეული შეხედულებით რენტასა და მოგებაზეო; და სადაც ჩემი უახლესი აღმოჩენით იქნებ კიდეც ვინმე დავაჯერო, რომ მიწის რენტას მოიჯარე კი არ უხდის მიწათმფლობელს, არამედ მიწათმფლობელი უხდის მოიჯარესო.

X

«კრიტიკული ისტორიიდან»

დასასრულ, თვალი გადავავლოთ კიდევ «ნაციონალური ეკონომიის კრიტიკულ ისტორიას», ბატონი დიურინგის «ამ წამოწყებას», რომელსაც, როგორც ის ამბობს, «სრულიად არა ჰყავს წინამორბედნი». იქნება აქ მაინც შევხვდეთ, ბოლოს, მრავალჯერ აღთქმულ უღრმეს და მკაცრ მეცნიერულობას.

ბატონი დიურინგი დიდ ხმაურს ტეხს იმ აღმოჩენის გამო, რომ «მოძღვრება მეურნეობაზე» «მეტისმეტად თანამედროვე მოვლენაა» (გვ. 12).

მართლაც, მარქსი «კაპიტალში» ამბობს: «პოლიტიკური ეკონომია... ნამდვილ მეცნიერებად პირველად მანუფაქტურულ ხანაში გახდა»[1], ხოლო თხზულებაში «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», 29 გვერდზე[2] ნათქვამია, რომ «კლასიკური პოლიტიკური ეკონომია... ინგლისში იწყება პეტით, საფრანგეთში ბუაგილბერით, მთავრდება კი ინგლისში რიკარდოთი, საფრანგეთში — სისმონდით». ბატონი დიურინგიც მიჰყვება ამ გაკვალულ გზას, მხოლოდ, მისი აზრით, უ მ ა ღ ლ ე ს ი პოლიტიკური ეკონომია პირველად იწყება უბადრუკი დღენაკლული ქმნილებებით, რომელიც ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ თავისი კლასიკური პერიოდის განვლის შემდეგ წარმოშვა. ამის გამო თავისი შესავლის დასასრულს იგი სრული უფლებით ზეიმობს: «მაგრამ თუ ამ წამოწყებას თავის გარეგნულად შესაგრძნებელ თავისებურებებისა და თავისი შინაარსის ახალ ნახევარში სრულიად არა ჰყავს წინამორბედნი, იგი კიდევ უფრო მეტად მე მეკუთვნის თავისი შინაგანი კრიტიკული თვალსაზრისებით და თავისი საერთო პოზიციით» (გვ.9). მართლაც, მას შეეძლო თავისი «წამოწყება» (ინდუსტრიული გამოთქმა აქ ცუდად არაა შერჩეული) ორივე, ე. ი. გარეგნულისა და შინაგანის მხრივ, გამოეცხადებინა როგორც: «ერთადერთი და მისი საკუთრება».

რადგან პოლიტიკური ეკონომია, როგორც იგი ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდა, არსებითად წარმოადგენს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების პერიოდის ეკონომიკის მეცნიერულ გაგებას, ამ მეცნიერების დებულებები და თეორემები მხოლოდ იმდენად შეიძლება, მაგალითად, ძველი ბერძნული საზოგადოების მწერლების ნაწერებში შეგვხვდეს, რამდენადაც გარკვეული მოვლენები, საქონლის წარმოება, ვაჭრობა, ფული, სარგებლის მომცემი კაპიტალი და სხვ. საერთოა ორივე საზოგადოებისთვის. რამდენადაც ბერძნები შემთხვევით ექსკურსებს აკეთებენ ამ დარგში, ისინი იმავე გენიოსობას და ორიგინალობას იჩენენ, როგორიც ყველა სხვა დარგში გამოიჩინეს. ამიტომ მათი შეხედულებანი ისტორიულად თანამედროვე მეცნიერების თეორიულ გამოსავალ წერტილებს წარმოადგენს. მოვუსმინოთ ახლა მსოფლიო-ისტორიულ ბატონ დიურინგს.

---

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 317. რ ე დ.

[2] იხ. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», 1932 წ., გვ. 75. რ ე დ.

«ამრიგად, რაც შეეხება ანტიკურობის მეურნეობის მეცნიერულ თეორიას, ჩვენ, საკუთრივ რომ ვთქვათ (!), არაფერი გვექნებოდა პოზიტიურად საუწყებელი, ხოლო სავსებით არამეცნიერული შუა საუკუნეები ამისათვის (იმისთვის, რომ ა რ ა ფ ე რ ი აუწყოს!) კიდევ უფრო ნაკლებ იძლევა საბაბს. მაგრამ რადგან ამაო მოჩვენებითი განსწავლულობის გამომფენმა მანერამ... თანამედროვე მეცნიერების წმინდა ხასიათი შებღალა, ცნობისათვის მაინც, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მაგალითის მოყვანა არის საჭირო». და შემდეგ ბატონ დიურინგს მოჰყავს კრიტიკის რამდენიმე მაგალითი, რომელიც მართლაც თავისუფალია თვით «მოჩვენებითი განსწავლულობისაგანაც» კი.

არისტოტელეს დებულება, რომ «ყოველი ქონების გამოყენება ორნაირია, ერთი — ნივთისათვის როგორც ასეთისთვის დამახასიათებელია თვისების მიხედვით, მეორე კი არა, როგორც, მაგალითად, სანდლის გამოყენება ფეხზე ჩასაცმელად და გაცვლისათვის, ორივე სანდლის გამოყენების წესს წარმოადგენს, იმიტომ რომ ისიც, ვინც სანდალს იმაში ცვლის, რაც მას აკლია, ფული იქნება ეს თუ საკვები, სანდალს იყენებს როგორც სანდალს, მაგრამ იყენებს არა მისი ბუნებრივი მოხმარების წესის მიხედვით, იმიტომ რომ იგი სრულიადაც გასაცვლელად არაა დანიშნული»,— ეს დებულება, ბატონი დიურინგის აზრით, გამოთქმულია «არა მარტო ტრივიალურად და სკოლურად», არამედ ვინც ამაში «სახმარი და საცვლელი ღირებულების განსხვავებას» ხედავს, ამას გარდა, «კომიკურ მდგომარეობაში» ვარდება და ივიწყებს, რომ «ყველაზე უახლეს დროში» და «ყველაზე მოწინავე სისტემის ფარგლებში», ე. ი., რასაკვირველია, თვით ბატონ დიურინგის სისტემის ფარგლებში სახმარ და საცვლელ ღირებულებას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო.

«პლატონის ნაწერებშიც სახელმწიფოს შესახებ... შეეცადნენ აღმოეჩინათ... თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე თავი შრომის სახალხო სამეურნეო დანაწილების შესახებ». ეს, ალბათ, ეხება «კაპიტალის» XII თავს, 5, მესამე გამოცემის 369 გვერდს[1], სადაც, პირიქით, დამტკიცებულია, რომ კლასიკური ძველი დროის შეხედულება შრომის დანაწილებაზე «მძაფრად ეწინააღმდეგება» თანამედროვე შეხედულებას.— ბატონი დიურინგი ათვალისწუნების გამოსახატავად მხრებს იჩეჩავს— და მეტი არაფერი — პლატონის მიერ შრომის დანაწილების თავის დროისთვის გენიალურად გადმოცემის გამო; შრომის ეს დანაწილება,

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 317,318 და შემდეგი. რ ე დ.

პლატონის აზრით, ქალაქის (რომელიც ბერძნებისათვის იგივე იყო, რაც სახელმწიფო) ბუნებრივ საძირკველს წარმოადგენდა; ეს იმიტომ, რომ პლატონმა არ მოიხსენა (მაგრამ სამაგიეროდ მოიხსენა ბერძენმა ქსენოფონტმა, ბატონო დიურინგ!) «საზღვარი», «რომელსაც ბაზრის ესა თუ ის მოცულობა ჰქმნის პროფესიების შემდგომი განშტოებისა და სპეციალური ოპერაციების ტექნიკური დანაწილებისთვის... მხოლოდ ამ საზღვრის წარმოდგენაა ისეთი გაგება, რომლითაც შრომის დანაწილების იდეა იქცევა ეკონომიურად ამაღლებულ ჭეშმარიტებად; სხვაფრივ ამ იდეას მეცნიერულიც კი არ შეგვიძლია ვუწოდოთ».

ბატონი დიურინგის მიერ ესოდენ ათვალისწუნებულმა «პროფესორმა» როშერმა მართლაც გაიყვანა ეს «საზღვარი», რომლის წყალობით შრომის დანაწილების იდეა პირველად უნდა გახდეს «მეცნიერული», და ამიტომ ადამ სმიტი გარკვევით შრომის დანაწილების კანონის აღმომჩენელი გახადა. საზოგადოებაში, სადაც საქონლის წარმოება წარმოების გაბატონებული წესია, «ბაზარი», ბატონი დიურინგის მანერაზე რომ ვილაპარაკოთ, კარგად ცნობილ «საზღვარს» წარმოადგენდა «საქმის ადამიანებს» შორის. მაგრამ ცოტა მეტია საჭირო, ვიდრე «ცოდნა და ინსტინქტი რუტინისა», რათა დავინახოთ, რომ ბაზარს კი არ შეუქმნია შრომის კაპიტალისტური დანაწილება, არამედ, პირიქით, წინანდელ საზოგადოებრივ კავშირ-ურთიერთობათა დაშლამ და მისგან გამომდინარე შრომის დანაწილებამ შეჰქმნა ბაზარი (იხ. «კაპიტალი», I, თავი XXIV, 5: შინაური ბაზრის შექმნა სამრეწველო კაპიტალისთვის) [1].

«ფულის როლი ყოველ ეპოქაში სამეურნეო (!) აზრის პირველი და მთავარი სტიმული იყო. მაგრამ რა იცოდა ვინმე არისტოტელემ ამ როლის შესახებ? ცხადია, არაფერი, გარდა იმისა, რაც იმ წარმოდგენის ფარგლებში იყო, რომ ფულის შემწეობით წარმოებული გაცვლა მოჰყვა თავდაპირველ ბუნებრივ გაცვლას».

მაგრამ თუ «ვინმე» არისტოტელე თავის თავს ნებას აძლევს აღმოაჩინოს ფულის მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ორი განსხვავებული ფ ო რ მ ა: ერთი, რომელშიც იგი მიმოქცევის უბრალო საშუალებაა, მეორე, რომელშიც იგი ფულადი კაპიტალის სახით მოქმედებსო, ამით იგი, ბატონი დიურინგის მიხედვით, «მხოლოდ მორალურ ანტიპატიას გამოხატავს». ხოლო თუ «ვინმე» არისტოტელე იმდენად კადნიერ-

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 687 და შემდეგი. რ ე დ.

დება, რომ ანალიზს უკეთებს ფულის «როლს» როგორც ღირებულების საზომს და მართლაც ამ ფულის მოძღვრებისთვის ესოდენ გადამწყვეტ პრობლემას სწორად აყენებს, «ვინმე» დიურინგი, რა თქმა უნდა, საფუძვლიანი იდუმალი მოსაზრებების გამო, ამჯობინებს კრინტიც არ დაძრას ამ დაუშვებელ კადნიერებაზე.

საბოლოო შედეგი: ძველ ბერძნულ ანტიკურობას იმ ასახვით, რომელიც მან მიიღო დიურინგისეული «ცნობად მიღების» სარკეში, მართლაც «მხოლოდ სრულიად ჩვეულებრივი იდეები» ჰქონდა (გვ. 25), თუ ამგვარ «აბდაუბდას» (გვ. 29) საზოგადოდ რაიმე საერთო აქვს იდეებთან, ჩვეულებრივი იქნება ისინი, თუ არაჩვეულებრივი.

ბატონ დიურინგის წიგნის თავი მერკანტილიზმის შესახებ უკეთესია «ორიგინალში» წავიკითხოთ, ე. ი. ფ. ლისტის «ნაციონალურ სისტემაში», თავი 29: «სამრეწველო სისტემა, სკოლის მიერ ყალბად მერკანტილურ სისტემად წოდებული». როგორ გულმოდგინედ ცდილობს აქაც ბატონი დიურინგი თავიდან აიცილოს «განსწავლულობის ყოველი მოჩვენება», სხვათა შორის, შემდეგიდან ჩანს:

ლისტი, 28 თავში, «იტალიელი პოლიტიკური ეკონომისტები», ამბობს: «როგორც პოლიტიკური ეკონომიის პრაქტიკასა, ისე თეორიაში ყველა თანამედროვე ერს წინ იტალია მიუძღვებოდა» და შემდეგ იგი იხსენებს როგორც «პირველ, იტალიაში დაწერილ, ნაწარმოებს უმთავრესად პოლიტიკურ ეკონომიაზე, ნეაპოლელი ანტონიო სერას თხზულებას ღონისძიებათა შესახებ, რათა სამეფოებმა ზედმეტი ოქრო და ვერცხლი მოიპოვონ (1613)». ბატონი დიურინგი ამას მინდობილად ღებულობს და ამისდა მიხედვით შეუძლია სერას «Breve trattato»[1] განიხილოს «როგორც ერთგვარი წარწერა პოლიტიკური ეკონომიის უახლესი წინაისტორიის შესავალზე». ფაქტიურად მის მიერ «Breve trattato»-ს განხილვა ამ «ბელეტრისტული ლაყბობით» ისაზღვრება. მაგრამ საუბედუროდ სინამდვილეში საქმე სხვანაირად იყო, და 1609 წელს, ე. ი. ოთხი წლით ადრე «Breve trattato»-ს დაბეჭდვამდე გამოქვეყნდა ტომას მენის

[1] «Breve trattato delle cause che possono far abbondare li regni d'oro et d'argento, dove non sono miniere»—«მოკლე ტრაქტატი იმ მიზეზთა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ოქროს და ვერცხლის სიუხვე მთამადნეულის მაღაროების არმქონე სახელმწიფოებში». რ ე დ.

«A Discourse of Trade etc»[1]. ამ თხზულების პირველივე გამოცემის სპეციფიკური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მიმართული იყო თავდაპირველი მონეტარული სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ ინგლისში ჯერ კიდევ იცავდნენ როგორც სახელმწიფოებრივ პრაქტიკას, მაშასადამე, წარმოადგენდა მერკანტილური სისტემის შეგნებულ თვითგამჯვნას მისი წარმომშობი სისტემისაგან. უკვე თავის პირველ ფორმაში მენის თხზულება მრავალჯერ გამოიცა და მან პირდაპირი გავლენა მოახდინა კანონმდებლობაზე. ავტორის მიერ სავსებით გადამუშავებული და მისი სიკვდილის შემდეგ გამოსული გამოცემა (1664 წ.). «England's Treasure etc.»[2] მთელი მომდევნო საუკუნის განმავლობაში მერკანტილისტურ სახარებად დარჩა. თუ მერკანტილიზმს რამე ეპოქის შემქმნელი თხზულება გააჩნია, «როგორც ერთგვარი წარწერა შესავალზე», ასეთად მენის ეს წიგნი უნდა ჩაითვალოს, მაგრამ სწორედ ამიტომ იგი სრულიად არ არსებობს ბატონი დიურინგის «ისტორიისთვის, რომელიც მეტად გულმოდგინედ იცავს რანგებს».

თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის დამფუძნებელის, პეტის შესახებ ბატონი დიურინგი გვაუწყებს, რომ მას «საკმაოდ ზერელე აზროვნება» ჰქონდაო, შემდეგ «ახასიათებდა ცნებების შინაგანი და უფრო ფაქიზი გარჩევის უნარის უქონლობა»... «მრავალმხრივობა, რომელმაც ბევრი იცის, მაგრამ ერთი საგნიდან ადვილად გადადის მეორეზე, ისე რომ არსად რაიმე აზრში ღრმად ფესვებს არ იდგამს»... იგი «სახალხო მეურნეობის შესახებ ჯერ კიდევ ძალიან ტლანქად მსჯელობს» და «აღწევს გულუბრყვილო დასკვნებს, რომელთა კონტრასტიც ზოგჯერ გაართობდა კიდევაც უფრო სერიოზულ მოაზროვნეს». მაშ რა დაუფასებელი თავმდაბლობაა, როცა «უფრო სერიოზული მოაზროვნე» ბატონი დიურინგი საზოგადოდ ცნობად მიღების ღირსად ხდის «ვიღაც პეტის»! მაგრამ როგორ იღებს ცნობად?

პეტის დებულებანი «შრომისა და თვით სამუშაო დროის როგორც ღირებულების საზომის შესახებ, რის შესახებაც მას მხოლოდ არასრული გაურკვეველი ნიშნები მოეპოვება», არსად, გარდა ამ ფრაზისა, არაა მოხსენებული. არასრული გაურ-

[1] A Discourse o Trade from England into the East-Indies» — «მსჯელობა ინგლისის ვაჭრობაზე ოსტ-ინდოეთთან». რ ედ.

[2] England's Treasure by Foreign Trade» — «ინგლისის სიმდიდრე, შექმნილი საგარეო ვაჭრობის მიერ». რ ედ.

კვეველი ნიშნები! თავის «Treatise on Taxes and Contributions»[1] (პირველი გამოცემა, 1662 წ.) პეტი სრულიად ნათელ და სწორ ანალიზს უკეთებს საქონლის ღირებულების სიდიდეს. იგი მას, უწინარეს ყოვლისა, თვალსაჩინოდ ხდის იმ ძვირფასი ლითონების და ხორბლის თანასწორი ღირებულების მაგალითით, რომლებიც იმდენივე შრომა ღირს, და პირველსა და უკანასკნელ «თეორიულ» სიტყვას ამბობს ძვირფასი ლითონების ღირებულებაზე. მაგრამ იგი გარკვეულად და ზოგადად გამოთქვამს, საქონლის ღირებულებანი თ ა ნ ა ს წ ო რ ი შ რ ო მ ი თ (equal labor) იზომებიანო. იგი თავის აღმოჩენას სხვადასხვა, ნაწილობრივ მეტად რთული პრობლემების გადასაწყვეტად იყენებს, და ალაგ-ალაგ სხვადასხვა შემთხვევის გამო და სხვადასხვა ნაწერებში, იქაც კი, სადაც მთავარი დებულება არაა განმეორებული, მნიშვნელოვან დასკვნებს აკეთებს მისგან. მაგრამ იგი თავის პირველსავე თხზულებაში ამბობს:

«მე ვამტკიცებ, ეს (თანასწორი შრომით დაფასება) ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა გ ა თ ა ნ ა ს წ ო რ ე ბ ი ს და ა წ ო ნ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს წარმოადგენს; მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ ზედნაშენსა და მის პრაქტიკულ გამოყენებაში ბევრი რამაა რთული, მრავალფეროვანი და დახლართული». მაშასადამე, პეტის ისევე კარგად ესმის თავისი აღმოჩენის მნიშვნელობა, როგორც მისი დეტალურად გამოყენების სიძნელე. ამიტომ სხვა გზასაც სცდის ზოგიერთი კერძო მიზნის მისაღწევად. სახელდობრ, აღმოჩენილ უნდა იქნეს თანასწორობის ბუნებრივი დამოკიდებულება (a natural Par) მიწასა და შრომას შორის, ისე რომ ღირებულება სურვილის მიხედვით «ერთ-ერთ მათგანში» უნდა გამოვხატოთ «ან უკეთ ორივეში ერთად». თვით მისი შემცდარი გზაც კი გენიოსურია.

ბატონი დიურინგი პეტის ღირებულების თეორიას შემდეგ გონებამახვილ შენიშვნას უკეთებს: «მას რომ ეს უფრო ღრმად განეაზრებინა, შეუძლებელი იქნებოდა, რომ სხვა ადგილებზე საწინააღმდეგო კონცეფციის ნიშნები აღმოჩენილიყო, რომლებიც ზემოთ უკვე მოვიხსენეთ», ე. ი. რის შესახებაც «ზემოთ» არაფერი მოხსენებულა, გარდა იმისა, რომ «ნიშნები არასრული, გაურკვეველიაო». ეს ბატონი დიურინგის მეტად დამახასიათებელი მანერაა, რომ ჯერ რამეს ნართაულად ანიშნებს უშინაარსო ფრაზით, რათა «შემდეგ» მკითხველი დააჯეროს, «წინათ» უკვე მიიღე ცნობა საქმის ვითა-

[1] «ტრაქტატი გადასახადებისა და ხარკების შესახებ». რ ე დ.

რებაზეო, რომელსაც ჩვენი ავტორი ფაქტიურად წინათაც და შემდეგაც გვერდს უვლის.

და აი ადამ სმიტის ნაწერებში ჩვენ ვხვდებით არა მარტო «საწინააღმდეგო კონცეფციების ნიშნებს» ღირებულების ცნების შესახებ და არა მარტო ორ, არამედ სამ და, სწორად თუ ვიტყვით, ოთხ მძაფრად საწინააღმდეგო შეხედულებას ღირებულების შესახებ, რომლებიც მშვიდობიანად თავსდებიან ერთიმეორის გვერდით და ერთიმეორის ქვეშ. მაგრამ რაც ბუნებრივია პოლიტიკური ეკონომიის დამფუძნებლისთვის, რომელიც ძალაუნებურად ხელების ფათურით იკვლევს გზას, ექსპერიმენტებს ახდენს, იდეათა ახლად გასაფორმებელ ქაოსს ებრძვის, იგი უცნაურად უნდა გვეჩვენოს იმ მწერლის ნაწერებში, რომელმაც საუკუნენახევარზე მეტი ხნის გამოკვლევანი გაცხრილა და შეაჯამა, მას შემდეგ, რაც მათი შედეგები ნაწილობრივ წიგნებიდან უკვე შევიდა საერთო შეგნებაში. ახლა, დიდი ამბებიდან რომ პატარებზე გადავიდეთ: როგორც დავინახეთ, თვით ბატონი დიურინგიც ხუთ სხვადასხვაგვარ ღირებულებას და მასთან ერთად იმდენსავე ურთიერთ საწინააღმდეგო კონცეფციას გვთავაზობს ასარჩევად. მაგრამ, მას რომ «უფრო ღრმად განეაზრებინა», ამდენ ძალ-ღონეს არ დახარჯავდა, რათა მკითხველი პეტისეული ღირებულების სრულიად ნათელი კონცეფციიდან უკიდურეს არევ-დარევაში უკანვე გადაეგდო.

პეტის სრულიად დამთავრებული, თითქოს ერთი ზოდიდან ჩამოსხმული შრომაა მისი «Quantulumcunque concerning Money»[1], გამოქვეყნებული 1682 წელს, ათი წლის შემდეგ მისი «Anatomy of Ireland»-ისა[2] (ეს უკანასკნელი «პირველად» 1672 წელს გამოქვეყნდა და არა 1691 წელს, როგორც ბატონ დიურინგს «გავრცელებული კომპილატური სახელმძღვანელოებიდან» ამოუწერია). მერკანტილისტური შეხედულებების უკანასკნელი ნიშანწყალი, რომელსაც კიდევ ვხვდებით მის სხვა ნაწერებში, აქ სრულიად გამქრალია. ეს ნამდვილი შედევრია როგორც შინაარსისა, ისე ფორმის მხრივ, და ამიტომ თვით სათაურიც კი ერთხელაც არაა მოხსენებული ბატონი დიურინგის მიერ. სრულიად ბუნებრივია, რომ უგენიოსესი და უორიგინალესი ეკონომისტი მკვლევარის მიმართ მედიდური და სკოლის დამრიგებლური ყოყლოჩინობით გაბერილი შუათანა უნიჯო

1 «რამდენიმე სიტყვა ფულების თაობაზე». რ ე დ.

2 «The Political Anatomy of Ireland» — «ირლანდიის პოლიტიკური ანატომია». რ ე დ.

პედანტი მხოლოდ უკმაყოფილოდ ბუზღუნობს, მხოლოდ გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ თეორიული აზრის ნაპერწკლები ერთმანეთზე მიყოლებით არ ცვივა როგორც მზამზარეული «აქსიომები», პირიქით, გაფანტულად წარმოდგებიან «ნედლი» პრაქტიკული მასალის, მაგალითად, გადასახადების ღრმა შესწავლიდან.

ბატონი დიურინგი პეტის მიერ «პოლიტიკური არითმეტიკის», უბრალოდ რომ ვთქვათ, სტატისტიკის დაფუძნებასაც ისევე ეპყრობა, როგორც მის საკუთრივ ეკონომიურ შრომებს. იგი ათვალწუნებით მხრებს იჩეჩავს პეტის მიერ გამოყენებული უცნაური მეთოდების გამო! თუ გავიხსენებთ ახირებულ მეთოდებს, რომელთაც თვით ლავუაზიე იყენებდა ამ დარგში ასი წლის შემდეგ, თუ გავიხსენებთ იმ დიდ მანძილს, რომელიც დღესაც სტატისტიკას თიშავს იმ მიზნიდან, რაც მას პეტიმ დაუსახა დიდრონ ხაზებში, ასეთი თვითკმაყოფილი ყოვლისმცოდნეობა და უკეთმცოდნეობა ორი საუკუნის post festum [1] აშკარა სისულელეს წარმოადგენს.

პეტის უმნიშვნელოვანესი იდეები, რომელთა ნატამალიც არა ჩანს ბატონი დიურინგის «წამოწყებაში», თუ ამ უკანასკნელს დავუჯერებთ, მხოლოდ ანაზდეულ იდეებს, შემთხვევით მოსულ აზრებს და შემთხვევით გამოთქმულ შეხედულებებს წარმოადგენს; მხოლოდ ჩვენს დროში შეიძლება საერთო კავშირიდან გამოთიშული ციტატების შემწეობით ამ აზრებს ისეთი მნიშვნელობა მიეწეროს, რაც მათ თავისთავად არ გააჩნიათ; ამიტომ ისინი თურმე არავითარ როლს არ ასრულებენ პოლიტიკური ეკონომიის ნ ა მ დ ვ ი ლ ისტორიაში, არამედ ასრულებენ მხოლოდ თანამედროვე წიგნებში, რომლებიც ბატონი დიურინგის «საფუძვლიანი» კრიტიკის დონეზე და «მაღალი სტილის ისტორიოგრაფიაზე» დაბლა დგანან. როგორც ეტყობა, თავისი «წამოწყების» დროს ბატონ დიურინგს მხედველობაში ჰყავდა გულუბრყვილო, ბრმად დამჯერი მკითხველების წრე, რომელსაც აზრადაც არ მოუვა მისი დებულებების შემოწმება მოითხოვოს. ჩვენ ამას კიდევ დავუბრუნდებით (ლოკისა და ნორსის გარჩევის დროს), ახლა კი ბუაგილბერსა და ლოუს უნდა შევეხოთ გაკვრით.

რაც შეეხება პირველს, მის მიმართ აღვნიშნავთ მხოლოდ ბატონ დიურინგის ერთადერთ აღმოჩენას. მან აღმოაჩინა ბუაგილბერსა და ლოუს შორის კავშირი, რომელიც წინათ არ შეუმჩნე-

[1] — დაგვიანებით, უკანა რიცხვით. რ ე დ.

ვიათ. სახელდობრ, ბუაგილბერი ამტკიცებს, ძვირფასი ლითონები შეიძლება საკრედიტო ფულმა (un morceau de papier [1]) შეცვალოს ნორმალური ფულის ფუნქციებში, რომელთაც ისინი საქონლის ბრუნვაში [2]) ასრულებენო. ლოუს კი, პირიქით, წარმოუდგენია, ამ «ქაღალდის ნაჭრების» თვითნებური «გამრავლება» ადიდებს ერის სიმდიდრესო. აქედან ბატონი დიურინგი ასკვნის, ბუაგილბერის «აზრთა მსვლელობა უკვე მერკანტილიზმის ახალ შემობრუნებას შეიცავდა», სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლოუს შეხედულებებს შეიცავდაო. ეს შემდეგნაირად მტკიცდება დღესავით ნათლად: «საქმე მ ხ ო ლ ო დ ის იყო, რომ «ქაღალდის უბრალო ნაჭრებისთვის» იგივე როლი მიენიჭებინათ, რომელიც ძვირფას ლითონებს უ ნ დ ა შეესრულებინათ, და ამით მერკანტილიზმის მეტამორფოზა მაშინვე მომხდარიყო». ამავე გზით შეიძლება ხელდახელ ბიძის ძალუად გადაქცევა. მართალია ბატონი დიურინგი დასამშვიდებლად უმატებს: «რასაკვირველია, ბუაგილბერს არ ჰქონია ასეთი განზრახვა». მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, როგორ შეეძლო მას განზრახვა ჰქონოდა, თავისი საკუთარი რაციონალისტური შეხედულება ძვირფასი ლითონების ფულად როლზე იმიტომ შეეცვალნა მერკანტილისტების ცრუმორწმუნეობრივი შეხედულებით, რომ, მისი აზრით, ძვირფასი ლითონები ამ როლში ქაღალდით შეიძლება შეიცვალოსო? — «მაგრამ, — განაგრძობს ბატონი დიურინგი იმავე კომიკური სერიოზულობით, — უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ავტორს აქა-იქ მართლაც მოხერხებული შენიშვნები აქვს» (გვ. 83).

ლოუს შესახებ ბატონი დიურინგი მხოლოდ შემდეგ «მართლაც მარჯვე შენიშვნას» ახერხებს: «გასაგებია, რომ ლოუმაც ვერასოდეს ვერ შეძლო სავსებით ა ღ მ ო ე ფ ხ ვ რ ა უკანასკნელი საფუძველი (სახელდობრ «ძვირფასი ლითონების ბაზისი»), მაგრამ მან ბილეთების გამოშვება უკიდურესობამდე მიიყვანა, ე. ი. მთელი სისტემის დანგრევამდე» (გვ. 94). მაგრამ ნამდვილად ქაღალდის პეპლებს, უბრალო ფულის ნიშნებს, საზოგადოებაში უნდა ეფარფატნათ არა იმისათვის, რომ ძვირფასი ლითონების ბაზისი «აღმოეფხვრათ»,

---

1 ქაღალდის ფარატინმა. რ ე დ.

2 ორიგინალში მოცემულია ტერმინი—«Warenproduktion», რომელიც აქ შეცვლილია ტერმინით «Warenzirkulation» მარქსის ხელნაწერის საფუძველზე «შენიშვნები დიურინგის ნაციონალური ეკონომიის კრიტიკული ისტორიისადმი». რ ე დ.

არამედ იმისათვის, რომ ლითონის ფული საზოგადოების ჯიბეებიდან დაცარიელებულ სახელმწიფო სალაროში მიეზიდათ.

დავუბრუნდეთ ისევ პეტის და იმ უმნიშვნელო როლს, რასაც მას ბატონი დიურინგი ასრულებინებს პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში. მაგრამ ჯერ მოვისმინოთ, რას გვაუწყებს იგი პეტის უახლოეს მემკვიდრეებზე, ლოკსა და ნორსზე. ერთსა და იმავე (1691) წელს გამოქვეყნდა ლოკის «Considerations on Lowering of Interest and Raising of Money» [1] და ნორსის «Discourses upon Trade» [2].

«რასაც იგი (ლოკი) სარგებლის და მონეტის შესახებ წერდა, არ გამოდის იმ მსჯელობათა ჩარჩოებიდან, რომელიც ჩვეულებრივი იყო მერკანტილიზმის ბატონობის დროს სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით» (გვ. 64). — ამ «უწყების» წამკითხველისთვის ახლა დღის სინათლესავით ცხადი უნდა იყოს, რად მოახდინა ლოკის «Lowering of Interest»-მა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი ძლიერი გავლენა პოლიტიკურ ეკონომიაზე საფრანგეთსა და იტალიაში და ისიც სხვადასხვა მიმართულებით.

«სარგებლის განაკვეთის თავისუფლებაზე ბევრ «საქმის კაცს», უფიქრია ასევე (როგორც ლოკს) და აგრეთვე მოვლენათა განვითარებაში ადამიანები შეეჩვივნენ სარგებლის შეზღუდვანი არანამდვილად მიეჩნიათ. იმ დროს, როცა ვინმე დადლი ნორსს თავისუფალი ვაჭრობის მიმართულებით შეეძლო დაეწერა თავისი «Discourses upon Trade», ატმოსფერო ისე იყო შეცვლილი, რომ თეორიული ოპოზიცია სარგებლის შეზღუდვის წინააღმდეგ აღარ წარმოადგენდა რაღაც გაუგონარს» (გვ. 64).

მაშასადამე, ლოკს მხოლოდ ისღა სჭირდებოდა დაფიქრებულიყო, თუ რა აზრები ჰქონდა იმდროინდელ ამა თუ იმ «საქმის კაცს» ან აეთვისებინა ბევრი ისეთი რამ, რაც იმ დროს «ატმოსფეროს ელენთავდა», რათა სარგებლის თავისუფლების შესახებ თეორიული მოსაზრებანი შეედგინა და არაფერი «გაუგონარი» არ ეთქვა! ნამდვილად კი პეტი უკვე 1662 წელს თავის «Treatise on Taxes and Contributions»-ში სარგებელს როგორც ფულის რენტას, რომელსაც ჩვენ ვახშს ვუწოდებთ (rent of money which we

[1] «Some Considerations of the Consequences of the Lowering of Interest and Raising the Value of Money — «რამდენიმე მოსაზრება პროცენტის შემცირებისა და ფულის ღირებულების აწევის შედეგების შესახებ». რ ე დ.

[2] მსჯელობანი ვაჭრობის შესახებ. რ ე დ.

call usury), უპირდაპირებდა ნიადაგისა და ადგილ-მამულის რენტას (rent of land and houses), ხოლო მიწათმფლობელებს, რომ ვ-ლებსაც სურდათ, მართალია, არა მიწის რენტის, არამედ ფულის რენტის კანონმდებლობის გზით შემცირება, ასწავლიდა, ამაო და უნაყოფოა სამოქალაქო პოზიტიური კანონების შედგენა ბუნების კანონის წინააღმდეგო (the vanity and fruitlessness of making civil positive law against the law of nature). ამიტომ თავის «Quantulumcunque»-ში (1682) იგი აცხადებს, კანონის გზით სარგებლის მოწესრიგება ისევე უაზროა, როგორც ძვირფასი ლითონების ექსპორტის მოწესრიგება ან კიდევ სათამასუქო კურსის მოწესრიგებაო. იმავე თხზულებაში იგი ერთხელ და საბოლოოდ გადამწყვეტ აზრებს გამოთქვამს raising of money-ზე [1] (ესაა ცდა, მაგ, 1/2 შილინგისათვის ერთი შილინგის სახელის დარქმევისა, ისე რომ უნცია ვერცხლიდან ორმაგი რაოდენობის შილინგები მოიჭრას).

უკანასკნელ პუნქტში ლოკი და ნორსი თითქმის სიტყვასიტყვით იწერენ მას. რაც შეეხება სარგებელს, ამ საკითხში ლოკი უერთდება პეტის პარალელს ფულის სარგებელსა და მიწის რენტას შორის, მაშინ როცა ნორსი უფრო შორს მიდის და სარგებელს, როგორც კაპიტალის, რენტას (rent of stock), უპირდაპირებს მიწის რენტას, ხოლო კაპიტალისტებს (stocklords) მსხვილ მიწათმფლობელებს (landlords). მაგრამ მაშინ როცა ლოკი პეტის მიერ მოთხოვნილ სარგებლის თავისუფლებას მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში ღებულობს, ნორსი მას აბსოლუტურად იღებს.

ბატონი დიურინგი თავის თავს აჭარბებს, როცა იგი, თვით ჯერ კიდევ გულმოდგინე მერკანტილისტი ამ ცნების «მეტად ზუსტი» გაგებით, დადლი ნორსის «Discourses upon Trade»-ს უსწორდება იმ შენიშვნით, რომ ეს წიგნი «თავისუფალი ვაჭრობის მიმართულებითაა» დაწერილიო. ეს იგივეა, რომ კაცმა ჰარვეიზე თქვას, იგი სისხლის მიმოქცევის «მიმართულებით» წერდაო. ნორსის თხზულება, მის სხვა ღირსებებს რომ თავი დავანებოთ, კლასიკურად, მკაცრი თანმიმდევრობით გადმოსცემს მოძღვრებას როგორც საგარეო, ისე საშინაო თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, და 1691 წელს იგი მართლაც «გაუგონარი რამ» იყო!

---

[1] ფულის ღირებულების აწევა. რ ე დ.

გარდა ამისა, ბატონი დიურინგი გვაუწყებს, ნორსი «სოვდაგარი» და ცუდი ადამიანი იყო და მის ნაწერს «არ შეეძლო მოწონება მოეპოვებინაო». სწორედ ისღა აკლდა, რომ მფარველობითი საბაჟო სისტემის საბოლოო გამარჯვების ხანაში ინგლისში ასეთ თხზულებას «მოწონება» მოეპოვებინა იმ დროს ტონის მიმცემი ვიგინდარების მხრივ! მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ მას დაუყოვნებლივ თეორიული გავლენა მოეხდინა, რაც შეიძლება აღინიშნოს ეკონომიურ ნაწარმოებთა მთელ რიგში, რომელიც ნაწილობრივ უშუალოდ მას მოჰყვა, ხოლო ნაწილობრივ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გამოქვეყნდა ინგლისში.

ლოკი და ნორსი იმის დამტკიცებას იძლევიან, როგორ აითვისეს პეტის პირველი გაბედული ცდები პოლიტიკური ეკონომიის თითქმის ყველა სფეროში მისმა ინგლისელმა მიმდევრებმა ცალკეულად და როგორ მოახდინეს მათი შემდგომი დამუშავება. ამ პროცესის ნიშნები 1691—1752 წლების პერიოდში უკვე იმიტომ ეცემიან თვალში თვით ზერელე მეთვალყურესაც, რომ ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი თხზულება იმ პერიოდისა, დადებითად თუ უარყოფითად, პეტის უკავშირდება. ამიტომ ეს პერიოდი, რომელიც აღსავსეა ორიგინალური მოაზროვნეებით, უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური ეკონომიის თანდათანობითი გენეზისის გამოსაკვლევად. მაგრამ «მაღალი სტილის ისტორიოგრაფია», რომელიც მარქსს მიუტევებელ ცოდვად უთვლის, «კაპიტალში» პეტის და იმ პერიოდის მწერლებს გაზვიადებული მნიშვნელობა მიეცით, მათ უბრალოდ შლის ისტორიიდან. ლოკიდან, ნორსიდან, ბუაგილბერიდან და ლოუდან იგი პირდაპირ გადახტის ფიზიოკრატებისაკენ, და შემდეგ პოლიტიკური ეკონომიის ნამდვილი ტაძრის კარიბჭეში ჩნდება დავიდ იუმი. ბატონი დიურინგის ნებართვით ხელახლა აღვადგენთ ქრონოლოგიურ წესრიგს და იუმს ფიზიოკრატების წინ მოვათავსებთ.

იუმის ეკონომიკური «ცდები» 1752 წელს გამოქვეყნდა. ერთად დაკავშირებულ «ცდებში» «Of Money»[1], «Of the Balance of Trade[2]», «Of Commerce»[3] იუმი ფეხდაფეხ, ხშირად თავის ახირებულობაშიც უკან მისდევს იაკობ ვანდერლინტის «Money answers all things» (London 1734)[4]. ამ ვანდერლინტს, როგორც უნდა უცნობი დარ-

1 «ფულების შესახებ». რ ე დ.

2 «საგაჭრო ბალანსის შესახებ». რ ე დ.

3 «ვაჭრობის შესახებ». რ ე დ.

4 «ფული ყველა ნივთის ტოლმნიშვნელოვანია». (ლონდონი, 1734). რ ე დ.

ჩენილიყო იგი ბატონი დიურინგისთვის, ანგარიშს უწევენ XVIII საუკუნის დამლევის ინგლისურ ეკონომიკურ თხზულებებში, მაშასადამე, სმიტის მომდევნო ეპოქაში.

ვანდერლინტის მსგავსად იუმიც ფულს ღირებულების უბრალო ნიშნად თვლის; იგი თითქმის სიტყვასიტყვით იწერს ვანდერლინტის იმ განმარტებას (და ამას მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ ღირებულების ნიშნის თეორია იუმს შეეძლო მრავალი სხვა ნაწერიდან ამოეღო), თუ რად არ შეიძლება, რომ სავაჭრო ბალანსი მუდამ ერთი ქვეყნის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მოქმედებდესო; ვანდერლინტის მსგავსად იგი გვასწავლის ბალანსების წონასწორობას, რომელიც ბუნებრივად მყარდება, ცალკე ქვეყნების სხვადასხვა ეკონომიური პოზიციების მიხედვით; ვანდერლინტის მსგავსად იგი თავისუფალ ვაჭრობას ქადაგებს, მხოლოდ ნაკლები გაბედულობითა და თანმიმდევრობით; ვანდერლინტთან ერთად, მხოლოდ უფრო ზერელედ, იგი ხაზს უსვამს მოთხოვნილებებს როგორც წარმოების მამოძრავებელ ძალებს; იგი ვანდერლინტს მისდევს, როცა საბანკო ფულებსა და ყველა ოფიციალურ ფასიან ქაღალდებს შეცდომით მიაწერს გავლენას საქონლის ფასებზე; ვანდერლინტთან ერთად იგი უარყოფს საკრედიტო ფულს; ვანდერლინტის მსგავსად იგი საქონლის ფასებს შრომის ფასისაგან, მაშასადამე, შრომის ხელფასისაგან დამოკიდებულს ხდის; იგი სიტყვასიტყვით იწერს ახირებულ დებულებასაც, რომ განძის დაგროვება ამცირებს საქონლის ფასებსო და სხვა და სხვა.

ბატონი დიურინგი უკვე დიდი ხანია მისნური იდუმალებით ბუტბუტებდა ზოგიერთების მიერ იუმისეული ფულის თეორიის გაუგებრობაზე და განსაკუთრებით მუქარით ანიშნებდა მარქსზე, რომელმაც, პოლიციური წესების დარღვევით, «კაპიტალში» აღნიშნა იუმის საიდუმლო კავშირი ვანდერლინტთან და ჯ. მასისთან, რომელზედაც ქვემოთ იქნება კიდევ ლაპარაკი.

ამ გაუგებრობის ამბავი ასეთია. რაც შეეხება იუმისეულ ფულის თეორიას, რომლის მიხედვით ფული მხოლოდ ღირებულების ნიშანია და ამიტომ, სხვამხრივ უცვლელ პირობებში, საქონლის ფასები ზევით იწევს იმდენად, რამდენადაც მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა იზრდება, და ეცემა იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი კლებულობს, ბატონ დიურინგს, საუკეთესო სურვილების მიუხედავად, მართალია, მისთვის დამახასიათებელი დღესავით ნათელი მანერით, შეუძლია მხოლოდ თავისი წინამორბედების

შეცდომები გაიმეოროს. იუმი კი აღნიშნული თეორიის წამოყენების შემდეგ თავის თავსვე უპასუხებს (ასევე მოიქცა მონტესკიეც, რომელიც იმავე წანამძღვრებიდან გამოდიოდა), ხომ «უცილობელია», რომ ამერიკის ოქროს და ვერცხლის სამადნეების აღმოჩენის შემდეგ «მრეწველობა ევროპის ყველა ერში გაიზარდა, გარდა თვით ამ მადნების მფლობელებისა», და რომ ეს ზრდა «გამოწვეული იყო, სხვა მიზეზებთან ერთად, ოქროს და ვერცხლის რაოდენობის გადიდებით». იუმი ამ მოვლენას იმით ხსნის, რომ «მართალია, საქონლის მაღალი ფასები ოქროს და ვერცხლის რაოდენობის მომატების აუცილებელი შედეგია, მაგრამ უშუალოდ როდი მოსდევს ამ მომატებას, არამედ საჭიროა გარკვეული დრო, სანამ ფული მთელ სახელმწიფოს შემოუვლიდეს და თავის გავლენას მოახდენდეს ხალხის ყველა წრეზე». ამ შუალედ პერიოდში იგი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მრეწველობასა და ვაჭრობაზე. ამ მსჯელობის ბოლოს იუმი ამის მიზეზსაც გვიხსნის, თუმცა ბევრად უფრო ცალმხრივად, ვიდრე ზოგიერთი მისი წინამორბედი და თანამედროვე: «ადვილია ფულის წინსვლისთვის თვალყურის დევნება მთელ საზოგადოებაში, მაშინ ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ მან ყოველი კაცის ბეჯითობა უნდა გააცხოველოს, სანამ შრომის ფასს ასწევდეს».

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იუმი აქ აღწერს ძვირფასი ლითონების ღირებულებაში მომხდარი რევოლუციის, სახელდობრ, მათი გაუფასურების გავლენას, ანუ, რაც იგივეა, ძვირფასი ლითონების ღირებულების საზომში მომხდარი რევოლუციის გავლენას. იგი სწორად შენიშნავს, რომ ეს გაუფასურება საქონლის ფასების ნელ-ნელა მიმდინარე გათანასწორების დროს, მხოლოდ საბოლოო ინსტანციაში «სწევს ზევით შრომის ფასს», უბრალოდ რომ ვთქვათ, შრომის ხელფასს; მაშასადამე, იგი მუშების ხარჯზე (რასაც იუმი სრულიად მართებულად თვლის) ადიდებს ვაჭრებისა და მრეწველების მოგებას და ამრიგად «აცხოველებს ბეჯითობას». მაგრამ იუმი სრულიად არ აყენებს ნამდვილ მეცნიერულ საკითხს, მოქმედებს თუ არა და თუ მოქმედებს, როგორ, ძვირფასი ლითონების გაზრდილი შემოზიდვა მათი ღირებულების უცვლელობის პირობებში საქონლის ფასებზე; ამასთანავე «ძვირფასი ლითონების» ყოველ «მომატებას» იგი მათს გაუფასურებაში ურევს. მაშასადამე, იუმი სწორედ ისე მსჯელობს, როგორც ამას მარქსი გვიხატავს («Zur

Kritik», გვ. 141) [1]. გზადაგზა ერთხელ კიდევ შეეეხებით გაკვრით ამ პუნქტს, ახლა კი მივუბრუნდეთ იუმის ცდას «Interest» [2]-ზე.

გარკვეულად ლოკის წინააღმდეგ მიმართული მტკიცება იუმისა, რომ სარგებელი წესრიგდება არა არსებული ფულის მასით, არამედ მოგების ნორმითო, და მისი სხვა მსჯელობანი იმ მიზეზებზე, რომლებიც სარგებლის განაკვეთის აწევ-დაწევას განსაზღვრავენ, ყოველივე ეს უფრო ზედმიწევნით, მაგრამ ნაკლებ გონებამახვილად მოიპოვება ერთ თხზულებაში, რომელიც გამოქვეყნდა ორი წლით ადრე იუმის «ცდების» გამოსვლამდე, სახელდობრ, 1750 წელს: «An Essay on the Governing Causes of the Natural Rate of Interest, wherein the sentiments of Sir W. Petty and Mr. Locke, on that head, are considered» [3]. მისი ავტორია ჯ. მასი, მრავალმხრივი და, როგორც იმდროინდელი ინგლისური ლიტერატურიდან ჩანს, პოპულარული მწერალი. ადამ სმიტის განმარტება სარგებლის განაკვეთის შესახებ უფრო ახლოს დგას მასისთან, ვიდრე იუმთან. არც მასიმ და არც იუმმა არაფერი იციან და ისინი არც არაფერს ამბობენ «მოგების» ბუნების შესახებ, თუმცა «მოგება» ერთგვარ როლს ასრულებს ორივეს ნაწერებში.

«საერთოდ, — ქადაგებს ბატონი დიურინგი, — იუმის დაფასებას უმეტესწილად წინასწარ აკვიატებული აზრით უდგებოდნენ და მას ისეთ იდეებს მიაწერდნენ, რომელთაც იუმი სულ არ იზიარებდა». და ბატონი დიურინგი თვითონ იძლევა ამგვარი «მიდგომის» არა ერთ თვალსაჩინო ნიმუშს.

ასე, მაგალითად, იუმის «ცდა» სარგებლის შესახებ შემდეგი სიტყვებით იწყება: «არაფერი არ ითვლება ამა თუ იმ ხალხის აყვავებული მდგომარეობის უტყუარ ნიშნად, როგორც სარგებლის განაკვეთის დაბალი დონე და სრულიად სამართლიანადაც; თუმცა, მე მგონია, ამის მიზეზი სულ სხვაა, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ». მაშასადამე, პირველ წინადადებაშივე იუმს ის აზრი მოჰყავს, რომ სარგებლის განაკვეთის დაბალი დონე ამა თუ იმ ხალხის აყვავებული მდგომარეობის ყველაზე უტყუარი ნიშანიაო, ამ აზრს განიხილავს რო-

---

1 იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», 1932 წ., გვ. 202—203 და შემდ. რ ე დ.

2 «პროცენტის შესახებ». რ ე დ.

3 «ცდა პროცენტის ბუნებრივი დონის განმსაზღვრელ მიზეზებზე, სადაც განხილულია სერ ვ. პეტის და მისტერ ლოკის შეხედულებანი ამ საგანზე». რ ე დ.

გორც უკვე ტრივიალურ ჭეშმარიტებად ქცეულს მისი დროისათვის. და მართლაც, ამ იდეის განკარგულებაში ჩაილდის შემდეგ ასი წელიწადი იყო, რათა პოპულარული გამხდარიყო. პირიქით, ბატონი დიურინგი ამბობს: «იუმის შეხედულებებიდან სარგებლის განაკვეთის შესახებ უმთავრესად ის იდეა უნდა გამოვყოთ, რომ იგი მდგომარეობათა (როგორის?) ნამდვილი ბარომეტრია, ხოლო მისი დაბალი დონე ამა თუ იმ ხალხის აყვავების თითქმის უტყუარი ნიშანია» (გვ. 130). ვინ არის აქ წინასწარი აზრით შეპყრობილი და შეზღუდული და ვინ ცდება, ასე რომ ლაპარაკობს? სხვა არავინ, თუ არ თვითონ ბატონი დიურინგი.

სხვათა შორის ჩვენი კრიტიკული ისტორიოგრაფის გულუბრყვილო გაოცებას ის გარემოება იწვევს, რომ იუმი ისე გამოთქვამს ზოგიერთ მარჯვე იდეას, რომ «არც კი თვლის თავის თავს მის ავტორად». ბატონ დიურინგს ასეთი რამ არ დაემართებოდა.

ჩვენ დავინახეთ, რომ იუმი ძვირფასი ლითონის მასის ყოველივე გადიდებას ურევს მის იმ გადიდებაში, რომელსაც თან სდევს მისი გაუფასურება, რევოლუცია მის საკუთარ ღირებულებაში, მაშასადამე, საქონელთა ღირებულების საზომში. ეს არევა აუცილებელი იყო იუმის ნაწერებში, იმიტომ რომ მას სულ მცირე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ძვირფასი ლითონების ფუნქციაზე როგორც ღირებულების საზომზე. არც შეიძლებოდა ჰქონოდა, იმიტომ რომ მან აბსოლუტურად არაფერი იცოდა თვითონ ღირებულებაზე. თვით ეს სიტყვა «ღირებულება» მხოლოდ ერთხელ უნდა გვხვდებოდეს მის სტატიებში, სახელდობრ, იქ, სადაც იგი უხეიროდ «ასწორებს» ლოკის შეცდომას, თითქოს ძვირფას ლითონებს «მხოლოდ წარმოსახვითი ღირებულება» ჰქონდეთ, და ამბობს, რომ მათ «უმთავრესად ფიქტიური ღირებულება აქვთო».

აქ იგი ბევრად დაბლა დგას არა მარტო პეტისთან შედარებით, არამედ ზოგიერთ თავის ინგლისელ თანამედროვეზეც. იგი იმავე «ჩამორჩენილობას» იჩენს, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ძველი შეხედულების მიხედვით «სოდაგარს» ხოტბას მიუძღვნის, როგორც წარმოების უპირველეს მამოძრავებელ ძალას, ეს შეხედულება პეტიმ უკვე დიდი ხანია გადალახა. რაც შეეხება ბატონი დიურინგის რწმუნებას, თითქოს იუმი თავის სტატიებში «მთავარ სამეურნეო ურთიერთობებს» ეხებაო, საკმაოა ეს სტატიები შევადაროთ თუნდაც ადამ სმიტის მიერ მოხსენებულ კანტილიონის თხზულებას (რომელიც, ისევე როგორც იუმის «ცდებიც», 1752

წელს გამოქვეყნდა, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ ავტორის სიკვდილის დღიდან), რათა დავინახოთ, რა გასაოცრად ვიწროა იუმის ეკონომიკური ნაშრომების ჩარჩოები. როგორც ვთქვით, იუმი ბატონი დიურინგის მიერ ბოძებული პატენტის მიუხედავად, პოლიტიკური ეკონომიის დარგშიც პატივსაცემი პიროვნებაა, მაგრამ იგი სრულიადაც ორიგინალური მკვლევარი არაა, მით უმეტეს ვერ ჩაითვლება ეპოქის შემქმნელ მოაზროვნედ. მისი ეკონომიკური ნაშრომების გავლენა მისი დროის განათლებულ წრეებზე აიხსნება არა მარტო საუცხოო გადმოცემის მანერით, არამედ კიდევ უფრო იმით, რომ ისინი წარმოადგენენ პროგრესიულ ოპტიმისტურ შექებას იმ დროს აყვავებული ინდუსტრიისა და ვაჭრობისა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ დროს ინგლისში სწრაფად ზეაღმავალი კაპიტალისტური საზოგადოებისა, რომელშიც მას ამიტომ «მოწონება» უნდა მოეპოვებინა. აქ ერთი მითითებაა საკმაო. ყველამ იცის, რა გააფთრებით ებრძოდნენ სწორედ იუმის დროს ინგლისის ხალხის მასები არაპირდაპირი გადასახადების სისტემას, რომელსაც ყბადაღებული რობერტ უოლპოლი გეგმაზომიერად ატარებდა, რათა კერძოდ მიწათმფლობელებისა და საზოგადოდ მდიდრებისათვის შეემსუბუქებინა გადასახადების ტვირთი. ცდაში «გადასახადების შესახებ» («Of Taxes»), სადაც იუმი, სახელის მოუხსენებლად, თავის მუდამ დაუვიწყარ ავტორიტეტს ვანდერლინტს ეკამათება, რომელიც არაპირდაპირი გადასახადების შეურიგებელი მოწინააღმდეგე და მიწის დაბეგვრის მედგარი მომხრე იყო, ნათქვამია: «მართლაც ისინი (მოხმარების საგნებზე დადებული გადასახადები) მეტად მაღალ გადასახადებს უნდა წარმოადგენდნენ, მათი განაწილება მეტად უგუნურად უნდა ხდებოდეს, თუ კი მუშას არ შეუძლია მათი გადახდა, მიუხედავად სიბეჯითისა და მომჭირნეობის გაძლიერებისა, ისე, რომ თავისი შრომის ფასი არ ასწიოს». ადამიანს ეგონება აქ თვით რობერტ უოლპოლის სიტყვები მესმისო, განსაკუთრებით თუ მივუმატებთ იმ ადგილს ცდიდან «სახელმწიფო კრედიტის შესახებ», სადაც სახელმწიფო კრედიტორების დაბეგვრის სიძნელესთან დაკავშირებით ნათქვამია: «მაშინ მათი შემოსავლის შემცირება ვერ დაიფარებოდა მოჩვენებით, თითქოს ეს აქციზის ან ბაჟის უბრალო სტატია იყოს».

როგორც მოსალოდნელი იყო შოტლანდიელისაგან, იუმის აღტაცება ბურჟუაზიული მომხვეჭელობის წინაშე სრულიადაც წმინდა პლატონური არ ყოფილა. თუმცა ღარიბი ოჯახის შვილი იყო,

მაგრამ მისმა წლიურმა შემოსავალმა ათას გირვანქა სტერლინგს მიაღწია, რასაც ბატონი დიურინგი, რადგან აქ საქმე პეტის არ ეხება, გონებამახვილად ასე გამოთქვამს: «საღი კერძო ეკონომიის შემწეობით, მეტად შეზღუდული სახსარის საფუძველზე, მან მიაღწია იმას, რომ არ სჭირდებოდა ვინმეს საამებლად ეწერნა». თუ შემდეგ ბატონი დიურინგი იუმის შესახებ ამბობს: «მას არასოდეს არაფერი დაუთმია პარტიების, თავადების ან უნივერსიტეტების გავლენისათვისო», უნდა ითქვას, რომ, მართალია, ცნობილი არაა, რომ იუმს ოდესმე რომელიმე «ვაგენერთან»[1] ლიტერატურული კომპანიის საქმეები ეკეთებინოს, მაგრამ ცნობილია, რომ იგი დაუღალავი პარტიული მებრძოლი იყო ვიგების ოლიგარქიისა, რომელიც დიდად აფასებდა «ეკლესიასა და სახელმწიფოს»; თავისი დამსახურებისათვის იუმმა ჯერ საელჩოს მდივნის ადგილი მიიღო პარიზში, ხოლო შემდეგ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და შემოსავლიანი ადგილი სახელმწიფოს მდივნის მოადგილისა. «პოლიტიკური მიმართულებით, — ამბობს მოხუცი შლოსერი, — იუმი ყოველთვის კონსერვატორი და უაღრესად მონარქისტულად მოაზროვნე ადამიანი იყო და ასეთივე დარჩა. ამიტომ არსებული ეკლესიის მომხრეები მას ისეთი გაბოროტებით არ ეპყრობოდნენ როგორც გიბონს». «ეს ეგოისტი იუმი, ეს მატყუარა ისტორიის მეცნიერებაში», — ამბობს «ტლანქი» პლებეური კობეტი,—ინგლისელ ბერებს აგინებდა სიმსუქნისათვის, უქორწინებლობისათვის, უცოლშვილობისათვის, მათხოვრობისათვის, «მაგრამ თვით მას არასოდეს არც ოჯახი ჰქონია და არც ცოლ-შვილი ჰყოლია, დიდი ტანის ჩასუქებული კაცი იყო, უმეტესწილად საზოგადოების ხარჯზე იკვებებოდა, ისე კი რომ ეს არ დაემსახურებია არავითარი ნამდვილი საზოგადოებრივი მოღვაწეობით». იუმს «ცხოვრების პრაქტიკულ მოწესრიგებაში არსებითი მიმართულებით ბევრი უპირატესობა აქვს კანტის წინაშე», ამბობს ბატონი დიურინგი.

მაგრამ რატომ აქვს იუმს ასეთი გაზვიადებული ადგილი მინიჭებული «კრიტიკულ ისტორიაში»? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ «სერიოზულსა და მახვილ მოაზროვნეს» პატივი აქვს XVIII საუკუნის დიურინგი წარმოადგინოს. როგორც იუმი იმის დამამტკიცე-

[1] აქ ფ. ენგელსს მხედველობაში აქვს დიურინგის კავშირი ბისმარკის აგენტთან, პრუსიის მოხელე ვაგენერთან, რომლის დაკვეთით დიურინგმა შეადგინა მოხსენებითი ბარათი მუშათა საკითხზე. რ ე დ.

ბელ საბუთს წარმოადგენს, რომ «მეცნიერების მთელი დარგის (პოლიტიკური ეკონომიის) შექმნა უფრო განათლებული ფილოსოფიის ღვაწლი იყო», ისე იუმის წინამორბედობა იმის საუკეთესო გარანტიას იძლევა, რომ მთელი ეს მეცნიერული დარგი თავის უახლოეს დასრულებას იპოვის იმ ფენომენალურ მამაკაცში, რომელმაც უბრალოდ «უფრო განათლებული» ფილოსოფია გარდაქმნა სინამდვილის აბსოლუტურად სხვისასან ფილოსოფიად, რომელმაც, იუმისა არ. იყოს, «ფილოსოფიური მოღვაწეობა ამ ცნების ვიწრო გაგებით შეაერთა მეცნიერულ მუშაობასთან სახალხო მეურნეობის დარგში... რაც უმაგალითო მოვლენას წარმოადგენს გერმანიის ნიადაგზე». ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ბატონი დიურინგი ბერავს იუმს, რომელიც მაინც პატივსაცემია როგორც ეკონომისტი, და მას პირველი რანგის ეკონომიკურ ვარსკვლავად აქცევს, რომლის მნიშვნელობას დღემდე არ ცნობდნენ იმავე შურის გამო, რის წყალობით ჯიუტად ჩქმალავენ ბატონი დიურინგის «ეპოქისათვის სახელმძღვანელო მნიშვნელობის» ღვაწლს.

როგორც ცნობილია, ფიზიოკრატების სკოლამ კენეს «ეკონომიური ცხრილის» სახით დაგვიტოვა ამოცანა, რომელზედაც დღემდე ამაოდ კბილებს იმტვრევდნენ პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკოსები და ისტორიკოსები. ეს ცხრილი, რომელსაც უნდა ნათელეყო ფიზიოკრატული წარმოდგენა ამა თუ იმ ქვეყნის საერთო სიმდიდრის წარმოებასა და მიმოქცევაზე, შემდგომი დროის ეკონომისტებისთვის საკმაოდ ბუნდოვანი დარჩა. ბატონი დიურინგი კისრულობს საბოლოო ჭეშმარიტების შუქი ამ სფეროშიც შეიტანოს. «რას უნდა ნიშნავდეს წარმოებისა და განაწილების ურთიერთობათა ეს ეკონომიური ასახვა თვით კენეს აზროვნებაში, — ამბობს იგი, — მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, თუ თავდაპირველად მის დამახასიათებელ ხელმძღვანელ ცნებებს წინასწარ ზედმიწევნით გამოვიკვლევთ». ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ დღემდე მას «მერყეევი და გაურკვეველი ფორმით გადმოსცემდნენ» და თვით ადამ სმიტის ნაწერებში «შეუძლებელია მისი არსებითი ხაზების ცნობა». ამ ტრადიციულ «ზერელე ცნობათა მოწოდებას» ახლა ბატონი დიურინგი ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს უღებს. და აი იგი თავის მკითხველს ოღროჩოღრო ატარებს მთელი ხუთი გვერდის მანძილზე, სადაც მაღალფარდოვანმა გამოთქმებმა, მუდმივმა განმეორებამ და წინასწარ განზრახულმა უწესრიგობამ უნდა დაფაროს ის საბედისწერო ფაქტი, რომ ბა-

ტონ დიურინგს კენეს «ხელმძღვანელი ცნებების» შესახებ იმდენიც კი არ აქვს სათქმელი, რამდენიც იმ «პოპულარულ კომპილატიურ სახელმძღვანელოებში «მოიპოვება, რომელთა მიმართ იგი დაუღალავად გვაფრთხილებს. ამ შესავლის «ერთ-ერთ საეჭვო მხარეს» წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი უკვე აქ დღემდე მხოლოდ სახელის მიხედვით ცნობილ ცხრილს მხოლოდ შორიდან ყნოსავს; შემდეგ იწყება სხვადასხვაგვარი «მსჯელობანი», მაგალითად, «ძალის დახარჯვისა და შედეგის განსხვავებაზე». თუ ეს განსხვავება მზამზარეულად არ გვხვდება კენეს იდეებში», სამაგიეროდ ბატონი დიურინგი მის ბრწყინვალე ნიმუშს გვაძლევს, როცა თავისი გაჟიანურებული შესავალის «ძალის დახარჯვიდან» თავის საოცრად მოკლე «შედეგს» აღწევს, თვით ცხრილის ახსნას. ამრიგად, გადმოვცეთ ახლა ყველაფერი, სიტყვასიტყვით ყველაფერი, რასაც იგი საჭიროდ თვლის კენეს ცხრილის შესახებ გვაუწყოს.

«დახარჯვაში» ბატონი დიურინგი ამბობს: «მას (კენეს) თავისთავად გასაგებად ეჩვენებოდა, რომ შემოსავალი (ბატონი დიურინგი ახლახან სწორედ წმინდა პროდუქტზე ლაპარაკობდა) უნდა განხილულ და გარკვეულ იქნეს როგორც ფულის ღირებულება... მან თავისი მსჯელობანი (!) მაშინვე ფულის ღირებულებებს დაუკავშირა, რომელთაც იგი გულისხმობდა როგორც ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაყიდვის შედეგს მათი პირველი ხელიდან გადასვლის დროს. ამგვარად (!) იგი თავისი ცხრილის სვეტებზე ოპერაციებს ახდენს რამდენიმე მილიარდით (ე. ი. ფულის ღირებულებებით). ამრიგად, ჩვენ სამჯერ გავიგეთ, რომ კენე ცხრილში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების «ფულადი ღირებულებებით» ოპერაციას ახდენს «წმინდა პროდუქტის» ანუ «წმინდა შემოსავლის ფულადი ღირებულების» ჩათვლით. შემდეგ ტექსტში ნათქვამია: «კენე რომ ნამდვილად ბუნებრივი განხილვის გზას დასდგომოდა და განზე დაეტოვებინა არა მარტო ძვირფასი ლითონები და ფულის რაოდენობა, არამედ ფულადი ღირებულებანიც... მაგრამ იგი ანგარიშობს მხოლოდ ღირებულებათა ჯამებს და იმთავითვე წარმოდგენილი ჰქონდა (!) წმინდა პროდუქტი ფულის ღირებულებად». მაშასადამე, მეოთხეჯერ და მეხუთეჯერ: ცხრილში მხოლოდ ფულადი ღირებულებანია!

«მან (კენემ) მიიღო იგი (წმინდა პროდუქტი), როცა ხარჯი გამოაკლო და უმთავრესად იფიქრა» (!) (არა ტრადიციული, მაგრამ მით უფრო ზერელე ცნობის უწყება) «იმ ღირებულებაზე,

რომელიც მიწათმესაკუთრეს რჩებოდა რენტის სახით». — კიდევ ვერ დავიძარით ადგილიდან; მაგრამ აი ახლა წავალთ წინ: «მაგრამ მეორე მხრივ ესეცაა (ეს «მაგრამ ესეცაა» ნამდვილი მარგალიტია!), «რომ წმინდა პროდუქტიც მიმოქცევაში შედის როგორც ბუნებრივი საგანი და, ამრიგად, ელემენტად იქცევა, რომლის შემწეობით უნაყოფოდ წოდებულ კლასს... ეძლევა სარჩო. აქ შეიძლება მაშინვე (!) შევამჩნიოთ არევ-დარევა, რომელიც იქიდან წარმოდგება, რომ ერთ შემთხვევაში აზრთა მსვლელობას ფულის ღირებულება განსაზღვრავს, ხოლო მეორეში — თვით საგანი». — საერთოდ ეტყობა, რომ საქონელთა ყოველი მიმოქცევა იმ «არევ-დარევითაა» დაავადებული, რომ საქონელი მასში ერთსა და იმავე დროს შედის როგორც «ბუნებრივი საგანიც» და როგორც «ფულადი ღირებულებაც». მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ წრეში ვტრიალებთ «ფულადი ღირებულებების» გარშემო. იმიტომ რომ «კენეს სურს თავიდან აიცილოს სახალხო-სამეურნეო შემოსავლის ორმაგი შეფასება».

ბატონ დიურინგის ნებართვით შევნიშნავთ: ქვემოთ, კენეს ცხრილის «ანალიზში» [1] სხვადასხვაგვარი პროდუქტები აღნიშნულია როგორც «ბუნებრივი საგნები», ხოლო ზემოთ, თვით ცხრილში — მათი ფულადი ღირებულებანი. კენემ შემდეგ თავის დამხმარეს აბატ ბოდოს პირდაპირ ცხრილში თვით ბუნებრივი საგნებიც შეატანინა მათი ფულადი ღირებულებების გვერდით.

ამდენი «დახარჯვის» შემდეგ ბოლოს «შედეგიც» მოდის. მოდით, მოისმინეთ და გაკვირდით: «მაგრამ არათანამიმდევრობა» (კენეს მიერ მიწათმესაკუთრეებისადმი მიკუთვნებული როლის მიმართ) «მაშინვე ნათელი გახდება, როგორც კი ვიკითხავთ, რა მოუვა სახალხო-სამეურნეო წრებრუნვაში წმინდა პროდუქტს, რომელიც მითვისებული იქნება რენტის სახით? აქ ფიზიოკრატების წარმოდგენის წესისა და ეკონომიკური ცხრილისათვის შესაძლებელი იყო მხოლოდ მისტიციზმამდე მისული არევ-დარევა და თვითნებობა».

ბოლო კარგია, ყველაფერი კარგია. მაშასადამე, ბატონ დიურინგს არ ცოდნია «რა მოსდის სახალხო-სამეურნეო წრებრუნვაში (რომელსაც ცხრილი წარმოადგენს) რენტის სახით მითვისებულ წმინდა პროდუქტს». ცხრილი მისთვის «წრის კვადრატურაა». თვითონვე აღიარებს, ფიზიოკრატების ანაბანაც არ მესმისო. მას

[1] «Analyse du Tableau économique» («ეკონომიკური ცხრილის ანალიზი»). რედ.

შემდეგ, რაც მან ამდენ ხანს უტრიალა ცხელ ფაფას, ამდენი წყალი ნაყა, ამდენი იხტუნა წაღმა-უკუღმა, ამდენი იჯამბაზა, ამდენი ეპიზოდი ჩაურთო, დივერსია, განმეორება და გონების დამფანტველი არეე-დარეევა გვაგემებინა, რათა მოვმზადებულიყავით დიდებული ახსნა-განმარტებისთვის, რას ნიშნავს «ცხრილი თვით კენეს მიხედვით», — ყოველივე ამის შემდეგ ბოლოს ბატონი დიურინგი დარცხვენილი აღიარებს, ეს თვით მეცარ ვიციო.

რაკი ეს მტანჯველი საიდუმლოება თავიდან მოიშორა, რაკი განთავისუფლდა ჰორაციოსებური კაეშანისაგან, რომელიც მას მხრებზე ტვირთად აწვა ფიზიოკრატულ ქვეყანაში მოგზაურობის დროს, ჩვენი «სერიოზული და მახვილი მოაზროვნე» ხელახლა მხნედ ბუკსა და ნაღარას სცემს: «ხაზები, რომელიც კენეს აქეთ და იქით გაჰყავს თავის სხვაფრივ საკმაოდ მარტივ (!) ცხრილში» (ამ ხაზების რიცხვი საერთოდ სულ ექვსს უდრის) «და რომელიც წმინდა პროდუქტის მიმოქცევას უნდა წარმოადგენდეს», გვაფიქრებინებს, ამ «გასაოცარ სვეტთა შეერთებაში» ხომ არ არის დაფარული რაიმე მათემატიკური ფანტასტიკა, მოგვაგონებს, რომ კენე მუშაობდა წრის კვადრატურაზე და სხვ. რადგან ეს ხაზები, მათი სიმარტივის მიუხედავად, თვით ბატონი დიურინგის აღიარების თანახმად, გაუგებარი რჩება მისთვის, მან თავისი საყვარელი მანერის მიხედვით აქაც ეჭვი უნდა შეიტანოს მათში. და ახლა მას შეუძლია შეუშფოთებლად უკანასკნელი მახვილი ჩასცეს საბედისწერო ცხრილს: «განვიხილეთ რა წმინდა პროდუქტი ამ ყველაზე საეჭვო მხრიდან» და სხვ. ბატონი დიურინგი «წმინდა პროდუქტის მოძღვრების ყველაზე საეჭვო მხარეს» უწოდებს, სახელდობრ, თავის იძულებულ აღიარებას, რომ ერთი სიტყვაც არ მესმის «Tableau économique»-ისა და არც იმ «როლის» გამეგება რაიმე, რომელსაც იქ მასში წარმოდგენილი წმინდა პროდუქტი ასრულებსო! სახრჩობელაზე მიმავალი კაცის სასოწარკვეთილი ოხუნჯობა თუ გნებავთ, სწორედ ესაა!

მაგრამ რათა ჩვენი მკითხველები კენეს ცხრილის შესახებ იმავე საშინელი უმეცრების წყვდიადში არ დარჩნენ, სადაც აუცილებლად იმყოფებიან ისინი, ვინც თავიანთ ეკონომიკურ სიბრძნეს ბატონი დიურინგის «პირველი წყაროებიდან» ღებულობენ, მოკლედ შემდეგი უნდა აღვნიშნოთ:

როგორც ცნობილია, ფიზიოკრატები საზოგადოებას სამ კლასად ჰყოფენ: 1) მწარმოებელი, ე. ი. ნამდვილად მიწათმოქმედებაში მომუშავე კლასი, მოიჯარეები და სოფლის მეურნეობის მუშები;

მათ მწარმოებელი იმიტომ ჰქვია, რომ მათი შრომა გარდამეტს— რენტას იძლევა. 2) ამ გარდამეტის მიმთვისებელი კლასი, რომელიც მოიცავს მიწათმფლობელებს და მათზე დამოკიდებულ მხლებელთ, შემდეგ მეფე-მთავრებსა და საზოგადოდ სახელმწიფოს მიერ დაქირავებულ მოხელეებს, ბოლოს აგრეთვე ეკლესიას მისი განსაკუთრებული როლით, როგორც მეათედის მიმთვისებელს. სიმოკლის გულისთვის პირველ კლასს ქვემოთ მარტივად «მოიჯარეებს» ეუწოდებთ, ხოლო მეორეს — «მიწის მესაკუთრეებს». 3) მრეწველობის მიმდევარი ანუ სტერილური (უნაყოფო) კლასი; იგი სტერილურია იმიტომ, რომ ფიზიოკრატების შეხედულებით მწარმოებელი კლასის მიერ მოცემულ ნედლ მასალას მხოლოდ იმდენ ღირებულებას უმატებს, რამდენსაც იმავე კლასის მიერ მოცემულ საარსებო საშუალებებიდან ნთქავს. კენეს ცხრილის მიზანია თვალსაჩინოდ დაგვანახოს, როგორ მიმოიქცევა ამა თუ იმ ქვეყნის (ნამდვილად საფრანგეთის) წლიური საერთო პროდუქტი ამ სამ კლასს შორის და როგორ ემსახურება იგი წლიურ კვლავწარმოებას.

ცხრილის პირველი წანამძღვარი ისაა, რომ საიჯარო სისტემა და მასთან ერთად მსხვილი მიწათმოქმედება, კენეს დროის გაგებით, საყოველთაოდაა შემოღებული; კენეს ამ შემთხვევაში ნიმუშად ჰქონდა ნორმანდია, პიკარდია, ილ-დე-ფრანსი და ზოგიერთი სხვა ფრანგული პროვინცია; ამიტომ მოიჯარე გვევლინება, როგორც მიწათმოქმედების ნამდვილი ხელმძღვანელი, იგი ცხრილში მთელ მწარმოებელ (მიწათმოქმედ) კლასს წარმოადგენს და მიწის მესაკუთრეს რენტას უხდის ფულად. ერთობლივ მოიჯარეებს მიეწერება ათი მილიარდი ლივრის ძირითადი კაპიტალი ანუ ინვენტარი, რომლის მეხუთედი ანუ ორი მილიარდი ყოველწლიურ ასანაზღაურებელ ბრუნვის კაპიტალს წარმოადგენს; ესაა ანგარიში, რომლის დადგენის დროს კენე საზომად იყენებდა აღნიშნული პროვინციების საუკეთესოდ დამუშავებულ საიჯარო მიწებს.

შემდგომი წანამძღვარები ასეთია: 1) სიმარტივის გულისთვის იგულისხმება, რომ ფასები მუდმივია და ხდება მარტივი კვლავწარმოება; 2) გამორიცხულია თვითეული განცალკევებული კლასის შიგნით ყოველგვარი მიმოქცევა და ანგარიში ეწევა მხოლოდ მიმოქცევას კლასსა და კლასს შორის; 3) ყოველი ყიდვა, და, შესაბამისად, ყოველი გაყიდვა, რომელიც კლასებს შორის ხდება სამეურნეო წლის განმავლობაში, ერთობლივ ჯამშია თავმოყრილი. ბოლოს, გავიხსენოთ, რომ კენეს დროს საფრანგეთში, ისევე როგორც მეტნაკლებად

მთელ ევროპაში, გლეხის ოჯახს მნიშვნელოვანწილად საკუთარ შინამრეწველობა აწვდიდა აგრეთვე იმ აუცილებელ პროდუქტებსაც, რომლებიც არ ეკუთვნის კვების საშუალებათა თანრიგს, და ამიტომ აქ შინამრეწველობა ნავარაუდევია როგორც მიწათმოქმედების თავისთავად საგულისხმო დამატება.

ცხრილის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს ერთობლივი მოსავალი, — ესაა ცხრილის თავშივე წარმოდგენილი წლიური ჭირნახულის მთელი პროდუქტი ანუ ქვეყნის, ამ შემთხვევაში საფრანგეთის, «სრული კვლავწარმოება». ამ მთელი პროდუქტის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება ვაჭრობის მიმდევარი ერების ჭირნახულის საშუალო ფასებით. იგი უდრის ხუთ მილიარდ ლივრს. ესაა თანხა, რომელიც იმდროინდელი სტატისტიკური გამოანგარიშების მიხედვით დაახლოებით გამოხატავდა საფრანგეთის საერთო სამიწათმოქმედო პროდუქციის ფულად ღირებულებას. სწორედ ამით და არა სხვა რამით აიხსნება ის გარემოება, რომ კენე თავის ცხრილში «ოპერაციებს ახდენს რამდენიმე მილიარდით», სახელდობრ, ხუთი მილიარდი ლივრით და არა ხუთი ტურის ლივრით (Livres tournois)[1].

მაშასადამე, მთელი პროდუქტი ხუთი მილიარდის ღირებულებისა მწარმოებელი კლასის ხელშია, ე. ი. უწინარეს ყოვლისა, მოიჯარეების ხელში, რომელთაც იგი აწარმოეს იმით, რომ ორი მილიარდის წლიური ბრუნვის კაპიტალი გაიღეს, რაც შეესაბამება ათი მილიარდის ძირითად კაპიტალს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, საარსებო საშუალებანი, ნედლი მასალა და სხვ., რომელიც საჭიროა ბრუნვის კაპიტალის ასანაზღაურებლად, მაშასადამე, აგრეთვე მიწათმოქმედებაში პირდაპირ ჩაბმული პირების შესანახად, in natura[2] ერთმევა საერთო მოსავალს და ახალი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის იხარჯება. რადგან, როგორც ვთქვით, ნაგულისხმევია მუდმივი ფასები და მარტივი კვლავწარმოება ერთხელ დადგენილი მასშტაბით, ამ მთელი პროდუქტის ამოღებული ნაწილის ფულადი ღირებულება ორ მილიარდ ლივრს უდრის. მაშასადამე, ეს ნაწილი არ შედის საერთო მიმოქცევაში; იმიტომ რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხრილიდან გამორიცხულია მიმოქცევა, რომელიც ხდება არა სხვადასხვა კლასებსა, არამედ თვითეული განსაკუთრებული კლასის წ რ ე შ ი.

---

[1] —ძველი ფრანგული მონეტა. რ ე დ.

[2] —ბუნებრივი ფორმით. რ ე დ.

მას შემდეგ, რაც ბრუნვის კაპიტალის ანაზღაურება მოხდა, მთელი პროდუქტიდან რჩება სამი მილიარდი გარდამეტი, აქედან ორი საარსებო საშუალებებში, ხოლო ერთი ნედლ მასალაში. ის რენტა კი, რომელიც მოიჯარეებმა უნდა გადაუხადონ მიწის მესაკუთრეებს, ამ თანხის ორ მესამედს უდრის, ე. ი. ორ მილიარდს. ჩქარა დავინახავთ, თუ რატომაა მარტო ეს ორი მილიარდი მოთავსებული «წმინდა პროდუქტის» ანუ «წმინდა შემოსავლის» რუბრიკაში.

გარდა ხუთი მილიარდის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო «მთლიანი კვლავწარმოებისა», საიდანაც სამი მილიარდი საერთო მიმოქცევაში შედის, ცხრილში გადმოცემული მოძრაობის დ ა წ ყ ე ბ ა მ დ ე, მოიჯარეების ხელში კიდევ ერის მთელი დანაზოგი («pécule») იმყოფება, ორი მილიარდი ნაღდი ფული. ამ ფულის ვითარება ასეთია.

რადგან ცხრილის გამოსავალი წერტილი მთელი მოსავალია, იგი ამასთანავე სამეურნეო წლის საბოლოო წერტილსაც წარმოადგენს, მაგალითად, 1758 წლისა, რომლის შემდეგ ახალი სამეურნეო წელიწადი იწყება. ამ ახალი, 1759 წლის განმავლობაში საერთო პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მიმოქცევისთვისაა დანიშნული, ორ სხვა კლასს შორის ნაწილდება, რამდენიმე განცალკევებული გადახდის, რამდენიმე ყიდვა-გაყიდვის შემწეობით. ეს ერთიმეორის მომდევნო, დაქსაქსული და მთელი წლის მანძილზე გაგრძელებული მოძრაობანი მცირეოდენ დამახასიათებელ, ყოველთვის ერთი დაკვრით მთელი წლის მომცველ აქტში იყრის თავს: ეს, ყოველ|გარემოებაში, ასეც უნდა მომხდარიყო ასეთ ცხრილში. ამრიგად, 1758 წლის დამლევსაც მოიჯარეების კლასს უკან დაუბრუნდა ფული, რომელიც მან 1757 წლის რენტის სახით გადაუხადა მიწათმფლობელებს (როგორ ხდება ეს, ამას თვით ცხრილი გვიჩვენებს), სახელდობრ, ორი მილიარდის თანხა, ისე რომ მას 1759 წელს შეუძლია ხელახლა გადაისროლოს მიმოქცევაში. რადგან ის თანხა, როგორც კენე შენიშნავს, ბევრად უფრო დიდია, ვიდრე სინამდვილეში საჭიროა იმ ქვეყნის (საფრანგეთის) მთელი მიმოქცევისთვის, სადაც გადახდა ყოველთვის ნაწილ-ნაწილ მეორდება, მოიჯარეების ხელში არსებული ორი მილიარდი ლივრი წარმოადგენს ერში მბრუნავი ფულის მთელ თანხას.

რენტის მიმთვისებელი მიწის მესაკუთრეების კლასი, როგორც ეს შემთხვევით დღესაც ხდება, უწინარეს ყოვლისა, გადასახდელთა მიმღებლების როლში გამოდის. კენეს წანამძღვარის მიხედვით,

ნამდვილი მიწის მესაკუთრეები ორი მილიარდის რენტიდან მხოლოდ ოთხ მეშვიდედს ღებულობენ, ორი მეშვიდედი მთავრობას ხვდება წილად, ხოლო ერთი მეშვიდედი მეათედის მიმღებთ. კენეს დროს ეკლესია უდიდესი მიწის მესაკუთრე იყო საფრანგეთში და ამას გარდა ათისთავს ღებულობდა ყველა სხვა მიწათსაკუთრებიდან.

«უნაყოფო» («სტერილური») კლასის მიერ მთელი წლის განმავლობაში დახარჯული ბრუნვის კაპიტალი (avances annuelles) შედგება ერთი მილიარდის ღირებულების ნედლი მასალისაგან და მხოლოდ ნედლი მასალისაგან, იმიტომ რომ სამუშაო იარაღი, მანქანები და სხვ. თვით ამ კლასის ნაწარმოებებს ეკუთვნის. რაც შეეხება მრავალგვარ როლებს, რომელსაც ასეთი ნაწარმოებნი თვით ამ კლასის სამრეწველო მოღვაწეობაში ასრულებენ, ისინი ისევე ნაკლებ აინტერესებს ცხრილს, როგორც მხოლოდ ამ კლასის წრეში მიმდინარე საქონლისა და ფულის მიმოქცევა. იმ შრომის ჯილდო, რომლის შემწეობით უნაყოფო კლასი ნედლ მასალას მანუფაქტურულ საქონლად აქცევს, უდრის იმ საარსებო საშუალებათა ღირებულებას, რომელსაც უნაყოფო კლასი ნაწილობრივ პირდაპირ მწარმოებელი კლასისაგან, ხოლო ნაწილობრივ არაპირდაპირ მიწის მესაკუთრეების შემწეობით ღებულობს. თუმცა თვით უნაყოფო კლასი კაპიტალისტებად და დაქირავებულ მუშებად ნაწილდება, კენეს ძირითადი შეხედულების მიხედვით, როგორც ერთი მთლიანი კლასი ცხოვრობს მწარმოებელი კლასისა და მიწის მესაკუთრეების ჯამაგირით. მთელი სამრეწველო წარმოება და, მაშასადამე, მთელი სათანადო მიმოქცევაც, რომელიც მოსავლის აღების მომდევნო წელიწადში ნაწილდება, აგრეთვე ერთადერთ მთელშია გაერთიანებული. ამიტომ იგულისხმება, რომ ცხრილში აღწერილი მოძრაობის დასაწყისში უნაყოფო კლასის წლიური სასაქონლო წარმოება მთლად მის ხელში იმყოფება, რომ, მაშასადამე, მთელი მისი საბრუნავი კაპიტალი ანუ ერთი მილიარდის ღირებულების ნედლი მასალა ორი მილიარდის ღირებულების საქონლად იქცა, რომლის ნახევარი ამ გადაქცევის დროს მოხმარებულ საარსებო საშუალებათა ფასს წარმოადგენს. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება გვითხრან: ჰო, მაგრამ უნაყოფო კლასი სამრეწველო პროდუქტებსაც ხომ ხმარობს საკუთარი შინასამეურნეო საჭიროებისათვის; სადაა წარმოდგენილი ისინი, თუ მისი საკუთარი ერთობლივი პროდუქტი მიმოქცევის გზით სხვა კლასების ხელში გადადის? ამაზე ჩვენ შემდეგ პასუხს მივიღებთ: უნაყოფო კლასი არა მარტო თვითონ ხმარობს თავისი საკუთარი

საქონლის ერთ ნაწილს, არამედ ამას გარდა ცდილობს აგრეთვე ამ საქონლიდან რაც შეიძლება მეტი შეინარჩუნოს. მაშასადამე, იგი ნამდვილ ღირებულებაზე მაღლა ჰყიდის მიმოქცევაში გადასროლილ საქონელს და ეს ასეც უნდა ჰქნას, იმიტომ რომ ამ საქონელს მისი წარმოების საერთო ღირებულების მიხედვით ვაფასებთ. მაგრამ ეს არაფერს ცვლის ცხრილის დებულებებში, იმიტომ რომ ორი დანარჩენი კლასი მანუფაქტურულ საქონელს მხოლოდ მათი ერთობლივი წარმოების ღირებულების მიხედვით ღებულობს.

ამრიგად, ჩვენ ახლა ვიცით სამი სხვადასხვა კლასის ეკონომიური მდგომარეობა იმ მოძრაობის დასაწყისში, რომელსაც ცხრილი გამოხატავს.

მწარმოებელ კლასს, ნატურით თავისი საბრუნავი კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ, თავის განკარგულებაში აქვს კიდევ სამი მილიარდის სასოფლო-სამეურნეო ბრუტო-პროდუქტი და ორი მილიარდი ფული. მიწის მესაკუთრეების კლასი მხოლოდ ახლა უდგენს მწარმოებელ კლასს ორი მილიარდი რენტის პრეტენზიას. უნაყოფო კლასს ორი მილიარდის მანუფაქტურული საქონელი აქვს. ამ სამი კლასიდან მხოლოდ ორ კლასს შორის მიმდინარე მიმოქცევას ფიზიოკრატები არასრულ მიმოქცევას უწოდებენ, ხოლო ყველა სამ კლასს შორის მიმდინარე მიმოქცევას — სრულ მიმოქცევას.

ახლა თვით ეკონომიკურ ცხრილზე გადავიდეთ.

პირველი (არასრული) მიმოქცევა: მოიჯარეები მიწის მესაკუთრეებს უეკვივალენტოდ უხდიან რენტას, რაც მათ ერგებათ, სახელდობრ, ორ მილიარდს ფულად. აქედან ერთი მილიარდით მიწის მესაკუთრეები საარსებო საშუალებებს ყიდულობენ მოიჯარეებისგან, რომელთაც, ამრიგად, უკან უბრუნდება მათ მიერ რენტის გადასახდელად გაღებული ფულის ნახევარი.

თავის «ეკონომიური ცხრილის ანალიზ»-ში კენე აღარას ამბობს სახელმწიფოზე, რომელიც მიწის რენტის ორ მეშვიდედს იღებს, და ეკლესიაზე, რომელიც ერთ მეშვიდედს ღებულობს, იმიტომ რომ მათი საზოგადოებრივი როლი საყოველთაოდ ცნობილია. თვით ნამდვილ მიწის მესაკუთრეებზე კი იგი ამბობს, მათი ხარჯები, რომელთა შორის ყველა მათი მსახურის ხარჯიცაა ჩათვლილი, ყოველ შემთხვევაში თავის უდიდეს ნაწილში, უნაყოფო ხარჯებს წარმოადგენს, იმ მცირედი ნაწილის გამოკლებით, რომელიც «მათი მამულების მოვლასა და გაუმჯობესებას და მათი კულტურის ამაღლებას» ხმარდებაო. მაგრამ «ბუნებრივი სამართლის» მიხედვით მათი ნამდვილი ფუნქცია მდგომარეობს სწორედ «მზრუნველობაში კარგი

მმართველობის დასამყარებლად და ხარჯების გაღებაში თავიანთ სამკვიდრო ნაწილის შესანარჩუნებლადო»; ან, როგორც ეს აზრი შემდეგაა განვითარებული, ეს ფუნქცია მდგომარეობს «avances foncières»-ში, ე. ი. ხარჯების გაღებაში, რათა ნიადაგი მომზადდეს და მოიჯარე ყოველი საჭირო ინვენტარით აღიჭურვოს, რაც მას შეაძლებინებს მთელი თავისი კაპიტალი მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი სასოფლო-სამეურნეო კულტურის საქმეს მოახმაროსო.

მ ე ო რ ე (სრული) მ ი მ ო ქ ც ე ვ ა. მათ ხელში კიდევ არსებული მეორე მილიარდით მიწის მესაკუთრეები მანუფაქტურულ საქონელს ყიდულობენ უნაყოფო კლასისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი ამ გზით მიღებული ფულით იმავე თანხის საარსებო საშუალებებს ყიდულობს მოიჯარეებისაგან.

მ ე ს ა მ ე (არასრული) მ ი მ ო ქ ც ე ვ ა. მოიჯარეები უნაყოფო კლასისაგან ერთი მილიარდი ფულით სათანადო რაოდენობის მანუფაქტურულ საქონელს ყიდულობენ; ამ საქონლის ერთი დიდი ნაწილი შედგება სასოფლო-სამეურნეო იარაღებისაგან და მიწათმოქმედებისთვის საჭირო სხვა საწარმოო საშუალებებისაგან. უნაყოფო კლასი მოიჯარეებს იმავე ფულს უკან უბრუნებს, როცა მათგან ერთი მილიარდის ნედლ მასალას ყიდულობს თავისი საკუთარი საბრუნავი კაპიტალის ასანაზღაურებლად. ამრიგად, მოიჯარეებს უკან დაუბრუნდათ მათ მიერ რენტის გადასახდელად გაღებული ორი მილიარდი ფული და ბალანსი დასრულებულია. ამით გადაჭრილია აგრეთვე დიდი ამოცანა, «რა მოსდის საეეურნეო წრებრუნვაში რენტის სახით მითვისებულ ნეტო-პროდუქტს».

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ პროცესის დასაწყისში მწარმოებელ კლასს ხელთ სამი მილიარდი გარდამეტი ჰქონდა. მათგან მხოლოდ ორი მილიარდი იყო გადახდილი მიწის მესაკუთრეების სასარგებლოდ როგორც ნეტო-პროდუქტი, რენტის სახით. ამ გარდამეტის მესამე მილიარდი წარმოადგენს სარგებელს მოიჯარეების ერთობლივი ძირითადი კაპიტალისთვის, მაშასადამე, ათ მილიარდზე ათ პროცენტს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სარგებელს ისინი მიმოქცევიდან როდი ღებულობენ; იგი მათ ხელშია in natura და ისინი მხოლოდ მიმოქცევის საშუალებით ახდენენ მის რეალიზაციას, რამდენადაც მიმოქცევის შემწეობით მას თანაბარი ღირებულების მანუფაქტურულ საქონლად აქცევენ.

ამ სარგებლის გარეშე მოიჯარე, მიწათმოქმედების მთავარი აგენტი, აქ როდი დააბანდებდა ავანსად თავის ძირითად კაპიტალს. უკვე ამ თვალსაზრისით მოიჯარის მიერ სასოფლო-

სამეურნეო ზედმეტი შემოსავლის იმ ნაწილის მითვისება, რომელიც სარგებელს წარმოადგენს, ფიზიოკრატების მიხედვით, ისეთივე აუცილებელი პირობაა კვლავწარმოებისა, როგორც თვით მოიჯარეთა კლასი; ამიტომ შეუძლებელია ეს ელემენტი ნაციონალური «წმინდა პროდუქტის» ან «წმინდა შემოსავლის» კატეგორიას მივაკუთვნოთ; იმიტომ რომ ამ უკანასკნელს სწორედ ის ახასიათებს, რომ მისი მოხმარება შეიძლება ნაციონალური კვლავწარმოების უშუალო მოთხოვნილებებისათვის ყოველი ანგარიშის გაუწევლად. მაგრამ ეს ერთი მილიარდის ფონდი, კენეს აზრით, უმთავრესად ემსახურება ძირითადი კაპიტალის შეკეთებას და ნაწილობრივ განახლებას, რომელიც საჭირო ხდება წლის განმავლობაში, შემდეგ სარეზერვო ფონდს უბედური შემთხვევების წინააღმდეგ, ბოლოს, თუ შესაძლებელია, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის გადიდებას და აგრეთვე ნიადაგის გაუმჯობესებას და სოფლის-მეურნეობის კულტურის გაფართოებას.

მთელი პროცესი მართლაც «საკმაოდ მარტივია». მიმოქცევაში გადასროლილი იყო: მოიჯარეების მიერ — ორი მილიარდი ფული რენტის გადასახდელად და სამი მილიარდის პროდუქტი, საიდანაც ორი მესამედი საარსებო საშუალებებზე მოდიოდა, ხოლო ერთი მესამედი — ნედლ მასალაზე; უნაყოფო კლასის მიერ — ორი მილიარდის მანუფაქტურული საქონელი. ორი მილიარდი ღირებულების საარსებო საშუალებებისაგან ნახევარს მიწათმფლობელები ხმარობენ მათთან დაკავშირებულ ელემენტებთან ერთად, ნახევარს კიდევ უნაყოფო კლასი — მისი შრომის სანაზღაურად. ერთი მილიარდის ნედლი მასალა იმავე კლასის საბრუნავ კაპიტალს ანაზღაურებს. ორი მილიარდის მანუფაქტურული საქონლიდან, რომელიც მიმოქცევაშია, ერთი ნახევარი მიწის მესაკუთრეებს ხვდება წილად, ხოლო მეორე — მოიჯარეებს, რომელთათვისაც იგი წარმოადგენს მხოლოდ მათ მიერ საქმეში ჩადებული ძირითადი კაპიტალის სარგებლის გარდაქმნილ ფორმას, ეს სარგებელი უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო კვლავწარმოებიდანაა მიღებული. ხოლო ფული, რომელიც მოიჯარემ რენტის გადასახდელად მიმოქცევაში გადაისროლა, მას უკან უბრუნდება მისი პროდუქტების გაყიდვის წყალობით, და, ამრიგად, იგივე წრებრუნვა შეიძლება ხელახლა განვლოთ უახლოეს სამეურნეო წელიწადში.

დაე, ახლა მკითხველი განკვირდეს ბატონი დიურინგის «მართლაც კრიტიკული» გადმოცემის გამო, რომელიც დაუსრულებლად მაღლა დგას «ტრადიციულ ზერელე ახსნა-განმარტებაზე». მას შე-

მდეგ, რაც მან იდუმალი სახით ხუთჯერ ზედიზედ გაიმეორა, როგორ საეკვოდ აწარმოებს კენე ცხრილში ოპერაციებს მარტო ფულის ღირებულებებით, რაც სხვათა შორის სწორი არ აღმოჩნდა, ბოლოს იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ როგორც კი ის იკითხავს, «თუ რა მოსდის რენტის სახით მითვისებულ წმინდა პროდუქტს სახალხო-სამეურნეო წრებრუნვაშია», «ეკონომიური ცხრილისათვის მხოლოდ მისტიციზმამდე მისული არევ-დარევა და თვითნებობა არის შესაძლებელი». ჩვენ დავინახეთ, რომ ცხრილი, ეს მარტივი და ამასთანავე თავისი დროისთვის გენიოსური გადმოცემა კვლავწარმოების წლიური პროცესისა, როგორც იგი მიმოქცევის საშუალებით ხორციელდება, მეტად ზედმიწევნით უპასუხებს იმას, თუ რა მოსდის ამ წმინდა პროდუქტს სახალხო-სამეურნეო წრებრუნვაში; ამრიგად, «მისტიციზმი», «არევ-დარევა და თვითნებობა» კვლავ მხოლოდ ბატონი დიურინგის ხვედრია როგორც მისი ფიზიოკრატული შტუდიების «მეტად საეკვო მხარე» და ერთადერთი «წმინდა პროდუქტი».

ბატონი დიურინგი ფიზიოკრატების ისტორიულ გავლენასაც ისევე კარგად იცნობს, როგორც მათ თეორიას. «ტიურგოს სახით, — გვასწავლის იგი, — ფიზიოკრატიამ საფრანგეთში თეორიულადაც და პრაქტიკულადაც თავის დასასრულს მიაღწია». ის ამბავი, რომ მირაბო თავის ეკონომიკურ შეხედულებებში არსებითად ფიზიოკრატი იყო, რომ იგი 1789 წლის დამფუძნებელ კრებაში პირველ ავტორიტეტს წარმოადგენდა ეკონომიკურ საკითხებში, რომ ამ კრებამ თავის ეკონომიკურ რეფორმებში ფიზიოკრატული დებულებების დიდი ნაწილი თეორიიდან პრაქტიკაში გადაიტანა და განსაკუთრებით დიდი გადასახადი დაადო მიწათმფლობელების მიერ «უეკვივალენტოდ» მითვისებულ წმინდა პროდუქტს, მიწის რენტას, ყოველივე ეს «ვინმე» დიურინგისათვის არ არსებობს.

როგორც ერთმა გრძელმა ხაზმა, რომელიც 1691 წლიდან 1752 წლამდე მდებარე პერიოდზეა გასმული, იუმის ყველა წინამორბედის სახელი წაშალა, ისე მეორე ხაზი შლის იუმსა და ადამ სმიტს შორის მყოფ სერ ჯემს სტიუარტს. მისი დიდი თხზულების შესახებ, რომელმაც, რომ არაფერი ვთქვათ მის ისტორიულ მნიშვნელობაზე, პოლიტიკური ეკონომიის დარგი დიდი ხნით გაამდიდრა, კრინტიც არაა დაძრული ბატონი დიურინგის «წამოწყებაში». სამაგიეროდ იგი სტიუარტს ამკობს ყველაზე მაგარი სალანძღავი სიტყვით, როგორიც კი მას მოეპოვება თავის ლექსიკონში. და ამბობს, იგი «პ რ ო ფ ე ს ო რ ი» იყო ადამ სმიტის დროსო. სამწუხაროდ, ეს ეპვი

მოგონილი ამბავია. სტიუარტი ნამდვილად შოტლანდიელი მსხვილი მიწათმფლობელი იყო, რომელიც სტიუარტების შეთქმულებაში ვითომდა მონაწილეობის მიღებისთვის გაძევებულ იქნა დიდი ბრიტანეთიდან და კონტინენტზე ხანგრძლივი ყოფნითა და მოგზაურობით ახლოს გაეცნო სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას.

მოკლედ რომ მოვჭრათ: «კრიტიკული ისტორიის» მიხედვით ყველა წინანდელი ეკონომისტის მოძღვრებებს ღირებულება აქვთ ან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ბატონი დიურინგის უფრო ღრმა, «სახელმძღვანელო» ძირითად დებულებათა «ჩანასახებს», ან წარმოადგენენ მხოლოდ ფონს, რომელიც თავისი უვარგისობით კიდევ უფრო ააშკარავებს მის უპირატესობას. მაგრამ პოლიტიკურ ეკონომიაშიც მოიპოვება ორიოდე გმირი, რომელნიც იძლევიან არა მარტო «ჩანასახს» უფრო «ღრმა დაფუძნებისთვის», არამედ «დებულებებს», საიდანაც ეს დაფუძნება, დიურინგის ნატურფილოსოფიის კარნახის მიხედვით, კი არ «ვითარდება», არამედ პირდაპირ «კომპონირდება»: სახელდობრ, ერთი მათგანია «შეუდარებლად გამოჩენილი პიროვნება» ლ ი ს ტ ი, რომელმაც გერმანელი ფაბრიკანტების სახეიროდ ვიღაც ფერიეს და სხვების «სათუთი» მერკანტილისტური მოძღვრებანი «ძალოვანი» სიტყვებით გაბერა და გააზვიადა; მეორეა კერი, რომელმაც თავისი სიბრძნის ნამდვილი არსი შემდეგ წინადადებაში გამოამჟღავნა: «რიკარდოს სისტემა ქიშპობის სისტემაა... იგი კლასობრივი შუღლის შექმნაში გადადის... მისი თხზულება იმ დემაგოგის სახელმძღვანელოა, რომელიც ხელისუფლებისკენ მიისწრაფვის მიწის დანაწილებისა, ომისა და ძარცვა-გლეჯის შემწეობით»; ბოლოს, მესამეა ლონდონის სიტის კონფუციუსი[1] — მ ა კ ლ ე ო დ ი.

ამიტომ ის ადამიანები, რომლებიც ამჟამად ან უახლოეს მომავალში მოისურვებენ პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის შესწავლას, კარგს იზამენ, თუ, იმის მაგიერ, რომ ბატონი დიურინგის «მაღალი სტილის ისტორიოგრაფიას» დაეყრდნონ, გაეცნობიან «წყალწყალა ნაწარმოებებს», «ბანალურ აზრებს» და «პოპულარული კომპილატური სახელმძღვანელოების მათხოვრულ შეჯამადს».

---

1 «ანტი-დიურინგის» გერმანულ გამოცემაში სიტყვა Confucius ნაცვლად, რომელიც წერია მარქსის ხელნაწერში, დაბეჭდილია თანხმიერი სიტყვა Confusius (თავგზადაბნეული). რ ე დ.

რას ვღებულობთ ბოლოს პოლიტიკურ ეკონომიაში დიურინგის მიერ «საკუთრივ შექმნილი სისტემის» ჩვენგან ჩატარებული ანალიზის შედეგად? არაფერს, გარდა იმ ფაქტისა, რომ ჩვენ ყველა ეაღალფარდოვანი სიტყვებისა და კიდევ უფრო მაღალფარდოვანი აღთქმების მიუხედავად ისევე მოტყუებული ვრჩებით, როგორც «ფილოსოფიაში». ღირებულების თეორიის, «ეკონომიკური სისტემების ავკარგიანობის ამ სასინჯარის» გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ბატონ დიურინგს ღირებულების ცნებაში ხუთი სრულიად განსხვავებული და ერთიმეორის პირდაპირ საწინააღმდეგო რამ ესმის, და, მაშასადამე, უკეთეს შემთხვევაში, თვითონაც არ იცის, რა სურს. ასეთი რიხით გამოცხადებული «ბუნებრივი კანონები ყოველი მეურნეობისა» დაბალი ღირსების ბანალობანი აღმოჩნდა, რომლებიც კარგა ხანია მთელ დედამიწაზეა ცნობილი და ახლა დიურინგს ხშირად სწორადაც კი ვერ გაუგია. ეკონომიური ფაქტების ერთადერთი ახსნა, რომლის მოცემა ამ ვითომდა «საკუთრივ შექმნილ სისტემას» შეუძლია, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი «ძალდატანების» შედეგები არიანო; ესაა ფრაზა, რომლის შემწეობით ყველა ერის ფილისტერები ათასი წლების მანძილზე თავს ინუგეშებენ გასაჭირის ჟამს და რომელიც არაფერს მატებს ჩვენს ცოდნას. იმის მაგიერ, რომ ეს ძალმომრეობა მისი წარმოშობისა და მოქმედების მხრივ გამოეკვლია, ბატონი დიურინგი წინადადებას გვაძლევს, მადლობის გრძნობით დავჯერდეთ უბრალო სიტყვას «ძალმომრეობას» როგორც ყველა ეკონომიური მოვლენის უკანასკნელ მიზეზსა და საბოლოო ახსნას. რადგან იგი იძულებულია უფრო დაწვრილებითი განმარტებანი მოგვცეს შრომის კაპიტალისტურ ექსპლოატაციაზე, იგი სავსებით ითვისებს პრუდონის მოძღვრებას «წინასწარი გადახდევინების» (prélèvement) შესახებ და ამტკიცებს — ეს კაპიტალისტური ექსპლოატაცია საერთოდ ხარკის დადებასა და ფასის დანამატზეა დაფუძნებულიო, რათა შემდეგ კაპიტალისტური ექსპლოატაციის ასახსნელად გამოიყენოს მარქსის თეორია ზედმეტი შრომისა, ზედმეტი პროდუქტისა და ზედმეტი ღირებულების შესახებ. მაშასადამე, იგი ახერხებს ბედნიერად მოარიგოს ორი სავსებით ერთიმეორის მოწინააღმდეგე შეხედულება იმით, რომ ერთი სულისმოთქმით ორივე გადმოუწერია. და როგორც მან ფილოსოფიაში სალანძღავი სიტყვები ამოსწურა სწორედ იმ ჰეგელის შესამკობად, რომლის აზრებსაც იგი განუწყვეტლივ იყენებს გაზერელებულს, ისე «კრიტიკულ ისტორიაში» მარქსის დაუსრულებელი უნი-

ადაგო გინება მხოლოდ იმ ფაქტის დაფარვას ემსახურება, რომ ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონივრული, რაც «კურსში» კაპიტალისა და შრომის შესახებ მოიპოვება, აგრეთვე მარქსიდან მოპარულ პლაგიატს წარმოადგენს და ისიც წყალნარევს. უმეცრება, რომელიც «კურსში» «მსხვილ მიწათმფლობელს» აყენებს კულტურული ხალხების ისტორიის დასაწყისში და კრინტსაც არ ძრავს ტომისა და სოფლის თემების მიწათსაკუთრების ერთობაზე, საიდანაც სინამდვილეში ყოველი ისტორია იწყება, ეს ამჟამად თითქმის გაუგებარი უმეცრება იჩრდილება იმ უმეცრების წინაშე, რომელიც «კრიტიკულ ისტორიაში» თავის თავს ცოტას არ ეკეკლუცება როგორც «ისტორიული თვალთახედვის უნივერსალურ სიფართოეს» და რომლის მხოლოდ ორიოდე საშინელი მაგალითი ჩვენ უკვე გადმოვეცით. ერთი სიტყვით: ჯერ ხდება უზარმაზარი «ძალ-ღონის დახარჯვა» თვითშექებისთვის, საბაზრო სარეკლამო დაფდაფებისთვის, თავბრუდამხვევი დაპირებებისთვის; ბოლოს კი «შედეგი» ნულს უდრის.

მესამე განყოფილება

სოციალიზმი

I

ისტორიული ნარკვევი

«შესავალში»[1] ჩვენ დავინახეთ, თუ XVIII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსები, რომლებიც რევოლუციას ამზადებდნენ, როგორ მიმართავდნენ გონებას, როგორც ყოველივე არსებულის ერთადერთ მსაჯულს. ისინი მოითხოვდნენ, რომ უნდა შექმნილიყო გონიერი სახელმწიფო, გონიერი საზოგადოება, ხოლო ყოველივე, რაც სამარადისო გონებას ეწინააღმდეგებოდა, შეუბრალებლად გაუქმებულიყო. დავინახეთ აგრეთვე, რომ ეს სამარადისო გონება სინამდვილეში მხოლოდ იმ საშუალო ბიურგერის იდეალიზაციაქმნილი ჭკუა იყო, რომელიც სწორედ იმ დროს ხდებოდა ბურჟუა. ამიტომ, როცა საფრანგეთის რევოლუციამ ეს გონიერი საზოგადოება და ეს გონიერი სახელმწიფო განახორციელა, აღმოჩნდა, რომ ახალი დაწესებულებანი, რარიგ რაციონალურიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით, სრულიადაც აბსოლუტურად გონიერი არ არიან. გონების სახელმწიფომ სრული მარცხი განიცადა. რუსოს საზოგადოებრივმა ხელშეკრულებამ თავისი განხორციელება ჰპოვა ტერორის ეპოქაში, საიდანაც თავის პოლიტიკურ უნარზე იმედგაცრუებულმა ბურჟუაზიამ თავი შეაფარა ჯერ დირექტორიის[2] მექრთამეობას, ხოლო ბოლოს ნაპოლეონის დესპოტიზმის ფრთას. აღთქმული საუკუნო მშვიდობიანობა დაუსრულებელ დაპყრობით ომებად გადაიქცა. არც გონიერი საზოგადოების საქმე წასულა უკეთ. იმის მაგიერ, რომ მდიდართა და ღატაკთა წინააღმდეგობა საყოველთაო კეთილდღეობით შეცვლილიყო, იგი კიდევ უფრო გამძაფრდა იმ ამქრული და

[1] შეად. განყოფილება I «ფილოსოფია». [ენგელსის შენიშვნა]

[2]—კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც საფრანგეთში არსებობდა 1795 წლიდან 1799 წლამდე. რ ე დ.

სხვა პრივილეგიების მოსპობის გამო, რომლებიც ერთგვარ ხიდს წარმოადგენდნენ ამ დაპირისპირებაზე, და იმ საეკლესიო საქველმოქმედო დაწესებულებათა გაუქმების გამო, რომლებიც მას რამდენადმე არბილებდნენ; [ამჟამად სინამდვილედ ქცეული «საკუთრების თავისუფლება» ფეოდალური ბორკილებისაგან— წვრილი ბურჟუისა და გლეხისათვის აღმოჩნდა ამ წვრილი საკუთრების გაყიდვის თავისუფლება მაგნატებზე, საკუთრებისა, რომელიც ჩახშობილი იყო მსხვილი კაპიტალისა და მსხვილი მიწათმფლობელობის უმძლავრესი კონკურენციით; მაშასადამე, ეს «თავისუფლება» წვრილი ბურჟუებისა და წვრილი გლეხებისათვის გადაიქცა საკუთრებისაგან განთავისუფლებად]. მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ კაპიტალისტურ საფუძველზე მშრომელი მასების სიღარიბე და დაბეჩავება საზოგადოების არსებობის პირობად აქცია. [ნაღდი ფულით გადახდა, კარლეილის გამოთქმით, თანდათან იქცა საზოგადოების ერთადერთ დამაკავშირებელ ელემენტად.] დანაშაულთა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობდა. თუ წინათ დღის სინათლეზე უშიშრად გამოფენილი ფეოდალური ბიწიერებანი ახლა თუმცა არ მოსპობილა, მაგრამ დროებით მაინც მიიჩქმალა, სამაგიეროდ უფრო უხვად აყვავდა ბურჟუაზიული ბიწიერებანი, რომელთაც წინათ ფარულად თუ იგემებდნენ ხოლმე. ვაჭრობა თანდათან თაღლითობად იქცა. რეეოლუციური დევიზი — «ძმობა» კონკურენციის მიერ წარმოშობილ გაიძვერობასა და შურიანობაში განხორციელდა. ძალდატანებითი ჩაგვრის ადგილი მოსყიდვამ დაიპირა, მახვილის ადგილას საზოგადოებრივი ძალაუფლების პირველ ბერკეტად ფული იქცა. პირველი ღამის უფლება ფეოდალური მებატონეებიდან ბურჟუა ფაბრიკანტებზე გადავიდა. პროსტიტუცია გაუგონარი ზომით გაფართოვდა, და თვით ქორწინება წინანდებურად პროსტიტუციის კანონიერად აღიარებული ფორმა, მისი ოფიციალური საბურველი დარჩა, ამას გარდა იგი უხვად შეივსო ცოლქმრული ღალატით. ერთი სიტყვით, გამანათლებელთა მაღალფარდოვან ბრწყინვალე აღთქმებთან შედარებით, «გონების გამარჯვებით» დამყარებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაწესებულებანი მწარე და იმედის გამაცრუებელი კარიკატურა აღმოჩნდა. საჭირო იყვნენ მხოლოდ ადამიანები, რომელნიც დაადასტურებდნენ ამ იმედის გაცრუებას, და ეს ადამიანებიც გამოჩნდნენ ახალი საუკუნის მიჯნაზე. 1802 წელს გამოქვეყნდა სენ-სიმონის «წერილები ჟენევიდან»; 1808 წელს გამოვიდა ფურიეს პირველი ნაწარმოები, თუმცა მისი თეორიის საფუძველი ჯერ კიდევ

1799 წლით იყო დათარიღებული; 1800 წლის პირველ იანვარს რობერტ ოუენმა ნიუ-ლენარკის ხელმძღვანელობა იკისრა.

მაგრამ ამ დროს წარმოების კაპიტალისტური წესი და მასთან ერთად ბურჟუაზიის და პროლეტარიატის წინააღმდეგობა ჯერ კიდევ მეტად განუვითარებელი იყო. მსხვილი მრეწველობა, რომელიც ის იყო ინგლისში წარმოიშვა, საფრანგეთში ჯერ კიდევ უცნობი იყო. პირველად კი მხოლოდ მსხვილი მრეწველობა ანვითარებს, ერთი მხრივ, კონფლიქტებს, რომლებიც გადატრიალებას წარმოების წესში გარდაუვალ აუცილებლობად ხდიან [გარდაუვალს ხდიან მისი კაპიტალისტური ხასიათის მოსპობას], — კონფლიქტებს არა მარტო ამ მსხვილი მრეწველობის მიერ შექმნილ კლასებს შორის, არამედ აგრეთვე თვით მის მიერ შექმნილ საწარმოო ძალებსა და გაცვლის ფორმებს შორის; ხოლო, მეორე მხრივ, ეს მსხვილი მრეწველობა სწორედ ამ უზარმაზარ საწარმოო ძალებში საშუალებასაც ჰქმნის ამ კონფლიქტების გადასაჭრელად. თუ, მაშასადამე, მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე ახალი საზოგადოებრივი წესწყობილებიდან გამომდინარე კონფლიქტები ჯერ კიდევ წარმოშობის პროცესში იმყოფებოდნენ, მით უმეტეს ეს ითქმის მათი გადაჭრის საშუალებებზე. თუმცა პარიზის ქონებასმოკლებულმა მასებმა ტერორის დროს ერთი წუთით ბატონობა მოიპოვეს [და ამით ბურჟუაზიულ რევოლუციას გაამარჯვებინეს თვით ბურჟუაზიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ], მაგრამ ამით მხოლოდ ის დაამტკიცეს, რომ იმდროინდელ პირობებში მათი [ხანგრძლივი] ბატონობა შეუძლებელი იყო. პროლეტარიატი, რომელიც ის იყო ამ ქონებასმოკლებულ მასებს გამოეყო როგორც ახალი კლასის ჩანასახი, ჯერ კიდევ სრულიად მოკლებული იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედების უნარს, ჩაგრულ, ტანჯულ წოდებას წარმოადგენდა და, რადგან თავის თავის შველა არ შეეძლო, მხოლოდ გარედან, მხოლოდ ზემოდან თუ შეიძლებოდა მისი დახმარება.

ამ ისტორიულმა მდგომარეობამ გავლენა მოახდინა სოციალიზმის დამაარსებლებზეც. კაპიტალისტური წარმოების უმწიფარ ვითარებას, კლასების უმწიფარ მდგომარეობას უმწიფარი თეორიები შეეფერებოდა. საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრა, რომელიც ჯერ კიდევ განუვითარებელ ეკონომიურ ურთიერთობაში იყო დამალული, ადამიანის თავში უნდა შექმნილიყო. საზოგადოება აღსავსე იყო ნაკლოვანებებით; მათი მოსპობა მოაზროვნე გონების ამოცანა იყო. საჭირო იყო გამოგონებულიყო საზოგადოებრივი წესწყობილების ახალი, უფრო სრულქმნილი სისტე-

მა და იგი არსებულ საზოგადოებას გარედან მოხვეოდა თავს, პროპაგანდის შემწეობით, თუ შესაძლებელი იყო სანიმუშო ექსპერიმენტების მაგალითითაც. ეს ახალი სოციალური სისტემები იმთავითვე განწირული იყვნენ უტოპიად დარჩენილიყვნენ, და რამდენადაც უფრო გულმოდგინედ და დაწვრილებით ამუშავებდნენ მათ დეტალებს, მით უფრო წმინდა ფანტაზიაში უნდა გადასულიყვნენ ისინი.

ამ გარემოების დადასტურების შემდეგ, ჩვენ ერთი წუთითაც აღარ შევჩერდებით საკითხის ამ მხარეზე, რომელიც დღეს საკ'ეებით წარსულს ეკუთვნის. ჩვენ შეგვიძლია დიურინგის მსგავს ლიტერატორ წვრილ მედუქანეებს დავუთმოთ დიდი ამბით ხელები აფათურონ ამ, დღეს მხოლოდ სასაცილოდ გადაქცეულ ფანტაზიებში და ასეთი «სიგიჟის» წინააღმდეგ თავიანთი საკუთარი ფხიზელი აზროვნების უპირატესობა ამტკიცონ. ჩვენ უფრო გვახარებს გენიოსური იდეებისა და გენიოსური აზრების ჩანასახები, რომლებიც ყველგან გამოსჭვივის ფანტასტიკური საბურველის ქვეშ და რომელთა დასანახავად ის ფილისტერები ბრმები არიან.

[სენ-სიმონი საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირმშო იყო, ამ რევოლუციის დასაწყისში იგი ჯერ კიდევ მიღწეული არ იყო ოცდაათი წლის ასაკს. რევოლუცია გამარჯვება იყო მესამე წოდებისა, ე. ი. ერის უმრავლესობისა, რომელიც წარმოებასა და ვაჭრობაში იყო ჩ ა ბ მ უ ლ ი, თავადაზნაურობასა და სამღვდელოებაზე, რომლებიც მანამდე პრივილეგიურ და მ ც ო ნ ა რ ა წოდებებს წარმოადგენდნენ. მაგრამ მალე მესამე წოდების გამარჯვება სინამდვილეში ამ წოდების მხოლოდ პატარა ნაწილის გამარჯვება აღმოჩნდა; იგი იმაში გამოიხატა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება მისმა სოციალურად პრივილეგირებულმა ფენამ, შეძლებულმა ბურჟუაზიამ დაიპყრო. ამასთანავე ეს ბურჟუაზია სწრაფად განვითარდა ჯერ კიდევ რევოლუციის პროცესში, ერთი მხრივ, თავადაზნაურობისა და ეკლესიის კონფისკაციაქმნილი და შემდეგ გ ა ყ ი დ უ ლ ი მიწათსაკუთრების სპეკულაციით, მეორე მხრივ, სამხედრო მიმწოდებელთა მიერ ერის მოტყუებით. სწორედ ამ სპეკულიანტების ბატონობამ დირექტორიის ეპოქაში საფრანგეთი და რევოლუცია დაღუპვის პირას მიიყვანა და ამით ნაპოლეონს საბაბი მისცა სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა. ამრიგად, სენ-სიმონის თავში წინააღმდეგობამ მესამე წოდებასა და პრივილეგირებულ წოდებებს შორის მიიღო «მშრომელთა» და «უქმთა» წინააღმდეგობის ფორმა. «უქმთ» ეკუთვნოდნენ არა მარტო

ძველი პრივილეგირებული ელემენტები, არამედ ყველა, ვინც მონაწილეობას არ იღებდა წარმოებასა და ვაჭრობაში და თავისი რენტით ცხოვრობდა. «მშრომელებად» კი ითვლებოდნენ არა მარტო დაქირავებული მუშები, არამედ ფაბრიკანტებიც, ვაჭრებიც, ბანკირებიც. უცილობელი იყო, რომ უქმმა ელემენტებმა დაკარგეს სულიერი ხელმძღვანელობის და პოლიტიკური ბატონობის უნარი. ეს საბოლოოდ დამტკიცებული იყო რევოლუციის მიერაც. მაგრამ, სენ-სიმონის აზრით, ტერორის ეპოქის გამოცდილება იმასაც მოწმობდა, რომ უქონელი კლასებიც არ ფლობდნენ ამ უნარს. მაშ ვის უნდა გაეწია ხელმძღვანელობა და ბატონობა? სენ-სიმონის შეხედულებით — მეცნიერებასა და მრეწველობას, გაერთიანებულთ ახალი სარწმუნოებრივი კავშირით, აუცილებლად მისტიკური და მკაცრი იერარქიული «ახალი ქრისტიანობით», რომელიც მოწოდებული იყო აღედგინა რეფორმაციის დროიდან დარღვეული მთლიანობა რელიგიური შეხედულებებისა. მაგრამ მეცნიერებას სწავლულები წარმოადგენდნენ, ხოლო მრეწველობას, უწინარეს ყოველისა, აქტიური ბურჟუები, ფაბრიკანტები, ვაჭრები, ბანკირები. მართალია, ეს ბურჟუები რაღაც საჯარო მოხელეების, მთელი საზოგადოების რწმუნებულების მაგვარი რამ უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ მუშების მიმართ ისინი მაინც ინარჩუნებდნენ განმკარგულებელ ფუნქციებს და აგრეთვე ეკონომიურად პრივილეგირებულ მდგომარეობას. რაც შეეხება ბანკირებს, სწორედ ისინი იყვნენ მოწოდებული მთელი საზოგადოებრივი წარმოება მოეწესრიგებინათ კრედიტის მოწესრიგების შემწეობით. — ასეთი შეხედულება სავსებით შეეფერებოდა იმ ეპოქას, როდესაც საფრანგეთში ჯერ კიდევ მხოლოდ წარმოშობის პროცესში იყო მსხვილი მრეწველობა და მასთან ერთად ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის წინააღმდეგობა. მაგრამ, რასაც სენ-სიმონი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, ეს ის იყო, რომ ყველგან და ყოველთვის მას, უწინარეს ყოვლისა, «ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე ღარიბი კლასის» ბედი აინტერესებდა («la classe la plus nombreuse et la plus pauvre»).]

უკვე «წერილებში ჟენევიდან» სენ-სიმონი იმ დებულებას აყენებს, რომ «ყველამ უნდა იმუშაოსო». იმავე ნაწარმოებში იგი უკვე აღნიშნავს, ტერორის ბატონობა საფრანგეთში ქონებასმოკლებული მასების ბატონობა იყოო. «შეხედეთ, — ეუბნება იგი ამ მასებს, — რა მოხდა საფრანგეთში იმ დროს, როცა იქ თქვენი ამხანაგები ბატონობდნენ; მათ შიმშილი გამოიწვიეს». მაგრამ 1802 წ. უაღრესად გენიოსური აღმოჩენა იყო იმის გაგება, რომ საფრან-

გეთის რევოლუცია კლასობრივი ბრძოლა იყო [და არა მარტო თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის, არამედ აგრეთვე] თავადაზნაურობასა, ბურჟუაზიასა და ქონებასმოკლებულ კლასებს შორის. 1816 წელს სენ-სიმონი პოლიტიკას წარმოების მეცნიერებად აცხადებს და წინასწარმეტყველებს, ეკონომიკა სავსებით შთანთქავს პოლიტიკასო. თუ აქ მხოლოდ ჩანასახში ვხედავთ იმ გაგებას, რომ ეკონომიური მდგომარეობა პოლიტიკური დაწესებულებების ბაზისია, სამაგიეროდ სრულიად ნათლად გამოთქმულია ის აზრი, რომ პოლიტიკური მმართველობა, რომელიც ადამიანებს განაგებს, უნდა გადავიდეს მმართველობაში, რომელიც საგნებს განაგებს და წარმოების პროცესებს ხელმძღვანელობს, ერთი სიტყვით, ნათლად გამოთქმულია სახელმწიფოს გაუქმების აზრი, რომლის გარშემო ამ ბოლო დროს ამდენი ხმაურობა ასტეხეს. ასეთსავე უპირატესობას იჩენს სენ-სიმონი თავის თანამედროვეებთან შედარებით, როცა 1814 წელს, უშუალოდ პარიზში მოკავშირეების შესვლის შემდეგ, და მერე კიდევ 1815 წელს, ასი დღის ომის დროს, აცხადებს, პირველ რიგში საფრანგეთის და ინგლისის კავშირი, ხოლო მეორე რიგში ამ ორივე ქვეყნის კავშირი გერმანიასთან ერთადერთ საწინდარს წარმოადგენს ევროპის წარმატებით განვითარებისა და მშვიდობიანობისათვისო. რასაკვირველია, ცოტა მეტი გამბედაობა იყო საჭირო იმისათვის, რომ ადამიანს 1815 წელს ფრანგებისთვის ექადაგნა, კავშირი შეჰკარით ვატერლოოსთან გამარჯვებულ სახელმწიფოებთანო, ვიდრე ლაყბობით ჭორიკანული ომი გამოეცხადებინა გერმანელი პროფესორებისათვის [1].

თუ სენ-სიმონს ახასიათებს თვალთახედვის გენიოსური სიფართოვე, რის შემწეობითაც მას ჩანასახის ფორმაში მოეპოვება შემდგომი დროის სოციალისტების თითქმის ყველა აზრი, რომელიც არ ეკუთვნის წმინდა ეკონომიკურ დარგს, ფურიე იძლევა არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ფრანგულ გონებამახვილ, მაგრამ ამასთანავე არა ნაკლებ ღრმა კრიტიკას. ფურიე პირში უდგება ბურჟუაზიას, მის რევოლუციის წინადროინდელ აღფრთოვანებულ წინასწარმეტყველებს და მის, რევოლუციის შემდეგდროინდელ მოსყიდულ მლიქვნელებს. იგი ულმობელად ამხელს ბურჟუაზიული მსოფლიოს მატერიალურ და ზნეობრივ უბადრუკობას, იგი მას უპირდაპირებს [ადრინდელ] განმანათლებელთა გარეგნულად ბრწყინვალე აღ-

[1] ამ სიტყვებით ენგელსი, ალბათ, გადაკვრით შენიშნავს დიურინგის კონფლიქტს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორებთან. რ ე დ.

თქმებს, რომ დამყარდება საზოგადოება, სადაც მხოლოდ გონება იბეფებს, დამყარდება ყოვლის გამაბედნიერებელი ცივილიზაცია, სადაც ადამიანის გაუმჯობესების უნარი უსაზღვრო იქნებაო; იგი ამხელს აგრეთვე თავის თანამედროვე ბურჟუა-იდეოლოგების შეფერადებულ ფრაზეოლოგიას; ამტკიცებს, რომ მაღალფარდოვან ფრაზას ყველგან უბადრუკი სინამდვილე შეესაბამებაო და გესლიან დაცინვას ანთხევს ფრაზეოლოგიის ამ უიმედო მარცხს. ფურიე მარტო კრიტიკოსი როდია, მისი მუდამ ხალისიანი ბუნება მას სატირიკოსად აქცევს, ყველა ეპოქის უდიდეს სატირიკოსადაც კი. იგი არა მარტო ოსტატურად, არამედ სასაცილოდაც ხატავს რევოლუციის დანხობის შემდეგ აყვავებულ სპეკულაციას და საერთო მეწვრილმანურ სულს, რომელიც მაშინდელ საფრანგეთში ვაჭრობას მოედო. კიდევ უფრო ოსტატურია მისი კრიტიკა სქესობრივი ურთიერთობის ბურჟუაზიული ფორმისა და დედაკაცის მდგომარეობისა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მან პირველმა გამოთქვა ის აზრი, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში ქალის ემანსიპაციის დონე წარმოადგენს საყოველთაო ემანსიპაციის ბუნებრივ საზომს. მაგრამ ფურიე ყველაზე უფრო დიდებულად გვეჩვენება, როცა საზოგადოების ისტორიის კონცეფციას გვაძლევს. იგი მთელ მის ადრინდელ მსვლელობას განვითარების ოთხ საფეხურად ყოფს: ველურობა, ბარბაროსობა, პატრიარქატი და ცივილიზაცია. უკანასკნელი იგივეა, რასაც ამჟამად ბურჟუაზიულ საზოგადოებას ვუწოდებთ[1] [მაშასადამე, იგივეა, რაც მე-16 საუკუნიდან განვითარებული საზოგადოებრივი წესწყობილება]. ფურიე ამტკიცებს, «რომ ყოველ ბიწიერებას, რომელსაც ბარბაროსობა მარტივად ანხორციელებს, ცივილიზაციური წესწყობილება არსებობის, რთულ, ორაზროვან, ორპირ და ფარისევლურ ფორმად აქცევსო», რომ ცივილიზაცია «მოჯადოებულ წრეში» მოძრაობს, დაუძლეველ წინააღმდეგობებში, რომელთაც იგი მუდამ ხელახლა წარმოშობს, ისე რომ ცივილიზაცია მუდამ იმის საწინააღმდეგოს აღწევს, რის მიღწევაც მას ნამდვილად სურს ან რის მიღწევის სურვილსაც მოჩვენებით გვიმხელსო. ასე, მაგალითად, «ცივილიზაციაში სიღარიბე თვით სიჭარბისაგან წარმოდგება». როგორც აქედან ჩანს, ფურიე დიალექ-

1 წიგნის «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» ინგლისურ გამოცემაში, რომლის შესავალი ენგელსმა დაწერა. ეს ადგილი გადათარგმნილია შემდეგნირად: «ახლა ეგრეთწოდებული სამოქალაქო ანუ ბურჟუაზიული საზოგადოება». რ ე დ.

ტიკას ისევე ოსტატურად ფლობს, როგორც მისი თანამედროვე ჰეგელი. წინააღმდეგ ლაებობისა ადამიანის უსაზღვრო სრულქმნის უნარის შესახებ, ასევე დიალექტიკურად ამტკიცებს იგი, რომ ყოველ ისტორიულ ფაზას აქვს თავისი ზეაღმავალი, მაგრამ აგრეთვე ქვედაღმავალი ხაზიც და ამ თავის შეხედულებას უყენებს მთელი კაცობრიობის მომავალსაც. ისე როგორც კანტმა ბუნებისმეცნიერებაში დედამიწის მომავალი დაღუპვის იდეა შეიტანა, ასევე ფურიემ ისტორიის გაგებაში კაცობრიობის მომავალი დაღუპვის იდეა შეიტანა.—

. იმ დროს, როცა საფრანგეთს თავზე რევოლუციის ქარიშხალმა გადაუარა და გასწმინდა იგი, ინგლისში უფრო წყნარი, მაგრამ არა ნაკლებ ძალოვანი გადატრიალება ხდებოდა. ორთქლმა და ახალმა მანქანურმა წარმოებამ მანუფაქტურა თანამედროვე მსხვილ ინდუსტრიად აქცია და ამით ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი საძირკველი გაარევოლუციურა. მანუფაქტურული დროის ტაატით მავალი განვითარება შეცვალა წარმოების ნამდვილმა «ქარიშხლისა და შეტევის» პერიოდმა. სულ უფრო მზარდი სისწრაფით მოხდა საზოგადოების გათიშვა მსხვილ კაპიტალისტებად და ქონებასმოკლებულ პროლეტარებად, რომელთა შორის წინანდელი მყარი საშუალო წოდების ადგილას ახლა ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების ცვალებადი მასა მერყეე არსებობას ატარებდა, ეს იყო მოსახლეობის ყველაზე დენადი ნაწილი. წარმოების ახალი წესი ჯერ კიდევ თავისი ზეაღმავალი განვითარების დასაწყისში იმყოფებოდა; იგი ჯერ კიდევ ნორმალური [წესიერი], იმ პირობებში ერთადერთი შესაძლებელი წარმოების წესი იყო. მაგრამ მან უკვე მოასწრო თვალსაჩინო სოციალური უბედურებანი შეექმნა: უსახლკარო მოსახლეობამ თავი მოიყარა დიდი ქალაქების უსაზიზღრეს უბნებში, დაიშალა ყოველი ტრადიციული კავშირი წარმოშობისა, პატრიარქალური დაქვემდებარებისა, თვით ოჯახისა; არაქათის გამომცლელმა გადაქარბებულმა შრომამ, სამუშაო დღის გაგრძელებამ შემაძრწუნებელ ზომას მიაღწია განსაკუთრებით დედაკაცებისა და ბავშვებისათვის, დაიწყო ანაზდეულად ახალ პირობებში [სოფლიდან ქალაქად, მიწათმოქმედებიდან მრეწველობაში, ცხოვრების სტაბილური პირობებიდან ყოველდღიურად ცვალებად, არასაიმედო პირობებში] გადასროლილი მუშათა კლასის მასობრივი დემორალიზაცია. და აი ამ დროს რეფორმატორის როლში გამოვიდა ოცდაცხრა წლის ფაბრიკანტი, კაცი, რომელიც დიდბუნებოვანი და ბავშვივით შეურყვნელი ხასიათით იყო დაჯილდოებული

და ამავე დროს ადამიანების შეუდარებელი ხელმძღვანელი იყო. რობერტ ოუენმა შეითვისა XVIII საუკუნის მატერიალისტი განმანათლებლების მოძღვრება, რომ ადამიანის ხასიათი წარმოადგენს პროდუქტს, ერთი მხრივ, დაბადებიდან თანდაყოლილი ორგანიზაციისა, ხოლო მეორე მხრივ, მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში გარემომცველი პირობებისა, განსაკუთრებით კი განვითარების პერიოდში. მისი წოდებრივი თანამოძმეების უმრავლესობა სამრეწველო რევოლუციაში მხოლოდ არევ-დარევასა და ქაოსს ხედავდა, გამოსადეგს მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად და სწრაფად გასამდიდრებლად. ოუენი კი ამ რევოლუციაში ხედავდა ხელსაყრელ შემთხვევას თავისი საყვარელი იდეა განეხორციელებინა და ამ გზით წესრიგი შეეტანა ქაოსში. მან ეს ჯერ კიდევ მანჩესტერში სცადა როგორც ხუთას-მუშიანი ფაბრიკის ხელმძღვანელმა და წარმატებასაც მიაღწია; 1800 წლიდან 1829 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა ნიუ-ლენარკის დიდ ბამბის სართავ ფაბრიკას შოტლანდიაში, იგი კომპანიონი იყო საწარმოოში, აქ იგი იმავე მიმართულებით მოქმედებდა, მაგრამ მოქმედების უფრო მეტი თავისუფლებით და ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ მისი სახელი ჩქარა ცნობილი გახდა მთელ ევროპაში. ნიუ-ლენარკის მოსახლეობა, რომელმაც თანდათან 2500 სულს მიაღწია და რომელიც თავდაპირველად მეტისმეტად შერეული და მეტწილად ძლიერ დემორალიზებული ელემენტებისაგან შედგებოდა, მან ნამდვილ სანიმუშო ახალშენად აქცია, სადაც ლოთობა, პოლიცია, სისხლის სასამართლოები, პროცესები, ღარიბებზე ზრუნვა, ქველმოქმედების საჭიროება უცნობი ამბები გახდა. და ოუენმა ამას უბრალოდ იმით მიაღწია, რომ ადამიანები ღირსეულ ადამიანურ პირობებში ჩააყენა და განსაკუთრებით ზრუნავდა, რომ ნორჩი თაობა კარგად აღზრდილიყო. ოუენმა მოიგონა და პირველად აქ, ნიუ-ლენარკში შემოიღო საბავშვო ბაღები. ამ სკოლაში ბავშვებს ორი წლიდან იღებდნენ და ისე კარგად ერთობოდნენ ისინი იქ, რომ ძნელი ხდებოდა მათი შინ წაყვანა. მაშინ როცა მისი კონკურენტები მუშებს დღიურად ცამეტიდან თოთხმეტ საათამდე ამუშავებდნენ, ნიუ-ლენარკში მუშაობა მხოლოდ ათსაათნახევარი გრძელდებოდა. როცა ბამბის კრიზისმა ფაბრიკის მუშაობა ოთხი თვით შეაჩერა, უქმად დარჩენილ მუშებს სრული ხელფასი ეძლეოდა. ამავე დროს ფაბრიკის ღირებულება ორჯერ და უფრო მეტადაც გაიზარდა და იგი ბოლომდე უხვ შემოსავალს აძლევდა მის მესაკუთრეებს.

მაგრამ ყოველივე ეს ოუენს როდი აკმაყოფილებდა. არსებობის ის პირობები, რომელიც მან თავის მუშებს შეუქმნა, მისი შეხედულებით ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ შეეფერებოდა ადამიანის ღირსებას; «ეს ადამიანები ჩემი მონები იყვნენო», — ამბობდა იგი. შედარებით ხელსაყრელი პირობები, რომელშიც მან ნიუ-ლენარკის მუშები ჩააყენა, საკმაო არ იყო ხასიათისა და გონების ყოველმხრივი და რაციონალური განვითარებისათვის, მით უმეტეს სასიცოცხლო ძალების თავისუფლად ასამოქმედებლად. «ამისდა მიუხედავად ამ 2500 კაცის მშრომელი ნაწილი იმდენსავე რეალურ სიმდიდრეს აწარმოებდა საზოგადოებისთვის, რამდენსაც სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინათ მხოლოდ 600 000 სულისგან შემდგარი მოსახლეობა თუ შექმნიდა. მე ჩემ თავს ვეკითხებოდი: სად მიდის ის განსხვავება, რომელიც არსებობს 2500 პირის მიერ ჩანთქმულ სიმდიდრესა და იმ სიმდიდრეს შორის, რომელიც 600 000 პირს უნდა ჩაენთქა?». პასუხი ნათელი იყო. ეს განსხვავება იმაზე იხარჯებოდა, რომ ფაბრიკის მფლობელებს საწარმოოში დაბანდებულ კაპიტალზე ხუთი პროცენტი მისცემოდა და ამას გარდა 300 000 გირვანქა სტერლინგზე (6000 000 მარკა) მეტი მოგება დარჩენოდათ. და ამ მხრივ რაც ნიუ-ლენარკის შესახებ ითქვა, იგივე შეიძლებოდა კიდევ უფრო მეტად ინგლისის ყველა ფაბრიკის შესახებ თქმულიყო. «ეს ახალი, მანქანების მიერ შექმნილი სიმდიდრე რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ომების წარმოება ნაპოლეონის დასამხობად და არისტოკრატიული საზოგადოებრივი პრინციპების შესანარჩუნებლად. და ეს ახალი ძალა ხომ მშრომელი კლასის შექმნილი იყო»[1]. ამიტომ მასვე უნდა ეკუთვნოდეს მისი ნაყოფიც.- ახალი, მძლავრი საწარმოო ძალები, რომელიც აქამდე მხოლოდ ცალკე პირების გამდიდრებასა და მასების დამონებას ემსახურებოდა, ოუენის შეხედულებით, საფუძველს წარმოადგენდა ახალი საზოგადოებრივი გარდაქმნისათვის, და მათი დანიშნულება ის იყო, რომ მათ, როგორც ყველას საზოგადოებრივ საკუთრებას შეეფერებოდა, მხოლოდ ყველას საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის გაეწიათ სამსახური.

---

[1] [მიმართვიდან, რომლის სათაურია «The Revolution in Mind and Practice» [«რევოლუცია გონებასა და პრაქტიკაში». რ ე დ.], «ევროპის ყველა წითელ რესპუბლიკელს, კომუნისტს და სოციალისტს» და საფრანგეთის 1848 წ. დროებით მთავრობას, მაგრამ მიმართულია აგრეთვე «დედოფალ ვიქტორიასადმი და მისი პასუხისმგებელი მრჩეველებისადმი»]. [ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა.]

ოუენის კომუნიზმი ასეთ წმინდა საქმიან ნიადაგზე აღმოცენდა, როგორც, ასე ვთქვათ, სოფდაგრული ანგარიშიანობის ნაყოფი. მან ბოლომდე შეინარჩუნა ეს პრაქტიკული ხასიათი. ასე, მაგალითად, 1823 წელს ოუენმა წინადადება შეიტანა კომუნისტური ახალშენები დაეარსოთ ირლანდიაში სიღატაკის მოსასპობადო, და თან დაურთო კაპიტალის აუცილებელი დაბანდების წლიური დანახარჯების და მოსალოდნელი შემოსავლის დაწვრილებითი ანგარიში. მის საბოლოოდ შედგენილ მომავალის გეგმაში დეტალების ტექნიკური დამუშავება საქმის ისეთი ცოდნითაა გატარებული, [ამასთანავე თანდართულია ისეთი სავარაუდო გეგმები, სამუშაო ნახაზები ფასადისა და ხედისა, ჩიტის საფრენ სიმაღლიდან], რომ საზოგადოებრივი რეფორმის ოუენისეულ მეთოდს თუ ერთხელ დავეთანხმეთ, მისი დეტალურად მოწყობის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით თვით სპეციალისტის თვალსაზრისითაც კი.

კომუნიზმზე გადასვლა მობრუნების პუნქტს წარმოადგენდა ოუენის ცხოვრებაში. სანამ იგი გამოდიოდა როგორც უბრალო ფილანტროპი, მხოლოდ სიმდიდრეს, მოწონებას, პატივს და სახელს იხვეჭდა. იგი ყველაზე პოპულარული ადამიანი იყო ევროპაში. მას კეთილგანწყობილად ყურს უგდებდნენ არა მარტო მისი წოდებრივი თანამოძმეები, არამედ სახელმწიფო მოღვაწეებიცა და მეფე-მთავრებიც. მაგრამ როგორც კი იგი თავისი კომუნისტური თეორიებით გამოვიდა, საქმის ვითარება შეიცვალა. მისი აზრით, უწინარეს ყოვლისა, სამი დიდი დაბრკოლება აფერხებდა საზოგადოებრივ რეფორმას: კერძო საკუთრება, რელიგია და ქორწინების თანამედროვე ფორმა. მან იცოდა, რა ელოდა, როცა იგი ამ დაბრკოლებებს თავს ესხმოდა: იგი გაძევებულ იქნებოდა ოფიციალური საზოგადოებიდან და მთელ თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას დაკარგავდა. მაგრამ მან უკან არ დაიხია და მედგარ შეტევაზე გადავიდა. მოხდა ის, რასაც ოუენი მოელოდა. იგი განდევნეს ოფიციალური საზოგადოებიდან, პრესამ დუმილის ბეჭედი დაადო მის სახელს; იგი გაღატაკდა მარცხით გათავებული კომუნისტური ცდების გამო ამერიკაში, სადაც მთელი თავისი ქონება გასწირა; ამის შემდეგ ოუენმა პირდაპირ მუშათა კლასს მიმართა და კიდევ ოცდაათი წელიწადი იმოღვაწა მის წრეში. ყოველი საზოგადოებრივი მოძრაობა, ყოველი რეალური წარმატება, რომელიც ინგლისში განხორციელდა მუშების ინტერესების კარნახით, ოუენის სახელთანაა დაკავშირებული. ასე, მაგალითად, 1819 წელს მან, ხუთი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ, გაატარებინა პირველი

კანონი, რომელიც ქალების და ბავშვების მუშაობას ზღუდავდა ფაბრიკებში. ის თავმჯდომარეობდა პირველ კონგრესს, სადაც მთელი ინგლისის ტრედ-უნიონები ერთ დიდ პროფესიულ კავშირში გაერთიანდნენ. მანვე მოაწყო, როგორც საზოგადოების სრულ კომუნისტურ წესწყობილებაზე გადასასვლელი ღონისძიებანი, კოოპერაციული საზოგადოებანი (სამომხმარებლო და საწარმოო ამხანაგობანი), რომელთაც, ამის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკულად დაამტკიცეს, რომ როგორც ვაჭარი, ისე ფაბრიკანტი მეტად ადვილად დასათმობი პირები ყოფილან; ამას გარდა, მან მოაწყო მუშათა ბაზრები, სადაც შრომის პროდუქტები შრომითი ქაღალდის ფულის შემწეობით იცვლებოდა; ამ ფულის ერთეულს სამუშაო საათი შეადგენდა; ამ ბაზრებს აუცილებლად მარცხი უნდა განეცადა, მაგრამ მათ საესებით დაასწრეს გაცილებით უფრო გვიან წარმოშობილ პრუდონისეულ საცვლელ ბანკს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი, ამ ბანკის მსგავსად, ყოველი საზოგადოებრივი ბოროტების უნივერსალურ წამლად კი არ ითვლებოდნენ, არამედ მხოლოდ პირველ ნაბიჯად მთელი საზოგადოების უფრო რადიკალური გარდაქმნის გზაზე.

ასეთი არიან ის ადამიანები, რომელთაც სუვერენული ბატონი დიურინგი თავისი «საბოლოო ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანციიდან» იმ ზიზღით უცქერის, რომლის რამდენიმე ნიმუში «შესავალში» მოვიყვანეთ. და ამ ზიზღს, ერთი მხრივ, თავისი საკმაო საფუძველი აქვს: სახელდობრ იგი არსებითად დაყრდნობილია სამივე უტოპისტის ნაწერების ჭეშმარიტად საშინელ უცოდინარობაზე. ასე, მაგალითად, სენ-სიმონის შესახებ ნათქვამია, რომ «მისი ძირითადი აზრი არსებითად სწორია და თუ ზოგიერთ ცალმხრივობას არ მივაქცევთ ყურადღებას, მას შეუძლია დღესაც ბიძგი მისცეს ნამდვილ გარდაქმნებს» ო. მიუხედავად იმისა, რომ ბატონ დიურინგს, როგორც ეტყობა, მართლაც ხელში სჭერია სენ-სიმონის ზოგიერთი ნაწარმოები, ოცდაშვიდ ნაბეჭდ გვერდზე, რომელიც ამ უტოპისტს ეხება, ისევე ამაოდ მოვძებნიდით სენ-სიმონის «ძირითად იდეებს», როგორც წინათ ამაოდ ვეძებდით «რას ნიშნავს» კენეს ეკონომიური ცხრილი «თვით კენეს მიხედვით», და იძულებული ვართ ბოლოს დაეკმაყოფილდეთ ფრაზით, რომ «წარმოსახკა და ფილანტროპული აფექტი... უაღრესად გადაჭარბებული ფანტაზიით ბატონობდა სენ-სიმონის მთელ იდეათა სფეროზეო». ფურიეს ნაწერებიდან იგი იცნობს და ყურადღებას აქცევს

მხოლოდ რომანისებური დეტალებით აღწერილ მომავლის ფანტაზიებს, რასაც «ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს» იმის დასამტკიცებლად, თუ რა დაუსრულებლად მაღლა დგას ბატონი დიურინგი ფურიესთან შედარებით, ვიდრე იმის გამორკვევას, «როგორ ცდილობს ეს უკანასკნელი ნამდვილი პირობები გ ა კ ვ რ ი თ გააკრიტიკოს». გაკვრითო! ფურიეს ნაწერების თითქმის ყოველ გვერდზე სატირისა და კრიტიკის ნაპერწკლები იფრქვევა მრავალქებული ცივილიზაციის უბადრუკობათა მიმართ. ეს იგივეა, რომ კაცმა თქვას, ბატონი დიურინგი მხოლოდ «გაკვრით» აცხადებს ბატონ დიურინგს ყველა ეპოქის უდიდეს მოაზროვნედო. რაც შეეხება თორმეტ გვერდს, რომელიც რობერტ ოუენისადმია მიძღვნილი, ბატონ დიურინგს ამისთვის აბსოლუტურად სრულიად სხვა წყარო არ აქვს, გარდა ფილისტერი სარგანტის ბეჩავი ბიოგრაფიისა, რომელიც აგრეთვე ვერ იცნობდა ოუენის უმნიშვნელოვანეს ნაწერებს ქორწინებისა და კომუნისტური წესწყობილების შესახებ. ამით აიხსნება ბატონი დიურინგის კადნიერი მტკიცება, ოუენის თხზულებებში «არ უნდა ვიგულისხმოთ მედგარი კომუნიზმის არსებობაო». რასაკვირველია, ბატონ დიურინგს რომ ოდესმე ხელში ოუენის «Book of the New Moral World»[1] სჭეროდა, იგი იქ აღმოაჩენდა არა მარტო ყოვლად მედგარი კომუნიზმის პირდაპირ ფორმულირებას ყველასთვის თანასწორი შრომის ვალდებულებით და თანასწორი უფლებით პროდუქტზე (თანასწორს ასაკის მიხედვით, როგორც მუდამ უმატებს ოუენი), არამედ აგრეთვე მომავალი კომუნისტური თემის შენობის სრულ შემუშავებასაც გეგმითა, ნახაზითა და ჩიტის საფრენი სიმაღლიდან დანახული საერთო ხედით. მართლაც «სოციალისტურ იდეათა წრის წარმომადგენელთა საკუთარი ნაწერების უშუალო შესწავლა» რომ ზოგიერთი ამ ნაწერის სათაურის და, უკიდურეს შემთხვევაში, კიდევ ე პ ი გ რ ა ფ ე ბ ი ს ცოდნით განვსაზღვროთ, როგორც ამას ბატონი დიურინგი ჩადის, არაფერი დაგვრჩება, გარდა ასეთი უაზრო და პირდაპირ მოგონილი მტკიცებისა. ოუენი არა მარტო ქადაგებდა «მედგარ კომუნიზმს», იგი პრაქტიკულადაც ახორციელებდა მას ხუთი წლის განმავლობაში (ოცდაათიანი წლების დამლევსა და ორმოციანი წლების დამდეგს) «Harmony Hall»-ის[2] ახალშენში, ჰემპშირში, და მისი კომუნიზმი იმდენად რადიკალური იყო, რომ მეტის მოთხოვნა.

---

1 «წიგნი ახალი მორალური ქვეყნის შესახებ». რ ე დ.

2 «ჰარმონიის სახლი». რ ე დ.

შეუძლებელი იყო. თვით მე ვიცნობდი ამ სანიმუშო კომუნისტური ექსპერიმენტის რამდენიმე ყოფილ წევრს. მაგრამ ყოველივე ამაზე, ისე როგორც საზოგადოდ ოუენის მოღვაწეობაზე 1836 წელს და 1850 წელს შორის, სარგანტმა აბსოლუტურად არაფერი იცის, და ამიტომ ბატონი დიურინგის «უღრმესი ისტორიოგრაფიაც» უმეცრების წყვდიადითაა მოცული. ბატონი დიურინგი ოუენს «ყოველმხრივ ფილანტროპული დაჟინების ნამდვილ საშინელებას» უწოდებს. ხოლო თუ იგივე ბატონი დიურინგი იმ წიგნების შინაარსს მოგვითხრობს, რომელთა სათაური და ეპიგრაფიც კი ძლივს იცის, ჩვენ მაინც არ უნდა ვთქვათ, იგი «ყოველმხრივ უმეცარი დაჟინებულობის ნამდვილი საშინელებაა»-ო, იმიტომ რომ ამგვარ ფრაზას, ჩ ე ნ გ ა ნ თქმულს, «გინებას» უწოდებს.

ჩვენ დავინახეთ, რომ უტოპისტები უტოპისტები იყვნენ იმიტომ, რომ მათ არ შეეძლოთ სხვა რაიმე ყოფილიყვნენ იმ დროს, როცა კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ ასე სუსტად იყო განვითარებული. ისინი იძულებული იყვნენ ახალი საზოგადოების ელემენტები თავიანთი თავებიდან აეგოთ, იმიტომ რომ ეს ელემენტები თვით ძველ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ყველასათვის თვალსაჩინოდ არ ისახებოდნენ; თავიანთი ახალი შენობის ძირითადი გეგმის შესადგენად მათ მხოლოდ გონებისთვის უნდა მიემართათ, იმიტომ რომ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ თავიანთი თანამედროვე ისტორიისათვის მიემართათ. ხოლო თუ დღეს, თითქმის ოთხმოცი წლის შემდეგ მათი გამოსვლის დღიდან, ბატონი დიურინგი ასპარეზზე გამოდის პრეტენზიით, რომ ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების «ხელმძღვანელი» სისტემა არსებული, ისტორიულად განვითარებული მასალიდან კი არ გამომყავს როგორც მისი აუცილებელი შედეგი, არამედ მას ჩემი საკუთარი სუვერენული თავიდან, «საბოლოო ჭეშმარიტებებით» დამძიმებული გონებიდან ვაშენებო, ამ შემთხვევაში ეს ადამიანი, რომელიც ყველგან ეპიგონებს ეძებს სუნით, თვითონ მხოლოდ უტოპისტების ეპიგონია, უახლესი უტოპისტია. იგი დიდ უტოპისტებს «სოციალურ ალქიმიკოსებს» უწოდებს. დაე თუნდაც ასე იყოს. ალქიმია თავისი დროისათვის აუცილებელი იყო. მაგრამ მას შემდეგ მსხვილმა წარმოებამ ისე გაამძაფრა წინააღმდეგობანი, რომლებიც წარმოების კაპიტალისტურ წესში თვლემდნენ, რომ ამ წარმოების წესის მოახლოებული კრახი, ასე ვთქვათ, ხელშესახები გახდა; თვით ახალი საწარმოო ძალები შეიძლება შენარჩუნებულ და განვითარებულ იქნენ წარმოების ახალი, მათი თანამედროვე განვითარების საფეხურის შესაფერი წესის შემოღებით;

ბრძოლამ ორ კლასს შორის, რომლებიც წარმოების აქამდე არსებული წესით არიან შექმნილი და რომელთა მუდმივი კვლავწარმოება ხდება სულ უფრო გამძაფრებული წინააღმდეგობით, ყველა ცივილიზებული ქვეყანა მოიცვა და ეს ბრძოლა დღითი დღე უფრო ღვივდება. ამიტომ ახლა უკვე მიღწეულია გაგება როგორც ამ ისტორიული ურთიერთკავშირისა, ისე იმ სოციალური გარდაქმნის პირობებისა, რომელიც ამ ურთიერთკავშირის ძალით აუცილებელი გამხდარა, აგრეთვე გაგებულია უკვე ამ გარდაქმნის ძირითადი ხაზები. და თუ ბატონი დიურინგი ამჟამად.ახალ უტოპისტურ საზოგადოებრივ წესწყობილებას აკოწიწებს არა მოცემული ეკონომიური მასალიდან, არამედ თავისი უზენაესი ტვინის ქალიდან, საკმაო აღარაა იმის თქმა, რომ იგი მხოლოდ უბრალო «სოციალურ ალქიმიას» მისდევსო. იგი ისე იქცევა, როგორც ადამიანი, რომელიც თანამედროვე ქიმიის კანონების აღმოჩენისა და დადგენის შემდეგ ხელახლა ძველი ალქიმიის აღდგენას მოისურვებდა ატომურ წონას, მოლეკულურ ფორმულებს, ატომთა ვალენტობას, კრისტალოგრაფიას და სპექტრალურ ანალიზს მხოლოდ ფილოსოფიური ქვის აღმოსაჩენად გამოიყენებდა.

II

თეორიული ნარკვევი

ისტორიის მატერიალისტური გაგება იმ დებულებიდან გამოდის, რომ წარმოება და წარმოების კვალდაკვალ პროდუქტების გაცვლა ყოველი საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველს წარმოადგენს; რომ ყოველ ისტორიაში გამოსულ საზოგადოებაში პროდუქტების განაწილება და მასთან ერთად სოციალური დანაწილება კლასებად თუ წოდებებად იმის მიხედვით წარიმართება, თუ რა იწარმოება და როგორ იწარმოება და როგორ ხდება ნაწარმოების გაცვლა. ამისდა მიხედვით ყოველი საზოგადოებრივი ცვლილების და პოლიტიკური გადატრიალების საბოლოო მიზეზები უნდა ვეძებოთ არა ადამიანების თავებში, არა მათ მიერ სამართალისა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის თანდათან უკეთ გაგებაში, არამედ წარმოებისა და გაცვლის წესის ცვლილებებში; ისინი უნდა ვეძებოთ არა სათანადო ეპოქის ფილოსოფიაში, არამედ მის ეკონომიკაში. იმ შეგნების გაღვიძება, რომ არსებული საზოგადოებრივი დაწესებულებანი უგუნურნი და უსამართლონი არიან, რომ «გონიერება უგუნურებად იქცა, ხოლო სიკე-

თე ტანჯვად»[1], მხოლოდ იმის ნიშანია, რომ წარმოების მეთოდებსა და გაცვლის ფორმებში შეუმჩნეველად ისეთი ცვლილებები მოხდა, რომელთაც აღარ ეგუება წინანდელი ეკონომიური პირობების თარგზე გამოჭრილი საზოგადოებრივი წესწყობილება. ამით ისიც არის თქმული, რომ საშუალებები გამომეღავნებული ბოროტების მოსასპობად მეტად თუ ნაკლებად განვითარებული სახით უნდა მოიპოვებოდეს აგრეთვე თვით შეცვლილ წარმოებით ურთიერთობებში. შეუძლებელია ამ საშუალებათა გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა ადამიანის თავიდან, ისინი ადამიანის თავმა წარმოების მოცემულ მატერიალურ ფაქტებში უნდა ა ღ მ ო ა ჩ ი ნ ო ს.

როგორია ამასთან დაკავშირებით თანამედროვე სოციალიზმის ვითარება?

თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილება, როგორც ეს ახლა თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, შექმნა ამჟამად გაბატონებულმა კლასმა, ბურჟუაზიამ. ბურჟუაზიის დამახასიათებელი წარმოების წესი, რომელსაც მარქსის შემდეგ წარმოების კაპიტალისტური წესი ეწოდება, ვერ ურიგდებოდა ფეოდალური წესწყობილების ადგილობრივ და წოდებრივ პრივილეგიებსა და ურთიერთ პიროვნულ კავშირებს; ბურჟუაზიამ დალეწა ფეოდალური წესწყობილება და მის ნანგრევებზე აღმართა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილება, თავისუფალი კონკურენციის, თავისუფალი მიმოსვლის, საქონელთმფლობელების თანასწორუფლებიანობისა და სხვა ბურჟუაზიულ მშვენიერებათა სამეფო. ახლა წარმოების კაპიტალისტურ წესს შეეძლო თავისუფლად განვითარებულიყო. მას შემდეგ, რაც ორთქლმა და ახალმა მანქანურმა წარმოებამ ძველი მანუფაქტურა მსხვილ ინდუსტრიად აქცია, ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით შემუშავებული საწარმოო ძალები მანამდე გაუგონარი სისწრაფითა და მანამდე გაუგონარი მასშტაბით განვითარდნენ. მაგრამ როგორც თავის დროზე მანუფაქტურა და მისი ზეგავლენით განვითარებული ხელოსნობა შეეჯახა საამქროების ფეოდალურ ბორკილებს, ისე დღეს სავსებით განვითარებული მსხვილი ინდუსტრია ეჯახება იმ ვიწრო ჩარჩოებს, რომელშიც იგი წარმოების კაპიტალისტურმა წესმა ჩაჭედა. ახალმა საწარმოო ძალებმა უკვე ზრდაში გადაასწრეს მათი გამოყენების ბურჟუაზიულ ფორმას; და ეს კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოების წესს შორის ადამიანების თავებში წარმოშობილ კონფლიქტს როდი წარმოადგენს, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის პირველყოფილი ცოდვის კონფლიქ-

[1] მეფისტოფელის სიტყვები გოეტეს «ფაუსტი»-დან. რ ე დ.

ტი ღვთაებრივ სამართლიანობასთან, არამედ იგი ფაქტებში არსებობს, ობიექტურად, ჩვენს გარეშე, თვით იმ ადამიანების ნებისყოფისა და ყოფაქცევისაგან დამოუკიდებლად, რომლებმაც იგი შექმნეს. თანამედროვე სოციალიზმი მხოლოდ ამ ფაქტიური კონფლიქტის აზროვნებითი ანარეკლია, მისი იდეალური უკუასახვაა უწინარეს ყოვლისა იმ კლასის წევრების თავებში, რომელიც უშუალოდ იტანჯება მისი ზეგავლენით, სახელდობრ მუშათა კლასის თავში.

ხოლო რაში მდგომარეობს ეს კონფლიქტი?

კაპიტალისტური წარმოების გაჩენამდე, ე. ი. შუა საუკუნეებში, ყველგან არსებობდა წვრილი წარმოება, რომელიც დაფუძნებული იყო მშრომელთა კერძო საკუთრების ნიადაგზე მათი საწარმოო საშუალებების მიმართ: სოფლად ბატონობდა წვრილი, თავისუფალი ან მებეგრე ყმა გლეხების მიწათმოქმედება, ქალაქებში — ხელოსნობა. შრომის საშუალებანი — მიწა, სამიწათმოქმედო იარაღები, სახელოსნოები, სახელოსნო იარაღები — ცალკე პირების შრომის საშუალებები იყო და მხოლოდ ინდივიდუალური გამოყენებისათვის იყო გათვალისწინებული, მაშასადამე, ისინი აუცილებლად მცირე ზომისა, ჩია, შეზღუდული იყო. მაგრამ სწორედ ამიტომ ისინი, როგორც წესი, თვით მწარმოებელს ეკუთვნოდნენ. წარმოების კაპიტალისტური წესის და მისი მატარებლის, ბურჟუაზიის ისტორიული როლი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ამ დაქუცმაცებული, ვიწრო საწარმოო საშუალებებისთვის თავი მოეყარა, ისინი გაეფართოებინა, თანამედროვე წარმოების მძლავრად მოქმედ ბერკეტად ექცია. თუ როგორ შეასრულა მან ეს როლი XV საუკუნის შემდეგ წარმოების სამ ისტორიულ საფეხურზე — მარტივი კოოპერაციის, მანუფაქტურისა და მსხვილი მრეწველობის საფეხურზე,—ეს მარქსმა დაწვრილებით გადმოსცა «კაპიტალის» მეოთხე განყოფილებაში. მაგრამ როგორც იქვე დამტკიცებულია, ბურჟუაზიას არ შეეძლო ის შეზღუდული საწარმოო საშუალებანი ძლიერ საწარმოო ძალებად ექცია ისე, რომ ამავე დროს ისინი ცალკე პირთა საწარმოო საშუალებებიდან არ გადაქცეულიყვნენ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ, მხოლოდ ა დ ა მ ი ა ნ თ ა კ რ ე ბ უ ლ ი ს მიერ ერთად გამოყენებულ საწარმოო საშუალებებად. სართავი ჯარა, ხელის საქსოვი დაზგა, მჭედლის ურო შეცვალა სართავმა მანქანამ, მექანიკურმა საქსოვმა დაზგამ, ორთქლის ურომ; პატარა სახელოსნოს ადგილი დაიჭირა ფაბრიკამ, რომელიც რამდენიმე ასი და რამდენიმე ათასი ადამიანის შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვდა. და ისევე როგორც საწარმოო საშუალება, თვით

წარმოებაც ცალკე მოქმედებათა მთელი რიგიდან იქცა საზოგადოებრივი აქტების მთელ რიგად, ხოლო პროდუქტები — ცალკე პირის პროდუქტებიდან საზოგადოებრივ პროდუქტებად. ნართი, ქსოვილი, ლითონის საქონელი, რომელიც ახლა ფაბრიკიდან გამოდიოდა, იმ მრავალი მუშის საერთო პროდუქტი იყო, რომელთა ხელში მას უნდა გაევლო რიგრიგობით, სანამ დამზადდებოდა. არც ერთ პიროვნებას არ შეეძლო ცალკე ეთქვა: ეს მე გავაკეთე, ეს ჩემი პროდუქტიაო.

მაგრამ სადაც წარმოების ძირითად ფორმას წარმოადგენს შრომის სტიქიური [თანდათანობით, უგეგმოდ წარმოშობილი] დანაწილება საზოგადოებაში, ეს დანაწილება პროდუქტებს საქონელთა ფორმას აქცევს, ამ საქონელთა გაცვლა-გამოცვლა, ყიდვა-გაყიდვა განცალკევებულ მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს თავიანთი მრავალნაირი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ. ასე ხდებოდა შუა საუკუნეებში. მაგალითად, გლეხი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ყიდდა ხელოსანზე და სამაგიეროდ მისგან ხელოსნობის ნაწარმოებებს ყიდულობდა. ამ განცალკევებული მწარმოებლების, საქონლის მწარმოებლების საზოგადოებაში წარმოების ახალი წესი შეიჭრა. შრომის სტიქიურ, უგეგმო დანაწილებაში, როგორც იგი მთელ საზოგადოებაში იყო გაბატონებული, წარმოიშვა შრომის გეგმიანი დანაწილება, როგორც იგი ცალკე ფაბრიკაში იყო მოწყობილი: განცალკევებული წვრილი მწარმოებლების წარმოების გვერდით საზოგადოებრივი წარმოება წარმოიშვა. ორივე დარგის პროდუქტები ერთსა და იმავე ბაზარზე იყიდებოდა, მაშასადამე, დაახლოებით ერთსა და იმავე ფასებში. მაგრამ გეგმიანი ორგანიზაცია უფრო ძლიერი იყო, ვიდრე შრომის სტიქიური დანაწილება; იმ ფაბრიკებში, რომლებიც საზოგადოებრივ შრომას იყენებდნენ, პროდუქტების დამზადება უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე განცალკევებულ წვრილ მწარმოებლებს უჯდებოდათ. ცალკეულ მწარმოებელთა წარმოება მარცხს მარცხზე განიცდიდა სხვადასხვა დარგში ერთიმეორეზე მიყოლებით, საზოგადოებრივი წარმოება არევოლუციურებდა წარმოების მთელ ძველ წესს. მაგრამ მის ამ რევოლუციურ ხასიათს ისე ნაკლებ ცნობდნენ, რომ იგი, პირიქით, შემოღებულ იქნა როგორც საშუალება საქონლის წარმოების გასაძლიერებლად და ხელის შესაწყობად. საზოგადოებრივი წარმოება წარმოიშვა საქონლის წარმოების და საქონლის გაცვლის განსაზღვრულ, უკვე წინათ არსებულ ბერკეტებთან: სავაჭრო კაპიტალთან, ხელოსნობასთან, და-

ქირავებულ შრომასთან პირდაპირ კავშირში. რამდენადაც იგი თვით გამოვიდა როგორც საქონლის წარმოების ახალი ფორმა, საქონლის წარმოებისთვის დამახასიათებელი მითვისების ფორმები მისთვისაც სრულ მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ.

საქონლის წარმოებაში, როგორც იგი შუა საუკუნეებში განვითარდა, სრულიად შეუძლებელი იყო საკითხი დასმულიყო, ვის უნდა ეკუთვნოდეს შრომის ნაწარმოებიო. ჩვეულებრივ მას განცალკევებული მწარმოებელი ამზადებდა საკუთარი, ხშირად მის მიერვე დამზადებული ნედლი მასალისაგან, საკუთარი შრომის საშუალებებითა და თავისი საკუთარი ხელით ან თავისი ოჯახის ხელის მუშაობით. ასეთი მწარმოებელი სრულიადაც არ საჭიროებდა თავისი პროდუქტის მითვისებას, იგი მას ეკუთვნოდა თავისთავად. მაშასადამე, პროდუქტების საკუთრების უფლება საკუთარ შრომაზე იყო დაფუძნებული. თვით იქაც, სადაც სხვის დახმარებას იყენებდნენ, ეს უკანასკნელი, როგორც წესი, მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა და ხელფასს გარდა ხშირად სხვაფრივაც ჯილდოვდებოდა: შეგირდი და ქარგალი იმდენად სარჩოსა და ხელფასისთვის როდი მუშაობდნენ, რამდენადაც სასწავლებლად და ოსტატის წოდების მისაღებად. მაგრამ აი დაიწყო საწარმოო საშუალებათა კონცენტრაცია მსხვილ სახელოსნოებსა და მანუფაქტურებში, მათი გადაქცევა ნამდვილ საზოგადოებრივ საწარმოო საშუალებებად. მაგრამ ამ საზოგადოებრივ საწარმოო საშუალებებს და პროდუქტებს ისე ეპყრობოდნენ, თითქოს ისინი წინანდებურად ცალკე პირების საწარმოო საშუალებები და პროდუქტები იყვნენ. თუ მანამდე შრომის საშუალებათა მფლობელი პროდუქტს იმიტომ ითვისებდა, რომ იგი, როგორც წესი, მისი საკუთარი პროდუქტი იყო, ხოლო სხვისი დამხმარე შრომა გამონაკლისს წარმოადგენდა, შრომის საშუალებათა მფლობელი ახლაც განაგრძობდა პროდუქტის მითვისებას, თუმცა იგი აღარ წარმოადგენდა მისი შრომის პროდუქტს, არამედ მხოლოდ სხვისი შრომის პროდუქტი იყო. ამრიგად, საზოგადოებრივად წარმოებულ პროდუქტებს ახლა ითვისებდნენ არა ისინი, ვინც საწარმოო საშუალებანი ნამდვილად აამოძრავა და პროდუქტები ნამდვილად შექმნა, არამედ კაპიტალისტები. საწარმოო საშუალება და წარმოება არსებითად საზოგადოებრივი გახდა. მაგრამ ისინი დაექვემდებარნენ მითვისების ფორმას, რომლის წანამძღვარს ცალკე პირთა კერძო პროდუქცია წარმოადგენს, როდესაც, მაშასადამე, თვითეული

პირი ფლობს თავის საკუთარ პროდუქტს და ბაზარზე გააქვს იგი. წარმოების წესი ემორჩილება მითვისების ამ ფორმას, მიუხედავად იმისა, რომ იგი სპობს მის წანამძღვრებს[1]. ამ წინააღმდეგობაში, რომელიც წარმოების ახალ წესს მის კაპიტალისტურ ხასიათს ანიჭებს, თანამედროვეობის უკვე მთელი კოლიზიაა ჩანასახის სახით მოთავსებული. რამდენადაც წარმოების ახალი წესი წარმოების ყველა გადამწყვეტ დარგში და ყველა ეკონომიურად მნიშვნელოვან ქვეყანაში ბატონდებოდა და ინდივიდუალური წარმოება უმნიშვნელო ნაშთებამდე დაჰყავდა, მით უფრო მკაფიოდ უნდა გამომჟღავნებულიყო საზოგადოებრივი წარმოებისა და კაპიტალისტური მითვისების შეუთავსებლობა.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ კაპიტალისტებს მზამზარეულად დახვდათ დაქირავებული შრომის ფორმა. მაგრამ დაქირავებული შრომა არსებობდა როგორც გამონაკლისი, მეორადი დამხმარე საქმე, გარდამავალი მდგომარეობა. მიწის მუშას, რომელიც ხანდახან დღიურ სამუშაოს ჰკიდებდა ხელს, ორიოდე მორგენი საკუთარი მიწის ნაკვეთი ჰქონდა, რომლითაც მას შეეძლო გაპირვებით ეცხოვრა. საამქროს დებულებანი იმისთვის ზრუნავდნენ, რომ დღევანდელი ქარგალი ხვალ ოსტატი გამხდარიყო. მაგრამ ეს ყოველივე შეიცვალა, როგორც კი საწარმოო საშუალებანი საზოგადოებრივად იქცნენ და კაპიტალისტების ხელში დაგროვდნენ. წვრილი განცალკევებული მწარმოებლის როგორც წარმოების საშუალებათა, ისე პროდუქტის ღირებულება თანდათან დაეცა; ამ მწარმოებელს ისღა დარჩა, რომ კაპიტალისტს მიჰირაევებოდა. დაქირავებული შრომა, რომელიც წინათ გამონაკლისს და დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა, მთელი წარმოების წესად და ძირითად ფორმად იქცა; თუ იგი წინათ მუშის მეორეხარისხოვანი საქმიანობა იყო,

[1] აქ საჭირო არაა იმის განმარტება, რომ, თუ მითვისების ფორმა იგივე რჩება, მითვისების ხასიათი ზემოაღწერილი პროცესის მიერ არა ნაკლებ რევოლუციურდება, ვიდრე წარმოება. ვითვისებ მე საკუთარ პროდუქტს, თუ სხვის პროდუქტს, ეს, რასაკვირველია, მითვისების ორი მეტისმეტად განსხვავებული სახეა. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ დაქირავებული შრომა, რომელშიც ჩანასახისებურად წარმოების უკვე მთელი კაპიტალისტური წესია მოქცეული, მეტად დიდი ხნის მოვლენაა; ერთეული სახით, შემთხვევითი და გაბნეული ფორმით ჩვენ მას აქა-იქ ვხვდებით მთელი საუკუნეების მანძილზე ბონობის გვერდით. მაგრამ ეს ჩანასახი წარმოების კაპიტალისტურ წესად ბოლოდ მაშინ შეიძლებოდა განვითარებულიყო, როდესაც მისთვის აუცილებელი ისტორიული წინაპირობანი შეიქმნა. [ენგელსის შენიშვნა.].

ახლა მის ერთადერთ საქმიანობად იქცა. დროებით დაქირავებული მუშა იქცა დაქირავებულ მუშად მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში. ამავე დროს მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაქირავებული მუშების მასა არაჩვეულებრივად გადიდდა ფეოდალური წესწყობილების იმავდროული დარღვევის, ფეოდალი მებატონეების ამალის დაშლის, თავიანთი კარ-მიდამოებიდან გლეხების აყრისა და სხვ. წყალობით. მოხდა სრული გათიშვა, ერთი მხრივ, კაპიტალისტების ხელში თავმოყრილ საწარმოო საშუალებებსა, ხოლო, მეორე მხრივ, მწარმოებლებს შორის, რომლებსაც არაფერი გააჩნდათ, გარდა თავიანთი სამუშაო ძალისა. საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის არსებულმა წინააღმდეგობამ თავი იჩინა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ანტაგონიზმის სახით.

ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი სოლიდურად შეიჭრა საქონლის მწარმოებელთა, ცალკე მწარმოებელთა, საზოგადოებაში; ამ ცალკე მწარმოებელთა საზოგადოებრივი კავშირი ხორციელდებოდა მათი პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის საშუალებით. მაგრამ ყოველ საზოგადოებას, რომელიც საქონლის წარმოებაზეა დაყრდნობილი, ის თავისებურება ახასიათებს, რომ იქ მწარმოებლებს დაკარგული აქვთ ბატონობა თავიანთი საკუთარი საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართ. თვითეული პირი თავისთავად აწარმოებს, თავისი შემთხვევითი საწარმოო საშუალებებით და თავისი განსაკუთრებული გაცვლითი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. არავინ იცის, რამდენი გავა მისი საკუთარი ნაწარმოებიდან ბაზარზე, რამდენი მათგანი შევა საზოგადოდ მოხმარებაში; არავინ იცის, საჭირო იქნება თუ არა ნამდვილად მისი ერთპიროვნული შრომის პროდუქტი, აანაზღაურებს თუ არა თავის ხარჯს და საზოგადოდ შესაძლებელი იქნება თუ არა მისი გაყიდვა. საზოგადოებრივ წარმოებაში ანარქია მეფობს. მაგრამ საქონლურ წარმოებას, ისევე როგორც წარმოების ყოველ სხვა ფორმას, თავისი განსაკუთრებული, შინაგანი, მისგან განუყრელი კანონები აქვს; და ეს კანონები, ანარქიის მიუხედავად, ანარქიაში და ანარქიის შემწეობით გზას იკაფავენ; ეს კანონები აშკარავდებიან საზოგადოებრივი კავშირის ერთადერთ გადარჩენილ ფორმაში, გაცვლაში, და განცალკევებულ მწარმოებლებზე გავლენას ახდენენ როგორც კონკურენციის იძულებითი კანონები. მაშასადამე, ისინი თავდაპირველად უცნობი არიან თვით მწარმოებლებისათვის და ამ უკანასკნელთა მიერ ხანგრძლივი გა-

მოცდილების შემდეგ თანდათან უნდა იქნენ აღმოჩენილი. ამრიგად, ისინი დადგინდებიან მწარმოებელთა გარეშე და მათ წინააღმდეგ, როგორც წარმოების მათი ფორმის ბრმად მოქმედი ბუნებრივი კანონები. პროდუქტი ბატონობს მწარმოებლებზე.

შუა საუკუნეების საზოგადოებაში, განსაკუთრებით პირველ საუკუნეებში, წარმოება უმთავრესად თვითმოხმარებას ემსახურებოდა. იგი უპირატესად მხოლოდ მწარმოებლის და მისი ოჯახის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. სადაც, ისე როგორც სოფლად, პირადი დამოკიდებულების ურთიერთობანი არსებობდა, წარმოება აგრეთვე ფეოდალი მებატონის მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებდა. მაშასადამე, აქ გაცვლა არ არსებობდა, ამიტომ პროდუქტები არც ღებულობდნენ საქონლის ხასიათს. გლეხის ოჯახი თითქმის ყველაფერს აწარმოებდა, რაც მას სჭირდებოდა, როგორც ხელსაწყოებსა და ტანსაცმელს, ისე საარსებო საშუალებებს. გასაყიდი საქონლის წარმოება მან მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა აღმოჩნდა, რომ იგი გარდამეტს აწარმოებდა თავისი საკუთარი მოთხოვნილებისა და ფეოდალი მებატონის მიერ დადებული ნატურალური გადასახადების დაკმაყოფილების შემდეგ; ეს გარდამეტი, რომელიც საზოგადოებრივ გაცვლაში იქნა გადასროლილი, გასაყიდად იქნა გატანილი, საქონლად იქცა. რაც შეეხება ქალაქელ ხელოსნებს, მათ, რასაკვირველია, იმთავითვე გაცვლისთვის უნდა ეწარმოებინათ. მაგრამ ისინიც თავიანთი მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს საკუთარი ნაწარმოებით იკმაყოფილებდნენ; მათ ბაღები და პატარა მინდვრები ჰქონდათ, ისინი თავიანთ შინაურ პირუტყვს სათემო ტყეში აბალახებდნენ, საიდანაც საშენ და საწვავ მასალასაც ღებულობდნენ; დედაკაცები სელსა, მატყლსა და სხვ. ართავდნენ. ის იყო ჩნდებოდა წარმოება გაცვლის მიზნით, საქონლის წარმოება. ამით აიხსნებოდა გაცვლის ვიწრო ფარგლები, ბაზრის ვიწრო ფარგლები, წარმოების წესის სტაბილობა, კუთხური კარჩაკეტილობა გარექვეყნის მიმართ, გაერთიანება ადგილობრივი ჩარჩოების შიგნით, მარკის[1] არსებობა სოფლად, ამქრები კი ქალაქად.

მაგრამ საქონლის წარმოების გაფართოებასა და განსაკუთრებით წარმოების კაპიტალისტური წესის გაჩენასთან ერთად აშკარად და ძალოვანად ამოქმედდნენ საქონლის წარმოების მანამდე მთვლემარე კანონები. ძველი კავშირები დასუსტდა, ძველი კარ-

[1]—ძველგერმანული თემი. რ ე დ.

ჩაკეტილობის ზღუდეები დაირღვა, მწარმოებლები თანდათან დამოუკიდებელ, განცალკევებულ საქონლის მწარმოებლებად იქცნენ. საზოგადოებრივი წარმოების ანარქია გამომჟღავნდა და თანდათან გამძაფრდა. ის მთავარი იარაღი კი, რომლის შემწეობით წარმოების კაპიტალისტური წესი ამ ანარქიას აღვივებდა საზოგადოებრივ წარმოებაში, სწორედ ანარქიის საწინააღმდეგო მოვლენა იყო: ეს იყო წარმოების მზარდი ორგანიზაცია როგორც საზოგადოებრივი წარმოებისა წარმოების თვითეულ განცალკევებულ დარგში. ამ ბერკეტის შემწეობით მან ბოლო მოუღო ძველ მშვიდობიან სტაბილობას. როგორც კი იგი რომელიმე სამრეწველო დარგში შედიოდა, თავის გვერდით აღარ ითმენდა წარმოების ძველ მეთოდებს. სადაც იგი ხელოსნობას ეუფლებოდა, ანადგურებდა ძველ ხელოსნობას. შრომის ასპარეზი ბრძოლის ასპარეზად იქცა. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა [1] და მათმა მომდევნო კოლონიზაციამ გაამრავლა საქონლის გასაღების სფერო და დააჩქარა ხელოსნობის გადაქცევა მანუფაქტურად. ბრძოლა მარტო განცალკევებულ ადგილობრივ მწარმოებლებს შორის როდი ხდებოდა; ადგილობრივი ბრძოლები ნაციონალურ ომებად, XVII და XVIII საუკუნეების სავაჭრო ომებად იქცა [2]. ბოლოს, მსხვილმა მრეწველობამ და მსოფლიო ბაზრის წარმოშობამ ბრძოლა უნივერსალური გახადა, და მას გაუგონარი სიმძაფრე მისცა. ახლა წარმოების ბუნებრივ ან ხელოვნურად შექმნილ ხელსაყრელ პირობებზეა დამოკიდებული არა მარტო ცალკე კაპიტალისტების, არამედ მთელი სამრეწველო დარგების და მთელი ქვეყნების არსებობა. დამარცხებული უღმობლად ნადგურდება. ესაა დარვინისეული ბრძოლა ცალკეული არსებობისთვის, რომელიც ბუნებიდან გაათკეცებული გააფთრებით საზოგადოებაშია გადატანილი. მხეცის ბუნებრივი მდგომარეობა გვეველინება როგორც ადამიანის განვითარების მწვერვალი. წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და და კაპიტალისტურ მითვისებას შორის მეღავნდება როგორც წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა, ე რ თ ი მ ხ რ ი ვ, წ ა რ მ ო ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა-

[1] მათგან ყველაზე მთავარი იყო ამერიკის აღმოჩენა 1492 წელს ქრისტოფორ კოლუმბის მიერ და ინდოეთისაკენ საზღვაო გზის აღმოჩენა 1498 წელს პორტუგალელ ვასკო დე გამას მიერ. რ ედ.

[2] ეს ომები XVII და XVIII საუკუნეებში წარმოებდა პორტუგალიას, ესპანეთს, ჰოლანდიას, საფრანგეთსა და ინგლისს შორის იმისათვის, რომ დაუფლებოდნენ ინდოეთთან და ამერიკასთან ვაჭრობას და გადაექციათ ისინი კოლონიებად. ამ ომებიდან გამარჯვებული გამოვიდა ინგლისი, რომლის ხელში აღმოჩნდა XVIII საუკუნის დასასრულს მთელი მსოფლიო ვაჭრობა. რ ედ.

ციასა ცალკე ფაბრიკაში და, მეორე მხრივ, მთელ საზოგადოებაში გაბატონებულ წარმოების ანარქიას შორის.

წარმოების კაპიტალისტური წესი მოძრაობს მისთვის მისი წარმოშობითვე დამახასიათებელი წინააღმდეგობის გამოვლინების ამ ორ ფორმაში, გამოსავალს ვერ პოულობს და გარს უვლის «მოჯადოებულ წრეს», რომელიც მასში ჯერ კიდევ ფურიემ აღმოაჩინა. მაგრამ ფურიეს თავის დროს არ შეეძლო იმის დანახვა, რომ ეს წრე თანდათან ვიწროვდება, რომ მოძრაობა უფრო სპირალს წარმოადგენს და დასასრულს უნდა მიაღწიოს პლანეტების მოძრაობის მსგავსად ცენტრთან დაჯახებით. წარმოების საზოგადოებრივი ანარქიის მამოძრავებელი ძალა ადამიანთა დიდ უმრავლესობას თანდათან პროლეტარებად აქცევს, ხოლო პროლეტართა მასები თავის მხრივ წარმოების ანარქიას ბოლოს მოუღებენ. წარმოების სოციალური ანარქიის იგივე მამოძრავებელი ძალა მსხვილი მრეწველობის მანქანების დაუსრულებელი გაუმჯობესების შესაძლებლობას ყოველი ცალკე სამრეწველო კაპიტალისტისთვის იძულებით კანონად აქცევს, რათა თავისი მანქანები უფრო და უფრო გააუმჯობესოს, თუ უნდა რომ დაღუპვა თავიდან აიცილოს. მაგრამ მანქანათა გაუმჯობესება ნიშნავს ადამიანური შრომის გარკვეული რაოდენობის ზედმეტად გადაქცევას. თუ მანქანების შემოღება და გამრავლება ნიშნავდა ხელით მომუშავეთა მილიონობით განდევნას მანქანასთან მომუშავე რამდენიმე მუშის მიერ, მანქანების გაუმჯობესება ნიშნავს თვით უფრო მეტი და მეტი მანქანასთან მომუშავე მუშის განდევნას, ხოლო საბოლოო ინსტანციაში იმ მუშა ხელის გაძლიერებული მიწოდების წარმოშობას, რომელიც სჭარბობს მათს საშუალო მოთხოვნილებას კაპიტალის მხრივ. იქმნება მუშაობაში ჩაუბმელი მუშათა მასა, ნამდვილი სამრეწველო სარეზერვო არმია, როგორც მე მას უკვე 1845 წელს ვუწოდე [1], რომელიც მრეწველობის განკარგულებაშია, როცა ეს უკანასკნელი ინტენსიურად მუშაობს, ხოლო ქუჩაში რჩება, როცა აუცილებელი კრახი მოჰყვება ყოველ გამოცოცხლებას; ყოველ პერიოდში ეს სარეზერვო არმია ტყვიასავით ფეხებზე აწევს მუშათა კლასს არსებობისთვის ბრძოლის დროს, რომელსაც იგი კაპიტალის წინააღმდეგ აწარმოებს; იგი შრომის ხელფასის დაბალ დო-

[1] «Lage der arbeitenden Klasse in England. S. 109. [ენგელსის შენიშვნა.]. («მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში», გვ. 109). რედ.

ნეზე შემაკავებელი რეგულატორია, რომელიც ამ ხელფასს კაპიტალისტების მოთხოვნილების მიხედვით მუდამ დაბალ დონეზე აჩერებს. ამრიგად, ასე გამოდის, რომ მანქანები, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, კაპიტალის უძლიერეს საომარ იარაღად იქცევიან მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომ შრომის საშუალება მუშას განუწყვეტლივ საარსებო საშუალებას ართმევს ხელიდან, რომ მუშის საკუთარი პროდუქტი მუშის დამონების იარაღი ხდება. ასე ხდება, რომ შრომის საშუალებათა მომჭირნეობა იმთავითვე წარმოადგენს იმავე დროს სამუშაო ძალის ულმობელ განიავებას და შრომის ფუნქციის ნორმალური პირობების მტაცებლობას; რომ მანქანა, ეს უძლიერესი საშუალება სამუშაო დროის შესამოკლებლად, იქცევა უტყუარ საშუალებად მუშის და მისი ოჯახის მთელი სიცოცხლე აქციოს სამუშაო დროდ კაპიტალის ღირებულების გაზრდის მიზნით; ასე ხდება, რომ ზოგიერთთა გადაჭარბებული შრომა გულისხმობს სხვათა უმუშევრობას, და რომ მსხვილი ინდუსტრია, რომელიც მთელ დედამიწის ზურგზე ახალი მომხმარებლების დასაჭერად ნადირობს, შინ მშრომელი მასების მოხმარებას შიმშილის მინიმუმამდე საზღვრავს და ამით საკუთარ შინაურ ბაზარს ძირს უთხრის. «ის კანონი, რომელიც მუდამ იცავს წონასწორობას შეფარდებით ჭარბ მოსახლეობასა ანუ სამრეწველო სარეზერვო არმიასა და დაგროვების მოცულობასა და ენერგიას შორის, მიაჯაჭვავს მუშას კაპიტალზე უფრო მტკიცედ, ვიდრე ჰეფესტოს ურო პრომეთეოსს მიაჯაჭვავდა კლდეზე. ეს კანონი იწვევს კაპიტალის დაგროვების შესაფერ სიღატაკის დაგროვებას. ამრიგად, სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის იმავე დროს დაგროვება სიღატაკის; შრომით დატანჯულობის, მონობის, უვიცობის, გაველურების და ზნეობრივი დეგრადაციისა მოპირდაპირე პოლუსზე, ე. ი. იმ კლასის მხარეზე, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით აწარმოებს» (Marx. «Kapital». S. 671)[1]. მაგრამ წარმოების კაპიტალისტური წესისაგან პროდუქტთა სხვა განაწილების მოლოდინი იგივე იქნებოდა, რომ მოგვეთხოვა, რათა ბატარეის ელექტროდებმა, რომლებიც ბატარეასთან არიან შეერთებული, დაუშლელად დატოვონ წყალი და დადებით პოლუსზე ჟანგბადი არ დააგროვონ, ხოლო უარყოფითზე — წყალბადიო.

ჩვენ დავინახეთ, თუ თანამედროვე მანქანების უაღრესად განვითარებული გაუმჯობესების შესაძლებლობა, წარმოების ანარქიის

[1] «იხ. «კაპიტალი», ტ. I. 1930 წ., გვ. 592. რედ.

გამო საზოგადოებაში როგორ იქცევა ცალკეული მრეწველი კაპიტალისტებისთვის იძულებით კანონად, რათა თავიანთი მანქანები მუდმივ გაუმჯობესონ, მათი საწარმოო ძალა მუდამ ზევით ასწიონ. ასეთივე იძულებით კანონად იქცევა მათთვის თავიანთი წარმოების ფარგლების გაფართოების უბრალო ფაქტიური შესაძლებლობა. მსხვილი მრეწველობის უზარმაზარი გაფართოების ძალა, რომელთან შედარებით აირთა გაფართოების ძალა ნამდვილი ბავშვური თამაშობაა, გვევლინება როგორც ამ მრეწველობის რაოდენობრივი და თვისებრივი გაფართოების მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა, რომელიც ადვილად ძლევს ყოველ საწინააღმდეგო მოქმედებას. ეს საწინააღმდეგო მოქმედება იქმნება მოხმარებით, გასაღებით, ბაზრებით მსხვილი მრეწველობის პროდუქტებისთვის. მაგრამ ბაზრების როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური გაფართოების უნარი განისაზღვრება, უწინარეს ყოვლისა, სრულიად სხვა,ნაკლებ ენერგიულად მოქმედი კანონებით. ბაზრების გაფართოებას არ შეუძლია ფეხდაფეხ მისდიოს წარმოების გაფართოებას. შეჯახება აუცილებელი ხდება და რადგან მას, სანამ წარმოების თვით კაპიტალისტური წესი არ აუფეთქებია, არ შეუძლია კონფლიქტი გადაჭრას, ამიტომ იგი პერიოდული ხდება. კაპიტალისტური წარმოება ახალ «მოჯადოებულ წრეს» ჰქმნის.

მართლაც, 1825 წლიდან, როცა პირველმა საყოველთაო კრიზისმა იფეთქა, მთელი სამრეწველო და სავაჭრო ქვეყანა, ყველა ცივილიზებული ხალხის, მათი მეტად თუ ნაკლებად ბარბაროსი დანამატებით, წარმოება და გაცვლა დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ კალაპოტიდან ვარდება. აღებ-მიცემობა ჩერდება, ბაზრები ავსებულია, გაუსაღებელი პროდუქტები მასიურად ჰყრია, ნაღდი ფული უჩინარი ხდება, კრედიტი ჰქრება, ფაბრიკები უქმად დგანან, მშრომელ მასებს საარსებო საშუალებანი აკლიათ, იმიტომ რომ ბევრი საარსებო საშუალება აწარმოეს, გაკოტრება გაკოტრებას მოსდევს, აუქციონი — აქციონს. წლობით გრძელდება ეს შეფერხება, საწარმოო ძალები და პროდუქტები მასიურად ნიავდება და ნადგურდება, სანამ დაგროვილი საქონლის მასა მეტი ან ნაკლები გაიაფების ზეგავლენით ბოლოს არ გასაღდება, და წარმოება და გაცვლა ხელახლა თანდათან არ ამოძრავდება. მოძრაობის ტემპი თანდათან აჩქარდება, მრეწველობის ნაბიჯით სიარული ტარებაში გადადის, ეს უკანასკნელი ნავარდით ჭენებად იქცევა, ხოლო ნავარდით ჭენება — თავშეუკავებელ ოთხით ჭენებად,

ნამდვილ დაბრკოლებათა გადალახვის დოღად, რომელიც შეიპყრობს მრეწველობას, ვაჭრობას, კრედიტს და სპეკულაციას, რათა ბოლოს კისრისტეხვით ნახტომების შემდეგ ხელახლა კრახის ხრამში გადავარდეს. და ეს ამბავი კვლავ ხელახლა იწყება. 1825 წლის შემდეგ იგი ხუთჯერ განვიცადეთ და ამ წუთში (1877 წ.) მას მეექვსეჯერ განვიცდით. და ამ კრიზისების ხასიათი ისე ნათლადაა გამოკვეთილი, რომ ფ ურ ი ე მ ისინი ყველანი დაახასიათა, როცა პირველ მათგანს crise pléthorique[1], სიჭარბის კრიზისი უწოდა.

კრიზისების დროს წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის იძულებითი აფეთქების სახით იჩენს თავს, საქონლის ტრიალი დროებით წყდება; მიმოქცევის საშუალება, ფული, მიმოქცევის დაბრკოლება ხდება; საქონლის წარმოების და საქონლის მიმოქცევის ყველა კანონი ყირამალა დგება. ეკონომიური კოლიზია თავის მწვერვალს აღწევს: ხდება წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა გ ა ც ვ ლ ი ს წ ე ს ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ე ბ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რ ო მ ლ ი ს ა რ ტ ა ხ ე ბ შ ი ი ს ი ნ ი ა ღ ა რ ე ტ ე ვ ი ა ნ.

ის ფაქტი, რომ წარმოების საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ფაბრიკის შიგნით განვითარების იმ საფეხურს მიაღწია, სადაც იგი ვეღარ ეგუება მის გვერდით და მასზე მაღლა არსებულ წარმოების ანარქიას საზოგადოებაში, ეს ფაქტი თვით კაპიტალისტებისათვის ხელშესახებია კაპიტალების ძალდატანებითი კონცენტრაციით, რომელიც კრიზისების დროს ხდება მრავალი მსხვილი და კიდევ უფრო მეტი წვრილი კაპიტალისტის გაპარტახებით. წარმოების კაპიტალისტური წესის მთელი მექანიზმი მის მიერვე შექმნილი საწარმოო ძალების სიმძიმის ქვეშ მოქმედებას წყვეტს. მას აღარ ძალუძს საწარმოო საშუალებათა მთელი ეს მასა კაპიტალად აქციოს; ეს საშუალებები უქმად რჩება, ამიტომ უქმად უნდა დარჩეს მრეწველობის სარეზერვო არმიაც. საწარმოო საშუალებანი, საარსებო საშუალებანი, კაპიტალის განკარგულებაში მყოფი მუშები, წარმოებისა და საყოველთაო სიმდიდრის ყველა ელემენტი უხვად მოიპოვება. მაგრამ «სიჭარბე გაჭირვების და ნაკლებობის წყარო ხდება» (ფურიე), იმიტომ რომ სწორედ ის უშლის ხელს საწარმოო და საარსებო საშუალებებს კაპიტა-

[1] სიტყვასიტყვით — კრიზისი სისხლსიჭარბისაგან. რ ე დ.

ლად იქცნენ; იმიტომ რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საწარმოო საშუალებებს არ შეუძლიათ ამოქმედდნენ, თუ ჯერ კაპიტალად, ე. ი. ადამიანის სამუშაო ძალის ექსპლოატაციის საშუალებად არ იქცნენ. როგორც აჩრდილი ისე დგას მუშებსა და საწარმოო და საარსებო საშუალებებს შუა ამ საშუალებათა კაპიტალად გადაქცევის აუცილებლობა. მხოლოდ ის უშლის ხელს წარმოების საგნობრივი და პიროვნული ბერკეტების გაერთიანებას; მხოლოდ ის უშლის ხელს საწარმოო საშუალებებს იმოქმედონ, ხოლო მუშებს — იმუშაონ და იცხოვრონ. მაშასადამე, ერთი მხრივ, წარმოების კაპიტალისტური წესი თვით ამეღავნებს თავის უუნარობას — განაგრძოს ამ საწარმოო ძალთა გამგებლობა. მეორე მხრივ, თვით ეს საწარმოო ძალები გაძლიერებული ძალღონით მიისწრაფიან მოსპონ ეს წინააღმდეგობა, განთავისუფლდნენ ყოველივე იმისაგან, რაც მათ ახასიათებს როგორც კაპიტალს, ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ა ღ ი ა რ ე ბ უ ლ ი ქ ნ ე ს მ ა თ ი ხ ა ს ი ა თ ი რ ო გ ო რ ც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ე ბ ი ს ა.

ძლიერ გაზრდილი საწარმოო ძალების სწორედ ეს წინააღმდეგობა თავიანთი კაპიტალისტური თვისებების მიმართ, ეს მზარდი ძალდატანება, რომ აღიარებულ იქნეს მათი საზოგადოებრივი ბუნება, აიძულებს თვით კაპიტალისტთა კლასს, რომ მათ მოეპყრონ სულ უფრო და უფრო როგორც საზოგადოებრივ საწარმოო ძალებს, რამდენადაც ეს საზოგადოდ კაპიტალისტურ ურთიერთობაში შესაძლებელია. როგორც სამრეწველო აზვირთების პერიოდი მისი უსაზღვროდ გაბერილი კრედიტით, ისე კრახიც, რომელიც ანგრევს დიდ კაპიტალისტურ საწარმოებს, იწვევს საწარმოო საშუალებათა დიდი მასების განსაზოგადოების იმ ფორმას, რომელსაც სხვადასხვა სააქციო საზოგადოების სახით ვხედებით. ზოგიერთი ეს საწარმოო და სამიმოსვლო საშუალება, როგორც, მაგალითად, რკინიგზა, იმთავითვე ისეთი უზარმაზარია, რომ გამორიცხავს კაპიტალისტური ექსპლოატაციის ყოველ სხვა ფორმას. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე არც ეს ფორმაა საკმარისი; [ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობის ერთი და იმავე დარგის დიდი მწარმოებელნი გაერთიანდებიან ერთ «ტრესტში», კავშირში, გაერთიანებაში, წარმოების მოწესრიგების მიზნით. ისინი განსაზღვრავენ იმის საერთო რაოდენობას, რაც უნდა ნაწარმოებ იქნეს, ერთმანეთს შორის ინაწილებენ მას და ამრიგად თავს ახვევენ წინასწარ დადგენილ გასაყიდ ფასს. მაგრამ რადგანაც ასეთი ტრესტები საქმეებში პირველი დაბრკოლების-

თანავე უმეტესწილად დაიშლებიან ხოლმე, ამიტომ ისინი ამით კიდევ უფრო მეტად კონცენტრირებულ განსაზოგადოებას იწვევენ: მრეწველობის მთელი დარგი გადაიქცევა ერთადერთ დიდ აქციონერულ საზოგადოებად, კონკურენცია ქვეყნის შიგნით ადგილს უთმობს ამ საზოგადოების მონოპოლიას ამ ქვეყნის შიგნით. ასე მოუხდა ეს, მაგალითად, ჯერ კიდევ 1890 წელს, აგრეთვე ინგლისის ტუტეების წარმოებას, რომელიც მთელი 48 დიდი ფაბრიკის გაერთიანების შემდეგ გადავიდა ერთადერთ, ერთიანი ხელმძღვანელობისა და 120 მილიონი მარკის ოდენობის კაპიტალის მქონე საზოგადოების ხელში.

ტრესტებში თავისუფალი კონკურენცია მონოპოლიად იქცევა, ხოლო კაპიტალისტური საზოგადოების უგეგმო წარმოება კაპიტულაციას ახდენს მომავალი სოციალისტური საზოგადოების გეგმიანი წარმოების წინაშე. მართალია, თავიდან იგი მხოლოდ კაპიტალისტებისათვის არის ხელსაყრელი და სახეირო. მაგრამ ამ თავისი ფორმით ექსპლოატაცია იმდენად ხელშესახებია, რომ იგი უნდა დაემხოს. არც ერთი ხალხი დიდ ხანს არ შეურიგდებოდა წარმოებას, რომელსაც ტრესტები ხელმძღვანელობენ, მთელი საზოგადოების დაუფარავ ექსპლოატაციას მცირერიცხოვანი კუპონისმკრეჭ ბანდის მხრივ.

ასეა თუ ისე, ტრესტებითა თუ უტრესტებოდ, საბოლოოდ] კაპიტალისტური საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი,სახელმწიფო, იძულებული ხდება წარმოების ხელმძღვანელობა იკისროს[1].

[1] ვამბობ, ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ხდება — მეთქი, იმიტომ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საწარმოო ან მიმოსვლის საშუალებანი ზრდაში მ ა რ თ ლ ა ც გასწრებენ აქციონერულ საზოგადოებათა ხელმძღვანელობას, მაშასადამე, როცა მათი გასახელმწიფოებრივება ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ აუცილებელი ხდება, მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუნდაც მას თანამედროვე სახელმწიფო ახდენდეს, იგი ეკონომიურ პროგრესს წარმოადგენს, ახალი საფეხურის მიღწევას იმ გზაზე, რომ ყველა საწარმოო ძალა დაიპყროს თვით საზოგადოებამ. მაგრამ ბოლო დროს, რაც ბისმარკი გასახელმწიფოებრივებას გამოუდგა, გაჩნდა ერთგვარი ყალბი სოციალიზმი, რომელიც აქა-იქ თავისი ნაბასურვილით ლაქიობის თავისებურ სახედ გადაგვარდა, რომელიც ყ ო ვ ე ლ გასახელმწიფოებრივებას, თვით ბისმარკის მიერ მოხდენილსაც, პირდაპირ სოციალისტურ ღონისძიებად აცხადებს. თამბაქოს სახელმწიფოებრივი მონოპოლია რომ სოციალისტური ღონისძიება ყოფილიყო, ნაპოლეონსა და მეტერნიხს სოციალიზმის ფუძემდებელთა რიცხვში შეიტანდნენ. როცა ბელგიის სახელმწიფომ ყოველდღიური პოლიტიკური და ფინანსიური მოსაზრებებით მთავარი სარკინიგზო ხაზები თვით ააგო, როცა ბისმარკმა ყოველი ეკონომიური აუცილებლობის კარნახის გარეშე პრუსიის მთავარი სარკინიგზო ხაზები სახელმწიფოს საკუთრებად აქცია, უბრალოდ იმისათვის, რათა ისინი ომის შემთხვე-

სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევის ეს აუცილებლობა თავს იჩენს, უწინარეს ყოვლისა, კავშირგაბმულობის დიდი საშუალებებისთვის: ფოსტისა, ტელეგრაფისა და რკინიგზებისათვის.

თუ კრიზისები ამჟღავნებენ, რომ ბურჟუაზიას აღარ შესწევს თანამედროვე საწარმოო ძალების მართვა-გამგეობის უნარი, დიდი საწარმოო და სამიმოსვლო საშუალებების გადასვლა აქციონერთა საზოგადოებების [ტრესტების] ხელში და სახელმწიფოს საკუთრებად გადაქცევა ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია უკვე აღარაა საჭირო ამ მიზნისათვის. კაპიტალისტის ყველა საზოგადოებრივ ფუნქციას ამჟამად ჯამაგირიანი მოხელეები ასრულებენ. კაპიტალისტი საზოგადოებრივ მოღვაწეობას აღარ ეწევა, მხოლოდ შემოსავალს იჯიბავს, კუპონებს სჭრის და ბირჟაზე თამაშობს, სადაც სხვადასხვა დარგის კაპიტალისტები ერთმანეთს კაპიტალს ართმევენ. თუ წარმოების კაპიტალისტურმა წესმა თავდაპირველად მუშები განდევნა, ახლა იგი კაპიტალისტებსაც დევნის და, ისევე როგორც მუშებს, ჭარბ მოსახლეობაში ერეკება, თუმცა ჯერ კიდევ არა სამრეწველო სარეზერვო არმიაში.

მაგრამ არც აქციონერულ საზოგადოებათა [და ტრესტების] ხელში გადასვლა და არც სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არ სპობს საწარმოო ძალების კაპიტალისტურ თვისებებს. აქციონერულ საზოგადოებათა [და ტრესტების] მიმართ ეს სრულიად ნათელია, ხოლო თანამედროვე სახელმწიფო მხოლოდ ისეთ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელსაც თავისთვის ბურჟუაზიული საზოგადოება ჰქმნის, რათა წარმოების კაპიტალისტური წესის საერთო, გარეგანი პირობები შეინარჩუნოს როგორც მუშების, ისე ცალკე კაპიტალისტების ხელყოფისაგან. თანამედროვე სახელმწიფო, როგორიც უნდა იყოს მისი ფორმა, არსებითად კაპიტალისტურ მანქანას წარმოადგენს, კაპიტალისტების სახელმწიფოს, იდეალურ ერთობლივ კაპიტალისტს. რაც უფრო მეტ საწარმოო ძალას და-

ვაში უკეთ მოეწესრიგებინა და გამოეყენებინა, რათა რკინიგზის მოხელეები მთავრობის ხმის მიმცემ პირუტყვთა ჯოგად ექცია და, უმთავრესად, რათა ახალი, პარლამენტისაგან დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო გაეჩინა.—ეს ყოველივე სრულიადაც სოციალისტურ ნაბიჯებს არ წარმოადგენდა, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ, არც შეგნებულად და არც შეუგნებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალისტურ დაწესებულებებად უნდა გვეცნო სამეფო საზღვაო სავაჭრო საზოგადოება, სამეფო ფაიფურის მანუფაქტურა, და თვით ასეულის სამკერვალოები არმიაში, [ანდა ფრიდრიხ ვილჰელმ III-ის დროს ოცდაათიან წლებში ვიღაც ჭკუის კოლოფის მიერ მთელი სერიოზულობით დასმული გასახელმწიფოებრივება... ბარდელებისა]. [ენგელსის შენიშვნა].

ეპატრონება იგი, როგორც საკუთრებას, მით უფრო ნამდვილი ერთობლივი კაპიტალისტი გახდება, მით მეტ მოქალაქეს გაუწევს ექსპლოატაციას. მუშები დაქირავებულ მუშებად, პროლეტარებად რჩებიან. კაპიტალისტური ურთიერთობა კი არ ისპობა, არამედ, პირიქით, უაღრესად მწვავდება, უკიდურეს წერტილს აღწევს. მაგრამ ამ უკიდურეს წერტილზე ხდება გადატრიალება. საწარმოო ძალების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არ წარმოადგენს კონფლიქტის გადაჭრას, მაგრამ იგი შეიცავს მის ფორმალურ საშუალებას, მისი გადაჭრის შესაძლებლობას.

ეს გადაჭრა მხოლოდ იმაში შეიძლება მდგომარეობდეს, რომ ფაქტიურად აღიარებულ იქნება თანამედროვე საწარმოო ძალების საზოგადოებრივი ბუნება, რომ, მაშასადამე, წარმოების, მითვისების და გაცვლის წესი შეგუებულ იქნება საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივ ხასიათთან. ამას კი მხოლოდ იმით მივაღწევთ, თუ საზოგადოება აშკარად და პირდაპირ დაეუფლება საწარმოო ძალებს, რომლებიც აღარ ემორჩილებიან სხვა არავითარ ხელმძღვანელობას, გარდა თვით საზოგადოების ხელმძღვანელობისა. ამით საწარმოო საშუალებების და პროდუქტების საზოგადოებრივი ხასიათი, რომელიც დღეს თვით მწარმოებლების წინააღმდეგაა მიმართული, წარმოებისა და გაცვლის წესს პერიოდულად არყევს და ბუნების ბრმად მოქმედი კანონის მსგავსად ძალდატანებითა და დამანგრეველი ძალით ხორციელდება, — ეს საზოგადოებრივი ხასიათი მაშინ მწარმოებლების მიერ გამოყენებული იქნება სრულიად შეგნებულად და მოშლილობის და პერიოდული კრახების მიზეზისაგან თვით წარმოების ყველაზე მძლავრ ბერკეტად იქცევა.

საზოგადოებრივი ძალები სავსებით ისევე მოქმედებენ როგორც ბუნების ძალები: ბრმად, ძალდატანებით, გამანადგურებლად, სანამ ჩვენ მათ არ შევიცნობთ და ანგარიშს არ გავუწევთ. ხოლო რაკიღა მას ერთხელაც არის უკვე შევიცნობთ, გავიგებთ მათ მოქმედებას, მათ მიმართულებას, მათ ზეგავლენებს, უკვე ჩვენზეა დამოკიდებული მათი თანდათან დამორჩილება ჩვენი ნებისყოფისადმი და მათი შემწეობით ჩვენი მიზნების მიღწევა. განსაკუთრებით ეს ითქმის თანამედროვე მძლავრ საწარმოო ძალებზე. სანამ ჩვენ ჯიუტად უარს ვამბობთ მათი ბუნებისა და მათი ხასიათის გაგებაზე, — ამ გაგებას კი ეწინააღმდეგებიან წარმოების კაპიტალისტური წესი და მისი დამცველები,— მანამდე ეს საწარმოო ძალები ჩვენგან დამოუკიდებლად, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ, ჩვენზე ბატონობენ, როგორც ეს ზემოთ დაწვრილებით

აღვწერეთ. მაგრამ თუ ერთხელ მათი ბუნება გავიგეთ, ისინი შეიძლება შეკავშირებული მწარმოებლების ხელში დემონური მბრძანებლებიდან მორჩილ მსახურებად იქცნენ. ეს ისეთივე განსხვავებაა, როგორიც გამანადგურებელი მეხის ელექტრობასა და ტელეგრაფის ან რკალური ნათურის დაურვებულ ელექტრობას შორის არსებობს, ან კიდეე ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ხანძარსა და ადამიანის სასარგებლოდ მოქმედ ცეცხლს შორის არსებობს. როდესაც თანამედროვე საწარმოო ძალებს ბოლოს მათი შეცნობილი ბუნების მიხედვით მოვეპყრობით, საზოგადოებრივი წარმოების ანარქიის ადგილს დაიჭერს წარმოების საზოგადოებრივად გეგმაშეწონილი მოწესრიგება, რომელიც ანგარიშს გაუწევს როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკე პირის მოთხოვნილებებს; მაშინ მითვისების კაპიტალისტური წესი, რომლის დროსაც პროდუქტი ჯერ მწარმოებელს იმონებს, ხოლო შემდეგ მიმთვისებელსაც, ადგილს უთმობს პროდუქტების მითვისების ახალ წესს, რომელიც თვით თანამედროვე საწარმოო საშუალებათა ბუნებაზეა დაფუძნებული: ერთი მხრივ, პროდუქტების პირდაპირ საზოგადოებრივ მითვისებას როგორც წარმოების შენარჩუნებისა და გაფართოების საშუალებას, მეორე მხრივ, პირდაპირ ინდივიდუალურ მითვისებას არსებობისა და სიამოვნების საშუალებათა სახით.

რამდენადაც წარმოების კაპიტალისტური წესი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას თანდათან პროლეტარებად აქცევს, იგი ჰქმნის ძალას, რომელიც დაღუპვის თავიდან ასაცილებლად იძულებულია ეს გადატრიალება მოახდინოს. რამდენადაც წარმოების კაპიტალისტური წესი მსხვილ, განსაზოგადოებულ საწარმოო საშუალებებს თანდათან აიძულებს სახელმწიფო საკუთრებად იქცნენ, იგი თვით უჩვენებს გზას ამ გადატრიალების მოსახდენად. პროლეტარიატი სახელმწიფო ძალაუფლებას იპყრობს და, უწინარეს ყოვლისა, წარმოების საშუალებებს სახელმწიფოს საკუთრებად აქცევს. მაგრამ ამით იგი თავის თავს აუქმებს როგორც პროლეტარიატს, სპობს ყველა კლასობრივ განსხვავებასა და კლასობრივ დაპირისპირებას და სპობს აგრეთვე სახელმწიფოს, როგორც სახელმწიფოს. დღემდე არსებულ საზოგადოებას, რომელიც კლასობრივ დაპირისპირებებში მოძრაობს, აუცილებლად სახელმწიფო სჭირდებოდა, ე. ი სჭირდებოდა ამა თუ იმ ეპოქის ექსპლოატატორი კლასის ორგანიზაცია მისი გარეგანი საწარმოო პირობების შესანარჩუნებლად, მაშასადამე, განსაკუთრებით იმისთვის, რომ ძალმომრეობის შემწეო-

ბით ექსპლოატირებული კლასი ჩაგვრის იმ პირობებში ჰყოლოდა, რომელიც არსებული წარმოების წესის ვითარებით იყო მოცემული (მონობა, ბატონყმობა ან ფეოდალური დამოკიდებულება, დაქირავებული შრომა). სახელმწიფო მთელი საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი იყო, იგი საზოგადოებას აერთიანებდა ერთ, ადვილად თვალით დასანახ, კორპორაციაში, მაგრამ იგი ასეთი იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იმ კლასის სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც თავისი დროისთვის მთელ საზოგადოებას გამოხატავდა: ანტიკურ ქვეყანაში იგი იყო მონათმფლობელი მოქალაქეების სახელმწიფო, შუა საუკუნეებში — ფეოდალური თავადაზნაურობისა, ჩვენ დროში კიდეე — ბურჟუაზიისა. როცა სახელმწიფო ბოლოს ნამდვილად მთელი საზოგადოების წარმომადგენელი გახდება, იგი თავის თავსვე ზედმეტს გახდის. როცა აღარ იარსებებენ საზოგადოებრივი კლასები, რომელთა დამორჩილება საჭიროა, როცა მოისპობა კლასობრივი ბატონობა და ინდივიდუალური არსებობისთვის ბრძოლა, რომელიც დაფუძნებულია წარმოების თანამედროვე ანარქიაზე, როცა მოისპობა აქედან გამომდინარე კოლიზიები და ძალმომრეობანი, მაშინ აღარავინ დარჩება დასათრგუნავი, რომლისთვისაც საჭირო იქნება განსაკუთრებული დამთრგუნავი ძალა, სახელმწიფო, რომელიც ახლა ამ ფუნქციას ასრულებს. პირველი აქტი, რომელშიც სახელმწიფო მართლაც გამოდის როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი, საზოგადოების სახელით საწარმოო საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად, აგრეთვე იქნება მისი როგორც სახელმწიფოს უკანასკნელი დამოუკიდებელი აქტი. სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში ზედმეტი გახდება დარგზე დარგის მიყოლებით და ბოლოს თავისთავად მოისპობა. იმ მთავრობის ადგილს, რომელიც პიროვნებებს განაგებს, დაიპერს საგნების მმართველობა და საწარმოო პროცესების ხელმძღვანელობა. სახელმწიფო კი არ «უქმდება», იგი თანდათან კვდება. ამის საფუძველზე უნდა შეფასდეს ფრაზა «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს»[1] შესახებ, რომელსაც დროებითი სააგიტაციო გამართლება ჰქონდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით არადამაკმაყო-

[1] «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს შესახებ» იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. II, 1948, გვ. 22—26 (რუს. გამოც.), ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-3 გამოც. ტ. XXI, გვ. 379—383, 413—415 (რუს. გამოც.) და ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც. გვ. 250—251. რედ.

ფილებელია მეცნიერული თვალსაზრისით; ამის საფუძველზე უნდა შეფასდეს აგრეთვე აგრეთწოდებული ანარქისტების მოთხოვნაც, სახელმწიფო ერთი ღამის განმავლობაში უნდა გაუქმდესო.

მას შემდეგ, რაც ისტორიულ ასპარეზზე წარმოების კაპიტალისტური წესი გამოვიდა, როგორც ცალკე პირებს, ისე მთელ სექტებს ხშირად მომავლის მეტად თუ ნაკლებად ბუნდოვანი იდეალის სახით წინ უდგებოდა ყველა საწარმოო საშუალების დაპატრონება საზოგადოების მიერ. მაგრამ შესაძლებელი და ისტორიულად აუცილებელი იგი მხოლოდ მაშინ გახდა, როცა შეიქმნა მისი განხორციელების მატერიალური პირობები. ყოველი სხვა საზოგადოებრივი პროგრესის მსგავსად, მისი განხორციელება შესაძლებელი ხდება არა იმ შეგნების შედეგად, რომ კლასთა არსებობა ეწინააღმდეგება სამართლიანობას, თანასწორობას და სხვ. იმიტომ კი არა, რომ არსებობს უბრალო სურვილი ამ კლასების მოსპობისა, არამედ გარკვეული ახალი ეკონომიური პირობების გამო. საზოგადოების გათიშვა ექსპლოატატორ და ექსპლოატირებულ, გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებად წარმოების უწინდელი უმნიშვნელო განვითარების აუცილებელი შედეგი იყო. სანამ საზოგადოებრივი ერთობლივი შრომა მხოლოდ იმდენ შემოსავალს იძლევა, რაც ცოტათი სჭარბობს იმას, რაც აუცილებელია, რომ ყველამ მომჭირნეობით იცხოვროს, სანამ, მაშასადამე, შრომა ნთქავს საზოგადოების წევრთა უდიდესი ნაწილის მთელ ან თითქმის მთელ დროს, მანამ საზოგადოება აუცილებლად კლასებად ნაწილდება. ამ მხოლოდ და მხოლოდ იძულებითი შრომით დაკავებული დიდი უმრავლესობის გვერდით იქმნება უშუალო მწარმოებლური შრომიდან განთავისუფლებული კლასი, რომელიც განაგებს საზოგადოების ისეთ საერთო საქმეებს, როგორიცაა: შრომის ხელმძღვანელობა, სახელმწიფო საქმეები, მართლმსაჯულება, მეცნიერება, ხელოვნება და ა. შ.. მაშასადამე, კლასობრივ დანაწილებას საფუძვლად შრომის დანაწილების კანონი უძევს. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა იმას, რომ ძალმომრეობასა და ძარცვა-გლეჯას, ვერაგობასა და მოტყუებას მონაწილეობა მიეღო კლასებად დანაწილების საქმეში, და გაბატონებულ კლასს, რაკი ძალაუფლება ხელთ იგდო, არასოდეს ხელიდან შემთხვევა არ გაუშვია თავისი ბატონობა განემტკიცებინა მშრომელი კლასების ხარჯზე და საზოგადოებრივი საქმეების ხელმძღვანელობა მასების [გაძლიერებულ] ექსპლოატაციად გადაექცია.

მაგრამ თუ კლასებად დანაწილებას ერთგვარი ისტორიული გამართლება ჰქონდა, მხოლოდ განსაზღვრული დროისა და განსაზღვრული საზოგადოებრივი პირობებისთვის. იგი დაფუძნებული იყო წარმოების უკმარობაზე; იგი აღგვილი იქნება თანამედროვე საწარმოო ძალების სრული განვითარების წყალობით. მართლაც, საზოგადოებრივი კლასების მოსპობა გულისხმობს ისტორიული განვითარების საფეხურს, რომელზედაც არა მარტო ამა თუ იმ განსაზღვრული გაბატონებული კლასის, არამედ ყოველი გაბატონებული კლასის არსებობა საერთოდ, მაშასადამე, თვით კლასობრივი განსხვავება ანაქრონიზმადაა ქცეული, დაძველებულია. მაშასადამე, კლასების მოსპობა გულისხმობს წარმოების განვითარების ისეთ მაღალ დონეს, რომელზედაც წარმოების საშუალებათა და ნაწარმოებთა და ამასთან ერთად პოლიტიკური ბატონობის, სწავლა-განათლების მონოპოლიის და სულიერი ხელმძღვანელობის მითვისება განსაკუთრებული საზოგადოებრივი კლასის მიერ არა მარტო ზედმეტი ხდება, არამედ ეკონომიური, პოლიტიკური და გონებრივი განვითარებისათვის დაბრკოლებად იქცევა. ეს დონე ახლა მიღწეულია. ბურჟუაზიის პოლიტიკური და გონებრივი გაკოტრება ხომ თვით მისთვისაც აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას, ხოლო მისი ეკონომიური გაკოტრება რეგულარულად მეორდება ყოველ ათ წელიწადში ერთხელ. ყოველი კრიზისის დროს საზოგადოება იხრჩობა თავისი საკუთარი, მის მიერ გამოუყენებელი საწარმოო ძალებისა და პროდუქტების სიმძიმის ქვეშ და უმწეოდ დგას უაზრო წინააღმდეგობის წინაშე, როცა მწარმოებლებს შესაძლებლობა არა აქვთ პროდუქტები მოიხმარონ, იმიტომ რომ მომხმარებლების ნაკლებობაა. საწარმოო საშუალებათა ექსპანსიის ძალა ამსხვრევს იმ ბორკილებს, რომლებიც მათ წარმოების კაპიტალისტურმა წესმა დაადო. წარმოების საშუალებათა განთავისუფლება ამ ბორკილებისაგან საწარმოო ძალთა შეუწყვეტელი, მუდამ აჩქარებული განვითარებისა და ამასთანავე თვით წარმოების პრაქტიკულად უსაზღვრო გაძლიერების ერთადერთ წინაპირობას წარმოადგენს. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი მითვისება მოსპობს არა მარტო წარმოების ამჟამად არსებულ ხელოვნურ დამუხრუჭებას, არამედ აგრეთვე საწარმოო ძალებისა და პროდუქტების ნამდვილ გაფლანგვასა და განიავებას, რაც დღეს წარმოების აუცილებელი თანამგზავრია და რაც თავის უმაღლეს წერტილს კრიზისების დროს აღწევს. ამას გარდა, საზოგადოებრივი მითვისება

დიდძალ საწარმოო საშუალებებსა და პროდუქტებს გაანთავისუფლებს საზოგადოებისათვის იმით, რომ მოსპობს დღევანდელი გაბატონებული კლასების და მათი პოლიტიკური წარმომადგენლების უაზრო ფუფუნებასა და მფლანგველობას. ის შესაძლებლობა, რომ საზოგადოებრივი წარმოების შემწეობით საზოგადოების ყველა წევრისთვის უზრუნველყოფილ იქნეს არსებობა, რომელიც არა მარტო მატერიალურად საესებით საკმაო იქნება და დღითი დღე უფრო ბარაქიანი გახდება, არამედ აგრეთვე მათი ფიზიკური და სულიერი ნიჭის სრულიად თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების გარანტიას მისცემს, ეს შესაძლებლობა ახლა პირველადაა მიღწეული, მაგრამ იგი მართლაც მიღწეულია[1].

როცა საზოგადოება წარმოების საშუალებებს დაეპატრონება, მოისპობა საქონლის წარმოება და ამავე დროს პროდუქტების ბატონობა მწარმოებლებზე. ანარქიას საზოგადოებრივი წარმოების შიგნით გეგმაშეწონილი შეგნებული ორგანიზაცია შეცვლის. განცალკევებული არსებობისთვის ბრძოლა მოისპობა. ამით ადამიანი,—გარკვეული აზრით, საბოლოოდ — გამოეთიშება ცხოველთა სამეფოს, არსებობის მხეცური პირობებიდან ნამდვილ ადამიანურ პირობებში გადავა. ადამიანთა გარემომცველი ცხოვრების პირობების წრე, რომელიც დღემდე ბატონობდა ადამიანებზე, ახლა ადამიანთა ბატონობასა და კონტროლს დაექვემდებარება, ხოლო ადამიანები პირველად ხდებიან ბუნების შეგნებული, ნამდვილი ბატონები, სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ისინი თავისი საკუთარი განსაზოგადოებრივებული ცხოვრების ბატონები ხდებიან. ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი მოქმედების კანონები, რომლებიც მათ დღემდე უპირდაპირდებოდა როგორც

[1] ორიოდე ციფრმა შეიძლება დაახლოებითი წარმოდგენა მოგვცეს წარმოების თანამედროვე საშუალებათა უზარმაზარ ექსპანსიურ ძალაზე, თვით კაპიტალისტური ჩაგვრის პირობებშიც. ბიფენის ახლად შედგენილ გაანგარიშებათა მიხედვით დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთელი სიმდიდრე რგვალ ციფრებში შემდეგი იყო:

1814 წ.—2200 მილიონი გირვ. სტერლ.				= 44	მილიარდი	მარკა
1865 » —6 100	»	»	»	= 122	»	»
1875 » —8 500	»	»	»	= 170	»	»

რაც შეეხება საწარმოო საშუალებათა და პროდუქტთა განადგურებას კრიზისების დროს, გერმანელი მრეწველების მეორე კონგრესზე (ბერლინში, 21 თებერვალს, 1878 წელს), ნაანგარიშები იყო, რომ მარტო გერმანიის რკინის მრეწველობის საერთო ზარალი უკანასკნელი კრიზისის დროს 455 მილიონ მარკას შეადგენდა. [ენგელსის შენიშვნა.]

უცხო, მის მიმართ გაბატონებული ბუნების კანონები, ამიერიდან საქმის სრული ცოდნით გამოყენებული და დამორჩილებული იქნება ადამიანების მიერ. ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი ყოფა, რომელიც მათ დღემდე უპირდაპირდებოდა როგორც ბუნებისა და ისტორიის მიერ ზევიდან თავსმოხვეული რამ, ახლა მათი საკუთარი, თავისუფალი საქმე ხდება. ობიექტური, უცხო ძალები, რომლებიც დღემდე ისტორიაზე ბატონობდნენ, თვით ადამიანის კონტროლს დაექვემდებარებიან. მხოლოდ ამიერიდან შექმნიან თვით ადამიანები თავიანთ ისტორიას სრული შეგნებით, მხოლოდ ამიერიდან მოჰყვება მათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზეზებს უმთავრესად და თანდათან გაზრდილი ზომით მათ მიერ სასურველად მიჩნეული შედეგები. ესაა კაცობრიობის ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში.

[დასასრულ მოკლედ შევაჯამოთ ჩვენ მიერ გადმოცემული განვითარების მსვლელობა:

I. შუა საუკუნეების საზოგადოება: წვრილი ინდივიდუალური წარმოება. საწარმოო საშუალებანი დანიშნულია ინდივიდუალური მოხმარებისათვის და ამიტომ პრიმიტიულად უმწეო, წვრილი, უმნიშვნელო მოქმედების მქონეა. წარმოება უშუალო მოხმარების მიზნით, თვით მწარმოებლისა თუ მისი ფეოდალური ბატონის მიერ. მხოლოდ იქ, სადაც აღმოჩნდება წარმოების გარდამეტი უშუალო მოხმარებაზე, ეს გარდამეტი გადის გასაყიდად და გაცვლაში შედის: მაშასადამე, სასაქონლო წარმოება მხოლოდ წარმოშობის პროცესში იმყოფება; მაგრამ ის უკვე ამ დროსაც შეიცავს საზოგადოებრივი წარმოების ანარქიის ჩანასახს.

II. კაპიტალისტური რევოლუცია: გადატრიალება მრეწველობაში ჯერ მარტივი კოოპერაციისა და მანუფაქტურის საშუალებით. აქამდე გაფანტულ საწარმოო საშუალებათა კონცენტრაცია დიდ სახელოსნოებში და ამ გზით წარმოების ინდივიდუალური საშუალებებიდან მათი საზოგადოებრივად გადაქცევა, რომელიც, საერთოდ და მთლიანად, არ შეხებია გაცვლის ფორმას. მითვისების ძველი ფორმები ძალაში რჩება. გამოდის კაპიტალისტი: როგორც საწარმოო საშუალებათა მესაკუთრე, ის ითვისებს აგრეთვე პროდუქტებსაც და აქცევს მათ საქონლად. წარმოება საზოგადოებრივ აქტად იქცევა; გაცვლა და მასთან ერთად პროდუქტების მითვისება კი ინდივიდუალურ აქტად, ცალკეულ პირთა აქტად რჩება: საზოგადოებრივი შრომის

პროდუქტს ითვისებს ცალკეული კაპიტალისტი. სწორედ ეს შეადგენს იმ ძირითად წინააღმდეგობას, საიდანაც გამომდინარეობს ყველა ის წინააღმდეგობა, რომლებშიც მოძრაობს თანამედროვე საზოგადოება და რომლებიც განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდებიან მსხვილ მრეწველობაში.

ა) მწარმოებლის გათიშვა წარმოების საშუალებათაგან. მუშა განწირულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაქირავებული შრომით იარსებოს. წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

ბ) სასაქონლო წარმოებაზე გაბატონებული კანონების მზარდი მნიშვნელობა და გაძლიერებული მოქმედება. აღვირახსნილი კონკურენცია. თვითეულ ცალკეულ ფაბრიკაში საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და მთელ წარმოებაში საზოგადოებრივ ანარქიას შორის არსებული წინააღმდეგობა.

გ) ერთი მხრივ — მანქანების გაუმჯობესება, რაც კონკურენციის შეოხებით გადაიქცა იძულებით კანონად თვითეული ცალკეული ფაბრიკანტისათვის და მოასწავებს ამავე დროს. ფაბრიკებიდან მუშების თანდათან უფრო გაძლიერებულ განდევნას: სამრეწველო-სარეზერვო არმიის წარმოშობა. მეორე მხრივ — წარმოების უსაზღვრო გაფართოება, რაც აგრეთვე გადაიქცა კონკურენციის იძულებით კანონად თვითეული ფაბრიკანტისათვის. ორივე მხრივ — საწარმოო ძალთა გაუგონარი განვითარება; მიწოდების სიჭარბე მოთხოვნაზე. ჭარბი წარმოება, ბაზრების აესება, კრიზისები, რომლებიც მეორდება ყოველ ათ წელიწადში, ცთომილი წრებრუნვა: ერთი მხრივ,— საწარმოო საშუალებათა და პროდუქტთა სიჭარბე, მეორე მხრივ,— უსაქმოდ დარჩენილი და საარსებო საშუალებებს მოკლებული მუშების სიჭარბე. მაგრამ წარმოებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ეს ორი ბერკეტი შეუძლებელია შეერთდეს, იმიტომ, რომ წარმოების კაპიტალისტური ფორმა არ ანებებს საწარმოო ძალებს მოქმედებას, ხოლო პროდუქტებს — მიმოქცევას ისე, თუ ისინი წინასწარ კაპიტალად არ გადაიქცნენ, რასაც ხელს უშლის სწორედ მათი სიჭარბე. ეს წინააღმდეგობა იზრდება უაზრობამდე: წარმოების წესი უჯანყდება გაცვლის ფორმას. ამნაირად, ბურჟუაზია ამჟღავნებს თავისი საკუთარი საზოგადოებრივი საწარმოო ძალების შემდგომი მართვის უუნარობას.

დ) თვით კაპიტალისტები იძულებული არიან ნაწილობრივ აღიარონ საწარმოო ძალთა საზოგადოებრივი ხასიათი. წარმოებისა და მიმოსვლის მსხვილ ორგანიზმთა მისაკუთრება — ჯერ სააქციო კომპანიების, უფრო გვიან — ტრესტების, ხოლო შემდეგ — სახელმწიფოს მიერ. ბურჟუაზია ხდება ზედმეტ კლასად; მთელ მის საზოგადოებრივ ფუნქციას ახლა ასრულებენ დაქირავებული მოსამსახურენი.

III. პროლეტარული რევოლუცია, წინააღმდეგობათა გადაჭრა: პროლეტარიატი იპყრობს საზოგადოებრივ ხელისუფლებას და ამ ხელისუფლების მეოხებით საზოგადოებრივ საწარმოო საშუალებებს, რომელიც ბურჟუაზიას ხელიდან უსხლტება, საზოგადოებრივ საკუთრებად აქცევს. ამ აქტით ის ათავისუფლებს საწარმოო საშუალებებს კაპიტალის თვისებიდან, რომელიც მათ დღემდე ჰქონდათ, და მათ საზოგადოებრივ ხასიათს განვითარების სრულ თავისუფლებას აძლევს. ამიერიდან შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი წარმოება წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით. წარმოების განვითარება ანაქრონიზმად აქცევს სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების შემდგომ არსებობას. იმდენად, რამდენადაც ქრება საზოგადოებრივი წარმოების ანარქია, თანდათან კვდება სახელმწიფოს პოლიტიკური ავტორიტეტიც. ადამიანები, რომლებიც, როგორც იქნა, თავიანთი საკუთარი საზოგადოებრივი ყოფის ბატონები გახდნენ, ამით იმავდროულად ხდებიან ბუნების ბატონები, თავიანთი თავის ბატონები — ხდებიან თავისუფალნი.

მსოფლიოს ამ განმანთავისუფლებელი საქმის შესრულება თანამედროვე პროლეტარიატის ისტორიული მოწოდებაა. ამ გადატრიალების ისტორიული პირობებისა და ამასთანავე თვით ამ გადატრიალების ბუნების გამოკვლევა და, ამრიგად, მის მოსახდენად მოწოდებული, დღეს დაჩაგრული კლასისათვის მისი საკუთარი საქმის პირობებისა და ბუნების გამორკვევა — ასეთია ამოცანა მეცნიერული სოციალიზმისა, რომელიც პროლეტარული მოძრაობის თეორიულ გამოხატულებას წარმოადგენს.

III

წარმოება

ზემოთქმულის შემდეგ მკითხველს არ გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ სოციალიზმის ძირითადი ნიშნები, რომელიც უკანასკნელ განყოფილებაში გადმოვეცით, სრულიადაც ჭკუაში არ მოსდის ბა-

ტონ დიურინგს. პირიქით, მან იგი იმ უფსკრულში უნდა გადაისროლოს, სადაც ყოველგვარი ნაგავი ჰყრია, «ისტორიული და ლოგიკური ფანტასტიკის ნაბუშარი», «უშინაარსო კონცეფციები», «არეულ-დარეული და ბუნდოვანი წარმოდგენები» და სხვ.. მისი შეხედულებით სოციალიზმი სრულიადაც არ წარმოადგენს ისტორიული განვითარების აუცილებელ პროდუქტს, კიდევ უფრო ნაკლებ იგი შეიძლება ჩვენი დროის ტლანქი მატერიალური, მარტოოდენ გაძღომის მიზნებისაკენ მიმართული ეკონომიური პირობების შედეგად ჩაითვალოს. ბატონი დიურინგი უკეთეს რამეს გვთავაზობს. მისი სოციალიზმი უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებაა; იგი წარმოადგენს «საზოგადოების ბუნებრივ სისტემას», მისი ფესვები «სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპშია» გადგმული, და თუ ბატონი დიურინგი მაინც იძულებულია ანგარიში გაუწიოს არსებულ მდგომარეობას, შექმნილს ადრინდელი ცოდვილი ისტორიის მიერ, ანგარიში გაუწიოს, რათა იგი გააუმჯობესოს, ეს უფრო უბედურებად უნდა ჩაითვალოს სამართლიანობის წმინდა პრინციპისათვის. როგორც ყველაფერს სხვას, ისე სოციალიზმსაც ბატონი დიურინგი თავისი ორი ყბადაღებული მამაკაცის შემწეობით ჰქმნის. იმის მაგიერ, რომ ამ ორმა ტიკინამ წინანდებურად ბატონის და მსახურის როლი ითამაშოს, ახლა სხვადასხვაობის გულისთვის თამაშობენ პიესას თანასწორუფლებიანობის შესახებ, და დიურინგისეული სოციალიზმი არსებითად მზადაა.

ამგვარად, თავისთავად ცხადია, რომ ბატონი დიურინგის შეხედულებით პერიოდულ სამრეწველო კრიზისებს სრულიადაც არ აქვთ ის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც მათთვის უნდა მიგვეწერა. კრიზისები მას მიაჩნია შემთხვევითი ხასიათის გადახრებად «ნორმალური მდგომარეობიდან», და ისინი უკეთეს შემთხვევაში საბაბს იძლევიან «უფრო მოწესრიგებული წყობილების განსავითარებლად». მის «ზედმიწევნით სწორ გაგებას» სრულიადაც არ აკმაყოფილებს ის «ჩვეულებრივი წესი», რომელიც კრიზისებს ჭარბი წარმოებით ხსნის. მართალია, ასეთი ახსნა «მისაღებია განსაკუთრებული კრიზისებისათვის ცალკეულ დარგებში». ეს ითქმის, მაგალითად, «წიგნის ბაზრის ავსებაზე იმ თხზულებათა გამოცემებით, რომელთა გადაბეჭდვა უცებ ცხადდება ყველასათვის თავისუფლად ..და რომლებიც გამოდგებიან მასობრივი გასაღებისათვის». ბატონ დიურინგს ყოველ შემთხვევაში შეუძლია წყნარად დაიძინოს იმ კეთილისმყოფელი შეგნების ზეგავლენით, რომ მისი უკვდავი თხზულებანი ასეთ მსოფლიო უბედურებას არ გამოიწვევენ. მაგრამ დიდი

კრიზისების დროს «უფსკრულს საქონლის მარაგსა და მის გასაღებას შორის ბოლოს ასე კრიტიკულად აფართოებს» არა ჭარბი წარმოება, არამედ «სახალხო მოხმარების უკანჩამორჩენა... მოხმარების ხელოვნურად შექმნილი შემცირება... სახალხო მოთხოვნილების (!) ბუნებრივი ზრდის შეფერხება» და ამ თავისი კრიზისების თეორიისთვის, მას ბედმა გაუღიმა და, ერთი მიმდევარიც კი იპოვა.

მაგრამ, სამწუხაროდ, მასების მოხმარების შემცირება, მასობრივი მოთხოვნილების შეზღუდვა იმით, რაც აუცილებელია სიცოცხლის შესანარჩუნებლად და მოდგმის გასამრავლებლად, ახალ მოვლენას როდი წარმოადგენს. იგი არსებობს მას შემდეგ, რაც ექსპლოატატორი და ექსპლოატირებული კლასები გაჩნდნენ. თვით იმ ისტორიულ პერიოდში, როცა მასების მდგომარეობა განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო, მაგალითად, ინგლისში XV საუკუნეში, ისინი მოთხოვნილებაზე ნაკლებს ხმარობდნენ, და ძლიერ დაშორებული იყვნენ იმას, რომ ხელთ მთელი თავიანთი წლიური პროდუქტი ჰქონოდათ მოსახმარად. თუ, მაშასადამე, არასაკმარისი მოხმარება მუდმივ ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს ათასი წლების განმავლობაში, ხოლო კრიზისების დროს უცბად ჩამოვარდნილი საყოველთაო შეფერხება გასაღებისა შესამჩნევი გახდა მხოლოდ ამ უკანასკნელ 50 წელს ჭარბი წარმოების ზეგავლენით, საჭიროა ბატონი დიურინგის ვულგარულ-ეკონომიური ზერელობა, რათა ახალი კოლიზია ახსნას არა ჭარბი წარმოების ახალი მოვლენით, არამედ ათასწლობით არასაკმარისი მოხმარების ფაქტით. ეს იგივე იქნებოდა, რომ მათემატიკაში ორი სიდიდის, მუდმივის და ცვლადის ურთიერთობის ცვლილება იმით კი არ აიხსნას, რომ ცვლადი სიდიდე იცვლება, არამედ იმით, რომ მუდმივი უცვლელი დარჩა. მასების არასაკმარისი მოხმარება აუცილებელი პირობაა ექსპლოატაციაზე დამყარებული ყოველი საზოგადოებრივი ფორმისა, მაშასადამე, კაპიტალისტურისაც; მაგრამ მხოლოდ წარმოების კაპიტალისტური ფორმა იწვევს კრიზისებს. ამრიგად, მასების არასაკმარისი მოხმარებაც კრიზისების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს და მათში დიდი ხნის წინათ აღიარებულ როლს ასრულებს; მაგრამ იგი ისევე ნაკლებს გვეუბნება დღევანდელი კრიზისების არსებობის მიზეზებზე, როგორც იმაზე, თუ რად არ ხდებოდა წინათ ისინი.

საზოგადოდ ბატონ დიურინგს საკვირველი წარმოდგენები აქვს მსოფლიო ბაზარზე. ჩვენ დავინახეთ, რომ, როგორც ჭეშმარიტ-

გერმანელი ლიტერატორი, იგი ცდილობს ნამდვილი სამრეწველო განსაკუთრებული კრიზისები ლაიპციგის წიგნის ბაზრით წარმოდგენილი კრიზისებით ახსნას, ზღვაზე ატეხილი ქარიშხალი ერთ ჭიქა წყალში მოქცეული ქარიშხალით. შემდეგ მას წარმოდგენილი აქვს, დღევანდელმა კაპიტალისტურმა წარმოებამ «თავისი საქონლის გასასაღებლად უმთავრესად თვით შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს წ რ ე შ ი უნდა იტრიალოსო»; ეს მას ხელს არ უშლის თექვსმეტი გვერდის შემდეგ, საერთო აზრს აყოლილმა, თანამედროვე გადამწყვეტ ინდუსტრიებად რკინის და ბამბის მრეწველობა აღიაროს, მაშასადამე, სწორედ მრეწველობის ორი ისეთი დარგი, რომელთა პროდუქტებს შეძლებული კლასები მხოლოდ მცირე რაოდენობით ხმარობენ, მასებისათვის კი ეს პროდუქტები სხვა დარგის ნაწარმოებებთან შედარებით უმთავრეს მოსახმარ საგნებს წარმოადგენენ. ბ. დიურინგის რომელი მსჯელობაც არ უნდა ავიღოთ, ვერაფერს ვერ ვნახავთ, გარდა უშინაარსო, წინააღმდეგობით აღსავსე მიეთ-მოეთისა. მაგრამ ავიღოთ ერთი მაგალითი ბამბის მრეწველობიდან. შედარებით პატარა ქალაქ ოლდჰემში, ერთ-ერთში იმ თორმეტიოდე ქალაქიდან 50 — 100 ათასი მცხოვრებით, რომლებიც მანჩესტერის გარშემო არიან შეჯგუფებული და ბამბის მრეწველობას ეწევიან, — ამ ერთ ქალაქში ოთხი წლის განმავლობაში, 1872 წლიდან 1875 წლამდე, იმ თითისტრების რიცხვი, რომლებიც მხოლოდ 32 ნომერს ართავენ, ორ მილიონ ნახევრიდან ხუთ მილიონამდე გაიზარდა. ამრიგად, ინგლისის მხოლოდ ერთ საშუალო სიდიდის ქალაქში მარტო ერთი ნომრის ძაფს იმდენი თითისტარი ართავს, რამდენიც საერთოდ მთელი გერმანიის ბამბის მრეწველობას გააჩნია ელზასთან ერთად. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ წარმოების გაფართოება ინგლისისა და შოტლანდიის ბამბის მრეწველობის დანარჩენ დარგებსა და ცენტრებში დაახლოებით ასეთივე შეფარდებით ხდებოდა, საჭიროა კაცს საფუძვლიანი კადნიერების ძლიერი დოზა ჰქონდეს, რათა დღევანდელი საერთო შეფერხება ბამბის ნართის და ქსოვილის გასაღებაში ახსნას არა ინგლისური ბამბის ფაბრიკანტების ჭარბი წარმოებით, არამედ ინგლისელი მასების არასაკმარისი მოხმარებით[1].

[1] არასაკმარისი მოხმარებით კრიზისების ახსნა პირველად სისმონდიმ მოგვცა და მის ნაწერებში მას კიდევ ჰქონდა ერთგვარი აზრი. სისმონდისაგან იგი როდბერტუსმა ისესხა, ხოლო როდბერტუსისაგან ბატონმა დიფრინგმა ადმოსწერა თავისი ჩვეულებრივი გაცვეთილ-გავფლგარებული მანერით. [ენგელსის შენიშვნა]

კმარა. შეუძლებელია ვეკამათოთ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურ ეკონომიაში იმდენად უმეცარნი არიან, რომ ლაიპციგის წიგნის ბაზარი საერთოდ ბაზრად მიაჩნიათ თანამედროვე ინდუსტრიის გაგებით. ამიტომ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თავის შემდგომ მსჯელობებში ბატონ დიურინგს სხვა არაფერი შეუძლია გვითხრას კრიზისებზე, გარდა იმისა, რომ აქ საქმე ეხება მხოლოდ «ჩვეულებრივ ცვლას გადაჭარბებულ დაძაბვასა და მოდუნებას შორის»-ო და გვამცნობს, რომ მეტისმეტი სპეკულაცია «წარმოდგება არა მარტო კერძო საწარმოთა უგეგმო დაგროვებისაგან», არამედ «ზედმეტი მიწოდების წარმოშობის მიზეზებს შორის აგრეთვე უნდა ჩაითვალოს ცალკე მეწარმეების აჩქარებულობა და კერძო პირების წინდაუხედაობაო» მაგრამ რაღა არის აჩქარებულობისა და კერძო პირების წინდაუხედაობის «წარმომშობი მიზეზი»? სწორედ კაპიტალისტური წარმოების იგივე უგეგმობა, რომელიც მეღავნდება კერძო საწარმოთა უგეგმო დაგროვებაში. სწორედ ძლიერი «აჩქარებულობის» ნიშანია ეკონომიური ფაქტის მორალური საყვედურის ენაზე გადათარგმნის მიჩნევა ახალი მიზეზის აღმოჩენად.

მაგრამ თავი დავანებოთ კრიზისებს. მას შემდეგ, რაც წინა განყოფილებაში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ კრიზისები აუცილებლად წარმოიშობა წარმოების კაპიტალისტური წესიდან და გამოვააშკარავეთ მათი მნიშვნელობა როგორც თვით ამ წარმოების წესის კრიზისებისა, როგორც საზოგადოებრივი გადატრიალების იძულებითი საშუალებებისა, ამის შემდეგ ერთი სიტყვის დახარჯვაც არ გვჭირდება ბატონი დიურინგის ზერელე შეხედულებების გასაბათილებლად ამ საგანზე. გადავიდეთ მის პოზიტიურ ქმნილებებზე, «საზოგადოების ბუნებრივ სისტემაზე».

ეს, «სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპზე» აგებული სისტემა, რომელიც, მაშასადამე, თავისუფალია ყოველივე აუცილებლობისაგან ანგარიში გაუწიოს მოსაბეზრებელ მატერიალურ ფაქტებს, შედგება სამეურნეო კომუნების ფედერაციისაგან, რომელთა შორის არსებობს «მისვლა-მოსვლის თავისუფლება და ახალი წევრების მიღების აუცილებლობა განსაზღვრული კანონებისა და მართვა-გამგეობის ნორმების მიხედვით». თვით სამეურნეო კომუნა, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს «მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ყოვლისშემცველ სქემატიზმს» და შორს უკან ტოვებს, მაგალითად, ვინმე მარქსის «შეცდომებიან ნახევრულობას». კომუნა, დიურინგის აზრით, წარმოადგენს იმ «პიროვნებათა»

ერთობას, რომლებიც საჯარო სამართლის მიერ მინიჭებული განკარგულების უფლებით შეკავშირებული არიან განსაზღვრული სივრცის ადგილ-მამულის და საწარმოთა ჯგუფის მიმართ საერთო მოქმედებისა და შემოსავალში საერთო მონაწილეობისათვის». საჯარო უფლება წარმოადგენს—«უფლებას საგნის მიმართ... ბ უ ნ ე ბ ი ს ა და საწარმოო დაწესებულებებისადმი წ მ ი ნ დ ა პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ უ რ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა გ ე ბ ი თ». თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს, ამაზე დეე სამეურნეო კომუნის მომავალმა იურისტებმა იმტვრიონ თავი, ჩვენ კი თავს ვიკავებთ ყოველი ცდისაგან ამ მხრით. ბატონი დიურინგისაგან ჩვენ მხოლოდ იმას ვგებულობთ, რომ ეს უფლება სრულიადაც იგივე არაა, რასაც «იმ მუშათა საზოგადოებების კორპორაციული საკუთრება» წარმოადგენს, რომელიც არ გამორიცხავს ურთიერთ კონკურენციას და თვით დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას. ამასთანავე გაკვრით მოხსენებულია, რომ «საერთო საკუთრების წარმოდგენა», რომელიც მარქსსაც მოეპოვება, «ყოველ შემთხვევაში ბუნდოვანი და საეჭვოა, იმიტომ რომ ამ მომავლის წარმოდგენას მუდამ ისეთი სახე აქვს, თითქოს იგი ნიშნავდეს მხოლოდ მუშათა ჯგუფების კორპორაციულ საკუთრებას». აქ ჩვენ ხელახლა საქმე გვაქვს ბატონი დიურინგის ჩვეულებრივ დამახინჯების «უხამს მანერასთან», «რომლის ვულგარული თვისებისათვის» (მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ) «სავსებით შესაფერი იქნება მხოლოდ ვულგარული სიტყვა — უხამსი»; ბატონი დიურინგის სხვა გამონაგონთან ერთად, ესეც მტკნარ სიცრუეს წარმოადგენს, თითქოს მარქსისთვის საერთო საკუთრება «ერთსა და იმავე დროს ინდივიდუალურიც იყოს და საზოგადოებრივიც».

ერთი რამ ყოველ შემთხვევაში ნათელია: ამა თუ იმ სამეურნეო კომუნის პუბლიცისტური უფლება მისი წარმოების საშუალებებზე საკუთრების განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში, ყოველი სხვა სამეურნეო კომუნისა და აგრეთვე მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ. მაგრამ ამ უფლებას შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეს «გარეკვეყნიერებას... გამოეთიშოს, იმიტომ რომ სხვადასხვა სამეურნეო კომუნებს შორის არსებობს თავისუფალი მისვლა-მოსვლა და ახალი წევრების სავალდებულო მიღება განსაზღვრული კანონებისა და მართვა-გამგეობის ნორმების მიხედვით... იმის მსგავსად... როგორც დღეს არსებობს მიკუთვნება რომელიმე პოლიტიკური ორგანიზმისადმი ან მონაწილეობა თემის სამეურნეო საქმეებში». მაშასადამე, იარსებებს მდი-

დარი და ღარიბი სამეურნეო კომუნები, მათი გათანასწორება კი მოხდება იმ გზით, რომ მოსახლეობა მიაწყდება მდიდარ კომუნებს და წავა ღარიბი კომუნებიდან. თუ, მაშასადამე, ბატონ დიურინგს სურს ვაჭრობის ეროვნული ორგანიზაციის შემწეობით მოსპოს ნაწარმოებთა კონკურენცია ცალკე კომუნებს შორის, იგი მწარმოებელთა კონკურენციის განგრძობას შეუშფოთებლად ტოვებს. საგნები კონკურენციის გარეშე რჩებიან, ადამიანები კი მის გავლენას ემორჩილებიანო.

მაგრამ ეს ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაძლევს ნათელ წარმოდგენას «პუბლიცისტური უფლების» შესახებ. ორი გვერდის შემდეგ ბატონი დიურინგი გვიცხადებს: სავაჭრო კომუნა «უპირველეს ყოვლისა იქამდე აღწევს, სანამდე მიდის ის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სფერო, რომლის წევრები შეკავშირებული არიან ერთიანი უფლებრივი სუბიექტის სახით და როგორც ასეთს თავიანთ განკარგულებაში აქვთ საზოგადოებრივი ერთობლივი ადგილ-მამული, საცხოვრებელი კარ-მიდამო და საწარმოო დაწესებულებანი». მაშასადამე, ყოველივე ეს იმყოფება არა ცალკე კომუნების, არამედ მთელი ერის განკარგულებაში. ამრიგად, «საჯარო უფლება», «უფლება საგნის მიმართ», «პუბლიცისტური დამოკიდებულება ბუნებისადმი» და სხვ. — ყოველივე ეს არათუ «მაინც გაურკვეველი და საეჭვოა», არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება თავის თავს. მართლაც იგი, ყოველ შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც თვითეული სამეურნეო კომუნა აგრეთვე უფლების სუბიექტსაც წარმოადგენს, «ერთსა და იმავე დროს ინდივიდალური და საზოგადოებრივი საკუთრებაა, — და ამიტომ ეს უკანასკნელი «ბუნდოვანი ჰერმაფროდიტული ფორმაც» მხოლოდ ბატონი დიურინგის აზროვნებაში გვხვდება.

ყოველ შემთხვევაში, სამეურნეო კომუნა თავის შრომის საშუალებებს წარმოების მიზნებისათვის ხმარობს. როგორ მიმდინარეობს ეს წარმოება? თუ იმისი მიხედვით განესჯით, რასაც ამ საგანზე ბატონი დიურინგი გვამცნობს, იგი სრულიად ძველებურად მიმდინარეობს, მხოლოდ ესაა, რომ კაპიტალისტის ადგილს კომუნა იჭერს; დიდი-დიდი აქ კიდევ იმას ვიგებთ, რომ ამ უკანასკნელის თვითეულ წევრს თავისუფლად შეეძლება პროფესია აირჩიოს, და ყველასათვის თანაბარი შრომის ვალდებულება დაწესდება.

მთელი დღემდე არსებული წარმოების ძირითად ფორმას წარმოადგენდა შრომის დანაწილება, ერთი მხრივ, საზოგადოების ფარგლებში, მეორე მხრივ, თვითეულ ცალკე საწარმოო დაწესებულებაში.

როგორი დამოკიდებულება აქვს შრომის ამ დანაწილებასთან დიურინგის «სოციალიტეტს»?

შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება ქალაქის და სოფლის გათიშვაა. ეს ანტაგონიზმი ბატონი დიურინგის მიხედვით «საქმის ვითარების გამო გარდაუვალია». მაგრამ «საერთოდ მთლად სწორი როდია წარმოვიდგინოთ, რომ უფსკრული სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის... ამოუვსებელია, ნამდვილად დღეს უკვე მათ შორის განუწყვეტელი გარდამავალი საფეხურები არსებობს, რომლებიც მომავალში, მოსალოდნელია, ბევრად იმატებენ». ასე, მაგალითად, ახლა უკვე ორი სამრეწველო დარგი შეიჭრა მიწათმოქმედებასა და სოფლის მეურნეობაში: «პირველი, არყის გამოხდა, ხოლო მეორე, ჭარხლის შაქრის წარმოება... სპირტის წარმოების მნიშვნელობა კი ისე დიდია, რომ მას უფრო ნაკლებ აფასებენ, ვიდრე მისი გაზვიადება ხდებოდეს». და «რაიმე აღმოჩენების შედეგად, რომ მრეწველობათა მთელი დიდი წრე ისე შექმნილიყო, რომ აუცილებელი გამხდარიყო წარმოების ლოკალიზაცია სოფელში და მისი უშუალო დაკავშირება ნედლი მასალის წარმოებასთან», ამით ქალაქის და სოფლის წინააღმდეგობა შესუსტდებოდა, და ჩვენ «მოვიპოვებდით უფართოეს საფუძველს ცივილიზაციის გასაშლელად». მაგრამ «ასეთი რამ შეიძლება სხვა გზითაც შეიქმნას. გარდა ტექნიკური საჭიროებებისა, სოციალური მოთხოვნილებანიც დიდ მნიშვნელობას იძენენ და როდესაც ეს უკანასკნელნი გადამწყვეტ გავლენას მოიპოვებენ ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სახეობათა დაჯგუფებისათვის, მაშინ შეუძლებელი გახდება იმ სარგებლობათა უგულებელყოფა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობათა და ტექნიკურად გარდამქმნელი მუშაობის ურთიერთ სისტემატურად მჭიდრო დაკავშირებიდან წარმოდგება».

მაგრამ აი სამეურნეო კომუნაში სწორედ სოციალური მოთხოვნილებების საკითხი იბადება და საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ეს კომუნა დააჩქარებს სავსებით გამოიყენოს მიწათმოქმედების და მრეწველობის შეკავშირების ზემოაღნიშნული უპირატესობანი. ბატონი დიურინგი, რასაკვირველია, არ დააყოვნებს თავისებურად ენაწყლიანად გვაუწყოს თავისი «ზედმიწევნით სწორი კონცეფციები» სამეურნეო კომუნის დამოკიდებულების შესახებ ამ საკითხთან. ამის მომლოდინე მკითხველი მოტყუებული დარჩებოდა. ზემოთ მოყვანილი მჭლე, არეულ-დარეული, უსუსური, ბანალური და ზოგადი აზრები, რომლებიც მუდმივად ტრიალებენ პრუსიული საერობო სამართლის მოქმედების, არყის მხდელი და

ჭარხლის შაქრის დამამზადებელი სფეროს ირგვლივ და გარშემო, — აი მთელი ის ავლადიდება, რის თქმაც ბატონ დიურინგს შეუძლია ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობის საკითხზე აწმყოსა და მომავალში.

გადავიდეთ შრომის დანაწილების დაწვრილებით განხილვაზე. აქ ბატონი დიურინგი უკვე ცოტა უფრო «ზუსტია». იგი მოგვითხრობს «პიროვნების შესახებ, რომელიც მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი სახის საქმიანობას უნდა მისდევდეს». თუ საქმე წარმოების რომელიმე ახალი დარგის შემოღებას ეხება, საკითხი უბრალოდ იმაში მდგომარეობს, — შეიძლება თუ არა განსაზღვრული რაოდენობის ა რ ს ე ბ ა თ ა შექმნა, რომლებიც რ ო მ ე ლ ი მ ე ერ თ ი ს ა ხ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა ს შესწირავდნენ თავიანთ ძალ-ღონეს და ამასთანავე შეიძლება თუ არა შეიქმნას მათთვის აუცილებლად საჭირო მოხმარებაც (!). წარმოების რომელიც გნებავთ დარგი სოციალიტეტში «მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს დიდი მასის შ რ ო მ ა ს რ ო დ ი მ ო ი თ ხ ო ვ ს». და სოციალიტეტში იარსებებენ ადამიანების «ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი სახესხვაობანი», «რომლებიც ურთიერთშორის ცხოვრების წესით განსხვავდებიან». ამრიგად, წარმოების სფეროში თითქმის ყველაფერი ძველებურად რჩება, მართალია, ბატონი დიურინგი აღიარებს, რომ საზოგადოებაში დღემდე «უკეღმართი შრომის დანაწილება» არსებობს, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს უკანასკნელი და რით შეიცვლება იგი სამეურნეო კომუნაში, ამის შესახებ მხოლოდ შემდეგს ვგებულობთ: «რაც შეეხება საკითხს თვით შრომის დანაწილების შესახებ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, იგი შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს, რაკი ანგარიში გაეწევა სხვადასხვა ბუნებრივ პირობებსა და პირად ნიჭს». ნიჭის გვერდით პირად მიდრეკილებასაც აქვს მნიშვნელობა: «მიმზიდველობა ისეთი სახის საქმიანობაზე გადასვლისა, რომელიც დიდ ნიჭსა და განათლებას მოითხოვს, დაყრდნობილი იქნება მხოლოდ და მხოლოდ მიდრეკილებაზე სათანადო საქმიანობისადმი და იმ სიამოვნებაზე, რომელსაც ს წ ო რ ე დ ა მ ს ა გ ნ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა (საგნის შესრულება!) ი წ ვ ე ვ ს და ა რ ა სხვა რ ო მ ე ლ ი მ ე ს ა გ ნ ი ს ა». ამ გზით სოციალიტეტში წარმოიშობა შეჯიბრება და «თვით წარმოება შეიძენს ერთგვარ ინტერესს, ხოლო ჩლუნგი ხელოსნურობა, რომელიც წარმოებას აფასებს როგორც მხოლოდ შემოსავლის მიღების საშუალებას, თავისი ბატონობის ბეჭედს აღარ დააჭდობს საზოგადოებრივ ურთიერთობას».

ყოველ საზოგადოებაში, სადაც წარმოების განვითარება სტიქიურად ხდება, — თანამედროვე საზოგადოება კი სწორედ ასეთია, — მწარმოებლები კი არ ბატონობენ წარმოების საშუალებებზე, არამედ წარმოების საშუალებანი ბატონობენ მწარმოებლებზე. ასეთ საზოგადოებაში წარმოების ყოველი ახალი ბერკეტი აუცილებლად იმ ახალ საშუალებად იქცევა, რომლის შემწეობით წარმოების საშუალებანი მწარმოებლებს იმონებენ. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის წარმოების იმ ბერკეტზე, რომელიც უძლიერესად ითვლებოდა მსხვილი მრეწველობის წარმოშობამდე,—შრომის დანაწილებაზე. უკვე შრომის პირველმა დიდმა დანაწილებამ — ქალაქის და სოფლის განცალკევებამ — სოფლის მოსახლეობას ათასი წლების განმავლობაში ხვედრად გონებრივი დაჩლუნგება არგუნა, ხოლო ქალაქელებს — თვითეულის დამონება მისივე სპეციალური ხელობის მიერ. მან მოსპო სოფლის მოსახლეობის სულიერი განვითარების და ქალაქელთა ფიზიკური განვითარების საფუძველი. თუ გლეხი მიწას ეუფლება, ხოლო ქალაქელი ხელოსანი— თავის ხელობას, ამდენადვე მიწაც აგრეთვე ეუფლება გლეხს, ხოლო ხელობა — ხელოსანს. შრომის დანაწილებასთან ერთად ადამიანიც ნაწილდება. ერთი რომელიმე საქმიანობის განვითარებას მსხვერპლად ეწირება ყველა დანარჩენი ფიზიკური და სულიერი უნარი. ადამიანის ეს დასახიჩრება მატულობს იმდენად, რამდენადაც შრომის დანაწილებაც მატულობს, რაც თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მანუფაქტურაში აღწევს. მანუფაქტურა ხელოსნობას მის განცალკევებულ ნაწილობრივ ოპერაციებად შლის, თვითეულ ამ ოპერაციას ცალკეულ მუშას აკისრებს მთელი ცხოვრების მანძილზე პროფესიის სახით და ამრიგად ამ მუშას მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში განსაზღვრულ ნაწილობრივ ფუნქციას და განსაზღვრულ სამუშაო იარაღს აჯაჭვავს. «იგი[1] ამახინჯებს მუშას, რადგანაც ხელოვნურად ანვითარებს მასში ერთ რომელიმე სპეციალურ უნარს და უხშობს მას მთელ დანარჩენ საწარმოო მიდრეკილებათა და უნართა სამყაროს... თვით ინდივიდუუმიც ნაწილდება, ამა თუ იმ ნაწილობრივი შრომის ავტომატურ მამოძრავებელ იარაღად იქცევა» (მ ა რ ქ ს ი)[2], — მამოძრავებელ იარაღად, რომელიც მრავალ შემთხვევაში სრულქმნილობას აღწევს მუშის პირდაპირ ფიზიკური და სულიერი.

[1] —მანუფაქტურა». რ ე დ.

[2] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 313. რ ე დ.

დასახიჩრებით. მსხვილი მრეწველობის მანქანური წარმოებისას მუშა მანქანასაც კი აღარ წარმოადგენს და მანქანის უბრალო დამატებად იქცევა. «სპეციალობა, რომელიც წარმოადგენდა ნაწილობრივი სამუშაო იარაღის ხმარებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, იქცევა სპეციალობად, რომელიც წარმოადგენს ნაწილობრივი მანქანის მომსახურებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მანქანის ბოროტად გამოყენება ხდება იმისთვის, რომ თვით მუშა ბავშვობიდანვე ნაწილობრივი მანქანის ნაწილად გადააქციონ»[1] (მ ა რ ქ ს ი). და არა მარტო მუშები, არამედ ის კლასებიც, რომლებიც მუშების პირდაპირ ან არაპირდაპირ ექსპლოტაციას ეწევიან, შრომის დანაწილების საშუალებით, თავიანთი საქმიანობის იარაღის მონა ხდებიან: სულიერად გამოფიტული ბურჟუა — თავისი საკუთარი კაპიტალისა და საკუთარი მოგების წყურვილის მონაა, იურისტი მონაა თავისი გაქვავებული სამართლის წარმოდგენებისა, რომლებიც მასზე ბატონობენ დამოუკიდებელი ძალის სახით; «განათლებული კლასები» საერთოდ დამონებულნი არიან მრავალგვარი ადგილობრივი შეზღუდულობისა და ცალმხრივობის ფორმების მიერ, თავიანთი საკუთარი ფიზიკური და სულიერი სიბეცის მიერ, თავიანთი დამახინჯების მიერ, რომელსაც იწვევს ერთი გარკვეული სპეციალობისკენ მიმართული აღზრდა-განათლება და თვით ამ სპეციალობაზე მიჯაჭვა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თვით მაშინაც კი, როდესაც ეს სპეციალობა არაფრის მაქნისია.

უტოპისტებს უკვე სავსებით შეგნებული ჰქონდათ რა გავლენას ახდენს შრომის დანაწილება, ერთი მხრივ, მუშის დასახიჩრებაზე, მეორე მხრივ, თვით შრომის პროცესზე, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთი და იმავე მოქმედების ერთფეროვანი, მექანიკური განმეორებით იფარგლება. როგორც ფურიე, ისე ოუენი მოითხოვდნენ ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებულობის მოსპობას როგორც პირველ ძირითად პირობას ძველი შრომის დანაწილების მოსასპობად. ორივე ამ უტოპისტის შეხედულებით მოსახლეობა ჯგუფ-ჯგუფად უნდა დასახლდეს ათას ექვსასიდან სამი ათას სულამდე; თვითეული ჯგუფი უზარმაზარ სასახლეში ცხოვრობს, თავისი ტერიტორიის ცენტრში და საერთო საოჯახო მეურნეობას ეწევა. მართალია, ფურიე აქა-იქ ქალაქების შესახებაც ლაპარაკობს, მაგრამ ეს უკანასკნელნი მხოლოდ ოთხიხუთი ასეთი ერთიმეორის ახლო მდებარე სასახლისაგან შედ-

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 371—372. რ ე დ.

ება. ორივე უტოპისტის მიხედვით საზოგადოების თვითეული წევრი მონაწილეობას იღებს როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში; ფურიეს მიხედვით, მრეწველობაში მთავარ როლს ხელოსნობა და მანუფაქტურა ასრულებს, ოუენის მიხედვით, პირიქით, უკვე მსხვილი მრეწველობა; იგი საოჯახო მეურნეობაშიც მოითხოვს უკვე ორთქლის ძალისა და მანქანების შემოღებას. მაგრამ ორივე მოითხოვს, რომ როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში შემოღებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი მონაცვლეობა თვითეული პიროვნების საქმიანობაში, და ამის მიხედვით ახალგაზრდობამ აღზრდა მიიღოს რაც შეიძლება უფრო ყოველმხრივი ტექნიკური მოღვაწეობისათვის. ორივე იმ აზრისაა, რომ ადამიანი უნივერსალურად უნდა განვითარდეს უნივერსალური პრაქტიკული მოღვაწეობის შემწეობით, შრომას ხელახლა უნდა დაუბრუნდეს დანაწილების წყალობით დაკარგული მიმზიდველობა, ეს უნდა მოხდეს, უწინარეს ყოვლისა, ამ მონაცვლეობისა და თვითეული სამუშაოსადმი მიძღვნილი მოკლე «სეანსის» შემწეობით, ფურიეს გამოთქმა რომ ვიხმაროთ. ორივე უტოპისტი შეუდარებლად მაღლა დგას ბატონ დიურინგის აზრთა წყობაზე, რომელიც მან ექსპლოატატორული კლასებისაგან მემკვიდრეობით მიიღო და რომლის თანახმად ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებულობა დაუძლეველია თვით საგნის ბუნების მიხედვითო; ასეთი შეხედულების შეზღუდულობა იქიდანაც ჩანს, რომ «არსებათა» განსაზღვრულ რიცხვს ყოველ პირობებში მისჯილი აქვს ერთი რომელიმე სახის საგანი ამზადოს, და ამ გზით სურთ ადამიანთა «ეკონომიკურ სახესხვაობათა» არსებობა გაამარადისონ, ადამიანთა, რომლებიც სხვებისაგან განსხვავდებიან თავიანთი ცხოვრების წესით და რომლებიც შვებას პოვებენ იმით, რომ სწორედ ამ და არა სხვა საქმეს მისდევენ, მაშასადამე, ისე ღრმად არიან დაქვეითებული, რომ თავიანთი საკუთარი დამონება და გაცალმხრივება უხარიათ. თვით «იდიოტი» ფურიეს გიჟურ-კადნიერ ფანტაზიებთან შედარებით, თვით «ტლანქი, უილაჯო და ბეჩავი» ოუენის მკლე იდეებთან შედარებით ბატონი დიურინგის აზროვნება, რომელიც სრულიად დამონებულია შრომის დანაწილებით, სწორედ თავხედი ქონდრის კაცის აზროვნებაა.

როცა საზოგადოება ყველა საწარმოო საშუალებას დაეუფლება, რათა იგი საზოგადოებრივი მიზნებისათვის გეგმაშეწონილად გამოიყენოს, იგი მოსპობს ადამიანთა დღემდე არსებულ დამონებას მათივე საკუთარი საწარმოო საშუალებების მიერ. თავისთავად

იგულისხმება, რომ საზოგადოება ვერ განთავისუფლდება ისე, თუ თვითეული ცალკე ადამიანი არ განთავისუფლდა. მაშასადამე, ძირიან-ფესვიანად უნდა დაიმსხვრეს წარმოების ძველი წესი და განსაკუთრებით კი უნდა გაქრეს შრომის ძველი დანაწილება. მისი ადგილი უნდა დაიჭიროს წარმოების ისეთმა ორგანიზაციამ, რომელშიც არავის არ შეეძლება სხვებს დააკისროს თავისი წილი მწარმოებლურ შრომაში, ადამიანის არსებობის ამ ბუნებრივ პირობაში; და რომელშიც, გარდა ამისა, მწარმოებლური შრომა ადამიანის დამონების საშუალების მაგიერ ადამიანის განთავისუფლების საშუალებად გადაიქცევა, რამდენადაც იგი თვითეულ პიროვნებას შესაძლებლობას მიანიჭებს ყველა მიმართულებით განავითაროს და აამოქმედოს ყოველი თავისი უნარი, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი; რომელშიც, ამგვარად, მწარმოებლური შრომა მძიმე ტვირთიდან სიამოვნებად იქცევა.

ეს დღეს არც ფანტაზიაა, არც სათნო ღვთისნიერი სურვილი. იმ განვითარების საფეხურზე, რომელსაც დღეს საწარმოო ძალებმა მიაღწიეს, საკმარისია უკვე წარმოების ის გაფართოება, რასაც თვით საწარმოო ძალთა განსაზოგადოების ფაქტი მოგვცემს, საკმარისია იმ დაბრკოლებათა და შეფერხებათა თავიდან აცილება, რომლებიც წარმოების კაპიტალისტური წესიდან გამომდინარეობენ, საკმარისია პროდუქტების და საწარმოო ძალების მფლანგველობის მოსპობა, რათა მუშაობაში საზოგადოების ყოველი წევრის მონაწილეობის დროს თვითეულის სამუშაო დრო დაყვანილ იქნეს, დღევანდელი წარმოდგენების მიხედვით, უმნიშვნელო ზომამდე.

სწორედ ასევე შრომის დანაწილების ძველი სისტემის გაუქმება სრულიადაც ისეთ მოთხოვნილებას არ წარმოადგენს, რომლის განხორციელება მხოლოდ შრომის მწარმოებლურობის ხარჯზე შეიძლებოდეს. პირიქით, იგი თვით წარმოების პირობად იქცა მსხვილი მრეწველობის წყალობით. «მანქანური წარმოება სპობს აუცილებლობას ეს განაწილება მანუფაქტურის მსგავსად იყოს განმტკიცებული ერთი და იმავე მუშის ერთსა და იმავე ფუნქციაზე მიჯაჭვით. რადგანაც ფაბრიკის საერთო მოძრაობა მუშისაგან კი არ მომდინარეობს, არამედ მანქანისგან, ამიტომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს პერსონალის მუდმივ ცვლას შრომის პროცესის შეუწყვეტლად... დაბოლოს, ის სისწრაფეც, რომლითაც ადამიანი სიყრმეში მანქანაზე მუშაობას სწავლობს, თავის მხრივ, სპობს აუცილებლობას, რომ განსაკუთრებული კლასი მუშებისა აღზრდილ

იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მანქანაზე მომუშავეებად» [1]. მაგრამ მაშინ, როცა მანქანების კაპიტალისტური წესით გამოყენებამ უნდა განაგრძოს შრომის ძველებური დანაწილების განვითარება მისი გაქვავებული პარტიკულარული ფუნქციებით, თუმცა ეს უკანასკნელი ტექნიკურად ზედმეტი გახდა, თვით მანქანური წარმოება აჯანყებას ახდენს ამ ანაქრონიზმის წინააღმდეგ. მსხვილი ინდუსტრიის ტექნიკური ბაზისი რევოლუციურია. «მანქანების, ქიმიური პროცესების და სხვა მეთოდების საშუალებით იგი მუდამ გადატრიალებას ახდენს წარმოების ტექნიკურ ბაზისში, ხოლო მასთან ერთად აგრეთვე მუშების ფუნქციებშიც და შრომის პროცესის საზოგადოებრივ კომბინაციებში. ამით იგი ასევე მუდამ არევოლუციურებს შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით და განუწყვეტლად ტყორცნის კაპიტალის მასებს და მუშათა მასებს წარმოების ერთი დარგიდან მეორეში. ამიტომ მსხვილი მრეწველობის ბუნება განსაზღვრავს შრომის ცვალებადობას, ფუნქციების დენადობას და მუშის ყოველმხრივ ძვრადობას... ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ პოულობს ეს აბსოლუტური წინააღმდეგობა... თავის მკაცრ გამოხატულებას მუშათა კლასის განუწყვეტელ მასობრივ ჟლეტაში, სამუშაო ძალების უზომო გაფლანგვაში და იმ გაპარტახებაში, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ანარქიასთან... ესაა უარყოფითი მხარე. მაგრამ თუ შრომის ცვალებადობა ახლა გზას იკაფავს როგორც ბუნების გარდაუვალი კანონი და მოქმედებს ბუნების კანონის ბრმა გამანადგურებელი ძალით, რომელიც ყველგან დაბრკოლებას აწყდება, მეორე მხრივ, მსხვილი მრეწველობა თვით თავისი კატასტროფებით თავისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად ხდის, რათა შრომის ცვალებადობა და ამიტომ მუშების უაღრესი მრავალმხრივობა ცნობილი იქნეს საზოგადოებრივი წარმოების საყოველთაო კანონად, რომლის ნორმალურ განხორციელებას უნდა შეეგუონ გარემოებანი. იგი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად ხდის ამას: ის საშინელება, რომ საბრალო მუშა-მოსახლეობა სათადარიგოდ არის დატოვებული კაპიტალის ცვალებადი საექსპლოატაციო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, შეცვლილ იქნეს ადამიანის აბსოლუტური გამოსადეგობით შრომის ცვალებადი მოთხოვნილებისათვის; ნაწილობრივი ინდივიდუუმი, გარკვეული ნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქციის უბრალო მატარებელი, შეცვლილი

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 370—371. რ ე დ.

იქნეს ყოველმხრივად განვითარებული ინდივიდუუმით, რომლისთვისაც სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქციები შეადგენს რიგრიგობით ერთიმეორის შემცვლელ სახეებს საქმიანობისა» (მარქსი, «კაპიტალი») [1].

რამდენადაც მსხვილმა მრეწველობამ გვასწავლა, ის მოლეკულური მოძრაობა, რომლის განხორციელება მეტად თუ ნაკლებად ყველგან შეიძლება, ვაქციოთ მასების მოძრაობად ტექნიკური მიზნების მისაღწევად, მან ინდუსტრიული წარმოება შესამჩნევად გაანთავისუფლა ადგილობრივი ზღუდეებისაგან. წყლის ძალა გაწსაზღვრულ ადგილთან იყო დაკავშირებული, ორთქლის ძალა თავისუფალია. თუ წყლის ძალა აუცილებლად სოფლური მოვლენა იყო, ორთქლის ძალა სრულიადაც აუცილებლად ქალაქური მოვლენა არაა. ეს მხოლოდ კაპიტალისტური გამოყენების წყალობით ხდება, რომ ორთქლის ძალა უმთავრესად ქალაქებში იყრის თავს და საფაბრიკო სოფლები საფაბრიკო ქალაქებად იქცევა. მაგრამ ამით კაპიტალიზმი ამავე დროს ძირს უთხრის თავისივე საკუთარი წარმოების ნორმალური მსვლელობის პირობებს. ორთქლის მანქანის პირველი მოთხოვნილება და მსხვილი მრეწველობის თითქმის ყველა საწარმოო დარგის მთავარი მოთხოვნილება შედარებით სუფთა წყალია. საფაბრიკო ქალაქი კი ყოველგვარ წყალს ყოველთვის მყრალ წუმპედ აქცევს. ამიტომ, იმდენად, რამდენადაც კონცენტრაცია ქალაქებში კაპიტალისტური წარმოების ძირითადი პირობაა, ამდენად თვითეული მრეწველი კაპიტალისტი მაინც ცდილობს გაიქცეს ამ კონცენტრაციის მიერ აუცილებლად შექმნილი დიდი ქალაქებიდან და სოფლურ წარმოებას მიაშუროს. ეს პროცესი დაწვრილებით შეიძლება შევისწავლოთ ლანკაშირისა და იორკშირის საფეიქრო მრეწველობის რაიონებში; კაპიტალისტური მსხვილი მრეწველობა იქ შეუჩერებლივ ახალ დიდ ქალაქებს ჰქმნის იმით, რომ მუდამ ქალაქიდან სოფლისაკენ გარბის. ასეთივე ამბავი ხდება ლითონის დამამუშავებელი მრეწველობის რაიონებში, სადაც იმავე შედეგებს ნაწილობრივ სხვა მიზეზები იწვევენ.

ამ ახალი მოჯადოებული წრის, თანამედროვე მრეწველობის ამ შეუჩერებლივ ახლად და ახლად წარმოშობადი წინააღმდეგობის მოსპობა ისევე მხოლოდ ამ მრეწველობის კაპიტალისტური ხასიათის მოსპობით შეიძლება. მხოლოდ იმ საზოგადოებას, რომელიც თავის საწარმოო ძალებს ერთმანეთს ჰარმონიულად უთან-

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 434—436. რ ე დ.

ზმებს ერთი დიდი გეგმის მიხედვით, შეუძლია მრეწველობას ნება დართოს ისე გაიშალოს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორც ეს ყველაზე უფრო მარჯვე და მოხერხებული იქნება მისი საკუთარი განვითარებისათვის და შენარჩუნებისათვის და აგრეთვე წარმოების სხვა ელემენტების განვითარებისათვის.

ამრიგად, ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობა არა თუ შესაძლებელია, იგი პირდაპირ აუცილებელი გახდა როგორც თვით ინდუსტრიული წარმოებისათვის, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, და, გარდა ამისა, საზოგადოების ჯანმრთელობის დასაცავად. მხოლოდ ქალაქის და სოფლის შეერთების გზით შეიძლება მოისპოს ჰაერის, წყლის და ნიადაგის მოწამვლა, რაც დღეს ხდება, მხოლოდ მას შეუძლია ქალაქების გამოფიტული მასები ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ მათი პატივი მცენარეებისათვის ნიადაგის გაპოხიერებას მოუნდეს, მაშინ როცა დღეს ავადმყოფობის ნიადაგს აპოხიერებს.

კაპიტალისტური მრეწველობა უკვე შედარებით დამოუკიდებელი გახდა მისთვის აუცილებელი ნედლი მასალის მიმწოდებელი ადგილობრივი წარმოების ვიწრო ჩარჩოებისაგან. საფეიქრო მრეწველობა უმთავრესად შემოზიდულ ნედლ მასალას ამუშავებს. ესპანეთის რკინის მადნის დამუშავება ინგლისსა და გერმანიაში ხდება, ესპანეთის და სამხრეთ ამერიკის სპილენძის მადნის — ინგლისში. ქვანახშირის ყოველი ბასეინი საწვავი მასალით მრეწველობას თავის ფარგლებს გარეთ შორს ამარაგებს და წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება. მთელი ევროპის სანაპიროებზე ორთქლის მანქანები ინგლისის, ალაგ-ალაგ გერმანიის და ბელგიის ქვანახშირით მუშაობს. კაპიტალისტური წარმოების ზღუდეებისაგან განთავისუფლებულ საზოგადოებას შეუძლია კიდევ უფრო შორს წავიდეს. რამდენადაც იგი ყოველმხრივ განვითარებულ მწარმოებელთა თაობას აღზრდის, რომელსაც მთელი ინდუსტრიული წარმოების მეცნიერული საფუძვლები ესმის და რომლის თვითეულ წევრს პრაქტიკულად ცალ-ცალკე წარმოების დარგების მთელი რიგი აქვს შესწავლილი თავიდან ბოლომდე, იმდენად ეს საზოგადოება შექმნის ახალ საწარმოო ძალას, რომელიც ჭარბად დასძლევს ძალიან შორიდან მოტანილი ნედლი და საწვავი მასალის სატრანსპორტო შრომას.

მაშასადამე, ქალაქის და სოფლის გათიშულობის მოსპობა უტოპიას არ წარმოადგენს არც იმ მიმართულებით, რომელიც მოითხოვს მსხვილი მრეწველობის რაც შეიძლება თანაბარ განა-

წილებას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მართალია, ცივილიზაციამ დიდი ქალაქების სახით ისეთი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომლის დაძლევა დიდ დროს და ჯაფას მოითხოვს. მაგრამ იგი უნდა დავძლიოთ და კიდევაც დავძლევთ, თუნდაც ეს ხანგრძლივი პროცესი იქნეს. რა ბედიც უნდა მოელოდეს პრუსიულ-გერმანულ იმპერიას, ბისმარკს შეუძლია საფლავში ჩაწვეს იმ ამაყი შეგნებით, რომ მისი გულითადი ნატვრა, დიდი ქალაქების დაღუპვა, უთუოდ ასრულდება.

ახლა დახეთ ბატონი დიურინგის ბავშვურ წარმოდგენას, თითქოს საზოგადოებას შეეძლოს დაეპატრონოს საწარმოო საშუალებებს მთლიანად, ისე რომ ძირ-ფესვიანად არ გადაატრიალოს წარმოების ძველებური წესი და, უწინარეს ყოვლისა, არ მოსპოს შრომის ძველებური დანაწილება; თითქოს ყოველივე მოწესრიგდა, თუ კი «ანგარიშს გაუწევთ ბუნებრივ პირობებსა და პირად ნიჭს». მაგრამ ამავე დროს ადამიანთა მთელი მასები წინანდებურად მონებივით იქნებიან მიჯაჭვული ერთი რომელიმე საგნის წარმოებაზე, მთელი «მოსახლეობანი» ჩაბმული იქნებიან წარმოების ერთადერთ დარგში, და კაცობრიობა წინანდებურად განაწილებული იქნება სხვადასხვა დამახინჯებულ «ეკონომიკურ სახესხვაობად», როგორიც არიან ახლა «მეურმე-მეეტლები» და «ხუროთმოძღვრები». გამოდის, რომ საზოგადოება მთლიანად საწარმოო საშუალებათა ბატონი უნდა გახდეს, ხოლო თვითეული ცალკე პირი თავისი საწარმოო საშუალებების მონა დარჩეს, მხოლოდ ისე, რომ მას მხოლოდ უფლება ექნება თავისი დამონების განსაზღვრული საშუალება ამოირჩიოს. დაე მკითხველმა ყურადღება მიაქციოს აგრეთვე იმას, თუ როგორ აცხადებს ბატონი დიურინგი სოფლისა და ქალაქის გათიშვას «გარდაუვალად თვით საგნის ბუნების მიხედვით» და ამ მიმართულებით როგორ დაუშვებს მხოლოდ უმნიშვნელო პალიატივს ამასთან დაკავშირებულ სპეციფიკურად პრუსიულ დარგებში, სახელდობრ, არყის გამოხდისა და ჭარხლის შაქრის დამზადების დარგში; როგორ ხდის იგი მრეწველობის გაფანტვას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე დამოკიდებულად რაიმე მომავალი აღმოჩენებისაგან და იძულებისაგან, რომ წარმოება უშუალოდ ზედ ეკრას ნედლი მასალის მოპოვებას, ნედლი მასალისა, რომელიც დღესაც უფრო და უფრო შორეულ მანძილზე იხმარება თავისი წარმოშობის ადგილიდან; და ბოლოს, დახეთ, როგორ ცდილობს იგი თავისი ზურგი დაფაროს რწმუნებით, რომ სოციალური მოთხოვნილებანი მაინც საბოლოოდ მიწათმოქმედების და მრეწვე-

ლობის შეკავშირებას გამოიწვევენ, თვით ეკონომიური მოსაზრებების მიუხედავადაც კი, თითქოს აქ საკითხი ეკონომიური მსხვერპლის გაღებას ეხებოდეს!

რასაკვირველია, იმის გასაგებად, რომ რევოლუციური ელემენტები, რომელთაც შრომის ძველი დანაწილება და მასთან ერთად ქალაქისა და სოფლის გათიშულობა უნდა მოსპონ, და მთელი წარმოების გადატრიალება მოახდინონ, ჩანასახისებურად უკვე მოიპოვებიან თანამედროვე მსხვილი მრეწველობის საწარმოო პირობებში, მაგრამ მათ შემდგომ განვითარებას აბრკოლებს თანამედროვე კაპიტალისტური წესი, ყოველივე ამის გასაგებად რამდენადმე უფრო ფართო ჰორიზონტია საჭირო, ვიდრე პრუსიული საერობო სამართლის მოქმედების სფერო იძლევა, ე. ი. ქვეყანა, სადაც არაყი და ჭარხლის შაქარი მთავარ ინდუსტრიულ პროდუქტებად ითვლებიან, ხოლო სავაჭრო კრიზისებს წიგნების ბაზარზე სწავლობენ. არა, ამისთვის საჭიროა იცოდე ნამდვილი მსხვილი მრეწველობა მისი ისტორიული განვითარებით და მისი ნამდვილი თანამედროვე ვითარებით, სახელდობრ, იმ ქვეყანაში, სადაც მისი სამშობლოა და სადაც მან კლასიკურ ჩამოყალიბებას მიაღწია. მაშინ, რასაკვირველია, არავის თავში აზრად არ მოუვა, თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმი გააუხამსოს და ბატონი დიურინგის სპეციფიკურად პრუსიული სოციალიზმის დონეზე ჩამოაქვეითოს.

IV

განაწილება

ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ დიურინგის პოლიტიკური ეკონომია შეიძლება შემდეგი დებულებით გამოითქვას: წარმოების კაპიტალისტური წესი სრულიად კარგია და შეიძლება დარჩეს, მაგრამ კაპიტალისტური განაწილების წესი ბოროტებაა და უნდა გაქრესო. ახლა ვხედავთ, რომ ბატონი დიურინგის «სოციალიტეტი» სხვას არაფერს წარმოადგენს, გარდა ამ დებულების გატარებისა ფანტაზიაში. მართლაც აღმოჩნდა, რომ ბატონი დიურინგი თითქმის არავითარ ნაკლს არ ხედავს კაპიტალისტური საზოგადოების წარმოების წესში როგორც ასეთში, რომ მას სურს შეინარჩუნოს შრომის ძველი დანაწილების ყველა არსებითი თვისება, და ამიტომ თითქმის კრინტსაც ვერ ძრავს წარმოების შესახებ

თავისი სამეურნეო კომუნის ფარგლებში. მართალია, წარმოება ისეთი დარგია, სადაც ლაპარაკია ხელშესახებ ფაქტებზე, ამიტომ აქ «რაციონალურ ფანტაზიას» ნაკლები გასაქანი აქვს ფრთების გასაშლელად და თავისუფალი სულის აღმაფრენა ადვილად შეიძლება სამარცხვინო მარცხით დამთავრდეს. პირიქით, სულ სხვა საქმეა განაწილება, რომელიც ბატონი დიურინგის შეხედულებით სრულიად დაკავშირებული არაა წარმოებასთან და რომელიც, თუ მასვე დავუჯერებთ, განისაზღვრება არა წარმოებით, არამედ წმინდა ნებისყოფის აქტით, თითქოს ზეცის მიერ წინასწარ განკუთვნილი იყოს იმისათვის, რომ დიურინგის «სოციალური ალქიმიის» ასპარეზს წარმოადგენდეს.

თვითეული პიროვნების თანასწორ ვალდებულებას — მონაწილეობა მიიღოს წარმოებაში — შეესაბამება მოხმარების თანასწორი უფლება, რომელსაც ორგანიზებული ხასიათი აქვს როგორც სამეურნეო კომუნაში, ისე მთელი რიგი სამეურნეო კომუნის შემცველ სავაჭრო კომუნაშიც. აქ «შრომა მეორე შრომაში იცვლება თანასწორი დაფასების პრინციპის მიხედვით... შესრულებული სამუშაო და ის, რასაც მის სანაზღაურად აძლევენ, აქ შრომის რაოდენობათა ნამდვილ თანასწორობას წარმოადგენენ». და ამასთანავე «ადამიანის ძალთა ეს გათანასწორება» მნიშვნელობას ინარჩუნებს «იმისდა მიუხედავად, მეტი თუ ნაკლები აწარმოეს ცალკე პირებმა, თუ შემთხვევით ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა ფ ე რ ი აწარმოეს», იმიტომ რომ ყოველგვარი მოქმედება, რამდენადაც დროისა და ძალის დახარჯვას მოითხოვს, მაშასადამე, კეგლის გორებაც და სეირნობაც, შეიძლება შესრულებულ მუშაობად ჩაითვალოს. მაგრამ ეს გაცვლა ხდება არა ცალკე პირებს შორის, იმიტომ რომ მთელი საზოგადოებრივი კრებულია ყველა საწარმოო საშუალების, მაშასადამე, აგრეთვე ყველა პროდუქტის მფლობელი, არამედ, ერთი მხრივ, თვითეულ სამეურნეო კომუნას და მის ცალკე წევრებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა სამეურნეო და სავაჭრო კომუნებს შორის. «განსაკუთრებით ცალკე სამეურნეო კომუნები თავიანთ საკუთარ ფარგლებში წვრილ ვაჭრობას სრულიად გეგმაშეწონილი განაღდებით შეცვლიან». სწორედ ასევე მოეწყობა ვაჭრობა დიდი მასშტაბით. «ამიტომ თავისუფალი სამეურნეო საზოგადოების სისტემა... რჩება დიდ გაცვლით დაწესებულებად, რომლის ოპერაციები მოხდება ძვირფასი ლითონების მიერ მოცემულ საფუძველზე. ამ ძირითადი თვისების გარდაუვალი აუცილებლობის შეგნება ჩვენს სქემას განასხვავებს ყველა იმ

ბუნდოვანი შეხედულებებისაგან, რომლებიც თანამედროვე მოარული სოციალისტური წარმოდგენების ყველაზე რაციონალურ ფორმებსაც კი ახასიათებს».

ამ გაცვლის მიზნით სამეურნეო კომუნა, როგორც საზოგადოებრივი პროდუქტის პირველი მიმთვისებელი, «ყოველი დარგის საგნებისათვის ერთნაირ ფასს აწესებს» წარმოების საშუალო ხარჯების მიხედვით. «რა მნიშვნელობაც დღეს ღირებულების და ფასის გამოსარკვევად... წარმოების ეგრეთწოდებულ თვითღირებულებას აქვს, იგივე ექნება (სოციალიტეტში)... დახარჯული შრომის რაოდენობის შეფასებას. ეს შეფასებანი, რომელნიც იმ პრინციპის მიხედვით, რაც სამეურნეო დარგშიც თანასწორ უფლებას ცნობს თვითეული პიროვნების მიმართ, საბოლოო ანგარიშით დაიყვანება მუშაობაში მონაწილე პირთა რიცხვის ანგარიშის გაწევამდე; ამასთანავე ისინი მოგვცემენ საფუძველს ფასების ურთიერთობის გამოსარკვევად, რომელიც ამავე დროს შეეფერება წარმოების ბუნებრივ ურთიერთობებსა და რეალიზაციის საზოგადოებრივ უფლებას. ძვირფასი ლითონების წარმოება, ისევე როგორც ეს დღესაა, მაშინაც განმსაზღვრელი მომენტი იქნება ფულის ღირებულების გამოსარკვევად... აქედან ჩანს, რომ შეცვლილ საზოგადოებრივ წესწყობილებაში ჯერ ღირებულებისთვის, ხოლო შემდეგ იმ ურთიერთობისათვის, რომელშიც ნაწარმოებნი ერთიმეორეზე იცვლებიან, არა თუ არ იკარგება, არამედ ჯეროვანად პირველად აქ ვიძენთ განსაზღვრის პრინციპსა და საზომს». სახელოვანი «აბსოლუტური ღირებულება» ბოლოს რეალიზებულია.

მაგრამ, მეორე მხრივ, კომუნამ თვითეულ პიროვნებას შესაძლებლობა უნდა მისცეს ნაწარმოები პროდუქტები იყიდოს მისგან, ამისთვის კომუნა მას ეკვივალენტის სახით მისი შრომისთვის დღიურად, კვირეულად ან თვიურად განსაზღვრულ ფულის თანხას უხდის, თანასწორს ყველასათვის. «ამიტომ სოციალიტეტის თვალსაზრისით სულერთია, ვიტყვით, შრომის ხელფასი უნდა გაქრესო, თუ იგი ეკონომიური შემოსავლის ერთადერთი ფორმა უნდა გახდესო». მაგრამ თანასწორი ხელფასები და თანასწორი ფასები კი იწვევენ «მოხმარების თანასწორობას, თუ თვისებრივს არა, რაოდენობრივს მაინც», და ამით ეკონომიკურად განხორციელებულია «სამართლიანობის უნივერსალური პრინციპი». რაც შეეხება ამ მომავლის ხელფასის დონის განსაზღვრას, ბატონი დიურინგი მხოლოდ იმას გვეუბ-

ნება, რომ აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, «თანაბარი შრომა თანაბარ შრომაში» იცვლებაო. ამიტომ ექვსსაათიანი შრომისათვის უნდა გადახდილ იქნეს ფულის თანხა, რომელიც აგრეთვე ექვსი სამუშაო საათის განხორციელებას წარმოადგენს.

მაგრამ «სამართლიანობის უნივერსალური პრინციპი» სრულიადაც არ უნდა ავურიოთ იმ ტლანქ გამთანაბრებლობაში, რომელიც ბურჟუებს ასე ამხედრებს ყოველი, განსაკუთრებით კი სტიქიური მუშათა კომუნიზმის წინააღმდეგ. ეს პრინციპი სრულიადაც ისეთი ულმობელი არაა, როგორც მას სურს გვეჩვენოს. «უფლებათა პრეტენზიების პრინციპული თანასწორობა ეკონომიკურ დარგში არ გამორიცხავს იმას, რომ სამართლიანობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გვერდით ადგილს დაიჭერს განსაკუთრებული მადლობისა და პატივის ნებაყოფლობითი გამოხატულება... საზოგადოება თ ა ვ ი ს თ ა ვ ს ს ც ე მ ს პ ა ტ ი ვ ს, როცა აღნიშნავს მოღვაწეობის უმაღლეს სახეობათ იმით, რომ მათ ზ ო მ ი ე რ ი დ ა მ ა ტ ე ბ ი ს საშუალებას აძლევს მოხმარების საჭიროებისათვის». და ბატონი დიურინგიც თავის თავს პატივს სცემს, როცა იგი აერთებს მტრედის უმანკოებასა და გველის სიბრძნეს და ასეთ გულის ამაჩუყებელ მზრუნველობას იჩენს მომავლის დიურინგებისათვის ზომიერ დამატებით მოხმარებაზე.

ამით, დიურინგის წარმოდგენით, კაპიტალისტური განაწილების წესი საბოლოოდ მოსპობილია. ვინაიდან «კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ, ასეთ ვითარებაში ვინმეს თავის განკარგულებაში გარდამეტი კერძო სახსარი ექნება, იგი ვერ შეძლებს იპოვოს ამ გარდამეტისათვის კაპიტალისტური გამოყენება. არც ცალკე პირი, არც პიროვნებათა ჯგუფი წარმოებისათვის არ შეიძენს ამ გარდამეტს, თუ არა გაცვლის ან ყიდვის გზით, არასოდეს ისინი იძულებული არ გახდებიან, რომ ვინმეს მასში პროცენტები ან მოგება მისცენ». ამის მიხედვით დასაშვებია «თანასწორობის პრინციპის შესაფერი მემკვიდრეობა». იგი აუცილებელია, იმიტომ რომ «ამა თუ იმ სახის მემკვიდრეობა ყოველთვის ოჯახის პრინციპის აუცილებელი თანამგზავრი იქნება». არც მემკვიდრეობის უფლებას «არ შეუძლია დიდი სიმდიდრეების დაგროვება გამოიწვიოს, იმიტომ რომ აქ საკუთრების შექმნას... არასოდეს არ შეეძლება მიზნად დაისახოს წარმოების საშუალება და წმინდა რანტიები შექმნას».

ამრიგად, სამეურნეო კომუნა თითქოს სავსებით მზადაა. ახლა ვნახოთ, როგორ ეწევა იგი მეურნეობას.

ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ბატონი დიურინგის ყველა გეგმა სავსებით განხორციელებულია; მაშასადმე, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ სამეურნეო კომუნა ყოველ თავის წევრს ყოველდღიური ექვსი საათის მუშაობისთვის ფულის თანხას უხდის, რომელშიაც აგრეთვე ექვსი სამუშაო საათია განხორციელებული, ვთქვათ, თორმეტი მარკა. ვგულისხმობთ აგრეთვე, რომ ფასები ზუსტად შეესაბამებიან ღირებულებებს, მაშასადამე, ჩვენი წანამძღვრების მიხედვით ფასები შეიცავენ მხოლოდ დანახარჯებს ნედლ მასალაზე, მანქანების გაცვეთას, შრომის საშუალებათა მოხმარებას და გადახდილი შრომის ხელფასს. ასი მშრომელი წევრისაგან შემდგარი სამეურნეო კომუნა ამ შემთხვევაში დღიურად აწარმოებს 1200 მარკის ღირებულების საქონელს, წლიურად ეს 300 სამუშაო დღის მიხედვით 360 000 მარკას უდრის; კომუნა ამავე თანხას უხდის თავის წევრებს; თვითეული მათგანი თავის დღიურ 12 მარკას ან წლიურ 3600 მარკას ისე ხმარობს, როგორც მას სურს. წლის დამლევს, ისე როგორც ასი წლის შემდეგ, კომუნა იმაზე მდიდარი არ იქნება, ვიდრე დასაწყისში იყო. მას მთელი ამ ხნის განმავლობაში ისიც კი არ შეეძლება, რომ დაუთმოს ბატონ დიურინგს ზომიერი მომატება მოხმარების საჭიროებისათვის, თუ მას არ სურს ამისთვის ხელი შეახოს წარმოების თავის საშუალებათა ფონდს. დაგროვება სავსებით დავიწყებულია. კიდევ უარესი: რადგან დაგროვება საზოგადოებრივ აუცილებლობას წარმოადგენს, ხოლო ფულის შენახვა დაგროვებისათვის მოხერხებულ ფორმას იძლევა, ამიტომ სამეურნეო კომუნის ორგანიზაცია თავის წევრებს პირდაპირ აქეზებს კერძო დაგროვებისადმი და ამით თვით კომუნის განადგურებისაკენ მოუხმობს.

როგორ შეიძლება თავი დავაღწიოთ ამ გაორებას სამეურნეო კომუნის ბუნებაში? კომუნას შეეძლო გამოსავალი ეპოვნა მის საყვარელ «ბაჟის დადებასა» და ფასის მომატებაში და თავისი წლიური ნაწარმოები 360 000 მარკის მაგიერ 480 000 მარკად გაეყიდა. მაგრამ რადგან ყველა დანარჩენი სამეურნეო კომუნაც იმავე მდგომარეობაში იმყოფება, მაშასადამე, იგივე უნდა მოიმოქმედოს, თვითეული მათგანი მეორესთან გაცვლის დროს იძულებული გახდებოდა იმდენივე «ბაჟი» გადაეხადა, რამდენსაც ჯიბეში იდებს, და, ამრიგად, «ხარკი» მხოლოდ მისსავე წევრებს დააწვებოდა.

ანდა კომუნა მოკლედ მოსჭრის და თვითეულ წევრს ექვსი საათის სამუშაო დღისთვის ნაკლები შრომის პროდუქტს მისცემს,

მაგალითად, ოთხი საათის სამუშაო დღის პროდუქტს, მაშასადამე, თორმეტი მარკის მაგიერ მხოლოდ რვა მარკას დღეში, საქონლის ფასებს კი წინანდელ დონეზე დატოვებს. ამ შემთხვევაში იგი პირდაპირ და აშკარად იმას გააკეთებს, რაც წინანდელ შემთხვევაში ფარულად და მიხვეულ-მოხვეული გზით სცადა: იგი ჰქმნის მარქსისეულ ზედმეტ ღირებულებას 120 000 მარკის რაოდენობით წელიწადში, იმით, რომ სავსებით კაპიტალისტური წესის მიხედვით თავის წევრებს მათ მიერ ნაწარმოებ ღირებულებაზე ნაკლებს უხდის, და ამავე დროს სრული ღირებულების მიხედვით უანგარიშებს საქონელს, რომლის ყიდვა მათ მხოლოდ მისგან შეუძლიათ. მაშასადამე, სამეურნეო კომუნას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია სარეზერვო ფონდი შეადგინოს, თუ იგი გამომჟღავნდება როგორც «გაკეთილშობილებული», ფართო კომუნისტურ საფუძველზე დაყრდნობილი, truck-system[1].

ამრიგად, ორში ერთი: ან სამეურნეო კომუნა «თანაბარ შრომას თანაბარ შრომაში ცვლის» და მაშინ მას კი არა, მხოლოდ კერძო პირს შეუძლია ფონდი დააგროვოს წარმოების შესანახად და გასაფართოებლად; ანდა იგი ასეთ ფონდს ჰქმნის და ამ შემთხვევაში «თანაბარ შრომას არ ცვლის თანაბარ შრომაში».

ასეთია გაცვლის შინაარსი სამეურნეო კომუნაში. როგორილაა მისი ფორმა? გაცვლა ხდება ლითონის ფულის შუამავლობითო, და ბატონ დიურინგს დიდად თავი მოაქვს ამ გაუმჯობესების «საკაცობრიო-ისტორიული მნიშვნელობით». მაგრამ კომუნის და მისი წევრების ურთიერთობაში ეს ფული ფული არ არის, იგი სრულიადაც არ მოქმედებს როგორც ფული. იგი მარტოოდენ შრომის მოწმობას წარმოადგენს, იგი, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ ადასტურებს «მწარმოებლის ინდივიდუალურ მონაწილეობას საერთო მუშაობაში და მის ინდივიდუალურ პრეტენზიას საერთო პროდუქტის განსაზღვრული ნაწილის მოხმარებაზე», და ამ ფუნქციაში «ისევე ნაკლებ წარმოადგენს ფულს, როგორც, ვთქვათ, თეატრის ბილეთი»[2]. ამიტომ იგი შეიძლება შეცვლილ იქნეს ამა თუ იმ ნიშნით, მაგალითად, ვაიტლინგი მას «კომერციული დავთრით» ცვლის, სადაც ერთ მხარეზე ჩაწერილია სამუშაო საათები, ხოლო მეორეზე — მის

---

[1] Truck-system ინგლისში ჰქვია იმ სისტემას, რომელიც კარგად ცნობილია გერმანიაშიც, როცა ფაბრიკანტები თვითონ ფლობენ დუქნებს და თავიანთ მუშებს აიძულებენ საჭირო საქონელი ამ დუქნებში იყიდონ. [ენგელსის შენიშვნა].

2. იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 59, შენიშვნა. რედ.

სანაცვლოდ მიღებული მოხმარების საგნები. ერთი სიტყვით, სამეურნეო კომუნის ურთიერთობაში თავის წევრებთან ფული მოქმედებს უბრალოდ როგორც ოუენისეული «სამუშაო საათების ფული», — ეს ქიმერა, რომელსაც ბატონი დიურინგი ზემოდან უცქერის ათვალწუნებით და რომელიც მას ძალაუნებურად მომავლის მეურნეობაში შეაქვს. დასახული მიზნისთვის კი სულერთია, რას წარმოადგენს ის მარკა, რომელიც «წარმოებაში შესრულებულ ვალდებულებას» და მისი შემწეობით მოპოვებულ «მოხმარების უფლებას» აღნიშნავს, ქაღალდის ნაფლეთს, ჟეტონს თუ ოქროს მონეტას. მაგრამ სხვა მიზნებისთვის ეს სულაც არაა ერთი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

თუ, მაშასადამე, ლითონის ფული სამეურნეო კომუნის ურთიერთობაში თავის წევრებთან მოქმედებს არა როგორც ფული, არამედ როგორც ნიღაბაფარებული შრომის მარკა, კიდევ უფრო ნაკლებ გამოდგება იგი ფულის ფუნქციისთვის სხვადასხვა სამეურნეო კომუნების გაცვლა-გამოცვლაში. თუ აქ ბატონი დიურინგის წანამძღვრები მივიღეთ, ლითონის ფული სრულიად ზედმეტია. მართლაც, სრულიად საკმაო იქნებოდა უბრალო ბუხჰალტერია, რომელიც ბევრად უფრო მარტივად მოაწესრიგებს თანაბარი შრომის პროდუქტების გაცვლას თანაბარი შრომის პროდუქტებზე, თუ იგი, იმის მაგიერ, რომ სამუშაო საათები ჯერ ფულში გადაიტანოს, ანგარიშს შრომის ბუნებრივი მასშტაბით აწარმოებს, სახელდობრ დროით, რომლის ერთეულად სამუშაო საათს ჩათვლის. გაცვლა აქ სინამდვილეში წმინდა ნატურალური გაცვლა იქნება; ყოველი ზედმეტი მოთხოვნა ადვილად და მარტივად გათანაბრდება სხვა კომუნებზე გადატანის გზით. მაგრამ თუ რომელიმე კომუნას მართლაც დეფიციტი ექნა სხვა კომუნების მიმართ, მთელ «სამყაროში არსებული ოქრო», თუნდაც იგი «ბუნებით ფულის» თვისებით იყოს აღჭურვილი, ამ კომუნას ვერ იხსნის აუცილებლობისაგან — ეს დეფიციტი საკუთარი შრომის გადიდებით დაფაროს, თუ მას არ სურს, რომ სხვა კომუნებისაგან სავალო დამოკიდებულებაში ჩავარდეს. ესეცაა, მკითხველს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ აქ მომავლის კონსტრუქციებს. როდი ვაგებთ. ჩვენ მხოლოდ ბატონი დიურინგის ვარაუდებს ვიღებთ და იქიდან აუცილებელი დასკვნები გამოგვაქვს.

მაშასადამე, არც სამეურნეო კომუნებისა და მათი წევრების, და არც სხვადასხვა კომუნების გაცვლა-გამოცვლაში ოქროს, რომელიც «თავისი ბუნებით ფულია», არ შეუძლია თავისი ბუნება განახორ-

ციელოს. მიუხედავად ამისა, ბატონი დიურინგი მას ფულის ფუნ-ქციის შესრულებას უკარნახებს «სოციალიტეტშიც». მაშასადამე, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, სხვა ასპარეზი ხომ არ არსებობს ამ ფულის ფუნქციისათვის. ასეთი ასპარეზი მართლაც არსებობს. მართალია, ბატონი დიურინგი ყველას «რაოდენობრივად თა-ნაბარი მოხმარების» უნარს აძლევს, მაგრამ მას არ შეუძ-ლია ეს ვინმეს აიძულოს. პირიქით, იგი ამაყობს იმით, რომ მის მსოფლიოში ყველას შეუძლია თავისი ფულით მოიმოქმედოს რაც სურს. მაშასადამე, მას არ შეუძლია ხელი შეუშალოს იმას, რომ კომუნის ზოგიერთი წევრი ცოტაოდენ ფულს ინახავს, მაშინ, როცა სხვებს მიღებული ხელფასი არც კი ყოფნით. ამას იგი აუცი-ლებლადაც კი ხდის, რამდენადაც მემკვიდრეობის უფლებაში ოჯა-ხის საერთო საკუთრებას ცნობს, საიდანაც შემდეგ გამომდინა-რეობს მშობლების ვალდებულება ბავშვები არჩინონ. მაგრამ ამით რაოდენობრივად თანაბარ მოხმარებაში ძლიერი ნაპრალი ჩნდე-ბა. უცოლშვილო კაცი დიდებულად და მხიარულად ცხოვრობს თავისი ყოველდღიური რვა ან თორმეტი მარკით, მაშინ როცა რვა მცირეწლოვანი შვილის პატრონ ქვრივს გაჭირვებით გააქვს თავი ასეთი ხელფასით. მეორე მხრივ, როცა კომუნა ყოველნაირ ფულს გადასახდელში იღებს ყოველგვარი შენიშვნების გარეშე, ამით შესაძლებლობას უშვებს, რომ ეს ფული სხვა გზით იქნეს შეძე-ნილი და არა საკუთარი შრომით. Non olet[1]. მან არ იცის, საიდან მოდის იგი. მაგრამ ამით მოცემულია ყველა პირობა, რათა ლი-თონის ფული, რომელიც აქამდე შრომის მარკის როლს ასრულებ-და, ნამდვილი ფულის ფუნქციით აღიჭურვოს. შემთხვევაც და მო-ტივიც არსებობს, ერთი მხრივ, განძის შექმნისა, მეორე მხრივ, დავალიანებისთვის. ხელმოკლე კაცი ფულს სესხულობს განძის შემ-ქმნელისაგან. და ეს სესხად მიღებული ფული, რომელსაც კომუნა საარსებო საშუალებათა გადასახდელში იღებს, ხელახლა იმად იქცევა, რასაც დღევანდელ საზოგადოებაში წარმოადგენს, — ადა-მიანის შრომის საზოგადოებრივ განხორციელებად, შრომის ნამ-დვილ საზომად, მიმოქცევის საყოველთაო საშუალებად. მსოფ-ლიოს ყველა «კანონი და მართვა-გამგეობის ნორმა» ისევე უძლური არის ამის წინააღმდეგ, როგორც გამრავლების ცხრილის ან წყლის ქიმიური შედგენილობის წინააღმდეგ. და რადგან განძის შემქმნელი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ შეუძლია

[1] ფულს სუნი არ უდის. რ ე დ.

ხელმოკლე კაცს სარგებელი გადაახდევინოს, ამიტომ ნამდვილი ფულის სახით მოქმედ ლითონის ფულთან ერთად მევახშეობის აღდგენაც ხდება.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით მხოლოდ იმ შედეგებს, რომლებიც წარმოიშობიან ლითონის ფულის შენარჩუნებით ბატონი დიურინგის სამეურნეო კომუნის გავლენის სფეროში. მაგრამ ამ სფეროს იქით დანარჩენი ცოდვილი მსოფლიო ჯერჯერობით თავის ძველ გზას განაგრძობს შეუშფოთებლად. ოქრო და ვერცხლი მსოფლიო ბაზარზე რჩება მ ს ო ფ ლ ი ო ფ უ ლ ი ს სახით, როგორც ყიდვის და გადახდის საყოველთაო საშუალება, როგორც სიმდიდრის აბსოლუტური საზოგადოებრივი განხორციელება. და ძვირფასი ლითონის ეს თვისება სამეურნეო კომუნის ცალკე წევრებისთვის გადაიქცევა განძის შექმნის, გამდიდრების, მევახშეობის მოტივად, რომლის შემწეობით თავისუფლად და დამოუკიდებლად შეიძლება მოძრაობა როგორც კომუნის მიმართ, ისე მის საზღვრებს გარეთ, და დაგროვებული კერძო სიმდიდრის რეალიზება მსოფლიო ბაზარზე. ეს მევახშეები იქცევიან მიმოქცევის საშუალებათა ვაჭრებად, ბანკირებად, მიმოქცევის საშუალებათა და მსოფლიო ფულის ბატონ-პატრონებად, ამით კი წარმოების ბატონ-პატრონებადაც, მაშასადამე, აგრეთვე საწარმოო საშუალებათა ბატონ-პატრონებადაც, თუნდაც ამათ მთელი წლების განმავლობაში სახელად სამეურნეო და სავაჭრო კომუნის საკუთრება ერქვას. მაგრამ ამ გზით ბანკირებად ქცეული განძის შემქმნელები და მევახშეები თვით სამეურნეო და სავაჭრო კომუნის ბატონ-პატრონები გახდებიან. ბატონი დიურინგის «სოციალიტეტი» ნამდვილად არსებითად განსხვავდება სხვა სოციალისტების «ბუნდოვანი წარმოდგენებისაგან». მას სხვა მიზანი არა აქვს, გარდა მსხვილი ფინანსისტების ხელახლა აღდგენისა, რომელთა კონტროლის ქვეშ და ქისათა გასატენად კომუნა თავგამოდებით იმუშავებს, თუ იგი საზოგადოდ ოდესმე წარმოიშობა და იარსებებს. მისთვის ერთადერთი ხსნა ის იქნებოდა, რომ განძის შემქმნელნი ამჯობინებდნენ კომუნიდან დაუყოვნებლივ გაქცეულიყვნენ თავიანთი მსოფლიო ფულის დახმარებით.

რადგან გერმანიაში გაბატონებულია ძველ სოციალისტურ მოძღვრებათა უცოდინარობა, რომელიმე გულუბრყვილო ჭაბუკს შეუძლია გვკითხოს, განა, მაგალითად, ოუენის შრომითი მარკებიც საბაბს არ მისცემდა ასეთი ბოროტად გამოყენებისთვისო? თუმცა ჩვენ აქ აზრად არ გვაქვს ამ შრომითი მარკების მნიშვნელობა ვარკვიოთ, მაინც, რათა დიურინგის «ყოვლისმომცველი სქემატიზმი»

ოუენის «ტლანქ, უფერულ და მჭლე იდეებს» შევადაროთ, შემდეგი უნდა ვთქვათ: ჯერ-ერთი, ოუენის შრომითი მარკების ასე ბოროტად გამოსაყენებლად საჭირო იქნებოდა მათი ნამდვილ ფულად გადაქცევა, მაშინ როცა ბატონი დიურინგი ნამდვილი ფულის შემოღებას გულისხმობს, მხოლოდ სურს ამ ფულს დაუშალოს სხვა ფუნქცია შეასრულოს, გარდა უბრალო შრომითი მარკისა. პირველ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ნამდვილ ბოროტად გამოყენებას, მეორე შემთხვევაში კი გზას იკაფავს ფულის იმანენტური, ადამიანის ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი ბუნება: ფული აქ აღწევს მისთვის დამახასიათებელ ნორმალურ, სწორ გამოყენებას, წინააღმდეგ იმ ბოროტმოქმედებისა, რომელიც ბ. დიურინგს სურს თავს მოახვიოს მას ფულის ბუნების უცოდინარობის გამო. მეორეც, ოუენის შრომითი მარკები მხოლოდ გარდამავალ ფორმას წარმოადგენს საზოგადოებრივი რესურსების სრული გაერთიანებისა და თავისუფალი გამოყენებისაკენ, ამას გარდა კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, საშუალებას, რომ ბრიტანეთის საზოგადოებისთვის კომუნიზმი უფრო მისაღები გახდეს. თუ, მაშასადამე, რაიმე ბოროტად გამოყენება ოუენის საზოგადოებას აიძულებდა შრომის მარკები გაეუქმებინა, ამით ეს საზოგადოება კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამდა წინ თავისი მიზნისკენ და განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდოდა. პირიქით, თუ დიურინგის სამეურნეო კომუნამ მოსპო ფული, იგი ერთი დარტყმით გაანადგურებს თავის «საკაცობრიო-ისტორიულ მნიშვნელობას», დაკარგავს თავის უაღრესად განსაკუთრებულ მიმზიდველობას, მოკვდება როგორც დიურინგისეული სამეურნეო კომუნა და დაეშვება იმ ბუნდოვან წარმოდგენათა დონემდე, საიდანაც იგი ბატონმა დიურინგმა ამაოდ ამოათრია რაციონალური ფანტაზიის ესოდენ მძიმე შრომის დახარჯვის შემწეობით [1].

საიდანღა წარმოდგება ყველა ეს უცნაური შეცდომები და დაბნეულობანი, რომლებშიც ბატონი დიურინგის სამეურნეო კომუნა ტრიალებს? იმ ბუნდოვანებისაგან, რომელიც ბატონი დიუ-

[1] გაკვრით უნდა შევნიშნოთ, რომ ბატონი დიურინგისთვის სრულიად უცნობია ის როლი, რომელსაც ოუენის კომუნისტურ საზოგადოებაში შრომითი მარკები ასრულებენ. იგი მათ იცნობს, ისიც ს ა რ გ ა ნ ტ ი ს წიგნის წყალობით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი გვევლინებიან ბუნებრივად დამარცხებულ «Labour Exchange Bazars»-ში [მუშათა საცვლელი ბაზრები], რომელიც წარმოადგენდა უშუალო შრომითი გაცვლის შემწეობით არსებული საზოგადოებიდან კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლის ცდას. [ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა].

რინგის თავში გარს ახვევია ღირებულებისა და ფულის ცნებებს და რომელიც მასში ბოლოს შრომის ღირებულების აღმოჩენის სურვილს იწვევს. მაგრამ რადგან დიურინგს ასეთი ბუნდოვანების მონოპოლია სულაც არა აქვს გერმანიაში, პირიქით, იქ მას ამ მხრივ მრავალი კონკურენტი ჰყავს, ჩვენ გვინდა «ერთი წუთით ჩვენი თავი დავძლიოთ და ის ხლართი დავშალოთ», რომელიც მან აქ დაახვია.

ერთადერთი ღირებულება, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია იცნობს, არის საქონლის ღირებულება. რა არის საქონელი? ესაა პროდუქტი, რომელიც მეტად თუ ნაკლებად განცალკევებული კერძო მწარმოებლების საზოგადოებაში იქმნება, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა, ესაა კერძო პროდუქტი. მაგრამ ეს კერძო პროდუქტი მხოლოდ მაშინ იქცევა საქონლად, როცა იგი იწარმოება არა საკუთარი მოხმარებისა, არამედ სხვების მოხმარებისთვის, მაშასადამე, საზოგადოებრივი მოხმარებისთვის; იგი საზოგადოებრივ მოხმარებაში გაცვლის გზით შედის. ამრიგად, კერძო მწარმოებლები ერთმანეთთან საზოგადოებრივ კავშირში იმყოფებიან, საზოგადოებას შეადგენენ. ამიტომ თუმცა მათი პროდუქტები თვითეული ცალკე პირის კერძო პროდუქტებს წარმოადგენენ, იმავე დროს მწარმოებლების მხრივ წინასწარ განუზრახველად და თითქოს მათი სურვილის წინააღმდეგ აგრეთვე საზოგადოებრივი პროდუქტებიც არიან. მაგრამ რაში მდგომარეობს ამ კერძო პროდუქტების საზოგადოებრივი ხასიათი? ცხადია, ორ მათს თვისებაში: ერთი იმაში, რომ ისინი ყველანი რაიმე ადამიანურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, რომ მათ სახმარი ღირებულება აქვთ არა მარტო მწარმოებლებისა, არამედ სხვებისთვისაც; და მეორე იმაში, რომ თუმცა ისინი სხვადასხვაგვარი კერძო შრომის პროდუქტები არიან, ამავე დროს საზოგადოდ ადამიანის შრომის, საყოველთაო ადამიანური შრომის პროდუქტებსაც წარმოადგენენ. რამდენადაც მათ სხვებისთვისაც აქვთ სახმარი ღირებულება, შეუძლიათ საზოგადოდ გაცვლაში მონაწილეობა მიიღონ; რამდენადაც მათში საყოველთაო ადამიანური შრომა, ადამიანის სამუშაო ძალის მარტივი გამოყენებაა მოთავსებული, ამდენად ისინი შეიძლება გაცვლაში ერთმანეთს შევადაროთ, თანასწორად ან არათანასწორად ვცნოთ ამ, მათში მოთავსებული შრომის რაოდენობის მიხედვით. ორ თანასწორ კერძო პროდუქტში შეიძლება, უცვლელ საზოგადოებრივ პირობებში, არათანასწორი რაოდენობის კერძო შრომა იყოს მოთავსებული, მაგრამ შიგ ყოველთვის ერთი და იმავე რაოდენობის საყოველთაო ადამიანური შრომა უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოდ. ერთმა დაუხე-

ლოვნებელმა მჭედელმა შეიძლება ხუთი ნალი გააკეთოს იმ დროის განმავლობაში, რომელშიც დახელოვნებული მჭედელი ათს აკეთებს. მაგრამ საზოგადოება ცალკეული პირის შემთხვევითს უმარჯვობას არ აძლევს ღირებულებას; იგი საყოველთაო ადამიანურ შრომად მხოლოდ იმ შრომას ცნობს, რომელსაც მოცემულ დროში ნორმალური საშუალო სიმარჯვე ახასიათებს. ამიტომ პირველი მჭედლის მიერ გაკეთებული ხუთი ნალის ერთ-ერთ ცალს გაცვლაში იმაზე მეტი ღირებულება არა აქვს, რაც იმავე დროის განმავლობაში მეორე მჭედლის მიერ გაკეთებული ათი ნალის ერთ ცალს. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კერძო შრომა საზოგადოებრივად აუცილებელია, იგი შეიცავს საყოველთაო ადამიანურ შრომას.

მაშასადამე, როცა ვამბობ, ამა და ამ საქონელს განსაზღვრული ღირებულება აქვს-მეთქი, ვამბობ: 1) რომ იგი საზოგადოებრივად სასარგებლო პროდუქტს წარმოადგენს; 2) რომ მას კერძო პირი აწარმოებს კერძო ანგარიშზე; 3) რომ, თუმცა იგი კერძო შრომის პროდუქტია, ამავე დროს, მწარმოებლის ცოდნისა და ნება-სურვილის დამოუკიდებლად, აგრეთვე საზოგადოებრივი შრომის პროდუქტსაც წარმოადგენს, სახელდობრ, პროდუქტს იმ შრომის განსაზღვრული რაოდენობისა, რომელიც საზოგადოებრივი გზით დგინდება, გაცვლის შემწეობით; 4) რომ ეს რაოდენობა გამოიხატება არა თვით შრომაში, არა ამდენ და ამდენ სამუშაო საათში, არამედ *რომელიმე სხვა საქონელში*. მაშასადამე, თუ მე ვამბობ, ეს საათი იმდენივე ღირს, რამდენიც ეს ნაჭერი მაუდი და თვითეული მათგანი კი ორმოცდაათი მარკა ღირს-მეთქი, ამით მე ვამბობ, რომ საათსა, მაუდსა და ფულის ამ თანხაში ერთი და იმავე რაოდენობის საზოგადოებრივი შრომაა განხორციელებული. ამრიგად, მე ვადასტურებ, რომ მათში განხორციელებული საზოგადოებრივი სამუშაო დრო საზოგადოებრივადაა გაზომილი და თანასწორადაა აღიარებული. მაგრამ გაზომილია არა პირდაპირ, არა აბსოლუტურად, როგორც ზომავენ სხვა შემთხვევაში სამუშაო დროს სამუშაო საათებით, დღეებით და სხვა., არამედ მოხვეული გზით, გაცვლის საშუალებით, შეფარდებით. ამიტომ არ შემიძლია სამუშაო დროის ეს განსაზღვრული რაოდენობა პირდაპირ გამოვხატო სამუშაო საათებით, რომელთა რიცხვი ჩემთვის უცნობი რჩება, არამედ ესეც აგრეთვე მხოლოდ მოხვეული გზით უნდა გამოვხატო, შეფარდებით, რომელიმე სხვა საქონლით, რომელიც საზოგადოებრივი სამუშაო დროის თანასწორ რაოდენობას წარმოადგენს. საათი იმდენივე ღირს, რამდენიც ნაჭერი მაუდი.

მაგრამ როცა საქონლური წარმოება და საქონლური გაცვლა მათზე დაყრდნობილ საზოგადოებას აიძულებს ამ მოხვეული გზით იაროს, იგი მას აგრეთვე აიძულებს ეს გზა შეძლებისამებრ შეამოკლოს. ამ მდგომარეობაში საქონლის მასიდან ისინი გამოჰყოფენ ერთ კეთილშობილ საქონელს, რომელშიც ერთხელ და სამუდამოდ იხატება ყველა დანარჩენი საქონლის ღირებულება, — საქონელს, რომელიც საზოგადოებრივი შრომის უშუალო განხორციელებად ითვლება და ამიტომ უშუალოდ და უპირობოდ იცვლება ყველა სხვა საქონელში. ესაა ფული. ფული უკვე ჩანასახის მდგომარეობაში მოიპოვება ღირებულების ცნებაში, იგი მხოლოდ განვითარებულ ღირებულებას წარმოადგენს. მაგრამ როცა საქონლის ღირებულება, თვით საქონლისაგან განსხვავებით, ფულში დამოუკიდებელ მყოფობას იღებს, მაშინ საზოგადოებაში, რომელიც საქონელს აწარმოებს და ცვლის, ახალი ფაქტორი ჩნდება ახალი საზოგადოებრივი ფუნქციებით და მოქმედებით. ჩვენ ამას ჯერჯერობით მხოლოდ ვადასტურებთ, მაგრამ მის დაწვრილებით განხილვას არ გამოვეკიდებით.

საქონლური წარმოების პოლიტიკური ეკონომია სრულიადაც არ წარმოადგენს ერთადერთ მეცნიერებას, რომელმაც ანგარიში უნდა გაუწიოს მხოლოდ შედარებით ცნობილ ფაქტორებს. არც ფიზიკაში ვიცით, აირის რამდენი განცალკევებული მოლეკული მოიპოვება განსაზღვრული მოცულობის აირში, როცა წნევაცა და ტემპერატურაც მოცემულია. მაგრამ, რამდენადაც ბოილის კანონი სწორია, ჩვენ ვიცით, რომ ამა თუ იმ აირის განსაზღვრული მოცულობა სწორედ იმდენსავე მოლეკულს შეიცავს, რამდენსაც ყოველი სხვა აირის თანასწორი მოცულობა იმავე წნევისა და ტემპერატურის დროს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მათი მოლეკულური შინაარსის მხრივ ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა აირის სხვადასხვა მოცულობა სხვადასხვა წნევისა და ტემპერატურის პირობებში; და თუ ერთეულად მივიღებთ 1 ლიტრ აირს 0°C ტემპერატურისას და 760 მილიმეტრი წნევის დროს, ამ ერთეულით აღნიშნული მოლეკულური შინაარსის გაზომვა შეგვიძლია. — ქიმიაშიც არ ვიცით ცალკე ელემენტების აბსოლუტური ატომური წონა. მაგრამ ჩვენ ვიცით მათი შეფარდებითი წონა, რამდენადაც ვიცით მათი ურთიერთ დამოკიდებულება. მაშასადამე, იმის მსგავსად, როგორც საქონლური წარმოება და მისი შემსწავლელი პოლიტიკური ეკონომია შეფარდებით გამოხატულებას იღებს ცალკე საქონელში მოთავსებული, მათთვის უცნობი შრომის რაოდენობისათვის, როცა ამ საქონელთ ერთმანეთს ადარებს მათი შეფარდებითი შრომის შინაარსის მიხედ-

ვით, ისე ქიმიაც შეფარდებით გამოხატულებას ნახულობს მისთვის უცნობი ატომური წონის სიდიდისათვის, როცა ცალკე ელემენტებს მათი ატომური წონის მიხედვით ადარებს და ერთი ელემენტის ატომურ წონას მეორე ელემენტის (გოგირდის, ჟანგბადის, წყალბადის) ატომური წონის ჯერადი ან წილადი რიცხვით გამოხატავს. და როგორც საქონლურ წარმოებას ოქრო აბსოლუტური საქონლის, სხვა დანარჩენი საქონლების საყოველთაო ეკვივალენტის, ყველა ღირებულების საზომის პატივში ჰყავს აყვანილი, სწორედ ასევე ქიმიას წყალბადი ქიმიური ფულ-საქონლის პატივში აჰყავს, როცა იგი მის ატომურ წონას ერთეულს უთანაბრებს და ყველა დანარჩენი ელემენტის ატომური წონა წყალბადზე დაჰყავს, ამ უკანასკნელის ატომური წონის ჯერადი რიცხვით გამოხატავს მათ.

მაგრამ საქონლური წარმოება სრულიადაც საზოგადოებრივი წარმოების ერთადერთ ფორმას არ წარმოადგენს. ძველ ინდურ თემებში, სამხრეთ სლავიანურ ოჯახურ თემებში პროდუქტი საქონლად როდი იქცევა. თემის წევრები გაერთიანებული არიან საზოგადოებრივი კავშირით უშუალოდ წარმოებისათვის, შრომა ტრადიციისა და მოთხოვნილების მიხედვით ნაწილდება, ასევე ნაწილდება პროდუქტებიც, რამდენადაც ისინი მოხმარებაში იხარჯებიან. უშუალო საზოგადოებრივი წარმოება, ისე როგორც პირდაპირი განაწილებაც, უარყოფს საქონლის ყოველგვარ გაცვლას, მაშასადამე, უარყოფს აგრეთვე პროდუქტის გადაქცევას საქონლად (ყოველ შემთხვევაში თემის ფარგლებში) და ამით აგრეთვე მათ გადაქცევას ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა დ.

როგორც კი საზოგადოება საწარმოო საშუალებებს დაეპატრონება და მას უშუალო განსაზოგადოებრივებული ფორმით გამოიყენებს წარმოებისათვის, თვითეული ცალკე პიროვნების შრომა, როგორ განსხვავებულიც უნდა იყოს მისი სპეციფიკური სასარგებლო ხასიათი, თავიდანვე და უშუალოდ საზოგადოებრივი შრომა გახდება. მაშინ მიხვეული გზით სიარული არაა საჭირო, რათა პროდუქტში განხორციელებული საზოგადოებრივი შრომის რაოდენობა გამოვარკვიოთ; ყოველდღიური გამოცდილება პირდაპირ გვიჩვენებს, რამდენი შრომაა საჭირო საშუალოდ. საზოგადოებას შეუძლია უბრალოდ გამოიანგარიშოს, რამდენი შრომის საათია მოთავსებული ერთ ორთქლის მანქანაში, უკანასკნელი მოსავლის ერთ ჰექტოლიტრ ხორბალსა და განსაზღვრული ხარისხის მაუდის ას კვადრატულ მეტრში. ამიტომ საზოგადოებას თავში აზრად არ მოუვა,

პროდუქტებში მოთავსებული შრომის რაოდენობა, რომელსაც იგი უშუალოდ და აბსოლუტურად იცნობს, გამოხატოს გარდა ამისა კიდევ შედარებითი, მერყეევი, არასაკმარისი, თუმცა წინათ აუცილებლად მიჩნეული საზომით, იმის გამო, რომ უკეთესი საშუალება არ არსებობდა, ე. ი. გამოხატოს იგი მესამე პროდუქტით და არა მისი ბუნებრივი, ადეკვატური, აბსოლუტური საზომით, დ რ ო ი თ. აგრეთვე ქიმიასაც თავში აზრად არ მოუვიდოდა, სხვადასხვა ელემენტთა ატომური წონა შეფარდებითი არაპირდაპირი გზით წყალბადის ატომის შემწეობით გამოეხატა, თუ კი იგი შეძლებდა ატომთა წონის აბსოლუტურად გამოხატვას მათი ადეკვატური საზომით, სახელდობრ, ნამდვილი წონით, გრამის ბილიონი თუ კვადრილიონი წილადებით. მაშასადამე, საზოგადოება ზემოაღნიშნულ პირობებში პროდუქტებს არავითარ ღირებულებას არ მიაწერს. იმ მარტივ ფაქტს, რომ ასი კვადრატული მეტრი მაუდი თავის საწარმოებლად, ვთქვათ, ათას სამუშაო საათს მოითხოვს, ნართაულად და უაზროდ ისე არ გამოთქვამს, რომ იგი ათასი სამუშაო საათის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა ა ო. მართალია, ამ შემთხვევაშიაც საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რამდენი შრომაა საჭირო თვითეული მოსახმარი საგნის საწარმოებლად. მან საწარმოო გეგმა საწარმოო საშუალებათა მიხედვით უნდა შეიმუშაოს, ამ უკანასკნელთა რიცხვს განსაკუთრებით სამუშაო ძალებიც ეკუთვნიან. ამ გეგმას ბოლოს სხვადასხვა მოსახმარი საგნის სასარგებლო ეფექტები განსაზღვრავს, აწონ-დაწონილი ერთიმეორისა და მათ დასამზადებლად აუცილებელი შრომის რაოდენობათა მიმართ. ადამიანები ყოველივე ამას მეტად მარტივად გააკეთებენ მრავალქებული «ღირებულების» დაუხმარებლადაც [1].

ღირებულების ცნება წარმოადგენს საქონლური წარმოების ეკონომიური პირობების ყველაზე ზოგად და ამიტომ ყოვლის მომცველ გამოხატულებას. ამიტომ ღირებულების ცნებაში ჩანასახობრივად მოთავსებულია არა მარტო ფულის, არამედ საქონლური წარმოების და საქონლის გაცვლის ყველა განვითარებული ფორმა. ის გარე-

[1] მე უკვე 1844 წელს («გერმანულ-ფრანგულ წელიწდეულში», გვ. 95) [იხ. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკვევი»] გამოვთქვი ის აზრი, რომ ზემოაღნიშნული აწონ-დაწონვა სასარგებლო ეფექტისა და შრომის დახარჯვისა საწარმოო გეგმის შედგენისას ყველაფერია, რაც კომუნისტურ საზოგადოებაში რჩება პოლიტიკურ ეკონომიაში ხმარებული ღირებულების ცნებისაგან, მაგრამ ამ დებულების მეცნიერული დასაბუთება, როგორც დავინახეთ, მხოლოდ მარქსის «კაპიტალის» შემწეობით გახდა შესაძლებელი. [ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა].

მოება, რომ ღირებულება კერძო პროდუქტებში მოთავსებული საზოგადოებრივი შრომის გამოხატულებაა, უკვე შეიცავს შესაძლებლობას საზოგადოებრივი შრომა განვასხვავოთ იმავე პროდუქტში მოთავსებული კერძო შრომისაგან. თუ, მაშასადამე, რომელიმე კერძო მწარმოებელი ძველებურად განაგრძობს წარმოებას, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი წარმოების წესი წინ მიდის, ეს განსხვავება მისთვის ფრიად საგრძნობი გახდება. იგივე ხდება როდესაც რომელიმე .სახის საქონელთა კერძო მწარმოებლების მთელი ერთობლიობა მათ ისეთი რაოდენობით აწარმოებს, რომ სჭარბობს საზოგადოებრივ მოთხოვნას. იმ გარემოებაში, რომ ამა თუ იმ საქონლის ღირებულება მხოლოდ მეორე საქონლის ღირებულებაში გამოიხატება და მხოლოდ მასთან გაცვლაში შეიძლება მოხდეს მისი რეალიზაცია, იმალება შესაძლებლობა, რომ გაცვლა საზოგადოდ არ მოხდება, ან ყოველ შემთხვევაში არ მოხდება ნამდვილი ღირებულების რეალიზაცია გაცვლაში. ბოლოს, როცა ბაზარზე სპეციფიკური საქონელი, სამუშაო ძალა გამოდის, მისი ღირებულების განსაზღვრაც, ყოველი სხვა საქონლის ღირებულების მსგავსად, მისი წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებლად საჭირო სამუშაო დროის მიხედვით მოხდება. ამიტომ პროდუქტების ღირებულების ფორმაში ჩანასახობრივად მოიპოვება მთელი კაპიტალისტური წარმოების ფორმა, კაპიტალისტების და დაქირავებული მუშების დაპირისპირება, სამრეწველო სარეზერვო არმია, კრიზისები. ამიტომ კაცმა რომ «ჟეშმარიტი ღირებულების» დადგენის შემწეობით წარმოების კაპიტალისტური ფორმის მოსპობა მოინდომოს, ეს იმას ნიშნავს, რომ «ჟეშმარიტი» პაპის არჩევის გზით კათოლიციზმის მოსპობა მოინდომოს; ან კიდევ იმას ნიშნავს, რომ იმ ეკონომიკური კატეგორიის თანმიმდევარი გატარებით, რომელიც სავსებით გამოხატავს მწარმოებლის დამონებას მისივე საკუთარი პროდუქტის მიერ, მოინდომოს ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც მწარმოებლები ბოლოს თავიანთ პროდუქტებზე იბატონებენ.

რაკი საქონლის მწარმოებელმა საზოგადოებამ განავითარა ღირებულების ის ფორმა, რომელიც საქონლის როგორც ასეთის შინაგან არსებას ახასიათებს, განავითარა ფულის ფორმისკენ, უკვე აშკარავდებიან სხვა, ჯერ კიდევ ღირებულებაში დაფარული, ჩანასახები. უახლოესი და უარსებითესი შედეგი ისაა, რომ საქონლური ფორმა ყოვლისმომცველ საყოველთაო ხასიათს იძენს. ფული საქონლურ ფორმას ახვევს თავს და გაცვლაში ითრევს თვით იმ

საგნებს, რომელთაც მანამდე უშუალოდ საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებდნენ. ამასთანავე საქონლური ფორმა და ფული იკრება უშუალოდ საზოგადოებრივი წარმოებით დაკავშირებული თემების შინასამეურნეო ცხოვრებაში; ისინი გლეჯენ თემის კავშირს ერთიმეორეზე მიყოლებით და თემს უამრავ დაქსაქსულ კერძო მწარმოებელთა გროვებად შლიან. როგორც ინდოეთში ვხედავთ, ფულს, უწინარეს ყოვლისა, თემური დამუშავების ნაცვლად შემოაქვს მიწის ინდივიდუალური დამუშავება; შემდეგ, ფული სახნავ-სათესი მიწის საბოლოო დანაწილების გზით შლის მიწის საერთო საკუთრებას, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ დრო და დრო კიდევ მეორდებოდა ხოლმე დაყოფა-გადანაწილება (მაგალითად, ეს უკვე მოხდა მოზელის ხეობის ეგრეთწოდებულ Gehöferschaften-ში [1], იგივე იწყება ამჟამად რუსეთის თემებში); ბოლოს, ფულის გაბატონება თემს აიძულებს საერთო ტყისა და საძოვრის გაყოფაც მოახდინოს. ფული თემზე ზემოქმედების უძლიერეს საშუალებად რჩება, როგორიც უნდა იყოს სხვა მიზეზები, რომლებიც წარმოების განვითარებაში არიან ჩამარხულნი და ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ. და ფული იმავე ბუნებრივი აუცილებლობით, ყოველი «კანონისა და მართვა-გამგეობის ნორმების» წინააღმდეგ დაშლიდა დიურინგისეულ სამეურნეო კომუნას, კიდევაც რომ განხორციელებულიყო იგი ოდესმე.

ზემოთ უკვე დავინახეთ («პოლიტიკური ეკონომია», თავი VI), რომ შრომის ღირებულებაზე ლაპარაკი შინაგან წინააღმდეგობას წარმოადგენს. რადგან შრომა განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში აწარმოებს არა მარტო პროდუქტებს, არამედ ღირებულებებსაც, ხოლო ეს ღირებულებანი შრომით გაიზომება, ამიტომ შრომას ისევე ნაკლებ შეუძლია განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდეს, როგორც სიმძიმეს, ვითარცა ასეთს, არ შეუძლია განსაკუთრებული წონა ჰქონდეს, ხოლო სითბოს — განსაკუთრებული ტემპერატურა. მაგრამ ყოველი იმ სოციალური თავგზადაბნეულის დამახასიათებელ თავისებურებას, რომელიც «ქეშმარიტი ღირებულების» ირგვლივ ბრძნობას მოჰყოლია, წარმოადგენს მტკიცება იმის შესახებ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მუშა ღებულობს თავისი შრომის არასრულ «ღირებულებას» და სოციალიზმი მოწოდებულია ეს გამოასწოროსო. ამისთვის კი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გამოვარკვიოთ, რა არის შრომის ღირებულებაო; ეს კი გამოირ-

[1] მეკომურთა თემებში. რ ე დ.

კვევა, თუ შეეცდებით შრომა გავზომოთ არა მისი ადეკვატური საზომით — დროით, არამედ მისი პროდუქტითო. მუშამ «თავისი შრომის სრული შემოსავალი» უნდა მიიღოს. არა მარტო შრომის პროდუქტი, არამედ თვით შრომა უნდა იცვლებოდეს უშუალოდ პროდუქტში: ერთი საათის შრომა — შრომის მეორე საათის პროდუქტშიო. მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს «სერიოზული» სიძნელე. ასე გამოდის, რომ მ თ ე ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ნაწილდება. საზოგადოებას ერთმეევა მისი უმნიშვნელოვანესი პროგრესული ფუნქცია, დაგროვება, და ცალკეულ პირებს უვარდებათ ხელში მათი ნება-სურვილის ამარად. ცალკეულ პირებს შეუძლიათ როგორც მოეპრიანებათ ისე მოიხმარონ თავიანთი «შემოსავალი», საზოგადოება კი უკეთეს შემთხვევაში ისევე მდიდარი ან ღარიბი დარჩება, როგორც იყო. მაშასადამე, აღმოჩნდა, რომ წარსულში დაგროვებული საწარმოო საშუალებების ცენტრალიზაცია საზოგადოების ხელში იმიტომ მომხდარა, რომ მომავალში დაგროვებული ყველა საწარმოო საშუალება ხელახლა ცალკე პირების ხელში დაქუცმაცდეს. ამრიგად, ეს თეორია თავის საკუთარ წანამძღვრებს თვითონვე აცამტვერებს და წმინდა წყლის უაზრობამდე მიდის.

ცოცხალი შრომა, მოქმედი სამუშაო ძალა უნდა გაიცვალოს შრომის პროდუქტშიო. მაშინ ისიც საქონელი ყოფილა, ისევე როგორც ის პროდუქტი, რომელშიც იგი უნდა გაიცვალოს. თუ ეს ასეა, მაშინ ამ სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება სრულიადაც არა მისი პროდუქტის მიხედვით, არამედ მასში განხორციელებული საზოგადოებრივი შრომით, მაშასადამე, შრომის ხელფასის თანამედროვე კანონის მიხედვით.

მაგრამ ხომ სწორედ ეს არ უნდა მოხდეს. ცოცხალი შრომა, სამუშაო ძალა ხომ მის სრულს პროდუქტში უნდა გაიცვალოს; ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა გაცვლილ იქნეს არა მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა, არამედ მისი ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით; გამოდის, რომ ღირებულების კანონი ძალაში უნდა დარჩეს ყველა სხვა საქონლის მიმართ, მაგრამ იგი სამუშაო ძალის მიმართ უნდა გაუქმდეს. ასეთია ის თავის თავის გამაბათილებელი აბდაუბდა, რომელიც «შრომის ღირებულების» თეორიაში იმალება.

«შრომის გაცვლა შრომაში თანასწორი დაფასების საფუძველზე», რამდენადაც ამ გამოთქმას საერთოდ აზრი აქვს, იმას ნიშნავს, რომ ხდება თანასწორი საზოგადოებრივი შრომის პროდუქტების გაცვლა ერთიმეორეზე; ამრიგად, ღირებულების ეს კანონი სწორედ საქონ_

ლური წარმოების და, მაშასადამე, აგრეთვე მისი უმაღლესი ფორმის, კაპიტალისტური წარმოების, ძირითად კანონს წარმოადგენს. იგი თანამედროვე საზოგადოებაში გზას იკაფავს ისე, როგორც შეიძლება კერძო მწარმოებლების საზოგადოებაში ეკონომიური კანონები გზას იკაფავდნენ, ე. ი. როგორც თვით საგნებსა და მათ ურთიერთობაში მდებარე, მწარმოებლების ნებისყოფისა და მისწრაფებებისაგან დამოუკიდებელი, ბრმად მოქმედი ბუნებრივი კანონი. როცა ბატონი დიურინგი ამ კანონს თავის სამეურნეო კომუნის ძირითად კანონად აქცევს და მოითხოვს, იგი კომუნამ მთელი თავისი შეგნებით უნდა გაატაროსო, ამით არსებული საზოგადოების ძირითად კანონს თავისი ფანტასტიკური საზოგადოების ძირითად კანონად აქცევს. მას სურს თანამედროვე საზოგადოების შენარჩუნება, მაგრამ არ სურს მისი უარყოფითი მხარეებიც დარჩეს. აქ იგი იმავე ნიადაგზე დგას, რომელზეც პრუდონი იდგა. ამ უკანასკნელის მსგავსად ბატონ დიურინგს სურს მოსპოს ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც წარმოიშვნენ იმის გამო, რომ საქონლური წარმოება კაპიტალისტურ წარმოებად იქცა, და მათ საქონლური წარმოების ძირითად კანონს უპირდაპირებს, რომლის მოქმედებამ სწორედ ეს უარყოფითი მხარეები წარმოშვა. პრუდონის მსგავსად მას სურს ღირებულების კანონის ნამდვილი შედეგები გააუქმოს ფანტასტიკურის შემწეობით.

მაგრამ რა ამაყადაც უნდა გამოვიდეს ჩვენი მოხეტიალე რაინდი, თანამედროვე დონ-კიხოტი, თავის კეთილშობილ როსინანტზე, «სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპზე», ამხედრებული, თავისი მხნე სანჩო პანსა — აბრაჰამ ენსის[1] თანხლებით და რაინდული მოგზაურობა დაიწყოს მამბრინის მუზარადის, «შრომის ღირებულების» დასაპყრობად, ჩვენ ვშიშობთ, ძლიერ ვშიშობთ, რომ შინ ვერაფერს მიიტანს, გარდა ცნობილი ძველი სადალაქო ტაშტისა.

V

სახელმწიფო, ოჯახი, აღზრდა

ორ უკანასკნელ თავში ჩვენ თითქმის ამოვწურეთ ბატონი დიურინგის «ახალი სოციალიტარული ორგანიზაციის» ეკონომიური შინაარსი. უკიდურეს შემთხვევაში კიდევ იმის აღნიშვნაა საჭირო, რომ «ისტორიული ჰორიზონტის უნივერსალური სიფართოვე»

[1] მარქსისა და ენგელსის წინააღმდეგ მიმართული პასკვილის ავტორი (1877 წ.). რ ე დ.

ბატონ დიურინგს სრულიადაც ხელს არ უშლის თავისი სპეციალური ინტერესები მიიღოს მხედველობაში, ჩვენთვის უკვე ცნობილი ზომიერი ზედმეტი მოხმარების გარეშეც. რადგან სოციალიტეტში არსებობას განაგრძობს შრომის ძველი დანაწილება, სამეურნეო კომუნა იძულებული იქნება არქიტექტორებსა და მეურმეშეეტლეებს გარდა პროფესიულ ლიტერატორებსაც გაუწიოს ანგარიში; ამიტომ საკითხი იბადება, როგორ უნდა მოვეპყრათ ამ შემთხვევაში საავტორო უფლებას. ეს საკითხი ბატონ დიურინგს სხვა საკითხებზე მეტად აწუხებს. ყველგან, მაგალითად, ლუი ბლანისა და პრუდონის გახსენების დროს, მკითხველს თვალში ეჩხირება საავტორო უფლება, ბოლოს «კურსის» მთელ ცხრა გვერდზე დაწვრილებითი მსჯელობაა გამართული ამაზე. ბოლოს მისტიკური «შრომის დაჯილდოების ფორმით» ბედნიერად თავს აფარებს სოციალიტეტის ნავსადგურს, ოღონდ სიტყვას არ ამბობს იმის შესახებ შენარჩუნებული იქნება თუ არა ამ შემთხვევაში ზომიერი ზედმეტი მოხმარება. წიგნის ერთი თავი რწყილების მდგომარეობაზე საზოგადოების ბუნებრივ სისტემაში ასევე შესაფერი და, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებ მოსაწყენი იქნებოდა.

მომავლის სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე ეს «ფილოსოფია» დაწვრილებით შემუშავებულ მიწერილობას იძლევა. აქ რუსომ, თუმცა იგი ბატონი დიურინგის «ერთადერთი მნიშვნელოვანი წინამორბედია», მაინც საკმაოდ ღრმა საძირკველი ვერ ჩაჰყარა; მისი უფრო ღრმა მემკვიდრე საქმეს საფუძვლიანად ასწორებს იმით, რომ რუსოს უკიდურესად აწყალებს და მასში კიდევ ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის ნამცეცებისაგან შემზადებულ მათხოვრულ შეჭამადს ურევს. ბატონი დიურინგის მომავლის სახელმწიფო საფუძველს «ინდივიდუუმის სუვერენობა» წარმოადგენს; იგი უმრავლესობის ბატონობაში დაჩაგრული კი არ უნდა იყოს, არამედ, პირიქით, უმაღლეს მწვერვალზე სწორედ ახლა უნდა ავიდეს. როგორ მოხდება ეს? სრულიად მარტივად. «თუ ვიგულისხმებთ, რომ ყოველი მიმართულებით ხდება შეთანხმება თვითეული პირისა თვითეულ პირთან, და თუ ამ შეთანხმებათა მიზანია ურთიერთ დახმარების აღმოჩენა უსამართლო შეურაცხყოფის დროს, ამ შემთხვევაში მხოლოდ გაძლიერდება ის ძალა, რომელიც აუცილებელია სამართლის დასაცავად, და აღარავითარი უფლება აღარ გამოდის ცალკე პირის უბრალო დაჯაბნიდან მასის მიერ, ანდა უმცირესობის უბრალო დაჯაბნიდან უმრავლესობის მიერ». ასე ადვილად გადალა-

ბავს სინამდვილის ფილოსოფიის ჯამბაზობის ცოცხალი ძალა დაუძ-ლეველ დაბრკოლებებს, და თუ კი მკითხველი იტყვის, ამის წყალობით მე სიბრძნე არ შემმატებიაო, ბატონი დიურინგი უპასუხებს, ამ საქმეს ასე ადვილად ნუ შეხედავ, იმიტომ რომ «უ მ ც ი რ ე-ს ი შ ე ც დ ო მ ა კოლექტივის ნებისყოფის როლის გაგებაში მ ო ს-პ ო ბ დ ა ინდივიდუუმის სუვერენიტეტს, ხოლო ეს სუვერენიტეტია სწორედ ის, რაც (!) საფუძველს წარმოადგენს ნამდვილ უფლებათა გამოსაყვანად». ბატონი დიურინგი ამ აბუჩად აგდებით ისე ეპყრობა თავის საზოგადოებას, როგორც მას დაუმსახურებია. მას შეეძლო უცერემონიოდაც მოქცეულიყო: სინამდვილის ფილოსოფიის კურსის მსმენელი სტუდიოზები ამას ალბათ ვერ შეამჩნევდნენ.

ინდივიდუუმის სუვერენიტეტი არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ «ცალკე პირი სახელმწიფოს მიმართ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი სახით ი ძ უ ლ ე ბ ა ს ე მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა», ამ იძულების გამართლება კი შეიძლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი «ნამდვილად ემსახურება ბუნებრივ სამართლიანობას». ამ მიზნისათვის იარსებებს «კანონმდებლობა და სასამართლო ხელისუფლება». მაგრამ ისინი «მთელი კოლექტივის ხელში უნდა დარჩნენ»; შემდეგ აგრეთვე იარსებებს თავდაცვითი კავშირი, რომელიც მეღავნდება «ჯარის ან იმ აღმასრულებელი ორგანოს ერთობლივ მოქმედებაში, რომელიც განკუთვნილია შინაგანი უშიშროების დასაცავად», მაშასადამე, იარსებებს არმიაც, პოლიციაც, ჟანდარმერიაც. ბატონმა დიურინგმა უკვე რამდენჯერმე დაგვანახვა, რომ იგი ნაღდი პრუსიელია; აქ კი მან საქმით დაამტკიცა, რომ იგი დაბადებით ტოლსწორია იმ სანიმუშო პრუსიელისა, რომელიც, განსვენებული მინისტრ ფონ როხოვის თქმით, «მკერდქვეშ ატარებს თავის ჟანდარმს». მაგრამ ეს მომავლის ჟანდარმერია ისე საშიში არაა, როგორიც დღევანდელი ჟანდარმები არიან. რაც უნდა ჩაიდინონ მათ სუვერენული ინდივიდუუმის მიმართ, ამ უკანასკნელს ე რ თ ი ნ უ გ ე შ ი მუდამ ექნება: «სამართლიანობა ან უსამართლობა, რომელიც შეიძლება, გარემოების მიხედვით, თავისუფალმა საზოგადოებამ ჩაიდინოს მის მიმართ, იმაზე უ ა რ ე ს ი მ ა ი ნ ც არასოდეს ა რ ი ქ ნ ე ბ ა, რასაც ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა მოიტანდა!». შემდეგ, ბატონი დიურინგი ერთხელ კიდევ გვაიძულებს ფეხი წავიკრათ მის გარდაუვალ საავტორო უფლებაზე და გვარწმუნებს, ჩემს მომავალ მსოფლიოში, «რასაკვირველია, სრულიად თავისუფალი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ადვოკატურა» იარსებებსო. «ამჟამად გამოგონილი თავისუფალი საზოგადოება» თანდათან უფრო ჭრელი ხდება.

იქ იქნებიან არქიტექტორები, მეურმე-მეეტლეები, ლიტერატორები, ჟანდარმები და ამას გარდა კიდევ ადვოკატები! ეს «საფუძვლიანი და კრიტიკული აზრების სამეფო» ორად გაპრილი ვაშლივით ჰგავს სხვადასხვა სარწმუნოების სხვადასხვა ზეციურ სამეფოს, სადაც მორწმუნე ყოველთვის სწორედ იმას პოულობს კვლავ გასხივოსნებულად, რაც მის ამქვეყნიურ ცხოვრებას სიტკბოებას აძლევდა. ბატონი დიურინგიც ხომ იმ სახელმწიფოს ეკუთვნის, სადაც «ყველას თავის ყაიდაზე შეუძლია ცხონდეს». მეტი რაღა გვინდა?

თუმცა აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა გვინდა ჩვენ. საქმე ისაა, რა უნდა თვით ბატონ დიურინგს. ის კი იმით განსხვავდება ფრიდრიხ მეორისგან, რომ დიურინგის მომავლის სახელმწიფოში ყველას როდი შეეძლება თავის ყაიდაზე ცხონება. ამ მომავლის სახელმწიფოს კონსტიტუციაში ნათქვამია: «შეუძლებელია თავისუფალ საზოგადოებაში რაიმე კულტი არსებობდეს: ი მ ი ტ ო მ რ ო მ ყოველ მის წევრს დაძლეული აქვს ბავშვური პირველყოფილი წარმოდგენა, თითქოს ბუნების უკან ან მასზე მაღლა არიან არსებანი, რომლებზეც შეიძლება გავლენა მოვახდინოთ მსხვერპლის შეწირვით ან ლოცვითთ». «ამიტომ სწორად გაგებულმა სოციალიტარულმა სისტემამ უ ნ დ ა... მ ო ს პ ო ს სულიერი ჯადოქრობის ყოველგვარი აქსესუარები, და მაშასადამე, კულტის ყველა არსებითი შემადგენელი ნაწილი». რელიგია აიკრძალება.

მაგრამ ყოველი რელიგია ხომ სხვა არ არის რა, თუ არა მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანების თავში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ; ესაა ანარეკლი, რომელშიც მიწიერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულობენ. ისტორიის დასაწყისში ამ ანარეკლის ობიექტები, უპირველეს ყოვლისა, ბუნების ძალები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა ხალხის შემდგომ განვითარებაში მრავალგვარ და მრავალფერად განპიროვნებას პოულობენ. ეს თავდაპირველი პროცესი, ყოველ შემთხვევაში ინდოევროპული ხალხებისათვის, შედარებითი მითოლოგიის შემწეობით მიკვლეულია მის წარმოშობამდე ინდურ «ვედებში», ხოლო მისი შემდგომი განვითარება დეტალურად გამოკვლეულია ინდოელებში, სპარსელებში, ბერძნებში, რომაელებსა და გერმანელებში, ხოლო რამდენადაც მასალა სწვდება, აგრეთვე კელტებში, ლიტოველებსა და სლავიანებში. მაგრამ ჩქარა ბუნების ძალების გვერდით მოქმედებას იწყებენ საზოგადოებრივი ძალებიც, რომლებიც ისევე უცხო და თავდაპირველად გამოუცნობი არიან ადამიანისათვის, ისევე უპირისპირდებიან

მას, ისეთივე მოჩვენებითი ბუნებრივი აუცილებლობით ბატონობენ მასზე, როგორც თვით ბუნების ძალები. ფანტასტიკური სახეები, რომლებშიც თავდაპირველად მხოლოდ ბუნების საიდუმლოებით აღსავსე ძალები ისახებოდნენ, ახლა საზოგადოებრივ ატრიბუტებსაც იძენენ, ისტორიული ძალების წარმომადგენლებად ხდებიან [1]. განვითარების შემდგომ საფეხურზე მრავალი ღმერთის ყველა ბუნებრივი და საზოგადოებრივი ატრიბუტი გადაიტანეს ერთ ყოვლისშემძლე ღმერთზე, რომელიც თავის მხრივ თვით აბსტრაქტული ადამიანის ანარეკლია. ასე წარმოსდგა მონოთეიზმი, რომელიც ისტორიულად უფრო გვიანდელი ეპოქის ბერძნული ვულგარული ფილოსოფიის უკანასკნელი პროდუქტი იყო და იუდეველთა, განსაკუთრებით ეროვნულ ღმერთში — იეჰოვაში ჰპოვა თავისი განხორციელება. ამ გამოსაყენებლად მარჯვე და ყველაფრის ადვილად შემგუებელ სახეში რელიგიამ შეიძლება თავისი არსებობა განაგრძოს როგორც ადამიანთა უშუალო, ე. ი. გრძნობიერმა დამოკიდებულებამ მათზე გაბატონებული უცხო, ბუნებრივი და საზოგადოებრივი ძალებისადმი, სანამ ადამიანები ფაქტიურად ასეთი ძალების ბატონობის ქვეშ იმყოფებიან. მაგრამ ჩვენ მრავალჯერ დავინახეთ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადამიანებზე მათ მიერვე შექმნილი ეკონომიური ურთიერთობანი, მათ მიერვე წარმოებული საწარმოო ძალები ბატონობენ როგორც რაღაც უცხო ძალები. მაშასადამე, არსებობას განაგრძობს რელიგიის როგორც ანარეკლის იდეოლოგიური პროცესის ფაქტიური საფუძველი და ამ საფუძველთან ერთად არსებობას განაგრძობს აგრეთვე მისი ანარეკლი რელიგიაში. და თუ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიაც კი ნაწილობრივ იძლევა ამ უცხო ძალთა ბატონობის მიზეზობრივი კავშირის გაგებას, ეს არაფერს ცვლის საქმის ვითარებაში. ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას არ შეუძლია არც კრიზისების თავიდან აცილება საზოგადოდ, არც ცალკე კაპიტალისტების დაცვა ზარალისა, უიმედო

[1] ეს უფრო გვიან ჩამოყალიბებული ორმაგი ბასიათი ღმერთების სახეებისა ვერ შეამჩნია შედარებითმა მითოლოგიამ, რომელიც მათ ცალმხრივად ახასიათებს როგორც ბუნებრივი ძალების ანარეკლთ, და ამან შემდეგ დიდი არევ-დარევა გამოიწვია მითოლოგიებში. ასე, მაგალითად, ზოგიერთ გერმანულ ტომში ომის ღმერთს ძველ სკანდინავურად ტირი ჰქვია, ძველ ზემო-გერმანულად-ციო, მაშასადამე, იგი შეესაბამება ბერძნულ ზევსს, ლათინურ იუპიტერს, ნაცვლად დიუ-პიტერისა; სხვა ტომებში იმავე ღმერთს ერ, ეორ ჰქვია, მაშასადამე, შეესაბამება ბერძნულ არესს, ლათინურ მარსს. [ენგელსის შენიშვნა]

ვალებისა და გაკოტრებისაგან, არც ცალკეული მუშების ხსნა უმუშევრობისა და სიღატაკისაგან. დღესაც ამბობენ ხოლმე წინანდებურად: კაცი ბჭობდა, ღმერთი (ე. ი. წარმოების კაპიტალისტური წესის უცხო ბატონობა) განაგებდაო. მარტოოდენ შემეცნება, თუნდაც იგი უფრო ფართო და ღრმა იყოს, ვიდრე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შემეცნება, საკმაო არ არის იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ძალები საზოგადოების ბატონობას დაემორჩილონ: ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ა საჭირო. და როცა ეს მოქმედება შესრულდება, როცა საზოგადოება, მთელი საწარმოო საშუალებების დაპატრონებისა და გეგმაშეფარდებული გამოყენების შემწეობით თავის თავსა და ყველა თავის წევრს იმ მონობისაგან გაანთავისუფლებს, რომელშიც ისინი ამჟამად იმყოფებიან მათ მიერვე წარმოებულ საწარმოო საშუალებათა წყალობით, რომლებიც მას უპირდაპირდებიან როგორც უძლეველი უცხო ძალა, მაშასადამე, როცა ადამიანი არა მარტო იაზროვნებს, არამედ აგრეთვე კიდეც განაგებს, მხოლოდ მაშინ გაქრება უკანასკნელი უცხო ძალა, რომელიც დღემდე კიდევ ასახვას პოულობს რელიგიაში და ამასთანავე გაქრება თვით ეს რელიგიური ასახვაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მაშინ აღარაფერი დარჩება ასასახველი.

მაგრამ ბატონ დიურინგს მოთმინება არ ჰყოფნის იქამდე იცადოს, სანამ სარწმუნოება თავისი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდებოდეს. იგი უფრო საფუძვლიანად მოქმედებს. იგი თვით ბისმარკზეც კი უფრო ბისმარკია; ის უფრო მკაცრ მაისის დეკრეტებს ადგენს, არა მარტო კათოლიციზმისა, არამედ საზოგადოდ ყოველი რელიგიის წინააღმდეგ; თავისი მომავლის ჟანდარმებს რელიგიას უსისინებს და, ამრიგად, ამ უკანასკნელს ხელს უწყობს მოწამებრივი შარავანდედით შეიმოსოს და ამით თავისი სიცოცხლე გაიხანგრძლივოს. საითაც უნდა გავიხედოთ, ყველგან სპეციფიკურ პრუსიულ სოციალიზმს დავინახავთ.

მას შემდეგ, რაც ბატონმა დიურინგმა ასეთი წარმატებით აღმოფხვრა რელიგია, «ადამიანს, რომელიც მხოლოდ თავის თავსა და თავის ბუნებაზეა დაყრდნობილი და მომწიფებულია თავისი კოლექტიური ძალების გასაგებად, თამამად შეუძლია ყველა იმ გზას დაადგეს, რომელსაც მას საგანთა მსვლელობა და მისი საკუთარი არსება უხსნის თვალწინ». მრავალფეროვანებისათვის ახლა ვნახოთ, რა «საგანთა მსვლელობას» შეუძლია გაჰყვეს თამა-

მად თავის თავზე დაყრდნობილი ადამიანი ბატონი დიურინგის ხელმძღვანელობით.

პირველი ნაბიჯი საგანთა მსვლელობაში, რომლითაც ადამიანი თავის თავს დაეყრდნობა, მისი დაბადებაა. შემდეგ, თავისი ბუნებრივი მცირეწლოვანობის ასაკში, იგი «ბავშვების ბუნებრივი აღმზრდელის» — დედის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება. «ეს პერიოდი, როგორც, მაგალითად, ძველ რომაულ სამართალშია, შეიძლება მომწიფების ასაკამდე, ე. ი. დაახლოებით თოთხმეტ წლამდე გაგრძელდეს». მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უფროსი ასაკის გაუწვრთნელი ბიჭები საკმაო პატივისცემით არ ეპყრობიან დედის ავტორიტეტს, ამ ნაკლის უვნებელყოფისთვის მამის, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი აღზრდა-განათლების ღონისძიებათა ჩარევაა საჭირო. დავაჟკაცებისას შვილი «მამის ბუნებრივ მზრუნველობაში შედის» იმ შემთხვევაში, თუ «ნამდვილი, უცილობელი მამობრივობა არსებობს». წინააღმდეგ შემთხვევაში თემი ნიშნავს მეურვეს.

როგორც ბატონ დიურინგს წინათ წარმოდგენილი ჰქონდა, წარმოების კაპიტალისტური წესი ისე შეიძლება წარმოების საზოგადოებრივი წესით შეიცვალოს, რომ თვით წარმოება არ გარდაიქმნასო, ისე აქ მას წარმოსახული აქვს, თანამედროვე ბურჟუაზიული ოჯახი ისე შეიძლება მთელ მის ეკონომიურ საძირკველს მოვწყვიტოთ, რომ ამით ოჯახის ფორმა ძირიან-ფესვიანად არ შეიცვლებაო. ეს ფორმა, მისი აზრით, ისე მკვიდრია, რომ იგი ოჯახისთვის უკუნითი უკუნისამდე საგალდებულოდ ხდის «ძველ რომაულ სამართალს», თუმცა ოდნავ «გაკეთილშობილებული» სახით; ოჯახი მას წარმოუდგენია მხოლოდ როგორც «მემკვიდრეობის გადამცემი», ე. ი. საკუთრების მფლობელი ერთეული. უტოპისტები აქ ბევრად მაღლა დგანან ბატონ დიურინგზე. უტოპისტების აზრით, ადამიანების თავისუფალ საზოგადოებრივ შეკავშირებასთან და ოჯახის კერძო მუშაობის საზოგადო მრეწველობად გადაქცევასთან ერთად უშუალოდ მოცემულია ახალგაზრდათა აღზრდის განსაზოგადოებაც და ნამდვილი თავისუფალი ურთიერთობის დამყარება ოჯახის წევრებს შორის. გარდა ამისა, მარქსმა უკვე დაამტკიცა («კაპიტალი», გვ. 515 და შემდ.), რომ «მსხვილი მრეწველობა, რომელიც გადამწყვეტ როლს აკუთვნებს ქალებს, მოზარდებს და ორივე სქესის ბავშვებს, ოჯახის ფარგლებს გარეთ, წარმოების საზოგადოებრივად მოწყობილ პროცეს-

ში, ახალ ეკონომიურ საფუძველს ქმნის ოჯახისა და ორივე სქესს შორის ურთიერთობის უფრო მაღალი ფორმისათვის» [1].

«ყოველ სოციალ-რეფორმატორ ფანტაზიორს»,— ამბობს ბატონი დიურინგი, — «რასაკვირველია, მზამზარეულად აქვს მისი ახალი სოციალური ცხოვრების შესაფერი პედაგოგიკა». თუ ამ ფრაზით განვსჯით, თვით ბატონი დიურინგი «ნამდვილ მონსტრად» გვეჩვენება სოციალ-რეფორმატორ ფანტაზიორებს შორის. მომავლის სკოლას იგი, სულ ცოტა, იმდენსავე ყურადღებას აქცევს, რამდენსაც საავტორო უფლებას. ეს კი მართლაც ბევრს ნიშნავს. მას მზად აქვს საბოლოოდ შემუშავებული სასკოლო და საუნივერსიტეტო გეგმა არა მარტო «თვალით დასანახი» მომავლისათვის, არამედ გარდამავალი პერიოდისთვისაც. მაგრამ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის განხილვით, რა უნდა გადაეცეს ორივე სქესის ახალგაზრდობას საბოლოო ინსტანციის საბოლოო სოციალიტეტში.

საყოველთაო სახალხო სკოლა თავის მოწაფეებს მისცემს «ყველაფერს, რასაც თავისთავად და პრინციპულად შეიძლება მიმზიდველობა ჰქონდეს ადამიანისათვის», მაშასადამე, განსაკუთრებით «ყველა იმ მეცნიერებათა საფუძვლებს და მთავარ მიღწევებს, რომლებიც სამყაროსა და ცხოვრების გაგებას ეხება». ეს სკოლა, უწინარეს ყოვლისა, ასწავლის მათემატიკას ისე, რომ «სავსებით განვლილი» იქნება ყველა პრინციპული ცნებისა და ხერხის წრე, დაწყებული მარტივი თვლით და მიმატებით და გათავებული ინტეგრალური აღრიცხვით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ სკოლაში მართლაც დიფერენცირება და ინტეგრირება იწარმოებს. პირიქით: იქ უფრო მთელი მათემატიკის სრულიად ახალ ელემენტებს ასწავლიან, რომლებიც ჩანასახში შეიცავენ როგორც ჩვეულებრივ ელემენტარულ, ისე უმაღლეს მათემატიკას. თუმცა ბატონი დიურინგი გვარწმუნებს «სქემატურად, თავის ძირითად მოხაზულობაში თვალწინ მიდგას» ამ მომავლის სკოლის «სახელმძღვანელოების შინაარსიო», მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შეძლო ამ «მთელი მათემატიკის ელემენტები» აღმოეჩინა; ხოლო რის შესრულებაც მას არ შეუძლია, «იმის გაკეთებას ნამდვილად მხოლოდ ახალი საზოგადოებრივი მდგომარეობის თავისუფალი და გაძლიერებული ძალებისაგან უნდა მოველოდეთ». მაგრამ თუ მომავლის მათემატიკის მტევნები ჯერ კიდევ მკვახეა, სამაგიეროდ მომავლის ასტრონომია, მექანიკა და ფიზიკა ნაკლებ დაბრკოლე-

[1] «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ.437. რედ.

ბებს შექმნიან, ისინი «მთელ სწავლა-განათლების ღერძს მოგვცემენ», მაშინ როდესაც «ბოტანიკა და ზოოლოგია, რომლებიც, მთელი თავიანთი თეორიების მიუხედავად, ჯერჯერობით უმთავრესად აღწერით ხასიათს ატარებენ», უფრო «მსუბუქი, სახალისო საუბრის საგნები» იქნებიან. ასეა ნათქვამი «ფილოსოფიის კურსში», 417 გვერდზე. ბატონი დიურინგი დღემდე არავითარ ბოტანიკასა და ზოოლოგიას არ იცნობს, გარდა უმთავრესად აღწერითი ბოტანიკისა და ზოოლოგიისა. მან სახელიც კი არ იცის ორგანული მორფოლოგიისა, რომელიც ორგანული ქვეყნიერების შედარებითი ანატომიას, ემბრიოლოგიას და პალეონტოლოგიას მოიცავს. მაშინ როცა მის ზურგს უკან ბიოლოგიის დარგში თითქმის ათეულობით სრულიად ახალი მეცნიერება წარმოიშვა, მისი ბალღური გული და გონება «ბუნებისმეცნიერების აზროვნების წესის უაღრესად თანამედროვე სწავლა-განათლების ელემენტებს» პოულობს რაფის წიგნში «ბუნების ისტორია ბავშვებისათვის» და ორგანული ქვეყნიერების ამ კონსტიტუციას მთელ «თვალით დასანახ მომავალსაც» ახვევს თავს. ქიმიას, ჩვეულებისამებრ, იგი აქ სრულიად ივიწყებს.

რაც შეეხება აღზრდის ესთეტიკურ მხარეს, ბატონ დიურინგს ამ სფეროში ყველაფრის გარდაქმნა სურს. ამისთვის მთელი წინანდელი პოეზია აღარ გამოდგება. სადაც ყოველი რელიგია აკრძალულია, იქ სკოლაში, რასაკვირველია, თავისთავად დაუშვებელია წინანდელი პოეტების მიერ ჩვეულებად მიღებული «მითოლოგიური ან სხვაგვარი რელიგიური ხასიათის საკაზმავი». დასაგმობია აგრეთვე «პოეტური მისტიციზმი, რომლისადმი ძლიერი მიდრეკილება ჰქონდა, მაგალითად, გოეტეს». მაშასადამე, თვით ბატონმა დიურინგმა უნდა იკისროს ისეთი პოეტური შედევრების მოწოდება, რომლებიც შეეფერებიან «გონებასთან შეთანხმებული ფანტაზიის მაღალ მოთხოვნებს», და დაგვიხატოს ის ნამდვილი იდეალი, რომელიც «სამყაროს დამთავრებას ნიშნავს». დაე, ნუღარ დააყოვნებს ამ საქმის გაკეთებას. სამეურნეო კომუნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს დაიპყროს მსოფლიო, თუ იგი სალაშქროდ გაეშურება ალექსანდრიული ლექსის საიერიშო ნაბიჯით, რომელიც შეთანხმებული იქნება გონებასთან.

მომავლის სახელმწიფოს მოზარდ მოქალაქეს ბევრი არაფერი ექნება თავსატეხი ფილოლოგიის დარგში. «მკვდარი ენების შესწავლა სრულიად უარყოფილი იქნება... ცოცხალი უცხო ენების შესწავლა კი... მეორეხარისხოვან საქმედ დარჩება». მხოლოდ იქ, სადაც ხალხთა ურთიერთობა თვით ხალხთა მასების მოძრაობით

გამოიხატება, უცხო ენები ყველასათვის ადვილი მისაწვდომი უნდა გახდეს საჭიროებისდაკვალად. «ენების ნამდვილი გამანათლებელი შესწავლის» მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ერთგვარი საყოველთაო გრამატიკა და ისიც «მშობლიური ენის მატერიასა და ფორმაში». თანამედროვე ადამიანის ნაციონალური შეზღუდულობა ჯერ კიდევ მეტად კოსმოპოლიტურია ბატონი დიურინგისათვის. მას სურს მოსპოს ორივე ბერკეტი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში ცოტაოდენ შესაძლებლობას მაინც იძლევა შეზღუდული ნაციონალური თვალსაზრისის გადასალახავად,—მას უნდა მოსპოს: ძველი ენების ცოდნა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ყველა ხალხის კლასიკურად განათლებულ ადამიანებს საერთო ფართო ჰორიზონტს უხსნის თვალწინ, და ახალი ენების ცოდნა, რის შემწეობითაც სხვადასხვა ერის ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს რაღაც გააგებინონ და გაეცნონ იმას, თუ რა ხდება მათი სამშობლოს საზღვრებს გარეთ. სამაგიეროდ დედაენის გრამატიკა საფუძვლიანად უნდა გავიზეპიროთო. მაგრამ «დედაენის მასალა და ფორმა» მხოლოდ იმ შემთხვევაშია გასაგები, თუ მისი წარმოშობა და თანდათანობითი განვითარება გავითვალსწინეთ, ეს კი შეუძლებელია, თუ უყურადღებოდ დავტოვეთ, ჯერ-ერთი, დედაენის საკუთარი მკვდარი ფორმები, ხოლო, მეორე, მონათესავე ცოცხალი და მკვდარი ენები. ამრიგად, ჩვენ კვლავ პირდაპირ აკრძალულ სფეროში მოვყევით. მაგრამ რაკი ბატონი დიურინგი თავისი სასწავლო გეგმიდან შლის მთელ თანამედროვე ისტორიულ გრამატიკას, მაშინ მას ენების შესასწავლად აღარაფერი რჩება, გარდა ძველი ფრანკული, სავსებით ძველი კლასიკური ფილოლოგიის სტილზე შეკოწიწებული ტექნიკური გრამატიკისა მთელი მისი კაზუისტიკითა და თვითნებობით, რომელიც ისტორიული საფუძვლის უქონლობიდან გამომდინარეობს. ძველი ფილოლოგიის სიძულვილს იგი იქამდე მიჰყავს, რომ იგი «ენების ნამდვილი გამანათლებელი შესწავლის ცენტრალურ პუნქტად» სწორედ ძველი ფილოლოგიის უცუდეს პროდუქტს ხდის. აშკარად ჩანს, რომ აქ საქმე გვაქვს ენათმეცნიერთან, რომელსაც არასოდეს არაფერი გაუგონია ისტორიულ ენათმეცნიერულ კვლევაზე, რაც ასე ძლიერ და ნაყოფიერად განვითარდა უკანასკნელი სამოცი წლის განმავლობაში, და რომელიც ამიტომ ენის სწავლების «უაღრესად თანამედროვე გამანათლებელ ელემენტებს» ეძებს არა ბოპის, გრიმის და დიტცის, არამედ ნეტარხსენებული ჰეიზეს და ბეკერის ნაწერებში.

მაგრამ ყოველივე ამის შემდეგაც მომავლის სახელმწიფოს მოზარდი მოქალაქე ჯერ კიდევ «ვერ დადგებოდა საკუთარ ფეხებზე». ამისათვის საჭიროა უფრო ღრმა საძირკვლის ჩაყრა «უკანასკნელი ფილოსოფიური საფუძვლების შეთვისების» შემწეობით. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ბატონმა დიურინგმა ფართო გზა გაკაფა, «ასეთი ჩაღრმავება აღარ წარმოადგენს... გიგანტურ ამოცანას». მართლაც, «საკმაოა ყალბი, სქოლასტიკური ხლართებისაგან გავწმინდოთ ის მცირეოდენი ზუსტი ცოდნა, რომლითაც შეუძლია იამაყოს არსის საყოველთაო სქემატიკამ, საკმაოა ყველგან მხოლოდ» ბატონი დიურინგის მიერ «დამოწმებული სინამდვილე ვაღიაროთ», და ელემენტარული ფილოსოფია სავსებით მისაწვდომი გახდება მომავლის ახალგაზრდობისათვისაც. «თუ გავიხსენებთ იმ უაღრესად მარტივ ხერხებს, რომელთა შემწეობით დაუსრულებლობის ცნებებსა და მათს კრიტიკას დღემდე უცნობი მნიშვნელობა მივანიჭეთ», მაშინ «არავითარი საფუძველი არ არსებობს, თუ რატომ არ შეუძლიათ თანამედროვე გაღრმავებისა და გამახვილების წყალობით სივრცისა და დროის უნივერსალური გაგების ესოდენ მარტივად ჩამოყალიბებულ ელემენტებს ბოლოს გადავიდნენ მოსამზადებელი ცოდნის თანრიგში»... და ბატონი დიურინგის «ღრმასაფუძვლიანმა აზრებმა» «მეორეხარისხოვანი როლი არ უნდა შეასრულონ ახალი საზოგადოების უნივერსალური განათლების სისტემატიკაში». პირიქით, მატერიის თავის თავისადმი თანასწორი მდგომარეობა და დათვლილი ურიცხვობა მოწოდებულია «არა მარტო საკუთარ ფეხებზე დააყენოს ადამიანი, არამედ მას შეაგნებინოს საკუთარი ძალებით, რომ ეგრეთწოდებული აბსოლუტი ფეხთ ქვეშ გაქვსო».

როგორც მკითხველი ხედავს, მომავლის სახალხო სკოლა არსებითად სხვა არა არის, თუ არ ოდნავ «გაკეთილშობილებული» პრუსიული გიმნაზია, სადაც ბერძნულისა და ლათინურის ადგილას ოდნავ გაფართოებული წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა, განსაკუთრებით კი სინამდვილის ფილოსოფიის ელემენტებია შემოღებული, და სადაც გერმანული ენის სწავლება კვლავ დაქვეითებულია ნეტარხსენებულ ბეკერამდე, მაშასადამე, დაახლოებით დაწყებითი სკოლის დონემდე. მართლაც, «არავითარი საფუძველი არ არსებობს», თუ საბოლოოდ რატომ არ უნდა გადავიდეს ბატონი დიურინგის მიერ ყველა აღძრულ დარგში გამომჟღავნებული «ცოდნა», რომელიც მეტისმეტად მოწაფისებური აღმოჩნდა ჩვენს მიერ მისი განხილვის შემდეგ ანუ, უკეთ ვთქვათ, ის, რაც

საერთოდ ამ ცოდნიდან დარჩა წინ ჩატარებული საფუძვლიანი «გაწმენდის» შემდეგ, ერთიანად და ყოველივე ცალ-ცალკე, «მოსამზადებელი ცოდნის თანრიგში», მით უმეტეს, რომ მას არასოდეს არ დაუტოვებია ეს სფერო. რასაკვირველია, ბატონ დიურინგს ყური მოუკრავს იმ ამბისათვის, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა და აღზრდა უნდა შეკავშირდეს და ამით უზრუნველყოფილი გახდეს როგორც ყოველმხრივი ტექნიკური მომზადება, ისე პრაქტიკული საფუძველი მეცნიერული აღზრდისთვისო; ამიტომ იგი ამ მუხლსაც თავისებურად იყენებს სოციალიტეტისათვის. მაგრამ რადგანაც შრომის ძველი დანაწილება დიურინგისეულ მომავალ წარმოებაში, როგორც დავინახეთ, არსებითად შენარჩუნებულია, ამ ტექნიკურ სასკოლო განათლებას ერთმევა ყოველი შემდგომი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა, ყოველი მნიშვნელობა თვით წარმოებისათვის და მას მხოლოდ სასკოლო მიზნები რჩება: მან უნდა შეცვალოს გიმნასტიკა, რომლის სახელის გაგონებაც კი არ სურს ჩვენს საფუძვლიან გადამტრიალებელს. ამიტომ ბატონი დიურინგი ამ საგანზე მხოლოდ ორიოდე ფრაზას გვთავაზობს, მაგალითად: «ახალგაზრდები და მოხუცები შრომას ეწევიან ამ სიტყვის სერიოზული მნიშვნელობით». ეშმარიტად უბადრუკად გვეჩვენება ეს უსაფუძვლო და უშინაარსო წყლის ნაყვა, როდესაც მას ვადარებთ «კაპიტალის» იმ ადგილს (508—515 გვ.), სადაც მარქსი იმ დებულებას ავითარებს, რომ «საფაბრიკო სისტემიდან, როგორც ეს დაწვრილებით შეგიძლიათ გაიცნოთ რობერტ ოუენის წიგნებში, აღმოცენდა ჩანასახი მომავლის აღზრდისა, რომელიც განსაზღვრულ ასაკს ზევით ყველა ბავშვისთვის მწარმოებლურ შრომას დაუკავშირებს სწავლებას და ტანვარჯიშობას, და ეს იქნება არა მარტო მეთოდი საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ — ერთადერთი მეთოდიც ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შესაქმნელად»[1].

აღარ შევეხებით მომავალი საზოგადოების უნივერსიტეტს, სადაც სინამდვილის ფილოსოფია ყოველი ცოდნის ბირთვს შეადგენს, და სადაც მედიცინის ფაკულტეტის გვერდით იურიდიული ფაკულტეტიც აყვავებული იქნება: აღარ შევეხებით აგრეთვე «სპეციალურ პროფესიულ სასწავლებლებს», რომელთა შესახებ მხოლოდ იმას ვგებულობთ, რომ ისინი განკუთვნილი იქნებიან მხოლოდ «ორიოდე საგნისთვის». წარმოვიდგინოთ, რომ მომავალი

[1] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ., გვ. 431—437. რ ე დ.

საზოგადოების ახალგაზრდა მოქალაქე ყველა სასკოლო კურსის დასრულების შემდეგ ბოლოს «იმდენად დაეყრდნო თავის თავს», რომ შეუძლია ცოლის შერთვაზე იფიქროს. რა სარბიელს უხსნის მას აქ ბატონი დიურინგი?

«რადგან გამრავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვისებათა განმტკიცებისა, აღმოფხვრისა და შერევისთვის, ისე მათი ახალის ჩამომყალიბებელი, შემოქმედებითი განვითარებისთვის, ადამიანობის თუ არაადამიანობის უკანასკნელი ფესვები, უმეტესწილად, უნდა ვეძებოთ სქესობრივ შეკავშირებასა და შერჩევაში, ამას გარდა, მშობიარობათა განსაზღვრული შედეგის უზრუნველყოფისა ან წინასწარი ზომებისათვის ზრუნვაში. იმ ველურობისა და უგუნურობის გასამართლება, რომელიც ამ დარგშია გაბატონებული, პრაქტიკულად შემდგომ ეპოქას უნდა დავუთმოთ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამთავითვე ცრუმორწმუნეობის სიმძიმის ქვეშ იმდენი კი უნდა შევაგნებინოთ, რომ ისე ახლად დაბადებულთა რიცხვს არ აქვს მნიშვნელობა, როგორც ბუნებისა თუ ადამიანის მოსაზრების ზეგავლენით მიღწეულ ან ვერ მიღწეულ თვისებრივ ხასიათს. ყოველ ეპოქაში და ყოველ უფლებრივ წესწყობილებაში მახინჯებს მართალია ხოცავდენენ ხოლმე; მაგრამ კიბეს, რომელსაც ნორმალური ტიპიდან ადამიანურ სახეს მოკლებულ სიმახინჯემდე ჩავყავართ, მრავალი საფეხური აქვს... თუ წინასწარი ღონისძიება იქნება მიღებული ისეთი ადამიანის დაბადების წინააღმდეგ, რომელიც ცუდი ქმნილება იქნებოდა და მეტი არაფერი, ეს მხოლოდ აშკარა სარგებლობას მოიტანდა». სწორედ ასევე მეორე ადგილას ნათქვამია: «ფილოსოფიურ განხილვას არ გაუძნელდება გაიგოს, რომ ჯერ კიდევ დაუბადებელ ქვეყანას უფლება აქვს რაც შეიძლება კარგი კომპოზიცია იქონიოს... ჩასახვა და, ყოველ შემთხვევაში, დაბადება საბაბს იძლევა გამაფრთხილებელი ან გამონაკლისის სახით აგრეთვე გამცხრილველი ღონისძიებანი მივიღოთ ამ მიმართულებით». შემდეგ კიდევ იგი ამბობს: «ბერძნული ხელოვნება, რომელიც ადამიანს იდეალიზებული ფორმით მარმარილოში სახავდა, ვეღარ შეინარჩუნებს ადრინდელ ისტორიულ მნიშვნელობას, როგორც კი ადამიანები ხელს მოკიდებენ ნაკლებ მხატვრულად სათამაშო, მაგრამ სამაგიეროდ მილიონთა ცხოვრებისათვის ბევრად უფრო სერიოზულ ამოცანას — ხორცშესხმული ადამიანის გაუმჯობესებას. ამგვარი ხელოვნება ქვის მასალაზე მუშაობა როდია, და მისი ესთეტიკაც მკვდარი ფორმების ჰვრეტას როდი წარმოადგენს» და სხვ.

მომავლის ჩვენი ახალგაზრდა მოქალაქე ღრუბლებიდან ვარდება. მან, რასაკვირველია, ბატონი დიურინგის დაუხმარებლადაც იცოდა, რომ დაქორწინების დროს საქმე ეხება არც მარტოოდენ ქვის ხელოვნებას, არც მკვდარი ფორმების ჭვრეტას; მაგრამ ბატონმა დიურინგმა მას აღუთქვა, შეგიძლია თავისუფლად აირჩიო გზა, რომელსაც საგანთა მსვლელობა და შენივე საკუთარი არსება გაგიხსნის, რათა თანამგრძნობი ქალის გული და შესაფერი სხეული იპოვოო.— არავითარ შემთხვევაში! შესძახის მას ახლა «უფრო ღრმა და მკაცრი ზნეობრიობა». საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ უკუვაგდოთ ის ველურობა და უგუნურობა, რომელიც სქესობრივი შეკავშირების და შერჩევის დარგშია გამეფებული, რათა ანგარიში გაეწიოს ახლად დაბადებული ქვეყნის უფლებას — რაც შეიძლება კარგი კომპოზიცია იქონიოს. დაქორწინების ამ საზეიმო მომენტში ჩვენი ახალგაზრდა მოქალაქის წინაშე დგას ამოცანა, რათა გააუმჯობესოს ხორცშესხმული ადამიანის ჯიში, ასე ვთქვათ, ფიდიასად იქცეს ამ დარგში. როგორ უნდა მიუდგეს ამ საქმეს? ბატონი დიურინგის ზემოთ მოყვანილი საიდუმლო განცხადებები ამის შესახებ არავითარ დარიგებას არ აძლევს მას, თუმცა თვით დიურინგი ამბობს, «ეს ხელოვნებაა». შეიძლება ბატონ დიურინგს უკვე «სქემატურად თვალწინ» უდგას ამ ხელოვნების სახელმძღვანელო, იმის მსგავსი, რომლის დაბეჭდილ კონვერტებში მოთავსებული ნიმუშები ამჟამად უხვად მოიპოვება გერმანიის წიგნის ვაჭრობაში? მართლაც ჩვენ აქ უკვე ვიმყოფებით არა სოციალიტეტში, არამედ «ჯადოსნური ფლეიტის» სამეფოში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მხიარული ფრანკმასონელი ხუცესი ზარასტრო ძლივს «მეორე კლასის ქურუმად» თუ ჩაითვლება ჩვენს ღრმა და მკაცრ მორალისტთან შედარებით. გამოცდა, რომელსაც ეს ხუცესი თავისი მიმდევრების წრიდან შეყვარებულ ქალ-ვაჟთა წყვილს უწყობდა, ნამდვილ ბავშვურ თამაშობას წარმოადგენს იმ საშინელ განსაცდელთან შედარებით, რომელშიც ბატონი დიურინგი თავის ორ სუვერენულ ინდივიდუუმს აგდებს,. სანამ მათ «ზნეობრივი და თავისუფალი დაქორწინების» ნებას მისცემდეს. ამიტომ შეიძლება მოხდეს, რომ ამ ჩვენს, «თავის თავზე დაყრდნობილ» მომავლის ტამინოს, მართალია, ეგრეთწოდებული აბსოლუტი ფეხთქვეშ ჰქონდეს, მაგრამ ერთ-ერთი ფეხი ორიოდე საფეხურით ექნეს დაშორებული ნორმალურს, ისე რომ ბოროტმა ენებმა მას ფეხმოქცეული დაარქვან. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ მომავლის ტამინოს გულითადი სა-

ყვარელი, მომავლის პამინა[1] ოდნავ მარჯვენა მხრისკენ გადახრის გამო ზემოაღნიშნულ აბსოლუტზე არ იდგეს სავსებით სწორად, რაც შურიან თვალს მსუბუქ კუზადაც კი ეჩვენოს. რა მოხდება? დაუშლის თუ არა მათ ჩვენი უფრო ღრმა და უფრო მკაცრი ზარასტრო პრაქტიკულად აწარმოონ ხორცშესხმული ადამიანის გაუმჯობესების ხელოვნება, გამოიყენებს თუ არა ის მათ მიმართ თავის «გამაფრთხილებელ ღონისძიებებს» «ჩასახვის» დროს ან «გამცხრილავ ღონისძიებათ» «დაბადების» დროს? შეიძლება სანაძლეო დავდოთ, რომ საქმე სხვანაირად წავა: შეყვარებული ქალ-ვაჟი მიატოვებს ზარასტრო-დიურინგს და მოხელესთან წავა ქორწინების სარეგისტრაციოდ.

შესდექ! — გაიძახის ბატონი დიურინგი. ჩემი აზრი ვერ გაიგეთ. ნება მომეცით იგი გამოვთქვა. «კეთილისმყოფელი სქესობრივი შეკავშირების უმაღლესი, წმინდა ადამიანური მამოძრავებელი მოტივების არსებობის დროს... სქესობრივი აღელვების ადამიანურად გაკეთილშობილებული ფორმა, რომლის გამძაფრება მჟღავნდება როგორც ვ ნ ე ბ ი ა ნ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი, თავისი ორმხრივობით საუკეთესო თავმდებობას წარმოადგენს იმისთვის, რომ ცოლქმრობა ბედნიერი იქნება მისი ნაყოფის მხრითაც... ეს ხომ მხოლოდ მეორე რიგის შედეგია, რომ ასეთი თავისთავად ჰარმონიული ურთიერთობიდან ნაყოფიც ჰარმონიული ნაკვთებისა წარმოიშობა. აქედან კვლავ ჩანს, რომ ყოველივე იძულება მავნებელ გავლენას ახდენს» და სხვ. და ამრიგად ყველაფერი საუკეთესოდ მთავრდება საუკეთესო სოციალიტეტში. ფეხმოქცეულ ვაჟსა და კუზიან ქალს გაგიქებით უყვართ ერთმანეთი, და ამიტომ თავიანთი ორმხრივობით საუკეთესო თავმდებობას იძლევიან, რომ «მეორე რიგის შედეგიც» ჰარმონიული იქნება; ყოველივე ისე მიმდინარეობს, როგორც რომანში: მათ ერთმანეთი უყვართ, ისინი იქორწინებენ, და მთელი «უღრმესი და უმკაცრესი ზნეობრიობა», ჩვეულებრივად, ჰარმონიული აბდაუბდით მთავრდება.

თუ რა კეთილშობილი შეხედულებები აქვს ბატონ დიურინგს საზოგადოდ მდედრობით სქესზე, ჩანს შემდეგი მსჯავრიდან, რომელიც მას თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ გამოაქვს: «იმ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და გაყიდვაზე, პროსტიტუცია იძულებითი

[1] ზარასტრო, ტამინო და პამინა — მოცარტის ოპერის — «ჯადოსნური ფლეიტის»— მოქმედი პირები არიან. რ ე დ.

ქორწინების თავისთავად საგულისხმო დამატებად ითვლება მამაკაცების სასარგებლოდ, და ის ფაქტი, .რომ შეუძლებელია ასეთი რამე ქალებისასარგებლოდ მოხდეს, მეტისმეტად გასაგებ, მაგრამ აგრეთვე მრავალმნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს». დედამიწის ზურგზე არაფრის გულისთვის არ მოვისურვებდი იმ მადლობის მიღებას, რომელიც შეიძლება ქალებმა ბატონ დიურინგს მიუძღვნან ამ კომპლიმენტისთვის. გარდა ამისა, განა ბატონმა დიურინგმა სრულიად არაფერი იცის იმ საკმაოდ გავრცელებული შემოსავლის-სახეზე, რომელსაც ქალის წინსაფარის სტიპენდიები ჰქვია (Schürzenstipendien) ანუ სტიპენდიები, რომელთა წყაროა ქალის მხრივ მფარველობა? თვით ბატონი დიურინგი ხომ რეფერენდარადაა ნამყოფი და ბერლინში ცხოვრობს, სადაც ჯერ კიდევ ჩემ დროს, ოცდათექვსმეტი წლის წინათ, ლეიტენანტებზე რომ არაფერი ვთქვათ, ლექსებში რეფერენდარი საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა წინსაფარის სტიპენდიანტის გვერდით გარითმული! (Referendarius — Schürzenstipendiarius!).

* * *

ნება მოგვეცით მშვიდი და მხიარული გუნებით გამოვეთხოვოთ ჩვენს საგანს, რომელიც უეჭველია ხშირად საკმაოდ მშრალი და მოსაწყენი იყო. სანამ ცალკეული სადავო საკითხების გარჩევა გვიხდებოდა, ჩვენი განაჩენი ობიექტური, უცილობელი ფაქტებით იყო შებოჭილი; ამ ფაქტების მიხედვით იგი ხშირად მძაფრი, თვით მკაცრიც უნდა ყოფილიყო. ახლა, როცა ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და სოციალიტეტი უკვე განხილულია და ჩვენს თვალწინ იშლება მწერლის საერთო სახე, რომელზეც ადრე .სჯა მისი ცალკეული შეხედულებების მიხედვით გვიხდებოდა, ახლა შეგვიძლია პირველ რიგში წამოვაყენოთ მოსაზრებანი, რომლებიც მას შეეხება, როგორც ადამიანს; ახლა ჩვენ შეგვიძლია ჩვენ თავს ნება მივცეთ და ავტორის ბევრი, სხვამხრივ გაუგებარი მეცნიერული შეცდომები, დაბნეულობანი და ზვიადი ქედმაღლობანი პიროვნული მიზეზებით, მისი პირადი თვისებებით ავხსნათ, და ჩვენი საერთო განაჩენი ბატონი დიურინგის შესახებ მოკლედ ორიოდე სიტყვით გამოვხატოთ: ესაა განდიდების მანიით გამოწვეული შეურაცხადობა.

დამაგებანი

ძველი წინასიტყვაობა «ანტი-დიურინგი»-სათვის. —დიალექტიკის შესახებ[1]

წინამდებარე შრომა არასგზით «შინაგანი გულისწადილიდან» არ წარმომდგარა. პირიქით, ჩემი მეგობარი ლიბკნეხტი დამემოწმება, თუ რამდენი შრომა-გარჯა დაუჯდა მას, სანამ დამიყოლიებდა იმისათვის, რომ ბატონ დიურინგის უახლესი სოციალისტური თეორია კრიტიკულად გამეშუქებინა. რაკიღა ერთხელ გადავწყვიტე ეს, სხვა არჩევანი აღარ დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ განმეხილა ეს თეორია, რომელიც თავის თავს ახალი ფილოსოფიური სისტემის უკანასკნელ პრაქტიკულ ნაყოფად ასაღებს, ამ სისტემასთან შინაგან კავშირში და, მაშასადამე, თვითონ ეს სისტემაც გამერჩია. ამრიგად, მე იძულებული ვიყავი, ბატონ დიურინგს იმ ფართო ასპარეზზე გავყოლოდი, სადაც ის ყველა შესაძლებელ საგანზე ლაპარაკობს და აგრეთვე ზოგიერთი სხვა რამის შესახებაც. ასე წარმოიშვა რიგი სტატიებისა, რომლებიც 1877 წლის დამდეგიდან ლაიპციგის «Vorwärts»-ში ქვეყნდებოდა და აქ მთლიანად არის წარმოდგენილი.

თუ მიუხედავად ყოველგვარი თვითქებისა ამ უაღრესად უმნიშვნელო სისტემის კრიტიკა ამგვარი, თვით საგნის ხასიათით გამოწვეული, ზედმიწევნილობისა გამოდგა, ეს შეიძლება ორი გარემოებით იქნეს გამართლებული. ერთი მხრივ, ამ კრიტიკამ მე საბაბი მომცა სხვადასხვა დარგში დადებითი ფორმით განმეკითარებინა ჩემი გაგება იმ სადავო პუნქტებისა, რომელთაც დღეს ზოგადი მეცნიერული ან პრაქტიკული ინტერესი აქვთ. და რაც არ უნდა ნაკლებ დამებადოს თავში ის აზრი, რომ ბატონ დიურინგის

[1] ეს სტატია დაიწერა დაახლოებით 1878 წ. მაისს «ანტი-დიურინგის» პირველი გამოცემის წინასიტყვაობის სახით, მაგრამ შეცვლილ იქნა სხვა წინასიტყვაობით და შემდეგში ენგელსმა «ბუნების დიალექტიკის» მასალებს მიაკუთვნა. რ ე დ.

სისტემას სხვა სისტემა დავუპირისპირო, მკითხველს, ჩემ მიერ წამოყენებულ შეხედულებებშიც, მიუხედავად განხილული მასალის სხვადასხვაობისა, ვიმედოვნებ, შინაგანი კავშირი მხედველობიდან არ გამორჩება.

ხოლო მეორე მხრივ, «სისტემის შემოქმედი» ბატონი დიურინგი გერმანიის დღევანდელ სინამდვილეში ცალკეულ მოვლენას არ წარმოადგენს. ერთი ხანია გერმანიაში ფილოსოფიური, განსაკუთრებით კი ნატურფილოსოფიური სისტემები ათეულობით ჩნდება სოკოებივით ერთ ღამეში, პოლიტიკისა, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვ.. უთვალავ ახალ სისტემებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მსგავსად იმისა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოში იგულისხმება, რომ ყოველ მოქალაქეს უნარი შესწევს იმსჯელოს ყველა იმ საკითხზე, რომელზეც მას ხმის მიცემა უხდება; ისე როგორც პოლიტიკურ ეკონომიაში ვარაუდობენ, რომ ყოველი მყიდველი მცოდნეა აგრეთვე ყველა იმ საქონლისა, რომლის ყიდვაც მას უხდება თავისი ცხოვრების საჭიროებისათვის, ასევე უნდა ვიფიქროთ ახლა მეცნიერებაშიცო. ყველას შეუძლია წეროს ყველაფერზე და «მეცნიერების თავისუფლებაც» სწორედ იმაში მდგომარეობსო, რომ კაცმა წეროს მაინც და მაინც იმაზე, რაც არ შეუსწავლია, და რომ ეს ერთადერთ მკაცრ მეცნიერულ მეთოდად გაასაღოს. ხოლო ბატონი დიურინგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ტიპია ამ მოურიდებელი ცრუმეცნიერებისა, რომელიც დღეს გერმანიაში ყველგან წინარიგებში მოიწევს და თავისი მგრგვინავი მაღალფარდოვანი ყბედობით ყველას ხმას ფარავს და აყრუებს. მაღალფარდოვანი ყბედობა პოეზიაში, ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ისტორიის მეცნიერებაში, მაღალფარდოვანი ყბედობა კათედრასა და ტრიბუნაზე, მაღალფარდოვანი ყბედობა ყველგან, მაღალფარდოვანი ყბედობა უპირატესობისა და ღრმაზროვნების პრეტენზიით სხვა ერთა მარტივი უკბილო ვულგარული ყბედობისაგან განსხვავებით, მაღალფარდოვანი ყბედობა გერმანული ინტელექტუალური ინდუსტრიის ყველაზე დამახასიათებელი და მასობრივი პროდუქტია, იაფი, მაგრამ ცუდი, სრულიად ისევე როგორც სხვა გერმანული ფაბრიკატები, რომელთა გვერდით, სამწუხაროდ, იგი ფილადელფიის გამოფენაზე არ იყო წარმოდგენილი. აგრეთვე გერმანული სოციალიზმიც კი, განსაკუთრებით ბატონ დიურინგის კარგი მაგალითის დღიდან, ფრიად გულმოდგინედ ეწევა დღეს მაღალფარდოვან ყბედობას; ის გარემოება, რომ პრაქტიკული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა მაღალფარდო-

ვანი ყბედობით გზა-კვალს ეგრე ნაკლებად იბნევს, კვლავ ჩვენი მუშათა კლასის ჩინებული და ჯანსაღი ბუნების დამამტკიცებელია ისეთ ქვეყანაში, სადაც ამჟამად, ბუნებისმეცნიერების გამოკლებით, თითქმის ყველა დანარჩენი დაავადებულია.

როდესაც ნეგელიმ ბუნებისმკვლევართა მიუნხენის ყრილობაზე[1] თავის სიტყვაში ის აზრი გამოთქვა, რომ ადამიანის შემეცნება ვერასოდეს ვერ მიიღებს ყოვლისმცოდნეობის ხასიათსო, ჩანს, მისთვის აშკარად უცნობი დარჩენილა ბატონ დიურინგის მიღწევები. ამ მიღწევებმა მე მაიძულეს მათ გავყოლოდი მთელ რიგ ისეთ დარგებში, სადაც მე უკეთეს შემთხვევაში შემიძლია გამოვიდე როგორც დილეტანტი. განსაკუთრებით ეს ითქმის ბუნებისმეცნიერების სხვადასხვა დარგებზე, სადაც აქამდე ხშირად მოურიდებლობაზე უფრო უარეს საქციელად ითვლებოდა, რომელიმე «პროფანს» რომ მოესურვებინა რამე სიტყვა ჩაერთო საუბარში. მაგრამ ამავე დროს მე ერთგვარად მამხნევებს იმავე მიუნხენში გამოთქმული და სხვა ადგილას დაწვრილებით გადმოცემული შენიშვნა ბატონი ვირხოვისა[2], რომ ბუნების ყოველი მკვლევარი თავისი საკუთარი სპეციალობის გარეთ ასევე მხოლოდ ნახევარმცოდნეა, vulgo [უბრალოდ რომ ვთქვათ] პროფანია. მსგავსად იმისა, როგორც ამგვარ სპეციალისტს შეუძლია თავის თავს ნება დართოს და უნდა დართოს კიდევაც ნება ხანდახან მეზობელ სფეროებშიც გადავიდეს, ისევე როგორც სათანადო სპეციალისტები მას აპატიებენ ხოლმე გამოთქმათა უხერხულობასა და მცირე არასიზუსტეს, ასევე მეც ჩემს თავს თავისუფლება მივეცი მომეყვანა ჩემი ზოგადი თეორიული შეხედულებების დამამტკიცებელ მაგალითებად ბუნების პროცესები და ბუნების კანონები, და მეც ჩემი თავი ამგვარი შეწყნარების ღირსად ჩავთვალე. თანამედროვე ბუნებისმეცნიერების შედეგები იმავე იძულებითა და გარდუვალობით ეხვევა თავს ყველა იმათ, ვინც თეორიულ საკითხებზე მუშაობენ, რა იძულებითა და გარდუვალობითაც დღევანდელი ბუნების მკვლევარნი იძულებულნი არიან, სურთ თუ არ სურთ, ზოგად თეორიულ დასკვნებამდე მივიდნენ. და აქ გარკვეული კომპენსაცია ხდება. თუ თეორეტიკოსები ნახევარმცოდნეები არიან ბუნებისმეცნიერების დარგში, დღევანდელი ბუნებისმკვლევარნიც ფაქ-

[1] 1877 წ. სექტემბერში. რ ე დ.

[2] ვირხოვის მოხსენება «მეცნიერების თავისუფლება თანამედროვე სახელმწიფოში» ცალკე ბროშურად გამოვიდა ბერლინში 1877 წ.. რ ე დ.

ტიურად ასეთივე ნახევარმცოდნეები არიან თეორიის დარგში, იმ დარგში, რასაც აქამდე ფილოსოფია ეწოდებოდა.

ემპირიულმა ბუნებისკვლევამ პოზიტური ცოდნის იმდენად უამრავი მასალა დააგროვა, რომ კვლევის თვითეულ ცალკე დარგში პირდაპირ გვერდაუვლელ აუცილებლობად იქცა მისი სისტემატური და შინაგანი კავშირის მიხედვით დალაგება. ასევე აუცილებელი გახდა ცოდნის ცალკეული დარგების მწყობრ კავშირში მოყვანა. მაგრამ ამით ბუნებისმეცნიერება თეორიულ სფეროში გადადის და აქ უკვე უძლურია ემპირიული მეთოდები, აქ მხოლოდ თეორიული აზროვნება დაგვეხმარება. მაგრამ თეორიული აზროვნება მხოლოდ ნიჭის მიხედვითაა თანდაყოლილი თვისება. ეს ნიჭი უნდა განვითარდეს, ჩამოყალიბდეს, ხოლო ამ განვითარებისათვის, ნიჭის სრულქმნისათვის აქამდე სხვა არავითარი საშუალება არ არსებობს, გარდა დღემდე არსებული ფილოსოფიის შესწავლისა.

ყოველი ეპოქის თეორიული აზროვნება, მაშასადამე, ჩვენი ეპოქისაც, ისტორიულ პროდუქტს წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა დროს ძალიან სხვადასხვანაირ ფორმას და ამასთანავე ძალიან სხვადასხვაგვარ შინაარსს იღებს. მაშასადამე, მეცნიერება აზროვნების შესახებ, როგორც ყოველი სხვა მეცნიერება, ისტორიული მეცნიერებაა, მეცნიერება ადამიანის აზროვნების ისტორიული განვითარების შესახებ. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აზროვნების პრაქტიკული გამოყენებისათვისაც ემპირიულ სფეროში. ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, აზროვნების კანონების თეორია არასგზით არაა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი «სამარადისო ჭეშმარიტება», როგორც ეს ფილისტერის გონებას წარმოუდგენია სიტყვა «ლოგიკის» გაგონებაზე. თვით ფორმალური ლოგიკა, არისტოტელედან დაწყებული დღემდე, ცხარე კამათის ასპარეზად რჩება. ხოლო დიალექტიკა დღემდე უფრო ზედმიწევნით მხოლოდ ორმა მოაზროვნემ, არისტოტელემ და ჰეგელმა, გამოიკვლია. მაგრამ სწორედ დიალექტიკაა დღევანდელი ბუნებისმეცნიერებისათვის აზროვნების უმნიშვნელოვანესი ფორმა, რადგან მხოლოდ დიალექტიკა გვაძლევს ანალოგს და, მაშასადამე, ახსნის მეთოდსაც ბუნებაში მიმდინარე განვითარების პროცესებისათვის, ბუნების კავშირთათვის საერთოდ და მთლიანად, კვლევის ერთი დარგიდან მეორეში გადასასვლელად.

მაგრამ, მეორეც, ადამიანის აზროვნების ისტორიული განვითარების მსვლელობის გაცნობა, გარე სამყაროს ზოგად კავშირთა

სხვადასხვა დროს წამოყენებულ გაგებათა ცოდნა იმიტომაც არის აუცილებელი თეორიული ბუნებისმეცნიერებისათვის, რომ იგი იძლევა მასშტაბს თვითონ ამ უკანასკნელის მიერ წამოყენებული თეორიებისათვისაც. მაგრამ ფილოსოფიის ისტორიის ცოდნის უკმარობა აქ საკმაოდ ხშირად და მკვეთრად იჩენს თავს. ისეთი დებულებები, რომლებიც ფილოსოფიაში უკვე საუკუნეების წინ იყო წამოყენებული, დებულებები, რომლებზეც ფილოსოფიაში დიდი ხანია უკვე ხელი აიღეს, მოთეორეტიკოსო ბუნებისმკვლევართა შორის საკმაოდ ხშირად ყველაზე უახლეს სიბრძნედ საღდება და ერთ ხანს მოდადაც იქცევა ხოლმე. სითბოს მექანიკური თეორიის უდავოდ დიდ მონაპოვარს წარმოადგენს, რომ მან ენერგიის შენახვის კანონი ახალი საბუთებით განამტკიცა და იგი ხელახლა წინა რიგში წამოსწია; მაგრამ განა შეიძლება ეს კანონი აბსოლუტურად ახალ რამედ მიჩნეულიყო, თუ კი ბატონი ფიზიკოსები გაიხსენებდნენ, რომ იგი უკვე დეკარტეს მიერ იყო წამოყენებული? მას შემდეგ, რაც ფიზიკა და ქიმია კვლავ თითქმის მარტოდმარტო მოლეკულებსა და ატომებს მიმართავენ, ძველი ბერძნული ატომისტური ფილოსოფია მთელი აუცილებლობით ისევ წინა რიგში დადგა. მაგრამ რა ზერელედ განმარტავენ მას ბუნების მკვლევართა შორის თვით საუკეთესონიც კი! ასე, მაგალითად, კეკულე მოგვითხრობს («Ziele und Leistungen der Chemie»)[1], რომ იგი დემოკრიტედან მოდისო, ნაცვლად ლევკიპესი, და ამტკიცებს, რომ პირველად მხოლოდ დალტონმა აღიარა თვისებრივად განსხვავებული ელემენტარული ატომების არსებობაო და პირველად მან მიაწერა მათ სხვადასხვა ელემენტებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა წონაო, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ დიოგენე ლაერციუსთან ვკითხულობთ (X, I, §§ 43—44 და 61), რომ უკვე ეპიკურე ატომებს სხვადასხვაობას მიაწერს არა მარტო სიდიდისა და ფორმის მხრივ, არამედ წ ო ნ ი ს მხრივაც, მაშასადამე, ეპიკურე თავისებურად უკვე იცნობს ატომურ წონასა და ატომურ მოცულობას.

1848 წელმა, რომელმაც გერმანიაში ბოლომდე ვერაფერი ვერ მიიყვანა, მხოლოდ ფილოსოფიის დარგში მოახდინა იქ სრული გადატრიალება. ერმა პრაქტიკას მიაშურა, აქ დიდი ინდუსტრიისა და სპეკულაციის საწყისებს ჩაუყარა საფუძველი, იქ იმ მძლავრ აღმავლობას, რომელსაც მას შემდეგ ბუნებისმეცნიერება განიცდის

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს კ ე კ ე ულ ეს ბროშურა «ქიმიის მეცნიერული მიზნები და მიღწევები», რომელიც გამოვიდა ბონში 1878 წ. რ ე დ.

გერმანიაში, და რომლის პირველი მოხეტიალე ქადაგნი იყვნენ კარიკატურული პირები ფოგტი, ბიუხნერი და ა. შ., და გადაჭრით უარი თქვა ბერლინური ძველი ჰეგელიანობის ქვიშნარში ჩაკარგულ კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიაზე. ბერლინურმა ძველმა ჰეგელიანობამ ეს კეთილსინდისიერად დაიმსახურა. მაგრამ ფუ ერს მეცნიერების სიმაღლეზე დგომა სურს, თეორიული აზროვნების გარეშე იოლად ვერაფერს გახდება. ჰეგელიანობასთან ერთად დიალექტიკაც გადააგდეს — სწორედ ისეთ მომენტში, როდესაც ბუნების პროცესთა დიალექტიკური ხასიათი იძულებითა და გარდუვალად ეხვეოდა თავს აზროვნებას, როდესაც, მაშასადამე, მხოლოდ დიალექტიკას შეეძლო დახმარებოდა ბუნებისმეცნიერებას თეორიული სიძნელის გადალახვაში — და ამრიგად ხელახლა უმწეოდ ჩაცვივდნენ ძველ მეტაფიზიკაში. მას შემდეგ საზოგადოებაში სენივით ბობოქრობდა, ერთი მხრივ, ფილისტერისათვის განკუთვნილი უგვანო მსჯელობანი შოპენჰაუერისა, ხოლო შემდეგში ჰარტმანისაც კი, მეორე მხრივ კი, ვიღაც ფოგტებისა და ბიუხნერების ვულგარული, მოხეტიალე ქადაგთა მატერიალიზმი. უნივერსიტეტებში ერთმანეთს ეჯიბრებოდა სხვადასხვა ჯურის ეკლექტიზმი, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ იმაში ეთანხმებოდნენ, რომ ისინი წარსული ფილოსოფიური სისტემების მხოლოდ ნარჩენებისაგან იყვნენ შეკოწიწებული და ყველა ერთნაირად მეტაფიზიკური იყო. კლასიკური ფილოსოფიის ნაშთთაგან მხოლოდ ერთგვარი ნეოკანტიანიზმი გადარჩა, რომლის უკანასკნელი სიტყვა იყო მარად შეუცნობელი ნივთი თავის თავად, მაშასადამე, კანტის მოძღვრების ის ნაწილი, რომელიც ყველაზე ნაკლებად იყო ღირსი გადარჩენისა. საბოლოო შედეგი თეორიული აზროვნების ამჟამად გაბატონებული უთავბოლობა და დაბნეულობა იყო.

ახლა თითქმის ვერც ერთ თეორიულ საბუნებისმეტყველო წიგნს ხელში ვერ აიღებთ ისე, რომ არ მიიღოთ ისეთი შთაბეჭდილება, რომ თვითონ ბუნებისმკვლევარნიც გრძნობენ, თუ რა რიგ დაუმორჩილებია ისინი ამ უთავბოლობასა და დაბნეულობას, და როგორ აბსოლუტურად არავითარ გამოსავალს არ აძლევს მათ ამჟამად საყოველთაოდ ხმარებული ეგრეთწოდებული ფილოსოფია. და აქ მართლაც სხვა არავითარი გამოსავალი, არავითარი შესაძლებლობა სიცხადის მისაღწევად არ არსებობს, გარდა იმისა, რომ მეტაფიზიკური აზროვნებიდან დიალექტიკურ აზროვნებას დაუბრუნდნენ ამა თუ იმ ფორმით.

ეს უკან დაბრუნება სხვადასხვა გზით შეიძლება მოხდეს. მან შეიძლება გზა გაიკვლიოს სტიქიურად თვით საბუნებისმეტყველო აღმოჩენების უბრალო ძალდატანებით, რომლებიც ძველი მეტაფიზიკის პროკრუსტის საწოლში ვეღარ ეტევა. მაგრამ ეს ხანგრძლივი და ძნელი პროცესია, რომლის დროსაც უამრავ და ზედმეტ შეხლა-შემოხლათა გადალახვა არის საჭირო. ეს პროცესი უმეტესწილად უკვე ხდება, განსაკუთრებით ბიოლოგიაში. იგი შეიძლება ძალიან შემოკლდეს, თუ კი თეორეტიკოსი ბუნებისმკვლევარნი მოისურვებენ ახლოს გაეცნონ და შეისწავლონ დიალექტიკური ფილოსოფია მის ისტორიულად მოცემულ ფორმებში. ამ ფორმათა შორის თანამედროვე ბუნებისმეცნიერებისათვის სახელდობრ ორი ფორმა შეიძლება იყოს განსაკუთრებით ნაყოფიერი.

პირველია ბერძნული ფილოსოფია. აქ დიალექტიკური აზროვნება ჯერ კიდევ ბუნებრივი უბრალოებით გამოდიოდა და ეს უბრალოება ჯერ კიდევ არ იყო დარღვეული იმ საამო დაბრკოლებებით, რომლებიც მე-17 და მე-18 საუკუნის მეტაფიზიკამ თვითონვე შეიქმნა — ბეკონმა და ლოკმა ინგლისში, ვოლფმა გერმანიაში, და რომლებითაც მან ჩაიხერგა გზა ცალკეულის გაგებიდან მთლიანის გაგებისაკენ, გზა ნივთთა საყოველთაო კავშირის გაგების მისაღწევად. ბერძნებში, რადგან სწორედ ისინი ჯერ კიდევ ვერ მივიდნენ ბუნების დანაწევრებამდე, ანალიზამდე, — ბუნებას ისინი ჯერ კიდევ განიხილავდნენ როგორც ერთ მთლიანს, საერთოდ, მთელი მისი სიდიდით. ბუნების მოვლენათა საყოველთაო კავშირი ბერძნებში მისი ცალკეული დეტალების მიხედვით არ მტკიცდება, იგი ბერძნებისათვის უშუალო ჭვრეტის შედეგია. ამაშია ბერძნული ფილოსოფიის არასაკმარისობა, ამიტომაც მას შემდეგში ადგილი სხვა შეხედულებებისათვის უნდა დაეთმო. მაგრამ ამაშივეა მისი უპირატესობა მის ყველა შემდეგი დროის მეტაფიზიკურ მოწინააღმდეგეებთან შედარებით. თუ მეტაფიზიკა ბერძნებთან შედარებით მართალია ცალკეულ დეტალებში, სამაგიეროდ ბერძნები მართალნი არიან მეტაფიზიკის მიმართ მთლიანში. ეს არის ერთი იმ მიზეზთაგანი, რის გამოც ჩვენ იძულებული ვართ ფილოსოფიაში, ისევე როგორც მრავალ სხვა დარგში, მუდამაც დაეუბრუნდეთ იმ პატარა ხალხის მიღწევებს, რომელსაც უნიკალურ სულიერმა ნიჭმა და მოღვაწეობამ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ისეთი ადგილი დაუმკვიდრა, როგორსაც ვერც ერთი სხვა ხალხი ვერ დაიჩემებს. ხოლო მეორე მიზეზი ისაა, რომ ბერძნული ფილოსოფიის მრავალფეროვან ფორმებში უკვე მოიპოვება.

ჩანასახში, წარმოშობის პროცესში, თითქმის ყველა შემდეგი დროის მსოფლმხედველობათა სახეები. ამიტომ თეორიული ბუნებისმეცნიერებაც იძულებულია ბერძნებს დაუბრუნდეს, თუ სურს თავისი დღევანდელი ზოგადი დებულებების წარმოშობისა და განვითარების ისტორია გამოიძიოს. ეს გაგება სულ უფრო და უფრო გზას იკვლევს. სულ უფრო და უფრო იშვიათად შეხვდებით ბუნების ისეთ მკვლევარებს, რომლებიც, თვითონვე სარგებლობენ რა ბერძნული ფილოსოფიის ნარჩენებით, მაგალითად, ატომისტიკით, როგორც რამ სამარადისო ჭეშმარიტებებით, ბეკონისეული მედიდურებით დაჰყურებენ ზევიდან ბერძნებს, აქაო და ემპირიული ბუნებისმეცნიერება არ ჰქონდათო. სასურველი იქნებოდა მხოლოდ, რომ ეს გაგება ბერძნული ფილოსოფიის ნამდვილ გაცნობამდე განვითარებულიყო.

დიალექტიკის მეორე ფორმა, რომელიც სწორედ გერმანელ ბუნებისმკვლევართათვის ყველაზე უფრო მახლობელია, არის კლასიკური გერმანული ფილოსოფია კანტიდან ჰეგელამდე. აქ ასე თუ ისე რაღაც უკვე დაწყებულია, ვინაიდან, გარდა უკვე მოხსენებული ნეოკანტიანიზმისა, კვლავ მოდად იქცა კანტისკენ დაბრუნება. მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს, რომ კანტი ორი ისეთი გენიალური ჰიპოთეზის ავტორია, ურომლისოდაც თანამედროვე თეორიული ბუნებისმეცნიერება ნაბიჯსაც ვერ წადგამს წინ,—თეორია მზის სისტემის წარმოშობის შესახებ, რომელსაც უწინ ლაპლასს მიაწერდნენ, და თეორია ზღვის მიმოქცევის გამო დედამიწის ბრუნვის შეფერხების შესახებ, — მას შემდეგ კანტმა ბუნებისმკვლევართა კვლავ ღირსეული პატივისცემა დაიმსახურა. მაგრამ დიალექტიკის სწავლა კანტისაგან უსარგებლო, მომქანცველი და ნაკლებ ამანაზღაურებელი შრომა-გარჯა იქნებოდა მას შემდეგ, რაც ჰეგელის ნაწარმოებებში ჩვენ დიალექტიკის ფართოდ მომცველი კომპენდიუმი გვაქვს, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, სრულიად ყალბი თვალსაზრისით განვითარებული.

მას შემდეგ, რაც, ერთი მხრივ, მეტწილად ამ ყალბი თვალსაზრისითა და ბერლინური ჰეგელიანობის უმწეო დახავსებით გამართლებულმა რეაქციამ «ნატურფილოსოფიის» წინააღმდეგ თავისი თავი ამოწურა და უბრალო ლანძღვა-გინებად გადაგვარდა, მას შემდეგ, რაც, მეორე მხრივ, ბუნებისმეცნიერება თავისი თეორიული მოთხოვნებით საყოველთაოდ ხმარებული, მოარული ეკლექტიკური მეტაფიზიკის მიერ ეგზომ ბრწყინვალედ იქნა მიგდებული ბედის ანაბარად, — იქნებ ამის შემდეგ მაინც შესაძლებელი იყოს

ბუნებისმკვლევართა წინაშე ერთხელ კიდევ ვახსენოთ ჰეგელის სახელი, მაგრამ ისე, რომ ამით არ გამოვიწვიოთ მათში ის ფილენჯის ქარი, რომლითაც ასე სასაცილოა და სასეირო ბატონი დიურინგი.

უწინარეს ყოვლისა, მტკიცედ უნდა დავადგინოთ, რომ აქ საქმე არასგზით არ ეხება ჰეგელის იმ გამოსავალი თვალსაზრისის დაცვას, რომლის თანახმადაც გონი, აზრი, იდეა თავდაპირველია, ხოლო ნამდვილი ქვეყანა იდეის მხოლოდ ანაბეჭდია. ეს უკვე ფოიერბახმა უარყო. ჩვენ ყველა ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ყოველ მეცნიერულ სფეროში, როგორც ბუნების, ისე ისტორიის სფეროში, მოცემული ფ ა ქ ტ ე ბ ი დ ა ნ უნდა ამოვიდეთ, მაშასადამე, ბუნებისმეცნიერებაში—მატერიის სხვადასხვა საგნობრივი ფორმებიდან და მოძრაობის სხვადასხვა სახეებიდან[1]; რომ, ამრიგად, თეორიულ ბუნებისმეცნიერებაშიც არ შეიძლება ჯერ კავშირები შევადგინოთ და შემდეგ ფაქტებში შევიტანოთ, არამედ ისინი ფაქტებში უნდა აღმოვაჩინოთ და როდესაც აღმოჩენილი იქნება, ცდის შესაბამისად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დავამტკიცოთ.

ასევე არ შეიძლება ლაპარაკი იყოს ჰეგელის სისტემის დოგმატური შინაარსის შენარჩუნებაზე, როგორც ამას ქადაგებდნენ ბერლინელი ჰეგელიანელები უფროსი და უმცროსი მიმართულებისა. იდეალისტურ გამოსავალ თვალსაზრისთან ერთად მასზე აგებული სისტემაც ემხობა, მაშასადამე, ემხობა, სახელდობრ, ჰეგელის ბუნების ფილოსოფიაც. მაგრამ აქ უნდა მოვიგონოთ, რომ ბუნებისმეცნიერული კამათი ჰეგელის წინააღმდეგ, რამდენადაც მას იგი საერთოდ სწორად ესმოდა, მხოლოდ ამ ორივე პუნქტის წინააღმდეგ იყო მიმართული: იდეალისტური გამოსავალი თვალსაზრისისა და ფაქტების მიმართ სისტემის თვითნებური კონსტრუქციის წინააღმდეგ.

ყველა ამის ჩამოცილების შემდეგ კიდევ რჩება ჰეგელის დიალექტიკა. მარქსის დამსახურებას, წინააღმდეგ «მობუზღუნე, ამპარტავანი და საშუალო გონების ეპიგონობისა, რომელიც ამჟა-

---

[1] აქ ტექსტის თავდაპირველ რედაქციაში წერტილი იყო, რომლის შემდეგ იწყებოდა შემდეგი დაუმთავრებელი ფრაზა, შემდეგში ენგელსის მიერ წაშლილი: «ჩვენ, სოციალისტური მატერიალისტები ამ მიმართულებით კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შორს მივდივართ, ვიდრე ბუნებისმკვლევარნი, ვინაიდან ჩვენ აგრეთვე...». რ ე დ.

მად ტონის მიმცემია გერმანიაში»[1], ის შეადგენს, რომ მან პირველად დღის სინათლეზე კვლავ გამოიტანა დავიწყებული დიალექტიკური მეთოდი, აღნიშნა მისი კავშირი ჰეგელის დიალექტიკასთან, ისევე როგორც მისი განსხვავება ამ უკანასკნელისაგან, და ამავე დროს «კაპიტალში» ეს მეთოდი ემპირიული მეცნიერების, პოლიტიკური ეკონომიის ფაქტებზე გამოიყენა. და ეს მან ისეთი წარმატებით შეასრულა, რომ თვით გერმანიაშიც უახლესი ეკონომიური სკოლა მხოლოდ იმით დადგა ვულგარულ ფრიტრედერობაზე მაღლა, რომ მარქსიდან გადმოწერას მიმართავს (ხშირად საკმაოდ ყალბად) მარქსის კრიტიკის საბაბით.

ჰეგელის დიალექტიკაში ყველა ნამდვილ კავშირთა იგივე დამახინჯება ბატონობს, რაც მისი სისტემის ყველა სხვა განშტოებებში. მაგრამ, როგორც მარქსი ამბობს: «მისტიფიკაციამ, რომელიც ჰეგელის ხელში დიალექტიკამ განიცადა, სრულიადაც არ შეუშალა ხელი იმას, რომ პირველად სწორედ ჰეგელმა გადმოსცა ამომწურავად და შეგნებულად მისი მოძრაობის საყოველთაო ფორმები. ჰეგელის დიალექტიკა თავდაყირა დგას. უნდა გადმოვაყირაოთ იგი, რომ მისტიკურ გარსს შიგნით რაციონალური მარცვალი აღმოვაჩინოთ»[2].

მაგრამ თვით ბუნებისმეცნიერებაშიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთი თეორიები, რომლებშიაც ნამდვილი ურთიერთობა თავდაყირაა დაყენებული, ანარეკლი სურათი პირველფორმად არის აღიარებული და ამიტომ ამგვარ გადმოყირავებას საჭიროებენ. ასეთი თეორიები ხშირად საკმაოდ დიდ ხანს ბატონობენ. სწორედ ამგვარ შემთხვევას წარმოადგენდა, როდესაც სითბო თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში განსაკუთრებულ იდუმალებით სავსე მატერიად ითვლებოდა, ნაცვლად იმისა, ჩვეულებრივი მატერიის მოძრაობის ერთ-ერთ ფორმად მიეჩნიათ, და სითბოს მექანიკურმა თეორიამ მოახდინა აქ გადმოყირავება. მიუხედავად ამისა, სითბომბადის თეორიით დამორჩილებულმა ფიზიკამ მაინც სითბოს მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი კანონები აღმოაჩინა და განსაკუთრებით ფურიეს[3] და სადი კარნოს მიერ გზა გახსნილი იყო სწორი გაგებისათვის, რომელსაც თავის მხრივ თავისი წინამორ-

[1] ეს სიტყვები აღებულია მარქსის «კაპიტალის» I ტომის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვობიდან. რ ე დ.

[2] იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1930 წ. გვ. LXIII. რ ე დ.

[3] ენგელსს მიუდგენელობაში ჰყავს მათემატიკოსი ჟან ბატისტ ჟოზეფ ფურიე, ავტორი ტრაქტატისა «სითბოს ანალიზური თეორია» («Théorie analitique de la chaleur», Paris, 1822). რ ე დ.

ბედის მიერ აღმოჩენილი კანონები ახლა მხოლოდ უნდა გადმოეყირავებინა, თავის საკუთარ ენაზე გადმოეთარგმნა[1]. ასევე ქიმიაშიც ფლოგისტონის თეორიამ თავისი ასწლოვანი ექსპერიმენტული მუშაობით პირველად მოგვცა ისეთი მასალა, რომლის დახმარებითაც ლავუაზიემ პრისტლის მიერ მიღებულ ჟანგბადში შეძლო აღმოეჩინა ფანტასტიკური ფლოგისტონის რეალური ანტიპოდი და მით ფლოგისტონის მთელი თეორიაც დაემხო. მაგრამ ამით ფლოგისტიკის ცდის შედეგები მთლად გადაგდებული როდი იქნა. პირიქით. ისინი არსებობას განაგრძობდნენ; მხოლოდ მათი ფორმულირება გადმოყირავდა, ფლოგისტონის თეორიის ენიდან ქიმიის თანამედროვე ენაზე გადმოითარგმნა და ამდენად თავიანთი ძალა და მნიშვნელობა შეინარჩუნეს.

ჰეგელის დიალექტიკა ისე შეეფარდება რაციონალურ დიალექტიკას, როგორც სითბომბადის თეორია სითბოს მექანიკურ თეორიას, როგორც ფლოგისტონის თეორია — ლავუაზიეს თეორიას.

ნაწყვეტები «ანტი-დიურინგის» მოსამზადებელი სამუშაოებიდან[2]

პირველი განყოფილებისათვის

III თავისთვის

[იდეები — სინამდვილის ასახვანია]

ყველა იდეა მიღებულია გამოცდილებიდან, ისინი სინამდვილის ასახვანია, სწორი ან დამახინჯებული.

III თავისთვის, გვ. 42—44

[მატერიალური ქვეყანა და აზროვნების კანონები]

ცდის ორი სახე არსებობს—გარეგანი, მატერიალური და შინაგანი—აზროვნების კანონები და აზროვნების ფორმები. აზროვნების ფორმებიც აგრეთვე ნაწილობრივ მემკვიდრეობით გადაე-

---

[1] კანონს ფუნქცია C მართლაც სიტყვასიტყვით გადმოყირავებულ იქნა: $\frac{1}{C}$ = აბსოლუტურ ტემპერატურას. თუ არ გადმოვაყირავეთ ამრიგად, მისგან არაფერი იქნება. [ენგელსის შენიშვნა.]

[2] მითითებანი გვერდებისა და თავებისა, რომელთაც ეკუთვნის სათანადო ნაწყვეტები «ანტი-დიურინგის» მოსამზადებელი სამუშაოებიდან, აგრეთვე კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სახელწოდებანი ნაწყვეტებისა, მოცემულია რედაქციის მიერ. რ ე დ.

ცემა განვითარების გზით (თავისთავად სიცხადე, მაგალითად, მათემატიკური აქსიომებისა ევროპელებისათვის, მაგრამ, რასაკვირველია, არა ბუშმენების ან ავსტრალიელი ზანგებისათვის).

თუ ჩვენი წანამძღვრები სწორია და თუ ჩვენ სწორად ვიყენებთ მათ მიმართ აზროვნების კანონებს, მაშინ შედეგი სინამდვილეს უნდა შეესატყვისებოდეს, სწორედ ისევე როგორც გაანგარიშება ანალიზურ გეომეტრიაში უნდა შეესატყვისებოდეს გეომეტრიულ კონსტრუქციას, თუმცა ორივე სრულიად სხვადასხვა სახის მეთოდს წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არასოდეს ასე არ არის ხოლმე, და თუ არის, ისიც სრულიად მარტივ ოპერაციებში.

გარესამყარო, თავის მხრივ, ან ბუნებაა ან საზოგადოება.

III თავისთვის, გვ. 42—45; თავი IV, გვ. 50—53; თავი X, გვ. 113

[აზროვნების დამოკიდებულება არსთან]

აზროვნების ერთადერთი შინაარსია სამყარო და აზროვნების კანონები.

სამყაროს გამოკვლევის ზოგადი შედეგები ამ გამოკვლევის ბოლოს მიიღება; მაშასადამე, ისინი არიან არა პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი, არა გამოსავალი წერტილები, არამედ შ ე დ ე გ ე ბ ი, დასკვნები. მათი მიღება გონებაში მოხდენილი კონსტრუირებით, მათგან როგორც საფუძვლიდან გამოსვლა და შემდეგ აქედან სამყაროს რეკონსტრუირება არის სწორედ ი დ ე ო ლ ო გ ი ა, ის იდეოლოგია, რომლითაც დღემდე დაავადებული იყო აგრეთვე ყოველი სახის მატერიალიზმი. თუმცა მისთვის, რასაკვირველია, რამდენადმე ნათელი იყო აზროვნების დამოკიდებულება არსისადმი ბ უ ნ ე ბ ა შ ი, მაგრამ არ იყო ნათელი ეს დამოკიდებულება ისტორიაში, ვერ ხედავდა ყოველთვის ყოველ მოცემულ შემთხვევაში აზროვნების დამოკიდებულებას ისტორიულ-მატერიალური პირობებისაგან. — რადგანაც დიურინგი «პრინციპებიდან» გამოდის და არა ფაქტებიდან, ის იდეოლოგი არის, და მას შეუძლია ეს თავისი იდეოლოგობა მხოლოდ იმით დაფაროს, რომ თავის დებულებებს ეგზომ ზოგადად და უშინაარსოდ გამოხატავს, რომ ისინი ა ქ ს ი ო მ ა ტ უ რ ა დ, უ შ ნ ო დ გვეელინებიან, მაგრამ ამასთანავე ამ დებულებებიდან არავითარი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, შეიძლება მხოლოდ მათში თვითნებური მნიშვნელობის შ ე ტ ა ნ ა. თუნდაც, მაგალი-

თად, დებულება ერთადერთი არსისა. სამყაროს ერთიანობა და მიღმურობის უაზრობა შედეგია მთელი სამყაროს კვლევაძიებისა, მაგრამ აქ უნდა დამტკიცდეს იგი a priori აზროვნების აქსიომიდან. აქედან უაზრობა.—მაგრამ ამ გადაბრუნების გარეშე ზუსტი (exakte) ფილოსოფია შეუძლებელია.

III თავისთვის, გვ. 44—46

[სამყარო როგორც დაკავშირებული მთლიანობა. სამყაროს შეცნობა]

სისტემატიკა[1] ჰეგელის შემდეგ შეუძლებელია. ცხადია, რომ სამყარო წარმოადგენს ერთიან სისტემას, ე. ი. დაკავშირებულ მთლიანს, მაგრამ ამ სისტემის შემეცნება გულისხმობს მთელი ბუნებისა და ისტორიის შემეცნებას, რასაც ადამიანები ვერასოდეს ვერ მიაღწევენ. ამრიგად, ის, ვინც სისტემებს აგებს, ვალდებულია უამრავი ხარვეზები საკუთარი გამონაგონით შეავსოს, ე. ი. ირაციონალურად ფანტაზირებას, იდეოლოგიზირებას მიჰყოს ხელი.

რაციონალური ფანტაზია—alias[2] კომბინაცია!

III თავისთვის, გვ. 46—50

[მათემატიკური მოქმედებანი და წმინდა ლოგიკური მოქმედებანი]

აღმრიცხველი ჭკუა — საანგარიშო მანქანა! კომიკური აღრევა მათემატიკური მოქმედებებისა, რომლებიც დაუშვებენ მატერიალურ დასაბუთებას, შემოწმებას, — რადგან ისინი დამყარებული არიან უშუალო მატერიალურ მჭვრეტელობაზე, თუმცაღა აბსტრაქტულ მჭვრეტელობაზე, — ისეთ წმინდა ლოგიკურ მოქმედებებთან, რომლებსაც შეუძლიათ დასაბუთება მხოლოდ გონებით დასკვნის გზით, მაშასადამე, არ ახასიათებთ დადებითი დამაჯერებლობა, რაც მათემატიკურ მოქმედებებს გააჩნიათ, — და რამდე-

[1] სისტემატიკა — აქ იგულისხმება აბსოლუტურად დამთავრებული სისტემის აგების აზრით. რედ.

[2] — სხვანაირად. რედ.

ნია მათგან შემცდარიც! მანქანა ინტეგრირებისათვის, შდრ. Andrews, speech. Nature, Sept. 7.76[1].

სქემა=შაბლონი.

III თავისთვის, გვ. 46—50; თავი IV, გვ. 50—53.

[**რეალობა და აბსტრაქცია**]

ყოვლისმომცველი არსის ყოვლადერთადერთიანობის დებულებით, რომელსაც პაპი და შეიხ-ულ-ისლამიც მოაწერენ ხელს ისე, რომ სულაც არ თქვან უარი თავიანთ შეუცდომლობასა და რელიგიაზე, დიურინგს ისევე არ შეუძლია დაამტკიცოს ყოველი არსის განსაკუთრებული მატერიალობა, როგორც არ ძალუძს მას რომელიმე მათემატიკური აქსიომიდან აგების გზით გამოიყვანოს სამკუთხედი, სფერო, ან აქსიომიდან გამოიყვანოს პითაგორას თეორემა. ორიენტაციისთვის საჭიროა რეალური წინაპირობანი, და მხოლოდ ამ უკანასკნელთა გამოკვლევის გზით შეიძლება მივაღწიოთ ამ შედეგებს. ის დარწმუნებულობა, რომ გარდა მატერიალური სამყაროსი არ არსებობს კიდევ განსაკუთრებული სულიერი სამყარო, რეალური ქვეყნის ხანგრძლივი და ძნელი კვლევა-ძიების შედეგია, აგრეთვე ადამიანის ტვინის პროდუქტებისა და პროცესების y compric[2]. გეომეტრიის შედეგები სხვა არა არის რა, თუ არა იმ სხვადასხვა სახის ხაზების, ზედაპირების და სხეულების, მაშასადამე, სათანადოდ მათი კომბინაციების, ბუნებრივი თვისებები, რომლებიც უმეტესწილად ბუნებაში დიდი ხნით ადრე არსებობდნენ, ვიდრე ადამიანები გაჩნდებოდნენ (რადიოლიარები, მწერები, კრისტალები და ა. შ.).

VI თავისთვის, გვ. 71 და შემდეგი

[**მოძრაობა როგორც მატერიის არსებობის ფორმა**]

მოძრაობა არის მატერიის არსებობის ფორმა, მაშასადამე, უფრო მეტი რამ, ვიდრე უბრალო თვისება. არ არსებობს და არც შეიძლება არასოდეს არსებულიყო მატერია უმოძრაობოდ. მოძრაობა სამყაროს სივრცეში, უფრო მცირე მასების მექანიკური მოძრაობა სამყაროს რომელიმე ცალკეულ სხეულზე,

[1] ენდრიუსი, სიტყვა. «ბუნება», 7 სექტემბერი 1876 წ. — ენგელსს მხედველობაში აქვს ტომას ენდრიუსის სიტყვა ბრიტანეთის სამეცნიერო ასოციაციის ყოველწლიურ 46-ე კრებაზე ბელფასტში. რ ე დ.

[2] ჩათვლით. რ ე დ.

მოლეკულური რხევა როგორც სითბო, ელექტრული დაძაბულობა, მაგნეტური პოლარიზაცია, ქიმიური დაშლა და შეერთება, ორგანული სიცოცხლე თვით მის უმაღლეს ნაყოფამდე, აზროვნებამდე, —აი, მოძრაობის ის ფორმები, რომლებშიც მათგან ამა თუ იმ ფორმით იმყოფება ნივთიერების თვითეული ცალკე ატომი ყოველ მოცემულ მომენტში. ყოველი წონასწორობა ან მხოლოდ შეფარდებითი უძრაობაა ანდა თვითონ მოძრაობაა წონასწორობაში, როგორიცაა, მაგალითად, პლანეტების მოძრაობა. აბსოლუტური უძრაობა შეიძლება გააზრებული იქნეს მხოლოდ იქ, სადაც არავითარი მატერია არაა. ამრიგად, არ შეიძლება მოწყვეტილ იქნეს მატერიისაგან არც მოძრაობა როგორც ასეთი, და არც რომელიმე მისი ფორმა, მაგალითად, მექანიკური ძალა; არ შეიძლება მატერიას დაუპირისპირო მოძრაობა როგორც განსაკუთრებული, მისთვის უცხო რამ-ისე, რომ უაზრობამდე არ მიხვიდე.

VII თავისთვის, გვ. 83—86

(ბუნებრივი შერჩევა)

დიურინგი სიხარულით უნდა ჩასჭიდებოდა natural selection[1]-ის თეორიას, იმიტომ რომ ის მაინც აძლევს მას საუკეთესო ნიმუშს არაცნობიერი მიზნებისა და საშუალებების მისი მოძღვრებისათვის.— თუ დარვინი იკვლევს ბუნებრივ შერჩევას, იმ ფ ო რ მ ა ს, რომელშიც ხდება ნელი ცვლილება, დიურინგი მოითხოვს, რომ დარვინმა მიუთითოს აგრეთვე ცვლილების მ ი ზ ე ზ ზ ე ც, რის შესახებ თვით ბატონმა დიურინგმაც ასევე არაფერი არ იცის. როგორიც უნდა იყოს მეცნიერების წარმატება, ბატონი დიურინგი ყოველთვის განაცხადებს, რაღაც მაინც კიდევ აკლიაო, და მას, მაშასადამე, მუდამ ექნება საკმაო საფუძველი წუწუნისა და ბუზღუნისათვის.

VII თავისთვის

[დარვინის შესახებ]

რა დიდია არაჩვეულებრივად თავდაბალი დარვინი, რომელიც არა მარტო ადარებს, აჯგუფებს და ამუშავებს ათასობით ფაქტებს მთელი ბიოლოგიიდან, არამედ სიხარულით იხსენიებს და იმოწმებს

[1] — ბუნებრივი შერჩევა. რ ე დ.

აგრეთვე თვითეულ თავის წინამორბედს, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, თვით მაშინაც კი, როდესაც ეს მის საკუთარ სახელს აკნინებს, — თუ მას ტრაბახა დიურინგს შევადარებთ, რომელიც თვითონ არაფერს იძლევა და ათვალწუნებით ეპყრობა იმასაც, რასაც სხვა იძლევა, და რომელიც...

VII თავისთვის, გვ. 84—86; თავი VIII, გვ. 93—95

დ ი უ რ ი ნ გ ი ა ნ ა. დარვინიზმი, გვ. 115[1].

მცენარეთა შ ე გ უ ე ბ ა ფიზიკურ ძალთა ან ქიმიურ აგენტთა კომბინაციაა, მაშასადამე, არავითარი შეგუება. თუ «მცენარე თავისი ზრდის დროს ისეთ გზას ირჩევს, რომელზეც იგი უფრო მეტ სინათლეს იღებს», ამას იგი აკეთებს სხვადასხვა გზითა და სხვადასხვა ხერხით, რაც სხვადასხვანაირია მცენარის სახეობისა და თვისების თანახმად. მაგრამ ფიზიკური ძალები და ქიმიური აგენტები აქ თვითეულ მცენარეში თავისებურად მოქმედებენ და მცენარეს, რომელიც ბოლოს ხომ სხვა რამ არის, ვიდრე ეს «ქიმიური და ფიზიკური და ა. შ.», ხელს უწყობენ, რათა თავისთვის საჭირო სინათლე მიიღოს იმ გზით, რომელიც მისთვის დამახასიათებელი გამხდარა ხანგრძლივი წინაგანვითარების წყალობით. ეს სინათლე მცენარის უჯრედებზე მოქმედებს როგორც გაღიზიანება, და სწორედ მას მოჰყავს მოძრაობაში ეს ძალები და აგენტები როგორც რეაქცია[2]. მაგრამ რადგანაც ეს პროცესი ორგანულ უჯრედთა აღნაგობაში ხდება და გაღიზიანებისა და რეაქციის ფორმას იღებს, რაც აქაც ისევე ხდება, როგორც მაშინ, როდესაც იგი ხდება ნერვების საშუალებით ადამიანის ტვინში, — ამიტომ ორივე შემთხვევაში გამოდგება ერთი და იგივე გამოთქმა — შეგუება. ხოლო თუ შეგუება უსათუოდ ცნობიერების საშუალებით უნდა მოხდეს, მაშინ სად იწყება ცნობიერება და შეგუება და სად თავდება? მონერში, მწერიყლაპია მცენარეში, ღრუბელში, მარჯანში, პირველ ნერვში? ძველი ყაიდის ბუნებისმკვლევარებს დიურინგი ძალიან ასიამოვნებდა, თუ კი ის საზღვარს უჩვენებდა. პროტოპლაზმის გაღიზიანება და პროტოპლაზმის რეაქცია ყველგან მოიპოვება, სადაც კი ცოცხალი პროტოპლაზმა არსებობს. რადგანაც პროტოპლაზმა ნელა ცვალებად გაღიზიანებათა ზემოქმედების გამო ასევე

[1] გვერდების მითითებანი ეხება დიურინგის «ფილოსოფიის კურსს». რ ე დ.

[2] აქ ხელნაწერში ორეებზე დაწერილია: «ასევე ცხოველებშიაც მთავარ როლს ასრულებს არათვითნებური შეგუება». რ ე დ.

ცვალებადობას განიცდის,— თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში დაიღუპებოდა,— ამდენად გამოთქმა შეგუება აუცილებლად უნდა მიეუყენოთ ყველა ორგანულ სხეულს.

VII თავისთვის, გვ. 84 და შემდ.

[შეგუება და მემკვიდრეობა]

ჰეკელი სახეთა განვითარების მიმართ შეგუებას განიხილავს როგორც უარყოფით ფაქტორს, რომელიც ცვლილებებს იწვევს, ხოლო მემკვიდრეობას — როგორც დადებით ფაქტორს, რომელიც სახეებს ინახავს. დიურინგი, პირიქით, ამტკიცებს (გვ. 122), რომ მემკვიდრეობა უარყოფით შედეგებსაც იწვევს, ცვლილებებს წარმოშობს (სადაც ფუჭი როშვაა პრეფორმაციაზე). იმაზე უფრო ადვილი არა არის რა, როგორც ყველა ამგვარი და სხვა სახის წინააღმდეგობის გადაყირავება, და დამტკიცება, რომ სწორედ შეგუება ფორმის შეცვლის მეშვეობით ინახავს არსებითს, თვით ორგანოს, მაშინ როდესაც მემკვიდრეობა ყოველთვის განსხვავებული ორი ინდივიდუმის შეერთებით მუდამ ისეთ ცვლილებებს იწვევს, რომელთა დაგროვება არ გამორიცხავს სახის შეცვლას. შეგუების შედეგებიც ხომ გადადის მემკვიდრეობით. მაგრამ ამ დროს ერთი ნაბიჯითაც წინ ვერ წავიწევთ. ჩვენ უნდა ანგარიში გავუწიოთ საქმის ფაქტიურ მდგომარეობას და გამოვიკვლიოთ იგი, და მაშინ, რასაკვირველია, აღმოჩნდება, რომ ჰეკელი სრულიად მართალია, როდესაც მემკვიდრეობას თვლის არსებითად კონსერვატულ, დადებით მხარედ, ხოლო შეგუებას გამარეევოლუციურებელ, პროცესის უარყოფით მხარედ. მოთვინიერება და მოშენება [მცენარეთა და ცხოველთა], ისე როგორც უნებური შეგუება ბევრად უფრო დამაჯერებელი ენით ლაპარაკობს, ვიდრე დიურინგის მთელი «დახვეწილი კონცეფციები».

VIII თავისთვის, გვ. 95—98

დიურინგი, გვ. 141.

სიცოცხლე. ამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ფიზიოლოგი-ქიმიკოსები და ქიმიკოსი-ფიზიოლოგები არაერთგზის ამტკიცებდნენ, რომ ნივთიერებათა ცვლა არის სიცოცხლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ხოლო აქ ეს განმეორებით სიცოცხლის დეფინი-

ციის ხარისხშია აყვანილი. მაგრამ ეს დეფინიცია არც ზუსტია და არც ამომწურავი. ნივთიერებათა ცვლას ჩვენ ვხედავთ აგრეთვე მაშინაც, როცა სიცოცხლე ა რ ა რ ი ს, მაგალითად, მარტივი ქიმიური პროცესების დროს, რომლებიც ნედლი მასალის საკმაო რაოდენობით შეტანის დროს მუდამ ხელახლა ქმნიან თავიანთ საკუთარ პირობებს, და როცა პროცესის მატარებელი ერთი გარკვეული სხეულია (მაგალითები იხ. როსკო, 102[1], გოგირდმჟავას წარმოება), ენდოსმოსისა და ეგზოსმოსის დროს (მკვდარ ორგანულ და თვით არაორგანულ მემბრანებშიც?), ტრაუბეს ხელოვნურ უჯრედებში და მათ მედიუმში. ამრიგად, ნივთიერებათა ცვლა, რომლითაც სურთ სიცოცხლის ახსნა, ჯერ კიდევ თვითონ მოითხოვს, თავის მხრივ, უფრო ზუსტ ახსნას. მაშასადამე, მიუხედავად მრავალი ღრმა დასაბუთებისა, დახვეწილი კონცეფციებისა და ზუსტი გამოკვლევებისა, ჩვენ მაინც ვერ მივაღწიეთ საქმის არსის გაგებამდე და მაინც ვკითხულობთ: რა არის სიცოცხლე?

მეცნიერებისათვის დეფინიციებს არა აქვთ მნიშვნელობა, რადგან ყოველთვის არასაკმარისი არიან ხოლმე. ერთადერთი რეალური დეფინიცია თვითონ საქმის არსის განვითარებაა და ისიც უკვე აღარაა დეფინიცია. იმისათვის, რომ ავხსნათ, ვიცოდეთ და ვაჩვენოთ, თუ რა არის სიცოცხლე, ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ სიცოცხლის ყველა ფორმა და ურთიერთ კავშირში წარმოვადგინოთ. მაგრამ ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ს ა ხ ბ ა რ ა დ უზოგადესი და ამავე დროს ყველაზე დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშნების მოკლე გადმოცემა ეგრეთწოდებულ დეფინიციაში ხშირად სასარგებლო და აუცილებელიც კი არის ხოლმე, და არც შეიძლება ზიანი მოიტანოს, თუ კი დეფინიციისაგან იმაზე მეტს არ მოითხოვენ, რის გამოხატვაც მას შეუძლია. ამრიგად, შევეცადოთ სიცოცხლის ამგვარი დეფინიციის მოცემას, რაზეც ამდენმა ხალხმა მოიმტვრია კბილები (იხ. ნიკოლსონი).

სიცოცხლე არის ცილოვან სხეულთა არსებობის წესი და არსებობის ეს წესი არსებითად მდგომარეობს კვებისა და გამოყოფის საშუალებით თავისი ქიმიური შემადგენელი ნაწილების მუდმივ განახლებაში.

... ნივთიერებათა ორგანული ცვლიდან როგორც ცილის არსებითი ფუნქციიდან და მისთვის დამახასიათებელი პლასტიკურობი-

[1] R o s c o e - S c h o r l e m m e r, Ausführliches Lehrbuch der Chemie, B. I, Braunschweig, 1877 (რ ო ს კ ო - შ ო რ ლ ე მ ე რ ი. ქიმიის დაწვრილებითი სახელმძღვანელო, ტ. I, ბრაუნშვაიგი, 1877). რ ე დ.

დან გამოდის შემდეგ სიცოცხლის ყველა სხვა დანარჩენი უმარტივესი ფუნქციები — გაღიზიანება, რაც უკვე ჩამარხულია საკვებისა და ცილის ურთიერთ ზემოქმედებაში,—კუმშვადობა საკვების შთანთქმის დროს,—ზრდის უნარი, რომელიც უდაბლეს საფეხურზე (მონერა) შეიცავს გამრავლებას დაყოფის გზით,—შინაგანი მოძრაობა, ურომლისოდაც შეუძლებელია საკვების როგორც შთანთქმა, ისე ასიმილაცია. მაგრამ მხოლოდ დაკვირვებამ უნდა აგვიხსნას, თუ როგორ ხდება წინსვლა, განვითარების პროცესი მარტივი პლასტიკური ცილიდან უჯრედისაკენ და, მაშასადამე, ორგანიზმისაკენ, ხოლო ამგვარი გამოკვლევა უკვე აღარ ეკუთვნის სიცოცხლის მარტივ ჩვეულებრივ განსაზღვრას. (დიურინგი გვ. 141 ლაპარაკობს კიდეე მთელ შუალედ სამყაროზე, რადგან უარხებოდ, რომლებითაც ხდება ნივთიერებათა ცირკულაცია, და «ჩანასახოვანი სქემის» გარეშე ნამდვილი სიცოცხლე არ არსებობს. ეს ადგილი საუცხოვოა).

X თავისთვის, გვ. 115—121

დიურინგი—ეკონომიკა.—ორი მამაკაცი.

სანამ მორალზეა ლაპარაკი, დიურინგს შეუძლია ისინი თანასწორად მიიჩნიოს, მაგრამ როგორც კი ეკონომიკა დაიწყება, ეს შესაძლებლობაც ისპობა. თუ, მაგალითად, ეს ორი მამაკაცი იანკია, broken, into all trades [1], და ბერლინელი სტუდიოზი, რომელსაც არაფერი არ მოუტანია თან, გარდა სასწავლებლის დამთავრების მოწმობისა და სინამდვილის ფილოსოფიისა, და ამასთანავე ხელები, რომლებიც პრინციპით არასოდეს არ გაწერთნილა და არ გამაგრებულა ფარიკაობაში, სად დარჩება თანასწორობა? იანკი აწარმოებს ყველაფერს, სტუდიოზი მხოლოდ ხანდახან აქა-იქ შველის, განაწილება კი იმის მიხედვით ხდება, თუ თვითეულმა მათგანმა რა გააკეთა, რა შემოიტანა,—და მალე იანკის საშუალება ექნება კოლონიის ერთგვარად გაზრდილი (ბავშვთა დაბადებისა თუ იმიგრაციის წყალობით) მოსახლეობის კაპიტალისტური ექსპლოატაცია მოახდინოს. ამრიგად, ორი მამაკაციდან ადვილად შეიძლება წარმოდგეს მთელი თანამედროვე მდგომარეობა, წესწყობილება, კაპიტალისტური წარმოება და სხვ., და მასთან ისე, რომ არც ერთ მათგანს არ უხდება ხმლისთვის ხელის მოკიდება.

[1] ყველაფრის ჩამდენი, ყველაფრის უნარმქონე. რ ე დ.

X თავისთვის, გვ. 122—128

დიურინგიანა.

თანასწორობა—სამართლიანობა.—წარმოდგენა, რომ თანასწორობა არის გამოხატულება სამართლიანობისა, პრინციპი სრულქმნილი პოლიტიკური და სოციალური წესწყობილებისა, სრულიად ისტორიულად წარმოიშვა. პირველყოფილ თემებში თანასწორობა არ არსებობდა, ანდა იგი არსებობდა მხოლოდ ფრიად შეზღუდულ ფარგლებში ცალკეული თემის სრულუფლებიანი წევრისათვის და მონობის არსებობით იყო დამძიმებული. ასევე იყო ანტიკურ დემოკრატიაშიც. ყველა ადამიანის თანასწორობა — ბერძნებისა, რომაელებისა და ბარბაროსებისა, თავისუფალთა და მონათა, სახელმწიფოს ქვეშევრდომთა და უცხოელთა, მოქალაქეთა და სახელმწიფოს მხოლოდ მფარველობით მოსარგებლეთა და ა. შ. — ანტიკური ადამიანის გონებას არა მარტო გიჟურ რამედ ეჩვენებოდა, არამედ დანაშაულებრივადაც, და თანმიმდევრული იყო დევნა მისი პირველი საწყისისა ქრისტიანობაში.— ქრისტიანობაში პირველად გამოიხატა **უარყოფითი თანასწორობა ღვთის წინაშე ყველა ადამიანისა როგორც ცოდვილთა** და უფრო ზუსტი გაგებით თანასწორობა როგორც ერთ, ისე მეორე ღვთის შვილთა, რომელნიც გამოხსნილ იქნენ წყალობითა და სისხლითა ქრისტესი. ორივე გაგებას საფუძველი ჰქონდა თვით ქრისტიანობის როგორც მონათა, დევნილთა, განწირულთა, ჩაგრულთა რელიგიის როლში. ქრისტიანობის გამარჯვებამ ეს მომენტი უკანა რიგში გადასწია და უახლოეს მთავარ საკითხად იქცა დაპირისპირება მორწმუნეთა და წარმართთა შორის, მართლმორწმუნეთა და მწვალებელთა შორის. ქალაქების გაძლიერებას, და მასთან ერთად როგორც ბურჟუაზიის, ისე პროლეტარიატის მეტად თუ ნაკლებად განვითარებულ ელემენტთა გაძლიერებას უნდა გამოეწვია აგრეთვე თანასწორობის როგორც ბურჟუაზიული არსებობის პირობის მოთხოვნის თანდათანობითი გამოცოცხლება, ხოლო ამასთან კი ისიც იყო დაკავშირებული, რომ პროლეტარებმა პოლიტიკური თანასწორობიდან სოციალური თანასწორობის გამოყვანა იწყეს. ეს პირველად მკვეთრად გამოიხატა, რასაკვირველია, რელიგიური ფორმით, გლეხთა ომში. თანასწორობის მოთხოვნის ბურჟუაზიული მხარე პირველად მკაფიოდ იქნა ფორმულირებული რუსოს მიერ, მაგრამ ჯერ კიდევ ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნის სახით. ისე როგორც ბურჟუაზიის ყველა მოთხოვნების დროს აქაც პროლეტარიატი თან დასდევს ბურჟუაზიას როგორც საბედისწერო

აჩრდილი და თავისი დასკვნები გამოჰყავს (ბაბეფი). ეს კავშირი ბურჟუაზიულ თანასწორობასა და პროლეტარულ დასკვნებს შორის კიდევ უფრო დაწვრილებით უნდა განვავითაროთ.

ამრიგად, თითქმის მთელი წინანდელი ისტორია დასჭირდა იმას, რომ გამომუშავებულიყო პრინციპი თანასწორობა=თავისუფლების შესახებ, და მისი ფორმულირება მოხერხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე არსებობდა ბურჟუაზია და პროლეტარიატი. მაგრამ თანასწორობის პრინციპი ისაა, რომ არავითარი პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ე ბ ი არ უნდა არსებობდეს, მაშასადამე, ის არსებითად უ ა რ ყ ო ფ ი თ ი აღმოჩნდა, მთელ წინანდელ ისტორიას უეარგისად აცხადებს. რადგან ამ პრინციპს აკლია დადებითი შინაარსი და რადგან ის ხელაღებით უკუაგდებს მთელ წარსულს, ამიტომ ის ერთნაირად გამოდგება იმისათვის, რომ გამოცხადებულ იქნეს 1789—1796 წლების დიდი რევოლუციის მიერ, და აგრეთვე შემდეგი დროის სისტემათა მწარმოებელი უნიჟო თავებისთვის. მაგრამ თანასწორობა=სამართლიანობის დებულების უმაღლეს პრინციპად და საბოლოო ჭეშმარიტებად გასაღება, უაზრობაა. თანასწორობა არსებობს მხოლოდ უთანასწორობისადმი დაპირისპირებაში, სამართლიანობა—მხოლოდ უსამართლობისადმი დაპირისპირებაში; ამრიგად, ეს ცნებები ჯერ კიდევ დამძიმებულია დაპირისპირებით წინანდელი ისტორიის მიმართ, მაშასადამე, თვით ძველი საზოგადოებით[1].

უკვე ამის გამო აღნიშნულ დებულებას არ შეუძლია გამოხატოს ს ა მ ა რ ა დ ი ს ო სამართლიანობა და ჭეშმარიტება. საზოგადოებრივი განვითარების რამდენიმე თაობის შემდეგ, კომუნისტური წესწყობილების დროს და საარსებო საშუალებათა გაზრდილი რაოდენობის დროს, ადამიანები უნდა მივიდნენ იქამდე, რომ თანასწორობისა და უფლების ამაყი მოთხოვნები ისეთივე სასაცილო ეჩვენოთ, როგორც სასაცილოა დღეს ფავადაზნაურული და სხვა მემკვიდრეობითი პრივილეგიებით ყოყლოჩინობა; დაპირისპირება ძველი უთანასწორობის და ძველი დადებითი უფლების მიმართ, აგრეთვე ახალი გარდამავალი უფლების მიმართ, პრაქტიკული ცხოვრებიდან გაქრება; ვინც დაჟინებით მოითხოვს, რომ პედანტური სიზუსტით მისცენ მას პროდუქტების თავისი თანასწორი და სამართ-

[1] აქ ხელნაწერში არეებზე დაწერილია: «წარმოდგენა თანასწორობაზე [გამომდინარეობს] საყოველთაო ადამიანური შრომის თანასწორობიდან საქონელთა წარმოებაში. «კაპიტალი», გვ. 36». — იხ. «კაპიტალი», ტ. I., 1930 წ., გვ. 27. რ ე დ.

ლიანი წილი, — მას დასაცინად ორმაგ პორციას მისცემენ. თვით დიურინგსაც მიაჩნია, რომ ეს შეიძლება «ვივარაუდოთ», და მაშინ სადღა დარჩება თანასწორობა და სამართლიანობა, თუ არა ისტორიულ მოგონებათა საკუჭნაოში? იმის გამო, რომ ახლა ამგვარი ფრაზები ფრიად გამოსადეგია აგიტაციისათვის, ამით ჯერ კიდევ მარადიული ჭეშმარიტება ვერ იქნება.

(გავარკვიოთ თანასწორობის შ ი ნ ა ა რ ს ი.—სამართლის მხრით შემოფარგვლა და ა. შ.)

თუმცა დღესაც და შედარებით შორეული მომავლისათვისაც თანასწორობის აბსტრაქტული თეორია ჯერ კიდევ უაზრობაა. არც ერთ პროლეტარ-სოციალისტს ან სოციალისტურ თეორეტიკოსს აზრად არ მოუვა, არც ერთი მათგანი არ ისურვებს, რომ თავის თავსა და ბუშმენს შორის ან ცეცხლოვანი მიწის მცხოვრებს შორის, ან თუნდაც თავის თავსა და გ ლ ე ხ ს შორისაც კი, ანდა ნახევრად ფეოდალურ სოფლის დღიურად დაქირავებულ მუშას შორის აბსტრაქტული თანასწორობა აღიაროს; და იმ მომენტიდან, როგორც კი ეს დაძლეული იქნება თუნდაც მხოლოდ ევროპის მიწაწყალზე, დაძლეული იქნება აგრეთვე თანასწორობის აბსტრაქტული თვალსაზრისიც. რაციონალური თანასწორობის დამყარებისთანავე თვით ეს თანასწორობაც კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას. თუ თანასწორობას ახლა მოითხოვენ, ეს ხდება იმიტომ, რომ წინ უსწრებს გონებრივი და ზნეობრივი გ ა თ ა ნ ა ს წ ო რ ე ბ ა, რომელიც თავისთავად დგება ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ა ს. მაგრამ ს ა მ ა რ ა დ ი ს ო მორალი მაინც შესაძლო უნდა იყოს ყოველ დროსა და ყ ო ვ ე ლ ა დ გ ი ლ ა ს. თანასწორობის მიმართ ამის მტკიცებას თვით დიურინგიც ვერ ბედავს, პირიქით, გარდამავალი პერიოდისათვის იგი დროებით ღონისძიებად დაუშვებს რეპრესიას და ამით, მაშასადამე, აღიარებს, რომ თანასწორობა არაა მარადიული ჭეშმარიტება, არამედ გარკვეულ ისტორიულ მდგომარეობათა ისტორიული პროდუქტი და ატრიბუტია.

ბურჟუაზიული თანასწორობა (კლასობრივი პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ე ბ ი ს მოსპობა) ძალიან განსხვავდება პროლეტარიატის თანასწორობისაგან (თვით კლასების მოსპობისაგან). თანასწორობის ისეთი მოთხოვნა, რომელიც ამაზე უფრო შორს მიდის, ე. ი. აბსტრაქტულად გაგებული, უაზრობად იქცევა. ბოლოს თვით ბატონი დიურინგიც იძულებულია უკანა კარებიდან შემოათრიოს ძალდატანება, შეიარაღებული და ადმინისტრაციული, სასამართლო და პოლიციური ძალდატანება.

ამრიგად, თანასწორობის წარმოდგენა თავად ისტორიული პროდუქტია, რომლის გამოსამუშავებლად აუცილებელია მთელი წინამორბედი ისტორია; მაშასადამე, ეს წარმოდგენა არ არსებობს უხსოვარ დროიდან როგორც მარადიული ჭეშმარიტება. მაგრამ ის გარემოება, რომ ამჟამად იგი ადამიანთა უმრავლესობისათვის—en principe[1]—თავისთავად გასაგებია, ეს შედეგია არა მისი აქსიომატურობისა, არამედ მე-18-ე საუკუნის იდეების გავრცელებისა. ამრიგად, თუ დღეს ორი ყბადაღებული მამაკაცი თანასწორობის თვალსაზრისზე დგება, ეს იქიდან წარმოდგება, რომ ისინი წარმოდგენილია როგორც მე-19-ე საუკუნის «განათლებული» ადამიანები და ეს მათთვის «ბუნებრივია». მაგრამ როგორ იქცევიან და როგორ იქცეოდნენ ნამდვილი ადამიანები, დამოკიდებულია და დამოკიდებული იყო ყოველთვის იმ ისტორიულ პირობებზე, რომლებშიაც ისინი ცხოვრობდნენ.

IX თავისთვის, გვ. 109—113; თავი X, გვ. 122—128

[იდეათა დამოკიდებულება საზოგადოებრივ ურთიერთობაზე]

ის შეხედულება, თითქოს ადამიანთა იდეებმა და წარმოდგენებმა შექმნეს მათი ცხოვრების პირობები და არა პირიქით, უკუგდებულია მთელი წარსული ისტორიით, რომელშიაც დღემდე შედეგები ყოველთვის რაღაც სულ სხვა აღმოჩნდებოდა ხოლმე, ვიდრე ის, რაც სურდათ, ხოლო შემდგომ მსვლელობაში უმთავრესად იმის საწინააღმდეგოც კი, რასაც მოელოდნენ. ეს შეხედულება შეიძლება მეტად თუ ნაკლებად შორეულ მომავალში განხორციელდეს იმდენად, რამდენადაც ადამიანები წინასწარ შეიცნობენ შეცვლილი ურთიერთობით გამოწვეული საზოგადოებრივი წესწყობილების (sit venia verbo[2]) ცვლილების აუცილებლობას, და მოისურვებენ ამ ცვლილებას მანამდე, ვიდრე იგი მათ თავს მოეხვევოდეს მათდა შეუგნებლად და უნებურად. იგივე უნდა ითქვას სამართლის წარმოდგენებზე, მაშასადამე, პოლიტიკაზეც (as far as that goes[3], ეს პუნქტი უნდა განვიხილოთ «ფილოსოფიის» განყოფილებაში,— «ძალმომრეობა» რჩება პოლიტიკური ეკონომიისათვის).

---

[1] —პრინციპულად. რედ.

[2] ნება გვიბოძეთ, ვთქვათ ასე. რედ.

[3] რამდენადაც მართებულია. რედ

XI თავისთვის, გვ. 135—137 (შდრ. აგრეთვე განყოფილება III, თავი V, გვ. 378—380)

უკვე ბუნების სწორი ასახვა უაღრესად ძნელია, ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების პროდუქტია. ბუნების ძალები პირველყოფილი ადამიანისათვის რაღაც უცხო, იდუმალებით მოცული, აღმატებული რამ არის. გარკვეულ საფეხურზე, რომელსაც ყველა კულტურული ხალხი გადის, იგი მას შეეგუება განსახიერების გზით. სწორედ ამ განსახიერებისადმი მისწრაფებამ შეჰქმნა ყველგან ღმერთები, და consensus gentium[1], რომელსაც ემყარება ღმერთის არსებობის დამტკიცება, ამტკიცებს სწორედ და მხოლოდ ამ განსახიერებისადმი მისწრაფების როგორც აუცილებელი გარდამავალი საფეხურის,—მაშასადამე, აგრეთვე რელიგიის, საყოველთაობას. ბუნების ძალთა მხოლოდ ნამდვილი შემეცნება განდევნის ღმერთებს ან ღმერთს ყველა პოზიციიდან ერთიმეორეზე მიყოლებით (სეკკი და მისი მზის სისტემა). ამჟამად ამ პროცესმა იმდენად შორს წაიწია წინ, რომ თეორიულად იგი დამთავრებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროში ასახვა კიდევ უფრო ძნელი საქმეა. საზოგადოება ისტორიულ წინაპირობათა გარდა ეკონომიური ურთიერთობებით, წარმოებითა და გაცვლა-გამოცვლით განისაზღვრება.

XII თავისთვის, გვ. 142—146 (შდრ. შესავალი, გვ. 27—30.)

დაპირისპირება,—თუ ნივთი შეპყრობილია დაპირისპირებით, მაშინ ნივთი თავის თავთან წინააღმდეგობაში იმყოფება, ეგევე ითქმის მის აზრობრივ გამოსახულებაზე. მაგალითად, ის გარემოება, რომ ნივთი ერთსა და იმავე დროს იგივე რჩება და ამასთანავე მუდმივად იცვლება კიდევაც, რომ თავის თავში მას აქვს «მდგრადობის» და «ცვალებადობის» დაპირისპირება, წინააღმდეგობაა.

XIII თავისთვის

[უარყოფის უარყოფა]

...ყველა ინდოგერმანელი ხალხი იწყებს თემური საკუთრებით. თითქმის ყველა ხალხში საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში იგი ისპობა, უარიყოფა, იდევნება სხვა ფორმების მიერ—

[1] საყოველთაო აზრი. რედ.

კერძო საკუთრების, ფეოდალური საკუთრების მიერ, და ა. შ. ამ უარყოფის უარყოფა, საზოგადოებრივი საკუთრების აღდგენა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე—ასეთია სოციალური რევოლუციის ამოცანა. ან: ანტიკური ფილოსოფია თავდაპირველად სტიქიურ მატერიალიზმს წარმოადგენდა. მისგან წარმოდგა იდეალიზმი, სპირიტუალიზმი, მატერიალიზმის უარყოფა, ჯერ სულისა და სხეულის დაპირისპირების სახით, შემდეგ კი უკვდავების მოძღვრებასა და მონოთეიზმში. ქრისტიანობის წყალობით სპირიტუალიზმი საყოველთაოდ გავრცელებული გახდა. ამ უარყოფის უარყოფა არის ძველის ხელახლა წარმოება უფრო მაღალ საფეხურზე, თანამედროვე მატერიალიზმი, რომელმაც, წინააღმდეგ წარსულისა, თავისი თეორიული დასრულება ჰპოვა მეცნიერულ სოციალიზმში.

... თავისთავად ცხადია, რომ ეს ბუნებრივი და ისტორიული პროცესები აისახებიან მოაზროვნე ტვინში და ხელახლა იწარმოებიან მასში, როგორც ეს ჩანს ზემომოყვანილ მაგალითებში—*ax—a* და ა. შ., და სწორედ უმაღლესი დიალექტიკური ამოცანები მხოლოდ ამ მეთოდის საშუალებით გადაწყდება.

მაგრამ, რასაკვირველია, არსებობს აგრეთვე ცუდი, უნაყოფო უარყოფა.— ჭეშმარიტი, ბუნებრივი, ისტორიული და დიალექტიკური უარყოფა (ფორმის მხრივ განხილული) არის სწორედ ყოველგვარი განვითარების მამოძრავებელი საწყისი—დაპირისპირებულობად გაყოფა, მათი ბრძოლა და გადაჭრა, ამასთან (ისტორიაში ნაწილობრივ, აზროვნებაში მთლიანად) კვლავ მიღწეულ იქნება მიღებული გამოცდილების საფუძველზე თავდაპირველი გამოსავალი წერტილი, მაგრამ უფრო მაღალ საფეხურზე. ეს უნაყოფო უარყოფა კი წმინდა სუბიექტური, ინდივიდუალური უარყოფაა, რომელიც თვით საქმის განვითარების სტადია კი არ არის, არამედ გარედან შეტანილი აზრია. და რადგანაც მისგან არ შეიძლება რაიმე გამოვიდეს, ამიტომ უარმყოფელი ქვეყნის მიმართ უთანხმოებაში უნდა ჩავარდეს და ბუზღუნით უნდა კიცხოს ყოველივე არსებული და ყოველივე ის, რაც კი რამ ხდება,—მთელი ისტორიული განვითარება. თუმც ძველმა ბერძნებმა ზოგი რამ გააკეთეს, მაგრამ მათ არ იცოდნენ არც სპექტრალური ანალიზი, არც ქიმია, არც დიფერენციალური აღრიცხვა, არც ორთქლის მანქანა, არც გზატკეცილები, არც ელექტრული ტელეგრაფი და რკინიგზა. განა ღირს ასეთი ჩამორჩენილი ადამიანების ნაწარმოებებზე დიდ ხანს შეჩერება? ყოველივე ეს უვარგისია — რადგან ამგვარი უარმყოფელი პესიმის-

ტია, — გარდა ჩვენი საკუთარი უმაღლესი პიროვნებისა, რომელიც თურმე სრულქმნილია, ამ გზით კი ჩვენი პესიმიზმი გადადის ჩვენს ოპტიმიზმში. ამით ჩვენ თვითონ მოვახდინეთ უარყოფის უარყოფა.

თვით რუსოს თვალსაზრისიც კი ისტორიაზე: თავდაპირველი თანასწორობა,—უთანასწორობით გამოწვეული წახდომა,—თანასწორობის დამყარება უფრო მაღალ საფეხურზე—უარყოფის უარყოფაა [1].

დიურინგი მუდმივად ქადაგებს იდეალიზმს—ი დ ე ა ლ უ რ თვალსაზრისს. თუ ჩვენ არსებული ურთიერთობებიდან გამოგვყავს დასკვნები მომავლისათვის, თუ ჩვენ ვიკვლევთ და ვწვდებით ისტორიის მსვლელობაში მოქმედ უ ა რ ყ ო ფ ი თ ელემენტთა დ ა დ ე ბ ი თ მხარეს,—ამას კი თავისებურად აკეთებს თვით ყველაზე უფრო ფილისტერი პროგრესისტი, იდეალისტი ლასკერიც,—ამას დიურინგი «იდეალიზმს» უწოდებს, და ამიტომ იგი თავის თავს უფლებას აძლევს დაამზადოს მომავლის ფანტასტიკური, უცოდინარობაზე დამყარებული გეგმები, სადაც სკოლაში სწავლების გეგმაც კი არის დასახული. მაგრამ მას ყურადღებიდან რჩება და ვერ ამჩნევს იმ გარემოებას, რომ თვით ისიც ამ დროს უ ა რ ყ ო ფ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა ს ა წ ა რ მ ო ე ბ ს.

XIII თავისთვის, გვ. 163—164

უ ა რ ყ ო ფ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა დ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა. რაიმე დადებითის «არარაობა», — ამბობს ჰეგელი, — განსაზღვრული არარაობაა. «დიფერენციალები შეიძლება განხილული იქნენ და ვიმოქმედოთ მით როგორც ნ ა მ დ ვ ი ლ ი ნ უ ლ ე ბ ი თ, რომელთა შორისაც მაინც არსებობს გარკვეული შეფარდება, რომელიც გამომდინარეობს სწორედ მოცემულ შემთხვევაში განხილული საკითხის მდგომარეობიდან. მათემატიკურად ეს უ ა ზ რ ო ბ ა ა რ ა ა», — ამბობს ბოსიუ. $\frac{0}{0}$-ს შეიძლება ჰქონდეს ფრიად გარკვეული მნიშვნელობა, თუ კი იგი წარმოდგება მრიცხველისა და მნიშვნელის ერთდროული გაქრობით. ასევე $0:0=A:B$, სადაც, მაშასადამე, $\frac{0}{0}=\frac{A}{B}$ იცვლება A და B -ს მნიშვნელობის ცვლასთან ერთად (გვ. 95,

[1] ეს შენიშვნა ხელნაწერის არეებზეა. რ ე დ.

მაგალითები). და ხომ არ არის «წინააღმდეგობა» იმ გარემოებაში, რომ ნულები ერთმანეთთან შეფარდებაშია, ე. ი. რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ არა მხოლოდ მნიშვნელობა საზოგადოდ, არამედ აგრეთვე სხვადასხვა მნიშვნელობაც, რომლებიც რიცხვებში შეიძლება გამოიხატოს? 1:2=1:2; 1—1:2—2=1:2; 0:0=1:2.—

თვითონ დიურინგი ამბობს, რომ უსასრულო მცირე სიდიდეთა ზემოაღნიშნული შეჯამებანი,—ჩვეულებრივი ენით,—ინტეგრალური აღრიცხვა, მათემატიკის უმაღლეს და ა. შ. ოპერაციებს წარმოადგენს. მერე და, როგორ ხდება ეს აღრიცხვა? ჩვენ გვაქვს ორი, სამი ან მეტი ცვლადი სიდიდეები, ე. ი. ისეთები, რომელთა ცვლადობის დროს მათ შორის გარკვეული დამოკიდებულება მეღავნდება. ვთქვათ, მაგალითად, გვაქვს ორი სიდიდე, x და y, და საჭიროა გადავწყვიტოთ გარკვეული, ჩვეულებრივი ელემენტარული მათემატიკით გადაუწყვეტელი, ამოცანა, რომელშიაც x და y ფუნქციას ასრულებენ. მე ვაწარმოებ x-ის და y-ის დიფერენცირებას, ე. ი. x-სა და y-ს იმდენად უსასრულოდ მცირედ მივიჩნევ, რომ ისინი ქრებიან ყოველ რაგინდ მცირე ნამდვილ სიდიდესთან შედარებით, ასე რომ x-ის და y-გან აღარაფერი რჩება, გარდა მათი ურთიერთ შეფარდებისა, ყოველგვარი მატერიალური საფუძვლის გარეშე, მაშასადამე, $\frac{dx}{dy}=\frac{0}{0}$, მაგრამ $\frac{0}{0}$ გამოხატავს $\frac{x}{y}$ შეფარდებას. იმ გარემოებამ, რომ ეს შეფარდება ორ გამქრალ სიდიდეს შორის, მათი გაქრობის ფიქსირებული მომენტი, წარმოადგენს წინააღმდეგობას, ჩვენ არ უნდა შეგვაწუხოს. ამრიგად, განა სხვა რამ გავაკეთე აქ, თუ არა ის, რომ x და y უარვყავი, მაგრამ ისე კი არა, თითქოს მე მათთან საქმე აღარ მქონდეს და მათზე სულ აღარ ვწუხდე, არამედ საქმისთვის შესაფერი წესით. x-ის და y-ის ნაცვლად ამ ფორმულებსა და განტოლებებში მე მაქვს მათი უარყოფა, dx და dy. ახლა ამ ფორმულებით მე უკვე ჩვეულებრივად ვმოქმედობ, dx და dy-ს ისე ვექცევი თითოქოს ისინი ნამდვილი სიდიდეები იყოს, და გარკვეულ პუნქტში უარვყოფ უარყოფას, ე. ი. ვაწარმოებ დიფერენციალური ფორმულის ინტეგრაციას, dx-ისა და dy -ის ადგილზე ვსვამ ნამდვილ სიდიდეებს x-სა და y-ს და, ამრიგად, კვლავ იმ ადგილს კი არ ვტკეპნი, რომელზეც ადრე ვიყავი, არამედ მით მე ამოცანა გადავწყვიტე, რომელზეც ჩვეულებრივი ელემენტარული გეომეტრია და ალგებრა ამაოდ მოიტეხავდა კბილს.

II განყოფილებისათვის

II თავისთვის

მ ო ნ ო ბ ა—სადაც იგი წარმოების მთავარი ფორმაა, შრომას მონურ საქმიანობად აქცევს, ე. ი. თავისუფალი ადამიანის ღირსების დამამცირებელ საქმიანობად. ამით დახშულია გამოსავალი გზა წარმოების ამგვარი* წესიდან, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, განვითარებული წარმოებისათვის მონობა ზღუდეს წარმოადგენს და მისი თავიდან მოშორება გარდუვალ აუცილებლობად იქცევა. მონობაზე დამყარებული ყოველი წარმოება და მასზე დაფუძნებული ყოველგვარი საზოგადოება იღუპება ამ წინააღმდეგობისაგან. მისი გადაწყვეტა უმეტეს შემთხვევებში ხდება დაღუპვის გზაზე დამდგარი საზოგადოების ძალდატანებითი დამონებით მეორე უფრო ძლიერი საზოგადოების მიერ (საბერძნეთი დაიპყრო მაკედონიამ, ხოლო შემდეგ რომმა). სანამ თვით ეს უკანასკნელნი დამყარებული არიან მონობაზე, მხოლოდ ცენტრის გადაადგილება ხდება, და მთელი პროცესი მეორდება უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე დასასრულს (რომი) არ მოხდება დაპყრობა ისეთი ხალხის მიერ, რომელიც წარმოების სხვა ახალ ფორმას შემოიღებს მონობის ნაცვლად. ან მონობა ისპობა ძალდატანებით თუ ნებაყოფლობით და მაშინ წ ა რ მ ო ე ბ ი ს უ წ ი ნ დ ე ლ ი წ ე ს ი ღ ი უ პ ე ბ ა; დიდი კულტურის ადგილს იკავებს სკვატერების პარცელარული მეურნეობა, როგორც ამერიკაში. ამრიგად, მონობამ დაღუპა აგრეთვე საბერძნეთიც, და ჯერ კიდევ არისტოტელემ თქვა, რომ მონებთან ურთიერთობა მორალურად ხრწნის მოქალაქეებს, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მონები მოქალაქეებისათვის შრომას შეუძლებლად ხდიან. (სულ სხვა საქმეა შინამონობა—როგორც, მაგალითად, აღმოსავლეთში; აქ იგი პირდაპირ კი არ შეადგენს წარმოების საფუძველს, არამედ არაპირდაპირ, როგორც ოჯახის შემადგენელი ნაწილი, და იგი შეუმჩნევლად ოჯახში გადადის (ჰარამხანის მონაქალნი)).

III თავისთვის

გაკიცხვის ღირს დიურინგიანულ ისტორიაში ბატონობს ძალმომრეობა. ნამდვილად კი, წინსვლითს ისტორიულ მოძრაობაში ბატონობენ მატერიალური მონაპოვარნი, რომლებიც ინახება.

III თავისთვის

ხოლო რას უპირავს, რა ინახავს ძალმომრეობას, არმიას? ფუ-ლი. მაშასადამე, აღმოჩნდება, რომ ისიც წარმოებაზეა დამოკიდებული. შდრ. ათენის ფლოტი და 380—340 წწ. პოლიტიკა. ძალმომრეობა მოკავშირეების მიმართ მარცხით დამთავრდა მატერიალური საშუალებების უკმარობის გამო ხანგრძლივი და ენერგიული ომის საწარმოებლად. ახალი დიდი ინდუსტრიის მიერ შექმნილმა ინგლისურმა სუბსიდიებმა დაამარცხეს ნაპოლეონი.

III თავისთვის

[პარტია და სამხედრო მომზადება]

როდესაც ვიხილავთ არსებობისათვის ბრძოლასა და დიურინგის დეკლამაციებს ბრძოლისა და იარაღის წინააღმდეგ, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ რევოლუციურმა პარტიამ აუცილებლად უნდა იცოდეს ბრძოლაც: პარტიას მოელის რევოლუციის მოხდენა, შესაძლოა, მეტნაკლებად ახლო მომავალში. მაგრამ უკვე არა ახლანდელი სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ,—რაც პოლიტიკურად ისეთივე უგუნურება იქნებოდა, როგორც ბაბეფის ცდა დირექტორიიდან უშუალოდ კომუნიზმზე გადამხტარიყო, და კიდევ უფრო მეტი უგუნურებაც კი, რადგან დირექტორია მაინც ბურჟუაზიული და გლეხური მთავრობა იყო. მაგრამ შეიძლება პარტია იძულებული გახდეს ახლანდელი სახელმწიფოს მომდევნო ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიიღოს რევოლუციური ღონისძიებები თვით ბურჟუაზიის მიერ მოცემული კანონების დასაცავად. ამიტომ ის საყოველთაო სამხედრო ვალდებულება, რომელიც ამჟამად არსებობს, ყველას მიერ გამოყენებული უნდა იქნეს იმისათვის, რომ ბრძოლა ისწავლონ; განსაკუთრებით ეს ეხება იმ პირებს, რომელთაც მიღებული სამხედრო განათლება საშუალებას აძლევს წლის განმავლობაში მოხალისეთა სახით გაიარონ სამხედრო მომზადება იმისათვის, რომ ოფიცრობა მიიღონ.

IV თავისთვის

[«ძალმომრეობის» შესახებ]

აღიარებულია, რომ ძალმომრეობა რევოლუციურ როლსაც ასრულებს, და სახელდობრ ყველა გადამწყვეტ «კრიტიკულ» ეპოქაში,როგორც სოციალიტეტზე გადასვლის დროს, ამასთან მხოლოდ

როგორც იძულებითი თავდაცვა გარეშე რეაქციონური მტრებისაგან. მაგრამ მარქსის მიერ გადმოცემულ გადატრიალებას მე-16 საუკუნის ინგლისში თავისი რევოლუციური მხარეც ჰქონდა, იგი ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო ფეოდალური მიწათმფლობელობის ბურჟუაზიულ მიწათმფლობელობად გარდაქმნისათვის და ბურჟუაზიის განვითარებისათვის. 1789 წ. საფრანგეთის რევოლუციამაც აგრეთვე მნიშვნელოვნად გამოიყენა ძალმომრეობა, 4-მა აგვისტომ ნება დართო გლეხთა ძალდატანებით მოქმედებებს და მას ზედ დაერთო თავად-აზნაურებისა და ეკლესიების ქონების კონფისკაცია. გერმანელთა მხრივ ძალდატანებით დაპყრობას, ისეთ სახელმწიფოთა დაპყრობილ მიწებზე დასახლებას, რომლებშიც ბატონობდა სოფელი და არა ქალაქი (როგორც ძველ მსოფლიოში), თან სდევდა—და სწორედ ამ უკანასკნელის გამო—მონობის გარდაქმნა შედარებით ნაკლებად მძიმე ბატონყმობად და გლეხთა დამოკიდებულების სხვა ფორმებად (ძველ მსოფლიოში ლატიფუნდიებს თან სდევდა სახნავ-სათესი მიწების გარდაქმნა პირუტყვის საძოვრებად).

IV თავისთვის

[ძალდატანება, თემური საკუთრება, ეკონომიკა და პოლიტიკა]

როდესაც ინდოგერმანელები ევროპაში გადასახლდნენ, თავდაპირველი მოსახლეობა ძ ა ლ ი თ განდევნეს და მიწას თემური მფლობელობით ამუშავებდნენ. ამ უკანასკნელის არსებობა ჯერ კიდევ შეიძლება ისტორიულად დავამტკიცოთ კელტებში, გერმანელებსა და სლავებში, და სლავებშიც, გერმანელებსა და თვით კელტებშიც (rundale) ჯერ კიდევ არსებობს იგი გლეხთა თვით პირდაპირი (რუსეთი) ან არაპირდაპირი (ირლანდია) დამოკიდებულების სახით. ძალმომრეობა შეწყდა, როგორც კი ლაპლანდიელები და ბასკები განდევნეს. თემის შიგნით ბატონობდა თანასწორობა ანდა წარმოიშობოდა ნებაყოფილობით აღიარებული პრივილეგიები. იქ, სადაც თემური საკუთრებიდან წარმოიშვა ცალკეული გლეხების მიწის კერძო საკუთრება, ეს გაყოფა თემის წევრთა შორის მე-16 საუკუნემდე ხდებოდა სრულიად ძალდაუტანებლივ; უმრავლეს შემთხვევებში იგი დიდი თანმიმდევრობით ხდებოდა, და თემური მფლობელობის ნაშთები ფრიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ძალმომრეობაზე ლაპარაკიც არ იყო, მას იყენებდნენ მხოლოდ ამ ნაშთების წინააღმდეგ (ინგლისი მე-18 და მე-19 ს., გერმანია უმთავრესად მე19 ს.). ირლანდია განსაკუთრებულ შემთხვევას წარ-

მოადგენს. ეს თემური საკუთრება მშვიდობიანად განაგრძობდა არსებობას ინდოეთსა და რუსეთში მეტად სხვადასხვა ძალმომრეობით დაპყრობათა და დესპოტიების დროს და მათს საფუძველს წარმოადგენდა. რუსეთი წარმოადგენს იმის დამტკიცებას, თუ როგორ განსაზღვრავენ წარმოებითი ურთიერთობანი ძალმომრეობის პოლიტიკურ ურთიერთობებს. მე-17 საუკუნის დამლევამდე რუსი გლეხი არ განიცდიდა ძლიერ ჩაგვრას, სარგებლობდა გადასვლ-გადმოსვლის თავისუფლებით, თითქმის არ იყო დამოკიდებული. პირველმა რომანოვმა გლეხი მიწას მიაჯაჭვა. პეტრეს დროიდან დაიწყო რუსეთის საგარეო ვაჭრობა და რუსეთს მხოლოდ სამიწათმოქმედო პროდუქტების გაზიდვა შეეძლო. ამან გამოიწვია გლეხთა ჩაგვრა და ეს ჩაგვრა იზრდებოდა გაზიდვის ზრდის პროპორციულად, რის გულისთვისაც იგი ხდებოდა, ვიდრე ეკატერინემ ეს ჩაგვრა არ სრულჰყო და კანონმდებლობა არ დაამთავრა. მაგრამ ეს კანონმდებლობა ნებას აძლევდა მემამულეებს სულ უფრო და უფრო მეტად ეყვლიფათ გლეხები, ისე რომ ჩაგვრა სულ უფრო ძლიერდებოდა.

IV თავისთვის

თუ ძალმომრეობა სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობათა მიზეზია, მაშინ რაღაა ძალმომრეობის მიზეზი? სხვისი შრომის პროდუქტებისა და სხვისი სამუშაო ძალის მითვისება. ძალმომრეობას შეეძლო შეეცვალნა პროდუქტების მოხმარება, მაგრამ მას არ შეეძლო შეეცვალნა თვით წარმოების წესი, მას არ შეეძლო საბატონო ბეგარის გარდაქმნა დაქირავებულ შრომად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობდა საამისოდ აუცილებელი პირობები და როდესაც ბატონყმური შრომის ფორმა წარმოების ბორკილად იყო ქცეული.

IV თავისთვის

აქამდე ძალმომრეობა — ამიერიდან სოციალიტეტი. წმინდა ღვთისნიერი კეთილი სურვილი, «სამართლიანობის» მოთხოვნა. მაგრამ თ. მორმა ეს მოთხოვნა ჯერ კიდევ 350 წლის წინ წამოაყენა და დღემდე ჯერ მაინც არ განხორციელებულა. რატომ უნდა განხორციელდეს იგი ახლა? დიურინგს პასუხი არ მოეპოვება. ნამდვილად კი მსხვილი მრეწველობა აყენებს ამ მოთხოვნას არა როგორც სამართლიანობის მოთხოვნას, არამედ როგორც აუცილებლობას, წარმოებით განპირობებულს; ეს კი ძირფესვიანად ცვლის ყველაფერს.

III განყოფილებისათვის

I თავისთვის

ფ ურ ი ე (Nouveau Monde Industriel et Sociétaire)[1]. უ თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ელემენტი: «რადგან ადამიანი ინსტინქტით თანასწორობის მტერია», გვ. 59.

«ეს არის არამზადობის მექანიზმი, რომელსაც ცივილიზაციას უწოდებენ», გვ. 81.

«საჭიროა თავიდან ავიცილოთ ის გარემოება, რომ ისინი (ქალები) აღარ ასრულებდნენ, როგორც ჩვენშია მიღებული, უმადურ ფუნქციებს, მოსამსახურის როლს, რომელსაც ფილოსოფია მიუთითებს მათ, როდესაც ამტკიცებს, თითქოს ქალი მხოლოდ იმისთვის გაჩენილა, რომ ქოთნები რეცხოს და ძველი შარვლები აჯღანოს», გვ. 141.

«ღმერთმა მანუფაქტურულ შრომას არგუნა მიმზიდველობის ერთგვარი წილი, რაც მხოლოდ დროის იმ მ ე ო თ ხ ე დ ს შეესაბამება, რომელიც საზოგადოებრივ ადამიანს შეუძლია უძღვნას შრომას». დანარჩენი დრო კი ამიტომ უნდა მიეძღვნას მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას, სამზარეულოს, ინდუსტრიულ არმიებს, გვ. 152.

«სათუთი მორალი, კეთილი და წმინდა მეგობარი ვაჭრობისა», გვ. 161, მორალის კრიტიკა, გვ. 162 და შემ.

თანამედროვე საზოგადოებაში, «ცივილიზებულ მექანიზმში» ბატონობს «ორპირობა მოქმედებებში, წინააღმდეგობა ინდივიდუალურ ინტერესსა და კოლექტიურ ინტერესს შორის»; ესაა «ინდივიდთა საყოველთაო ბრძოლა მასების წინააღმდეგ. და ჩვენი პოლიტიკური მეცნიერებანი კიდევ ბედავენ მოქმედებათა ერთიანობაზე ილაპარაკონ»!, გვ. 172.

«თანამედროვე მკვლევარებმა ყველგან მარცხი განიცადეს ბუნების შესწავლაში, რადგან მათ არ იცოდნენ გამონაკლისთა და გადასვლათა თეორია, ნ ა რ ე ვ თ ა თეორია». («ნარევთა» მაგალითები: კომში, ნექტარინი, გველთევზა, ღამურა და ა. შ.), გვ. 191.

---

[1] «ახალი სამრეწველო და საზოგადოებრივი ქვეყანა». ამ ნაწყვეტში მოყვანილი და ბრჭყალებში მოთავსებული ფრაზები და სიტყვები წარმოადგენს ენგელსის მიერ მოყვანილ ციტატებს ფურიეს თხზულებიდან ორიგინალის ენაზე. ბრჭყალები რედაქციამ გაუკეთა. რ ე დ.

«ანტი-დიურინგის» მოსამზადებელ სამუშაოთა ხელნაწერის მეორე ნაწილი წარმოადგენს ამონაწერს დიურინგის «ნაციონალური და სოციალური ეკონომიის კურსიდან», პარალელურად მისდევს ენგელსის კრიტიკული შენიშვნები.— შემდეგში მოყვანილია ენგელსის ის შენიშვნები, რომლებიც ავსებენ იმ დებულებათა გაგებას, რომლებიც «ანტი-დიურინგშია» განვითარებული. ამონაწერები დიურინგის თხზულებიდან აქ მოყვანილია შეკვეცილი სახით; ისინი დაბეჭდილია პეტიტით და კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული.

[დიურინგის იმ მტკიცების გამო, რომ «ნებელობითი მოქმედებანი, რომელთა წყალობითაც იქმნება ადამიანთა გაერთიანებანი, თავის თავად ბუნების კანონებს ემორჩილებიან», ენგელსი შენიშნავს:]

ამრიგად, ისტორიულ განვითარებაზე სიტყვაც არაა თქმული. მხოლოდ ბუნების მარადიული კანონი. ყველაფერი დაყვანილია ფსიქოლოგიაზე და ესეც, სამწუხაროდ, ბევრად უფრო «ჩამორჩენილი» აღმოჩნდება, ვიდრე პოლიტიკა.

[დიურინგის მსჯელობებთან დაკავშირებით მონობის, დაქირავებული შრომის და ძალადატანებითი საკუთრების, როგორც იმ «ურთიერთობათა სოციალურ-ეკონომიური ფორმების» შესახებ, «რომელთაც წმინდა-პოლიტიკური ბუნება გააჩნიათ», ენგელსი შემდეგ შენიშვნებს წერს:]

მუდამ იგივე რწმენა, რომ პოლიტიკურ ეკონომიაში ძალა აქვს მხოლოდ ბუნების მარადიულ კანონებს, და რომ ყოველგვარი ცვლილება და დამახინჯება მხოლოდ უვარგისი პოლიტიკით არის გამოწვეულია.

ამრიგად, ძალმომრეობის მთელ თეორიაში სწორი აღმოჩნდება მხოლოდ ის, რომ აქამდე ყველა საზოგადოებრივ ფორმას თავის შესანახად და შესანარჩუნებლად ძალმომრეობა სჭირდებოდა და ნაწილობრივ კიდეც ძალმომრეობის შემწეობით იქნა დამყარებული. ამ ძალმომრეობას, მისი ორგანიზებული ფორმით, სახელმწიფო ეწოდება. მაშასადამე, აქ ის ტრივიალური აზრი არის გამოთქმული, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანებმა თავი დააღწიეს ყველაზე ველურ მდგომარეობებს, ყველგან არსებობდა სახელმწიფოები, ეს კი მთელმა ქვეყნიერებამ დიურინგამდეც იცოდა.— მაგრამ სწორედ სახელმწიფო და ძალმომრეობა ყველა დღემდე არსებული საზოგადოებრივი ფორმისათვის საერთო რამ იყო, და როცა მე, მაგალითად, აღმოსავლურ დესპოტიებს, ანტიკურ რესპუბლიკებს, მაკედონურ მონარქიებს, რომის იმპერიას, შუა საუკუნეთა ფეოდალიზმს იმით ვხსნი, რომ ყველა ისინი ძალმომრეობაზე იყვნენ დაფუძნებულნი, ამით მე ჯერ კიდევ არაფერს ვხსნი. მაშასადამე, სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ფორმები ახსნილ უნდა იქნენ არა ძალმომრეობით, რო-

მელიც ყოველთვის ერთი და იგივეა, არამედ იმით, თუ რაზე იყენებენ ძალმომრეობას, იმით, თუ რა არის ძარცვა-გლეჯისა და ტაციობის ობიექტი,—ახსნილ უნდა იქნენ ყოველი ეპოქის პროდუქტებით და მწარმოებლური ძალებით და თვითონ მათგან გამომდინარე მათი განაწილებით. და აი მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ აღმოსავლური დესპოტიზმი დამყარებული იყო თემურ მიწათმფლობელობაზე, ანტიკური რესპუბლიკები—ქალაქებზე, რომლებიც მიწათმოქმედებას მისდევდნენ, რომის იმპერია — ლატიფუნდიებზე, ფეოდალიზმი—სოფლის ბატონობაზე ქალაქის მიმართ, რომელსაც თავისი მატერიალური საფუძვლები გააჩნდა, და ა. შ.

[ენგელსს მოჰყავს დიურინგის შემდეგი სიტყვები:

«მეურნეობის ბუნებრივი კანონები მთელი თავისი სიმკაცრით მხოლოდ იმით გამოვლინდება, რომ ჩვენ აზრობრივად მოვაცილებთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებების მოქმედებებს, სახელდობრ, იძულებით დაქირავებულ შრომასთან დაკავშირებულ ძალდატანებითი საკუთრების მოქმედებებს, იმით, რომ ჩვენ მოვერიდებით უკანასკნელი განვიხილოთ როგორც ადამიანის უცვლელი ბუნების აუცილებელი შედეგები»...

დიურინგის ამ მსჯელობასთან დაკავშირებით ენგელსი შემდეგს შენიშნავს:]

«ამრიგად, გამოდის, თითქოს მეურნეობის ბუნებრივი კანონების აღმოჩენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გ ა ნ ვ ე ყ უ ნ ებ ი თ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ დ ღ ე მ დ ე ა რ ს ებ უ ლ მ ე ურ ნ ე ო ბ ა ს; დღემდე ისინი არასოდეს დაუმახინჯებელი სახით არ გამოვლენილან!— ადამიანის უ ც ვ ლ ე ლ ი ბუნება — მაიმუნიდან გოეთემდე!

დიურინგს სურს ამ «ძალმომრეობის» თეორიით ახსნას, თუ როგორ ხდება, რომ ყველგან და უხსოვარ დროიდან უმრავლესობა შედგებოდა იმათგან, ვინც ძალმომრეობას განიცდიდა, ხოლო უმცირესობა იმათგან, ვინც ძალმომრეობას იყენებდა. ეს უკვე იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ძალმომრეობით ურთიერთობას თავის საფუძვლად უდევს ეკონომიური პირობები, რომელთაც ეგრე იოლად ვერ მოსპობ პოლიტიკური ღონისძიებებით.

დიურინგი არ ხსნის რენტას, მოგებას, პროცენტს, ხელფასს, არამედ მხოლოდ ამბობს, რომ ისინი ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ა მ დაა-წესაო. მაგრამ საიდან გაჩნდა თვითონ ძალმომრეობა? Non est [1].

ძალმომრეობა წარმოშობს მფლობელობას, ხოლო მფლობელობა =ეკონომიურ ძლიერებას. მაშასადამე, ძალმომრეობა=ძლიერებას.

მარქსმა «კაპიტალში» (დაგროვება) დაამტკიცა, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე სასაქონლო წარმოების კანონები

[1] არაფერს ამბობს. რ ე დ.

აუცილებლად იწვევენ კაპიტალისტური წარმოების წარმოშობას მთელი მისი ფანდებით, და რომ ამისთვის არავითარი ძალმომრეობა არაა საჭირო.

როდესაც დიურინგი პოლიტიკურ მოქმედებას განიხილავს როგორც ისტორიის უკანასკნელ გადამწყვეტ ძალას და ჰგონია, თითქოს ეს ახალი რამ იყოს, ამით ის მხოლოდ იმეორებს იმას, რასაც აქამდე ყველა ისტორიკოსი ამბობდა, რომელთა თვალსაზრისითაც სოციალური ფორმებიც აგრეთვე მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ფორმებით აიხსნება და არა წარმოებით.

C'est trop bon![1] თავისუფალი ვაჭრობის მთელი სკოლა, დაწყებული სმიტიდან, ყველა ეკონომიური მოძღვრება მარქსამდე ეკონომიურ კანონებში, რამდენადაც ისინი მათ ესმით, ხედავს «ბუნებრივ კანონებს» და ამტკიცებს, რომ მათ მოქმედებას ამახინჯებს სახელმწიფო, «სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებების მოქმედება»!

სხვამხრივ, მთელი ეს თეორია მხოლოდ იმის ცდაა, რომ სოციალიზმი კერის მოძღვრების საშუალებით დაასაბუთოს: ეკონომიკა თავისთავად ჰარმონიულია, სახელმწიფო აფუქებს ყველაფერს თავისი ჩარევით.

ძალმომრეობის დამატებას წარმოადგენს სამარადისო სამართლიანობა, იგი 282 გვერდზე გამოჩნდება.

[დიურინგის თვალსაზრისს, რომელსაც ის ანვითარებს სმიტის, რიკარდოს და კერის კრიტიკასთან დაკავშირებით, ენგელსი შემდეგნაირად ახასიათებს: «წარმოება მისი უაბსტრაქტესი ფორმით შეიძლება ძალიან კარგად შევისწავლოთ რობინზონის მაგალითით, განაწილება კი — ორი, კუნძულზე განმარტოებით მცხოვრები, ადამიანის მაგალითით, ამასთან შეიძლება წარმოვიდგინოთ ყველა შუალედი საფეხური, დაწყებული სრული თანასწორობითა და გათავებული ბატონისა და მონის სრული დაპირისპირებით». ენგელსს მოჰყავს დიურინგის ნაწარმოებიდან შემდეგი ფრაზა: «მხოლოდ სერიოზული სოციალური (!) განხილვის (!) გზით შეიძლება მივიდეთ იმ თვალსაზრისთან, რომელსაც, საბოლოო ანგარიშით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განაწილების თეორიისათვის». ამასთან დაკავშირებით ენგელსი შენიშნავს:]

ამრიგად, ჯერ განაყენებენ ნამდვილი ისტორიისაგან სხვადასხვა უფლებრივ ურთიერთობებს და მოსწყვეტენ მათ იმ ისტორიულ საფუძველს, რომელზეც ისინი წარმოშობილან და მარტოოდენ რომელზეც აქვთ მათ აზრი, და გადააქვთ ისინი ორ ინდივიდუუმზე: რობინზონსა და პარასკევაზე, სადაც ეს ურთიერთობანი,

[1] საუცხოვოა! დიდებულია! რ ე დ.

რასაკვირველია, სრულიად თვითნებური მოჩანს. ხოლო მას შემდეგ, რაც ისინი წმინდა ძალმომრეობაზე დაიყვანეს, კვლავ ნამდვილ ისტორიაში გადააქვთ და ამ გზით ამტკიცებენ, რომ აქაც აგრეთვე ყველაფერი შიშველ ძალმომრეობაზე არის დამყარებულიო. დიურინგი ყურადღებას არ აქცევს იმ გარემოებას, რომ ძალმომრეობა უნდა გამოყენებულ იქნეს მატერიალურ სუბსტრატზე, და რომ უნდა დამტკიცდეს, თუ როგორ წარმოიშვა ეს სუბსტრატი.

[ენგელსს დიურინგის «კურსიდან» მოჰყავს შემდეგი ადგილი: «თანახმად ტრადიციული შეხედულებისა, რომელსაც ყველა პოლიტიკურ-ეკონომიური სისტემა იზიარებს, განაწილება წარმოადგენს, ასე ვთქვათ, გარდამავალ პროცესს, რომელიც მიმართულია წარმოების მიერ შექმნილ პროდუქტთა მასაზე, ერთ მხამხარეულ ერთობლივ პროდუქტად წარმოდგენილ მასაზე... უ ფ რ ო ღ რ მ ა დასაბუთებამ, პირიქით, უნდა განიხილოს ის განაწილება, რომელიც ეხება ეკონომიკურ და ეკონომიკურად მოქმედ უ ფ ლ ე ბ ებ ს და არა მხოლოდ ამ უფლებათა მიმდინარე და დამგროვებელ შედეგებს». ამასთან დაკავშირებით ენგელსი შენიშნავს:]

ამრიგად, მიმდინარე წარმოების განაწილების გამოკვლევა საკმარისი არაა.

მიწის რენტა გულისხმობს მიწათმფლობელობას, მოგება—კაპიტალს, ხელფასს, საკუთრებასმოკლებულ მუშებს, რომელთაც მხოლოდ სამუშაო ძალა გააჩნიათ. მაშასადამე, უნდა გამოკვლეულ იქნეს, როგორ წარმოიშვა იგი. მარქსმა, რამდენადაც ეს მის ამოცანას შეადგენდა, ეს გააკეთა პირველ ტომში კაპიტალისა და საკუთრებასმოკლებული სამუშაო ძალის მიმართ; თანამედროვე მიწათმფლობელობის წარმოშობის გამოკვლევა მიწის რენტის გამოკვლევას ეკუთვნის, მაშასადამე, მის მეორე ტომს. დიურინგთან კი გამოკვლევა და ისტორიული დასაბუთება განისაზღვრება ერთი სიტყვით: ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ა! აქ უკვე არის პირდაპირი mala fides[1]. — როგორ ხსნის დ.[2] მსხვილ მიწის საკუთრებას — იხ. ს ი მ დ ი დ რ ე და ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა; ეს უკეთესია აქ გადმოვიტანოთ.

ამრიგად, ძალმომრეობა ქმნის ეპოქის, ხალხის და სხ. ეკონომიურ, პოლიტიკურ და ა. შ. ცხოვრების პირობებს. მაგრამ ვინ ატარებს ძალმომრეობას? ორგანიზებული ძალა უპირველეს ყოვლისა ა რ მ ი ა ა. და არაფერი არაა ეკონომიურ პირობებზე იმზომ დამოკიდებული, როგორც სწორედ არმიის შემადგენლობა, ორგანიზაცია, შეიარაღება, სტრატეგია და ტაქტიკა. საფუძველი შეიარაღებაა, ხოლო ეს უკანასკნელი კვლავ უშუალოდ დამოკი-

[1]—არაკეთილსინდისიერება. რ ე დ.

[2]—დიურინგი. რ ე დ.

დებულია წარმოების მიღწეული საფეხურისაგან. ქვის, ბრინჯაოს, რკინის იარაღები, ჯავშანი, ცხენოსანი ჯარი, დენთი და, ბოლოს, უდიდესი გადატრიალება, რომელიც სამხედრო საქმეში მსხვილმა მრეწველობამ მოახდინა ხრახნილიანი თოფით, რომელიც საფალიედან იტენება, და არტილერიით—ისეთი პროდუქტებით, რომელთა დამზადება შეეძლო მხოლოდ მსხვილ მრეწველობას მისი თანაბრად მომუშავე და თითქმის აბსოლუტურად იდენტური პროდუქტების მწარმოებელი მანქანებით. შეიარაღებისაგან თავის მხრივ დამოკიდებულია შემადგენლობა და ორგანიზაცია, სტრატეგია და ტაქტიკა. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია აგრეთვე გზებზე და მიმოსვლის საშუალებებზე,—ჯარების განლაგება და წარმატებანი, რომლებიც მიღწეული იქნა იენასთან ბრძოლის დროს, შეუძლებელია თანამედროვე გზატკეცილების პირობებში, — და, ბოლოს, რკინიგზები! მაშასადამე, სწორედ ძალმომრეობა ყველაზე მეტად არის დამოკიდებული წარმოების არსებულ პირობებზე, და ეს თვით კაპიტანმა იენსმაც კი გაიგო (K. Z.—მაკიაველი და ა. შ.)[1].

ამასთან განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ომის წარმოების თანამედროვე წესს, ხიშტიანი თოფიდან ისეთ თოფამდე, რომელიც იტენება საფალიედან, რის დროსაც საქმეს წყვეტს არა ადამიანი ხმლით, არამედ იარაღი,—ხაზი, კოლონა უხეირო ჯარებში, მაგრამ რომელიც დაფარულია მსროლელებით (Jena contra Wellington)[2] და, ბოლოს, საყოველთაო დაყოფა მსროლელთა ჯაჭვებად და ნელი ნაბიჯის შეცვლა გადარბენით.

[დიურინგის მიხედვით, «გაწაფული მარჯვე ხელი ან თავი განხილული უნდა იქნეს როგორც წარმოების საშუალება, რომელიც საზოგადოებას ეკუთვნის, როგორც მ ა ნ ქ ა ნ ა, რომლის პროდუქცია ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს ეკუთვნის. მაგრამ მანქანა მაინც ა რ ა დ ი დ ე ბ ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, მ ა რ ჯ ვ ე გ ა წ ა ფ უ ლ ი ხ ე ლ ი კ ი მ ა ს ა დ ი დ ებ ს!». ენგელსი ამასთან დაკავშირებით ამბობს:]

მაშასადამე, ღირებულების კანონი, quant à cela[3], იკრძალება, თუმცაღა მაინც უნდა დარჩეს ძალაში.

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს «Kölnische Zeitung»-ში («კელნის გაზეთში») 1876 წ. 20 აპრილს დაბეჭდილი ცნობა მოხსენების შესახებ: «მაკიაველი და საყოველთაო სამხედრო ვალდებულების იდეა», რომელიც იენსმა წაიკითხა ბერლინის «სამეცნიერო საზოგადოებაში». ამ მოხსენებაზე ენგელსი წერს «ანტი-დიურინგის» მეორე განყოფილებაში, თავი III (იხ. ამ გამოცემის 203 გვერდი). რ ე დ.

[2]—იენა ველინგტონის წინააღმდეგ. რ ე დ.

[3]—რაც შეეხება ამას. რ ე დ.

[დიურინგის «მთელი სოციალიტეტის პოლიტიკურ-იურიდიული საფუძვლის» კონცეფციის გამო ენგელსი შენიშნავს:]

ამით მაშინვე გამოყენებულია იდეალისტური მასშტაბი. არა თვითონ წარმოება, არამედ უფლება.

[დიურინგის «სამეურნეო კომუნისა» და მასში გაბატონებული შრომის დანაწილების სისტემის, განაწილების, გაცვლისა და ფულის სისტემის შესახებ ენგელსი შემდეგს შენიშნავს:]

მაშასადამე, აგრეთვე ცალკეული მუშის გასამრჯელოს ანაზღაურება საზოგადოების მიერ.

მაშასადამე, აგრეთვე განძეულთა დაგროვება, მევახშეობა, კრედიტი და ყველა შედეგი, გათავებული ფულის კრიზისებითა და ფულის ნაკლებობით. ფული სამეურნეო კომუნას ისევე აუცილებლად აფეთქებს, როგორც მან ამჟამად მოამზადა რუსული თემის აფეთქება და აფეთქებს ოჯახურ კომუნას, რაკიღა ფულის საშუალებით ხდება გაცვლა-გამოცვლა ცალკეულ წევრთა შორის.

[ენგელსს მოჰყავს შემდეგი ფრაზა დიურინგიდან და ფრჩხილებში ათავსებს თავის შენიშვნებს: «ნამდვილი შრომა, ამრიგად, წარმოადგენს ბუნების სოციალურ კანონს, რომელსაც ემორჩილება ჯანსაღი ორგანიზაციები (საიდან გამომდინარეობს, რომ ყველა წინამორბედი ორგანიზაცია ჯანსაღი არაა)». ამის გამო ენგელსი შემდეგს შენიშნავს:]

ან შრომა აქ გაგებულია როგორც ეკონომიური, მატერიალურად მწარმოებელი შრომა, და ამ შემთხვევაში ეს ფრაზა უაზროა და მთელ წარსულ ისტორიას არ მიუდგება. ანდა შრომა გაგებულია უფრო ზოგადი ფორმით, რომელშიც იგულისხმება ყოველგვარი ამა თუ იმ პერიოდში საჭირო ან გამოსადეგი საქმიანობა, მმართველობა, სამართლის წარმოება, სამხედრო ვარჯიშობანი, ამ შემთხვევაშიც ეს ფრაზა მაინც აღმოჩნდება უაღრესად მაღალფარდოვანი გაცვეთილ-გახუნებული ზოგადი ადგილი და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პოლიტიკურ ეკონომიასთან. მაგრამ ამ ძველი ხარახურით სოციალისტებზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი და თანაც მისი «ბუნებრივი კანონის» სახელით მონათვლა, a trifle impudent.[1]

[დიურინგის იმ მსჯელობათა გამო, რომ სიმდიდრესა და ძარცვას შორის კავშირია, ენგელსი შენიშნავს:]

აქ ჩვენს წინაშეა მთელი მეთოდი. ყოველგვარი ეკონომიური ურთიერთობა ჯერ განიხილება წარმოების თვალსაზრისით,

[1] უსირცხვილო რამ არის. რედ.

ამასთან სრულიად მხედველობაში არ მიიღება არავითარი ისტორიული განსაზღვრა. ამიტომ არაფრის თქმა არ შეიძლება, გარდა ყოვლად ზოგადი ფრაზებისა, ხოლო თუ დიურინგს სურს ამაზე კიდევ უფრო შორს წასვლა, მაშინ მან უნდა აიღოს ამა თუ იმ ეპოქის გარკვეული ისტორიული ურთიერთობანი, ე. ი. აბსტრაქტული წარმოების სფეროდან გამოვიდეს და აღრევა შექმნას. შემდეგ იგივე ეკონომიური ურთიერთობა განხილულია გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს თვალსაზრისით, ე. ი. აქამდე მომხდარი ისტორიული პროცესი დაყვანილია ფრაზაზე: ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ა, და შემდეგ გამოთქმულია აღშფოთება ძალმომრეობის ბოროტი შედეგების გამო; ბუნებრივი კანონების განხილვის დროს დავინახავთ, თუ სადამდე მივყავართ მას.

[დიურინგის იმ მტკიცების გამო, რომ მეურნეობის დიდი მასშტაბით საწარმოებლად თითქოს აუცილებელი იყოს მონობა და ბატონყმური დამოკიდებულება, ენგელსი შენიშნავს:]

ამრიგად, 1) მსოფლიო ისტორია იწყება მსხვილი მიწათსაკუთრებით! ერცელ ფართობებზე მიწის დამუშავება იგივეა, რაც მიწის დამუშავება მსხვილი მიწათმფლობელების მიერ! იტალიის ნიადაგი, რომელიც ლატიფუნდიების გამო გადაქცეული იყო პირუტყვის საძოვრებად, უწინ დაუმუშავებელი ეგდო! ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები ასე უზომოდ გაიზარდა არა თავისუფალი გლეხების წყალობით, არამედ მონების, დამორჩილებულთა და სხ. წყალობით!

კვლავ mauvais calembour[1]: «მეურნეობის წარმოება მიწის დიდ სივრცეებზე» უნდა ნიშნავდეს ამ სივრცეთა დამუშავებას, მაგრამ მაშინვე იგი განმარტებულია როგორც მეურნეობის დიდი მასშტაბით წარმოება=მსხვილი მიწათსაკუთრება! და ამ აზრით რა გასაოცარი ახალი აღმოჩენაა: თუ ვინმეს იმაზე მეტი მიწის ნაკვეთი აქვს, ვიდრე მას და მის ოჯახს მისი დამუშავება შეუძლია, მაშინ მას არ შეუძლია მთელი თავისი მიწა სხვისი შრომის გამოუყენებლად დაამუშაოს! მაგრამ მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა უ მ ა გ ლ ე ხ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ხომ ნიშნავს სრულიადაც არა მეტნაკლებად დიდი მიწის ფართობების დამუშავებას, არამედ მიწის წ ვ რ ი ლ ი ნ ა კ ვ ე თ ე ბ ი ს დამუშავებას და ასეთი დამუშავება ყველგან წინ უსწრებდა და უფრო ძველია, ვიდრე ბატონყმური დამოკიდებულება (რუსეთი, ფლამანდიის, ჰოლანდიის და.

[1] უხეირო კალამბური. რ ე დ.

ფრიზთა კოლონიები, სლავურ მარკაში, იხ. Langethal[1]; თავდაპირველად თავისუფალ გლეხებს დამოკიდებულ გლეხებად აქცევენ, ადგილ-ადგილ კი ფორმალურად ნებაყოფლობით ყმა გლეხებად.

[დიურინგის იმ მტკიცების გამო, რომ ღირებულების სიდიდე განისაზღვრება იმ ბუნებრივი წინააღმდეგობის სიდიდით, რომელსაც ეჯახება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესი და რომელიც «აიძულებს სამეურნეო ძალის მეტ ან ნაკლებ დახარჯვას (!)», ენგელსი შემდეგს შენიშნავს:]

წინააღმდეგობის გადალახვა—ეს, მათემატიკური მექანიკიდან გადმოღებული კატეგორია პოლიტიკურ ეკონომიაში უაზრობად იქცევა. ამ შემთხვევაში გამოთქმები: მე ვართავ, ვქსოვ, ვათეთრებ, ვჩითავ ბამბის ქსოვილს—ნიშნავს: მე გადავლახავ რთვის პროცესისადმი ბამბის წინააღდეგობას, ქსოვის პროცესისადმი ნართის წინააღმდეგობას, ქსოვილის წინააღმდეგობას გათეთრებისა და ჩითვის პროცესისადმი. მე ვამზადებ ორთქლის მანქანას, ეს ნიშნავს: მე გადავლახავ რკინის წინააღმდეგობას მისი ოთქლის მანქანად გარდაქმნისადმი. მე საქმის არსს გამოვხატავ მაღალფარდოვანი ფრაზებით; მიხვეულ-მოხვეული, შემოვლილი გზით მივდივარ და მხოლოდ აზრის დამახინჯებას ვიღებთ. მაგრამ ამის წყალობით მე შემიძლია შემოვიტანო განაწილებითი ღირებულება, რის დროსაც თითქოს საჭირო იყოს წინააღმდეგობის გადალახვა. ამაშია სწორედ საქმე!

[დიურინგის იმ სიტყვების გამო, რომ «განაწილებითი ღირებულება არსებობს წმინდა სახით და მხოლოდ იქ, სადაც არანაწარმოები ნივთიერების მიმართ განკარგულების უფლება ან (!), თუ უფრო ჩვეულებრივი ენით ვიტყვით, ეს (არანაწარმოები!) ნივთები იცვლება სამსახურის გაწევაზე ან საგნებზე, რომელთაც აქვთ ნამდვილი წარმოებითი ღირებულება», ენგელსი შენიშნავს:]

რას ნიშნავს არანაწარმოები ნივთი? მიწას, რომელიც თანამედროვე წესების გამოყენებით მუშავდება? ან იქნებ იგი უნდა ნიშნავდეს ისეთ საგნებს, რომელიც თვით მესაკუთრის მიერ არაა ნაწარმოები? მაგრამ არანაწარმოებ საგანს უპირისპირდება «ნამდვილი წარმოებითი ღირებულება». შემდეგი ფრაზა გვიჩვენებს, რომ ჩვენ კვლავ საქმე გვაქვს mauvais calembour-თან. ბუნების საგნები, რომლებიც შრომის მიერ არაა ნაწარმოები, არეულია «ღირებულების შემადგენელ ნაწილებთან, რომლებსაც ითვისებენ აუნაზღაურებლად».

[1] Chr. Eb. Langethal. Geschichte der deutschen Landwirtschaft. Jena, 1847—1856 (ლანგეტალი. გერმანიის სოფლის მეურნეობის ისტორია. იენა, 1847—1856.) რედ.

[დიურინგის იმ მტკიცების გამო, რომ ადამიანთა ყველა დაწესებულება მკაცრად დეტერმინირებულია, მაგრამ ისინი «ბუნების გარეგან ძალთა თამაშისგან განსხვავებით», სრულიადაც არ წარმოადგენენ პრაქტიკულად უცვლელს თავიანთ ძირითად ხაზებში»,—ენგელსი შენიშნავს:]

ამრიგად, ეს ბუნებრივი კანონია და ბუნებრივ კანონადვე რჩება.

სიტყვაც არ არის თქმული იმის შესახებ, რომ მთელ უგეგმო და ქაოსურ წარმოებაში ეკონომიის კანონები აქამდე ადამიანებს უპირისპირდებიან როგორც ობიექტური კანონები, რომელთა მიმართ ადამიანები უძლურნი არიან, მაშასადამე, უპირისპირდებიან ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს ფ ო რ მ ი თ.

[«მთელი პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი კანონის» გამო, რომელსაც დიურინგი შემდეგნაირად აყალიბებს: «სამეურნეო საშუალებათა მწარმოებლურობა,—ბუნების რ ე ს ურ ს ე ბ ი ს ა და ა დ ა მ ი ა ნ ი ს ძ ა ლ ი ს ა,—ი ხ რ დ ე ბ ა გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა თ ა და ა ღ მ ო ჩ ე ნ ა თ ა წ ყ ა ლ ო ბ ი თ, ამასთან ეს ხდება დამოუკიდებლად განაწილებისა, რომელმაც როგორც ასეთმა მაინც შეიძლება განიცადოს ან გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებანი, მაგრამ რომელიც მთავარი შედეგის ხ ა ს ი ა თ ს (!) არ განსაზღვრავს,—ენგელსი ამბობს:]

ეს დასკვნითი ფრაზა: «ამასთან» და ა. შ. არაფერს ახალს არ მატებს კანონს, იმიტომ რომ თუ კანონი სწორია, მაშინ განაწილებას არ შეუძლია მასში რამე შეცვალოს, და, ამრიგად, ზედმეტია იმის თქმა, რომ ეს კანონი სწორია განაწილების ყოველი ფორმისათვის: თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხომ ბუნებრივი კანონი არც იქნებოდა. მაგრამ ეს ფრაზა მხოლოდ იმიტომ არის დამატებული, რომ დიურინგს მაინც შერცხვა, რომ სრულიად უშინაარსო და გაცვეთილი კანონი სრულიად გაშიშვლებულად წარმოედგინა. ამასთან ეს ფრაზა უაზროა:— თუკი განაწილებას მაინც შ ე უ ძ ლ ი ა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს, მაშინ შეუძლებელია მისი «სრულიად განზე დატოვება უყურადღებოდ». ამრიგად, ჩვენ ამ დასკვნითს ფრაზას ვშლით და მაშინ მივიღებთ კანონს pur და simple[1]—მ თ ე ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს ძ ი რ ი თ ა დ კ ა ნ ო ნ ს.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ მაინც საკმარისად ბანალური როდი გახლავთ.

[დიურინგი ამტკიცებს, რომ სამეურნეო პროგრესი დამოკიდებულია არა წარმოების საშუალებათა ჯამზე, «ა რ ა მ ე დ მ ხ ო ლ ო დ ც ო დ ნ ა ს ა და საკ-

[1] —ყოველგვარი შეხლუდვის გარეშე. რ ე დ.

მიანობის საერთო ტექნიკურ ხერხებზე», ეს კი, დიურინგის აზრით, «მაშინვე აშკარავდება, თუ კაპიტალს გავიგებთ ბუნებრივი აზრით, როგორც წარმოების ინსტრუმენტს». ენგელსი ამის გამო შენიშნავს:]

ნილოსში მდებარე ქედივეს ორთქლის გუთნები და რუს თავადთა და აზნაურთა ფარდულებში უსარგებლოდ მდგომი სალეწი მანქანები და სხვა მათი მსგავსი იარაღები ამას ამტკიცებენ. თვით ორთქლსაც და სხ. თავისი ისტორიული წინაპირობანი გააჩნია, რომელთა შექმნა, მართალია, შედარებით ადვილად შეიძლება, მაგრამ რომლებიც მაინც უნდა შეიქმნას. მაგრამ დიურინგი ძალიან ამაყობს, რომ მან ამრიგად იმდენად დაამახინჯა ზემოხსენებული დებულება, რომელსაც სულ სხვა აზრი აქვს, რომ ეს «იდეა ემთხვევა ჩვენს... პირველ რიგში დასმულ კანონს». ეკონომისტები კიდევ რაღაც რეალურ აზრს გულისხმობდნენ ამ კანონში. დიურინგმა კი იგი უკიდურეს ბანალობამდე მიიყვანა.

[«შრომის დანაწილების ბუნებრივი კანონის» დიურინგისეული ფორმულირება ამბობს: «სპეციალობათა გახლეჩვა და მოსაქმეობის დანაწილება შრომის მწარმოებლურობას ამაღლებს». ენგელსი ამაზე ნეგდეგს შენიშნავს:]

ეს ფორმულირება მცდარია, რადგან ის მხოლოდ ბურჟუაზიული წარმოებისათვის არის სწორი და სპეციალობათა დაყოფა უკვე იქვე აღმოჩნდება წარმოებისათვის ზღუდის დამდები ინდივიდთა დასახიჩრებისა და გაშეშების გამო, მაგრამ მომავალში იგი სრულიად გაქრება. ჩვენ აქ უკვე ვხედავთ, რომ სპეციალობათა ეს დაყოფა **დღევანდელ** ყაიდაზე დიურინგისთვის წარმოადგენს რაღაც მუდმივ უცვლელ რამეს, რასაც სოციალიტეტისათვისაც გააჩნია ძალა.

ქვეითი ჯარის ტაქტიკა და მისი მატერიალური საფუძვლები

1700—1870 წ.წ.

მე-14 საუკუნეში დასავლეთ და შუა ევროპაში ცნობილი გახდა დენთი (თოფის წამალი) და ცეცხლსასროლი იარაღი, და ახლა ყოველმა მოსწავლე ბალღმაც კი იცის, რომ ამ წმინდა ტექნიკურმა პროგრესმა რევოლუცია მოახდინა მთელ სამხედრო საქმეში. მაგრამ ეს რევოლუცია ძალიან ნელა ხდებოდა. პირველი ცეცხლსასროლი იარაღი ძალიან პრიმიტიული იყო, განსაკუთრებით კარაბინი. და თუმცა უკვე საკმაოდ ადრე იქნა გამოგონილი მრავალი ცალკეული გაუმჯობესებანი—ხრახნილიანი ლულა, თოფი, რომელიც საფალიედან იტენება, თვლიანი საკეტი და ა. შ.,—მაგრამ მაინც 300 წელზე მეტი გავიდა, ვიდრე შეიქმნებოდა მე-17 საუკუნის დამლევისათვის ისეთი თოფი, რომელიც მთელი ქვეითი ჯარის შესაიარაღებლად გამოდგებოდა.

მე-16 და მე-17 საუკუნეებში ქვეითი ჯარი შედგებოდა ნაწილობრივ შუბებით[1] შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცებისაგან, ნაწილობრივ კი მსროლელებისაგან. თავდაპირველად შუბოსნების დანიშნულება ის იყო, რომ ისინი ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში იერიშზე გადადიოდნენ ცივი იარაღით, ხოლო მათ დაცვას წარმოადგენდა მსროლელთა ცეცხლი. ამიტომაც შუბოსნები იბრძოდნენ მიჯრილი მასებით, ძველი ბერძნული ფალანგის მსგავსად; მსროლელები კი ეწყობოდნენ სიღრმეში 8—10 კაცი, იმიტომ რომ სწორედ ასეთი რაოდენობისას, ვიდრე ერთი თოფის გატენას მოასწრებდა, სხვები ერთიმეორის მიყოლებით აწარმოებდნენ გასროლას. ვინც მზად იყო სასროლად, წინ გამოხტებოდა, ისროდა და შემდეგ

[1] შუბებით შეიარაღებულ ქვეითი ჯარისკაცებს უცხოეთის არმიებში ეწოდებოდათ პიკენერები [შუბოსნები]. ძველ რუსულ არმიაში მათ ეწოდებოდათ კოპეიშჩიკი ანუ კოპიენოსცი [შუბოსნები], მაგრამ შემდეგში რუსულ არმიაშიც მათ უწოდეს პიკენერები. რ ე დ.

მწკრივში უკანასკნელ ადგილს იპერდა, რათა კვლავ გაეტენა თავისი თოფი.

ცეცხლსასროლი იარაღის თანდათანობითმა გაუმჯობესებამ ეს თანაფარდობა შეცვალა. პატრუქიანი თოფი ისე მალე იტენებოდა, რომ განუწყვეტელი ცეცხლის წარმოებისათვის მხოლოდ 5 კაციღა იყო საჭირო. ამრიგად, მსროლელთა ასეული შეიძლებოდა შემდგარიყო მხოლოდ 5 მწკრივისაგან სიღრმეში. მაშასადამე, ახლა მუშკეტერთა იმავე რიცხვით შეიძლებოდა უწინდელზე თითქმის ორჯერ უფრო გრძელი ფრონტის დაჭერა. რადგან შაშხანის ცეცხლი განსაკუთრებით გამანადგურებელ გავლენას ახდენდა დიდსა და სიღრმით მიჯრილ მასებზე, ამიტომ შუბოსნები ახლაც ექვს ან რვა რიგად ეწყობოდნენ, და ამრიგად საბრძოლო წყობა სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ხაზობრივ წყობას, რის დროსაც ბრძოლის ბედი წყდებოდა თოფის ცეცხლით, ხოლო შუბოსანთა დანიშნულება უკვე იყო არა თავდასხმა, არამედ მხოლოდ მსროლელთა დაფარვა ცხენოსანი ჯარისაგან. ამ პერიოდის დასასრულს საბრძოლო წყობა შედგებოდა ორი რაზმისაგან და ერთი სამარქაფო ნაწილისაგან. თვითეული რაზმი ჩამწკრივებული იყო ხაზობრივად, რომელიც უმეტესად ექვსი მწკრივისაგან შედგებოდა. არტილერია და ცხენოსანი ჯარი ნაწილობრივ ბატალიონებს შორის ინტერვალებში თავსდებოდა, ნაწილობრივ კი ფლანგებზე. ამასთან თვითეულ ქვეითს ბატალიონში დიდი-დიდი ერთი მესამედი შუბოსნებისაგან შედგებოდა და სულ მცირე ორი მესამედი მუშკეტერებისაგან.

მე-17 საუკუნის დამლევს, ბოლოს, გამოჩნდა კაჟიანი თოფი ხიშტით; ეს თოფი მზა ვაზნებით იტენებოდა. ამით შუბი საბოლოოდ გაქრა ქვეითი ჯარის შეიარაღებიდან. თოფის გასატენად ახლა მცირე დრო იყო საჭირო, უფრო სწრაფი ცეცხლი თვითონვე წარმოადგენდა საფარს, ხოლო ხიშტი საჭიროების შემთხვევაში ცვლიდა შუბს. ამის გამო საბრძოლო ხაზის სიღრმე შეიძლებოდა შეკვეცილიყო ექვსიდან ოთხ კაცამდე, შემდეგ სამამდე და ზოგგან კი, ბოლოს, ორ კაცამდე; ამრიგად, ადამიანთა ერთი და იგივე რაოდენობის დროს ხაზი სულ უფრო და უფრო გრძელდებოდა, სულ უფრო მეტი რაოდენობის თოფი შედიოდა ერთდროულად მოქმედებაში. მაგრამ ამავე დროს ეს გრძელი და წვრილი ხაზები სულ უფრო მოუქნელიც ხდებოდა. მათ მოძრაობა საბრძოლო წესრიგით შეეძლოთ მხოლოდ ვაკე ადგილებში, სადაც დაბრკოლებები არ ეღობებოდათ, ისიც მხოლოდ ძალიან ნელა, წუთში 70—75 ნაბიჯი. მაგრამ სწორედ ვაკე ადგილებში ეს ხაზე-

ბი მოწინააღმდეგის კავალერიას შესაძლებლობას აძლევდა წარმატებით დასხმოდა თავს, განსაკუთრებით ფლანგებზე. ნაწილობრივ იმისათვის, რომ ეს ფლანგები დაეცვათ, ნაწილობრივ კი ცეცხლის წინა ხაზის გასაძლიერებლად მთელ კავალერიას ფლანგებზე აყენებდნენ, ასე რომ ნამდვილი ბრძოლის ხაზი, სიტყვის ნამდვილი გაგებით, შედგებოდა მხოლოდ ქვეითი ჯარისაგან—მსუბუქი ბატალიონის ქვემეხებით. მეტისმეტად უხეში, მძიმე ქვემეხები ფლანგებზე იდგნენ და მთელი ბრძოლის განმავლობაში სულ დიდი ერთხელ იცვლიდნენ მდებარეობას. ქვეითი ჯარისკაცები ჩამწკრივდებოდნენ ხოლმე ორ რაზმად, რომელთა ფლანგებს იფარავდა კუთხურად დაწყობილი ქვეითი ჯარი, ასე რომ მთელი ეს დაწყობილობა შეადგენდა ერთ ძალიან გრძელ, შიგნით ცარიელ ოთხკუთხედს. ეს მასა, სრულიად უმწეო იმ შემთხვევებში, როცა მას არ შეეძლო მოძრაობა როგორც ერთ მთლიანს, მხოლოდ სამ ნაწილად—ცენტრად და ორ ფლანგად იყოფოდა. ნაწილების მთელი მოძრაობა იმაში მდგომარეობდა, რომ მტრის შემოვლის მიზნით — წინ წამოეწიათ ერთ-ერთი ფლანგი, რომელიც მოწინააღმდეგის ფლანგს რიცხობრივად სჭარბობდა, მაშინ როდესაც მეორე ფლანგს უკან იჭერდნენ როგორც მუქარას, რათა ხელი შეეშალათ მტრის ფრონტის სათანადო ცვლისათვის. საბრძოლო წყობის შეცვლა თვით ბრძოლის დროს იმდენ დროს ართმევდა და მოწინააღმდეგის წინაშე იმდენ სუსტ ადგილებს აშიშვლებდა, რომ ამგვარი შეცვლის ცდა თითქმის ყოველთვის დამარცხებას უდრიდა. ამრიგად, თავდაპირველად წყობა უნდა დაცული ყოფილიყო მთელი ბრძოლის მანძილზე, და როგორც კი ქვეითი ჯარი ბრძოლაში ჩაებმებოდა, ბრძოლის ბედი ერთი შემმუსვრელი დარტყმით წყდებოდა. და ბრძოლის წარმოების მთელი ეს წესი, რომელიც უაღრესად გააუმჯობესა ფრიდრიხ II-მ, ორი ერთად მოქმედი მატერიალური ფაქტორის გარდაუვალ შედეგს წარმოადგენდა. ერთ-ერთი ფაქტორი იყო მთავართა მოკრებილი ჯარის ადამიანთა შემადგენლობა, რომელიც ნაწილობრივ შედგებოდა არმიაში ძალით ჩარიცხული მტრული სამხედრო ტყვეებისაგანაც კი,—იგი კარგად იყო გაწვრთნილი, მაგრამ საიმედო არ იყო, და მხოლოდ ჯოხით ჰყავდათ მორჩილებაში. მეორე ფაქტორს წარმოადგენდა შეიარაღება—ზორზოხი, მძიმე ქვემეხები და გლუვლულიანი, სწრაფად, მაგრამ ცუდად მსროლი კაჟიანი თოფი ხიშტით.

ბრძოლის წარმოების ამ წესს მანამდე იყენებდნენ, სანამ ორივე მოწინააღმდეგე ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდა ადამიან-

თა შემადგენლობისა და შეიარაღების მხრივ. ამიტომ თვითეული მხარისათვის ხელსაყრელი იყო დადგენილ წესებს მიჰყოლოდა. მაგრამ როდესაც ამერიკაში დამოუკიდებლობისათვის ომი ატყდა, ამ მოკრებილი, კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცების წინააღმდეგ უცბად აჯანყებულთა რაზმები გამოვიდნენ, რომელთაც, მართალია, მწყობრში ლაშქრული სიარული არ იცოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ კარგად ისროდნენ, მეტწილად კარგი სასროლი თოფები გააჩნდათ, და რადგან თავიანთი საკუთარი საქმისათვის იბრძოდნენ, არ დეზერტირობდნენ. ეს აჯანყებულები ინგლისელთა სასიამოდ არ გამოდიოდნენ ვაკე ადგილზე მათთან ერთად ნელი ნაბიჯით ცნობილი საბრძოლო მენუეტის შესასრულებლად სამხედრო ეტიკეტის ყველა წესის დაცვით. ისინი მოწინააღმდეგეს ხშირ ტყეებში იტყუებდნენ, სადაც მისი გრძელი სალაშქრო კოლონები უმწეო და უსაფარო იყო გაფანტული, უხილავი მსროლელების ცეცხლის წინააღმდეგ. აჯანყებულები პატარა მოძრავ რაზმებად იფანტებოდნენ, ყოველ ბუნებრივ საფარს იყენებდნენ, რათა მტრისთვის დაერტყათ. ამასთან, თავიანთი დიდი მოძრაობის უნარის წყალობით ისინი ყოველთვის მიუწვდომელი იყვნენ მტრის მოუხეშავი ჯარისათვის. ამრიგად, გაფანტული მსროლელების საბრძოლო ცეცხლმა, რომელიც ჯერ კიდევ თოფის შემოღების დროს უკვე ერთგვარ როლს თამაშობდა, ახლა გვიჩვენა,—გარკვეულ შემთხვევებში, კერძოდ კი წვრილ-წვრილ შეტაკებებში, — თავისი უპირატესობა ხაზობრივი წყობის წინაშე.

თუ ევროპის მოკრებილი არმიების ჯარისკაცები პარტიზანული (გაფანტული) ბრძოლებისათვის არ ვარგოდნენ, მით უფრო ნაკლებად ვარგოდა ამისათვის მათი შეიარაღება. მართალია, სროლის დროს თოფის მკერდზე მიყრდნობა აღარ იყო საჭირო, როგორც ამას უწინ მუშკეტერები აკეთებდნენ თავიანთი მუშკეტებით, რომელთაც პატრუქიანი საკეტები ჰქონდათ: თოფს მიიბჯენდნენ მხართან, როგორც ახლა. მაგრამ დამიზნებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო, იმიტომ რომ სრულიად სწორი კონდახი, რომელიც ლულის გაგრძელებას წარმოადგენდა, თვალს საშუალებას არ აძლევდა ლულის გასწვრივ თავისუფალი დამიზნებისათვის. მხოლოდ 1777 წელს საფრანგეთში სანადირო თოფის მოხრილი კონდახი ქვევით ჯარის თოფსაც მიუყენეს და ამის წყალობით შესაძლებელი გახდა ძლიერი სასროლო ცეცხლი. მეორე, აღნიშვნის ღირსი გაუმჯობესება იყო მე-18 საუკუნის შუა წლებში გრიბოვალის მიერ აგებული უფრო მსუბუქი, მაგრამ უფრო მტკიცე

ლაფეტი ქვემეხისა, რითაც არტილერიას მიეცა შემდგომში ეგზომ აუცილებელი მეტი მოძრაობის უნარი.

საფრანგეთის რევოლუციას წილად ხვდა გამოეყენებინა ბრძოლის ველზე ორივე ეს ტექნიკური გაუმჯობესება. როდესაც მას თავს დაესხა კოალიციური ევროპა, რევოლუციამ მთავრობის განკარგულებაში გადასცა მთელი ერის ბრძოლის უნარიანი წევრები. მაგრამ ამ ერს დრო არ ჰქონდა, რომ სასწავლო მანევრების დროს ხაზობრივ ტაქტიკას საკმარისად დაუფლებოდა და არ შეეძლო ძველი, გამოცდილი პრუსიული და ავსტრიული ქვეითი ჯარისათვის დაეპირისპირებინა ასეთივე საბრძოლო წყობილება. მეორე მხრივ, საფრანგეთში არ იყო არათუ ამერიკული გაუვალი ტყეები, არამედ პრაქტიკულად უსაზღვრო სივრცეებიც კი უკან დახევის შემთხვევაში. საჭირო იყო მტრის შემუსვრა საზღვარსა და პარიზს შორის, მაშასადამე, საჭირო იყო გარკვეული ადგილმდებარეობის დაცვა, ხოლო ეს შეიძლებოდა მომხდარიყო საბოლოოდ მხოლოდ მასობრივ ბრძოლაში გაშლილ ველზე. მაშასადამე, საჭირო იყო, მსროლელთა რაზმების გვერდით, კიდევ სხვა ახალი ფორმის გამონახვა, რის დროსაც ცუდად გაწვრთნილი ფრანგთა მასები შეძლებდნენ წარმატების რაღაც იმედით გამოსულიყვნენ ევროპის მუდმივი არმიების წინააღმდეგ. ეს ფორმა გამონახულ იქნა მიჯრილი (შეკრული) კოლონების სახით, რომელსაც, მართალია, უკვე იყენებდნენ გარკვეულ შემთხვევებში, მაგრამ უმეტესად სასწავლო-სავარჯიშო მოედანზე. კოლონის წესრიგში ყოლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ხაზობრივი წყობის შენარჩუნება. თვით იმ შემთხვევებშიც, როდესაც კოლონა იშლებოდა, ის პასიურ წინააღმდეგობას მაინც უწევდა მტერს, როგორც ერთი მთლიანი შეკრული გუნდი; მისი მართვა უფრო ადვილი იყო, მეთაურის ხელმძღვანელობას უფრო მეტად ემორჩილებოდა და შეეძლო სწრაფად ემოძრავა. ლაშქრული ნაბიჯის სისწრაფე გაიზარდა ას და ასზე მეტ ნაბიჯამდე წუთში. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ კოლონის, როგორც ბრძოლის წარმოების განსაკუთრებით მასობრივი ფორმის, გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ძველი ხაზობრივი საბრძოლო მწყობრის ერთფეროვანი მთელის დაშლა ცალკეულ ნაწილებად, რომელთაც გარკვეული დამოუკიდებლობა შეიძინეს და უნარი ჰქონდათ საერთო ინსტრუქცია მიეყენებინათ მოცემული ვითარებებისათვის. თვითეული ასეთი ნაწილი შეიძლებოდა შემდგარიყო ნაარაღის სამივე გვარეობისაგან; კოლონა საკმაოდ მოქნილი იყო იმისათვის, რომ დაეშვა არმიის ნაწილების გამოყენება ყოველი

შესაძლო კომბინაციით; იგი ნებას რთავდა გამოეყენებინათ სოფლები და კარმიდამოები, რაც სასტიკად იყო აკრძალული ჯერ კიდევ ფრიდრიხ II-ის დროს, მაგრამ ამიერიდან ისინი (სოფლები და კარმიდამოები) მთავარი დასაყრდენი წერტილები გახდა ყოველ ბრძოლაში; იგი შეიძლებოდა ყოველ ადგილმდებარეობაში გამოეყენებინათ. კოლონას, ბოლოს, შეეძლო დაეპირისპირებინა ხაზობრივი ტაქტიკისათვის, სადაც ყველაფერი ერთბაშად იდება სასწორზე, ბრძოლის წარმოების ისეთი წესი, როცა მსროლელთა რაზმების მოქმედებებით და ბრძოლის გასაჭიანურებლად ჯარის თანდათანობით შეყვანით ქანცავდნენ მოწინააღმდეგის ხაზს და იმდენად აცლიდნენ არაქათს, რომ საბოლოოდ იგი ველარ უძლებდა მარქაფად მყოფი ახალი საბრძოლო ძალების შემოტევას. და რადგან ხაზობრივი წყობა ყველა წერტილში თანაბარი სიძლიერის იყო წინააღმდეგობის გაწევის მხრივ, ამიტომ კოლონებად მებრძოლ მოწინააღმდეგეს შეეძლო სუსტი ძალების ამოქმედებით ხაზის ერთი ნაწილის ყურადღება მიეპყრო ცრუ იერიშით და ამ დროს თავისი მთავარი ძალებისათვის თავი მოეყარა პოზიციის გადამწყვეტ წერტილზე საიერიშოდ. ცეცხლის მოქმედება ბრძოლაში ახლა წარმოებდა უპირატესად მსროლელთა გაფანტული რაზმების მიერ, მაშინ როდესაც კოლონები დანიშნული იყო ხიშტით იერიშზე გადასვლისათვის. მაშასადამე, აქ ისეთივე ანალოგიური დამოკიდებულება დამყარდა, როგორიც არსებობდა მსროლელთა რაზმებსა და შუბოსანთა მასებს შორის მე-16 საუკუნის დამდეგს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახალი ტიპის კოლონებს შეეძლოთ ყოველ წუთს გაფანტულიყვნენ მსროლელთა ჯაჭვებად, ხოლო ეს უკანასკნელნი თავისი მხრივ კვლავ შეერთებულიყვნენ კოლონებად.

ბრძოლის წარმოების ახალი წესი, რომელიც ნაპოლეონმა გაუმჯობესების უმაღლეს ხარისხამდე აიყვანა, იმდენად სჯობდა ძველ წესს, რომ ბრძოლის წარმოების ძველმა წესმა საბოლოოდ და უიმედოდ განიცადა მარცხი, — მას შემდეგ, რაც იენასთან მოუქნელი, პრუსიელთა ნელად მოძრავი ხაზები, რომლებიც უმეტეს წილად სრულიად არ ვარგოდნენ გაფანტული წესით ბრძოლისათვის, პირდაპირ დადნა ფრანგთა მსროლელი რაზმების ცეცხლქვეშ, რაზედაც მათ შეეძლოთ მხოლოდ ცალკეული ოცეულების სროლით ეპასუხათ. მაგრამ თუ ხაზობრივი საბრძოლო მწყობრი დამარცხდა და გადავარდა, ეს არავითარ შემთხვევაში არ ითქმის ხაზზე, როგორც ბრძოლის აგების ფორმაზე. რამდენიმე წლის შემდეგ, რაც პრუსიელებმა თავიანთი საბრძოლო ხაზებით ასეთი სირცხვილი ქამეს, ველინგ-

ტონმა ხაზებად დაწყობილი ინგლისელები გამოიყვანა ფრანგთა კოლონების წინააღმდეგ და, როგორც წესი, მათ ყოველთვის ამარცხებდა. მაგრამ ველინგტონმა ფრანგებისგან სწორედ მთელი მათი ტაქტიკა გადაიღო, მხოლოდ იმ გამონაკლისით, რომ ის თავის მიჯრილ ქვეითი ჯარს ბრძოლებში აწყობდა არა კოლონებად, არამედ ხაზებად. ამ დროს იგი იმ უპირატესობას იღებდა, რომ მას შეეძლო ერთდროულად გამოეყენებინა ცეცხლის მოქმედებისათვის ყველა თოფი, ხოლო იერიშისათვის—ყველა ხიშტი. ამ საბრძოლო წყობას ინგლისელები იყენებდნენ ბრძოლებში უკანასკნელ ხანებამდე, რაც მათ როგორც შეტევის, თავდასხმის (ალბუჰერა), ისე თავდაცვის (ინკერმანი) დროს უპირატესობას აძლევდა რიცხობრივად მნიშვნელოვნად ჭარბი მოწინააღმდეგის წინაშე. ბიუჟო, რომელსაც მოუხდა ამ ინგლისელთა ხაზებთან შეჯახება, უკანასკნელ დრომდისაც კი ამჯობინებდა მათ კოლონებს.

ამასთან ერთად ქვეითი ჯარის თოფები მეტისმეტად ცუდი იყო—იმდენად ცუდი, რომ ასეთი თოფით ასი ნაბიჯის მანძილზე იშვიათად შეიძლებოდა ცალკეული ადამიანისათვის მოხვედრება, ხოლო სამასი ნაბიჯის მანძილზე ასევე იშვიათად შეიძლებოდა მთელი ბატალიონისათვის მოხვედრება. ამიტომ როდესაც ფრანგები ალჟირში მივიდნენ, ბედუინთა გრძელმა თოფებმა მძიმე ზარალი მიაყენეს მათ ისეთი მანძილებიდან, სადამდეც ფრანგთა თოფები ვერ უწევდნენ. აქ მდგომარეობას ხრახნილიანი თოფი შველოდა. მაგრამ სწორედ საფრანგეთში ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ ხრახნილიანი თოფის შემოღებას, თვით განსაკუთრებულ შემთხვევებშიც კი, იმიტომ რომ იგი ნელა იტენებოდა და ჩქარა იმტვერებოდა. მაგრამ ახლა, როცა საჭირო გახდა ადვილ გასატენი თოფი, ეს საჭიროებაც მაშინვე დაკმაყოფილებულ იქნა. დელვინის წინასწარ ჩატარებულ მუშაობას მოჰყვა ტუვენენის შაშხანა და მინიეს გაფართოებადი ტყვია; ამ გაუმჯობესებებმა ხრახნილიანი თოფი გატენადობის თვალსაზრისით გლუვლულიანი თოფის ტოლფასი გახადეს, ასე რომ ამ ხნიდან უკვე შეიძლებოდა მთელი ქვეითი ჯარი შეიარაღებულიყო შორსმტყორცნელი და კარგად მსროლელი ხრახნილიანი თოფებით. მაგრამ ვიდრე ხრახნილიანი თოფი, რომელიც ლულიდან იტენებოდა, შეძლებდა თავისი შესაბამი ტაქტიკის შექმნას, იგი უკვე განდევნა ახალმა ცეცხლმსროლელმა იარაღმა, ხრახნილიანმა თოფმა, რომელიც საფალიედან იტენებოდა, რომელთან ერთად სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა ხრახნილიანი ქვემეხების საბრძოლო თვისებები.

მთელი ერის შეიარაღებამ, რაც რევოლუციამ შემოიღო, მალე მნიშვნელოვანი შეზღუდვები განიცადა. მუდმივ არმიაში სამსახურისთვის კენჭის ყრით კრებდნენ ყველა სამხედრო ვალდებულ ახალგაზრდა მამაკაცთა მხოლოდ ნაწილს, ხოლო დანარჩენ მოქალაქეთა გარკვეული — მეტი თუ ნაკლები — ნაწილისაგან უკეთეს შემთხვევაში აყალიბებდნენ გაუწვრთნელ ნაციონალურ გვარდიას. ანდა იქ, სადაც ნამდვილად მკაცრად ტარდებოდა საყოველთაო სამხედრო ვალდებულების პრინციპი, ქმნიდნენ დიდ-დიდი სამილიციო არმიას, რომელიც დროშებქვეშ სულ რამდენიმე კვირას იდგა, როგორც იყო ეს შვეიცარიაში. ფინანსიური მოსაზრებები აიძულებდათ არჩევანი მოეხდინათ ლაშქრის მოკრებასა და სამილიციო არმიას შორის. ევროპაში მხოლოდ ერთადერთი ქვეყანა, და ამასთან ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანა შეეცადა შეეთავსებინა საყოველთაო სამხედრო ვალდებულება მუდმივი არმიის არსებობასთან. ეს იყო პრუსია. და თუმცა მუდმივ ჯარში ყველასთვის სავალდებულო სამსახური არსად არ ტარდებოდა მკაცრად, — ასევე იძულებითი და ულმობელი ფინანსიური მოსაზრებების გამო,—მაინც პრუსიული ლანდვეერის სისტემა მთავრობის განკარგულებაში იძლეოდა მზა კადრში გაწვრთნილ და ორგანიზებულ ადამიანთა ისეთ მნიშვნელოვან რაოდენობას, რომ პრუსიას გარკვეული უპირატესობა ჰქონდა იმავე რაოდენობის მოსახლეობის მყოლი ყოველი სხვა ქვეყნის წინაშე.

საფრანგეთ-პრუსიის ომში 1870 წ. ლაშქრის მოკრების სისტემა დაამარცხა პრუსიულმა ლანდვეერის სისტემამ. მაგრამ ამ ომში ორივე მხარე პირველად იყენენ აგრეთვე შეიარაღებული საფალიედან გასატენი თოფებით,—მაშინ როდესაც რეგლამენტირებული ფორმები, რომლებითაც მოძრაობდნენ და იბრძოდნენ არმიები, ძირითადად ისეთივე რჩებოდა, როგორც ძველი კაჟიანი თოფის დროს. უკეთეს შემთხვევაში მსროლელთა რაზმები უფრო მჭიდრო გახდა. დანარჩენში კი ფრანგები ჯერ ისევ უწინდელი საბატალიონო კოლონებით იბრძოდნენ, ხან კი ხაზებადაც ეწყობოდნენ, მაშინ როდესაც გერმანელებმა ის მაინც სცადეს, რომ ასეულის კოლონის შემოღებით გამოენახათ ისეთი საბრძოლო ფორმა, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერებოდა ახალ შეიარაღებას. ასე იყო პირველ ბრძოლებში. ხოლო როდესაც სენ-პრივის (18 აგვისტოს) იერიშის დროს პრუსიის გვარდიის სამმა ბრიგადამ სცადა სერიოზულად გამოეყენებინა ეს ასეულის კოლონა, მაშინ გამოაშკარავდა საფალიედან გასატენი შაშხანის შემმუსვრელი ძალა. ხუთი პოლკიდან, რომ-

ლებმაც ყველაზე მეტი მონაწილეობა მიიღეს ამ ბრძოლაში (15 000 კაცი), ბრძოლის ველზე დაეცა თითქმის ყველა ოფიცერი (176) და 5114 რიგითი ჯარისკაცი, მაშასადამე, დაიღუპა შემადგენლობის მესამედზე მეტი. მთელმა გვარდიულმა ქვეითმა ჯარმა, რომელიც 28 160 კაცის რაოდენობით გამოვიდა ბრძოლაში, იმ დღეს დაკარგა 8230 კაცი, მათ შორის 307 ოფიცერი. მას შემდეგ ასეულის კოლონა საბოლოოდ დაგმობილ იქნა როგორც საბრძოლო ფორმა, ისევე როგორც დაგმობილ იქნა ბატალიონის კოლონის ან ხაზობრივი წყობის გამოყენება; ამიერიდან მიატოვეს მტრის შაშხანის ცეცხლის პირისპირ რაიმე მიჯრილი რაზმების გამოყვანის ყოველგვარი ცდა; ბრძოლა მხოლოდ გერმანელების მხრივ ისევ წარმოებდა იმ მჭიდრო მსროლელ ჯაჭვებად, რომლებადაც ჯერ კიდევ წინათ ჩვეულებრივად გაიშლებოდა ხოლმე კოლონები სეტყვასავით წამოსული მტრის ტყვიების გამო, რასაც უმაღლესი სარდლობა ებრძოდა როგორც წესრიგის დარღვევას. კვლავ ჯარისკაცი უფრო ჭკვიანი გამოდგა, ვიდრე ოფიცერი; სწორედ მ ა ნ, ჯარისკაცმა, ინსტინქტურად იპოვა ერთადერთი საბრძოლო ფორმა, რომელმაც აქამდე გაამართლა თავისი თავი საფალიედან გასატენი შაშხანის ცეცხლის წინაშე, და წარმატებით გაატარა იგი მიუხედავად უფროსების წინააღმდეგობისა. სწორედ ასევე შაშხანის გამანადგურებელი ცეცხლის მოქმედების სფეროში მხოლოდ გ ა დ ა რ ბ ე ნ ა მ ჰპოვა გამოყენება.

შენიშვნები «ანტი-დიურინგი»-სათვის [1]

მათემატიკური უსასრულოს პირველსახეთა შესახებ ნამდვილ სამყაროში

17—18 გვერდებისათვის[2]. აზროვნებისა და არსის თანხმობა.— უსასრულობა მათემატიკაში.

მთელ ჩვენს თეორიულ აზროვნებაზე აბსოლუტურად ბატონობს ის ფაქტი, რომ ჩვენი სუბიექტური აზროვნება და ობიექტური სამყარო ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარება და ამიტომ არ შეიძლება, რომ ისინი თავიანთი შედეგებით ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ; ისინი ერთმანეთს უნდა ეთანხმებოდნენ. ეს ფაქტი ჩვენი თეორიული აზროვნების არაცნობიერი და უდავო წანამძღვარია. მე-18 საუკუნის მატერიალიზმმა თავისი არსებითად მეტაფიზიკური ხასიათის გამო ეს წანამძღვარი მხოლოდ მისი შინაარსის მიხედვით გამოიკვლია. ის იმის დამტკიცებით დაკმაყოფილდა, რომ ყოველგვარი აზროვნებისა და ცოდნის შინაარსი გრძნობადი გამოცდილებისაგან უნდა წარმოსდგებოდესო, და კვლავ აღადგინა დებულება: nihil est in intellectu, quod non fuerit in sensu [3]. პირველად უახლესმა იდეალისტურმა ფილოსოფიამ, მაგრამ იმავე დროს დიალექტიკურმა ფილოსოფიამ, სახელდობრ კი ჰეგელმა, გამოიკვლია ეს წანამძღვარი აგრეთვე ფ ო რ მ ი ს მიხედვითაც. მიუხედავად იმ ურიცხვი თვითნებური კონსტრუქციებისა და ფანტასტიკური გამოგონებებისა, რომლებიც ჩვენ აქ გვხვდება; მიუხედავად მისი შედეგის—აზროვნებისა და არსის ერთიანობის—

---

[1] ამ შენიშვნების წარმოშობა, ალბათ, ეკუთვნის 1885 წ. დამდეგს, როცა ენგელსი აპირებდა დასაბეჭდად მოემზადებინა «ანტი-დიურინგის» მეორე, გ ა ფ ა რ თ ო ე ბ უ ლ ი გამოცემა. ენგელსს განზრახული ჰქონდა დაეწერა რიგი დამატებათა «ანტი-დიურინგის» ცალკეული ადგილებისთვის იმ მიზნით, რომ ისინი მოეთავსებინა ამ ნაწარმოების მეორე გამოცემის ბოლოს. რ ე დ.

[2] გვერდები მითითებულია «ანტი-დიურინგის» პირველი გამოცემის მიხედვით, რომელიც გამოვიდა 1878 წ. ზაფხულს. ესენია პირველი ნაწილის III თავის მეორე და მესამე გვერდები. რ ე დ.

[3] ინტელექტში არაფერი არაა ისეთი, რაც მასზე ადრე გრძნობაში არ ყოფილიყოს. რ ე დ.

იდეალისტურად თავდაყირა დაყენებული ფორმისა, არ შეიძლება უარვყოთ, რომ ამ ფილოსოფიამ უამრავ შემთხვევებზე და უსხვადასხვანაირეს სფეროებში დაამტკიცა აზროვნების პროცესების ანალოგიურობა ბუნებისა და ისტორიის პროცესებთან—და პირიქით—და ყველა ამ პროცესისათვის ერთნაირ კანონთა ძალა და მნიშვნელობა. მეორე მხრივ, თანამედროვე ბუნებისმეცნიერებამ იმგვარად გააფართოვა აზროვნების მთელი შინაარსის ცდისეული წარმოშობის თეზისი, რომ მისი ძველი მეტაფიზიკური შეზღუდულობა და ფორმულირება უკუგდებულ იქნა. თანამედროვე ბუნებისმეცნიერება აღიარებს შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობას და ამით ცდის სუბიექტს აფართოებს ინდივიდუუმიდან გვარეობამდე; ახლა უკვე აუცილებელი არაა, რომ ყოველმა ცალკე ინდივიდუუმმა პირადად გამოსცადოს ყველაფერი, მისი ინდივიდუალური გამოცდილება შეიძლება გარკვეულ ხარისხამდე მთელი რიგი მისი წინაპრების გამოცდილების შედეგებით შეიცვალოს. თუ, მაგალითად, მათემატიკური აქსიომები ყოველ რვა წლის ბავშვს თავის თავად გასაგები რამ ჰგონია, რაც არავითარ ცდისეულ დამტკიცებას არ საჭიროებს, ეს «დაგროვებული მემკვიდრეობის» მხოლოდ შედეგს წარმოადგენს. ბუშმენს ან ავსტრალიელ ზანგს ძნელად თუ შევაგნებინებდით მათ დამტკიცების გზით.

ზემოთ მოთავსებულ თხზულებაში დიალექტიკა განხილულია როგორც მეცნიერება ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მოძრაობის უზოგადესი კანონების შესახებ. აქ ის აზრია მოცემული, რომ მის კანონებს ძალა და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მოძრაობისათვის როგორც ბუნებასა და ადამიანთა ისტორიაში, ასევე აზროვნების მოძრაობისათვის. ამგვარი კანონი შეიძლება შემეცნებულ იქნეს ამ სამთაგან ორ სფეროში, ანდა სამივეში, ისე რომ რუტინერ-მეტაფიზიკოსისათვის მაინც ნათელი ვერ გახდება, რომ ერთი და იგივე კანონია ის, რომელსაც ის შეიმეცნებს.

ავიღოთ მაგალითი. ყველა თეორიულ მიღწევათა შორის არც ერთი მიღწევა არ ითვლება ადამიანის გონების ეგზომ დიდ ზეიმად, როგორც უსასრულო მცირეთა აღრიცხვის გამოგონება XVII საუკუნის მეორე ნახევარში. თუ კი სადმე გვაქვს ადამიანის გონების წმინდა და განსაკუთრებული ქმედება, სწორედ აქ გვაქვს. საიდუმლოება,რომელიც ჯერ კიდევ დღესაც მოიცავს უსასრულო მცირეთა აღრიცხვაში გამოყენებულ სიდიდეებს, დიფერენციალებსა და სხვადასხვა ხარისხის უსასრულო მცირეთ, საუკეთესო დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ ჯერ კიდევ არსებობს წარ-

მოდგენა, თითქოს ჩვენ აქ საქმე გვქონდეს ადამიანის გონების წმინდა «თავისუფალ ქმნილებებსა და წარმოსახვებთან» [1], რომელთა შესატყვისს ობიექტური ქვეყანა თითქოს არ გვაწვდიდეს. ნამდვილად კი საწინააღმდეგო გარემოებას აქვს ადგილი. ყველა ამ წარმოსახვითი სიდიდისათვის ბუნება გვაძლევს პირველსახეებს.

ჩვენი გეომეტრია სივრცებრივი მიმართებებიდან გამოდის, ხოლო ჩვენი არითმეტიკა და ალგებრა იმ რიცხვითი სიდიდეებიდან, რომლებიც ჩვენი დედამიწის მიმართებებს შეესაბამებიან, მაშასადამე, შეესაბამებიან იმ სხეულებრივ სიდიდეებს, რომელთაც მექანიკა მასებს უწოდებს — მასებს იმ სახით, როგორც დედამიწაზე გვხვდება და ადამიანები ამოძრავებენ. ამ მასებთან შედარებით დედამიწის მასა უსასრულოდ დიდია და დედამიწის მექანიკაც მას განიხილავს როგორც უსასრულოდ დიდს. დედამიწის რადიუსი = ∞, ასეთია მთელი მექანიკის პრინციპი ვარდნის კანონის განხილვისას. მაგრამ არა მარტო დედამიწა, არამედ მთელი მზის სისტემა და ყველა ის მანძილი, რომლებიც მასში გვხვდება, თავის მხრივ კვლავ უსასრულოდ მცირე აღმოჩნდება, როგორც კი ჩვენ გადავალთ იმ მანძილებზე, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენს მიერ ტელესკოპით დანახულ ვარსკლავთა სისტემაში და რომლებიც სინათლის წლებით განისაზღვრება. ამრიგად, ჩვენ აქ უკვე გვაქვს არა მარტო პირველი რიგის, არამედ მეორე რიგის უსასრულო სიდიდეები, და შეგვიძლია ჩვენი მკითხველების ფანტაზიას მივანდოთ,— თუ კი ამის ხალისსა გრძნობენ,—ააგონ კიდევ უფრო უმაღლესი რიგის შემდგომი უსასრულო სიდიდეები უსასრულო სივრცეში.

მაგრამ დღეს ფიზიკასა და ქიმიაში გაბატონებულ შეხედულებათა თანახმად დედამიწაზე არსებული მასები, სხეულები, რომლებთანაც მექანიკას საქმე აქვს, შედგებიან მოლეკულებისაგან, უწვრილესი ნაწილაკებისაგან, რომელთა შემდგომი დაყოფა აღარ შეიძლება ისე, თუ სათანადო სხეულის ფიზიკური და ქიმიური იგივეობა არ მოისპო. ვ. ტომსონის გამოანგარიშებით ყველაზე პატარა მოლეკულის დიამეტრი არ შეიძლება იყოს მილიმეტრის ერთ ორმოცდაათმემილიონედ ნაწილზე უფრო პატარა [2]. მაგრამ

[1] დიურინგის გამოთქმა. რ ე დ.

[2] ეს ციფრი მოტანილია ვილიამ ტომსონის სტატიაში «ატომთა სიდიდე» («The Size of Atoms»), რომელიც პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში «Nature», 1870 წ. 31 მარტს (vol. I, p. 553) და შემდეგ დამატების სახით შევიდა ტომსონისა და ტეტის წიგნის მეორე გამოცემაში — «ტრაქტატი თეორიული ფიზიკის შესახებ» («Treatise on Natural Philosophy» 2-nd edition, 1883). რ ე დ.

თუნდაც დავუშვათ, რომ თვით ყველაზე დიდი მოლეკულის დიამეტრი მილიმეტრის ერთ ოცდახუთმემილიონედ ნაწილს აღწევს, მოლეკულა მაინც ქრობად მცირე სიდიდედ დარჩება თვით ყველაზე მცირე მასასთან შედარებითაც კი, რომელთანაც საქმე აქვს მექანიკას, ფიზიკას და თვით ქიმიას. მიუხედავად ამისა, მოლეკულას მაინც გააჩნია ყველა, სათანადო მასისათვის დამახასიათებელი თვისება; მას შეუძლია წარმოადგინოს ეს მასა ფიზიკური და ქიმიური მიმართებით და მართლაც წარმოადგენს მას ყველა ქიმიურ განტოლებაში. მოკლედ, მოლეკულას სათანადო მასის მიმართ სავსებით იგივე თვისებები აქვს, რაც მათემატიკურ დიფერენციალს თავისი ცვლადის მიმართ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის, რაც დიფერენციალის შემთხვევაში, მათემატიკურ აბსტრაქციაში იდუმალებით მოცული და აუხსნელი ჩანს, აქ თავისთავად გასაგები და, ასე ვთქვათ, თვალსაჩინო ხდება.

ამ დიფერენციალებით, მოლეკულებით, ბუნება სრულიად იმგვარადვე და სწორედ იმავე კანონებით მოქმედებს, როგორც მათემატიკა მისი აბსტრაქტული დიფერენციალებით მოქმედებს. ასე, მაგალითად, დიფერენციალი $x^3=3x^2dx$, სადაც $3xdx^2$-სა და dx^3 უგულებელვყოფთ. თუ ჩვენ ამას გეომეტრიულად ავაგებთ, მივიღებთ კუბს, გვერდების x სიგრძით, რომელი გვერდების სიგრძეც იზრდება უსასრულოდ მცირე სიდიდით, dx-ით. დავუშვათ, რომ ეს კუბი შედგება სუბლიმირებული ელემენტისაგან, ვთქვათ, გოგირდისაგან; დავუშვათ, რომ მისი ერთი კუთხის შემადგენელი სამი წახნაგის ზედაპირი დაცულია, ხოლო დანარჩენი სამი წახნაგი თავისუფალია. თუ ახლა ამ გოგირდის კუბს მოვათავსებთ გოგირდის აირის ატმოსფეროში და ამ ატმოსფეროს ტემპერატურას საკმარისად შევამცირებთ, მაშინ გოგირდის აირი იწყებს დალექვას კუბის სამ თავისუფალ წახნაგზე. ჩვენ ფიზიკისა და ქიმიის ჩვეულებრივ ხერხთა ფარგლებში დავრჩებით ისევ, თუ, იმისათვის, რათა ეს პროცესი მისი წმინდა სახით წარმოვიდგინოთ, დავუშვებთ, რომ თვითეულ ამ სამ წახნაგზე დაილექა ჯერ ერთი მოლეკულის სისქის ფენა. კუბის გვერდის სიგრძე x გაიზარდა ერთი მოლეკულის დიამეტრით, dx-ით. კუბის მოცულობა x^3 გაიზარდა x^3-ისა და $x^3+3x^2dx+3xdx^2+dx^3$-ის სხვაობით, სადაც ჩვენ იმავე უფლებით, რა უფლებითაც მათემატიკა იქცევა, შეგვიძლია უგულებელვყოთ dx^3, ე. ი. ერთი მოლეკულა, და $3xdx^2$, ე. ი. ხაზობრივად განლაგებულ მოლეკულათა სამი რიგი, სიგრძით $x+dx$. შედეგი იგივეა: კუბის მასის ნამატი უდრის $3x^2dx$.

ზუსტად რომ ვთქვათ, გოგირდის კუბში არ გვხვდება dx^3 და $3xdx^2$, ვინაიდან არ შეიძლება სივრცის ერთსა და იმავე ადგილას იყოს ორი ან სამი მოლეკული, და ამიტომ მისი მასის ნამატი სწორედ $3x^2dx+3xdx+dx$-ს უდრის. ეს იმით აიხსნება, რომ მათემატიკაში dx არის ხაზობრივი სიდიდე, მაგრამ ამგვარი ხაზები, რომელთაც არც სისქე აქვთ და არც სიგანე, როგორც ცნობილია, ბუნებაში თავისთავად არ არსებობენ; მაშასადამე, მათემატიკურ აბსტრაქციებსაც უდავო ძალა და მნიშვნელობა მხოლოდ წმინდა მათემატიკაში აქვთ. და რადგან•ც ეს უკანასკნელიც უგულებელყოფს $3xdx^2+dx^3$, ამიტომ აქ არავითარი განსხვავება არ იქმნება.

სწორედ ასეთივეა საქმის ვითარება აორთქლების დროს. როდესაც ერთ ჭიქა წყალში მოლეკულათა ზედაფენა აორთქლდება, წყლის ფენის x სიმაღლე dx-ით შემცირდება, და მოლეკულათა ფენების ერთიმეორეზე შემდგომი აქროლვება ფაქტიურად დიფერენცირების პროცესს წარმოადგენს. ხოლო როდესაც წნევისა და გაციების ზეგავლენით ცხელი ორთქლი რომელიმე ჭურჭელში კვლავ წყლად შეიკუმშება და მოლეკულათა ერთი ფენა მეორე ფენაზე დაილექება (ამ დროს ჩვენ უფლება გვაქვს მხედველობაში არ მივიღოთ პროცესის გამართულებელი მეორეხარისხოვანი გარემოებანი), იქამდე, ვიდრე ჭურჭელი გაივსებოდეს, აქ სიტყვა-სიტყვით ადგილი აქვს ინტეგრაციას, რომელიც მათემატიკური ინტეგრაციისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ერთი წარმოებს ადამიანის გონების მიერ შეგნებულად, მეორე კი არაცნობიერად ბუნების მიერ.

მაგრამ უსასრულო მცირეთა აღრიცხვის პროცესთა სავსებით ანალოგიურ პროცესებს მარტო თხევადი მდგომარეობიდან აირად მდგომარეობაში და პირუკუ გადასვლის დროს როდი აქვს ადგილი. როდესაც მასის მოძრაობა, როგორც ასეთი, დაჯახების გამო შეწყდა და სითბოდ, მოლეკულურ მოძრაობად გარდაიქმნა, განა სხვა რა მოხდა, თუ არა მასათა მოძრაობის დიფერენცირება? და როდესაც ორთქლის მოლეკულური მოძრაობანი ორთქლის მანქანის ცილინდრში ისეთი მიმართულებით შეჯამდებიან, რომ ისინი დგუშს გარკვეულ სიმაღლეზე ასწევენ და მასების მოძრაობად გარდაიქმნებიან, განა ამით მათი ინტეგრირება არ ხდება? ქიმია მოლეკულებს ატომებად შლის, უფრო ნაკლები მასისა და სივრცებრივი გაფენილების სიდიდეებად, მაგრამ იმავე რიგის სიდიდეებად, ასე რომ მოლეკულები და ატომები ერთმანეთის მიმართ გარ-

კვეულ, სასრულოვან დამოკიდებულებებში იმყოფებიან. მაშასადამე, ყველა ქიმიური განტოლება, რომლებიც სხეულთა მოლეკულურ შემადგენლობას გამოხატავენ, ფორმით დიფერენციალურ განტოლებებს წარმოადგენენ. მაგრამ ისინი სინამდვილეში უკვე ინტეგრირებული არიან მათში წარმოდგენილი ატომური წონის წყალობით. ქიმია ისეთი დიფერენციალებით ხელმძღვანელობს, რომელთა სიდიდეების ურთიერთდამოკიდებულება ცნობილია.

მაგრამ ატომები არასგზით არ წარმოადგენენ რაღაც მარტივს ან საერთოდ ნივთიერების უწვრილეს, ჩვენთვის ცნობილ ნაწილაკებს. აღარაფერს ვამბობთ თვით ქიმიაზე, რომელიც სულ უფრო და უფრო იმ შეხედულებისაკენ იხრება, რომ ატომები რთული შემადგენლობის არიან; ფიზიკოსთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ მსოფლიო ეთერი, რომელიც სინათლისა და სითბოს გამოსხივებას გააშუალებს, ასევე დისკრეტული ნაწილაკებისაგან შედგებაო, მაგრამ რომლებიც იმდენად პატარა ნაწილაკები არიან, რომ ისინი ქიმიურ ატომებსა და ფიზიკურ მოლეკულებს ისევე შეეფარდებიან, როგორც ეს უკანასკნელნი შეეფარდებიან მექანიკურ მასებს, ე. ი. შეეფარდებიან ისე, როგორც d^2x შეეფარდება dx-ს. მაშასადამე, აქ, ამჟამად აღიარებულ წარმოდგენებში მატერიის აღნაგობის შესახებ გვაქვს აგრეთვე მეორე რიგის დიფერენციალი, და ამიტომ სრულიად არავითარი საბუთი არ არსებობს იმისა, თუ რატომ არ შეუძლია თვითეულს, ვისაც კი ეს სიამოვნებას გვრის, წარმოიდგინოს, რომ ბუნებაში უნდა არსებობდეს აგრეთვე ანალოგიები d^3x-ისთვის, d^4x-ისთვის და ა. შ.

ამრიგად, რა შეხედულებისაც არ უნდა ვიყოთ მატერიის აღნაგობის შესახებ, ერთი რამ მაინც უდავოა, რომ იგი დანაწევრებულია მთელ რიგ დიდ, კარგად შემოსაზღვრულ, მასათა შეფარდებით სხვადასხვა ზომის ჯგუფებად, ისე რომ თვითეული ცალკე ჯგუფის წევრები თავიანთი მასის მხრივ ერთმანეთთან გარკვეულ, სასრულოვან მიმართებაში იმყოფებიან, ხოლო მათი მახლობელი ჯგუფების წევრებს ისე შეეფარდებიან როგორც უსასრულოდ დიდ ან უსასრულოდ მცირე სიდიდეებს მათემატიკის აზრით. ჩვენს მიერ ხილვად ვარსკვლავთა სისტემა, მზის სისტემა, მიწიერი მასები, მოლეკულები და ატომები, დაბოლოს, ეთერის ნაწილაკები თვითეული ამგვარ ჯგუფს ქმნის. საქმე იმით არ იცვლება, რომ ჩვენ ცალკეულ ჯგუფებს შორის შუალედ წევრებს აღმოვაჩენთ. ასე, მაგალითად, მზის სისტემის მასებსა და მიწიერ მასებს შორის ჩვენ გვხვდება ასტეროიდები, რომელთაგან

ზოგიერთს იმაზე დიდი დიამეტრი როდი აქვს, ვიდრე, ვთქვათ, უმცროსი თაობის დროის როისის სამთავროს [1],—მეტეორიტები და ა. შ. ასე, მიწიერ მასებსა და მოლეკულებს შორის ორგანულ ქვეყანაში ჩვენ ვხედავთ უჯრედს. ეს შუალედი წევრები მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ბუნებაში არ არსებობს ნახტომები სწორედ იმიტომ, რომ ბუნება მთლიანად ნახტომებისაგან შედგება.

როდესაც მათემატიკას ნამდვილ სიდიდეებთან აქვს საქმე, ისიც პირდაპირ ამ შეხედულებას იყენებს. დედამიწის მექანიკისათვის დედამიწის მასა უკვე უსასრულოდ დიდია; ისე როგორც ასტრონომიაში მიწიერი მასები და მათი შესაბამი მეტეორიტები უსასრულოდ მცირეა, ასევე მისთვის მზის სისტემის პლანეტათა მანძილები და მასები ჰქრებიან, როგორც კი ასტრონომია, გასცდება რა უახლოესი უძრავი ვარსკვლავების ფარგლებს, ჩვენი ვარსკვლავთა სისტემის აგებულების გამოკვლევას შეუდგება. მაგრამ როგორც კი მათემატიკოსები აბსტრაქციათა თავიანთ აუღებელ ციხესიმაგრეში, ეგრეთწოდებულ წმინდა მათემატიკაში, ჩაიკეტებიან, ყველა ამ ანალოგიას ივიწყებენ, უსასრულო მთლიანად იდუმალებით მოცულ რაღაცად იქცევა, და ის წესი და ხერხი, რომლითაც მასთან საქმე აქვთ ხოლმე ანალიზში, სრულიად გაუგებარ რაღაცად გვევლინება, როგორც ყოველგვარი ცდისა და ყოველგვარი აზრის საწინააღმდეგო რამ. ის უგუნურებანი და უაზრობანი, რითაც მათემატიკოსები კი არ ხსნიდნენ, არამედ უფრო ბოდიშს ხდიდნენ ამ თავიანთ მეთოდს, რომელსაც უცნაურად ყოველთვის სწორ შედეგებამდე მიჰყავდა ისინი, აპარბებენ ყველაზე ცუდ მოჩვენებითს თუ ნამდვილ ფანტაზიორობას (მაგალითად, ჰეგელის) ნატურფილოსოფიისა, რომლის მიმართ მათემატიკოსებსა და ბუნების მკვლევარებს საკმარისი სიტყვები ვერ უპოვიათ თავიანთი შეძრწუნებისა და საშინელების გამოსახატავად. ისინი თვითონ აკეთებენ იმას და მასთან უფრო დიდი მასშტაბით, რასაც ჰეგელს უსაყვედურებენ, სახელდობრ იმას, რომ მას აბსტრაქციები უკიდურესობამდე აჰყავსო. ისინი ივიწყებენ, რომ მთელი ეგრეთწოდებული წმინდა მათემატიკა აბსტრაქციებშია გართული, რომ ყველა მისი სიდიდე, ზუსტად თუ ვიტყვით, წარმოსახვითი სიდიდეებია და რომ ყველა უკიდურესობამდე მიყვანილი აბსტრაქცია უაზრობად ან თავისი თავის წინააღმდეგობად გადაიქცევა. მათემატიკური უსასრულო

[1] ერთ-ერთი ჯუჯა სახელმწიფო, რომელიც გერმანიის მეორე იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. რ ე დ.

გადაღებულია სინამდვილიდან, თუმცა არაცნობიერად, და ამიტომ იგი .შეიძლება მხოლოდ სინამდვილიდან და არა თავისი თავიდან, არა მათემატიკური აბსტრაქციიდან აიხსნას. და თუ ჩვენ სინამდვილეს ამ მიმართულებით გამოვიკვლევთ, როგორც დავინახეთ, იმ ნამდვილ ურთიერთობებსაც აღმოვაჩენთ, საიდანაც გადმოღებულია მათემატიკური უსასრულობის მიმართება, და იმ მათემატიკური ხერხის ბუნებრივ ანალოგებსაც კი წავაწყდებით, რომლის საშუალებით ეს მიმართება მოქმედებაში მყლავნდება. და ამით საქმეც ახსნილია.

(აზროვნებისა და არსის იგივეობის ცუდი რეპროდუქცია ჰეკელის მიერ. მაგრამ აგრეთვე უწყვეტი და დისკრეტი მატერიის წინააღმდეგობა; იხ. ჰეგელი)[1].

ბუნების «მექანიკური» გაგების შესახებ

შენიშვნა გვ. 46-ის გამო[2]: მოძრაობის სხვადასხვა ფორმები და მათი შემსწავლელი მეცნიერებანი.

მას შემდეგ, რაც ეს სტატია გამოქვეყნდა («Vorwärts», 9 თებერვალი 1877 წ.)[3], კეკულემ («Die wissenschaftlichen Ziele und Leistungen der Chemie»)[4] მექანიკის, ფიზიკისა და ქიმიის სრულიად მსგავსი განსაზღვრა მოგვცა: «თუ ამ წარმოდგენას მატერიის არსების შესახებ საფუძვლად დავდებთ, მაშინ ქიმია შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მეცნიერება ატომების შესახებ. ხოლო ფიზიკა როგორც მეცნიერება მოლეკულების შესახებ, და მაშინ შორს აღარაა ის აზრი, რომ დღევანდელი ფიზიკის ის ნაწილი, რომელიც მასებს განიხილავს, განსაკუთრებულ დისციპლინად გამოვყოთ და მას მექანიკის სახელი დავუტოვოთ. ამრიგად, მექანიკა აღმოჩნდება როგორც ფიზიკისა და ქიმიის საფუძვლად მდებარე მეცნიერება, რამდენადაც ორივემ თავიანთი მოლეკულები და, . მაშასადამე, შესაბამისად, ატომები

[1] ეს სამი სტრიქონი ენგელსის მიერ დაწერილია დამატებით. რ ე დ.

[2] გვერდი მითითებულია «ანტი-დიურინგის» პირველი გამოცემის მიხედვით. ეს პირველი ნაწილის VII თავის პირველი გვერდია: «ნატურფილოსოფია. ორგანული სამყარო». რ ე დ.

[3] გაზეთ «Vorwärts»-ის ნომერი, რომელშიც პირველად გამოქვეყნდა «ანტი-დიურინგის» VII თავი; «ანტი-დიურინგი» სტატიათა სერიის სახით იბეჭდებოდა. რ ე დ.

[4] «ქიმიის მეცნიერული მიზნები და მიღწევები». რ ე დ.

მოვლენათა გარკვეული მხარეების განხილვის დროს და განსაკუთრებით კი გამოანგარიშებების დროს უნდა განმარტონ როგორც მასები». ეს ფორმულირება, როგორც ვხედავთ, განსხვავდება იმ ფორმულირებისაგან, რომელიც მოცემულია ტექსტში[1] და წინა შენიშვნაში, მხოლოდ რამდენადმე უფრო ნაკლები გარკვეულობით. მაგრამ როდესაც ერთმა ინგლისურმა ჟურნალმა («Nature») კეკულეს ზემოაღნიშნული დებულება იმ სახით გადაიტანა, რომ მექანიკა არისო მასების სტატიკა და დინამიკა, ფიზიკა არის მოლეკულების სტატიკა და დინამიკა, ქიმია—ატომების სტატიკა და დინამიკაო[2], მაშინ, ჩემი აზრით, თვით ქიმიურ პროცესთა ამგვარი უცილობელი დაყვანა უბრალო მექანიკურ პროცესებზე შეუფერებლად ავიწროებს კვლევის არეს, ყოველ შემთხვევაში, ქიმიაში მაინც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს დაყვანა იმდენად მოდად იქცა, რომ, მაგალითად, ჰეკელი სიტყვებს «მექანიკური» და «მონისტური» მუდმივად ტოლმნიშვნელოვნად ხმარობს, და რომ, მისი აზრით, «თანამედროვე ფიზიოლოგია... თავის ასპარეზზე მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიურ ანუ, ს ი ტ ყ ვ ი ს ფ ა რ თ ო გ ა გ ებ ი თ, მექანიკურ ძალებს აძლევს ბოქმედების ნებას» (Perigenesis)[3].

როცა მე ფიზიკას მოლეკულების მექანიკას ვუწოდებ, ქიმიას—ატომების ფიზიკას და შემდეგ ბიოლოგიას—ცილათა ქიმიას, ამით მე მინდა გამოვხატო ერთი მეცნიერების მეორეში გადასვლა, მაშასადამე, მინდა გამოვხატო როგორც მათ შორის არსებული კავშირი, უწყვეტელობა, ასევე ორივეს განსხვავება, დისკრეტობა. ამაზე კიდეე უფრო შორს წასვლა, ქიმიის გამოხატვა როგორც ასევე ერთგვარი მექანიკისა, მე დაუშვებლად მიმაჩნია. მექანიკა, გინდ ფართო და გინდ ვიწრო გაგებით, იცნობს მხოლოდ რაოდენობებს, იგი იკვლევს სიჩქარეებსა და მასებს, ხოლო უკეთეს შემთხვევებში, მოცულობებს. იქ, სადაც მას გზად ხვდება სხეულთა თვისებრიობა, როგორც, მაგალითად, ჰიდროსტატიკასა და აერო-

[1] — ე. ი. «ანტი-დიურინგის» ტექსტში, პირველი ნაწილის VII თავის დასაწყისში. რ ე დ.

[2] ენგელსს მხედველობაში აქვს შენიშვნა ჟურნალში «Nature» (1877 წ. 15 ნოემბრისა), რომელშიც მოკლედ იყო გადმოცემული კეკულეს მოხსენება. რ ე დ.

[3] ენგელსი იმოწმებს ჰეკელის ნაშრომს: «Die Perigenesis der Plastidule oder die Wellenzeugung der Lebensteilchen. Ein Versuch zur mechanischen Erklärung der elementaren Entwickelungs-Vorgänge», Berlin 1876 («პლასტიდულების პერიგენეზისი, ანუ ცოცხალ ნაწილაკთა ტალღისებური გაჩენა. ცდა განვითარების ელემენტარული პროცესების მექანიკური ახსნისთვის, ბერლინი 1876). ხაზგასმა ენგელსისაა. რ ე დ.

სტატიკაში, მას არ შეუძლია მოლეკულურ მდგომარეობათა და მოლეკულურ მოძრაობათა განხილვის გარეშე იოლად წავიდეს, და თვით ისიც აქ ჯერ მხოლოდ დამხმარე მეცნიერებას, ფიზიკის წანამძღვარს წარმოადგენს. ფიზიკაში კი, ხოლო კიდევ უფრო მეტად ქიმიაში, არა მარტო ადგილი აქვს მუდმივ თვისებრივ ცვალებადობას რაოდენობრივ ცვლილებათა შედეგად, ე. ი. რაოდენობის გადასვლას თვისებრიობაში, არამედ საჭირო ხდება აგრეთვე ისეთ უამრავ თვისებრივ ცვლილებათა განხილვა, რომელთა რაოდენობრივი ცვალებადობით განპირობებულობა სრულებით დადგენილი არაა. შეიძლება ხალისით დავეთანხმოთ იმას, რომ მეცნიერების თანამედროვე მიმდინარეობა ამ მიმართულებით მოძრაობს, მაგრამ ეს მაინც იმას არ ამტკიცებს, რომ იგი განსაკუთრებით სწორია და ფიზიკასა და ქიმიას ა მ ო ვ წ უ რ ა ვ თ, თუ ამ მიმდინარეობას გავყვებით. ყოველი მოძრაობა შეიცავს მექანიკურ მოძრაობას, მატერიის დიდი ან წვრილი ნაწილების ადგილგადანაცვლებას; ამ მექანიკურ მოძრაობათა შემეცნება მეცნიერების პ ი რ ვ ე ლ ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ მხოლოდ პ ი რ ვ ე ლ ამოცანას. მაგრამ ეს მექანიკური მოძრაობა ვერ ამოწურავს მოძრაობას საზოგადოდ. მოძრაობა მარტო ადგილგადანაცვლება როდია, ზემექანიკურ სფეროებში იგი თვისებრიობის ცვლილებაცაა. ეპოქის შემქმნელი იყო [მეცნიერებაში] ის აღმოჩენა, რომ სითბო ერთგვარ მოლეკულურ მოძრაობას წარმოადგენს. მაგრამ მე თუ სითბოს შესახებ მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია, გარდა იმისა, რომ იგი მოლეკულათა გარკვეული ადგილგადანაცვლებაა, მაშინ უკეთესია გავჩუმდე. როგორც ჩანს, ქიმია სწორ გზას ადგას იმისათვის, რომ ატომური წონისადმი ატომური მოცულობის დამოკიდებულებით ახსნას ელემენტთა ქიმიური და ფიზიკური თვისებების მთელი რიგი. მაგრამ არც ერთი ქიმიკოსი არ შეუდგება იმის მტკიცებას, რომ რომელიმე ელემენტის ყველა თვისება ამომწურავად გამოიხატება მისი ადგილით ლოტარ მაიერის[1] მრუდში, რომ მარტო ამით ოდესმე შეიძლება აიხსნას, მაგალითად, ნახშირ-

[1] «ლოტარ მაიერის მრუდი» ეწოდება იმ მრუდს, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ელემენტთა ატომურ წონასა და მათს ატომურ მოცულობას შორის. ლ. მაიერის სტატია «Die Natur der chemischen Elemente als Funktion ihrer Atomgewichte» («ქიმიურ ელემენტთა ბუნება როგორც მათი ატომური წონის ფუნქცია») გამოქვეყნდა 1870 წელს. ქიმიურ ელემენტთა პერიოდული კანონის აღმოჩენა ეკუთვნის დიდ რუს მეცნიერს დ. ი. მენდელეევს, რომელმაც პირველად ჩამოაყალიბა ეს კანონი 1869 წელს სტატიაში «ელემენტთა ატომურ წონასთან თვისებათა თანაფარდობის შესახებ». რ ე დ.

ბადის თავისებური თვისებები, რომლებიც მას ორგანული სიცოცხლის მთავარ მატარებლად ხდის, ანდა ფოსფორის აუცილებელი არსებობა ტვინში. მიუხედავად ამისა, «მექანიკური» კონცეფცია სწორედ აქამდე მიდის. ყოველგვარ ცვალებადობას ის ადგილგადანაცვლებით ხსნის, ყველა თვისებრივ განსხვავებას ხსნის რაოდენობრივი განსხვავებით, ვერ ამჩნევს, რომ თვისებრიობისა და რაოდენობრიობის ურთიერთობა თანაზიარია, რომ თვისებრიობა ისევე გადადის რაოდენობაში, როგორც რაოდენობა თვისებრიობაში, რომ აქ ადგილი აქვს ურთიერთმოქმედებას. თუ თვისებრიობის ყველა განსხვავება და ცვლილება რაოდენობრივ განსხვავებებსა და ცვლილებებზე, მექანიკურ ადგილგადანაცვლებაზე დაიყვანება, მაშინ ჩვენ აუცილებლად მივალთ იმ დებულებამდე, რომ მთელი მატერია ი დ ე ნ ტ უ რ ი უწვრილესი ნაწილაკებისაგან შედგება, და რომ მატერიის ქიმიურ ელემენტთა ყველა თვისებრივი განსხვავება გამოწვეულია რაოდენობრივი განსხვავებებით, ამ უწვრილეს ნაწილაკთა განსხვავებებით მათი რიცხვისა და სივრცებრივი დაჯგუფების მიხედვით ატომებად შეერთების დროს. მაგრამ აქამდე ჩვენ ჯერ კიდევ არ მივსულვართ.

მხოლოდ ის გარემოება, რომ ჩვენი თანამედროვე ბუნების მკვლევარნი არ იცნობენ სხვა ფილოსოფიას, გარდა იმ უორდინარესი ვულგარული ფილოსოფიისა, რომელიც დღეს გერმანიის უნივერსიტეტებშია გავრცელებული, ნებას აძლევს მათ ამდაგვარად იხელმძღვანელონ ისეთი გამოთქმებით, როგორიც არის «მექანიკური», მასთან ისე, რომ ისინი ანგარიშს არ უწევენ ანდა გუმანიც კი არა აქვთ იმისა, თუ ამით აუცილებლად რა დასკვნებს იღებენ კისრად. მატერიის აბსოლუტური თვისებრივი იგივეობის თეორიას ხომ თავისი მიმდევრები ჰყავს; ემპირიულად მისი უარყოფა ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება მისი დამტკიცება. მაგრამ თუ ვკითხავთ იმ ადამიანებს, რომელთაც სურთ ყველაფერი «მექანიკურად» ახსნან, შეგნებული აქვთ თუ არა მათ ამ დასკვნის აუცილებლობა და აღიარებენ თუ არა მატერიის იგივეობას, რამდენ სხვადასხვანაირ პასუხს მოვისმენთ ამ საკითხზე!

ყველაზე კომიკური ისაა, რომ «მატერიალისტურისა» და «მექანიკურის» გათანაბრება ჰ ე გ ე ლ ი დ ა ნ მოდის; ჰეგელს «მექანიკურის» ეპიტეტით მატერიალიზმის დამცირება სურდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჰეგელის მიერ გაკრიტიკებული მატერიალიზმი—ᲩᲔ-18 საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი—მართლაც განსაკუთრებით მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი იყო და მხოლოდ იმ ფრიად ბუნებრივი მი-

ზეზით, რომ მაშინ ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია ჯერ კიდევ არტახებში იყვნენ და ჯერ კიდევ ძალიან შორს იყვნენ იმისაგან, რომ ბუნებაზე რაიმე ზოგადი შეხედულების საფუძვლად გამომდგარიყვნენ. სწორედ ასევე ჰეგელისაგან სესხულობს ჰეკელი გამოთქმა causae efficientes თარგმანს=«მექანიკურად მოქმედი მიზეზები» და causae finales=«მიზანშეწონილად მოქმედი მიზეზები»; მაგრამ ჰეგელს აქ სიტყვა «მექანიკურში» ესმის ბრმად, შეუგნებლად მოქმედი და არა «მექანიკური» ჰეკელის გაგებით. ამასთანავე თვითონ ჰეგელისათვის მთელი ეს დაპირისპირება იმდენად დაძლეულ თვალსაზრისს წარმოადგენს, რომ იგი მას ერთხელაც ა რ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ს თავის «ლოგიკაში» მიზეზობრიობის ორგზის გაშუქების ჟამს და მას მხოლოდ «ფილოსოფიის ისტორიაში» ეხება, იქ, სადაც იგი გვხვდება როგორც ისტორიული ფაქტი (მაშასადამე, ჰეკელს აქ წმინდა წყლის გაუგებრობა აქვს ზერელობისა გამო!) და სრულიად გაკვრით იხსენიებს ტელეოლოგიის განხილვის დროს («ლოგიკა», III, II, 3)[1] როგორც ისეთ ფორმას, რომელშიაც ძ ვ ე ლ ი მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ა მექანიზმისა და ტელეოლოგიის დაპირისპირებას აყალიბებდა. მაგრამ სხვამხრივ იგი ამ დაპირისპირებას განიპილავს როგორც უკვე დიდიხნის დაძლეულ თვალსაზრისს. ამრიგად, ჰეკელმა აქ შეცდომით გადმოიწერა ჰეგელი, თანაც, ჩანს, უხაროდა, რომ მან თავისი «მექანიკური» კონცეფციის დადასტურება იპოვა, და ამით იმ საუცხოო შედეგამდე მიდის, რომ როდესაც ბუნებრივი შერჩევით ამა თუ იმ ცხოველს ან მცენარეს რაიმე გარკვეული ცვლილება უჩნდება, მაშინ ეს causa efficiens-სის წყალობით ხდება; ხოლო თუ ეგევე ცვლილება ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი შერჩევით არის გამოწვეული, მაშინ იგი causa finails წყალობით ხდება! ზოოტექნიკოსი არის causa finalis! რასაკვირველია, ჰეგელის ყალიბის დიალექტიკოსი causa efficiens-ის და causa finalis ვიწრო დაპირისპირების ფარგლებში არ შეიძლება დაბნეულიყო. ხოლო მეცნიერების განვითარების დღევანდელი სტადიისათვის მთელ უნაყოფო ყბედობას ამ დაპირისპირების შესახებ ბოლოს უღებს ის გარემოება, რომ ჩვენ ცდიდან და თეორიიდან ვ ი ც ი თ, მატერია და მისი არსებობის ფორმა—მოძრაობა შეუქმნადი არიან და, მაშასადამე, თავიანთ საკუთარ საბოლოო მიზეზებს წარმოადგენენ; მაშინ როდესაც სამყაროს მოძრაობის ურთიერთმოქმედებაში იმ ცალკეულ მიზეზებს, რომლებიც დროის ცალკეულ მომენტებში და

[1] ენგელსს მზედეველობაში აქვს ჰეგელის «დიდი ლოგიკის» მესამე წიგნი («მოძღვრება ცნებაზე»), განყ. II, თავი III. რ ე დ.

ცალკეულ ადგილებში თავის იზოლირებას ახდენენ ანდა ჩვენი აზრის მიერ არიან იზოლირებული, სრულიად არავითარი ახალი განსაზღვრა არ ემატება, არამედ მხოლოდ არევ-დარევის შემტანი ელემენტი შეაქვს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მათ მ ო ქ მ ე დ მიზეზებს ვუწოდებთ. მიზეზი, რომელიც არ მოქმედებს, სულაც მიზეზი არაა.

NB. მატერია, როგორც ასეთი, აზრის წმინდა ქმნილება და აბსტრაქციაა. ჩვენ განვეყენებით ნივთების თვისებრივ განსხვავებებს, როდესაც ჩვენ მათ როგორც სხეულებრივად არსებულთ გავაერთიანებთ მატერიის ცნებაში. მაშასადამე, მატერია როგორც ასეთი, გარკვეული, არსებული მატერიებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს რაღაც გრძნობად არსებულს. როდესაც ბუნებისმეცნიერება მიზნად ისახავს გამოიძიოს ერთსახოვანი მატერია როგორც ასეთი და თვისებრივი განსხვავებები დაიყვანოს უწვრილესი იდენტური ნაწილაკების შეერთებათა გზით შექმნილ წმინდა რაოდენობრივ განსხვავებებზე, მაშინ იგი ისევე იქცევა, თითქოს ალუბლის, მსხლის, ვაშლის ნაცვლად სურდეს იხილოს ხილი როგორც ასეთი, ხოლო კატების, ძაღლების, ცხვრების და ა. შ. ნაცვლად, იხილოს ძუძუმწოვარი ცხოველი როგორც ასეთი,—აირი როგორც ასეთი, ლითონი როგორც ასეთი, ქვა როგორც ასეთი, ქიმიური შეერთება როგორც ასეთი, მოძრაობა როგორც ასეთი. დარვინის თეორია მოითხოვს ამგვარ პირველადს ძუძუმწოვარ ცხოველს, ჰეკელის Promammale, მაგრამ ამავე დროს უნდა აღიაროს, თუ კი იგი ჩ ა ნ ა ს ა ხ შ ი შეიცავდა ყველა მომავალ და ამჟამად არსებულ ძუძუმწოვარ ცხოველებს, მაშინ სინამდვილეში იგი ყველა ამჟამად არსებულ ძუძუმწოვარ ცხოველზე დაბლა იმყოფებოდა და პირველყოფილ სიტლანქეში იყო, ამიტომ ის უფრო სწრაფ წარმავალი იქნებოდა, ვიდრე ყველა ისინი. როგორც უკვე ჰეგელმა («ენციკლოპედია», I, გვ. 199)[1] დაამტკიცა, ეს შეხედულება, ეს «ცალმხრივი მათემატიკური თვალსაზრისი», რომლის თანახმადაც მატერია განისაზღვრება მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით, ხოლო თვისებრივად იმთავითვე ერთგვაროვანად განიხილება, «სხვა არა არის რა», თუ არა მე-18 საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის «თვალსაზრისი». იგი უკან, პითაგორასკენ, გადადგმულ ნაბიჯსაც კი წარმოადგენს; უკვე პითაგორა რიცხვს, რაოდენობრივ განსაზღვრულობას განიხილავდა როგორც ნივთთა არსს.

---

1 ენგელსს მხედველობაში აქვს ჰეგელის «მცირე ლოგიკის» 199 გვ. ჰეგელის თხზულებათა გერმანული გამოცემის VI ტომში (ბერლინი, 1840 ან 1843). რ ე დ-

საგანთა საძიებელი

ა

ა ბ ს ო ლ უ ტ ი ზ მ ი — 202.

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა — იხ. ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა.

ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ა — 47, 49, 113, 403, 448, 454; რეალობა და ა. — 404; მათემატიკური ა. — 445 — 446, 448 — 449.

ა გ რ ე გ ა ტ უ ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ნ ი — 16, 54, 76, 77, 150.

ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა — 21, 24, 28 — 30, 50—51, 99, 401—403, 444; ა. და ცნობიერება — ადამიანის ტვინის პროდუქტები — 44; ა. — ორგანული სიცოცხლის უმაღლესი პროდუქტი — 405; ა. და არსი — 43, 50 — 51, 442, 449; ა. კანონები — 394, 401; ა. კანონები და ბუნების კანონები — 44; ა. ფორმები — 43, 401; დიალექტიკური აზროვნება — იხ. დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა; თეორიული აზროვნება — 394, 442; ადამიანური ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს სუვერენობა—102 — 103; წინააღმდეგობა აზროვნების განვითარებაში — 102 — 103, 144: ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ისტორიული განვითარება — 394—395; აზროვნების მეტაფიზიკური წესი — იხ. მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ა.

ა ლ ქ ი მ ი ა — 315.

ა ნ ა ბ ა პ ტ ი ს ტ ე ბ ი — 23.

ა ნ ა ლ ი ზ ი — 163; ანალიზი და სინთეზი — 51.

ა ნ ა რ ქ ი ა — საზოგადოებრივი წარმოების ანარქია კაპიტალიზმის დროს — 20, 193, 322, 328, 334, 337, 338, 353; საზოგადოებრივი წარმოების ანარქიის მოსპობა სოციალიზმის დროს — 337 — 338, 340.

ა ნ ა რ ქ ი ზ მ ი — 335.

ა ნ ტ ა გ ო ნ ი ზ მ ი — 165, 167, 316, 347; კლასთა ანტაგონიზმი — 322.

ა ნ ტ ი ნ ო მ ი ე ბ ი (კანტის) — 59.

ა პ რ ი ო რ ი ზ მ ი, დ ი უ რ ი ნ გ ი ს ა პ რ ი ო რ უ ლ ი მ ე თ ო დ ი ს კ რ ი ტ ი კ ა — 42 — 49, 50 — 55, 113 — 121, 403.

ა რ მ ი ა — იხ. ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ქ მ ე.

ა რ ს ე ბ ა — 54—55, 146, 454.

ა რ ს ი — 43, 50 — 55, 62; არსის ძირითადი ფორმები — 62; არსი და აზროვნება — 43, 50 — 51, 442, 449. — იხ. ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა.

ა ს ა ხ ვ ა — 27 — 28, 113, 378 — 380, 400, 401, 414 — 415.

ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა — 97, 98, 409.

ა ს ტ რ ო ნ ო მ ი ა —68, 73, 103, 448.

ა ტ ო მ ი — 72, 91, 395, 446; ატომის მოძრაობის ფორმები — 72; ატომისტიკა — 398; ატომური წონა — 369, 395, 447; ატომი და ქიმიური მოქმედება — 91.

ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა — 34, 55, 135, 336; იხ. აგრეთვე თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა.

ა ქ ს ი ო მ ე ბ ი — 48, 50, 113, 116, 117, 179, 403; მათემატიკური აქსიომები — 48, 402, 404, 443.

ა ქ ც ი ო ნ ე რ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა, ა ქ ც ი ო ნ ე რ უ ლ ი კ ო მ პ ა ნ ი ა — 330, 331, 340.

ა ღ ზ რ დ ა — 375; ა. კაპიტალიზმის დროს — 350 — 351; აღზრდა და

შრომა სოციალისტურ საზოგადოებაში — 352, 353, 386; ფურიე და ოუენი აღზრდის შესახებ სოციალიზმის დროს — 350 — 351; დიურინგის შეხედულების კრიტიკა აღზრდაზე — 381 — 386.

ბ

ბაზარი — 34, 229, 239—241, 271, 319 — 323, 327, 339, 344, 372; მსოფლიო ბაზარი — 225, 243, 324, 342, 365.

ბატონყმური დამოკიდებულება — 126, 429.

ბიოლოგია — 15, 17, 91, 105, 450, 453.

ბირჟა — 174, 331.

ბიძგი — ბიძგი მექანიკაში — 74; «პირველი ბიძგი» — 29, 64 — 65, 71.

ბრძოლა არსებობისათვის — 81, 89, 324, 334, 337.

ბუნება — ბუნებას აქვს თავისი ისტორია დროში — 32, 68; ადამიანის ბატონობა ბუნებაზე — 136 — 137, 210 — 211, 337; იხ. აგრეთვე დიალექტიკა და ბუნებისმეცნიერება.

ბუნებათმეცნიერება — 13—18, 26, 53, 66, 81, 87, 393 — 394, 400; თეორიული ბუნებათმეცნიერება — 9, 13, 16, 29, 395 — 399; ემპირიული ბუნებათმეცნიერება — 18, 394, 398; ბუნებათმეცნიერების განვითარება — 26; ბუნებათმეცნიერება და მატერიალიზმი — 32. ბუნებათმეცნიერება და დიალექტიკა — იხ. დიალექტიკა და ბუნებათმეცნიერება; ბუნებათმეცნიერება და ისტორია — 26.

ბუნების მექანიკური გაგება — 449—454.

ბურჟუაზია — 20, 22, 186, 318; ბურჟუაზია და ფეოდალიზმი — 22, 124, 193, 194, 317, 318; ბურჟუაზიის განვითარების ისტორია — 193, 305, 316 — 318; ბურჟუაზია და პროლეტარიატი — 32, 33, 127, 189, 195, 304, 306, 309, 322, 339; ბურჟუაზიის ეკონომიური, პოლიტიკური და გონებრივი გაკოტრება — 336.

გ

გადასვლები — გადასვლები და კავშირები ბუნებაში — 65 — 67.

გადატრიალება — 124, 338 — 340, 353; სოციალურ და პოლიტიკურ გადატრიალებათა მიზეზები — 191 — 195, 316; სოციალისტური გადატრიალება — 186, 229, 332 — 334.

განაწილება — 174 — 177, 181, 184 — 186, 220, 237, 357, 429 — 431; განაწილების წესები და კლასები — 174 — 175, 316; წინააღმდეგობანი განაწილებაში — 174 — 175; განაწილების უთანასწორობა — 176, 190.

განვითარება — 14—16, 127, 213, 215, 423; განვითარების თეორია — 88 — 90; განვითარება დროში — 15; განვითარება ბუნებაში და ადამიანთა საზოგადოებაში — 28 — 31, 213 — 216, 229; ადამიანის აზროვნების განვითარების ისტორია — 14.

განმანათლებლები — XVIII ს. ფრანგი განმანათლებლები — 20—21, 178, 310.

განსჯა (ჭკუა) — 403.

გაღიზიანება — 98, 409, იხ. აგრეთვე შეგრძნება.

გაცვლა — 124, 173 — 181, 191 — 192, 270, 316, 322 — 323, 367 — 368, 371 — 372; წარმოება და გაცვლა — იხ. წარმოება.

გეოლოგია — 104, 107; უარყოფის უარყოფა გეოლოგიაში — 162.

გეომეტრია — 164, 402, 444.

გლეხთა ომი გერმანიაში — 23, 127, 410.

გლეხობა — 125, 201, 319; გლეხობა და სათემო მიწის მფლობელო-

ბა—191 — 192; თავისუფალი გლეხები — 209; გლეხობა და მონათა შრომა — 189 — 190, 208; თავისუფალი გლეხების გადაქცევა ყმა-გლეხებად — 421, 430; გლეხობა და მსხვილი მიწათმფლობელობა — 209, 430; გლეხობა და ფეოდალიზმი — 125, 323; გლეხი როგორც წარმოების საშუალებათა მესაკუთრე შუა საუკუნეებში — 318; გლეხობა კაპიტალიზმის დროს — 303, 321—322.

დ

დაგროვება — 326 — 327, 374; კაპიტალის პირვანდელი დაგროვება — 158.

დადებითი და უარყოფითი — 27 — 28, 55.

დაპირისპირებულნი — 16 — 18, 27, 56, 70, 108, 167, 175 — 176, 414; ურთიერთგამსჭვალავი დაპირისპირებანი—28; პოლარული დაპირისპირებანი — 18, 108. დაპირისპირებული პოლუსები — 28.

დარვინიზმი — 81 — 89. 406.

დეიზმი — 80, 86, 87.

დემოკრატია — ანტიკური დემოკრატია — 410; ბურჟუაზიული-დემოკრატიული რესპუბლიკა — 22; ბურჟუაზიული დემოკრატია 1848 წ. — 201.

დესპოტიზმი — აღმოსავლური დესპოტიზმი — 191, 212, 214.

დეფინიციები — 98, 408.

დიალექტიკა — 13, 18, 25, 28—29, 33, 55, 75, 141 — 143, 145 — 147, 159 — 160, 192, 394 — 397, 415, 442; დიალექტიკის განსაზღვრა—168, 443; მოძრაობის დიალექტიკური კანონები — 14—16, 205, 443; ბუნების მოვლენების დიალექტიკური ხასიათი — 16—18, 396; დიალექტიკური აზროვნება—18, 25, 31, 145, 396, 397; დიალექტიკის ფორმა — 396 — 397; ლოგიკა და დიალექტიკა — 32, 107; მატერიალისტური დიალექტიკის დაპირისპირებულობა ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკასთან — 30 — 32, 397 — 400; იხ. აგრეთვე კანონი, მატერიალიზმი და მეთოდი.

დიალექტიკა და ბუნებათმეცნიერება — 28—29, 396.

დინამიკური — იხ. სტატიკური და დინამიკური.

დიფერენციალი — 163 — 164, 446 — 447.

დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა— 143, 161, 163 — 164, 168, 415 — 417, 442 — 449.

დრო — 47, 57, 60 — 61; სივრცე და დრო — ყოველგვარი არსებობის ბირითადი ფორმები — 62; დროის უსასრულობა — 59 — 61; დროის ცნება და ნამდვილი დრო — 62—63; დრო და ცვლილება — 63; დრო როგორც შრომის საზომი — 371—374; სამეშო დრო—126, 215. 222, 227 — 228, 241—242, 246, 352, 368, 372.

ე

ევოლუციური თეორია — 15. 17 — 18.

ეკვივალენტი — 192, 370; იხ. აგრეთვე ფული.

ეკლექტიზმი — 396.

ეკონომიკა და პოლიტიკა — 124 — 125, 188 — 189, 193 — 195, 256. 306 — 307, 420 — 425.

ეკონომიური სტრუქტურა საზოგადოებისა — 33 — 34; იხ. აგრეთვე ზედნაშენი.

ელექტრობა — 17, 71, 79, 405.

ემანსიპაცია — ქალთა ემანსიპაცია როგორც საზომი საერთო ემანსიპაციისა ფურიეს მიხედვით — 308.

ემბრიოლოგია — 88, 383.

ემპირიკოსები — 15 — 16; ინგლისური ემპირიზმი — 19.

ენერგია — კინეტიკური ენერგია— 17; პოტენციალური ენერგია — 17; მოლეკულური ენერგია — 76 — 77; ენერგიის შენახვის კანონი — 17; ენერგიის გარდაქმნის კანონი — 17.
ექსპლოატაცია — 34, 159, 180, 230, 246 — 247, 329 — 330, 332, 342 — 343, 353.
ექსპროპრიაცია ექსპროპრიატორების—155, 159.

ვ

ვაჭრობა — 124 — 125, 191, 194, 282, 303, 327; მსოფლიო ვაჭრობა— 124 — 125, 174, 195, 243.

ზ

ზედმეტი ღირებულება— 34, 224, 231, 240 — 247, 249 — 252, 258 — 260, 300.
ზედნაშენი—სამართლის და პოლიტიკური დაწესებულებები როგორც ზედნაშენი, გაპირობებული საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურით — 33; ფილოსოფია, რელიგია, ხელოვნება, როგორც ზედნაშენი — 33, 105.
ზოგადი და კერძო — 26, 27.
ზომა — 374; მოძრაობის საზომი — 74 — 75; იხ. აგრეთვე ზომათა თანაფარდობის საკვანძო ხაზი, დრო, შრომა და ფული.
ზომათა თანაფარდობის საკვანძო ხაზი — 54, 79, 150.
ზოოლოგია — 88.

თ

თავადაზნაურობა — 22, 193 — 195.
თავისუფლება — თავისუფლება და აუცილებლობა—128, 134—135, 338, 340; ნამდვილი თავისუფლება სოციალიზმის დროს — 137, 340, 351 — 352, 380; იხ. აგრეთვე თანასწორობა.
თავისუფალი ვაჭრობა — 279, 281, 425; იხ. აგრეთვე ფრიტრედერთა სკოლა.
თანასწორობა — 22, 121 — 122, 409 — 413; თანასწორობის იდეის განვითარება — 121 — 128; ბურჟუაზიული თანასწორობა — 22, 124 — 128, 412; თანასწორობის პროლეტარული მოთხოვნა — 126— 127, 412.
თემი — 174 — 175, 207 — 216, 370, 410, 420; პირველყოფილი თემი — 123, 190 — 191, 207, 211 — 212; პირველყოფილი თემის დაშლა—176, 192, 216, 373; რუსული თემი — 373, 428.
თეორია — 304; ევოლუციის თეორია — იხ. ევოლუციური თეორია; კანტის თეორია მზის სისტემის წარმოშობაზე — 16, 68; აირების კინეტიკური თეორია — 17; სითბოს მექანიკური თეორია — იხ. სითბო; XVIII ს. კომუნისტური თეორიები — 23.
თვისებრიობა— 17, 451 — 454; კანონი რაოდენობის თვისებრიობაში და თვისებრიობის რაოდენობაში გადასვლისა — 54 — 55, 149—153, 451 — 454; თვისებრივი ცვლილებები — იხ. ცვლილება; თვისებრივი ნახტომი — იხ. ნახტომები.

ი

იარაღი — 196—205, 427, 432 — 441.
იგივეობა — 66, 143, 452—454; აბსოლუტური იგივეობა არ შეიძლება თავისთავად მივიდეს ცვლილებამდე — 66; აზროვნებისა და არსის იგივეობა ჰეგელთან — 52.
იდეა — იდეები — სინამდვილის ასახვა — 401; იდეების დამოკიდებულება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე — 413; «იდეა» ჰეგელთან — 31, 399.

ი დ ე ა ლ ი ზ მ ი — 33, 165, 415, 428; იდეალიზმი ისტორიის გაგებაში — 33; მოვლენათა ნამდვილი კავშირების დამახინჯება იდეალიზმის მიერ— 30—31, 400; ჰეგელის ფილოსოფიის მცდარი იდეალისტური გამოსავალი წერტილი — 398 — 399.

ი დ ე ო ლ ო გ ი ა — 44, 114, 402.

ინ დ ი ვ ი დ უ უ მ ი — ცხოველთა ინდივიდუუმი — 17 — 18; ინდივიდუალური თავისებურებანი და ბრძოლა არსებობისათვის — 82; ინდივიდუალური ცვლილებები — 84; ინდივიდუუმი და გვარი — 443; იხ. აგრეთვე პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა.

ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ა — იხ. ს ა კ უ თ რ ე ბ ა.

ინ დ უ ს ტ რ ი ა — იხ. მრეწველობა.

ი ს ტ ო რ ი ა—33, 111—112, 399, 441—413; დიალექტიკური შეხედულება ისტორიაზე — 13, 33; ისტორიის მატერიალისტური გაგება — 13, 31 — 35, 316; ბუნებას აქვს თავისი ისტორია დროში — 32; კაცობრიობის ისტორია — 13 — 14, 26, 30—31, 42 — 43, 102, 105—106, 136 — 138, 210, 378 — 379; მთელი წინანდელი ისტორია, პირველყოფილი მდგომარეობის გამოკლებით კლასთა ბრძოლის ისტორია იყო — 33; ადამიანის აზროვნების განვითარების ისტორია — 14; ლოგიკური პრინციპები აბსტრაპირებულნი არიან ბუნებიდან და ისტორიიდან — 43; უარყოფის უარყოფის კანონი ისტორიაში — 164—168, 414—416; ადამიანების მიერ თავიანთი ისტორიის შეგნებული შექმნა · სოციალიზმის დროს — 337 — 338; ისტორიის იდეალისტური გაგება — 33; ისტორიის მეტაფიზიკური გაგება — 33.

კ

კ ა ვ შ ი რ ი — 26, 27, 31 — 32, 399—400; შინაგანი კავშირი — 30; სისტემატური კავშირი — 45; ბუნების კავშირები — 43 — 44, 394 — 395; ბუნებრივი კავშირი — 26; ისტორიული კავშირი — 26, 315 — 316; მსოფლიო კავშირი — 45 — 46; საყოველთაო კავშირი — 394, 397; კავშირთა ფორმები — 47.

კ ა ნ ო ნ—დიალექტიკური აზროვნების კანონები — 18, 31; დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი — 28, 62; რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლის კანონი — 55, 150—153; უარყოფის უარყოფის კანონი — იხ. უ ა რ ყ ო ფ ა; ბუნების კანონები — 44, 167, 178; მოძრაობის კანონები — იხ. მ ო ძ რ ა ო ბ ა; ენერგიის შენახვის კანონი, ენერგიის გარდაქმნის კანონი —იხ. ე ნ ე რ გ ი ა; ბოილის კანონი— 108, 369; კაცობრიობის განვითარების პროცესის კანონზომიერება—31; საქონლური წარმოების ეკონომიური კანონები — 375, 431; პოლიტიკური ეკონომიის კანონები — იხ. პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა.

კ ა პ ი ტ ა ლ ი — 32, 34, 148 — 159, 180, 183, 238, 239, 240 — 242, 243 — 260, 325 — 330, 339; კაპიტალის პირველადი დაგროვება — იხ. დ ა გ რ ო ვ ე ბ ა; ფულის გადაქცევა კაპიტალად — იხ. ფ უ ლ ი; მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი — 148 — 149; მოგება კაპიტალზე — იხ. მ ო გ ე ბ ა; კაპიტალის კონცენტრაცია— 158, 176, 331.

კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი — 318 — 335; იხ. აგრეთვე წ ა რ მ ო ე ბ ა, წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი, მ ი თ ვ ი ს ე ბ ა, მ ო ხ მ ა რ ე ბ ა, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო.

კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი—108; ჰეგელიანური კატეგორიები «თავისთავად» და «თავისთვის» — 70.

კერძო და ზოგადი — იხ. ზოგადი და კერძო.

კერძო საკუთრება — იხ. საკუთრება.

კინეტიკური თეორია აირებისა — 17.

კლასები—22—23, 32, 111,165—186, 304, 316, 326, 335 — 336, 340, 350; საზოგადოებრივი კლასები — ეკონომიურ ურთიერთობათა პროდუქტი — 33; კლასების წარმოშობა — 210 — 215; კლასების დაპირისპირებულობა — 20 — 22, 112, 174 — 175, 185, 215 — 216, 302, 303, 304, 306—307, 316, 339, 372; კლასების მოსპობა—112, 126—127, 185, 336, 340; კლასთა ბრძოლა და სამხედრო საქმის ორგანიზაცია—196 — 205; ფიზიოკრატები კლასების შესახებ — 290—296; იხ. აგრეთვე საზოგადოება.

კლასიფიკაცია და ევოლუციური თეორია — 17.

კლასობრივი ბრძოლა— 32 — 33, 316; ისტორიის ძველი, იდეალისტური გაგება არ იცნობდა არავითარ კლასობრივ ბრძოლას, რაც მატერიალურ ინტერესებზეა დაფუძნებული — 33.

კომუნიზმი — 15, 23, 312 — 313; კომუნისტური მსოფლმხედველობა — 11 — 12; სტიქიური მუშური კომუნიზმი — 360, იხ. აგრეთვე სოციალიზმი.

კონკურენცია — 253, 255, 303, 322, 339; თავისუფალი კონკურენცია — 32, 175, 330.

კონსტიტუცია — 21, 127.

კოოპერაცია — 151, 155, 158, 318, 338.

კრიზისი — სამრეწველო კრიზისი — 327 — 328, 331 — 332, 341—344; ფულის კრიზისი — 428; საგაჭრო კრიზისი — 193.

ლ

ლატიფუნდიები— 208, 424.

ლეველერები — 23.

ლიონის აჯანყება — 32.

ლოგიკა — 107; ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა — 32, 159 — 160, 394, 395; ფორმალური ლოგიკა და მათემატიკა — 48, 160 — 161; ჰეგელის ლოგიკა — 43, 54, 79.

მ

მაგნეტიზმი — 71, 79, 405.

მათემატიკა — 14 — 16, 46—49, 60 — 62, 103, 160—161, 402—404, 447 — 448; მათემატიკური მიმართებანი — 160; მათემატიკა წარმოშვა ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობებიდან — 47; ელემენტარული მათემატიკა — 145, 160; უმაღლესი მათემატიკა — 144, 160, 163; მათემატიკური აქსიომა — იხ. აქსიომა; მარქსის მათემატიკური ხელნაწერები — 16.

მალთუსიანელობა—81—83, 89.

მანუფაქტურა — 125, 151, 269, 317, 320, 338; ხელოსნობიდან მანუფაქტურაზე გადასვლა — 125, 193 — 194, 324, 349; მანუფაქტურა და მსხვილი მრეწველობა — 309, 318.

მანქანა—222, 325 — 327, 339, 350; ორთქლის მანქანა — 136 — 137, 173, 354, 370; სართავი მანქანა — 318;

მარადიული ჭეშმარიტება — იხ. ჭეშმარიტება.

მარკა — 207, 323, 430.

მატერია — 70 — 73, 453 —454; მატერია მოძრაობის გარეშე ისევე წარმოუდგენელია, როგორც მოძრაობა მატერიის გარეშე — 72; მატერიის შეუქმნადობა და მოუსპობადობა — 72, 78, 453; მატერიის აღნაგობა—447; განუწყვეტელი და დისკრეტული მატერია — 447—449; მატერიის ფორმათა უსასრულობა—68, 70; მატერიის მოძრაობის უმაღლესი

ფორმები — 144; მატერია და აზროვნება — 164.
მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი — 31, 43 — 44, 164, 401 — 403, 415; სამყაროს ნამდვილი ერთიანობა მის მატერიალურობაშია — 53; დიალექტიკური მატერიალიზმი — 13 — 14, 32; პირველდაწყებითი სტიქიური მატერიალიზმი — 164, 415; XVIII ს. ფრანგული მატერიალიზმი — 31, 442, 452 — 454.
მ ე თ ო დ ი — 18, 28, 160; დიალექტიკური მეთოდი — 28 — 29, 147, 400.
მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ო ბ ა — 82, 84—86, 407.
მ ე რ კ ა ნ ტ ი ლ ი ზ მ ი — 272 — 273, 275 — 278.
მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ა — 18, 27 — 29, 74—75, 164, 168—169, 396—397, 442—443; აზროვნების მეტაფიზიკური წესი — 25 — 28, 68, 143, 145, 396; ისტორიის მეტაფიზიკური გაგება — 33; მეტაფიზიკური შეხედულება ბუნებაზე — 29; XVII და XVIII სს. მეტაფიზიკა — 397.
მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი — იხ. ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა.
მ ე ქ ა ნ ი კ ა — 15, 47, 67, 73 — 74, 79, 103, 444, 447 — 450; მექანიკური ძალა — იხ. ძ ა ლ ა; მასების მექანიკა — 79; ცის სხეულების მექანიკა — 79; სტატიკურისა და დინამიკურის მიმართება მექანიკაში — 74; მექანიკა იცნობს მხოლოდ რაოდენობას — 450.
მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი მ უ შ ა ო ბ ა — 74.
მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ნ ი — მეცნიერებათა სამი კლასი—103, 107; «მარადიული ჭეშმარიტებანი» ზუსტ მეცნიერებებში—103—105; «მარადიული ჭეშმარიტებანი» ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელ მეცნიერებებში—104 — 105; «მარადიული ჭეშმარიტებანი» ისტორიულ მეცნიერებებში — 105 — 107; მეცნიერება აზროვნების შესახებ — 107, 394:
მ ზ ი ს ს ი ს ტ ე მ ა — 16, 29, 68—69, 398, 447 — 448.
მ თ ე ლ ი — 45, 397: მთელი და ნაწილი — 48.
მ ი ზ ა ნ ი — 80, 85.
მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ო ბ ა — 85—86.
მ ი ზ ე ზ ო ბ რ ი ო ბ ა — 26 — 27, 274, 453 — 454; მიზეზობრიობა მეტაფიზიკური გაგებით — 27; მიზეზობრიობა დიალექტიკური გაგებით — 28 — 29; საზოგადოებრივი მიზეზები და ადამიანთა შეგნებული საქმიანობა სოციალიზმის დროს — 337; მიზეზობრიობა პოლიტიკურ ეკონომიაში — 379; მიზეზობრიობა ბიოლოგიაში — 81 — 85, 104.
მ ი ზ ი დ უ ლ ო ბ ა — 15, 68, 91.
მ ი თ ვ ი ს ე ბ ა — 251, 336; მითვისება შუა საუკუნეების სასაქონლო წარმოებაში — 320; კაპიტალისტური მითვისება — 320 — 322, 333, 338, 421; სასაქონლო წარმოების მითვისების კანონის გადაქცევა კაპიტალისტური მითვისების კანონად — 192; გადაუხდელი შრომის მითვისება — 34, 192, 224, 231, 246 — 248; წარმოების კაპიტალისტური წესი და მასზე დაფუძნებული წესი მითვისებისა — 243, 247 — 248; წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის — იხ. წ ა რ მ ო ე ბ ა; მითვისების წესი სოციალისტურ საზოგადოებაში — 332 — 333, 336.
მ ი თ ო ლ ო გ ი ა — 378 — 379.
მ ი ლ ი ტ ა რ ი ზ მ ი — მილიტარიზმი და ლანდვერის პრუსიული სისტემა — 200 — 202; მილიტარიზმი და 1848 წ. ბურჟუაზიული დემოკრატია — 201 — 202; დიალექტიკა მილიტარიზმის განვითარებაში — 201.
მ ი მ ა რ თ ე ბ ა ნ ი — ნამდვილი სხეული-

ბისაგან აბსტრაჰირებული მიმართებანი—48; სივრცითი მიმართებანი — იხ. სივრცე. იხ. აგრეთვე რაოდენობა და მათემატიკა.
მიწათმფლობელობა — თემური მიწათმფლობელობა—174, 206—207, 420 — 421, 424; მსხვილი მიწათმფლობელობა და მისი განვითარება — 207 — 208, 265, 303 — 304.
მოგება — 230 — 231, 247 — 248, 263, 267, 282; მოგება კაპიტალზე— 228, 230, 250, 254 — 256, 263 — 267; მეწარმის მოგება — 255 — 256; სავაჭრო მოგება — 251 — 252; მოიჯარის მოგება — 264 — 268.
მოლეკულა — 17, 71, 76 — 77, 79, 91, 104. 369, 444 — 446, 449— 450; მოლეკულური თეორია — 151.
მონარქია — 197.
მონეტარული სისტემა —273.
მონობა — 174, 183, 189 — 190, 213 — 215, 410, 418, 420; ანტიკური მონობა — 213; მონობა როგორც შრომის დანაწილების უმარტივესი ფორმა — 214; მონობა როგორც წარმოების ფორმა — 418.
მონოთეიზმი — 165, 379, 415.
მონოპოლია — 158, 183, 186, 193, 204, 224 —228, 245, 330, 336.
მორალი — 109 — 112, 119 — 120; მორალის კლასობრივი საფუძვლები — 111; ქრისტიანულ-ფეოდალური მორალი, ბურჟუაზიული მორალი, განმანათლებლური მორალი, პროლეტარული მორალი — 111; მორალი და სამართალი — 134, 179, 181.
მორწყვა — ხელოვნური მორწყვის როლი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში — 211.
მოუხმარებლობა — იხ. მოხმარება.
მოძრაობა — 26, 66 — 67, 70 — 73, 453; მოძრაობა არის მატერიის არსებობის ფორმა — 70—72, 78, 404, 453; მოძრაობის შეუქმნადობა და მოუსპობლობა — 17, 72, 78, 453; მოძრაობა არის წინააღმდეგობა — 144; მოძრაობა თავის საზომს ნახულობს თავის საწინააღმდეგოში, უძრაობაში — 74—75; მოძრაობა და წონასწორობა — 72, 75—76; მოძრაობის კანონი — 17; მოძრაობის რაოდენობა — 17, 72; აქტიური და პასიური მოძრაობა — 72; მოძრაობის ფორმები — 17, 72, 77, 144; მექანიკური მოძრაობა — 71, 405, 450; მოლეკულური მოძრაობა — 67, 72, 104, 354, 446, 451; მოძრაობა როგორც თვისებრიობის შეცვლა — 451; მოძრაობის უმაღლესი ფორმები — 144; მოძრაობის ეკონომიური ფორმა — 177.
მოხმარება — 192, 241 — 242, 326—327, 336, 370 — 371; მოხმარება კაპიტალიზმის დროს — 336— 337; მოუხმარებლობა — 342 — 344.
მრეწველობა — 124, 190 — 191, 194 — 195, 197, 204, 210, 304, 324, 351, 356—357; ხელოსნური მრეწველობა — 124, 190, 194; მსხვილი მრეწველობა — 32, 151, 176, 186, 204 — 205, 207, 304, 309, 324, 351, 353 — 354, 357; სამრეწველო გადატრიალება — 309 — 310, 338.
მსოფლიო — იხ. სამყარო.
მსოფლმხედველობა — 160, 165, 398. კომუნისტური მსოფლმხედველობა — იხ. კომუნიზმი.
მუშათა ბაზრები ოუენისა— 312 — 313.
მუშათა მოძრაობა — 32 — 33.
მყოფობა — 27.
მცენარე — 93 — 94.

შ ც ე ნ ა რ ე ე ბ ი ს ა დ ა ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე თ ა ც ვ ა ლ ე ბ ა დ ობ ა — 81 — 84.

ნ

ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა — 175, 194—195.
ნ ა ტ უ რ ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა — 14—15, 18, 43, 50, 56, 64, 67, 78, 170, 398, 448.
ნ ა წ ი ლ ი დ ა მ თ ე ლ ი — იხ. მ თ ე ლ ი.
ნ ა ხ ტ ო მ ე ბ ი — 79, 338, 448; თვისებრივი ნახტომი — 54.
ნ ე ო კ ა ნ ტ ი ა ნ ე ლ ო ბ ა — 396 — 398.
ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა — 15; იხ. აგრეთვე მ ა ტ ე რ ი ა.
«ნ ი ვ თ ი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ» — 75, 396.
ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა თ ა ც ვ ლ ა — 95—98, 407 — 408.
ნ ი ს ლ ო ვ ა ნ ე ბ ა — პ ი რ ვ ე ლ დ ა უ ყ ე ბ ი თ ი ნ ი ს ლ ო ვ ა ნ ე ბ ა — 68 — 70.

ო

ო მ ე ბ ი—საბერძნეთ-სპარსეთის ომები — 190; გლეხთა ომი გერმანიაში — 23, 127, 410; ოცდაათწლიანი ომი — 117, 218; სავაჭრო ომები XVII და XVIII ს.ს. — 324; ამერიკის ომი დამოუკიდებლობისათვის — 198; პრუსიის სამხედრო დამარცხებანი 1806 და 1807 წ.წ.—117, 255, 438, ნაპოლეონის ომები—153, 199, 302, 307; ყირიმის ომი—1853—1856 წწ. — 203; საფრანგეთ—პრუსიის ომი 1870 წ. — 200, 201.
ო რ გ ა ნ ი ზ მ ი — 17 — 18, 28, 81, 86, 91 — 92, 94.
ო რ გ ა ნ უ ლ ი ს ა მ ყ ა რ ო — 29, 79, 86.
ო ქ რ ო დ ა ვ ე რ ც ხ ლ ი — 124, 166, 282, 365.
ო ჯ ა ხ ი — შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი ო ჯ ა ხ ი ს შ ი გ ნ ი თ—212—213; ოჯახის შრომის მწარმოებლურობის ზრდა და საზოგადოების განვითარება — 229; შუასაუკუნეობრივი წარმოება და ოჯახი — 319 — 320, 323; მანქანური წარმოება და მუშის ოჯახი — 325; ოჯახის რღვევა კაპიტალიზმის დროს — 309; დიურინგის შეხედულების კრიტიკა ოჯახზე — 381, 386 — 390.

პ

პ ა ლ ე ო ნ ტ ო ლ ო გ ი ა — 88, 383.
პ ა ნ თ ე ი ზ მ ი — 80.
პ ა რ ტ ი ა — პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს პ ა რ ტ ი ა რ ო გ ო რ ც ყ ვ ე ლ ა ზ ე რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ი პ ა რ ტ ი ა ი ს ტ ო რ ი ა ს ი — 218; პ ა რ ტ ი ა დ ა ს ა მ ხ ე დ რ ო მ ო მ ზ ა დ ე ბ ა — 419.
პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა — პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს დ რ ო ს — 348 — 349; პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს დ რ ო ს — 336 — 337, 352.
პ ო ლ ი ტ ი კ ა, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი დ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წ ყ ო ბ ა — 106, 114—116, 124—125, 193 — 195, 204 — 205. 216 — 217, 256, 304, 413, 421; პოლიტიკური ბატონობის წარმოშობა — 210 — 212; იხ. აგრეთვე ე კ ო ნ ო მ ი კ ა დ ა პ ო ლ ი ტ ი კ ა.
პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა — 12, 81, 115, 227, 247. 265, 269, 272, 280, 298, 367, 369, 400, 428; პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს ს ა გ ა ნ ი დ ა მ ე თ ო დ ი — 173 — 178; პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა მ ე ტ ა დ ფ ა რ თ ო გ ა გ ებ ი თ — 173, 177; პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა მ ე ტ ა დ ვ ი წ რ ო გ ა გ ებ ი თ — 178; პ ო ლ ი ტ. ე კ ო ნ ო მ ი ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი — 173 — 174; პ ო ლ ი ტ. ე კ ო ნ ო მ ი ი ს კ ა ნ ო ნ ებ ი — 173—174, 177—178; წ ი ნ ა ბ ა ტ რ ე ფ ა ზ ი უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა — 178; კ ლ ა ს ი კ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი

ეკონომია — 19, 247—248, 268—269; ვულგარული პოლიტიკური ეკონომია — 227 — 230, 247, პოლიტ. ეკონომიის ლიბერალისეული გაგების კრიტიკა — 177 —185, 220—232, 254 — 260, 298 — 300, 428—429.

პრინციპი — პრინციპები მხოლოდ იმდენადაა სწორი, რამდენადაც ისინი შეესატყვისებიან ბუნებასა და ისტორიას — 43; თანასწორობის პრინციპი და მისი ისტორიული ხასიათი — 410—413.

პროდუქტი — 192, 229 — 230, 242 — 243, 246 — 247, 319 — 322, 326, 333, 336 — 339, 352, 370 — 374; შრომის პროდუქტი ძველ თემებში — 370; შრომის პროდუქტი შუასაუკუნოებრივ საზოგადოებაში — 319 — 320, 323, 338; შრომის პროდუქტის გადაქცევა საქონლად — 191, 319, 338, 367 — 368; პროდუქტის ღირებულების ფორმა — 371; საზოგადოებრივი შრომის პროდუქტი კაპიტალიზმის დროს — 319, 338 — 339, 367—368; ზედმეტი პროდუქტი კაპიტალიზმის დროს — 192, 242 — 243, 246 — 247, 252 — 254, 258, 267; მუშათა შრომის პროდუქტის გადაქცევა მათი დამონების იარაღად — 325 — 326; საზოგადოებრივი პროდუქტი სოციალიზმის დროს — 155 — 156, 336 —337.

პროლეტარიატი — პროლეტარიატის განვითარების ისტორია — 22, 158 — 159, 195, 304, 309, 324 — 325; დაპირისპირებულობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის — 304; კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის — 32 — 33; პროლეტარიატი და კომუნისტური მსოფლმხედველობა — 11; კლასების მოსპობის პროლეტარული მოთხოვნა — 126, 185 — 186, 412; წარმოების ანარქიის მოსპობა პროლეტარიატის მიერ — 325.

პროტესტანტიზმი — 110.

პროტისტები — 86, 92.

პროტოპლაზმა — 15, 87, 406.

პროცენტი (სარგებელი) — 247, 248, 250—252, 278—279, 282—284.

პროცესი — 17, 29 — 30, 34, 242, 353, 394 — 396; განვითარების პროცესი როგორც უარყოფის უარყოფის კანონის დადასტურება — 159, 167 — 168; ანტაგონისტური პროცესები — 167.

რ

რაოდენობა — 17, 53 — 55, 454; რაოდენობრივი ცვლილებები — იხ. ცვლილება; რაოდენობრივი ურთიერთობანი—47; იხ. აგრეთვე თვისებრიობა.

რასა — 84.

რეალობა — რეალური სამყაროდან აბსტრაჰირებული კანონები — 47; რეალური ურთიერთობანი და მათემატიკა — 48 — 49.

რევოლუცია — XVII ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია — 23, 194; ამერიკის ბურჟუაზიული რევოლუცია (ომი დამოუკიდებლობისათვის) — 199; XVIII ს. დასასრულის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია—23, 194, 199, 217, 302, 305, 411; 1848 წ. რევოლუცია — 217; პროლეტარული სოციალისტური რევოლუცია — 340.

რელიგია — 87, 110, 306, 378 — 380, 383, 414; ეკონომიურ ურთიერთობათა ფანტასტიკური ასახვა რელიგიაში — 378 — 380; იხ. აგრეთვე ქრისტიანობა.

რენტა — მიწის რენტა — 225—227, 248, 250 — 252, 263 — 268, 279, 426; მიწის რენტის თეორია

კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში — 265 — 268.
რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა — 18.
რ ი ც ხ ვ ი — 46 — 47, რიცხვითი მწკრივი — 61; რიცხვი პითაგორას მოძღვრებაში — 454.

ს

ს ა ა მ ქ რ ო ე ბ ი — 125, 194, 217, 255 — 256, 317, 320 — 323.
ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა—20, 106, 114, 122, 337, 354, 364—365, 402; საზოგადოების განვითარება — 229; საზოგადოება განისაზღვრება ეკონომიური ურთიერთობებით — 414; საზოგადოების გაყოფა კლასებად — 175, 309, 316, 335 — 336; საზოგადოების განვითარება კლასობრივ წინააღმდეგობებში — 112, 210, 214 — 215, 220, 246; მონათმფლობელური საზოგადოება — 189 — 190; ფეოდალური საზოგადოება — 124 — 126, 317 — 318, 323, 338; საქონლის მწარმოებელთა საზოგადოება — 233, 322, 367; ბურჟუაზიული საზოგადოება — 124—126, 302 — 304, 308, 331 — 332, 379; კაპიტალისტური საზოგადოება — 328 — 331; უკლასო საზოგადოება— 112, 137; სოციალისტური საზოგადოება—330; იხ. აგრეთვე ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი; XVIII ს. ფრანგი ფილოსოფოსების მოთხოვნა «გონიერი საზოგადოებისა» — 302.
ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ა — იხ. ს ა კ უ თ რ ე ბ ა.
ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი — 21, 105, 114—115, 178 — 179, 334, 413.
«ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა» რ უ ს ო ს ი—22, 302.
ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ს ა წ ა რ მ ო ო დ ა ს ა რ ე ზ ე რ ვ ო ფ ო ნ დ ი — 229 — 231.
ს ა კ უ თ რ ე ბ ა — 22, 166, 191—193, 220, 321, 340, 345, 365; სათემო ს ა კ უ თ რ ე ბ ა— 106, 164, 191—192, 414, 420—421; ინდივიდუალური ს ა კ უ თ რ ე ბ ა—155—159; კერძო ს ა კ უ თ რ ე ბ ა—111, 123, 155—159, 191—193, 318, 415; მიწის ს ა კ უ თ რ ე ბ ა — 207, 248, 429; წერილი ს ა კ უ თ რ ე ბ ა — 303; საზოგადოებრივი ს ა კ უ თ რ ე ბ ა წარმოების საშუალებებზე — 155, 336 — 337, 415; სახელმწიფოებრივი ს ა კ უ თ რ ე ბ ა— 330 — 331, 340.
ს ა მ ა რ თ ა ლ ი — 105, 113, 122 — 124, 128 — 134, 171, 179 — 180, 207 — 208, 413, 425 — 426; სამართლის დაწესებულებანი როგორც ზედნაშენი—33; რომის სამართალი — 123, 134; ფრანგული სამართალი — 129—131, 134, 208; ინგლისური სამართალი—130—131, 134, 208; პრუსიის საერობო სამართალი — 129 — 134, 171, 268, 357.
ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა — «სამარადისო სამართლიანობის» ცნება განმანთლებლებთან — 22; სამართლიანობის ცნების ისტორიული ხასიათი — 106 — 107; იხ. აგრეთვე თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა.
ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ ო მ უ ნ ა დ ი უ რ ი ნ გ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ («ს ო ც ი ა ლ ი ტ ე ტ ი»), მისი ბურჟუაზიული, ექსპლოატატორული არსი— 235 — 236, 238, 344 — 345; 358—366, 373 — 375, 385 — 390, 427—428, 431 — 432.
ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ს ა რ ე ზ ე რ ვ ო ა რ მ ი ა — 325 — 326, 339, 372.
ს ა მ უ შ ა ო დ ღ ე — 228 — 230, 235 — 236, 259, 309.
ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა — იხ. ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ა და ს ა ქ ო ნ ე ლ ი.

სამყარო — 48, 56—60, 402; სამყარო როგორც დაკავშირებული მთელი — 46 — 47, 403.

სამყაროს მატერიალურობა — იხ. მატერიალიზმი.

სამხედრო საქმე, ომი და საწარმოო ძალთა განვითარება — არმიისა და ფლოტის დამოკიდებულება ეკონომიურ პირობებზე — 196 — 205, 426 — 427; სამხედრო საქმის მატერიალური საფუძვლები — 433 — 441; სამხედრო გემთმშენებლობა და მსხვილი მრეწველობა — 203, 204; საზოგადოებრივი ურთიერთობანი და არმიის ორგანიზაცია — 196 — 203; ხაზობრივი წყობა — 432 — 441; კოლონა — 432 — 441; მთელი ხალხის შეიარაღების რევოლუციური სისტემა — 200 — 202; 440; სამხედრო სწავლება — 201 — 202, 419; იხ. აგრეთვე სტრატეგია.

საქონელი — 191 — 192, 233 — 235, 239 — 243, 284, 319, 322 — 323, 368 — 370; საქონლის განსაზღვრება — 367—368; შრომის პროდუქტების გადაქცევა საქონლად — 192, 367; საქონლის საზოგადოებრივი ხასიათი — 367; სამუშაო ძალა როგორც საქონელი — 34, 241 — 243, 371 — 372.

საქონლის მიმოქცევა — 181, 192, 239, 328.

საწარმოო ძალები — 186, 195, 211 — 212, 214, 304, 315, 317, 328 — 333, 336, 340, 352. 424; საწ. ძალების განვითარება კაპიტალიზმის დროს, კონფლიქტი საწ. ძალებსა და წარმოების წესს შორის — 317 — 318, 327 — 328; საწ. ძალების განვითარება სოციალიზმის დროს — 337 — 338.

სახე ბიოლოგიაში — 82, 84, 105; სახეთა წარმოშობა — 88; სახეთა ცვალებადობა — იხ. მცენარეებისა და ცხოველების სახეთა ცვალებადობა — 89; სახეთა განვითარება — 81, 89.

სახელმწიფო — 8, 122 — 126, 189, 193, 208, 213 — 215, 270, 375 — 378, 419; სახელმწიფოებრივი ძალაუფლების წარმოშობა — 211—214; სახელმწიფოს როლი კლასობრივ საზოგადოებაში — 175, 330—335, 423; მეტოქეობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის და მილიტარიზმი — 200 — 202; სახელმწიფო კაპიტალიზმი — 330 — 331, 340; პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში აღება — 333; სახელმწიფოს კვდომა — 334, 340; «ეროვნული სახელმწიფოს» მოთხოვნა XVIII ს. ფრანგ განმანათლებლებთან — 20 — 22, 302; «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს» ლოზუნგის კრიტიკა — 334.

სიდიდე — 444; მუდმივი და ცვლადი სიდიდე — 47; მუდმივ სიდიდეთა მათემატიკა — 145, 160; ცვლად სიდიდეთა მათემატიკა— 104, 145, 160; უარყოფითი სიდიდე — 145; წარმოსახვითი სიდიდეები — 47.

სივრცე — 55, 58 — 67; სივრცე და დრო — ყოველი არსის ძირითადი ფორმები — 62; სივრცის სამი განზომილება — 60 — 61; სივრცითი ფორმები — 47 — 49; სივრცითი მიმართებანი — 444.

სითბო — 17, 71 — 73, 79, 400, 405, 451; სითბოს მექანიკური თეორია — 67, 68, 73, 75 — 77, 395, 400; მექანიკური მოძრაობის სითბოდ გადაქცევის აღმოჩენა— 135 — 137; შებოჭილი სითბო — 75 — 76.

სიკეთე და ბოროტება — 110.

სინთეზი — იხ. ანალიზი.

სისტემა — სამყაროს ყველა კავშირთა სისტემა — 45; სამყარო

არის ერთიანი სისტემა — 403; სამყაროს კოპერნიკისეული სისტემა — 68 — 69.

სიცოცხლე — 71, 79, 91 — 98, 144, 405, 407 — 409; სიცოცხლის წარმოშობა — 87; სიცოცხლე არის ცილოვან სხეულთა არსებობის წესი — 96—97, 407 — 409.

სოფელი — იხ. ქალაქი.

სოციალიზმი — 20, 24, 33—35. 186, 237, 318, 337 — 338, 340; მეცნიერული ს. — 25, 35, 241, 340, 357, 415; სოციალიზმი და ისტორიის მატერიალისტური გაგება — 33—34; უტოპიური სოციალიზმი — 23 — 24, 33 — 34, 305—315; გამთანაბრებელი სოციალიზმი — 235; სტიქიური მუშური სოციალიზმი — 237; ფრანგული ს. — 23 — 24, 33; ინგლისური ს. — 24, 33; პირველი გერმანელი სოციალისტები— 24; გერმანული ს. — 9, 24; ეკლექტიკური ს. — 25; სოციალიზმი აუცილებელი შედეგია ისტორიულად წარმოშობილი ორი კლასის ბრძოლისა—33; წარმოება სოციალიზმის დროს — 332 — 334, 337 — 338, 340, 370 — 372; იხ. აგრეთვე წარმოების საშუალებანი; განაწილება სოციალიზმის დროს — 237 — 238; საზოგადოებრივი საკუთრება და ინდივიდუალური საკუთრება სოციალიზმის დროს — 155 — 157; სოფელსა და ქალაქს შორის დაპირისპირების მოსპობა სოციალიზმის დროს — იხ. ქალაქი; შრომა სოციალიზმის დროს— იხ. შრომა; აღზრდა სოციალიზმის დროს — იხ. აღზრდა; პიროვნება სოციალიზმის დროს — იხ. პიროვნება.

სოციალისტი-უტოპისტები— იხ. უტოპისტები.

სპირიტუალისტები — 52, 415.

სტატიკური და დინამიკური — 71, 73, 78.

სტრატეგია — 197, 426 — 427, 433—441; იხ. აგრეთვე სამხედრო საქმე.

ტ

ტაქტიკა — იხ. სამხედრო საქმე და სტრატეგია.

ტელეოლოგია — 80, 453.

ტვინი — 44, 415, 452.

ტრედ-უნიონები — 313.

ტრესტი — 329 — 330, 340.

უ

უარყოფა — ისტორიული და დიალექტიკური უარყ. — 415; უარყოფის წესს გახსახლვრავს პროცესის ზოგადი და განსაკუთრებული ბუნება — 168; უარყოფის უარყოფა — 153 — 169, 414 — 416.

უარყოფითი — იხ. დადებითი და უარყოფითი.

უთანასწორობა — 115 — 117, 122, 165 — 166, 190.

ურთიერთზემოქმედება — 26, 28, 29, 84.

უსასრულობა — 56; უსასრულობა არის წინააღმდეგობა — 61; უსასრულობა სივრცეში — 60; უსასრულობა დროში — 60; რიცხვთა მწკრივის უსასრულობა — 60, 61; მათემატიკური უსასრულის პირველსახეები ნამდვილ სამყაროში — 442 — 449; შემეცნების უსასრულო წინსვლითი მოძრაობა — 103, 144; «ცუდი» უსასრულობა — 56, 63.

უტოპისტები — 23 — 25, 305—316, 350 — 351; უტოპიური სოციალიზმი — იხ. სოციალიზმი.

უძრაობა — 74 — 75; უძრაობა და მოძრაობა — 27 — 28, 74, 143 — 144; უძრაობისა და მოძრაობის დაპირისპირებულობის შეფარდებითი

ხასიათი — 72 — 73, 74 — 75, 404—405; იხ. აგრეთვე მოძრაობა.
უჯრედი — 15, 17 — 18, 28, 91 — 93, 105; უჯრედის ბირთვი — 91 — 92; ტრაუბეს ხელოვნური უჯრედი— 96, 408.

ფ

ფაბრიკა— 318, 325, 339, 352 — 355, 386.
ფარდობითობა — 18, 72, 102, 368 — 371; ყოველგვარი უძრაობისა და ყოველგვარი წონასწორობის ფარდობითობა — 72; შემეცნების ფარდობითობა—იხ. შემეცნება.
ფასი — 241; სამუშაო ძალის ფასი— 259; მონოპოლიური ფასი — 223—225.
ფეოდალიზმი — 24, 124, 177, 197, 208, 303, 323, 338 , 424; ფეოდალიზმი და ბურჟუაზია — 22 — 25, 126, 193 — 195, 317 — 318.
ფიზიკა — 10, 103, 104, 109, 395, 444, 449 — 451, 453; მოლეკულათა ფიზიკა — 79; ატომების ფიზიკა — 79.
ფიზიოკრატები — 280, 287, 290, 298; კენეს «ეკონომიური ცხრილი» — 287 — 288; კლასები ფიზიოკრატებთან — იხ. კლასები.
ფიზიოლოგია — 28.
ფილოლოგია — 383 — 384.
ფილოსოფია — 18, 45, 72, 161, 316, 395, 396 — 397; ფილოსოფია როგორც ზედნაშენი — 33, 105; ბერძნული ფილოსოფია, ანტიკური ფილოსოფია — 25 — 26, 164, 397—398, 415; გვიანდელი ეპოქის ბერძნული ვულგარული ფილოსოფია — 379; ინგლისური ფილოსოფია—25; XVIII ს. ფრანგული ფილოსოფია — 20 — 22, 25, 302; გერმანული ფილოსოფია — 13, 25, 29, 398; ფილოსოფია და ბუნებათმეცნიერება— 165, 452; ფილოსოფიის ისტორია როგორც უარყოფის უარყოფის კანონის დადასტურება — 164 — 165.
ფლოგისტონი — 401.
ფრიტრედერ'თა სკოლა — 400.
ფული — როგორც საზოგადოებრივი შრომის უშუალო განხორციელება— 369; ფული როგორც ღირებულების საზომი — 272, 282; ფული როგორც საყოველთაო ეკვივალენტი — 240; ფული როგორც გაცვლის საშუალება — 174, 362 — 364; ლითონის ფული — 174, 364; მსოფლიო ფული — 364 — 365; ქაღალდის ფული —225, 277; ფულის გადაქცევა კაპიტალად — 239 — 245; ფულის იუმისეული თეორია — 280 — 285; ოუენის «სამუშაო ფული» — 363.

ქ

ქალაქი — ქ. და სოფელი — 347, 349 — 350, 355 — 357, 424; დიდი ქალაქები — 356; დაპირისპირებულობა ქალაქსა და სოფელს შორის კაპიტალიზმის დროს — 349; ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირების მოსპობა სოციალიზმის დროს — 350 — 352, 355.
ქიმია — 10, 71, 79, 98, 103, 104, 151—152, 395, 405, 415, 444—454; ნივთიერებათა ცვლა ქიმიაში—95 — 96; ფიზიოლოგიური ქიმია—95; ცილის ქიმიზმი — 79, 96 — 98.
ქრისტიანობა — 119, 123, 206, 410, 415; იხ. აგრეთვე მორალი.

ღ

ღირებულება — 149, 221 — 238, 240 — 243, 273 — 275; ღირებულება და შრომა — 233, 236, 367—368; ღირებულება — საზოგადოებრივი შრომის გამოხატულება—226, 236, 367 — 368, 372; ღირებულების სიდიდე — 222; ღირებულების

კანონი — 125, 253, 427; საქონლის ღირებულება — 226 — 227, 233—234, 367; ღირებულება და საქონელთა გაცვლა — 367, 372 — 373; ღირებ. და ფული — იხ. ფ უ ლ ი; კეთილშობილ ლითონთა ღირებულება — 282 — 284; სამუშაო ძალის ღირებულება — 34, 213, 372, 442; ღირებულება კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში — 273 — 275; ღირებულება ვულგარულ ეკონომიაში — 227 — 228.

ყ

ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა — 33.

შ

შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა — 94 — 95, 98, 139.

შ ე გ უ ე ბ ა — 84 — 85, 406 — 407.

შ ე მ ე ც ნ ე ბ ა — 17, 393; შემეცნების შეფარდებითობა — 100 — 109; 144.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ო ბ ა — 24. შემთ. და კანონზომიერება — 30; ისტორიული მოვლენების მოჩვენებითი შემთხვევითობა — 14.

შ ე რ ჩ ე ვ ა ბ უ ნ ებ რ ი ვ ი — 81 — 89, 405; შერჩევა ხელოვნური — 81 — 82.

შ რ ო მ ა — შრომა როგორც ადამიანური არსებობის ბუნებრივი პირობა — 352; მონური შრომა — 189—190; ბატონყმური შრომა — 421; საზოგადოებრივი შრომა — 319, 335, 367 — 372; ადამიანური შრომა საერთოდ — 125, 367 — 368; შრომა როგორც ყველა ღირებულებათა საზომი — 226 — 227; გასაგნობრივებული შრომა — 236; საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა—125, 227, 233, 367 — 368; მუშარმოელური შრომა — 222, 335, 352, 428; მარტივი შრომა — 233 — 234, რთული შრომა — 233 — 235, 238; დაქირავებული შრომა — 192, 215, 318 — 319, 420 — 421; ზედმეტი შრომა — 242 — 243, 246, 258 — 259, 300; შ რ ო მ ი ს დანაწილება—იხ. შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა; შრომის განსაზოგადოებრივება — 158; დაპირისპირებულობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის კაპიტალიზმის დროს — 347—350; გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებულობის მოსპობა სოციალიზმის დროს—236—237, 352; შრომა სოციალიზმის დროს — 352, 370 — 371.

შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა — 151, 213 — 214, 270 — 271, 319, 346—353; შრომის დანაწილება და კლასები — 335 — 336; შრომის დანაწილება თემში — 191; შრომის დანაწილება მიწათმოქმედ ოჯახს შიგნით — 212 — 213; შრომის დანაწილება მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის — 213; შრომის დანაწილება და მანქანური წარმოება — 351 — 352; შრომის დანაწილება და ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან — 347 — 352, 357.

შ რ ო მ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა — 214.

ჩ

ჩ ა რ ტ ი ს ტ ე ბ ი — 32.

ც

ც დ ა — 46 — 48, 401, 415, 442 — 443; ცდის ისტორია — 414.

ც ვ ლ ი ლ ე ბ ა — 26 — 27, 53, 62—64, 84, 150, 152; დრო და ცვლილება — იხ. დ რ ო; თვისებრივი ცვლილება — 451 — 452; რაოდენობრივი ცვლილება — 451 — 452.

ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ა — რ უ ს ო ცივილიზაციის შესახებ — 166 — 167; ფ უ რ ი ე ცივილიზაციის შესახებ—307 — 308, 314, 422.

ც ი ლ ო ვ ა ნ ი ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა — 79, 91.

ც ნ ე ბ ა — 18, 46 — 47, 113; ცნება როგორც ცდის მონაცემების განზო-

გადოება — 18; ცნებები — საგანთა აზრობრივი ასახვანი — 27.

ცნობიერება—14, 19, 33, 51, 102, 406; ცნობიერება და ბუნება — 44.

ძ

ძალა — 15; მექანიკური ძალა — 17, 64, 70 — 73.

ძალმომრეობა—117, 187—196, 211 — 212, 217 — 218, 240, 255 — 256, 300, 419; ძალმომრეობა და ეკონომიური განვითარება — 180, 192, 196 — 197, 205, 216 — 217, 419 — 421, 423 — 427; ძალმომრეობის რევოლუციური როლი — 216 — 218, 419.

ძველი ენები — 383 — 384.

წ

წარმოება — 181 — 182, 194, 197, 323 — 327, 333 — 336, 340—357; წარმოების წესები — 34, 174 — 178, 190, 193, 243, 304, 316—328, 331—332, 352, 418, 421; წარმოების წესი და საზოგადოებრივი წყობა—175 — 176, 243; წარმოება და განაწილება — 175 — 176; წარმოება და გაცვლა — 173 — 177, 192, 316, 338; მიწის თემური საკუთრება და წარმოება — 164; წვრილი წარმოება ინგლისში — 158; წარმოება შუასაუკუნოებრივ საზოგადოებაში—318 — 320, 323; ამქრულ ხელოსნური წარმოება — 175; სასაქონლო წარმოება — 192, 319—323, 337—338, 369 — 370; კაპიტალისტური წარმოება — 34, 149, 176 — 178, 192, 317, 338 — 339; წინააღმდეგობა ცალკეულ ფაბრიკებში წარმოების ორგანიზაციასა და წარმოების ანარქიას შორის მთელ საზოგადოებაში — 324 — 325; კაპიტალისტური წარმოების კანონები — 177, 253, 322 — 323; წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის — 319 — 321, 324, 328, 338 — 339; წარმოება სოციალიზმის დროს — 332 — 333, 337, 351 — 352; იხ. აგრეთვე წარმოების საშუალებანი.

წარმოებითი ურთიერთობანი — 33, 181, 316 — 317, 421.

წარმოების საშუალებანი—წარმოების საშუალებათა წარმოება — 229; წარმოების საშუალებანი შუა საუკუნეებში — 318—320, 338; მწარმოებელის გამოყოფა წარმოების საშუალებებისაგან — 339; მონოპოლია წარმოების საშუალებებზე და ზედმეტი შრომა —183, 193; წარმოების საშუალებათა გადაქცევა კაპიტალად — 245 — 247, 328; წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია კაპიტალიზმის დროს, მისი შინაგანი წინააღმდეგობანი — 158, 318 — 321, 338; წარმოების საშუალებანი და კრიზისები—328—329; წარმოების საშუალებათა ბატონობა მწარმოებლებზე კაპიტალიზმის დროს — 349 — 351; წარმოების საშუალებანი სოციალიზმის დროს—332 — 333, 370 — 371, 330.

წარმოების წესი — იხ. წარმოება.

წინააღმდეგობა — 27, 143 — 144, 167, 185, 414 — 416, 418; უსასრულობის წინააღმდეგობა — 60 — 62; წინააღმდეგობა მათემატიკაში — 144; მოძრაობის წინააღმდეგობა — 143 — 144; წინააღმდეგობა მატერიის მოძრაობის უმაღლეს ფორმებში — 144; წინააღმდეგობა შემეცნების ამოცანასა და მის ყოველ ცალკეულ საფეხურზე. შემეცნების დაუმთავრებლობას . შორის—45—46, 102 — 104, 144; კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი — 339; წინააღმდეგობა წარმოების საზოგა-

დოებრივ ხასიათსა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის — იხ. წარმოება; ჰეგელის სისტემის შინაგანი წინააღმდეგობა — 30 — 31; წინააღმდეგობის დიურინგისეული გაგების კრიტიკა — 141 — 144.
წონასწორობა — 72, 75, 405; მექანიკური წონასწორობა — 72.

ჭ

ჭარბი წარმოება — 339, 341—343.
ჭეშმარიტება — 24, 102 — 109, 179; აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტება — 103 — 105, 107 — 109; «სამარადისო ჭეშმარიტებანი» — 100 — 101, 103 — 110.
ჭვრეტა — 397, 403.
ჭკუა — 403.

ხ

ხახუნი — ცეცხლის მიღება ხახუნით — 136 — 137.
ხელფასი — 149 — 150, 230 — 232, 236, 320; ხელფასის კანონი — 83, 374; ხელფასი და ზედმეტი შრომა — 257 — 258; კვალიფიციური მუშის ხელფასი — 238; ხელფასი და სამრეწველო სარეზერვო არმია — 325 — 326; ვულგარული პოლიტიკური ეკონომია ხელფასის საკითხში — 227 — 228.

ჰ

ჰიპოთეზა — ჰ. ფიზიკასა და ქიმიაში — 104 — 105; ჰიპოთეზა ცოცხალი ორგანიზმების შესწავლაში — 105.

სახელთა საძიებელი

ა

ანაქსაგორი (დაახლ. 500 — 428 ჩვ. წ.-მდე) — 21.

ანფანტენი ბარტელემი პროსპერ (1796 — 1864) — 39.

არისტოტელე (384 — 322 ჩვ. წ.-მდე) — 25, 105, 270, 271, 394, 418.

ბ

ბაბეფი გრაკხი (ფრანსუა ნოელ) (1760 — 1797) — 23, 39, 411, 419.

ბეკვრი კარლ ფერდინანდ (1775 — 1849) — 385.

ბეკონი ფრენსის (1561 — 1626) — 27, 397.

ბისმარკი ოტო ედუარდ (1815 — 1898) — 133, 330, 356, 380.

ბიუეო ტომა რობერ (1784—1849)— 439.

ბიუხნერი ლუდვიგ (1824 — 1899) — 396.

ბლანი ლუი (1811 — 1882) — 39, 376.

ბოგუსკი იოსებ იური (დაიბ. 1853)— 109.

ბოდო ნიკოლოზი (1730 — 1792)— 289.

ბოილი რობერტ (1627 — 1691) — 108, 369.

ბოპი ფრანც (1791 — 1867) — 384.

ბოსიუ შარლ (1730 — 1814) — 416.

ბუაგილბერი პიერ (1646—1714) — 269, 276, 277, 280.

გ

გალენი კლავდიუს (დაახლ. 131— 200) — 105.

გაუსი კარლ ფრიდრიხ (1777 — 1855) — 60.

გიბონი ედუარდ (1737 — 1794) — 286.

გიფენი რობერტ (1837—1910) — 337.

გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749 — 1832) — 113, 171, 383, 424.

გრიბოვალი ჟან ბატისტ (1715— 1789) — 199, 436.

გრიმი იაკობ ლუდვიგ კარლ (1785— 1863) — 384.

დ

დალტონი ჯონ (1766 — 1844) — 395.

დარვინი ჩარლზ (1809—1882) — 29, 38, 81 — 89, 95, 150, 170, 405, 454.

დეკარტე რენე (1596 — 1650) — 25, 64, 72, 145, 395.

დელეინი ანრი გუსტავ (1799 — 1876) — 439.

დემოკრიტე (დაახლ. 460 — 370 ჩვ. წ.-მდე) — 395.

დიდრო დენი (1713—1784) — 25.

დიოგენი ლაერციუს (დაახლ. III ს. პირველი ნახევარი) — 395.
დიტცი ფრიდრიხ (1794 — 1876) — 384.
დიურინგი ევგენი (1833 — 1921).

ე

ევკლიდე (IV—III ს. ჩვ. წ-მდე) — 219.
ეკატერინე II (1729 — 1796) — 421.
ენდრიუსი ტომას (1813 — 1895)— 404.
ენსი აბრაჰამ — 375.
ეპიკურე (დაახლ. 341 — 270 ჩვ. წ.-მდე) — 395.

ვ

ვაგენერი ჰერმან (1815—1889) — 286.
ვაგნერი რიხარდ (1813 — 1883)— 36, 138.
ვაიტლინგი ვილჰელმ (1808—1871) 24, 238, 362.
ვანდერლინტი იაკობ (გარდაიც. 1740) — 280, 281, 285.
ველინგტონი არტურ უელსლეი (1769 — 1852) — 427, 438 — 439.
ვირხოვი რუდოლფ (1821—1902)— 10, 18, 393.
ვიქტორია, ინგლისის დედოფალი (1819 — 1901) — 311.
ვოლფი ქრისტიან (1679 — 1754) — 397.

ი

იენსი მაქს (1837 — 1900) — 203, 427.
იუმი დავით (1711 — 1776) — 19, 148, 280 — 287, 298.

კ

კამპჰაუზენი ლუდოლფ (1803— 1890) — 129.
კანტი იმანუილ (1724 — 1804)—16, 29, 38, 59, 68 — 69, 78, 286, 309, 398.
კანტილიონი რიჩარდ. (1680 — 1734) — 284.
კარლეილი ტომას (1795 — 1881)— 303.
კარნო ნიკოლა ლეონარი სადი (1796 — 1832) — 401.
კაუფმანი კ. ბ. (1818 — 1882) — 120.
კეკულე ფრიდრიხ ავგუსტი (1829— 1896) — 395, 449, 450.
კენე ფრანსუა (1694 — 1774)—19, 287 — 298, 313.
კეპლერი იოჰან (1571 — 1630) — 15.
კერი ჰენრი (1793 — 1879) — 228, 263, 299, 425.
კირხჰოფი გუსტავ (1824 — 1887) 15.
კობეტი ვილიამ (1762 — 1835)—286.
კოლუმბი ქრისტეფორე (დაახლ. 1446 — 1506) — 324.
კონფუცი (კუნ-ფუ-ცზი) (დაახლ. 551—479 ჩვ. წ.-მდე) — 299.
კოპერნიკი ნიკოლოზ (1473 — 1543) — 69.
კრუპი ფრიდრიხ ალფრედ (1854— 1902) — 204.

ლ

ლავუაზიე ანტუან ლორან (1743— 1794) — 276, 401.
ლაიბნიცი გოტფრიდ ვილჰელმ (1646 — 1716) — 38, 161.
ლამარკი ჟან ბატისტ (1744 — 1829) — 38, 81, 88, 89.
ლანგეტალი ქრისტიან ედუარდ (1806 — 1878) — 430.
ლაპლასი პიერ სიმონ (1749—1827) — 29, 398.
ლასალი ფერდინანდ (1825—1864)— 40, 129, 130, 151.
ლასკერი ედუარდ (1829 — 1884)— 416.
ლაფარგი პოლ (1842—1911) — 13.

ლევერიე ურბენ ჟან ჟოზეფ (1811—1877) — 69.
ლევკიპე აბდერელი (V ს. ჩვ. წ.-მდე) — 395.
ლიბიხი იუსტუს (1803—1873) — 14.
ლიბკნეხტი ვილჰელმ (1826—1900) 391.
ლინეი კარლ (1707 — 1778) — 31.
ლისტი ფრიდრიხ (1789 — 1846) — 272, 299.
ლოკი ჯონ (1632 — 1704) — 19, 27, 276, 279, 283, 284, 397.
ლორანი ოგიუსტ (1807 — 1853) — 151.
ლოუ ჯონ (1671 — 1729) — 276, 277, 280.

მ

მაბლი გაბრიელ ბონო (1709—1785) — 20, 23.
მაიერი იულიუს რობერტ (1814 — 1878) — 73.
მაიერი ლოტარ (1830 — 1895) — 451.
მაკიაველი ნიკოლო (1469 — 1527) 427.
მაკლეოდი ჰენრი (1821—1902) — 299.
მალთუსი ტომას რობერტ (1766—1834) — 81, 82.
მალპიგი მარჩელო (1628—1694) — 105.
მანტეიფელი ოტო ტეოდორ (1805 — 1882) — 48.
მარქსი კარლ (1818 — 1883)—11—16, 19, 35, 40, 55, 125, 127, 128, 146—157, 159, 167, 178, 184, 192, 217, 227, 231 — 241, 243—254, 258—260, 269, 280—282, 300, 317, 318, 326, 344, 345, 349, 354, 362, 371, 381, 386, 399, 400, 420, 424, 426.
მასი ჯოზეფ (გარდ. 1784 წ.) — 281, 283.
მაურერი გეორგ ლუდვიგ (1790 — 1872) — 207.
მენდელეევი დიმიტრი ივანეს-ძე (1834 — 1907) — 109.
მენი ტომას (1571 — 1641) — 272 — 273.
მეტერნიხი კლემენს ვენცელ (1773 — 1859) — 330.
მინიე კლოდ ეტიენ (1814 — 1879) — 439.
მირაბო ონორე გაბრიელ (1749—1791) — 298.
მიხელეტი (Michelet) კარლ ლუდვიგ (1801 — 1893) — 44.
მიუნცერი ტომას (დაახლ. 1490—1525) — 23, 185.
მოლიერი ჟან ბატისტ (1622—1673) — 262.
მონტესკიე შარლ ლუი (1689 — 1755) — 282.
მორგანი ლიუის ჰენრი (1818—1881) — 13.
მორელი (XVIII ს.) — 20, 23.
მორი თომას (1478 — 1535) — 421.

ნ

ნაპოლეონ I ბონაპარტე (1769—1821) — 106, 130, 153, 199, 305, 311, 330, 419, 438.
ნეგელი კარლ ვილჰელმ (1817 — 1891) — 393.
ნიკოლსონი ჰენრი (1844—1899)—408.
ნიუტონი ისაკ (1642 — 1727) — 15, 31, 39.
ნორსი დადლი (1641—1692) — 19, 276—280.

ო

ოკენი ლორენც (1779 — 1851)—15.
ოუენი რობერტ (1771—1858) —23, 39, 176, 237, 304, 311—314, 350, 351, 365, 386.

პ

პეტრე I (1672 — 1725) — 421.
პეტი ვილიამ (1623—1687) — 19, 269, 273—280, 283—286.

პ ი თ ა გ ო რ ა (დაახლ. 571 — 497 ჩვ. წ.-მდე) — 404, 454.
პ ლ ა ტ ო ნ ი (დაახლ. 428 — 347 ჩვ. წ.-მდე) — 262, 270, 271.
პ ლ ი ნ ი უ ს უფროსი, გაიუს სეკუნდი (დაახლ. 24—79) — 209.
პ რ ი ს ტ ლ ი ჯოზეფ (1733 — 1804)— 401.
პ რ უ დ ო ნ ი პიერ ჟოზეფ (1809—1865) — 375.

ჟ

ჟ ე რ ა რ ი შარლ ფრიდრიხ (1816 — 1856) — 151.

რ

რ ა ფ ი გეორგ ქრისტიან (1748—1789) — 383.
რ ე ნ ი ო ანრი ვიქტორ (1810 —1878) — 108.
რ ი კ ა რ დ ო დავით (1772 — 1823)— 83, 116, 227, 228, 231, 250, 269, 299, 425.
რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი იოჰან კარლ (1805 — 1875) — 259, 343.
რ ო მ ა ნ ო ვ ი მიხეილ თეოდორეს-ძე (1596 — 1645) — 421.
რ ო ს კ ო ჰენრი ენფილდ (1833—1915) — 408.
რ ო ხ ო ვ ი გუსტავ ადოლფ (1792—1847) — 377.
რ ო ხ ო ვ ი ფრიდრიხ ებერჰარდ (1734 —1805) — 218, 219.
რ ო შ ე რ ი ვილჰელმ გეორგ ფრიდრიხ (1817—1894) — 271.
რ უ ს ო ჟან ჟაკ (1712—1778) — 22, 25, 116, 117, 122, 165, 167, 171, 180, 302, 376, 410, 416.

ს

ს ა რ გ ა ნ ტ ი უილიამ (1809—1889)— 314, 315, 366.
ს ე ი ჟან ბატისტ (1767—1832) — 181.
ს ე კ ი ანჯელო (1818—1878) — 414.
ს ენ-ს ი მ ო ნ ი ანრი (1760 — 1825) — 23, 30, 39, 176, 237, 303—307, 313.
ს ე რ ა ანტონიო (XVI ს.) — 272.
ს ი ს მ ო ნ დ ი სიმონდ დე (1773—1842) — 269, 343.
ს მ ი ტ ი ადამ (1723 — 1790) — 116 178, 228, 261, 263, 266, 271, 275, 283, 284, 287, 298, 425.
ს მ ი ტ ი გეორგ (1840 — 1876) — 87.
ს პ ი ნ ო ზ ა ბარუხ (ბენედიქტ) (1632—1677) — 25, 131, 168.
ს ტ ი უ ა რ ტ ი ჯემს (1712—1780) — 298, 299.
ს ტ ი უ ა რ ტ ე ბ ი (XVII — XVIII) — 299.
ს ტ რ უ ვ ე გუსტავ (1805 — 1870) — 141.

ტ

ტ ი უ რ გ ო ანი რობერტ ჟაკ (1727—1781) — 298.
ტ ო მ ს ო ნ ი ვილიამ (ლორდ კელვინი) (1824 — 1907) — 444.
ტ რ ა უ ბ ე მორიც (1826—1894) — 96, 408.
ტ რ ე ვ ი რ ა ნ უ ს ი გოტფრიდ რაინ-გოლდი (1776 — 1837) — 15.
ტ უ ვ ე ნ ე ნ ი ლუი ეტიენ (1791—1882) — 439.

უ

უ ო ლ პ ო ლ ი რობერტ (გრაფი ოქს-ფორდი) (1676—1745) — 285.

ფ

ფ ე რ ი ე ფრანსუა (1777—1861)—299.
ფ ი დ ი ა ს ი (დაახლ. 500 — 430 ჩვ. წ.-მდე) — 388.
ფ ი ხ ტ ე იოჰან გოტლიბ (1762—1814) — 38, 172.
ფ ო გ ტ ი კარლ (1817—1895)—15, 396.
ფ ო ი ერ ბ ა ხ ი ლუდვიგ (1804—1872) — 399.
ფ რ ი დ რ ი ხ II (1712—1786) — 198, 378, 435, 438.
ფ რ ი დ რ ი ხ ვ ი ლ ჰ ე ლ მ III (1770 — 1840) — 331.

ფ რ ი დ რ ი ხ ვ ი ლ ჰ ე ლ მ IV (1795 — 1861) — 217.
ფ უ რ ი ე ჟან ბატისტ ჟოზეფ (1768—1830) — 400.
ფ უ რ ი ე შარლ (1772—1837) — 23, 39, 176, 237, 303, 307—309, 314, 325, 328, 350, 351, 422.

ქ

ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე (დაახ. 430 — 355 ჩვ. წ.-მდე) — 271.

შ

შ ვ ე ნ ი ნ გ ე რ ი ერნსტ (1850—1924) — 12.
შ ე ლ ი ნ გ ი ფრიდრიხ ვილჰელმ (1775 — 1854) — 38, 56, 172.
შ ლ ო ს ე რ ი ფრიდრიხ ქრისტეფორ (1776 — 1861) — 286.
შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი არტურ (1788 — 1860) — 396.
შ ო რ ლ ე მ ე რ ი კარლ (1834—1892) — 408.
შ ტ ი რ ნ ე რ ი მაქს (კასპარ შმიდტის ლიტერატურული ფსევდონიმი) (1806—1856) — 118.

ჩ

ჩ ა ი ლ დ ჯოსია (1630—1699) — 284.

ჰ

ჰ ა ლ ე იოჰან (1812—1910) — 69.
ჰ ა რ ვ ე ი ვილიამ (1578 — 1657) — 279.
ჰ ა რ ტ მ ა ნ ი ედუარდ (1842—1906) — 396.
ჰ ე გ ე ლ ი გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმ (1770 — 1831) — 15, 16, 21, 25, 30—33, 38, 43—46, 49, 52, 54, 55, 56, 62, 63 70, 79, 88, 94, 121, 135, 142, 147—149, 152—155, 165, 167, 169—172 221, 300, 309, 394, 398—401, 403, 416, 442, 448, 449, 452—454.
ჰ ე ი ზ ე იოჰან ქრისტიან (1764 — 1829) — 384.
ჰ ე კ ე ლ ი ერნსტ (1834 — 1919) — 15, 84 — 86, 165, 407, 449, 450, 453, 454.
ჰ ე ლ მ ჰ ო ლ ც ი ჰერმან (1821—1894) — 15.
ჰ ე ნ რ ი ხ LXXII (XIX ს.) — 208.
ჰ ე რ ა კ ლ ი ტ ე (VI ს. დამლევი—V ს. დამდეგი ჩვ. წ.-მდე) — 26.
ჰ ე ქ ს ლ ი ტომას ჰენრი (1825—1895) — 93.

შინაარსი

ხაკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტისაგან . 3

ქართული გამოცემის რედაქციისაგან 5

ენგელსის წინასიტყვაობანი სამი გამოცემისათვის 7

შესავალი

I. ზოგადი შენიშვნები . 20

II. რას გვპირდება ბატონი დიურინგი 35

პირველი განყოფილება. ფილოსოფია.

III. დანაწილება. აპრიორიზმი 42

IV. მსოფლიო სქემატიკა . 50

V. ნატურფილოსოფია. დრო და სივრცე . 56

VI. ნატურფილოსოფია. კოსმოგონია, ფიზიკა, ქიმია 67

VII. ნატურფილოსოფია. ორგანული სამყარო . 79

VIII. ნატურფილოსოფია. ორგანული სამყარო (დასასრული) . 90

IX. მორალი და სამართალი. სამარადისო ჭეშმარიტებანი 99

X. მორალი და სამართალი. თანასწორობა . 113

XI. მორალი და სამართალი. თავისუფლება და აუცილებლობა . . 128

XII. დიალექტიკა. რაოდენობა და თვისებრიობა 141

XIII. დიალექტიკა. უარყოფის უარყოფა 153

XIV. დასკვნა . 170

მეორე განყოფილება. პოლიტიკური ეკონომია.

I. საგანი და მეთოდი 173

II. ძალმომრეობის თეორია . . . 187

III. ძალმომრეობის თეორია (გაგრძელება) . 196

IV. ძალმომრეობის თეორია (დასასრული) . 205

V. ღირებულების თეორია . 218
VI. მარტივი და რთული შრომა . . 232
VII. კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება . . . 238
VIII. კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება (დასასრული) 249
IX. მეურნეობის ბუნებრივი კანონები. მიწის რენტა . 261
X. «კრიტიკული ისტორიიდან» 268

მესამე განყოფილება. სოციალიზმი.

I. ისტორიული ნარკვევი 302
II. თეორიული ნარკვევი 316
III. წარმოება 340
IV. განაწილება . . 357
V. სახელმწიფო, ოჯახი, აღზრდა . 375

დამატებანი

ძველი წინასიტყვაობა «ანტი-დიურინგისათვის». — დიალექტიკის შესახებ 391
ნაწყვეტები «ანტი-დიურინგის» მოსამზადებელი სამუშაოებიდან 401
ქვეითი ჯარის ტაქტიკა და მისი მატერიალური საფუძვლები 433
შენიშვნები «ანტი-დიურინგისათვის» . 442

საგანთა საძიებელი 455

სახელთა საძიებელი 472

ФРИДРИХ ЭНГЕЛЬС

АНТИ-ДЮРИНГ

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Сектор политической литературы
Тбилиси 1952

პ/მგ. გამოშვებისათვის ა. ქუთელია

კორექტორი ე. პაპუაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI-1952.
უე 16032. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 30.
შეკვეთის № 955. ტირაჟი 10.000.

*

საკპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი
სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ., 50.
1-ая типография Грузполиграфиздата.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფიისა და გამომცემლობების
საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
წიგნში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში გთხოვთ დააბრუნოთ წიგნი
შესაცვლელად იარლიკთან ერთად.
კონტროლიორი № 1